

ივერიის კულტურული როლი
რუსეთის ისტორიაში

წინასიტყვაობა

1902 წლის დამდეგს კამენეც-პოდოლსკის ეპარქიაში, ბალტის საქორეპისკოპოსო კათედრაზე განმაწესეს და ჩემი მსახურების ახალ ადგილზე რუსეთის ისტორიის შესწავლას შევუდექი პირველწყაროებით, რომლებიც სასულიერო სასწავლებლებში ნაკლებად გაგვაცნეს. კიევის აკადემიელმა ამხანაგმა ვ. ი. კორნიენკომ ადგილობრივი სასულიერო სემინარიიდან სხვადასხვა დროს დაბეჭდილ რუსულ მატთანეთა უამრავი ნუსხა ჩამომიტანა, რომელთა შორის XVIII საუკუნის გამოცემებიც კი იყო (1767 წ./). მათ შესწავლას ისე შევუდექი, რომ სახელმძღვანელოდ გარკვეული მითითებები არა მქონია და არც ვიცოდი, მეტი ნდობა რომელი ვარიანტისათვის მიმენიჭებინა. ყველაფრის მიყოლებით კითხვა მიხდებოდა. დიდძალი შრომა იყო გასაწევი, რომ ეს წყაროები დამეძლია.

ახალი აღმოჩენით დასაწყისშივე სასიამოვნოდ გაცეხული დავრჩი. ამ მატთანეებს რაც უფრო მეტად ვულრმავდებოდი, იმისი რწმენა მიძლიერდებოდა, რომ «გარდასულ წელთა ამბავი», როგორც ამას უძველეს რუსულ მატთანეს უწოდებენ, ვრცელი ქართული მატთანის «ქართლის ცხოვრების» გადმოღების წარუმატებელი ცდა იყო. ქართული მატთანის რუსულთან შედარებისას პარალელურ ადგილებს ვინიშნავდი. მუშაობის პერიოდში ვიგრძენი აუცილებლობა იმისა, რომ რუსულ მატთანეთა შესახებ შეძლებისდაგვარად მთელ ლიტერატურას გავცნობოდი, ანუ ყველაფერ იმ ღირებულს, რაც კი ამ საგნის ირგვლივ იყო დაწერილი სახელმძღვანელო სწავლულის, აკადემიკოს ზიგფრიდ ბაიერით დაწყებული (16941738) რუსულ მატთანეთა თანამედროვე დიდი მკვლევრის ა. ა. შახმატოვის ჩათვლით, რომელმაც გასული წლის დასასრულს გამოსცა თავისი კაპიტალური ნაშრომი «უძველეს რუსულ მატთანეთა ნუსხების ძიებანი».

მე, როგორც წინამდებარე ნაშრომის ავტორს, ჩემი საქმე ხელსაყრელ პირობებში რომ დამეწყო, რუსულ მატთანეთა შესწავლას სწორედ აქედან უნდა შევდგომოდი, მაგრამ არც კამენეც-პოდოლსკი, არც ხერსონი, არც ორიოლი, სოხუმი და კოვნო, სადაც მამწესებდნენ, სამეცნიერო-ლიტერატურული ცენტრები არ გახლდათ. მხოლოდ ხარკოვის შორიახლოს მდებარე კურიაჟის მონასტერში გადაყვანის შემდგომ მომეცა შესაძლებლობა საკმაოდ მდიდარი საუნივერსიტეტო ბიბლიოთეკით მესარგებლა.

დრო გადიოდა, სამუშაო წინ მიიწევა და ამოცანაც მნიშვნელოვნად იზრდებოდა. ტამბოვის გუბერნიის მივარდნილ სანაქსარის მონასტერში ხელახალმა, მოულოდნელმა გადაყვანამ გეგმები სრულიად ჩამიფუშა და ჩემი საქმიანობის სისტემატურობის დარღვევამ მაიძულა დაგროვილი და გადარჩენილი მასალები დროზე ადრე გამომეჭყვეყნებინა. ერთი ადგილიდან მეორეზე ხშირი გადასვლისას ბევრი შენიშვნა გამეზნა. ჩემთვის განსაკუთრებით საგრძნობი ამ თხზულებაში ჩასართავად განკუთვნილი ორი ესკიზის დაკარგვა

იყო: ერთი ეხებოდა ქართული ხუროთმოძღვრების გავლენას რუსულ ტაძართმშენებლობაზე, კერძოდ ტაძრის ზოგიერთ დეტალზე (ეს გახლავთ **ვიწრო სარკმლები**, საქართველოში ცხელი კლიმატური პირობებისა და სინათლის სიუხვის გამო რომ გაჩნდა, **კარები**, რომელთაც აქვთ ნახევრადსფერული თავი, გარეთ გამოზნექილი გვერდითი კედლები, დაფარული სვეტებითა და სამკუთხა შვერილებით, შეკავშირებულნი შესაფერისი ფორმის თაღებით, ბარელიეფიანი და ჰორელიეფიანი სამკაულებით მორთული ფასადი და ა. შ.), მეორე ეხებოდა საეკლესიო ქართული საღვთისმსახურებო წიგნის, ე. წ. ჟამნ-გულანის (გაერთიანებული დავითნი და ჟამნი, რომელნიც ჩვენს სამამულო ეკლესიაში დაახლოებით X საუკუნეში გაჩნდნენ) გავლენას იმ დავითნის წარმოშობაზე, რომელიც ამჟამად რუსულ ეკლესიაში იკითხება, მაგრამ ბერძნული ეკლესიისთვის უცნობია. აუცილებლობის გამო იძულებული ვარ, იმ მასალათა დაბეჭდვით დაგვამაყოფილდე, რომლებიც შემომრჩა.

საკითხი, რომელსაც შევეხე, საეკლესიო საისტორიო მეცნიერებაში სრულიად ახალია. ჩემს საქმიანობაში წინამორბედი არ მყოლია, სიარული გაუკვალავი გზით მიხდებოდა და ამიტომაც ჩემი ნაშრომი ამ საქმეში პირველი ცდაა. თავისთავად ცხადია, რომ მსგავსი საკირკიტო და განუზომელი შრომა, როცა ქართული წერილობითი ძეგლების მხოლოდ მცირე ნაწილია გამორკვეული და რომელთა უმრავლესობას ჯერ კიდევ საბეჭდი დაზგა არ შეჰხებია, ერთი მშრომელის ძალას აღემატება და ბევრ მუშაკს მოითხოვს, მაგრამ ჩვენი მიზანი «ქართლის ცხოვრების» რუსულ მატთანესთან დეტალური შედარება როდი ყოფილა. ისიც შეგნებული მაქვს, ჩემ მიერ წამოჭრილ საკითხებს თუ რა სირთულე და სიძნელე ახლავს. სულაც არ ვფიქრობ, რომ ჩემს თხზულებაში საკითხის ყველა მხარე საბოლოოდ გამორკვეულია... პირიქით, ზოგ ადგილზე პუნქტებილა მაქვს მონიშნული; მამასადაძე, წიგნი ჯერ კიდევ დასრულებული არ არის. რაც ბოლომდე უთქმელი დამრჩა, ან არასაკმაოდ მტკიცედა მაქვს დასაბუთებული, იმედი მრჩება, იტყვიან და უფრო დაასაბუთებენ ჩემი თანამემამულეები, რომელთაც ამ ნაშრომზე დაყრდნობით შემდგომი მუშაობა მნიშვნელოვნად გაუადვილდებათ, რადგან დაწყებული საქმის გაგრძელება გაცილებით იოლია, ვიდრე მისი თავიდან დაწყება.

ჩვენ შეძლებისდაგვარად გვსურდა, საკუთარი წვლილი შეგვეტანა აქამდე ბინდით მოცული საკითხის – «გარდასულ წელთა ამბავის» ნამდვილი პირველწყაროს გამოსავლენად, რასაც რუსი მეცნიერები ორ საუკუნეზე მეტია ამაოდ ეძებენ. თუ დასახული ამოცანა, როგორც ეს გვსურდა და ვვარაუდობდით, მთლიანად ვერ შევასრულეთ, იმედია, კეთილგანწყობილი მკითხველები, რომელთა სამსჯავროზეც ეს თხზულებაა გამოტანილი, კეთილინებებენ და საქმის სიახლესა და სიძნელეს გაითვალისწინებენ. მიუხედავად ხარვეზიანობისა, თხზულების გამოქვეყნებისათვის მთავარი წამქეზებელი მაინც იყო სურვილი იმისა, რომ გამეზიარებინა ჩემ მიერ მოპოვებული ახალი შედეგები, რომლებიც რუსულ სიძველეთა მკვლევრებს უსათუოდ დააინტერესებს. ჩვენი მოკრძალებული მიზანი ნამდვილად მიღწეული იქნება, თუ ეს შრომა – ჩემი ხანდაზმულობის პირმშო – რუსული მატთანის ბნელ ლაბირინთში სინათლის სხივს შეიტანს და სწავლულებს ინტერესს აღუძრავს ქართული საეკლესიო-ისტორიული ძეგლების მიმართ.

თხზულება ქართულად დავწერე, მაგრამ მეგობრების თხოვნითა და რჩევით რუსულ ენაზე გადავთარგმნე, ენაზე რომელზეც ამ ახალი საკითხით დაინტერესებულ პირთა შორის უფრო სწრაფად გავრცელდება. მთელი გამოკვლევა ხუთი თავისაგან შედგება. პირველი ორი თითქოსდა საერთო შესავლის როლს ასრულებს, მესამე თავი აჯამებს რუსულ მატთანეთა მკვლევრების მოსაზრებებს და გახლავთ ბუნებრივი გადასვლა გამოკვლევის ყველაზე მნიშვნელოვან მეოთხე თავზე. მეხუთე თავს დამატება ვუწოდეთ, რადგანაც აქ გარკვეული მოსაზრებებით ჩართულია საკითხები, რომლებიც თავდაპირველად გათვალისწინებული იყო ცალკეულ დამატებათა სახით შესატანად.

ჩემს მოვალეობად მიმაჩნია, უდიდესი მადლიერება გამოვხატო აკად. ა. ა. შახმატოვის მიმართ რჩევებისა და იმ თხზულებათა გამო, რომლებითაც მომამარაგა. გულწრფელ მადლობას ვუხდის ხარკოვის უნივერსიტეტის კანდიდატს პან ივან პროხოროენკოს, რომელიც ასევე საჭირო წყაროებს მაწვდიდა, და ა. თ. ყიფშიძეს, ვინაც თავის თავზე იღო ამ თხზულების შემოწმებისა და თბილისში გამოცემის არცთუ ისე იოლი საქმე.

ეპ. კირიონი
კურიაჟ-სანაქსარი

1909 წელი, 29. XII.

I

რუსეთი სრულებით არ იცნობს მართლმადიდებლურ ივერიას. – წარუმატებელი შუამდგომლობა. – საქართველო – ბიზანტიის მემკვიდრე – აღმოსავლეთის წმიდა ადგილებისა და მართლმადიდებლობის დამცველის როლში. – ძველი ქართული ეროვნული კულტურა. – ქართული ეკლესიის მნიშვნელობა და მისი ეკლესიურ-ნაციონალური ცხოვრების აყვავება თვით საქართველოში და მის ფარგლებს გარეთ. – ქართულ დამოუკიდებელ სავანეთა სასულიერო-საგანმანათლებლო მნიშვნელობა საქართველოს გარეთ სლავებისათვის. – ქართველთა სამისიონერო მოღვაწეობა. – ქართველთა გამოჩენილი მოღვაწეები მართლმადიდებლურ აღმოსავლეთში. – ქართველები – უძველესი კულტურის ერი მსოფლიოში. – ბიზანტიის დაცემა და მისი შედეგები. – პალეოლოგთა მართლმადიდებლური დინასტიის შეწყვეტა. – ლეგენდები მოსკოვზე, ვითარცა მესამე რომზე, ბიზანტიის ხელისუფლების მემკვიდრეზე, ბაბილონურ სამეფო რეგალიებსა და ნოვგოროდულ ბარტყულაზე.

რა უცნაურიც უნდა იყოს, რუსები აწინდელ დროში თითქმის ნახევრად-ველურ ვოგულებსა და საამებს უკეთ იცნობენ, ვიდრე ერთმორწმუნე ქართველებსა და მათ ისტორიას, არადა, ქართველები ქრისტიანობის წინაშე თავიანთი მნიშვნელოვანი ღვაწლითა და დიდი ეროვნული კულტურით იმსახურებენ უცილობლად მეტს, ამავე დროს – სერიოზულ ყურადღებასა და გულმოდგინე შესწავლას. მწუხარებით გვიხდება კიდევ რუსულ ენაზე საერთოდ ქართული ისტორიის

კეთილსინდისიერი და რიგიანი ნაშრომის უქონლობის სავალალო ფაქტის აღნიშვნა და იმისაც, რომ საქართველოს ისტორია ამგვარი შეუწყნარებელი უყურადღებობისა და უგულვებლყოფის გამო რუსებისთვის ტერრა ინკოგნიტა-დ რჩება. ჯერ კიდევ ა. ს. გრიბოედოვი თავის თანამემამულეთ უსაყვედურებდა, რომ საქართველოს სრულებით არ იცნობდნენ².

უნდა აღინიშნოს, რომ საქართველო XVII საუკუნემდე არც ტერიტორიულად იყო აგრერიგად შეზღუდული და პოლიტიკურადაც დაუძღვრებული, და არც რუსეთი იყო ამგვარი ვრცელი და ძლიერი, როგორსაც ამჟამად ვხედავთ. როცა ცხრა-ნახევარი საუკუნის წინ ტავრიელმა როსებმა მართლმადიდებლური ქრისტიანობა მიიღეს, როცა რუსეთში მოქალაქეობრიობის სუსტი ნიშნები ვლინდებოდა და ის-ის იყო, ბულგარეთიდან მზა სლავურმა საეკლესიო მწერლობამ დაიწყო შემოღწევა, როგორც რუსი მეცნიერები ერთხმად ამტკიცებენ, ახლად ნათელდებული ქვეყანა ბიზანტიური კულტურის ძლიერი ზეგავლენის ქვეშ იმყოფებოდა³; ეს, ამავე მწერლების აზრით, ევქსინის პონტოს ნაპირებზე განლაგებული აყვავებული ბერძნული დასახლებების ხელშეწყობითა და დუნაისპირა სლავური სამთავროების დახმარებით ხორციელდებოდა, მაგრამ მხედველობიდან რჩებათ, ან თვალს განზრახ ხუჭავენ და არ სურთ შეამჩნიონ ის, რომ აღნიშნულ ჟამს ბიზანტიის იმპერიის გარდა წმიდა მიწის მიჯნაზე მეორე, ძლიერი და ვრცელი _ ქართული მართლმადიდებლური სახელმწიფო არსებობდა, რომელიც თავისი საზღვრებით უფრო ახლოს მდებარეობდა იმჟამინდელ რუსეთთან, ვიდრე ბიზანტიასთან. გავიხსენოთ აფხაზეთ-ქართლის სამეფოს მოსაზღვრე აზოვის ტმუტარაკანის კოლონია⁴, იაროსლავ მეორის ვაჟიშვილის, სვიატოსლავის, საუფლისწულო, წარმოქმნილი ტამარხას (ტამანის) ძველი კოლონიის ადგილზე. ამასთან, ძნელი წარმოსადგენიც კია, რომ XI-XII საუკუნეებში, ასეთ შორეულ ეპოქაში შესაძლო ყოფილიყო ბიზანტიელ განმანათლებელთა პირდაპირი ზემოქმედება რუსეთზე. რუსული კულტურის ცნობილი მკვლევარი პ. ნ. მილიუკოვი აღნიშნავს, რომ: «რუსეთზე ბიზანტიური კულტურის ზეგავლენა XV საუკუნის ბოლომდე სუსტი იყო»⁵. მაშ, რომელი კულტურის ზეგავლენა იქნებოდა XV საუკუნემდე ძლიერი? ცხადია, ქართულის, რაშიც მკითხველი წინამდებარე თხზულებიდან დარწმუნდება.

ქართველ მისიონერ მოღვაწეთა ძალისხმევისა და ასევე საზღვრების მომიჯნავეობის გამო შეუძლებელი იყო კულტურულ საქართველოს რუსეთის მკვიდრებზე სულიერ-განმანათლებლური ზემოქმედება არ მოეხდინა. მით უმეტეს, რომ IX-XII საუკუნეები ქართული ეკლესიის ისტორიაში საქართველოს სულიერ-რელიგიური განმანათლებლობის ოქროს ხანად ითვლება. მართლაც, აღნიშნულ პერიოდში სასულიერო მწერლობამ, ლიტერატურამ და სამონასტრო ხუროთმოძღვრებამ ივერიაში თავისი განვითარების უმაღლეს დონეს მიაღწია; რუსეთი კი, როგორც უტყუარი ისტორიული საბუთები მოწმობენ, რელიგიურსა და სამოქალაქო ურთიერთობებში იმჟამად განვითარების ყველაზე დაბალ საფეხურზე იდგა. რა თქმა უნდა, არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება ანგარიში გაეწიოს ჟამთააღმწერლის გამონაგონს, რომელიც X-XI საუკუნეთა რუსეთს წარმოგვიდგენს ორგანიზებულ სახელმწიფოდ, რომელსაც აქვს კანონები, ჯარი, ფლოტი, ქალაქები, კომერსანტები, ჟამთააღმწერლები და ა. შ. უცხოური წყაროები კი რუსეთს სრულიად სხვაგვარად გვიხატავენ. ისინი (არაბი მწერლები და სხვ.)

მაშინდელი რუსეთის მკვიდრთ ბუნებასთან ძალზე ახლოს მდგომეზად, ნახევრად ველურეზად წარმოგვიდგენენ. თავისი წინაპრების წეს-ჩვეულებეზზე საუბრისას ერთ ადგილას თვით რუს მემატინანესაც კი წამოსცდა, რომ მისი ცნობით ისინი «ცხოვრობდნენ მხეცების ყაიდაზე, საქონელივით... ტყეში»⁶. ვლადიმირის დროსაც კი ⁷ ადამიანებს კერპებს სწირავდნენ. დავიწყებას არც ის უნდა მიეცეს, რომ ზეციური დედოფლის ღვთიური წილხვდომილი საუფლო _ ივერია (საქართველო) , მთელი ქრისტიანული სამყაროსთვის ცნობილია, როგორც საღვთო მოძღვრების მკაცრი აღმსარებელი და გულმოდგინე მიმდევარი. «ქრისტიანი ქართველები, _ იუწყება ისტორიკოსი, სენატორი და იუსტინიანეს სახელგანთქმული სარდლის, ველიზარის მდივანი პროკოპი (V-VI ს.), _ ყველა ქრისტიანს შორის სახელგანთქმულნი, ყველაზე მკაცრი მიმდევრები გახლავთ საღვთო დადგენილებებისა, თუმცაღა ძველთაგანვე ირანის მეფეთა ქვეშევრდომნი არიან»⁸.

თუ რა უზარმაზარი ავტორიტეტითა და შესაშური პატივით სარგებლობდა ქართული ეკლესია სხვადასხვა რელიგიური დაპირისპირებითა და განხეთქილებით დაყურსულ შუა საუკუნეებში, ყველაზე თვალსაჩინოდ ეს ღირსშესანიშნავი ფაქტი მიუთითებს: გოთურ საეპისკოპოსო კათედრის ვაკანტურ ადგილზე არჩეული პარტენიტის მკვიდრი იოანე⁹ კონსტანტინოპოლში ეპისკოპოსის ხარისხში ხელდასასხმელად როცა ჩავიდა და იქ ხატმებრძოლობის გამო ეკლესიური განხეთქილება დახვდა, საქართველოში გაემგზავრა და მცხეთის საპატრიარქო ტაძარში _ სვეტიცხოველში 758 წლის 26 ივნისს ქართველმა კათალიკოსმა იოანემ აკურთხა¹⁰. ეს ფაქტი საეკლესიო-იურიდიულ ენაზე ნიშნავს, რომ გოთების ეპისკოპოსმა იოანემ საკუთარი თავი და თავისი ეპარქია მცხეთის კათალიკოსზე თავისებურად დამოკიდებულად ცნო და მის სახელს საღმრთო ლიტურგიის აღსრულებისას უქვევლად ადიდებდა.

სახელმოხვეჭილმა ქართველმა სასულიერო მწერალმა, ივერიის მონასტრის წინამძღვარმა გიორგი მთაწმიდელმა (†1065 წ./¹¹ ანტიოქიის პატრიარქ თეოდოს III-სთან პაექრობისას ბრძანა: «იცოდე, მეუფევე, რომ იყო დრო, როცა მთელ საბერძნეთში (ბიზანტიაში) მართლმადიდებლობა იმ დონემდე იყო შერყეული, ძნელი იყო მის რომელიმე საეკლესიო სფეროში წმიდა სამოციქულო მართლმადიდებლობა ყოფილიყო აღსარებული. სხვათა შორის, როგორც იმ დროსა და ამჟამადაც, ჩვენი სამშობლო მტკიცედ იცავდა და იცავს მისთვის მახარებელთა მიერ ნაქადაგევი მართლმადიდებლური მრწამსის საუნჯეს. იმ უმძიმეს დროში ბერძენთა მხარეში თითქმის არ იყო მართლმადიდებლური ეკლესია გოთების ეპისკოპოსის წმიდა იოანეს ხელდასასხმელად, რის გამოც, მან ხელდასხმა ჩვენს მცხეთის ცხოველმყოფელსა და მრონმდინარე სვეტის საპატრიარქო ტაძარში მიიღო და იგი ამის შემდეგ გაიგზავნა გუთურ კათედრაზე, რასაც, როგორც ჩვენი, ისე თქვენი დიდი სვინაქსარი ადასტურებს»¹². ამასვე ადასტურებენ როგორც აღმოსავლეთის, ისე დასავლეთის ეკლესიათა ისტორიკოსები, ასევე, ნივთიერი კულტურის ძეგლები. ძველი საეკლესიო ძეგლების გათხრებისას ხერსონში ნაპოვნია ფილა, რომელზეც ასეთი შინაარსის ბერძნული წარწერაა: «გოთიის მართლმადიდებელი მოსახლეობა 750 წელს მწყემსმთავრად ირჩევს ღირს (წმიდა) იოანეს და აგზავნის ივერიის საპატრიარქო ტაძარში, სადაც ეპისკოპოსად ხელდასხმული წმიდად იცავს ეკლესიის დოგმატებს _ მართალ რწმენას». ეს

წარწერა მოყვანილ ფაქტს სავსებით ადასტურებს და ზუსტ თარიღზეც მიუთითებს¹³. მცხეთაში ხელდასხმული იოანე გოთელი II საეკლესიო კრების მოწვევის ერთ-ერთ მთავარ მოთავედაა მიჩნეული. ეს შესანიშნავი მოღვაწე გარდაცვალების შემდეგ (დაახ. 785 წელს) წმიდანად იქნა შერაცხილი.

რა დიდად აფასებდნენ ქართული ეკლესიის განსწავლული შვილები ქრისტიანულ აღმოსავლეთში მოღვაწეობის ჟამს თავიანთ მშობლიურ ენას, ქართველი ერის მნიშვნელობას ქრისტეს ეკლესიაში და რა მაღალ თვითმეგნებამდე მივიდნენ ისინი, ყველაზე ნათლად სინის სახარების საინტერესო ბოლოსიტყვაობიდან ჩანს, რომელიც 979 წლითაა დათარიღებული. სინაზე მოღვაწე, ორთავის (ორი სახარების) მართლმორწმუნე მთარგმნელმა იოანემ, ამ წმიდა წიგნის დასასრულს საკმაოდ ვრცელი ბოლოსიტყვაობა დაურთო, რომელშიაც ქრისტიანული ეკლესიის მიმდევრების საყურადღებოდ ხოტბას ასხამს ქართულ ენასა და მის მნიშვნელობას: «დამარხულ არს ენა ქართული, _ ამბობს იგი, _ დღემდე მეორედ მოსლვისა მესიისა საწამებელად, რადთა ყოველსა ენასა ღმერთმან ამხილოს ამით ენითა». ბოლოსიტყვაობის დასასრულს ნათქვამია: «და ესე ენაჲ, შემკული და კურთხეული სახელითა უფლისაჲთა მდაბალი და დაწუნებული, მოელის დღესა მას მეორედ მოსლვისა უფლისასა...»¹⁴

«არა გეცრუვნეთ შენ სიწმიდით მშობელო ჩუენო კათოლიკე ეკლესიაო, _ განაცხადა მთელი ქვეყნიერების, მომავალი საუკუნეებისა და ერების წინაშე რუის-ურბნისის საეკლესიო კრებამ, მოწვეულმა საქართველოს წმიდა გვირგვინოსნის, დავით აღმაშენებლის მიერ 1103 წელს, _ არცა განგცეთ შენ სიქადულო ჩუენო მართლმადიდებლობაო, რომლისა მოწამე არს ჭეშმარიტება, არამედ სხუათა საეკლესიოთა და სამღუდელოთა და საქრისტეანოთა ძიებათათვის...»¹⁵

ამგვარად, ქართული ეკლესია ქრისტიანულ სამყაროში ჯერ კიდევ სლავი ხალხის ქრისტიანობას ზიარებამდე ღირსეული ავტორიტეტით სარგებლობდა, ამიტომ არავითარ ეჭვს არ უნდა იწვევდეს ის, რომ ქართული ეკლესიის ბევრი სახელოვანი ფურცელი, როგორც ქვემოთ ვნახავთ, სლავებისთვისაც იყო ცნობილი, მით უფრო, რომ ქართულ სამეფოს საქართველოს გარეთ 50 მონასტერი ჰქონდა: წმ. ჯვრის მონასტერი იერუსალიმთან ახლოს (IV ს.); მდ. იორდანეს ნაპირას (სოფელი აბუ ალასი) ფარანის ლავრის ახლოს (IV ს.); იოანე ღვთისმეტყველისა იერუსალიმში (V ს.); ქვაბულისა საბას ლავრაში (V ს.); ტავრიის ნახევარკუნძულზე (VI ს.); ოლიმპოზე (VI ს.); ათოსი (VIII ს.); იოანე ნათლისმცემლისა კონსტანტინოპოლში (VIII ს.); ათონზე ივერიისა (X ს.); ანტიოქიის ახლოს, შავ მთაზე (X ს.); სინაზე (XI ს.); წმ. იაკობისა, სიონში (XI ს.); კონსტანტინოპოლის გარეუბანში (IX ს.); პეტრიწონისა ბულგარეთში და სხვა ადგილებში, ყველგან ავტონომიური მართვის უფლებით.

რუსეთში ქართველთა სასულიერო-რელიგიური განმანათლებლობა ორი გზით აღწევდა: შავიზღვისპირა მიწების გავლითა და ორი სახელგანთქმული მონასტრის, ათონის ივერიისა და ბულგარეთში სტენიმახის ახლოს პეტრიწონის (ბაჩკოვოს) ხელშეწყობით, რომლებშიაც ჰყვავდა საღვთისმეტყველო სასწავლო დაწესებულებები, მწიგნობრობის საუკეთესო ცენტრები და განათლების კერები. ჩვენი მიზნისათვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მივუთითოთ ახლო ხანებში ხერსონში (კორსუნი) აღმოჩენილი ერთი ტაძრის ნანგრევები, რომლებიც ტავრიისა და სიმფეროპოლის ყოფილი მთავარეპისკოპოს ნიკოლოზის აზრით, ტავრიის

ნახევარკუნძულზე VI საუკუნეში ქართველ მისიონერ-მეუდაბნოეთა მიერ აგებული ქართული მონასტრის ნაშთია. ჩვენ უსამღვდელოესი მწყემსმთავრის მოსაზრებას სავსებით ვიზიარებთ და სრულიად შესაძლებლად მიგვაჩნია, რომ ყირიმში (სევასტოპოლის სიახლოვეს) არსებობდა ქართული სავანე, რომლიდანაც მისი თავდადებული მოსახლეები ტავრიელ ნახევრად ველურ ტომებს შორის ქრისტეს მოძღვრებას ავრცელებდნენ. საფუძველი გვაქვს ვივარაუდოთ, რომ ამ სავანეს ტავრიელ რუსებს შორისაც სასულიერო-საგანმანათლებლო დანიშნულება ჰქონდა.

მართლაც, ეს დრო (VI ს.), საქართველოში რელიგიური სულიერების აღორძინების, მონასტერთა ფართოდ გავრცელებისა და სამისიონერო სადგურების გამრავლების ხანა იყო. გოთი ეპისკოპოსის იოანეს მცხეთის საპატრიარქო ტაძარში ხელდასხმა ტავრიის ნახევარკუნძულზე ქართული სავანის არსებობის დამამტკიცებლად და ქართველ მისიონერთა წარმატებების მაუწყებლად შეიძლება გამოდგეს. საერთოდ, უნდა ითქვას, რომ ბერძნები მისიონერული საქმიანობისადმი გულმოდგინე დამოკიდებულებით მაინცდამაინც არ გამოირჩეოდნენ¹⁶. მთავარ და ნაყოფიერ მისიონერებად ახლო აღმოსავლეთსა და საქართველოსთან მომიჯნავე მიწებზე ისტორია კაბადოკიელებს იცნობს; ხოლო ეს ჩინებული პროვინცია – კაბადოკია, როგორც ცნობილია, ქართული ტომით იყო დასახლებული. კაბადოკიელებმა ქრისტიანული რელიგიის გავრცელებაში უზარმაზარი როლი შეასრულეს. აღმოსავლელ გოთებში ქრისტიანობა, როგორც ბესელი ამტკიცებს, კაბადოკიელმა ტყვეებმა შეიტანეს. დასავლელ გოთებს შორის კი ქრისტიანობა (IV ს.) ეპისკოპოსმა ულფილამ, ტყვე კაბადოკიელთა შთამომავალმა გაავრცელა და განამტკიცა; სუგდიელთა განმანათლებელი მთავარეპისკოპოსი სტეფანე სუგდიელიც ასევე კაბადოკიელია; წმ. მოციქულთასწორი ნინოც წარმოშობით კაბადოკიელი იყო; წმ. გრიგოლ ნაზიანზელი, არაგვის ხეობის განმანათლებლად რომ არის მიჩნეული, კაბადოკიელია¹⁷.

სლავთა მოქცევისათვის ასევე უზარმაზარი მნიშვნელობა 980-985 წლებში ათონზე ქართველ მოღვაწეთა მიერ დაარსებულ სახელგანთქმულ ივირონის მონასტერს ჰქონდა. რომის იმპერატორის, მარკუს ავრელიუსის გამონათქვამისამებრ, თუმცა ათონი სამყაროს უმცირესი მარცვალია, ამ წმიდა მარცვალს ყველა დროისა და ერების ქრისტიანებისათვის უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა. ჩვენი თანამემამულენი იმდროინდელ საბერძნეთში ცენტრებში პირველ მოწესეთა შორის იყვნენ და ნათლით მოსილ ათონზე უსათუოდ უძველესი დროიდან მოსახლეობდნენ. ძნელია გაეცეს კითხვას პასუხი, როდიდან გაჩნდნენ ათონზე პირველი ქართველი მოსახლეები და, კერძოდ, რომელ ადგილას დამკვიდრდნენ, ვინაიდან, ათონის ნახევარკუნძულის არაერთგზის გაჩანაგების გამო, აქ მონაზვნობის დასაბამის შესახებ საერთოდ ძალზე მცირე ცნობებია შემორჩენილი.

აქაური ნავსაყუდლის – კლიმის¹⁸ ძველი სახელწოდების საფუძველზე, რომელსაც შემდგომში კლიმენტის სახელი ეწოდა, შესაძლოა ვარაუდი იმისა, რომ ივერიელი ბერები ათონში ივირონის სავანის დაფუძნებამდე რამდენიმე საუკუნით ადრე მოწესეობდნენ. ივირონის მონასტერს ზემოდან მთიანი მაღლობი რომ დაჰყურებს, ათონელთა შორის **გაბრიელის მთის** სახელწოდებითაა

ცნობილი¹⁹, ხოლო ძველად მას ათოს უწოდებდნენ. ამ მთების ჯაჭვში უმაღლესი წერტილები გამოიყოფა: დიდი ათონი, პატარა ათონი ანუ ანტიათონი და ათო. ბოლო მთა, რომელზეც ამჟამად იოანე ნათლისმცემლის ივერიის სავანეა, შორეულ წარსულში, ჯერ კიდევ არაბთა მიერ ათონზე ყველა ქალაქის განადგურებამდე (680 წ.), ქ. კლეონეს მიეკუთვნებოდა. აქ ნავსაყუდარზე აღმართული იყო შუქურა, რომელიც ნავსადგურის შესასვლელს ანათებდა. მითითებულ ათონის მთაზე, როგორც პორფირე უსამღვდელოესი ირწმუნება, იმპერატორ ნიკიფორეს 1078 წლის სიგელზე დაყრდნობით, ივერიელნი თავდაპირველად 787 წლის შემდგომ²⁰ – კონსტანტინესა და ირინეს ზეობისას – დასახლებულან და თავიანთთვის მომცრო, საცხოვრებლად განკუთვნილი მონასტერი აუგიათ.

ათონური ბერ-მონაზვნობის ასეთ ადრეულ ხანაში ქართული სავანის არსებობას ეპისკოპოსი პორფირე შემდეგ ათონურ წერილობით ძეგლებზე დაყრდნობით ამტკიცებს: თეოფილე ხატმებრძოლის (829) მეფობის პირველ წელს ერთმა მართლმორწმუნე, სათნო, ქველმა და მდიდარმა ქართველმა ქვრივმა, ერთადერთი ვაჟიშვილის დედამ, რომელიც მცირე აზიის ქალაქ ნიკეის მიდამოებში ცხოვრობდა, იმპერატორის მეომართაგან ხატების თაყვანისმცემლობის გამო დევნისა და შეურაცხყოფის შიშით, ღამით, ზღვასთან მალულად ღვთისმშობლის ხატი მიაბრძანა და ზღვის ტალღებს გაატანა; მის დაცვას ლოცვებით შესთხოვდა თვით დედა ღვთისას. ქვრივმა შვილი მაკედონიაში გააგზავნა, მაგრამ ღვთისმოშიში ქვრივის შვილი ამ პროვინციის ქალაქ სალუნდიდან გულის კარნახითა და შინაგანი ხმის მოწოდებით ათონს გაემართა (დაახ. 830წ.) და აქ ივერიის წმიდა სავანეში ბერად შედგა, მკაცრ და სპეტაკ ცხოვრებას ეწეოდა და ხანდაზმულ ასაკს მიღწეულმა მრავალი მონაზვნური ღვაწლის შემდგომ 890 წელს სული უფალს მიაბარა. ათონელმა ივერიელებმა მისგან შეიტყვეს დედამისი ღვთისმშობლის წმიდა ხატს როგორ მოუფრთხილდა²¹. ამ წმიდა ბერის სახელი ერთმა ზეცამ თუ იცის.

830 წლის ოქტომბრის თვეში მთელი ათონი არაბთა შემოსევის შემამფოთებელი ცნობების გამო ერთიანად დაცარიელდა და იქ მოსახლე ქართველებიც თავიანთი სიწმიდეებით გადასახლდნენ კონსტანტინოპოლის იოანე ნათლისმცემლის ქართულ მონასტერში, რომელიც ჩვენს თანამემამულეთა მიერაა დაარსებული (დაახ. 789 წ.). VII მსოფლიო საეკლესიო კრებამ წმიდა ხატებისადმი თაყვანისცემა აღადგინა. 870 წლიდან ბერებმა ათონზე დასახლება ისევ დაიწყეს და ქართველები თავიანთ სავანეებს დაუბრუნდნენ. ათოს ქართული სავანის წინამძღვარმა იოანემ 943 წელს ათონის ყელზე ათონელთა და ერისიელთა შორის მიწის გამიჯვნის ხელშეკრულებას ხელი მოაწერა²². 958 წელს იმპერატორმა კონსტანტინე პორფიროგენეტმა ათონის მონასტერს კასანდრას ნახევარკუნძულზე თავისი მამულები ალიკე და ტახაე²³ დაუმტკიცა.

965 წელს ათონზე წმ. ათანასეს სავანის ახლოს ქართველი სახელმწიფო მოღვაწე იოანე ივერი, ანუ ივირი დასახლდა. მას მალე შეუერთდა მისი შვილი ექვთიმე, ცნობილი სარდალი და სტრატეგი თორნიკე და ბევრი სხვა, რომლებიც ბერულ ცხოვრებას შეუდგნენ. ყველანი იქ 979 წლამდე ცხოვრობდნენ. თორნიკე ბარდა სკლიაროსის დამარცხების შემდეგ წმიდა მთაზე უხვი ნადავლით დაბრუნდა, მაგრამ იმის გამო, რომ ათანასეს მონასტერში და მის შორიანლოს ქართველებმა სივიწროვე იგრძნეს, მათმა სულიერმა წინამძღოლმა იოანე ივირმა გადაწყვიტა

ქართული ძმობისთვის განსაკუთრებული, ავტონომიური უფლებებით აღჭურვილი მონასტერი აეგო, რომელიც წმ. მთის მმართველებისგანაც კი დამოუკიდებელი იქნებოდა და ბერძენი გვირგვინოსნები უშუალო მფარველობას გაუწევდნენ. ამ სანუკვარი ოცნების აღსრულებაში მას, როგორც არასდროს, ხელს თანადროული მდგომარეობა უწყობდა. იმპერატორი ბასილი ათონელი ქართველებისადმი მათი მოძმის, თორნიკეს მიერ გაწეული სამსახურის გამო მეტად მაღლიერი გახლდათ და მზად იყო, მათი ღვთისმოსაური სურვილი შეესრულებინა. ხოლო თორნიკეს მიერ ბარდა სკლიაროსის სასტიკად დამარცხების შემდეგ მოპოვებული უზარმაზარი საომარი დავლით შეიძლებოდა აგებულიყო განსაკუთრებული ქართული სავანე ყოველგვარი სამეურნეო ნაგებობითურთ. შორსმჭვრეტელმა იოანე ივირმაც ამ ხელსაყრელი პოლიტიკური მდგომარეობით ისარგებლა. ამგვარად, ათონზე ქართველ ბერ-მონაზონთა ცხოვრებაში დადგა დიადი ჟამი, რომელსაც ჩვენი სამამულო ეკლესიისათვის უზარმაზარი სასულიერო-საგანმანათლებლო მნიშვნელობა ჰქონდა.

ამ დროს ათოს ძველ ქართულ მონასტერს, რომელიც ქართველი მეუდაბნოეებით იყო გავსებული და მათი განთავსებისთვის ზრუნვა იყო საჭირო, პავლე ივერიელი წინამძღვრობდა. მომავალი სავანისთვის ადგილი რომ შეარჩია, იოანე ივირმა 980 წელს იმპერატორ ბასილის გამოსთხოვა ლეონტის მონასტერი სოლუნში, იოანე კოლონასი _ ერისოში და კლიმენტის ნანგრევები _ ათონში ორი ქართული _ კონსტანტინოპოლის ივერიელთა და ტრაპიზონის წმ. ფოკას მონასტრების სანაცვლოდ. ეს მონასტრები იოანეს იმპერატორისაგან მამულებითურთ ებოძა და მათგან მიღებულ შემოსავალს ათოს მონასტერსა და ახალი დიდი ქართული სავანის აღორძინებას ახმარდა. 980 წელს იოანე ივირმა ზღვის თვალწარმტაც სანაპიროზე, კლიმენტის სავანის ნანგრევების ადგილზე თავისი მონასტრის მშენებლობა დაიწყო, რომელიც დიდხანს კლიმენტის მონასტრად მოიხსენიებოდა კიდევ. ათონზე ქართული მონასტრის მოწყობის ამ უდიდეს საქმეში იოანე ივირს მატერიალური და მორალური საშუალებებით უდიდეს დახმარებას უწევდა (როგორც ამის შესახებ ბიზანტიელი ისტორიკოსი კედრიანე მიუთითებს) არა მარტო თორნიკე, არამედ, ქართველი სახელმწიფო მოხელე ვარაზ-ვაჩეც. 985 წელს მთელ ქართველ მეუდაბნოეთა და მათი კეთილისმყოფელის წმ. ათანასეს სასიხარულოდ ივერიის მონასტერი დასრულდა. და იოანე ივერის მეგობარმა ათანასე ათონელმა, როგორც ივერიის წმიდა მთის არქივის საბუთებიდან ირკვევა, ამავე წლის დეკემბრის თვეში მას საჩუქრად უბოძა იმპერატორ ბასილის წყალობის სიგელი (ხრისოვული), რომელიც უფლებას აძლევდა საზღვაო ხომალდიც ჰყოლოდა.

ივერიის წმიდა მთის მონასტრის დიდება²⁴ მალე ათონის საზღვრებს გასცდა და სულიერი ცხოვრების სრულყოფის ყველა მსურველს იზიდავდა. მის სტუმართმოყვარე მოწესეთა კარი ყველა ერის წარმომადგენელთათვის ღია იყო და ყველას ქრისტესმიერი ძმური სიყვარულით იღებდნენ. აქ მყოფთა რიცხვმა მალე 300-ს მიაღწია. იმპერატორ ბასილის ნებართვით, იქვე 1024 წელს ჩავიდა გამოჩენილი ქართველი სახელმწიფო მოღვაწე²⁵ და ბიზანტიის მთავარსარდალი თორნიკე კონდოლეონი და კარეში ქართველი მეუდაბნოე გიორგი ხარზანისაგან 210 ოქროდ თავისთვის პითარას სახელწოდების მცირე მონასტერი შეიძინა, რომელიც აგებული იყო ვინმე დიმიტრი ლამარის მიერ იოანე ივირის

ხელშეწყობით. თორნიკე კონდოლეონი ბერულ წესს შეუდგა და სიცოცხლის ბოლომდე აქ იღვწოდა²⁶.

ივერიის სავანის დაარსების დღიდან ნათლისმცემლის უძველესი მონასტერი მისი გავლენის სფეროში შედის. XI საუკუნის პირველ ნახევარში ათოს მონასტერს იმპერატორმა მიხეილ პაფლაგონმა მრავალი მამული და მეტოქი* დაუბრუნა თავისი პრივილეგიებითურთ (1041 წ.) , რომლებიც წარსულში ათოს ქართულ მონასტერს ეკუთვნოდა, მაგრამ წინამძღვარ გიორგი პირველის დაუდევრობის გამო ხაზინის მიერ იყო ჩამორთმეული: მაგალითად, ლეონდარის გარეუბანი, ერისოს გარეუბანი, ნათლისმცემლის სავანე, დობროვის გარეუბანი, მელინციანის გარეუბანი და სტილარიის მოუვლელი სანახები. იმპერატორმა ნიკიფორემ (1078-1081 წწ) ივერიის მონასტრის ბერების თხოვნით 1078/9 სექტემბრის წყალობის სიგელით ბრძანა, მონასტრისთვის ხაზინიდან ისევ ეძლიათ 8 ლიტრა და 16 ოქრო**, რომელთაგან 4 წართმეული ჰქონდათ მისთვის. მამულები ყველა ბეგარისაგან გაათავისუფლა და დაამტკიცა მათი თვითმმართველობა, ხოლო ყველა მათ საქმეზე სამართლის განჩინება სოლუნის მმართველს თუ მთავარს²⁷ უბრძანა. ალექსი კომნენის მეფობის ჟამს (1081-1118 წწ) ათონის წმ. მთის ყველა მონასტერი მარხვაში სახსნილოს მიღების ცოდვათა გამო თანდათან დაცარიელდა. ეს მდგომარეობა თითქმის ასი წელი გრძელდებოდა (1081-1177). ზეციური მფარველობით მხოლოდ ივერიის მონასტერი არ დაცლილა. მისმა სპეტაკმა და ღვთისმოსავმა მოწესებმა ათონის ღირსება დაიცვეს²⁸. XII საუკუნეში ქართველმა მეფეებმა და მათმა დიდებულებმა იერისოს ახლოს, ათონის ივერიის მონასტრის მომსახურების მიზნით, დაახლოებით 600 სულისაგან შემდგარი 42 ქართული ოჯახი დაასახლეს საქონლის სამწყემსად, მიწის სამუშაოებისა და მეღვინეობის ასაღორძინებლად, როგორც ათონის ყელზე, ისე სხვა ადგილებშიც. დრომ ისინი ბერძნებში გათქვიფა და ენა დაივიწყეს²⁹. 1285 წელს ივერიის მონასტერი და სავანე ჯვაროსნებმა ააოხრეს, ბერების ნაწილი მოაშთვეს, ხოლო ნაწილი გარეკეს. ამ დროიდან ივერიისა და ნათლისმცემლის მონასტრები დაიცალა და ისევ XV საუკუნის დასასრულიდან და XVI-ის დასაწყისიდან აღორძინდა, როცა საქართველოს მეფეებმა და მთავრებმა მონასტრები და მათი სავანეები აღადგინეს.

ხსენებული მონასტრის ჩვენამდე მოღწეულმა 1074 წლის პერგამენტზე შესრულებულმა ხელნაწერებმა («მოსახსენებლები») მნიშვნელოვანი ცნობა შემოგვინახეს ბულგარელებთან წმ. გიორგი მთაწმიდელის (†1065 წ.) სამოციქულო მოღვაწეობის შესახებ: «აღნიშვნის ღირსია, _ ამბობს წმ. გიორგი მთაწმიდელის ჰაგიოგრაფი, მისივე მოწაფე და შესაბამისად აღწერილ მოვლენათა თანამედროვე, _ დიდი მოციქულებრივი ძალისხმევა ამ წმიდა, ღვთის სანატრელმა მამამ კერპის (წარმართულის) დამხოვითა და მისი მსახურების აღმოფხვრით რომ აღასრულა ჩვენს დროში. წმ. მთის (ათონის) მამულებს შორის არის რომელიღაც დასახლებული ადგილი, ივერიის მონასტრის კუთვნილება, - ლივედია³⁰, მეტად შიშველი, კლდოვანი, ძნელად სავალი, ვიწრო და ვფიქრობ, არც ერთ წმიდა მამათაგანს აქამდე აქ ფეხი არ დაუდგამს. აქ **ბორგალები** ცხოვრობენ³¹, რომლებიც **სკლავებად**³² იწოდებიან, უგუნურნი, მხეცებისმაგვარნი, თავხედები, ქვემძრომნი და ბოროტი სულელები.

ამ დასახლებულ ადგილას, როგორც ვახსენეთ, შორეული წარსულიდან აქამომდე ქალის მარმარილოს ქანდაკება იდგა. როგორც ითქვა, ეს უგუნური ადამიანები მას მუდმივად ემსახურებოდნენ (თაყვანს სცემდნენ) სიტყვებით: «მზესა და წვიმას და ყოველივე სიკეთეს მისგან ვიღებთ. მას ხელეწიფება სიკვდილით დასჯა და სიცოცხლის მინიჭება.» ამ ქანდაკების თაყვანისმცემელთა ასეთი უზომო უკეთურობა რომ იხილა, სული მათ მიმართ სიკეთის მიგების სურვილით აღენთო და, როცა ერთხელ საუფლო ქალაქისკენ მიემართებოდა, გზად ზემოთ ნახსენებ ადგილს ესტუმრა. ეს შეცდენილი ადამიანები მოვიდნენ და ამცნეს წმიდა მამას (მამა გიორგის): «მოგზაურობის კეთილად დამთავრება და შენი მოვალეობების წარმატებით აღსრულება თუ გასურს, თაყვანი ეც ჩვენს ქალღმერთს, რათა მან მეფის წინაშე ხელი მოგიმართოს». პასუხად წმიდა მამამ მიუგო: «კეთილი, კეთილი, წამოდით და მანახეთ იგი. ასეთი რჩევისთვის თქვენი მადლიერი ვარ». ეს ბერი თავიანთ ყრუ და უსულო ქალღმერთთან მიიყვანეს. მან ქანდაკება რომ იხილა, უთხრა მათ: «ჯერჯერობით გადავდოთ, ხვალ მოვალ და გავესაუბრები მას».

მეორე დღეს, დილაუთენია, თავის მხლებელს უბრძანა, მჭედლისაგან რკინის ჩაქუჩი ეთხოვა. ბერ მნესა და ორ სხვასთან ერთად როგორც კი ქანდაკებას მიუახლოვდა, შუბლზე პატიოსანი ჯვარი გამოისახა და იოანეს სახარების სიტყვების წარმოთქმა იწყო: «პირველითგან იყო სიტყვა...» და ა. შ. შეცდენილი ადამიანები კი უჩიჩინებდნენ: «აი, ნახავ, განგმირავს», მაგრამ წმიდა ბერს (გიორგი მთაწმიდელს) გაელიმა და, ვითარცა ქრისტეს მახვილით აღჭურვილი უშიშარი მეომარი, ქანდაკებას უეცრად დაესხა თავს, აღმართა ჩაქუჩი, ჩაარტყა და ნამსხვრევებად აქცია. წმ. ბერის ნამოქმედარის დანახვა ახლაცაა შესაძლებელი და იგი ამ წმიდა ღმერთის კაცის ურყევ თავდადებაზე მეტყველებს³³; ამგვარად, წმ. გიორგი მთაწმიდელმა დაამხო წარმართთა ღვთაება და მოსპო კერპთაყვანისმცემლობა, ბულგარელებს შორის ქრისტიანობა განამტკიცა და გიორგი აგიოლოგის მოწმობით მათი მოციქული გახდა.

სლავთა სულიერ-რელიგიურ განმანათლებლობაში ივერიის მონასტერზე არანაკლები დამსახურება ბულგარეთში XI საუკუნიდან ქ. ფილიპოპოლის ახლოს წარმატებით მოქმედ ქართულ პეტრიწის (ბაჩკოვოს) მონასტერს მიუძღვის, რომლის მოღვაწენი სამამულო მწერლობაში **პეტრიწონელთა**³⁴ სახელით არიან ცნობილნი. ეს მონასტერი თავის მკვიდრთა საღვთისმეტყველო-ფილოსოფიური განმანათლებლობით იყო სახელგანთქმული. დასახლებულ სავანეებთან არსებობდა საღვთისმეტყველო სასწავლებლები, სადაც დიდი ბიბლიოთეკები ჰქონდათ, და მათი წყალობით, ძველ ქართველ კულტურის მეოხთა გავლენა საერთოდ სლავებზე ვრცელდებოდა. ივერია, ანუ საქართველო რუსეთისთვის უცნობი ქვეყანა როდი იყო. იგი კარგად იცნობდა სახელგანთქმულ ივერიას – ღვთისმშობლის წილხვდომილ ქვეყანას, რომელიც თავდადებით იცავდა მართლმადიდებლობას, მის მამაც, ჯვრით აღჭურვილ შვილებს – ქართველებს, რომლებმაც მუსულმანურ სამყაროსთან ქრისტესა და მისი წმიდა ეკლესიისათვის განუწყვეტელ ბრძოლებში თავი გამოიჩინეს. ქართულმა მატთანემ «ქართლის ცხოვრებამ» და სუმბატის ქრონიკებმა შემოინახეს ცნობა, რომ ბიზანტიის იმპერატორ ბასილის ქართველთა მეფის, გიორგი პირველთან (1014-1027) ბრძოლისას დამხმარე ჯარის შემადგენლობაში რუსების რაზმიც ჰყავდა³⁵. რუს

პალეოგრაფთათვის ცნობილია ძველი გადმოცემა: «საკვირველი და ფრიად სასარგებლო ამბავი ქალწულზე, ივერიის მეფის ქალიშვილ დედოფალ დინარაზე, როგორ დაამარცხა სპარსთა მეფე ადრამელეხი». აქვე ისიც უნდა აღინიშნოს, რომ მეფე ივანე მრისხანეს ყაზანის გარემოცვისას თავისი ლაშქრის გასამხნეველად წარმოთქმულ სიტყვებში მაგალითად მოჰყავს, როგორ შეეწია ღმერთი ივერიის დედოფალს _ დინარას ირანელებზე გამარჯვებაში³⁶.

იმისთვის, რომ თუნდაც მიახლოებითი წარმოდგენა შეიქმნას სამშობლოს გარეთ ქართველთა მრავალსაუკუნოვან დაულალავ და ნაყოფიერ მოღვაწეობაზე და, საერთოდ, ივერიის ისტორიულ დანიშნულებაზე ქრისტიანობისა და ეკლესიის მიმართ, აუცილებლად მიმაჩნია, მკითხველს გავაცნო ღვაწლი თუნდაც ზოგიერთი მათგანისა, რომლებმაც სახელი გაუთქვეს ქართველებს ქრისტიან ხალხებს შორის. ესენი არიან: 1. პეტრე იბერი; 2. თეოდული და წმ. მარტვილი საბაწმინდელი; 3. ახალი პეტრე იბერი; 4. საკვირველი მთის მოღვაწე, სელევკიის ეპისკოპოსი ანტონი; 5. წმ. იოანე მოსხი; 6. ბიზანტიის პატრიარქი გერმანე III; 7. მიქაელ სვინგელოზი; 8. წმ. სასწაულმოქმედი ილარიონ ქართველი; 9. საბა ქალდი; 10. წმ. გიორგი ნიკომიდიელი; 11. ღირსი იოანე ივერიელი; 12. ღირსი თორნიკე; 13. ღირსი გაბრიელ ხატმომრქმელი; 14. ტარსას მიტროპოლიტი თეოფილე; 15. ექვთიმე ათონელი; 16. გიორგი მთაწმიდელი; 17. ეფრემ მცირე; 18. ექვთიმე-თორნიკე, ნეოპატრიის განმანათლებელი და სხვ.

1. **წმ. პეტრე იბერი**, საქართველოს მეფის წული მურვანოზი (412-491), ბიზანტიის მეფის კარზე მძევლობისას ბრწყინვალე განათლებას ეზიარა, მაგრამ შინაგანი ხმის მოწოდებით დედაქალაქი საიდუმლოდ დატოვა და პალესტინას მიაშურა, სადაც მისმა დიდმა თანდაყოლილმა მიდრეკილებებმა ასკეტური ღვაწლისადმი სრული განვითარება ჰპოვა და თანამედროვეთა შორის სახელი მოუხვეჭა. თავისი ნების საწინააღმდეგოდ იერუსალიმის პატრიარქის მიერ პალესტინის მთავარეპისკოპოსის ხარისხში აღყვანილი, მწყემსმთავრობის დასაწყისში მცირე ხანს არ ეთანხმებოდა მეოთხე მსოფლიო საეკლესიო კრების დადგენილებებს. ეს კრება მონოფიზიტთა ერესის განსახილველად 451 წელს ქალკედონში მოიწვიეს. მწვალებლობა მაშინ წინა აზიასა და აფრიკის უდიდეს ნაწილში იყო გავრცელებული. იმპერატორის ჯარმა ქალკედონელთა მოწინააღმდეგე ეპისკოპოსები განდევნა, მაგრამ არ შეჰხებია ერთადერთ პეტრე იბერს მისი დიდი სათნოებისა და მისდამი საყოველთაო პატივისცემის გამო. იერუსალიმიდან პატრიარქ თეოდოსის განდევნის შემდეგ პეტრემ მაიუმში³⁷ დარჩენა თვითონ არ ისურვა და მიმდევრებთან ერთად უდაბნოში წავიდა. ის იყო ერთ-ერთი იმ ორ ეპისკოპოსთაგან, რომლებმაც ალექსანდრიის პატრიარქად ტიმოთე ელური აკურთხეს. პეტრემ მრავალი მონასტერი და უცხოთსადგური დააარსა. მასვე მიაწერდნენ საბას მონასტრის დაარსებასაც. ჯერ კიდევ სიცოცხლეში პეტრე იბერი თავიანთ საამაყო ადამიანად მიაჩნდათ მონოფიზიტებსაც (სირიელებს და სომხებს) და მართლმადიდებლებსაც (ბერძნებს და ქართველებს), ხოლო ნეტარხსენებულის გარდაცვალების შემდეგ ერთმა მხარემაც და მეორემაც ერთდროულად თავის წმიდანთა დასში ჩარიცხა³⁸.

2. **თეოდული საბაწმინდელი**. VI საუკუნეში პალესტინის წმ. საბას სავანეში იღვწოდა ქართველი მწირი თეოდული, რომელსაც მწვავე პაექრობა ჰქონდა იერუსალიმში ადგილობრივი ხელისუფლების მხარდაჭერით განმტკიცებულ

მონოფიზიტებთან. მონოფიზიტთა ძალების განადგურების შემდეგ თეოდულმა ისინი იერუსალიმიდან გააძევა და მათ მიერ დამცირებულ მართლმადიდებლებს ნუგეში სცა. ამავე სავანეში მოღვაწეობდა წმ. მარტვილი საბაწმიდელიც, ხსენებული თეოდულის თანამედროვე (საბაწმიდის სავანის წინამძღვარი, წარმოშობით ქართველი, ბერი მარტვილი), დიდი მწერალ-მწიგნობარი, ვინც ერეტიკოსთა წინააღმდეგ დაწერა პოლემიკური თხზულებები და საქართველოში მრავალრიცხოვანი ნუსხების სახით გაავრცელა. მონოფიზიტებმა ამ თხზულებათა გამო საქართველოში წარმატებას ვერ მიაღწიეს და ყველგან უდიდეს წინააღმდეგობას აწყდებოდნენ. ამავე ბერმა დაწერა მეუდაბნოეთათვის სახელმძღვანელო მოძღვრების სახით რელიგიურ-ზნეობრივი შინაარსის ვრცელი თხზულება «სინანულისა და მორჩილებისათვის», რომლის ნაწყვეტებმა ჩვენამდეც მოაღწიეს³⁹.

3. ახალი პეტრე იბერი. მოღვაწეობდა იტალიაში. უკანასკნელ დრომდე ეკლესიის ისტორიის მეცნიერებაში ცნობილი იყო მხოლოდ ერთი პეტრე იბერი, ქართველი უფლისწული მურვანოზი (412_491), მაიუმის ეპისკოპოსი⁴⁰, რომლის შესახებ შედგენილი ქართული «ცხოვრება» რუსულ თარგმანთან ერთად წინასიტყვაობითა და შენიშვნებით ს. პეტერბურგის უნივერსიტეტის პროფესორმა, ნ. მარმა გამოსაცემად მოამზადა და 1896 წელს⁴¹ პალესტინის საიმპერატორო მართლმადიდებლურმა საზოგადოებამ დასტამბა.

გარდა პალესტინის ცნობილი მოღვაწის, პეტრე მაიუმელის ცხოვრების გამოწვლილვით აღწერისა, რომელიც მისმავე მოწაფემ, ზაქარია ქართველმა სირიულად დაწერა და სირიულიდან ქართულად თარგმნა მღვდელმა მაკარმა⁴², მასზე (პეტრეზე) ცნობებს, თუმცაღა არასრულს, გვაწვდის ბიზანტიელი ისტორიკოსი ევაგრეც (536_593/⁴³. პეტრე იბერზე შედარებით სრული ცნობები ქართულ მატიაზეში, «ქართლის ცხოვრებაშია» დაცული, რომელშიაც აგიოლოგიური ცნობების გარდა, სხვათა შორის, საუბარი იმაზეცაა, რომ «არავის ძალუძდა მისთვის ქება შეესხა, გარდა რომის პატრიარქის, გრიგოლ დიდისა, რომელმაც თავის წიგნში მისი ქება დაწერა»⁴⁴. ქართულ მატიაზეთა გამომცემელი და კომენტატორი, ჩვენი მხარის ისტორიის დიდი მცოდნე მ. ი. ბროსე ქართული მატიანიდან ჩვენს მიერ მოყვანილ სიტყვასთან დაკავშირებით შენიშნავს, რომ მას ვერ უპოვია «გრიგოლ თეოლოგის»⁴⁵ საქებარი სიტყვა. პროფესორ მარს ჩვენს მატიაზეში ამ ცნობის შეტანა გაუგებრობად მიაჩნია, უპირველეს ყოვლისა, იმათი მხრიდან, ვინაც პეტრეს ცხოვრება ქართულ მატიაზეში ჩართო. «საქმე ისაა, _ აგრძელებს ნ. მარი, _ რომ გრიგოლ დიდი თავის წიგნში «Diologorum»⁴⁶ რამდენიმე თანაგრძნობის სიტყვას ნამდვილად წერდა წმ. ბერ პეტრე იბერზე, რომელიც ევაზში მოღვაწეობდა და ერთი ილირიელი ბერის სიტყვების მიხედვით საუბრობს ხილვის შესახებ, რომლის დროსაც პეტრემ ჯოჯოხეთი ნახა. მაგრამ საგულვებელია, რომ ეს პეტრე იბერი წარმოშობით არა საქართველოდან, არამედ ესპანეთის იბერიიდანაა და ჩვენ განსაკუთრებული მიზეზი არა გვაქვს, ამ მოსაზრების ცთომილება დავიჟინოთ»⁴⁷.

ქართულ მატიაზეს ყურადღებით თუ ჩავუკვირდებით, შეუძლებელია ვერ შევნიშნოთ, რომ მასში 103-ე გვერდზე ჟამთააღმწერელს პეტრე იბერის ბიოგრაფიის მოკლედ თხრობისას ნეტარ პეტრეზე გრიგოლ დიდის მოსაზრება

მოჰყავს; აქ ინტერპელაციის ხერხით თხრობის თანმიმდევრობა როგორღაც წყდება, 104-ე გვერდიდან კი ისევ თავიდან იწყება, თორმეტი წლის უფლისწული მურვანოზი (პეტრე) როგორ გაგზავნეს ბიზანტიაში მძევლად და ა. შ. უდავოა, მემატიანეს ცნობები ორ ქართველ მოღვაწეზე ჰქონდა, რომლებსაც «პეტრე» ერქვათ და საქართველოს ფარგლებს გარეთ მოღვაწეობდნენ. მათგან ერთ-ერთზე, პალესტინელ მოღვაწე პეტრეზე მისი ცხოვრების დაწვრილებითი აღწერა ჰქონდა, ხოლო მეორეზე მხოლოდ გრიგოლ დიდის შესხმა, ანუ, უფრო სწორად, საქებარი აზრი ნეტარ პეტრე იბერზე. მწერალმა პეტრე მაიუმელის მზა ცხოვრებაში, რომელიც წინასწარ იყო შემოკლებული მატიანეში ჩასართავად, შეიტანა რომის პაპ გრიგოლ დიდის ცნობა ნეტარ მოღვაწე პეტრეს იბერზე. მწერალი ვარაუდობდა, რომ იგი ეხებოდა პირველ პეტრეს მაიუმის ეპისკოპოსს. პეტრე იბერის შესახებ ტექსტში ასეთი ჩანართის წყალობით თხრობა მართლაც არათანმიმდევრულია, რაც სხვათა შორის ზოგს საბაბს აძლევს ამტკიცოს, თითქოს ქართულ მატიანეში ცნობები გულმოდგინე შემოწმების გარეშე შეჰქონდათ. სინამდვილეში კი ჩვენი მატიანის უტყუარობა და კანონიკური მნიშვნელობა საერთოდ, და მასში გადმოცემულ ცნობათა ჭეშმარიტება ყოველდღე მტკიცდება, კერძოდ, ხელახლა გამოვლენილი მანუსკრიპტებით.

ჩვენი ვარაუდი იმის თაობაზე, რომ არსებობდა პეტრეს სახელის მატარებელი ორი მოღვაწე, რომლებიც სხვადასხვა დროში ცხოვრობდნენ და საქართველოს გარეთ სხვადასხვა ცენტრში მოღვაწეობდნენ, მხოლოდ მოსაზრებად და მეტ-ნაკლებად, სამარჩიელოდ დარჩებოდა, რომ, საბედნიეროდ, მცხეთის სვეტიცხოვლის ტაძრიდან ჩამოტანილ განცალკევებულ ხელნაწერთა შორის არ აღმოჩენილიყო ტექსტი, რომელმაც ამ ბინდით მოცულ საკითხებს, აქამდე ეჭვებს რომ იწვევდა, ახალი შუქი მოჰფინა: ქართველი სამღვდელოების ეპარქიის საეკლესიო მუზეუმის ხელნაწერებს შორის აღმოჩნდა ქართულად თარგმნილი ნაწყვეტი რომის პაპის წმ. გრიგოლ დიდის თხზულებისა «დიოლოლონი» (დიალოგები). რომელიც მუზეუმის კატალოგით 829 ნომრად ირიცხება. ეს ხელნაწერი მუყაოს სქელ ქაღალდზე⁴⁸ ნუსხური ასოებითაა დაწერილი და XI-XII საუკუნეებს განეკუთვნება. მიუხედავად იმისა, რომ «დიოლოლონის» ჯერჯერობით მხოლოდ ერთი, 13 ფურცლიანი რვეულია ნაპოვნი⁴⁹, მაინც ეს ნაწყვეტი მეტად მნიშვნელოვანია, რამეთუ რომის პაპის წმ. გრიგოლ დიდის თანამედროვე მოღვაწე ნეტარხსენებულ პეტრეზე ძვირფას და საყურადღებო ცნობებს შეიცავს. სწორედ იტალიაში მოღვაწე ამ პეტრე მეუდაბნოეზე წმ. გრიგოლ დიდს⁵⁰ თანაგრძნობით სავსე თვალსაზრისი აქვს გამოთქმული აღნიშნული ფრაგმენტის მე-5 გვერდზე. პეტრე ქართველთან წმ. გრიგოლ დიდს საუბარი ჰქონდა საიქიო ცხოვრების შესახებ, აქვე მოჰყავს თვით საუბარიც. აი, ამ ტექსტის ზუსტი ჩანაწერი: «პეტრემ თქვა: ურწმუნოების ყოველგვარი ეჭვი, რაც ჩემი უგუნურობის ბრალია, შენ მიერ ახსნილი იყო, წმიდა მეუფევ. ამჯერად უკვე შემდეგი რამ მაოცებს: ზოგიერთები გარდაიცვლებიან და თავიანთ სხეულს ისევ უბრუნდებიან. იქ იგებენ, რომ მათი მიყვანა ნაბრძანები არ ყოფილა. წმ. გრიგოლმა მიუგო: ეს საქმე, შვილო ჩემო, თუ ჩავუღრმავდებით და განვსჯით, ჩვენდამი ღვთის უდიდესი წყალობაა, რადგან იგი ამას ჩვენსავე საწვრთნელად სჩადის, რომ მათ (გაცოცხლებულებმა), რასაც იქ იხილავენ, ჩვენ მოგვიყვინენ; ამის შემდგომ კი ჩვენ საშინელი და მწარე სასჯელის შეგვეშინდებოდა. მაგრამ ყური მომაპყარ: იყო

ერთი მწირი, პეტრე ერქვა, ეროვნებით ქართველი; იგი ვინმე მოწესე ბერ ევასის დაუმეგობრდა და ორივენი დიდი მოღვაწენი იყვნენ. ეს პეტრე ბერ-მონაზვნური სიყვარულის ჩვეულებისამებრ ჩემს სავანეს ხშირად სტუმრობდა და თავისი განვლილი ცხოვრების შესახებ თავმდაბლად და გულწრფელად მიაშბო: «ქართლის ქვეყანაში ცხოვრებისას ოდესღაც ავად გავხდი და მოვკვდი (გარდავიცვალე) და საშინელებებმა (ემმაკებმა) ჯოჯოხეთში წამიყვანეს, სადაც წამების მრავალგვარი ადგილი ვიხილე და მათში ბევრი მეფე და მბრძანებელი იყო, რომელთაგან ზოგიერთები მაღლა თავდაყირა ეკიდნენ, ხოლო სხვები ყელამდე (ცეცხლში) იყვნენ დანთქმულნი; და მიმიყვანეს იქ, რათა შთავეგდეთ, მაგრამ ამ დროს დავინახე გასხვიოსნებული სახე ანგელოზისა (უფლისა), რომელმაც ჩემი შთაგდება შეაჩერა, მათი ხელიდან დამიხსნა, გამომიყვანა და მითხრა: წადი, კაცო, და ზნეკეთილად იცხოვრე, რათა აქ მოხვედრა მეორეჯერ არ მოგიწიოს. ეს ანგელოზი იქიდან გამომიძღვა და ჩემს სხეულს მაშინვე დავუბრუნდი; თითქოს სიზმრიდან გამოვერკვიე, იმ სენისაგან განვიკურნე, მივატოვე მშობლიური მხარე, უფლის მზრუნველობის მეოხებით, რომელსაც ცოდვილის სიკვდილი არ სურს, მოვედი აქ, მოვძებნე ეს ღვთის სათნო ბერი და მასთან ერთად დავსახლდი». ამ მამა პეტრემ იმდენი იღვაწა, ვფიქრობ, ამდენი ღვაწლი არავის არსად გაუწევია და ვერც გასწევს. უფალი თავისი მაღლით ადამიანთა ცხოვრებას აგრერიგად განაგებს, რამეთუ ადამიანს გული მკაცრი აქვს და უფალი მისი (ადამიანის) უკეთ მოქცევის გზას როგორც პოულობს, იმავე გზით გარდაქმნის და გამოიხსნის. დიდება მის დიდსულოვნებას, უზომო კაცთმოყვარეობასა და მოწყალებას».

წმ. გრიგოლ დიდის დიალოგები, რომელთა ნაწყვეტები ჩვენ მოვიყვანეთ, წმ. ექვთიმე ათონელის (მთაწმიდელი †1028) ბერძნულ თარგმანთა⁵¹ სიაშია შეტანილი და ეს გარემოება ყოველგვარ გადაკეთებას ანდა ტექსტის დაზიანებას თავისთავად გამორიცხავს, ამასთან, თარგმანის სიზუსტის თავდებობასაც სწევს.

მოყვანილი გასაუბრებიდან პირველ ყოვლისა, ცხადდება, რომ ეს სახელგანთქმული მოღვაწე – პეტრე, პირადად მისივე და გრიგოლ დიდის მოწმობით, ქართველი, ქართლის პროვინციიდან იყო და, მეორეც, გრიგოლ დიდი ჯოჯოხეთის ხილვის შესახებ არა მარტო ილირიელი ბერის სიტყვებს იმეორებს, როგორც ამას პროფესორი მარი ამტკიცებს, არამედ იმ პირად საუბარსაც იმოწმებს, რომელიც რომის წმ. პავს VI საუკუნეში მოღვაწე წმ. ნეტარ პეტრე იბერთან ჰქონდა. პეტრე იბერი, პროფესორ მარის აზრით, ნამდვილად ესპანელი რომ ყოფილიყო, მაშინ გრიგოლ დიდის მისდამი მიმართული სიტყვები უადგილოც იქნებოდა: «როგორ ჩამოვიდა იგი ასეთი შორეული ქვეყნიდან», რადგან ესპანეთი, როგორც მეზობელი ქვეყანა, იტალიისათვის შორეულად არ ჩაითვლებოდა.

4. ანტონი – საკვირველი მთის მოღვაწე, სელევკიის ეპისკოპოსი.

სვიმონ მესვეტის (521-596) დედის, ნეტარი მართას «ცხოვრება» მოწმობს, რომ იბერიელები იერუსალიმში დიდ როლს ასრულებდნენ. საკვირველი მთის მოღვაწე წმ. სვიმონთან განსაკუთრებით მჭიდრო ურთიერთობა ჰქონდა ანტიოქიის ახლოს მოღვაწე ქართველ ხუცესს ანტონს, რომელიც თავისი წმიდა ცხოვრების წესის გამო ზეგარდმო მითითებისამებრ სელევკიის მღვდელმთავრის კათედრაზე დაინიშნა. ამ ანტონს წმ. სვიმონი, თავდადებისა და მისთვის საუფლო ქალაქიდან სიწმიდეთა ჩამოტანის გამო, რომელთა შორის ცხოველმყოფელი ჯვრის ნაწილებიც იყო, განსაკუთრებული კეთილგანწყობით ეპყრობოდა. «ცხოვრება» შემდეგ ყურადსაღებ ცნობას გვაწვდის ანტონის იერუსალიმში ყოფნის შესახებ: იერუსალიმში ყოფნისას

ანტონს ძილში ანგელოზი გამოეცხადა, რომელმაც უბრძანა საჩქაროდ ამდგარიყო, აღდგომის ტაძრის წალკოტიდან ვაზის ლერწი მოეწყვიტა და საკვირველ მთაზე ღვთის მონა სვიმონთან მისულიყო. ანტონმა მაშინვე გამოიღვიძა და ხილვის ჭეშმარიტებაში ნამდვილად რომ დარწმუნებულიყო, ეკლესიაში შევიდა, წმ. სახარება გადაშალა და შემდეგი ადგილი შეხვდა: «აღდექით და წარვიდეთ ამიერ. მე ვარ ვენახი ჭეშმარიტი, და თქვენ რტონი, რომელი დაადგრეს ჩემ თანა, და მე მის თანა, ამან მოიღოს ნაყოფი მრავალი და კეთილი» (იოანეს სახ. XIV, 31, XV, 1,5). ამ სიტყვებით გაოცებული ანტონი სხვა ეკლესიაში მივიდა, გადაშალა სახარება⁵² და შემდეგი სიტყვები წაიკითხა: «რომელსა ჰრწმენეს ჩემი, საქმესა რომელსა მე ვიქმ, მანცა ქმნეს და უფროისლა ამისსა ქმნეს». (იოანეს სახ. XIV, 12). მაშინ ანტონმა ისეთი შიში იგრძნო, სხეულის ყოველი ნაკვთი აუცახცახდა. მან აღდგომის წალკოტში ვაზის ლერწი მოწყვიტა და საკვირველი მთისკენ გაემართა. წმ. სვიმონი ამ მოღვაწეს ასე აფასებს: «აი კაცი ესე, ცხოველმყოფელი ჯვარის მსახური, მასზე მიმითითა მე ღმერთმა და თქვენი მოსვლის ჟამს მოავლინა იგი (ეს დეპუტაცია წმ. სვიმონს ეახლა, რათა მათთვის დაქვრივებულ სელევკიის კათედრის კანდიდატზე მიეთითებინა), რამეთუ იგი ღირსია და ევალება საკუთარი ხელით გადმოგვცეს უფლის მიერ ჩვენთვის ბოძებული ძალა (ჯვრის ნაწილი)⁵³.

5. წმ. იოანე მოსხი († 619 წ.). იერუსალიმსა და იორდანის უდაბნოში მოღვაწე იოანე მოსხი (მესხი), (VI-VII სს) წარმოშობით ქართველი, ზემო ქართლიდან იყო. მისი ნათესავები, მოსხები ანუ მესხები მდ. მტკვრის სათავეებთან მოსახლეობდნენ⁵⁴. იოანე მოსხი ბევრს მოგზაურობდა ეგვიპტის, პალესტინის, სირიისა და იტალიის სავანეებში; შეიძინა დიდი ცოდნა ღვთისმეტყველებასა და ასკეტიკაში. იოანე მოსხის თხზულებათა კრებული კეთილმსახურ ადამიანებსა და მოღვაწეებზე ქართულ მწიგნობრობაში «გვირგვინის» სახელწოდებითაა ცნობილი. პალესტინელ მამათა ცხოვრების, ანუ პატერიკის სრული ნუსხის უქონლობის გამო იოანე მოსხის აღნიშნული ნაშრომი ამ დანაკლისს ავსებს. «გვირგვინში» ძვირფასი ცნობებია მოყვანილი VI საუკუნის დასასრულამდე პალესტინურ ბერობასა და მონასტრებზე. ის მიაჩნიათ ავტორად დიდაქტიკური თხზულებისა «სიბრძნე ბალაჰვარისა», რომელიც შემდგომ ყველა ენაზე ითარგმნა და ყველა გატაცებით კითხულობდა⁵⁵.

6. ბიზანტიელი პატრიარქი გერმანე III. (XIII ს.) წარმოშობით ქართველი (ლაზი), შავი მთის გამოჩენილი მოღვაწე. პატრიარქ არსენის გადაყენების შემდგომ «მღვდელმთავრებმა, _ ისტორიკოს გ.პახიმერის მოწმობით, _ როგორც კი სრული თავისუფლება ებოძათ, გადაწყვიტეს აერჩიათ ის, ვინც მათ ეკლესიაში უდიდეს მოვლენათა წარმმართველად მიაჩნდათ. წმიდა ვლადიმერის დიად ტაძარში შეიკრიბნენ და ყველას არჩევანი ერთხმად აღრიანოპოლის ეპისკოპოს გერმანეზე, თავისუფალი ნების კაცზე შეჩერდა, რომელიც მღვდელმსახურების ბრწყინვალედ ჩატარებით იყო გამორჩეული და, ამას გარდა, თავიდანვე მეფის კეთილგანწყობით სარგებლობდა. იგი ნამდვილად გამოჩენილი ადამიანი და უაღრესად მაღალი რანგის სწავლული იყო. მისთვის ნაცნობი იყო ყველაფერი ამაღლებული და მშვენიერი, რაც არამარტო სათნოებისათვის, არამედ ნებისმიერი საქმის გასამძღოლად იქნებოდა სასარგებლო. იგი ქებას არ იშურებდა მათ მიმართ, ვინც დაუზარებლად, კრძალვით მსახურებდა სიკეთეს. უდაბნოში მოღვაწეობას ადამიანთა შორის ყოფნას არჩევდა... უბრალოდ იმოსებოდა, არა ისე, როგორც

ახლანდელნი იკაზმებიან... ყველაზე მეტად სძულდა ოქრო. ქისაც კი არ ჰქონდა. ნეტარხსენებულთათვის გერმანემ ეკლესიურ ტიპიკონში ბევრი რამ პირვანდელი სახით აღადგინა, რაც დროთა დინებითა და უთაურობით იყო გამორჩენილი»⁵⁶. მისი, როგორც განსწავლული მღვდელმთავრის უმნიშვნელოვანესი გადაწყვეტილება იყო ის, რომ განათლების დონის ასამაღლებლად სასწავლო საქმის სათავეში ნიჭიერი და დიდი განათლებით სახელგანთქმული, შერისხული ოლოვოლი ჩააყენა. უჭუმანურეს და უგანათლებულეს გერმანეს, სხვათა შორის, იმაში ადანაშაულებდნენ, რომ დასავლეთისა და აღმოსავლეთის ეკლესიების გაერთიანებას ცდილობდა. გერმანემ პატრიარქის ტახტი საკუთარი სურვილით დატოვა.

7. ილარიონი. საქართველოსა და ქრისტიანულ აღმოსავლეთში ღვთივსახელმობხვეჭილი დიდი სასწაულმოქმედი ილარიონ ქართველი IX საუკუნეში (829-882 წწ.) ცხოვრობდა და მოღვაწეობდა. იგი დონაურის – წარჩინებული გვარის წარმომადგენელი იყო. ქრისტეს ეკლესიის ამ შუქმფინარმა მნათობმა თავისი დიდად ღვაწლმოსილი ცხოვრება თესალონიკში დაასრულა. ბასილი მაკედონელმა (867-886) კონსტანტინოპოლის პატრიარქის, სოლუნის მწყემსმთავრისა და ოლიმპოს (ულუმბოს) სავანეთა წინამძღვრისაგან ილარიონის წმიდა ცხოვრებისა და სასწაულმოქმედებათა შესახებ როგორც კი შეიტყო, ინება გაეგო, იყო თუ არა ვინმე ცოცხალთა შორის წმიდანის მოწაფეთაგან. მას მოახსენეს, რომ ნეტარხსენებული ილარიონის გარდაცვალების შემდეგ მისი სამი ქართველი მოწაფე ცოცხალია, რომლებიც ისეთსავე ანგელოზებრივ ცხოვრებას ეწევიან, როგორსაც მათი დიდი მოძღვარი ბერი ეწეოდა. «ჭემმარიტად, ისინი (ქართველები) სულიერი საუნჯეებია, – დაუმოწმა პატრიარქმა ფოტიმ, – რომელთაც მწიკვლი არ შეეხება». როცა ეს ბერები ბრძანებისამებრ იმპერატორის წინაშე წარსდგნენ, იმპერატორმა ისინი ზეციური ანგელოზებივით მიიღო და დედაქალაქში დარჩენა სთხოვა, შეჰპირდა, რომელ სავანესაც ისურვებდნენ, იმ სავანეს გადასცემდა, ანდა სამეფო სასახლის ახლოს მათთვის სასწრაფოდ სენაკებს ააშენებინებდა. მაგრამ ბერებმა ქალაქის ხმაურს თავი მოარიდეს, რომანიის ხეობაში უდაბური ადგილი აირჩიეს, სადაც იმპერატორმა მათთვის ქართული მონასტერი ააშენა და გულუხვი შესაწირავებით უზრუნველყო. აქვე, ამ ახალ სავანეში, იმპერატორმა თავისთვისაც მოაწყო სენაკი, მასში საწოლი საბან-საგებლითურთ, თაროები წიგნებითურთ დადგა და თქვა: «ამ ღირსეულ მამათა სიახლოვეს ეს ჩემს ადგილსამყოფელად იყოს, რომ მათი ლოცვებით უფალმა მრავალი ცოდვისგან ჩემი გათავისუფლება ინებოს».

ილარიონ ქართველის წმიდა ნაწილები იმპერატორის ბრძანებით საზეიმოდ თესალონიკიდან კონსტანტინოპოლში, ხოლო იქიდან გვირგვინოსნისა და პატრიარქ ფოტის (855-897) თანხლებით რომანიის ხეობის ახლად აშენებულ მონასტერში გადაასვენეს. ილარიონი ქართული და ბერძნული ეკლესიის მიერ წმიდანადაა შერაცხილი და ეს ღმერთშემოსილი კაცი 19 ნოემბერს, მისი გარდაცვალების დღეს მოიხსენიება. იმპერატორი ბასილი წმ. ილარიონის მოწაფეებს დიდ პატივს სცემდა. ერთხელ იმპერატორმა და პატრიარქმა მათ იმპერატორის ვაჟიშვილები ლეონი და ალექსანდრე მიუყვანეს. ბასილმა ილარიონის მოწაფეებს უთხრა: «წმიდა მამებო, ილოცეთ მათთვის და ასწავლეთ მათ თქვენი ენა და წიგნი, რათა ისინი თქვენი ლოცვების თანაზიარნი გახდნენ». იმპერატორ ბასილის ბრძანებით წმ. ილარიონ სასწაულმოქმედის ცხოვრება

ბერძნულ ენაზე ბერმა ბასილმა დაწერა, ბერძნული ენიდან ქართულად თეოფანე ხუცესმა, ხოლო შემდეგ წმ. ექვთიმე ათონელმა (†1028 წ.), ივერიის მონასტრის წინამძღვარმა⁵⁷ თარგმნა.

8. მიქაელ ხუცესი და სვინგელოზი (IX ს.). სვიმონ მესვეტის ქართული მონასტრის ყოვლადგანათლებული ბერი, პოლიგლოტი. მიქაელი იერუსალიმის პატრიარქის, თომა I-ის თანამედროვე იყო და ცნობილია, როგორც წმ. იოანე დამასკელის (673_777) ცხოვრების აღმწერი, რომელმაც დამასკოდან წასვლის შემდგომ თავისი ცხოვრების დღეები წმ. საბა განწმედილის სავანეში ბერულ მოღვაწეობას მიუძღვნა. მსოფლიო ეკლესიის ამ უდიდესი მნათობის ცხოვრება არაბულ ენაზე მიქაელ სვინგელოზმა აღწერა, ხოლო არაბულიდან ბერძნულ ენაზე ადანის მიტროპოლიტმა სამუელმა თარგმნა. მიქაელ სვინგელოზს ქართულიდან ბერძნულ ენაზე⁵⁸ ხორანის ეპისკოპოსის, თეოდორეს პოლემიკური თხზულების «აბუკურას» თარგმნას მიაწერენ. იგი სომხეთში პავლიკიანების⁵⁹, ერეტიკოსების* მოქცევას ცდილობდა. ბერძენთა იმპერატორ ლევ სომეხს პირადად ემუდარებოდა მართლმადიდებელთა დევნისაგან თავი შეეკავებინა და წმიდა რწმენის გამო IX საუკუნის პირველი ნახევრის ბოლოს, დაახლოებით 845 წელს, ცოდვათა მონანიე და წამებული თვითონ გახდა. მან მთავარანგელოზებსა და ანგელოზებს და წმ. დიონისე არეოპაგელს ქება შეასხა⁶⁰.

9. გამოჩენილი ისიხასტი საბა ქალდი.⁶¹ ისიხასტები პირველად ეგვიპტეში გამოჩნდნენ, მაგრამ ისინი VII_IX საუკუნეებში ათონშიც მრავლად იყვნენ. უკანასკნელთა შორის (ანუ ათონელ ისიხასტთაგან) გამოირჩეოდა სახელგანთქმული საბა ქალდი, რომლის საცხოვრებელი ადგილი _ მაგულა მდუმარეთა _ ისიხასტების ანუ გესიხასტების ცენტრად და ბუდედ იქცა. აქ განმტკიცდა და, სხვათა შორის, ბერებში აქედან გავრცელდა მისტიკური სწავლება მარადიული და ხელთუქმნელი ღვთიური ნათების არსებობის შესახებ, რომელიც ოდესღაც თაბორის მთაზე ქრისტეს ფერისცვალებისას გაცხადდა, და ისიხასტები მას თავიანთი მშვიდი, მჭვრეტელური ცხოვრების ჯილდოდ აღიქვამდნენ. საბა ქალდი IX საუკუნეში ათოს ქართული მონასტრის ახლოს მოღვაწეობდა. ბერძნულ ენაზე შემონახულია ცნობები მის მკაცრ, ასკეტურ გმირობებზე: მოთმინებაზე, თავმდაბლობაზე, უწყინარობაზე, ხორცის (სხეულის) დათრგუნვაზე, თავშეკავებაზე, სხეულისა და სულის სიწმიდეზე. ეს საბა ქალდი, როგორც ფილოთევის მონასტრის 1087 წლის მატიანიდან ირკვევა, «იმ ძველ უნეტარეს ასკეტ მამათა პირველი წინამძღოლი იყო, რომლებიც წმიდა მთაზე, ტყიან ადგილებსა და კლდის ნაპრალებში სახლდებოდნენ და რომლებმაც მასთან თანამოაზრეობით, მდუმარებითა და უარყოფით აღსავსე ასკეტური ცხოვრება ირჩიეს, რომ მხოლოდ ღმერთთან ესაუბრათ, გონებისთვის ძალა დაეტანებინათ და შეძლებისამებრ ანგელოზებს მიმსგავსებოდნენ. თავიდან მათი რიცხვი მცირე იყო. როცა ღვთის შეწევნით წმიდა მთაზე ბერების რიცხვმა იმატა და მათი თავშესაფრები სამმო სავანეებად გადაკეთდა (963_980). ქალდის დაყუდებულნიც გამრავლდნენ. მათ საზრდელს კასპაკის, აცი _ იოანეს, კალინიკუსა და სხვა მცირე მონასტერთა ღვთისმოყვარე ბერები და წინამძღვრები აწვდიდნენ⁶².

დაყუდებულთ იმპერატორი ბასილი მაკედონელი მფარველობდა, რომელმაც მათ სიგელი უბოძა (872 წ.), რაც მათ შევიწროებისაგან იცავდა, განსაკუთრებით

მეზობელი სოფლების მცხოვრებთაგან⁶³. როცა ათონზე (961 წ.) გვირგვინოსნების, ნიკიფორე ფოკასა და იოანე ციმისხიას და მათ მიერ პატივდებული ათანასე ათონელის ინიციატივით სამონასტრო ცხოვრების განახლება დაიწყო, და განკერძოებულობის მაგივრად თანაცხოვრების გარკვეული კანონი იქნა შემოღებული, ისიხასტებმა ეს თავიანთი უფლებების შეზღუდვად (ხელყოფად) მიიჩნიეს და ათანასეს, როგორც ათონზე ბერთა ერთად ცხოვრების წესის შემომტანისა და მთავარი სულისჩამდგმელის წინააღმდეგ აღსდგნენ. 971 წელს იმპერატორ იოანე ციმისხიას წესდების შედეგად ყველა ათონელი, ისიხასტი და მონასტერთა მკვიდრი დამშვიდდა.

10. წმ. გიორგი ნიკომიდიელი. იგი თავდაპირველად საბა განწმედილის ლავრაში მოღვაწეობდა. მალე სახელი გაითქვა, როგორც ღვთისმეტყველმა და კანონშემოქმედმა. წმიდა ცხოვრების წესისა და ღრმა ქრისტიანული განმანათლებლობის გამო იგი ნიკომიდიის სამღვდელმთავრო კათედრაზე იქნა აღყვანილი, ხოლო მანამდე კონსტანტინოპოლის სოფიის დიდი ტაძრის ხარტოფილაქსი და რიტორი გახლდათ. IX საუკუნის მეორე ნახევარში ცხოვრობდა; იყო პატრიარქ ფოტის (855_897) თანამედროვე და მეგობარი. ცნობილია, როგორც გამოჩენილი რიტორი და საგალობელთა ავტორი. 897 წელს მონაწილეობდა კონსტანტინოპოლის საეკლესიო კრებაში, რომელმაც ფოტი საპატრიარქო ტახტზე მეორეჯერ აიყვანა. X_XI საუკუნეთა ერთი ქართული პერგამენტის სამარხო ტრიადის ტიპიკონურ ცნობებში ვკითხულობთ: «ღამის ღვთისმსახურებისას წაიკითხეთ წმ. ათანასე დიდის ან გიორგი ნიკომიდიელის _ ქართველის საგალობელი დიდ ხუთშაბათს, მაცხოვრის ვნებასთან დაკავშირებით». ამ ქართველი მოღვაწის მეტად ამაღელვებელი ქადაგებები ჯვარცმისა და ტაძრად მიყვანების შესახებ ჩვენს ძველ მწერლობაში ძალიანაა გავრცელებული⁶⁴. მის მიერ დაწერილი ტაძრად მიყვანების საგალობელი დღევანდლამდეა შემონახული. ჩვენამდე ბერძნულ ენაზე გიორგი ნიკომიდიელის ოთხმა სიტყვამ მოაღწია: 1. ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის მუცლადღების შესახებ; 2. ანას მუცლადღების შესახებ; 3. ღვთისმშობლის შობის შესახებ; 4. ღვთისმშობლისთვის ტაძრად მიყვანების დღესასწაულზე ხოტბის შესხმა. ბერძნულმა ეკლესიამ იგი წმიდანთა დასში ჩარიცხა და მისი ხსენების დღე 29 დეკემბერს აღინიშნება⁶⁵.

11. ღირსი იოანე იბერი (მთაწმიდელი). ღირსი იოანე ზემო ქართლის სამეფო ქალაქის _ არტანუჯის წარჩინებულთა გვარს მიეკუთვნებოდა. მან დავით კურაპალატის მეფობის ხანაში საბრძოლო გამირობებითა და სიმამაცით სახელი გაითქვა. იოანემ დათმო საერო დიდება და ცხოვრება, სულიერ მამათა ლოცვა-კურთხევით ოლიმპოზე გაემგზავრა და ერთ-ერთ სავანეში მონასტრის სახედრების მეთვალყურედ დადგა. აქ შეიტყო, რომ ზემო ქართლიდან კონსტანტინოპოლში მისი შვილი ექვთიმე, ცოლისძმა და ზოგიერთი წარჩინებული თანამემამულე მძევლად იყვნენ გაგზავნილნი. ღირსი იოანე კონსტანტინოპოლს გაემგზავრა, შვილის მისთვის გადაცემა ითხოვა და მასთან ერთად ოლიმპოზე დაბრუნდა, მაგრამ ამაო დიდების უარმყოფელმა ოლიმპო მალე დატოვა, თან ექვთიმე და თავისი რამდენიმე აღზრდილი წაიყვანა და ათონის წმ. მთისკენ გაემართან⁶⁶, სადაც მეგობრისა და ნათესავის, ათანასეს სავანეში (ათანასე დედის მხრიდან ტრაპიზონელი ქართველი იყო, ლაზთა ქვეყნის შვილი,) სიხარულით მიიღეს. იგი თავის შვილს, ექვთიმეს მთარგმნელობითი მოღვაწეობისათვის ამზადებდა და

პირველ ხანებში მასთან ერთად იღვწოდა კიდეც. ათანასეს სავანეში ქართველთა მომრავლების გამო ღირსმა იოანემ და თორნიკემ წმ. ათანასესთან ბჭობის შემდეგ სავანიდან არცთუ ისე შორს, ზღვის პირას ადგილი იყიდეს და იოანე ნათლისმცემლის სახელზე ეკლესია და სენაკები ააგეს. ასე და ამგვარად, 980 წელს ივერიის მონასტერს საფუძველი ჩაუყარეს. ათანასეს სავანიდან აქ ქართველი მოღვაწეები გადასახლდნენ და წინამძღვრად თვით ღირსი იოანე აირჩიეს. ასე დაარსდა სახელგანთქმული ივერიის მონასტერი (985 წ.), რომელსაც თავისი საღვთისმეტყველო სკოლით უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა არა მარტო ქართველთათვის, არამედ ყველა ეროვნების ათონელთათვის, განსაკუთრებით კი სლავ და რომაელ მოწესეთათვის. წმ. ათანასე თავის ჩანაწერებში იოანე ივერს მისი სავანისა და მთელი ათონის ქრისტეს სამძოს საკეთილდღეოდ უდიდესი გარჯის გამო ჯეროვან პატივს მიაგებდა და თავისი ლავრის მზრუნველად დანიშნა.

«უმორჩილესი ბერი იოანე, – წერს მის შესახებ წმ. ათანასე, – როგორც კი ჩვენს მთაზე ჩამობრძანდა, ჩემთან, ცოდვილთან და მდაბალთან დასახლდა და ჩემს სიმდაბლეს დაემორჩილა, ღმერთის მცნებათა გათვალისწინებით თავი სხვადასხვა სულიერი ღვაწლით გამოიჩინა. იმის გამო, რომ მოწესეობის ჟამს იგი სულით სათნო და სპეტაკი იყო, მრავალი ურთულესი მორჩილება აღასრულა, რითაც არა მარტო ღმერთს, ჩემს უმდაბლესობასაც ემსახურებოდა. ამით ჩვენს ქრისტეს სამძოსაც ისე დიდი წარმატება მოუტანა, როგორც არავინ, ვინც როგორც ახლანდელ, ასევე ძველ დროში გაბრწყინდნენ. ამ მამამ სასახლეში ხშირი მიმოსვლითა და შუამდგომლობათა აღძვრით იმდენი იღვაწა, დაწყებული ნიკიფორე ფოკადან ვიდრე ამჟამინდელამდე, რომ მეფე კირ იოანემ ჩვენი სავანისათვის წყალობის სიგელი უბოძა, რომლის მიხედვითაც, ლიმნოსის შემოსავლიდან 244 მონეტას დღევანდელამდე ყოველწლიურად ვიღებთ, ხოლო მეფე კირ ბასილმა მას მეორე წყალობის სიგელით კუნძულ ნეონის მფლობელობა უბოძა, მან კი ეს სიგელი კუნძულთან ერთად ჩვენს სავანეს საჩუქრად გადმოსცა»⁶⁷. «ჩემს შემდეგ, – წერს თავის ანდერძში წმ. ათანასე, – სავანის მზრუნველად უფალ იოანე ივერს ვტოვებ, რომელიც მრავალ წელს უდიდესი მორჩილებით მემსახურა, ხოლო მის შემდეგ, მის ვაჟიშვილს ექვთიმეს... იოანე ივერის სავანესა და მის სამძოს ვუანდერძებ, ჰქონდეთ ისეთივე სულიერი სიყვარული, როგორიც მაქვს მე».⁶⁸

იოანემ მონასტერს ტიპიკონი რომ დაუწესა, წინამძღვრობა თავის შვილს, ექვთიმეს მიანდო, ხოლო მას თავის შემდგომ წინამძღვრობა ანდერძით გრიგოლისთვის უნდა გადაეცა, ვინც ახალი აბრაამის სახელით იყო ცნობილი. იოანე 988 წელს მშვიდობით აღესრულა. მას ღმერთმა სასწაულმოქმედის სახელი მოუხვეჭა. საქართველოს ეკლესიამ კი XI საუკუნის შუახანებში წმიდათა დასში ჩარიცხა და მისი ხსენების დღედ 12 ივლისი დააწესა⁶⁹.

12. წმიდა თორნიკე, ბერობაში იოანე. სახელგანთქმული სარდალი და სტრატეგი ერისთავი თორნიკე⁷⁰ სულა ჩორდვანელის⁷¹ შვილი და ღირსი იოანე ივერის ცოლისძმა იყო. მან იოანეს მსგავსად დატოვა საერო პატივი და ბერ-მონაზვნურ წესს შეუდგა. იცოდა, რომ ნეტარი იოანე ულუმბოზე მოღვაწეობდა და მის სამებრად გაემართა, მაგრამ როცა შეიტყო, იგი ათონზე იმყოფებოდა, წმიდა მთას მიაშურა. წმ. ათანასეს სავანეში მოყვრები სიხარულით შეხვდნენ ერთმანეთს. იმ ხანად, ბიზანტიის აღმოსავლეთის პროვინციების მმართველი – ბარდა

სკლიაროსი იმპერატორის ოჯახის წინააღმდეგ გამოვიდა. თორნიკეს ათონზე ყოფნა რომ შეიტყვეს, იმპერატორის ოჯახმა და სახელმწიფო მოხელეებმა მას დედაქალაქში ჩასვლა სთხოვეს. აქ დიდი პატივით მიიღეს და დაითანხმეს, თხოვნის წერილით ქართველთა მეფე დავით კურაპალატთან ჩასულიყო იმპერიისთვის შექმნილი საშიშროების გამო სამხედრო დახმარების აღმოსაჩენად. მიუხედავად IV მსოფლიო საეკლესიო კრების მკაცრი დადგენილებისა, რომლითაც ბერ-მონაზონთა სამხედრო ან საერო სამსახური⁷² იკრძალებოდა, აჯანყებული ბარდა სკლიაროსისაგან იმპერიის დასაცავად, წმ. მთის მამების ლოცვა-კურთხევით, დავით კურაპალატის 12 000-იან რჩეულ ლაშქარს სათავეში ჩაუდგა და ბიზანტიის გადასარჩენად გაემართა. მაშინდელ უცხოელ ისტორიკოსთა ერთხმად მოწმობით,⁷³ თორნიკე ამბოხებულებს ამარცხებს, სპარსეთის საზღვრამდე დევნის და, ამგვარად, მართლმადიდებლურ იმპერიაში მშვიდობას ამყარებს. ქართველები შინ სახელმთხოვეჭილები, უზარმაზარი ნადავლით დაბრუნდნენ. დავით კურაპალატისა და ბიზანტიის კეისრის სახლის მიერ უხვად დასაჩუქრებულმა თორნიკემ საომარი საჭურველი აიყარა, უბრალო ბერის ანაფორით შეიმოსა და ათანასეს სავანის ვიწრო სენაკში კვლავ თავის შეწყვეტილ ბერ-მონაზვნურ მოღვაწეობას შეუდგა. თავისი სიმდიდრე იოანესთან ერთად ივერთა სავანის დაარსებისათვის გამოიყენა და იქვე ჰპოვა განსასვენებელი ადგილი⁷⁴.

13. ღირსი გაბრიელ ხატმომრქმელი. ღირსმა გაბრიელმა (X-XI სს.) ივერია დატოვა და გაემგზავრა ათონზე, რომლის სახელი უკვე მეუდაბნოეთა წმიდა მოღვაწეობით, ეკლესიური და ბერ-მონაზვნური მოწესეობის, სულიერ-ასკეტური ცხოვრების სიმკაცრით შორს იყო განთქმული. ათონზე მან სათნო და უბიწო ცხოვრების გამო ყურადღება მალე მიიპყრო. ქვემოთ მოყვანილმა შემთხვევამ კი სახელი მალე გაუთქვა: ერთხელ, საღამოს, ათონის მეუდაბნოეებმა ზღვაზე ცეცხლოვანი ნათლის სვეტი იხილეს, მაგრამ ვერ ხვდებოდნენ, რას ნიშნავდა ეს ხილვა. შეშინებულნი ლოცულობდნენ. ახლომდებარე მონასტრებიდან სხვადასხვა ეროვნების მეუდაბნოენი და მხცოვანი ბერები შეიკრიბნენ და ზღვას მიუახლოვდნენ. დაინახეს, რომ ზეციური ნათელი ღვთისმშობლის ხატს ადგა, მაგრამ ბერების მიახლოებისთანავე ხატი ნაპირს შორდებოდა. ივერიელმა ბერებმა განსაკუთრებით გააძლიერეს ლოცვა და თვალცრემლიანნი შესთხოვდნენ ღმერთს, სასწაულებრივად მოვლენილი ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის ხატი მათთვის ებოძებინა. ათოს მთას იქ გაბრიელის დამკვიდრების შემდგომ გაბრიელის მთას ეძახდნენ. ამ მთაზე განმარტოებით მცხოვრებ ბერს ძილში ღვთისმშობელი გამოეცხადა და იწება ივერიის სავანის სამმოსთვის ეუწყებინა, რომ სურდა თავისი ხატი მათთვის შემწეობისა და ქომაგობის აღმოსაჩენად ებოძებინა. ბერს უბრძანა, უშიშრად შესულიყო ზღვაში, ზვირთებზე რწმენით გაევლო და ხატი მიეღო. გაბრიელმა თავისი ხილვის შესახებ სამმოს აუწყა. მეორე დილით წინამძღვარი და მთელი სამმო გალობით, ანთებული ლამპრებითა და საკმევლის კმევით ზღვის ნაპირზე ჩავიდნენ. წმიდა გაბრიელმა ზღვის ზედაპირზე დაუბრკოლებლად გაიარა. ცეცხლმნთებარე წმიდა ხატი წმ. გაბრიელს მიეახლა, მან იგი გულზე მიირქვა, ტალღებზე გაიარა და ნაპირზე გამოაბრძანა. ამის გამო წმ. გაბრიელი მკერდზე მისვენებული ხატით გამოისახება ხოლმე. ქართული სავანის სახელწოდების გამო ამ უდიდესმა სიწმიდემ ივერიის ღვთისმშობლის ხატის

(კარიბჭის, პორტაიტის) სახელი მიიღო და ამჟამად მთელ ქრისტიანულ სამყაროში ამ სახელითაა ცნობილი. წმ. გაბრიელის დიდებამ უწმიდესი პაპის ყურამდევ მიაღწია. მათ ერთმანეთის მიმართ დიდი ძმური სიყვარული ჰქონდათ⁷⁵. ქართულმა ეკლესიამ ღირსი გაბრიელი გარდაცვალებიდან მალე (XI ს-ის შუახანებში), თავის წმიდანთა დასში ჩარიცხა და მისი ხსენების დღედ 12 ივლისი დაადგინა⁷⁶.

14. კილიკიის ტარსას მიტროპოლიტი თეოფილე. მან განათლება ივერიის მონასტერში მიიღო (XI ს.), სადაც ბერად აღიკვეცა კიდევ. ცნობილია, როგორც თავისი დროის განსწავლული პიროვნება, საღვთისმეტყველო მეცნიერებათა ღრმა მცოდნე, კანონშემოქმედი და საღვთისმეტყველო თხზულებათა ბერძნულიდან ქართულ ენაზე გადმომღები. ყოველმხრივი განსწავლულობის გამო ანტიოქიის პატრიარქ თეოდოს III-ს (1057_1076) თავის საპატრიარქო ტახტთან დისპუტების წარმმართველად ჰყავდა. ხოლო ბერ-მონაზვნური ღვაწლისა და ბიზანტიური საღვთისმეტყველო მწიგნობრობის ღრმა ცოდნის გამო პავლე მოციქულის მშობლიურ ქალაქში მიტროპოლიტის ხარისხი მიიღო⁷⁷.

15. ექვთიმე აგიორიტი. მთაწმიდელის სახელით ცნობილი ივერთა მონასტრის წინამძღვარი. ექვთიმე თორმეტი წლიდან კონსტანტინოპოლში მძევლად მოხვდა. აქ იგი საერო მეცნიერებებში იწვრთნებოდა, მაგრამ სულიერი მოღვაწეობისადმი ლტოლვამ ღვთის წმიდა სავანეში მიიყვანა. ღირსმა იოანემ (მამამისმა) , როგორც ზემოთ იყო ნათქვამი, ბიზანტიის სამეფო კარს სთხოვა, მისი შვილი ოლიმპოს მთაზე მასთან ერთად გაეშვათ. ნებართვა მიიღო და იგი შვილთან ერთად სიხარულით გაემართა ოლიმპოზე, მაგრამ იმის გამო, რომ ექვთიმე მეტად ახალგაზრდა იყო, მამამ იგი ისევ კონსტანტინოპოლში დააბრუნა. ექვთიმე ცხრა წლის განმავლობაში ცოდნას იღრმავებდა და ძირფესვიანად დაეუფლა ბერძნულ, ქართულ და ლათინურ ენებს. ბიზანტიური საღვთისმეტყველო ლიტერატურა სრულად აითვისა და თავისი ღრმა და მრავალმხრივი ცოდნით ბერძენ და ქართველ იერარქთა და გვირგვინოსანთა ყურადღება მიიპყრო. ათონის ივერთა სავანეში თავისი მამის, ღირსი იოანეს მეთვალყურეობით ბერძნულიდან ქართულ ენაზე წმიდა ღვთისმსახურებითი წიგნებისა და წმიდა მამების თხზულებათა თარგმნას შეუდგა. პირველ თარგმანებს ისინი ერთად ასრულებდნენ. ბერძნულიდან თავისი მრავალრიცხოვანი (დაახლოებით 60 დასახელების) მაღალმხატვრული თარგმანით გაამდიდრა და დაამშვენა მშობლიური ენა და ამით ქართული სიტყვიერების საღაროში უდიდესი წვლილი შეიტანა.

ღირსმა ექვთიმემ ქართულიდან ბერძნულ ენაზე თარგმნა «სიბრძნე ბალაჰვარისი». მისი დამსახურებაა, რომ ქართული სამომღვრებო-დამრიგებლური თხზულება ბალაჰვარსა და უფლისწულ იოდასაფზე მთელი ქრისტიანული სამყაროსთვის გახდა ცნობილი. იგი ყველა ევროპულ ენაზე, მათ შორის სლავურზეც ითარგმნა. «ამბავი ბალაჰვარსა და უფლისწულ იოდასაფზე», მთლიანად დაფუძნებული მეუდაბნოეთა იდეალიზაციაზე, გ. იკონნიკოვის მოწმობით, ძველ რუსეთში ისეთი პოპულარობით სარგებლობდა, რომ ხალხურ პოეზიაშიც კი აირეკლა ლექსებით იოდასაფ უფლისწულსა და უდაბნოს ქებაზე⁷⁸. ექვთიმე ათონისთვის იმპერატორის კარის წინაშე შუაგაცის როლს ასრულებდა. ივერთა სავანეში მთელი თავისი წინამძღვრობის განმავლობაში (1006_1023) და დანარჩენ ხუთ წელსაც ათონელთა კეთილდღეობისთვის იღვწოდა. ბერძნული

«ცხოვრების» გადმოცემათა მიხედვით ექვთიმე «ათონის სხვადასხვა ადგილში წმიდა ტაძრებს, ქსენონებსა და მიხრწნილ ბერთათვის საცხოვრებლებს აშენებდა და მათ გამო შუამდგომლობდა სოლუნსა და კონსტანტინოპოლში. იგი ყველას უყვარდა, როგორც კეთილისმყოფელი მამა და მათი ბრძენი წინამძღოლი»⁷⁹. დიდად ღვაწლმოსილი ცხოვრების გამო ჯერ კიდევ სიცოცხლეში ღმერთმა მას სასწაულმოქმედების უნარი მიანიჭა. ნეტარად გარდაცვალების შემდეგ ბერძნული და ქართული ეკლესიების მიერ წმიდანადაა შერაცხილი. მისი ხსენების დღეა 13 მაისი⁸⁰.

16. გიორგი II მთაწმიდელი. XI საუკუნეში განსაკუთრებით სახელგანთქმული იყო ბიზანტიის იმპერიაში ფართო საღვთისმეტყველო განათლებით, ქართული, ბერძნული და ლათინური ენების ღრმა ცოდნით ივერიის მონასტრის წინამძღვარი, წმ. გიორგი მთაწმიდელი. ბიზანტიაში XI საუკუნის დასაწყისში შემოსული ულტრარიტუალური მიმართულების საწინააღმდეგოდ, რაც ეკლესიათა განყოფის შედეგად დამკვიდრდა, იღუმენი გიორგი თავის შეხედულებებში კონსპირაციულ-სპირიტუალურ მიმართულებას იცავდა.

ამ წმიდა ბერს ღვთისმეტყველური სახის საუბრის გამართვა იმდროინდელ იმპერატორ კონსტანტინე დუკასთან (1059_1067) , უმაღლეს მართლმადიდებელ იერარქთა, იმპერიის წარჩინებულთა და უცხო ქვეყნების ქრისტიანთა თანდასწრებით მოუხდა. ამ საუბარში მან ცხადად გამოხატა თავისი ჭეშმარიტად ქრისტიანული შეხედულებები, რომელთა შორის გამოირკვა, რომ აღმოსავლეთისა და დასავლეთის ეკლესიების წეს-ჩვეულებათა სხვაობის საკითხებში იმავე აზრისაა, რაზეც ცოტა ხნით ადრე პატრიარქი პეტრე იდგა. იმპერატორმა, სხვათა შორის, ღირს გიორგის ასეთი კითხვა დაუსვა: «მითხარი, რატომაა, რომ ჩვენ და თქვენ ზიარებას (წმ. საიდუმლოს) საფუარიანი პურითა და წყალშეზავებული ღვინით ვასრულებთ, ხოლო რომაელები ხმიადებით, წყალშეზავებულად, რას ნიშნავს საფუარიანი პური და წყლის შერევა მასთან?» პასუხად გიორგიმ მიუთითა, რომ საფუარიანი პურით უფლის სხეულის გასულიერება აღინიშნება, ხოლო ღვინოში წყლის გაზავება ქრისტეს განგმირული გვერდიდან სისხლისა და წყლის გადმოდინებას გვაგონებს. ლათინელთა შესახებ კი თქვა: «რომაელებმა როგორც კი ჭეშმარიტი უფალი ცნეს, არასოდეს განსდგომიან და როგორც უდიდესმა მოციქულმა პეტრემ უსისხლო კვეთა შეასრულა, ანდა უკეთ, როგორც თვით უფალმა საიდუმლო სერობისას თავისი მოწაფეები აზიარა, ასევე იქცევიან ისინიც; ჩვენ მათთან არავითარი წინააღმდეგობა არა გვაქვს, მთავარია, იყოს ჭეშმარიტი რწმენა».

შემდეგ იმპერატორმა სომხებზე ჰკითხა: «არიან თუ არა ისინი ქრისტიანებთან რაიმეთი დაკავშირებული?» ამაზე წმიდა მამამ მოკლედ უპასუხა: «ბოროტ აღმსარებლობას დაე ნურც ექნება სახელი». იმპერატორი სწავლული ბერის ღრმააზროვანი და ზუსტი პასუხებით მეტად კმაყოფილი დარჩა⁸¹.

გიორგი მთაწმიდელი ეკლესიაში წეს-ჩვეულების სიზუსტეს განსაკუთრებულ მნიშვნელობას არ ანიჭებდა, როგორც პატრიარქი ნიკოლოზი, ნიკიტა სტიფატი და მიქაელ კერულარი, მზად იყო შემწყნარებელი ყოფილიყო უცხო ეკლესიათა მიერ აღმოსავლეთის ეკლესიის წეს-ჩვეულებათაგან გადახვევებისათვის. წეს-ჩვეულებებზე უფრო ჭეშმარიტ-ქრისტიანულ, ნამდვილ-ქრისტიანულ განწყობილებასა და სულიერებას აფასებდა, ქრისტიანულ სიყვარულში

ერთიანობის გულისთვის მზად იყო იმ თავისებურებების მიმართ შემწყნარებლური ყოფილიყო, რაც სხვა ხალხთა ეკლესიებს ახასიათებდა, თუნდაც ეს თავისებურებები აშკარად თვალში საცემი ყოფილიყო. ის უფრო ღრმა და ჰუმანურ იდეებს ემხრობოდა, რაც სახელგანთქმული პატრიარქის, ფოტის მიერ 861 წლის საეკლესიო კრების შემდეგ პაპ ნიკოლოზისადმი გაგზავნილ მიმართვაში იყო გამოთქმული⁸².

ღირსი გიორგი მთაწმიდელი წმ. ექვთიმეს მთარგმნელობითი საქმიანობის ღირსეული გამგრძელებელი იყო. წმიდა-საღვთისმსახურო წიგნების, საღვთო წერილების განმარტებებისა და პატრისტიკის თხზულებათა მისეული მრავალრიცხოვანი თარგმანია ცნობილი. მისი შრომებიდან ჩვენამდე სხვათა შორის ლათინურიდან ბერძნულზე თარგმანმაც მოაღწია. ეპისკოპოს დოროთეოსის ცნობილი თხზულება «უფლის 70 მოწაფის შესახებ» გიორგი მთაწმიდელის მიერ ლათინურიდან ბერძნულ ენაზეა თარგმნილი⁸³.

შესანიშნავი თარგმანებით სახელმძღვანელო გიორგი მთაწმიდელი ასევე ცნობილია, როგორც სასულიერო პოეტი. ათონის წმ. მთას მან სახელი გაუთქვა თავისი მშვენიერი საგალობლებითაც, რომლებიც ყველა ევროპულ ენაზეა თარგმნილი. «ქართული პოეტური ნატურა ბერ-მონაზვნის ანაფორამაც კი ვერ დათრგუნა. კოზლოვის შესანიშნავი ლექსი «მწუხრის ზარები, მწუხრის ზარები...» რომელსაც ყველა აღფრთოვანებაში მოჰყავს, ჩვენი თანამემამულის პოეტური აღმაფრენის ნაყოფია. პროფ. ა. კალინოვსკის ცნობით გიორგი მთაწმიდელის პოეტური შემოქმედების ორიგინალური ნიმუშები გელათის მონასტრის წიგნსაცავებში ინახებოდა⁸⁴.

ელინური სიტყვიერების დოქტორს, ჩიგირინის ეპისკოპოსს, უგანათლებულეს პორფირის, როცა ექვთიმე მთაწმიდელის (უფრო სწორად, გიორგი მთაწმიდელის) ბიზანტიის იმპერატორ კონსტანტინე დუკასადმი მიძღვნილი წერილის ქართული თარგმანის თაობაზე ბერძნულად გალექსილი წერილი მოჰყავს, შემდეგ აზრს გამოთქვამს: «ნაკლები მნიშვნელობა აქვს ამ (სალექსო ფორმის) წერილის შინაარსს, რომელშიაც ათონელ მოღვაწე დუკას ჯანმრთელობას, წელთა სიმრავლესა და მტრებზე გამარჯვებას უსურვებდა და სთხოვდა მიმოწერის გაგრძელებას, და ათონის მთის მონასტრის სანახებში მუშაკობისას ავად გახდომის გამო შესჩიოდა; მთავარი ისაა, _ აგრძელებს პორფირი, _ რომ ექვთიმე (ანუ გიორგი) ელინურ ენას ისე ზედმიწევნით ფლობდა, რომ ამ ენაზე ლექსის თხზვაც ძალუძდა; მაშასადამე, ჩვენს თანამემამულე ქართველებს თავისუფლად შეუძლიათ ენდონ აღნიშნული ენიდან საღმრთო წერილის იმ თარგმანებს, რომლებიც მან ათონზე შეასრულა»⁸⁵. ქართული ეკლესია მას აქამდე უგალობს: «ორათეულ თანავარსკვლავედთა შორის მთიებივით მბრწყინავო, სამყაროს მანათობელო, ღმრთისმეტყველების სიბრძნევ, გიორგი»⁸⁶.

17. ეფრემ მცირე (XI ს.). გამოჩენილი ეგზეგეტი და მთარგმნელი ეფრემ მცირე ყოველმხრივი განსწავლულობითაა ცნობილი. ჩვენამდე მისმა მრავალმა პირადმა ჰომილეტიკურმა შრომამ და თარგმანმა მოაღწია, რომლებიც აზრის სიღრმით, კვლევის სისრულითა და სიცხადით გამოირჩევიან. დავასახელებთ ზოგიერთ მათგანს: ლავსაიკ ეფრემ სირინის⁸⁷ «თარგმანებაჲ დავითნისაჲ»⁸⁸, «ეკლესიის ზოგიერთ წმიდანთა ცხოვრების აღწერა»⁸⁹; «მაგისტრ სიმეონ ლოგოფეტზე და მის

შრომებზე აგიოლოგიაში»⁹⁰; «განმარტებანი მახარებლებზე»⁹¹; «თეოფილეს მატთანე»; «მწირ კასიანეს თქმულებები»⁹² და სხვა თარგმანები, სქოლიოები და აკროსტიქული თხზულებები⁹³. ეფრემმა შეასრულა იოანე დამასკელის თხზულების «გარდმოცემანი», ანუ «წყარო ცოდნისა და გარდმოცემა მართლმადიდებელთა სარწმუნოებისად»-ს თხრობის სიზუსტით შეუდარებელი თარგმანი, შემდგარი 150 თავის, კომენტარებისა და საუცხოო შესავალისაგან, რომელშიაც ამ ნაშრომს «ვრცელი წანამძღვარი» ეწოდება განსხვავებით მეორე «მოკლე წანამძღვარისაგან», რომელიც ექვთიმე მთაწმიდელის მიერაა თარგმნილი და თვითონ ითხოვს, იგი «ანასტასის წანამძღვარის» სახელწოდებით ცნობილ თხზულებაში არ აურიონ. ეფრემ მცირემ ასევე თარგმნა ფსევდო-დიონისე არეოპაგელის ხუთივე თხზულება და დაწერა ისტორიული ძიებანი ქართველთა ქრისტიანულ სარწმუნოებაზე მოქცევის შესახებ⁹⁴. ეფრემ მცირე ასევე ცნობილია, როგორც თავგამოდებული მისიონერი. ქართული წერილობითი ძეგლები გვიმოწმებენ, რომ მაღალყოვლადსამღვდელო ეფრემ მცირე აფხაზეთში მისიონერული მიზნით იმყოფებოდა და აფხაზთა შორის უზარმაზარი წარმატება ჰქონდა. მან საგანგებო თხზულება დაწერა აფხაზთა ქრისტიანად მოქცევის შესახებ⁹⁵.

18. ექვთიმე დიდი. (XI ს.) ექვთიმე, წოდებული დიდად, წარმოშობით ტრაპიზონელი ქართველია⁹⁶. იგი ავტორია ქართულ საღვთისმეტყველო მწერლობაში ცნობილი ეპისტოლესი «წმიდა, დიადი ქართველი მღვდელმონაზონისადმი», რომელშიაც განმარტავს მღვდელმონაზონ გიორგის მრავალ საღვთისმეტყველო საკითხს. ა). ორიგენეს, ევსევი პამფილოსის აპოკრიფული და ერეტიკული თხზულებების შესახებ; ანტიოქიის მოქცევის შესახებ, აბუკოროფის შესახებ, ადამის ცხოვრების, მახარებელთა ცხოვრების, მახარებელ ანდრიას ცხოვრების, წმ. გიორგის მოწამეობის, კონსტანტინეს მოწამეობრივი აღსასრულის შესახებ; ბ). მუხლთმოდრეკისა და მარხვების შესახებ; გ). უნებლიე ცოდვების შესახებ; დ). არა ყველას მიერ მართლმადიდებლად აღიარებული ეკლესიის მამების შესახებ; ე). ბერმონაზვნად აღკვეცის წესზე და ა. შ. სხვათა შორის, ექვთიმე დიდმა ბერძნული ენიდან თარგმნა ინსტრუქცია, რომლითაც ეპისკოპოსები სამღვდელოებს ხელდასხმისას მოძღვრავდნენ. ეს ინსტრუქცია ექვთიმე დიდმა ქართული ეკლესიისათვის გადაამუშავა და ახალი რედაქციითაა წარმოდგენილი⁹⁷. ამ ინსტრუქციით, სხვათა შორის, ნათლობა და ქორწინება იკრძალება ქართველებსა და სომხებს შორის, თუ უკანასკნელნი მართლმადიდებლობას არ აღიარებენ და დგინდება, როგორ უნდა მოიქცეს მართლმადიდებელი მღვდელი გარდაცვლილი სომეხი გრიგორიანელის გასვენებისა და წესის აგების დროს.

19. ექვთიმე-თორნიკე, ათენის მიტროპოლიტ მიქაელ აკომინატის თანამედროვე, პელეპონესის ქალაქ ნეოპატრაში XII საუკუნის დასასრულს მღვდელმთავრობდა. იგი ცნობილია, როგორც გამოჩენილი საეკლესიო ორატორი, რომლის ქადაგებებმაც ჩვენამდე მოაღწიეს. ნეოპატრელი მიტროპოლიტი ექვთიმე-თორნიკე იყო სასახლის კარის რიტორი, საზეიმო სიტყვებს წარმოთქვამდა თვითმპყრობელ კირ მანუელ I კომნენის (1143_1180) თანდასწრებით უფლის გამოცხადების დღეს, რომელიც ადამიანთა წმიდა ნათლისღების ხსოვნის ნიშნად

ნათლის დღესასწაულად იწოდება. «მათი კითხვისას, _ ამბობს უგანათლებულესი პორფირი და ძალაუნებურად ჰომეროსის კეთილზმოდან ლექსს იხსენებს: «მის ბაგეთაგან სიტყვები უტკბილეს თაფლად იღვრებოდა...» მიტროპოლიტ ექვთიმე-თორნიკეს ზოგიერთი სიტყვის ჩამონათვალი ეპისკოპოს პორფირესთანაა მოყვანილი⁹⁸.

ქალდეას გათხრებმა დაამტკიცეს⁹⁹, რომ მესოპოტამიაში ქრისტეს შობამდე 6_7 ათასი წლით ადრე ქართველთა წინაპრები, ქალდეველები ცხოვრობდნენ, რომლებმაც თავიანთი ეროვნული კულტურა გამოიმუშავეს და იგი მომდევნო ხალხების კულტურებისთვის მაგალითად და წყაროდ იქცა. მათ პირველებმა გამოიგონეს ლურსმული დამწერლობის ნიშნები და ამით კაცობრიობას უდიდესი სამსახური გაუწიეს, მომდევნო ხალხებს შემდგომი სრულყოფის შედეგად ანბანის შედგენა გაუადვილეს. ისტორიული ძეგლების ცნობებით, ქალდეველები ჰუმანური ხალხი იყო. მათ ასირიულ დესპოტურ მონარქიასთან ჰუმანური იდეების გამო მრავალსაუკუნოვანი ბრძოლები მოუხდათ. ძლევამოსილი ერების მიერ შევიწროებული ქალდეველები იძულებით ტოვებდნენ თავიანთ დაფერფლილ მშობლიურ ადგილებს, ცალკეულ კოლონიებად დაიდრნენ ჩრდილოეთისკენ და მშობლიურ კლდეებზე ლურსმული ნიშნებით თავიანთი გმირული თავგადასავალი აღბეჭდეს. Khaldi_ კაცობრიობის აკვანთან დამაკავშირებელი ოქროს რგოლია.

უხსოვარი დროიდან ჩვენს წინაპართა მიერ ქალდეაში ლითონთა მოპოვება და დამუშავება უადრესად სრულყოფილი იყო. საფეიქრო, ქსოვისა და სამეთუნეო ოსტატობა ასევე იყო განვითარებული. ქრისტეს შობამდე თერთმეტი საუკუნით ადრე, როგორც ასირიელი მბრძანებლის ტიგლათ-პილასარ პირველის წარწერიდან ირკვევა, ჩვენი წინაპრების სახელმწიფოებრივი ცხოვრება მნიშვნელოვნად იყო განვითარებული, მათ მრავალი კეთილმოწყობილი ქალაქი ჰქონდათ, ეწეოდნენ მეღვინეობას, მესაქონლეობასა და მრეწველობას. ტიგლათ-პილასარ პირველი და სარგონი ქართველთა წინაპრების ვაჟკაცობასა და გამბედაობას ადასტურებენ: მათი დამარცხება აქამდე ვერც ერთმა მეფემ ვერ შეძლო. ასირიული წარწერების მიხედვით, ჩვენი წინაპრები საუცხოო ჯიშის შესანიშნავ მაღალ ცხენებზე ამხედრებულნი იბრძოდნენ. ქართველებს, როგორც ლითონთა დამუშავების უზადლო ოსტატებს, ჯერ კიდევ ქრისტეს შობამდე სამი ათასი წლის წინათ იცნობდნენ. ებრაული ცხოვრების აღმწერი და წინასწარმეტყველი მოსე ადასტურებდა, რომ მის დროს ქართველთა (თუბალ_მოსოხთა) ლითონის ნაკეთობები განთქმული ყოფილა. ლითონთა ყველა დასახელება კალის გარდა, წმინდა ქართულია და ქართველთა მიერაა შემოღებული. შედარებითი ენათმეცნიერება ამტკიცებს, რომ ლითონთა სახელწოდებები ქართული ტომებისაგან სხვა ხალხებმა ისესხეს. ევროპული დასახელება Bronze წარმოიშვა ირანული ბირინჯისაგან, რომელიც თავის მხრივ ირანელებს ქართველებისაგან აქვთ ნასესხები. **სპილენძი, ლინჯი, პლინძი, სპი-ლენძი** ანუ ლითონი მდ. **სპერის** ანუ **ისპირის** ნაპირებზე მოიპოვებოდა. ზოგიერთ ევროპულ ენაში სპილენძის სახელწოდება, მაგალითად: გერმანულად _ messin, ანგლო-საქსურად _ mästling, ძველნორმანულად _ messing, პოლონურად _ mosiandz, მიუთითებს მოსინეს, მოსინიკებზე _ ქართული მოდგმის ხალხზე. ბერძნებმა ფოლადის წარმოება

ქართველებისაგან ისწავლეს. ბერძნებმა ფოლადს – ხალიპსი, ხალიბდიკოს უწოდეს. ხალიბები კი ქართველური ტომია¹⁰⁰.

ახალი დროის უდიდესი გეოგრაფი კარლ რიტტერი (1779_1859) ახალი განსახლების ადგილზე ქართველთა წინარექრისტიანული კულტურის შესახებ ამგვარად მსჯელობს: «პლუტარქე ნიკეის ყოფა-ცხოვრების აღწერისას საუბრობს ლანდკარტებზე, რომლებიც სიცილიაში ალკიბიადეს ლაშქრობისათვის იყვნენ გამზადებული. აპოლონიოს როდოსელის მიერ არგონავტების ლაშქრობის აღწერისას და სქოლიასტა მიერ ამ ადგილის განმარტებიდან ჩანს, რომ კარტოგრაფიული ხელოვნების გამომგონებლის პატივი არავითარ შემთხვევაში მცირეაზიელ ბერძნებს არ უნდა მიეწეროთ. ეს ხელოვნება გაცილებით ადრე კოლხმა¹⁰¹ მოგზაურმა ვაჭრებმა გამოიყენეს. ეს გარემოება, რა თქმა უნდა, მეტად მნიშვნელოვანია კოლხეთის ისტორიისათვის, რომელშიაც აქამდე კიდევ ბევრი რამ გამოუცნობი და ლეგენდის ბურუსით მოცული რჩება. აპოლონიოს როდოსელის აზრითა და მისი სქოლიასტის მიხედვით, კოლხებმა დაფებზე თავიანთი მოგზაურობებისათვის საზღვაო და სახმელეთო გზების გამოსახვის ხელოვნება ჯერ კიდევ უძველეს დროში წინაპრებისაგან შეისწავლეს; ეს დაფები თავიდან ქვებისაგან მზადდებოდა, შემდგომში – ხისაგან... ეს დაფები უდავოდ იყო ლანდკარტების პირველი ჩანაწერები და სავსებით შესაძლოა, რომ მათგარი დაფები ჰეროდოტეს თვალწინ ჰქონდა, როცა იგი ჩრდილოეთის ხალხთა სავაჭრო გზებს ჩამოთვლის ბორისთენთან და პონტთან¹⁰². ევმელი ქრატოსტენი (276 – ქ. შობამდე) ივერიაში სავაჭრო გზების შესახებ საუბრისას ამტკიცებს, რომ მათი მიმართულებები ბოძებზე გაკეთებული წარწერებით დგინდებოდა. გეოგრაფი სტრაბონი (66 წ. ქრ. შობამდე, 24 წ. ქ. შ-დან.) ამტკიცებს, რომ «ივერიაში ბევრი ქალაქი და დასახლებული ადგილია, ასე რომ, აქ კრამიტის სახურავიანი, ხელოვნების კანონების მიხედვით მოწყობილი სახლები, ბაზრები და სხვა საზოგადოებრივი დანიშნულების შენობები გვხვდება»¹⁰³. მდინარე ფაზისზე (რიონი) მისი მოწმობით 120-მდე ხიდი იყო, რაც უეჭველად ძველ ქართველთა მაღალ კულტურაზე მიუთითებს¹⁰⁴.

ქართველებმა-ქალდეველებმა, როგორც მაღალგანვითარებულმა უძველესმა ერმა, ქრისტიანულ ეპოქაშიც ქრისტიანულ ნიადაგზე თავიანთი მაღალი კულტურა და უმდიდრესი საღვთისმეტყველო მწიგნობრობა შექმნეს. «ქართული ლიტერატურა, პროფ. ნ. მარის სამართლიანი მტკიცებით,¹⁰⁵ ერთ-ერთი უმდიდრესი სალაროა აღმოსავლეთის ქრისტიანული ეკლესიისა... იგი ძვირფასი მასალების წყალობით საჩინოს ხდის ევროპულ ისტორიულ მეცნიერებაში ახალ, სრულიად არნახულ, რეალურ ჰორიზონტებს»... «ჩვენ, სპეციალისტებიც, – აგრძელებს ნ. მარი, – ჯერ კიდევ არ ვფლობთ ქართველთა მთელი კულტურული მემკვიდრეობის ცოდნას. ჩვენ ნაწილობრივ ვიცით და ნაწილობრივ ვწინასწარმეტყველებთ. (1 კორ. 13.19).» ამგვარად, ქართველი ტომების მთავარ ცენტრში აღმოჩნდა ეკლესიურ-რელიგიური განათლების სულიერ საუნჯეთა დიდი სიუხვე და ამის გამო გულჩვილი, სხვა ხალხებისადმი ძმური სიყვარულით განწყობილი ქართველები, ყველას თავიანთ წინაპართა საეკლესიო-კულტურული მემკვიდრეობის მარგალიტებს ხელგამლილად უყოფდნენ¹⁰⁶. თავდადებულ ქართველ მისიონერებს, თავიანთი ხალხის კულტურისა და სულიერი ძლიერების მატარებლებს, მიუხედავად გზის სიმორისა და სიძნელებისა, ღვთის სიტყვა

მიჰქონდათ წარმართებთან, მთიელებთან, განსაკუთრებით ჩრდილოელებთან. ყველგან მუსულმან თუ უცხო მქადაგებლებს უკან ახევინებდნენ და ბნელით მოცული ქვეყნების უხემ წარმართებს შორის ქრისტეს თავმდაბალ მსახურთ იძენდნენ. ჩრდილოეთ კავკასიაში (ჩეჩნეთში) ჩვენს დრომდე შემორჩა ეკლესია IX საუკუნის ქართული ასომთავრული წარწერებით, რომლებიც კავკასიელ მთიელთა შორის ქართველ მქადაგებელთა ნაყოფიერ მისიონერულ მოღვაწეობაზე მეტყველებენ.¹⁰⁷

გარდა წმიდა სავანეებისა, როგორც საეკლესიო-საგანმანათლებლო კერებისა, ქართველებს საკუთარი სამეფოს გარეთ თავიანთი საეპარქიო კათედრებიც ჰქონდათ. ქართველთა ძლევამოსილი წინსწრაფვის შედეგად მცირე აზიის ქვეყნებში: ანისში, ერზერუმში, ყარსსა და ალაშკერტში ქართული მართლმადიდებლური საეპისკოპოსო კათედრები დაარსდა¹⁰⁸. ქრისტიანულ აღმოსავლეთში ქართულ მონასტერთა რიცხვის სწრაფი ზრდის შედეგად ქართულმა ეკლესიამ ათონზე, სოფელ ერისოში დააარსა საეპისკოპოსო კათედრა, რომლის იურისდიქციასაც საქართველოს პოლიტიკურ საზღვრებს გარეთ არსებული ყველა ქართული მონასტერი ემორჩილებოდა¹⁰⁹. ქართველმა გვირგვინოსანმა დავით აღმაშენებელმა (1089_1125წ.) სინის მთაზე დიდმოწამე ეკატერინეს¹¹⁰ ქართულ მონასტერში დააფუძნა მიტროპოლიტის კათედრა.

საქართველოს პოლიტიკური აღმავლობის კვალობაზე წარმატებით და სწრაფად ფართოვდებოდა და ძლიერდებოდა მისი სასულიერო-საგანმანათლებლო გავლენა სომხებზე, მრავალეროვან კავკასიელ მთიელებსა და სლავებზე. ამ დროს თურქთა სამხედრო ბედკეთილობის გავლენით, მაშინდელ დაუდევარ ბერძენთათვის შექმნილმა არასახარბიელო ისტორიულმა გარემოებებმა შეარყია ძლიერება ბიზანტიის იმპერიისა, რომლის დღეები უკვე დათვლილი იყო და რომელიც დამხობის გზაზე იდგა. კონსტანტინოპოლი, მანამდე ქრისტიანობის საყრდენი და ბურჯი, 1453 წელს დაეცა, რის გამოც, ბუნებრივია, იზადებოდა კითხვა: მისი დაცემის შემდეგ ვის უნდა შეესრულებინა მართლმადიდებლობის დამცველის ეს უდიდესი როლი? დასმულ შეკითხვას ვუპასუხებთ: აღმოსავლეთში მართლმადიდებლური ტრადიციების ერთადერთი მემკვიდრე და დამცველი სწორედ ის საქართველო იყო, რომელიც ბიზანტიის დაცემამდე იარაღით ხელში აღმოსავლეთის წმიდა ადგილებს იცავდა და არა რუსეთი, როგორც ამაზე რუსულ ისტორიულ ლიტერატურაშია მოთხრობილი. მართლმადიდებელი საქართველოს გვირგვინოსნები ჯერ კიდევ კონსტანტინოპოლის დაცემამდე რამდენიმე საუკუნით ადრე, როგორც ბერძენი და მუსულმანი მწერლები ადასტურებენ, ქრისტეს წმიდა საფლავისა და აღმოსავლეთის წმიდა ადგილების ქტიტორები იყვნენ.

ბიზანტიის იმპერიის დაცემას, რომელიც აღმოსავლეთში ქრისტიანობის ძლიერი ფორპოსტი იყო, ქრისტიანული კულტურისათვის სამწუხარო შედეგები ჰქონდა. მისი ძლევამოსილების განადგურება მომასწავებელი იყო იმისა, რომ დაეცემოდა ტრაპიზონის იმპერია, რომელიც საქართველოს მეფემ, დიდმა თამარმა შექმნა, დუნაიზე არსებული სლავური სახელმწიფოები, მოლდა-ვლახეთის სლავური სამთავროები და შემდგომ წამებული საქართველო. ოტომანთა ძალმოსილება, რომელმაც ბიზანტია მოინელა, აღმოსავლეთისა და დასავლეთის რელიგიურ-პოლიტიკური უთანხმოებებისა და ტენდენციების გამოისობით

გაფართოვდა და გაძლიერდა. XV საუკუნეში კონსტანტინოპოლის დაცემითა და რუსეთის თათრებისაგან გათავისუფლებით ქრისტიანული აღმოსავლეთის პოლიტიკური ცენტრი, – ამბობს ვ. ს. სოლოვიოვი, – ბიზანტიიდან მოსკოვში გადადის¹¹¹. ფსკოველი ბერი, XVI საუკუნის დასაწყისის მწიგნობარი, ფილოფეი დიდ მთავარ ვასილის სწერს: «ყურად იღე მართლმორწმუნე მეფეო: ორი რომი დაეცა, მესამე – მოსკოვი – დგას, ხოლო მეოთხე არ იქნება. ჩვენი დედა ეკლესია შენს სამფლობელოში კეთილმორწმუნეობით მთელს ცისქვეშეთში მზის დარად ერთადერთი ბრწყინავს; ყველა მართლმადიდებლური ქვეყანა მხოლოდ შენს სახელმწიფოში შეიკრიბა; მთელს დედამიწაზე მხოლოდ შენა ხარ – ქრისტიანი მეფე» (ვ. ო. კლიუჩევსკი, რუს. ისტ. კურსი, III, ნაწ. 337 გვ).

იმდროინდელი რუსები მხოლოდ თავიანთ ირგვლივ რომ იყურებოდნენ (XVI ს.), – ამბობს ე. ფ. შმურლო, – მზისქვეშეთში ვერ პოულობდნენ რუსებისთანა ხალხებს, მოსკოვისთანა სახელმწიფოს, რომელიც ღირსი იყო ეს საპატიო წოდება, ანუ ქრისტიანობის დამცველის ალაში ეტარებინა¹¹². ეკლესიის ისტორიკოსი მიტროპოლიტი მაკარი ამ ეპოქაზე მსჯელობისას ამბობს: «რუსეთის მეფე იყო ერთადერთი, სრულიად დამოუკიდებელი მართლმადიდებელი მეფე მთელს ცისქვეშეთში»¹¹³, თუმცა ისტორიკოსების ს. მ. სოლოვიოვისა და ვ. ო. კლიუჩევსკის აზრით: «ყირიმმა მოსკოვი ბათუს შთამომავლებისაგან საბოლოოდ გამოიხსნა¹¹⁴ და უომრად, თვით თათართა ხელშეწყობითვე მხრებიდან ჩამოიხსნა ურდოს უღელი, რომელიც ჩრდილო-აღმოსავლეთის რუსეთს 2 1/2 ასწლეულის მანძილზე ტანჯავდა (1238_1480)»¹¹⁵, მაგრამ ამის შედეგად, რუსეთი თითქოს ყირიმის მძევლად იქცა, იქ კეთილად მოსაგონარის სახით ხარკს აგზავნიდა, რომლის ზომა ყირიმელი ხანების მიერ იყო დადგენილი»¹¹⁶, მიტროპოლიტი მაკარისა და პროფ. შმურლოს ზემოთ მოყვანილი მოსაზრება მეტ-ნაკლებად მხოლოდ პატრიოტულ გადაჭარბებად უნდა ჩაითვალოს. ეს სენი უვნებელია, თუმცა რუსეთში მან ეპიდემიური ხასიათი მიიღო.

ისტორიული ფაქტები სულ სხვა რამეზე მეტყველებენ. კონსტანტინოპოლის დაცემის ეპოქაში, რუსეთში გამოკვეთილი პოლიტიკური შეგნება ჯერ კიდევ არ ჰქონდათ. «არც მოსკოვის მეფე, ამ სიტყვის პოლიტიკური მნიშვნელობით, – ადასტურებს ცნობილი ისტორიკოსი ვ. ო. კლიუჩევსკი, – არც ველიკორუსული სახელმწიფო ეთნოგრაფიული მნიშვნელობით ჯერ კიდევ არ არსებობდა იმ წუთში, როცა ივანე III მამის ტახტზე ავიდა, არც ჩრდილოეთ რუსეთის მნიშვნელოვანი ნაწილი შედიოდა მოსკოვის სამთავროს შემადგენლობაში. იგი რამდენიმე დიდ სამთავროდ იყო დანაწევრებული და ყოველი მათგანი – რამდენიმე საუფლისწულოდ დაყოფილი. მოსკოველი მთავარიც ერთ-ერთი ამ დიდ მთავართაგანი იყო, გარშემორტყმული თავისი უმცროსი ნათესავი უფლისწულებით... მოსკოვის რუსეთის ტერიტორიულმა გაერთიანებამ ჯერ კიდევ ვერ მოსპო ყველა დამოუკიდებელი ადგილობრივი თემი, რომლებიც ცენტრალურ და ჩრდილოეთ რუსეთში არსებობდნენ»¹¹⁷. დიდ მთავარ ივანე III-ს (1462_1505) ყველაზე ნაკლებად შეეძლო მიეჩნია თავი აღმოსავლეთის მფარველად, მიუხედავად იმისა, რომ 1472 წლის 12 ნოემბერს დაქორწინდა რომში გაზრდილ სოფიო თომას ასულ პალეოლოგზე, რომელიც მამის მხრიდან ბიზანტიის უკანასკნელი იმპერატორის, ხოლო დედის მხრიდან დიდი დუკუს ფერარელის

ძმისწული იყო და «რუსეთის სამეფოს კარის დიდმშვენიერებას მხოლოდ იმით უწყობდა ხელს, რომ ბიზანტიურ (კარის) მდიდრულ წეს-ჩვეულებათა ამბებს ატყობინებდა მათ»¹¹⁸. ანდა, ისტორიკოს ვ. ო. კლიუჩევსკის სიტყვებით თუ ვიტყვით, სოფიოს გავლენა «მოსკოვის სამეფო კარის კულისებს მიღმა ცხოვრებასა და დეკორატიულ მორთულობაზედა ვრცელდებოდა»¹¹⁹.

ბიზანტიის დამხობის შემდეგ პალეოლოგთა ოჯახში ორი ძმა დარჩა: დიმიტრი და თომა. პირველი მათგანი 1460 წელს თურქებს ტყვედ ჩაუვარდა და კონსტანტინოპოლში ათი წლის შემდეგ გარდაიცვალა. მას ერთადერთი ქალიშვილი დარჩა, რომელიც სულთანმა ჰარამხანაში წაიყვანა. უმცროსი თომა კუნძულ კორფუზე გაიქცა, მაგრამ შემდგომში პოლიტიკური მოსაზრებით გადასახლდა რომში, როგორც ბიზანტიის ტახტის პრეტენდენტი და თუმცა ენერგიულად დაიწყო ზრუნვა როგორც აქ, ისე ვენეციაში დაკარგულ ტახტზე თავისი უფლებების აღსადგენად, წარმატებას ვერ მიაღწია. გარდაცვალების შემდგომ (1462 წ.) დარჩა ვაჟიშვილები: ანდრია და მანუელი და ქალიშვილები ელენე და ზოია. ქალიშვილებიდან პირველი 1474 წელს გარდაიცვალა, მეორე კი ძმებთან ერთად რომის პაპის ხარჯით იზრდებოდა. პაპი მათ შესანახად წელიწადში 12 000 მანეთს გამოჰყოფდა. ანდრია მოსამსახურეზე დაქორწინდა და შვილები არ ჰყავდა, ხოლო მანუელმა კონსტანტინოპოლში გაქცევა და გათურქება არჩია. სულთანმა მას ჰარამხანა უბოძა და ყოველმხრივ უზრუნველყო. მისგან პალეოლოგთა მუსულმანური განშტოება წარმოიშვა.

დაახლოებით 1467 წელს ზოია (სოფიო) მდიდარ და დიდგვაროვან თავად პალაჩიოლოზე¹²⁰ დაინიშნა და პროფესორ უსპენსკის რწმუნებით, ცოლადაც გაჰყვა მას. 1472 წელს ზოია მოსკოვის მეფის საცოლე ხდება. ანდრია პალეოლოგი თავის დასთან მოსკოვში ორჯერ, 1480 და 1490 წლებში ჩავიდა¹²¹. ჯერ კიდევ 1483 წელს ანდრიამ ოსორნოს გრაფ პეტრე მანრიკეს ბიზანტიელ იმპერატორთა აღჭურვილობისა და ინსიგნიების ტარების უფლება დაუთმო; 11 წლის შემდეგ კი თავისი უფლებები საფრანგეთის მეფე კარლოს VIII მიჰყიდა, ხოლო 1502 წელს, სიკვდილის წინ, ისინი ფერდინანდ ესპანელს უანდერძა¹²². პროფესორი უსპენსკი უსამართლოდ ამტკიცებს, რომ რუსმა მეფემ ანდრიასაგან ბიზანტიის ტახტის მემკვიდრის უფლება იყიდა, და ამისი დამამტკიცებელი აქტი ვატიკანის არქივში უნდა ინახებოდეს¹²³; თუმცა ამ ფაქტის შესახებ არც რუსული, არც უცხოური ძეგლები და არც არქივის მასალები არაფერს გვეუბნებიან.

ივანე III ისე უძღური იყო, რომ მენგლი-გირეისა (1474 წ.) და ახმატ ხანს (1480 წ.) მორჩილებას უთვლიდა. მაშინ, როცა 1480 წელს ახმატ ხანმა ჯარებით მოსკოველთა წინააღმდეგ გაილაშქრა, დაშინებული ივანე მდინარე უგრაზე, თათართა პირისპირ არ დადგა, ხოლო კრემენცში, მდ. ლუჟზე, მედინიდან 30 კილომეტრზე, ხანთან ივანე ტოვარკოვი ძღვენით, თაყვანისცემის არზითა და შეწყალების თხოვნით გააგზავნა¹²⁴. 1474 წელს ივანემ თავისი ელჩის, ნიკიტა ბეკლემიშევის მეშვეობით მენგელ-გირეის აჯა მიაართვა, რომელმაც იარლიყი უწყალობა¹²⁵.

ნაცვლად იმისა, რომ ევროპულ გვირგვინოსნებთან პირი შეეკრა და ქრისტიანთა საერთო მტრების – თურქ ოტომანთა წინააღმდეგ მათთან ერთად ემოქმედა, დიდი მთავარი ივანე III უნგრელი გვირგვინოსნის, ვლადისლავისა და პოლონელი მეფის

ალბრეხტის თხოვნის მიუხედავად, რომ თავის სიძეს, ლიტვის დიდ მთავარ ალექსანდრეს შერიგებოდა, მასთან ბრძოლას განაგრძობდა. «ომი, _ წერდნენ ისინი, _ მთელ ქრისტიანობას დიდ ზიანს აყენებს, ასუსტებს ქრისტიან მეფეთა ძალებს, რომლებიც თურქების წინააღმდეგ ერთად უნდა იყვნენ...»¹²⁶ თავის თავზე ასეთივე შუამდგომლობა აიღო პაპმა ალექსანდრე VI-მ¹²⁷. მეფე ივანე მრისხანემ (1530_1584) ბალტიისპირა სამფლობელოები დაკარგა, რუსებისთვის დამამცირებელი ზავი დადო ლიტვასთან, თურქეთის სულთნის მოთხოვნით თერგზე რუსული სიმაგრე მოშალა; იგი სიცოცხლის ბოლომდე აცნობიერებდა თავის მერყევ მდგომარეობას მოსკოვის ტახტზე¹²⁸, პოლიტიკურ გარემოებათა გამო იძულებული იყო საიპ-გირეისა და ისლამ-გირეის მოთხოვნებს დამორჩილებოდა, და მათთან დიდძალი და საუკეთესო მოსაკითხავების¹²⁹ გამგზავნელს მაჰმადიანთა უღელქვეშ მყოფ აღმოსავლეთის ქრისტიანთა ქომავის როლზე ფიქრიც კი არ ძალუძდა. ივანე ითმენდა შეურაცხყოფას საიპ-გირეისგან, ვისაც ის სრულ ჭკუაზე მყოფად არც კი მიაჩნდა¹³⁰, უთმენდა ბატორსაც, ვინც სიგელში «მოსკოვის ფარაონს, ცხვრებში შეჭრილ მგელს, შხამით სავსე ადამიანს, არარაობას, უხეშს» _ უწოდებდა. «შენი ლაშქრით ჩვენთან რატომ არ გამოემართე, _ წერდა ბატორი, _ შენი ქვეშევრდომები რატომ არ დაიცავი? საცოდავი ქათამი მიმიწოსა და არწივისაგან თავის წიწილებს ფრთებით იფარავს, შენ კი, ორთავიანი არწივი (რამეთუ, ასეთია შენი გერბი), იმალები»¹³¹.

კურბსკი და სამეფო წიგნი ერთხმად აღიარებენ ყაზანთან ივანე მრისხანეს განწყობის შესახებ. ივანე ეკლესიაში იმალება, ტყუილად არწმუნებენ მრჩეველები, ეჩვენოს ლაშქარს: «მეფეო, აწ შენი გამგზავრების ჟამია... დიდებული ჟამია მეფის გასამგზავრებლად... მეფეს კი არა მარტო სახე შეეცვალა, არამედ გულიც შეუღონდა». ბოლოს მისი დაახლოებული პირები «სადავეს უწადილოდ ხელს ჰკიდებენ», გამოჰყავთ ლაშქრის წინაშე და სამეფო ალამთან აყენებენ. ამას თვითონ მრისხანეც შემდეგი სიტყვებით ადასტურებს: «თქვენ მე ურწმუნოთა მიწაზე ტყვესავით მიგყავდით _ როგორღა დამიფარა მე უზენაესმა!»¹³² ნ. ი. კოსტომაროვის სიტყვებით, ნებისმიერს შეაცბუნებდა ივანე ვასილის ძის საკუთარი მშობრობის მიამიტური აღიარება. ყაზანის ლაშქრობის გახსენებისას ივანე ამბობს: «როგორია ჩემდამი კეთილმოსურნეობა იმ ადამიანებისა, რომლებსაც შენ (თავადო კურბსკი), წამებულებს უწოდებ? მათ მე ნავჭურჭელში ტყვესავით ჩამსვეს და ადამიანთა მცირე გუნდის თანხლებით უღვთოთა და ურწმუნოთა მიწაზე გამატარეს; უზენაესს თავისი ყოვლისშემწე მარჯვენით ჩემი უმდაბლესობა რომ არ დაეცვა, სიცოცხლესაც გამოვესალმებოდი». ამ დროს კი მოროზოვის მატეანის მოწმობით მას ყაზანთან 150 000 ლაშქარი ჰყავდა¹³³. 1572 წლის ანდერძში მეფე ივანე IV დაბეჯითებით ამტკიცებს, რომ ის და მისი ოჯახი მოსკოვის ტახტს მტკიცედ არ ფლობენ და რომ ის დევნილია, რომელიც თავის მტრებთან იბრძვის, რომ ამ ბრძოლის დასასრულს ახლო მომავალში ვერ ხედავს...¹³⁴ 1574 წელს ივანე IV მრისხანემ არეულობებისა და შფოთის გავლენით გაქრისტიანებული კასიმოველი თათარი სიმეონ ბეკბულატოვიჩი სრულიად რუსეთის დიდ მთავრად გამოაცხადა, მოსკოვში თავის მაგივრად მეფედ დასვა და თავზე გვირგვინი დაადგა.

ყოველივე თქმულიდან გასაგებია, რომ მეფე ივანე მრისხანეს შეუძლებელი იყო თავისი თავი პოლიტიკურად და მორალურადაც ¹³⁵ ისე ძლიერ პიროვნებად მიეჩნია, რომ ქრისტიანული აღმოსავლეთის დაცვისთვის ზრუნვა საკუთარ თავზე აქტიურად აეღო. მეფის ტიტული რომ მიიღო, ივანე მრისხანე მის გამოყენებას დიპლომატიური ურთიერთობებით ცდილობდა, მაგრამ ყველგან მარცხს განიცდიდა. «მოლაპარაკებები პატრიარქ იოსაფთან, – ამბობს პროფ. მილიუკოვი, – რუსული ფულის დახმარებით წარმატებით დასრულდა. 1561 წელს პატრიარქმა საეკლესიო კრების სიგელი გამოუგზავნა და მხოლოდ ჩვენს დროში გახდა ცნობილი, რომ ამ მიზნით კრების მოწვევა მას არც კი უფიქრია, ხოლო კრების მონაწილეთა ხელმოწერები, უბრალოდ, ყალბი იყო. მიღებული სიგელი უკვე დადგენილ, ოფიციალურ ლეგენდას ეწინააღმდეგებოდა. სიგელის ლეგენდასთან შეჯერება სხვაგვარად არც ისე რთული აღმოჩნდა: ბერძნული ტექსტის ზოგიერთი სიტყვა ამოგლეჯილი იყო, ხოლო სხვები წაშლილი; განადგურებულის ადგილზე ყოველგვარი გრამატიკული წესის გარეშე რამდენიმე ახალი სიტყვაა ჩამატებული, რომელთა მიხედვითაც ეფესოს მიტროპოლიტი ლეგენდის კვალად, თითქოს კონსტანტინე მონომახის¹³⁶ მიერ იყო გაგზავნილი». საერთოდ უნდა შევნიშნოთ, რომ რუსეთი ამ დროს სრულიად უცნობი იყო ევროპელთათვის. «მოსკოვის სამეფო, – ამბობს სოლოვიოვი, – დასავლეთ ევროპის სახელმწიფოებმა ამერიკასთან ერთად აღმოაჩინეს»¹³⁷. 1486 წელს მოსკოვში შემთხვევით რაინდი ნიკოლაი პოპპელი მოხვდა და გერმანიაში რომ დაბრუნდა, იმპერატორს მოსკოვის რუსეთის აღმოჩენის შესახებ შეატყობინა, რომელიც ამ დროიდან გახდა კიდევ ევროპელთათვის ცნობილი.

XVI საუკუნის დასაწყისში გაჩნდა ლეგენდა რუსი მეფეების ბიზანტიის ხელისუფალთა მემკვიდრეობის შესახებ შემდეგი სათაურით: **«დადგენილება დიდი რუსი მთავრებისა, შესახებ დიდი მთავრობისა; საიდან და როგორ იწყება ათვლა დიდი მთავრობისა კურთხეული სამხრეებითა და სამეფო გვირგვინებით»**. მოსკოველ მთავართა სტილით შედგენილი მითითებული თხზულება ასეთი შინაარსისაა: ვლადიმირ მონომახი (1053_1125) თავის ბოიარებს მიმართვაში რჩევას სთხოვს, წინაპართა მაგალითისამებრ გაილაშქროს თუ არა კონსტანტინოპოლზე. თანხმობა რომ მიიღო, ვლადიმირმა აღჭურვა ძლიერი ლაშქარი იმპერატორ კონსტანტინე VI მონომახის წინააღმდეგ (1055 წ. როცა ვლადიმირი მხოლოდ ორი წლის იყო), მაგრამ კონსტანტინე VI მონომახმა, ირანთან და ლათინელებთან ომში ჩაბმულმა, თავი გამოსასყიდებით დაიხსნა: ლეგენდის მიხედვით ყელიდან ცხოველმყოფელი ხისაგან გაკეთებული ჯვარი მოიხსნა, თავიდან სამეფო გვირგვინი მოიძრო და მათთან ერთად ვლადიმირს ძღვნად გაუგზავნა «სარდიონის ქვის თასი, რომლითაც უავგუსტესი კეისარი ილხენდა», და ბარმას წმიდა რეგალიები ამ სიტყვებით: «ღვთისმოყვარე და მართლმორწმუნე მთავარო, მიიღე ჩვენგან ეს წმიდა ძღვენი... წილად შენი თაობის პატივისა და დიდების დასაბამისა და შენი ხელშეუვალი თვითმპყრობელური სუფევის დასავგირგვინებლად... დესპანთა მეშვეობით შემოგთხოვთ მშვიდობასა და სიყვარულს, რათა უფლის საყდრებში განხეთქილებამ არ დაისადგუროს და მთელი მართლმადიდებლობა ჩვენს სამეფოსა და შენი ხელშეუვალი თვითმპყრობელობით დიად რუსეთში უშფოთველობას ინარჩუნებდეს. ამიერიდან ღვთივკურთხეულ ხელმწიფედ იწოდები, ნაკურთხად ამ სამეფო გვირგვინით». და

იმ დროიდან, _ ასკენის თხზულება, _ დიდი მთავარი ვლადიმირ ვსევოლოდის ძე ასე იწოდება: მეფე მონომახი დიადი რუსეთისა... იმჟამიდან აქამომდე ვლადიმირის დიდი მთავრები, როცა დიდი მთავრობისათვის წარსდგებიან, იმ სამეფო გვირგვინით ეკურთხებიან¹³⁸.

ბიზანტიური ხელისუფლების მემკვიდრეობითობის ლეგენდას დაემატა თქმულება იმაზე, თუ იმპერატორმა ლევმა ბაბილონში როგორ მოიპოვა ნაბუქოდონოსორის რეგალიები. ხალხურ გადმოცემებში ეს ლეგენდა ასევე კონსტანტინოპოლიდან ბაბილონში წარგზავნილი თეოდორ ბარმას გამგზავრებით იწყება, რომელიც ბაბილონში რეგალიებს პოულობს და კონსტანტინოპოლში ბრუნდება, მაგრამ «აქ, კონსტანტინოპოლში, იყო დიდი სისხლისღვრა; მართლმადიდებლური რწმენა იშლებოდა, მართლმადიდებელი მეფე მოკვდა. და თეოდორ ბარმა კონსტანტინოპოლიდან ჩვენს რუსეთში წამოვიდა, მოვიდა ყაზან ქალაქში და მთავართა სეფე-პალატში, ბუმბერაზ მთავართა სეფედარბაზში შევიდა... და აქ ბაბილონის ქალაქიდან ჩამოტანილი პორფირი და გვირგვინი თავზე დაედგა მართლმადიდებელ მეფეს, ივანე ვასილის ძე მრისხანეს, რომელიც გაიძვერა და ბილწი ყაზანის მთავრის სამფლობელოს არბევდა»¹³⁹.

1586 წელს კახეთის მეფე ალექსანდრე, თეოდორე ივანეს ძეს თურქთაგან დაცვას და ასევე ხალხთან ერთად მის მფარველობაში მიღებას სთხოვდა. თურქები ალექსანდრესაგან მარაგს და მის ტერიტორიაზე ბაქოსა და დარუბანდისკენ მათი ლაშქრის გატარებას მოითხოვდნენ. მოსკოვის მეფის კარის მიერ დაიმედებული ალექსანდრე თურქებს პასუხობდა: «ჩემს ტერიტორიაზე არ გაგატარებთ და მარაგსაც არ მოგცემთ, მე რუსეთის მეფის ქვეშევრდომი ვარ და თურქებისა არ მეშინია»¹⁴⁰. ალექსანდრემ მეფე თეოდორესაგან შეპირებული დახმარება ვერ მიიღო, თეოდორემ კიდეც, მიუხედავად ამისა, ივერიის ქვეყნის ხელმწიფისა და ქართველ მეფეთა ტიტული მაინც დაიტოვა. კახეთის მეფე მწარედ ჩიოდა, რომ იმედები გაუცრუვდა¹⁴¹. თეოდორე ივანეს ძის გარდაცვალების შემდეგ სამეფო დინასტია შეწყდა და ახლის დაარსების აუცილებლობა შეიქმნა, მაგრამ მყარი დინასტიის დაარსების ყველა მცდელობა იფუშებოდა, ახალ-ახალი კანდიდატების არჩევა უხდებოდათ. არეულობამ საზოგადოებრივ კლასებს შორის ბრძოლა მანამ გამოააშკარავა, სანამ ამჟამად წარმატებით მოქმედი სამეფო სახლის მამამთავარს აირჩევდნენ. XVII საუკუნის თითქმის ნახევრამდე დაპირისპირებული ბრძოლა გრძელდებოდა და ეს ასწლეული მოსკოვის სახელმწიფოსთვის პოლონეთთან, ლიტვასთან, შვედეთსა და ყირიმთან გამუდმებული ომების ეპოქა იყო და მეფის, მიხეილ თეოდორეს ძის დროსაც (1613_1645) სამეფო უკიდურესად მძიმე მდგომარეობაში იმყოფებოდა. მან თავადი ლეონტიევი შაჰ-აბასთან ფულის სათხოვნელად მიავლინა და შაჰმა მცირე თანხა¹⁴², 7000 მანეთის ვერცხლის ზოდები¹⁴³ გამოუგზავნა. მსგავსივე თხოვნით მეფე მიხეილ თეოდორეს ძემ ჰოლანდიასა და ინგლისსაც მიმართა. ინგლისს საქონლით, ბანგით, ტყვიით, გოგირდითა და სხვა საომარი მასალით დახმარებას სთხოვდა¹⁴⁴. მაშასადამე, მიხეილ თეოდორეს ძესაც ძალა არ შესწევდა მართლმადიდებელი აღმოსავლეთის დამცველის როლი თავის თავზე აეღო. ამასთან, ამ დროს რუსეთს აღმოსავლეთის მართლმადიდებლური ცენტრისაგან არა მარტო შავი ზღვა, არამედ ყირიმის (ნოვოროსიისკის) სტეპები ჰყოფდა და რიგში რუსეთისთვის სხვა, უფრო გადაუდებელი საკითხები, პოლონეთისა და ყირიმის საკითხები იდგა.

როცა მეფე ალექსი მიხეილის ძემ (1645_1676) სიგელში თავის თავს აღმოსავლეთის მხარის მბრძანებელი უწოდა, ყირიმის ხანი მეჰმედ-გირეი 1657 წელს მას სწერდა: «თქვენს სიგელში არ წერია წინანდებურად აღმოსავლეთისა და დასავლეთის და ჩრდილოეთის მამინაცვალი და ბაბუა, მემკვიდრე და მფლობელი... ასეთ უკადრის ტიტულებს თქვენი წინაპრები არ წერდნენ. სად მოსკოვი, სად აღმოსავლეთი, სად დასავლეთი? აღმოსავლეთსა და დასავლეთს შორის არცთუ ცოტა დიდი მეფეები და სამეფოებია; ამისი ცოდნა იყო აუცილებელი და მთელი სამყაროს მამინაცვლად, ბაბუად და მფლობელად თავის გასაღება საჭირო არ იყო; ასეთი სიცრუითა და ურცხვად წერა შეუფერებელია»¹⁴⁵. 1659 წლის 27 ივნისს მოსკოვის საუკეთესო ცხენოსანთა ლაშქარი, რომელმაც 54_55 წლებში იბლიანი ლაშქრობები მოაწყო, გეტმან ვიგოვსკისა და ყირიმის ხანთან ბრძოლაში ერთ დღეს დაიხოცა. ამის შემდეგ მოსკოვის მეფეს შესაძლებლობა არასოდეს ჰქონია ბრძოლის ველზე ასეთი ძლიერი ლაშქარი გამოეყვანა. ალექსი მიხეილის ძე ხალხთან სამგლოვიარო სამოსში გამოვიდა და მოსკოვი საშინელებამ მოიცვა¹⁴⁶. ამასთან უნდა შევნიშნოთ, რომ ჩუდნოვოს 1660 წლის 23 ოქტომბრის მოლაპარაკებამ მოსკოვის სამეფოს ძალები მეტად გამოაცალა და მოსკოვში ბრბოს ჯანყს შიშითაც კი ელოდნენ.

რაც შეეხება ცნობილ ფიქციას მოსკოვზე, ვითარცა მესამე რომზე, საჭიროა შევნიშნოთ, რომ იგი კარგა ხანია, რაც რუსულ ლიტერატურაში ცნობილია¹⁴⁷ და კარგა ხანია, რაც სრულიად მართებული შეფასებაც მიიღო. გ. უსპენსკი თავის ოსტატურად დაწერილ სტატიაში იმაზე, თუ როგორ წარმოიშვა და ვითარდებოდა აღმოსავლური საკითხი რუსეთში, ამბობს: «მოსკოვის თეორია (მოსკოვზე – ვითარცა მესამე რომზე) მახვილგონივრულად იქნა გამოყენებული მეფური ღირსების ამაღლებისათვის. გვარტომობის წიგნში ჩნდება გენეალოგია, რომელიც სათავეს ავგუსტისაგან იღებს და ნათესაურ კავშირს ამტკიცებს რიურიკთა და იულიუსთა სახლებს შორის. შემდგომ იწყეს ძიება და სხვა საფუძველი აღმოაჩინეს, რუსული სახელმწიფო ხელისუფლება საიმპერატოროსთან დაეახლოვინათ». «მოსკოვში რაღაც ახალი და გაუგონარი რამეები ჩნდებოდა, – ამბობს პროფ. ჟდანოვი ივან ვასილის ძისა და მისი შვილის ვასილის დროებაზე, – მწიგნობარმა ხალხმა იზრუნა, ამ ახალი და გაუგონარი ამბებისათვის გარკვეული ფორმა მიეცა, რომლის სტილი მათი დროის ისტორიულ თვალთახედვასა და ლიტერატურულ გემოვნებას პასუხობდა. ამ ფორმისათვის დამოუკიდებელი მნიშვნელობის მინიჭება, ამ გადმოცემებში პრუსიისა და მესამე რომის შესახებ, ბიზანტიური სათავეების მითითება, მისი რუსულ სახელმწიფოებრივ ცხოვრებაში ჩართვა, მტკიცება იმისა, რომ მოსკოვის მთავარი ნამდვილად კათოლიკე მეფედ გარდაიქმნა, ნიშნავდა, რომ რუსულ ისტორიულ, სახელმწიფო და საეკლესიო გადმოცემებს მეტად მცირე ფასი დასდებოდა».¹⁴⁸

დაახლოებით XV საუკუნის ბოლოსათვის უსაქმურ მჯღაბნელთა მიერ შეთხზული იყო ცნობილი ამბავი ნოვგოროდული თეთრი ბარტყულის შესახებ, რათა დაემტკიცებინათ, რომ «რომს მადლი, დიდება და ღირსება ჩამოერთმევა, ასევე კონსტანტინოპოლს სულიწმიდის კურთხევა ჩამოერთმევა აგარიანელთა ტყვეობისას და უფლისაგან მთელი სიწმიდე დიად რუსულ ქვეყანას გადაეცემა»¹⁴⁹. ყველა მეტ-ნაკლებად განათლებული აფუთფუთდა ამ დროს რუსეთში, ყოველგან აწრიპინდა კალამი. ყველა გაცხარებით ეძებდა საფუძველს,

რათა ის დიადი როლი გაემართლებინა, რასაც რუსეთს მიაწერდნენ. ბერების ვიწრო სენაკებშიც კი დიად გეგმებს სახავდნენ.

II

ორი შინაგანი წინააღმდეგობა XVI საუკუნის რუსეთის ყოფაში. – საქართველო – წმიდა მიწისა და ჩაგრული აღმოსავლეთის ქრისტიანობის დამცველი; მისი განუზომელი მსხვერპლი. – XVI-XVII საუკუნეთა მნიშვნელობა საქართველოსა და რუსეთის ისტორიაში. – საქართველოს დაუძლურება მისი დაქსაქვისა და მაჰმადიანებთან განუწყვეტელი ბრძოლის ნიადაგზე. – ივერიის კულტურული ზეგავლენის ფაქტები: ანტონ პეჩორელის ბერ-მონაზვნად აღკვეცის ადგილი; სლავური და რუსული ანბანი; საეკლესიო სლავური გალობა და რუსული ხალხური სიმღერა; ხატმწერები; საეკლესიო-საღვთისმეტყველო ლიტერატურის ძეგლები; წარმართული თამაშობები და დღესასწაულები რუსეთში – კუპალი, იარილი, კოსტრობუნკი; კოლიადი; ქართული (ქალდეური) სიტყვები რუსულ ენაში; უკრაინულ სუფიქსთა: *ck* და *ko*-ს წარმომავლობა.

პირველ თავში მივუთითეთ, რომ XVI საუკუნის მიწურულს რუსეთის ჩრდილო-აღმოსავლეთის მიწების გაერთიანება მოსკოვის წინამძღოლობით ძლივს ხერხდებოდა. როცა ამ მიწების გაერთიანების პროცესი დასრულდა, მოსკოვს მაშინაც კი არ ძალუძდა აღმოსავლეთში ბიზანტიის მონაცვლის საპატიო როლი დაეჩემებინა. იგი ამ დროს ორმხრივ კრიზისს განიცდიდა. მოსკოვის სახელმწიფო და საზოგადოებრივ წყობის საძირკველში ორი შინაგანი წინააღმდეგობა იყო: პოლიტიკური და სოციალური, რაც ოპრიჩინითა და მოსკოვის არეულობებით დასრულდა¹⁵⁰.

რუსმა მეფეებმა ჯერ კიდევ ვერ შეძლეს ორი საკითხის – ეროვნულისა და გეოგრაფიულის გადაწყვეტა. ხოლო XVII საუკუნის დასაწყისში იქიდან, რაც ადრე მიიერთეს, ბევრი რამ დაკარგეს. გამოაძევეს დნეპრიდან და ფინეთის ყურედან, დაკარგეს ჩრდილოეთისა და სმოლენსკის მიწები, რაც 1617-1618 წლების სტოლბოვისა და დეულინსკის მოლაპარაკებებით ჰქონდათ დამტკიცებული. ამ დროს მოსკოვის ტახტის პრეტენდენტი, პოლონელი უფლისწული ვლადისლავი მოსკოვის შემოგარენში უზარმაზარი ლაშქრით იდგა. 1618 წლის ვარშავის სეიმის მიერ ამ ომის დასამთავრებლად მიცემული ერთწლიანი ვადა იწურებოდა. 27 აგვისტოს მოსკოვმა ვლადისლავს ერთგულება შეჰფიცა და ბოიარებმა გეტმან ჟოლკოვსკის ნება დართეს თავისი ლაშქრით მოსკოვის სიმაგრეები დაეკავებინა. რუსეთი მთლიანად საშინაო საქმეებით იყო შთანთქმული და აღმოსავლეთის წმიდა ადგილების დაცვაზე ფიქრიც კი არ შეეძლო, სანამ რუსულ პოლიტიკურ ცხოვრებაში ბობოქარი გარდატეხა არ მოხდა, რომელიც ისტორიაში არეულ დროებათა სახელითაა ცნობილი, და სანამ იგი პეტრე პირველის გენიით არ გარდაიქმნა, რომელმაც რუსეთი დასავლეთისაკენ მიაბრუნა. პეტრე დიდს ანდერძად საგარეო ხაზით მოღვაწეობის სამი ამოცანა დახვდა. ეს გახლდათ საგარეო პოლიტიკის სამი მორიგი საკითხი: შავი ზღვის, სამხრეთ-დასავლეთისა და ბალტიისა. ევროპისკენ სარკმლის გაჭრის მსურველმა პეტრემ პირველ ორ

საკითხზე ხელი აიღო, მთელი ძალისხმევა მესამის განსახორციელებლად მიმართა და ამ საკითხით იყო გატაცებული.

ისტორიული მონაცემები და თანამედროვეთა შეთანხმებული დამოწმებები უდავოდ ამტკიცებენ, რომ კონსტანტინოპოლის დაცემამდე და მის შემდგომაც ქართველები და მათი გვირგვინოსნები იყვნენ ქრისტიანული აღმოსავლეთისა და მის სიწმიდეთა დამცველები.

მიტროპოლიტ ფილარეტის აზრით, აღმოსავლეთის ეკლესიას მხოლოდ რუსეთი ეხმარებოდა. არტის მთავარეპისკოპოსის, უსამღვდელოესი სოფრონისადმი მიმართულ სიტყვებთან დაკავშირებით, რომლებიც შეეხებოდა მართლმადიდებლურ სახელმწიფოებს, რომ ვითომდა აღმოსავლეთის ეკლესიისათვის უამრავი წმიდა მსხვერპლი გაიღეს, მიტროპოლიტი ფილარეტი შენიშნავს: «საინტერესოა მაინც ვიცოდეთ, რომელ სახელმწიფოებს გულისხმობენ ისინი გარდა ერთისა, ანუ გარდა რუსეთისა, რომელსაც ამ ეკლესიის უფლებების, განსაკუთრებით წმიდა ადგილების დასაცავად დიდი ომისთვის უნდა გაეძლო?»¹⁵¹

უბველეს დროში, VI საუკუნის დასასრულამდე, პალესტინის მღვდელ-მონაზვნობის ისტორიიდან ცნობილია, რომ ვესები (ქართველები), აგიოლოგ წმ. საბა განწმედილის მოწმობით, ღვთიური თავგამოდებით აღვსილნი მოვიდნენ კონსტანტინოპოლში დევნილ მართლმადიდებელთა დასახმარებლად და დიადი მონასტრის დაცვისას მას მნიშვნელოვანი მხარდაჭერა აღმოუჩინეს¹⁵². XI საუკუნეში, ქრისტიანობისთვის უმძიმეს ეპოქაში, საქართველო მართლმადიდებლობას მხარს ყოველმხრივ უჭერდა და ქართველი ბერ-მონაზვნები სირიაში, პალესტინაში, სინაზე და სხვა ადგილებში თავგანწირვით მოღვაწეობდნენ. ქართველები ცნობილნი არიან, როგორც მონასტერთა აღმშენებლები და აღმდგენნი, რასაც უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა მთელი ქრისტიანული სამყაროსათვის; ამავე დროს, აქტიურ მონაწილეობას იღებდნენ უფლის წმიდა საფლავის ტაძრის აღდგენაში, რომელიც ეგვიპტის სასტიკმა სულთანმა, ხაკემ 1010 წელს დაანგრია. XI საუკუნის მიწურულსა და XII საუკუნეში წმიდა მიწის მონასტრებისთვის დახმარების აღმოჩენაში განსაკუთრებული მონაწილეობა ქართველთა მეფემ დავით აღმაშენებელმა (1089_1125) გამოიჩინა. წმიდა ჯვრის დაუძინებელ მტრებზე ჯვაროსანთა საყოველთაო ბრწყინვალე გამარჯვებით ფრთაშესხმულმა ქართველებმა აღთქმულ მიწაზე წასვლა გადაწყვიტეს, რათა ცხოველი მონაწილეობა მიეღოთ პალესტინელ ქრისტიანთა ცხოვრების შემსუბუქებასა და აღმოსავლეთის მოლაშქრეებთან ერთად ურწმუნოთა ხელიდან უფლის წმიდა საფლავის გამოხსნაში. თუმცა მღელვარე ზღვამ რწმენისთვის თავდადებული პირველი მამაცი მოლაშქრეები შთანთქა, ამ სტიქიურმა უბედურებამ ახალ მოხალისეთა თავგამოდება ვერ დააცხრო, რომლებმაც წმიდა მიწას წარმატებით მიაღწიეს და სირიელ ქრისტიანებთან და სომეხ მთავრებთან ერთად ჯვაროსნებს მათი ღვთიური მისიის აღსრულებაში ეხმარებოდნენ. «ქართლის ცხოვრება» ადასტურებს, რომ: მეფე დავითმა აღაშენა და შეამკო სავანეები, ყარიბთა სადგურები და მონასტრები არა მარტო თავისი სახელმწიფოს შიგნით, არამედ საბერძნეთში (ბიზანტიაში), წმიდა მთაზე (ათონი), ბულგარეთში, სირიაში, კვიპროსზე, შავ მთაზე (ქ. ანტიოქიის ახლოს) და პალესტინაში, მაგრამ განსაკუთრებით უხვი საჩუქრები უფლის საფლავის ტაძრისა

და იერუსალიმის მონასტრებისთვის გაიღო; იგი შემდგომშიაც განაგრძობდა ქველმოქმედებას და სინაზე აღაშენა მონასტერი, სადაც უფალი მოსესა და ელიას გამოეცხადა. სომეხი მთარგმნელი ამას ურთავს, რომ «დავითმა საჩუქრები უწყალობა ეკლესიებს კილიკიაშიც... სინაზე აღაშენა მონასტერი, რომელსაც ყოველწლიურად ათასობითა და ათი ათასობით ოქროს და რელიგიური დანიშნულების წიგნებს უგზავნიდა, ვინ მოითვლის რამდენს»¹⁵³.

დიდი თამარ მეფე (1189_1212 წ.) ენერგიულ მონაწილეობას იღებდა წმიდა მიწის ბედ-იღბლის გადაწყვეტაში. სომეხი მწერალი კირაკოსი ადასტურებს, რომ თამარმა მშვიდობიანი ურთიერთობა დაამყარა დამასკოს ქვეყნებისა (სირიის) და ეგვიპტის სულთნებთან, იერუსალიმის დამპყრობელ სალადინის შთამომავლებთან – გუზ-მელიქ-ქელმთან და აშრაფთან; ამასთან, თამარის სარდალმა ზაქარია მხარგრძელმა იკისრა ქალაქ ხლათის მცხოვრებთა მიერ შემთხვევით ტყვედ შეპყრობილი თავისი ძმის, თამარის სარდალ ივანეს ქალიშვილი ამ სულთანთაგან ერთ-ერთისთვის მიეთხოვებინა ტყვეობიდან ივანეს გამოსახსნელად. საქართველოში დაბრუნებისთანავე ივანე მხარგრძელმა ქალიშვილი სულთან გუზს გაუგზავნა, რომელიც ჯერ გუზს, მისი სიკვდილის შემდეგ კი აშრაფს მისთხოვდა. «სულთნების სახლში ამ პიროვნების შესვლა დიდი ბედნიერება იყო, – ამბობს იგივე კირაკოსი, – რადგან სულთნებმა მათ სამფლობელოებში მცხოვრებ ქრისტიანებს ადამიანური მოპყრობა დაუწყეს... შემსუბუქდა მონასტრებისთვის დაკისრებული გამოსაღები... სულთნებმა აკრძალეს იერუსალიმში მოსალოცად მიმავალ მათ სამფლობელოში მცხოვრებ ქრისტიანთა შეურაცხყოფა და ძარცვა; ასე ექცეოდნენ მეტადრე ქართველ ხალხს. ამრიგად, ქართველები განსაკუთრებულ პატივში იმყოფებოდნენ და მათ (მუსულმანურ) ქალაქებში (ქვეყნებში) და იერუსალიმშიც კი, გადასახადებისაგან ათავისუფლებდნენ. ეს დედოფალი იქ (წმიდა მიწაზე) დიდი პატივით სარგებლობდა. ამგვარად დამკვიდრდა მშვიდობა და მეგობრობა საქართველოსა და სულთანთა სამთავროებს შორის»¹⁵⁴.

1192_1193 წლებში თამარ მეფე და ქართველები, – მოგვითხრობს იბნ-შედადი, – სულთან სალადინს 200 ათას დინარს სთავაზობდნენ 1188 წელს მუსლიმთა მიერ იერუსალიმის აღებისას მიტაცებული ჯვარის გამო, რომელზეც მაცხოვარი იყო გაკრული, და იმავე სულთანს მათთვის წართმეული იერუსალიმის სავანეთა დაბრუნებას სთხოვდნენ. წმიდა თამარ მეფის მიერ ტრაპიზონის იმპერიის დაარსებასაც თავისი მიზანი ჰქონდა: მუსულმანურ სამყაროსთან პირისპირ მდგომს ამ სამყაროსთვის თვალი ფხიზლად უნდა ედევნებინა და აქედან ქრისტიანობისა და წმიდა ადგილების წინააღმდეგ მტრული მოქმედებების წამოწყებისთანავე სიწმიდეები დაუყოვნებლივ იარაღით დაეცვა უფლის ჯვრის მტრებისაგან.

ცნობილია, რომ 1219 წელს ჯვაროსნებმა დამიეტა აიღეს და ამით მუსულმანებს თავზარი დასცეს. ცნობა ჯვაროსანთა იარაღის უძლეველობის შესახებ წინა აზიის ქრისტიანებს ელვისებურად მოედო და მათ ყურანის მიმდევრებისაგან წმიდა ადგილების გათავისუფლების იმედი ჩაუნერგა. ამის შესახებ ჯვაროსანთა საგანგებო ელჩობის მიერ ეუწყათ ქართველებს. ქართველები მიესალმებოდნენ მუსულმანებზე მათ გამარჯვებას და ურჩევდნენ, მხოლოდ ამ გამარჯვებით არ დაკმაყოფილებულიყვნენ, ხოლო თუ მუსულმანთა მთავარ ბურჯ დამასკოზე

გალაშქრებას დააპირებდნენ, დასახმარებლად თავიანთ ჯარებს გაუგზავნიდნენ. ამ მიზნითვე თვით მეფე ლაშა-გიორგი სალაშქროდ მოემზადა და მასთან მრავალი დიდგვაროვანიც, მაგრამ, ქართველთა და აღმოსავლეთის ქრისტიანთა სამწუხაროდ, 1223 წელს მეფე ამ სამზადისისას გარდაიცვალა. იმავე ჟამს ქართველებმა მუქარის წერილი გაუგზავნეს დამასკოს მთავარს – კორადინს, რომელსაც ჯვაროსნების მიერ 1218 წელს დამიეტაზე იერიშის მიტანისას იერუსალიმის კედლების მოთხრა ეწადა. ქართველები მას წერილში კითხვით მიმართავდნენ: როგორ გაბედე ეს ქართველთა დაუკითხავადო? ამ ცნობებს XII საუკუნის ჯვაროსანთა ისტორიკოსი სანუტი ამატებს, რომ «ქართველები მეტად გაბედული მეომარი ხალხია, აქვთ გამაგრებული ციხე-სიმაგრეები, დიდი და ძლიერი ჯარი, ძალზე სახიფათონი არიან. დიდ ზარალს აყენებენ სარკინოზებს (არაბებს), ირანელებს, ლიდიელებსა და ასირიელებს (სირიელებს), რომელთა გვერდით მოსახლეობენ, ყოველი მხრიდან მათით არიან გარშემორტყმულნი და რომლებთანაც გამუდმებული ბრძოლები უწევთ... ქართველები უფლის საფლავის თაყვანსაცემად მაღლა აღმართული დროშებით მიემართებიან. წმიდა ქალაქში შესვლისას არავითარ გადასახადს არ იხდიან. სარკინოზები მათ განაწყენებას ერიდებიან, რადგან ისინი შინ დაბრუნებისას თავიანთ მეზობლებს (მუსულმანებს) უარესად მოეპყრობიან»¹⁵⁵. ცნობებს ქართველთა ძღვევამოსილების, სიმტკიცისა და პრივილეგიების შესახებ, რომლებითაც ისინი წმიდა მიწაზე სარგებლობდნენ, თითქმის სიტყვა-სიტყვით იმეორებს XIII საუკუნიდან მოყოლებული XVI საუკუნის ჩათვლით აქ ნამყოფი ყველა მოგზაური.

XIII საუკუნის პირველი მეოთხედიდან საქართველო ძალაუვნებურად ექცევა ირანის ტერიტორიაზე შექმნილ მონგოლთა სახელმწიფოს გავლენის სფეროში, სახელმწიფოსი, რომელიც გამუდმებით ებრძვის ჯერ სირიელ ეუბიტებს (1171_1254), შემდგომ კი ეგვიპტელ მამლუქებს. ქართველი მეფეები ან მხედართმთავრები XIII_XVI საუკუნეებში ქართული ჯარებით ხშირად ლაშქრობდნენ მესოპოტამიაში, სირიასა და პალესტინაში და მონგოლებთან ერთად ეგვიპტის საზღვრამდეც კი აღწევდნენ. მონგოლები დიდად აფასებდნენ სიმაძავეს ქართული ლაშქრისას, რომელიც თითქმის ყოველთვის ავანგარდში იმყოფებოდა და ხშირად წყვეტდა ბრძოლის ბედს, რაზედაც მუსულმანი და ქრისტიანი ისტორიკოსები მოგვითხრობენ. მონგოლთა ლაშქრობებში განსაკუთრებით გამოირჩეოდნენ მეფე დემეტრე და მისი შვილი ვახტანგ III. ზოგიერთი იმჟამინდელი ევროპელი მოგზაურისა და ისტორიკოსის სიტყვებით, ჰასან-შაჰმა (1304) სირიაში მამლუქების დამარცხების შემდეგ 1300 წელს, ჯარებს უბრძანა, თვით ეგვიპტემდე დადევნებოდნენ მათ. იერუსალიმი რომ აიღო, იგი ქართველებს გადასცა, კილიკიის ახლოს მამლუქებისთვის წართმეული მამულების ნაწილი – სომეხთა მეფეს, ხოლო ნაწილი – თავის ძმას».¹⁵⁶

მალე, XV საუკუნის შუახანებში მუჰამედ II მიერ ბიზანტიის დედაქალაქ კონსტანტინოპოლის დაპყრობის შემდეგ რომის პაპები: ნიკოლოზ V (1447_1455 წწ.), კალისტე III (1455_1458 წწ.) და პავლე II (1464_1471 წწ.) თურქების წინააღმდეგ ქრისტიანთა ამხედრებას ცდილობდნენ. ამ მიზნით პაპმა პიუს II (1458_1464) მქადაგებელთა საძმოს ბერ-მონაზონი ლუდოვიკო ბოლონიელი აზიაში წარგზავნა, რომ ქრისტიანები თურქების წინააღმდეგ აემბოხებინათ, წმიდა მიწა და კონსტანტინოპოლი გაეთავისუფლებინათ. 1459 წლის 22 აპრილს, ტრაპიზონის

იმპერატორი დავითი, რომელიც იერუსალიმის მეფობაზე ოცნებობდა, პაპს სწერდა, რომ თვითონ ის და მისი მოკავშირეები – ქართველი მეფეები და დიდებულები, ასევე ზოგიერთი უკმაყოფილო მუსულმანი მთავარი მზად არიან თურქების წინააღმდეგ წმიდა მიწიდან და კონსტანტინოპოლიდან მათი განდევნის მიზნით ომი დაიწყონ. როგორც ჩანს, მოკავშირეები უკვე ზღვასთან იკრიბებოდნენ, რომ სამორად გამოსულიყვნენ, მაგრამ ფრანგების მეფე ფილიპეს ვერ გადაეწყვიტა, პირადად თვითონ წასულიყო სალაშქროდ და ნაწილობრივ ამის გამო ყველაფერი ჩაიშალა. პაპისადმი ტრაპიზონის მეფე დავითის მიწერილი ბარათის გარდა ჩვენამდე მოაღწია ქართველთა მეფე გიორგისა და ყვარყვარე ათაბაგის წერილმაც, მიწერილმა რომელიც მღვდელმთავრისადმი. დავითი პაპს სწერდა, რომ მისი მოკავშირეები იქნებიან: ქართლის მეფე გიორგი 60 ათასიანი ლაშქრით, სამცხელი ათაბაგი ყვარყვარე 20 ათასი ცხენოსნით, ბედიანი (დადიანი) სამეგრელოსი და მისი ვაჟიშვილი 60 ათასიანი ლაშქრით, აფხაზეთის მთავარი, მისი ძმები და თავადები 30 ათასი კაცით. შემდგომ დასძენს, რომ მეფესთან იქნებიან ჯიქები (ჩერქეზები), ალანები (ოსები) და მეფე (მთავარი) მცირე სომხეთიდან 10 ათასი კაცით.

1483 წელს იერუსალიმში იმყოფებოდა მოგზაური ბრეიდენბახი, რომელიც გადმოგვცემს, რომ «იერუსალიმში ქართველი ბევრია. მათი სამშობლო კასპიის მთის ახლოს მდებარეობს, ძალიან ძლიერი და გაბედული ხალხია, იმდენი ჯარი ჰყავთ, რომ სარკინოზებს, ირანელებს, ლიდელებსა და სირიელებს მათი განაწყენების ეშინიათ. მიუხედავად იმისა, რომ ეს ხალხი ყოველი მხრიდან ურჯულოებითაა გარშემორტყმული, მისი მაინც ეშინიათ და იშვიათად აწყენინებენ. ამ ხალხს გიორგიელებს უწოდებენ, რადგან განსაკუთრებით თაყვანს სცემენ წმიდა გიორგის, რომელიც თავიანთ მფარველად მიაჩნიათ, და ლაშქრობის წინ მსხვერპლს სწირავენ. მათი დიდი ნაწილი იერუსალიმში ცხოვრობს და ბევრი სიწმიდე აქვთ, განსაკუთრებით ფლობენ გოლგოთას და ნაპრალს კლდეში, სადაც ჯვარი იყო აღმართული და ქრისტე ჯვარცმული; ამ ადგილზე აქვთ საკურთხეველი და თავიანთი ძვირფასეულობისათვის – სათავსო. ფლობენ წმიდა ანგელოზის საყდარსაც, სადაც ქრისტე ზეთისხილის მთიდან პირველად მიიყვანეს. ბერძენთა სარწმუნოებრივი მოძღვრების მიმდევრები არიან და პაპს არ ემორჩილებიან. სასულიეროებს მრგვალი ქუდები ახურავენ, საეროებს – ოთხკუთხედი. იერუსალიმში ჯგუფებად მოემართებიან, მის წმიდა ადგილებში მაღლა აწეული დროშებით დადიან და ყოველგვარი გადასახადებისაგან თავისუფლები არიან. სარკინოზები არავითარ უსიამოვნებას არ აყენებენ, რადგან ეშინიათ, რომ, როცა თავიანთ ქვეყანაში დაბრუნდებიან, ურჯულოებს (მუსულმანებს) უარესად მოეპყრობიან. კეთილშობილი ქართველი ქალები (თავადის ქალები) ასევე მონაწილეობენ ლაშქრობებში და იარაღს ამაზონებივით ხმარობენ. მამაკაცებს თმა და წვერი აქვთ მოშვებული, არ იკვეცენ მათ და ფერად ქუდებს იხურავენ. ღვთისმსახურებისას და წერისას ბერძნულ ენასაც იყენებენ, ხოლო საუბრისას, ქალდეურს (ქართველურს), სარკინოზულს (არაბულს)¹⁵⁷.

1519 წელს, ოსმანთა მიერ იერუსალიმის დაპყრობის სამი წლის შემდგომ, იერუსალიმში მოგზაური ჩუდი იმყოფებოდა, რომელიც ასევე ამბობს, რომ იერუსალიმში ბევრი ქართველი ცხოვრობს, მათი სამშობლო ვრცელია და უამრავი ქვეშევრდომი ჰყავთ, სამშობლო მათი მთებითაა დაცული და ვიწროებში დიდ ჯარებს მოძრაობა უჭირთ. ხალხი ლამაზი, კარგი მსროლელი, გამბედავი და

მეომარია, ამიტომ მეზობელ მუსულმანებს მათი ეშინიათ, ამათ არა, თუმცა მათით გარშემორტყმულნი არიან. ისინი დიდ პატივს სცემენ წმიდა გიორგის, თავიანთ მფარველად მიაჩნიათ, ამიტომ მათ გეორგიანელებს (Vulgo Zorzayer), ხოლო მათ ქვეყანას გიორგიას (Vulgo Zorzania) უწოდებენ. ისინი წმიდა ადგილებისკენ ზეადმართული დროშებით თვით იერუსალიმამდე მიემართებიან, პალესტინაში მათგან არც გადასახადებსა და არც ბაჟს იღებენ. განაწყენებას ვერავინ უბედავს. დიდგვაროვანი ქალებიც ასევე მიდიან სალამქროდ ამაზონებივით. კაცებს წვერი მოკლე აქვთ. მათი ქუდების შესახებ ჩუდი იმასვე ამბობს, რაც ზემოთაა ნათქვამი. ქართველები ბერძნულ სარწმუნოებას მისდევენ და ხშირად ბერძნულ წიგნებს კითხულობენ, ღვთისმსახურებისას მათსავე ენას, საერო საქმეებში კი ქალდეურ და სარკინოზულ ენებს იყენებენ. მათი მღვდლები და ბერ-მონაზვნები მუდმივად წმიდა საფლავის ტაძარში იმყოფებიან. ამას გარდა, ქართველები მრავლად ცხოვრობენ აღმოსავლეთის ქვეყნებშიც, მუსულმან მბრძანებელთა სახელმწიფოებში. მათი ქვეყანა აბრეშუმითაა მდიდარი, რომლითაც ისინი საკმაოდ ვაჭრობენ. ღვთისმოსიში ხალხია, უზაკველად ღვთისმორჩილი, ღვთისმსახურებაში გულმოდგინე. ჩვენი კათოლიკენი არასდროს არ გრძნობდნენ მათდამი სიძულვილს; ჰყავთ მთავარეპისკოპოსები, ეპისკოპოსები და ილუმენები. შემდგომ ჩუდი ამბობს, რომ გოლგოთას განაგებენ ქართველები, აგრეთვე ანა წინასწარმეტყველის სახლის ადგილზე მდგარ წმ. ანგელოზის ეკლესიასაც.

1552 წელს იერუსალიმში მყოფი მოგზაური ბართლომე დე-სოლინიაკიც ამასვე ამბობს. წმიდა მიწაზე ქართველთა გავლენის შესახებ, კერძოდ, როცა ქართველები იერუსალიმში მოდიან, თურქეთის სულთანს გადასახადს არ უხდიან, აქლემებსა და ცხენებზე ამხედრებულნი აწეული დროშებით საზეიმოდ შედიან იერუსალიმში. სულთნებსა და თურქებს მათი მეტად ეშინიათ¹⁵⁸.

1710 წელს პატრიარქი დოსითეოსი მეფე ერეკლესადმი (ნიკოლოზისადმი) მიწერილ წერილში წერს: «ბაგრატიონთა გვარი და მათგან წარმომდგარი მეფეები ანუ ივერიის მართლმორწმუნე ხელმწიფეები ოდითგანვე იყვნენ **დამცველნი, ქომაგები და ქტიტორები** წმიდა და მაცოცხლებელი საფლავისა და დანარჩენი თაყვანსაცემი პატიოსანი ადგილებისა. ეგვიპტელ სულთნებთან ბერძენ მეფეთა ომების დროს, როცა წმ. იერუსალიმის მონასტრებს საბოლოო განადგურების საფრთხე დაემუქრა, ივერიის მეფეებმა, როგორც ეგვიპტელი სულთნების მეგობრებმა, ეს წმიდა სავანეები შეინარჩუნეს და ჩვენ ისინი ქტიტორებად ვიხილეთ. არაბებისა და ეგვიპტის სულთნებთან ბერძენთა და ფრანკთა ომების დროს მონასტრები უკიდურესად მოძველდნენ და საბოლოოდ დანგრევა ელოდათ. ივერიის მეფეები კი მათ ამაგრებდნენ, როგორც ეს, სხვათა შორის, ჩანს ქართულ ენაზე შესრულებული ერთი ჩანაწერიდან, რომელიც წმიდა გოლგოთაზე ინახებოდა და მართლმადიდებელმა მეფემ, ვახტანგ გორგასალმა (V ს) შეადგინა»¹⁵⁹.

ასე და ამგვარად, როცა რუსეთი ჯერ კიდევ ძლიერი სახელმწიფო არ იყო, მუსულმანებისაგან ქრისტიანობის ერთადერთი დამცველნი მართლმადიდებელ ერთაგან მხოლოდ ქართველები იყვნენ. ქართულმა ეკლესიამ თავისი მამაცი და თავდადებული შვილები მუსულმანთაგან ქრისტიანობის დასაცავად არაერთხელ გამოიყვანა სამშობლოს გარეთ. «XV საუკუნეში, ქართველებისთვის ყველაზე მძიმე ეპოქაშიც კი, ჩვენ ვხედავთ, _ ამბობს აკადემიკოსი ნ. მარი, _ რომ ქართველებთან მეგობრობას უფრო აფასებდნენ და მათ, როგორც სამხედრო, ისე პოლიტიკურ

მნიშვნელობას ისეთ შორეულ ქვეყანაშიც კი აღიარებდნენ, როგორც ეგვიპტეა. ჩვენ, სხვათა შორის, ამ საკითხზე ხელთა გვაქვს ერთი იმდროინდელი საბუთი, რომელიც იერუსალიმში სომხურ ენაზეა დაწერილი»¹⁶⁰.

მუსულმანურ სამყაროს მამაცი ქართველები და მათი მეფეები აღმოსავლეთის წმ. ადგილების დამცველებად მიაჩნდა ყოველთვის. ქართველთა პოლიტიკურ ძლიერებასა და მხედრულ დიდებას ადასტურებს არაბი მწერალი შიხაბ-ედდინ-ელკალკაშანდი (†1418წ.) «სახელმწიფოები, სადაც ქრისტიანი მეფეები იმყოფებიან, – ამბობს იგი, – რომელთა შესახებ ამ (ანუ ეგვიპტის) სახელმწიფოს მიერ იწერება, სულ ორია. უპირველესი (მათგან) ქართული მართლმადიდებელი სახელმწიფოა. იგი (საქართველო) დიადი ქვეყანაა და ძლიერი სახელმწიფოა... მასში ხელისუფლება მტკიცეა... იგი სულთან ხულაგუ-ხანის (უმადლეს) გამგებლობაში იმყოფება, რომელიც ირანის სახელმწიფოში ზეობს. მისი იარლიყები (ანუ ბრძანებები) იქამდე აღწევდნენ, მაგრამ მისი (სულთნის) ლაშქრის ნაკადი არ ესხმის მას და მისი ცხენოსანი გვარდია ომის გასაჩაღებლად მის შიგნით არ იჭრება... ქართული ლაშქარი ჯვრის რწმენაზე მტკიცედ დგას და ვაჟკაცი და გაბედული ხალხისაგან შედგება. ისინი ხულაგუიანების ჯარებისათვის ბურჯი და მხარდამჭერები არიან... მახსოვს, როცა მას (ქართველ მეფეს) ეგვიპტიდან საჩუქრებს უგზავნიდნენ. მახსოვს იგი, როგორც ქრისტიანთა უმთავრესი მეფე და მირონცხებული ადამიანებიდან (ქრისტიანობაში) ყველაზე ფესვგადგმული კაცი. მას იერუსალიმის წმიდა ჯვრის ეკლესიის გამო მიმოწერა ჰქონდა სულთნის (ეგვიპტის) სასახლის კართან და სთხოვდა, დამპყრობელთა (მუსულმანთა) ხელიდან დაეხსნათ. გამოსცა ბრძანებები, რომლებიც მათთვის (ქართველებისათვის) ამ ეკლესიის გადმოცემას ავალდებულებდა, თუმცა, იგი უკვე მათ (მუსულმანებს) ჰქონდათ დაპყრობილი; იგი იერუსალიმის კედლებს გარეთ მდებარეობდა და მეჩეთად იყო გადაკეთებული. ამან (ქრისტიანებისათვის) ეკლესიის დაბრუნებამ) მუსლიმთა მწიგნობრები და ღვთისმოსავები დაამწუხრა, თუმცა ეს გაუაზრებლად როდი იყო ჩადენილი... ეგვიპტელი სულთნები ქართველ მეფეებს ასეთ ხოტბას ასხამდნენ: «ალაჰმა დღეგრძელი ჰყოს მისი უდიდებულესობის ბრწყინვალეობა, წარჩინებული ხელმწიფისა, დიადისა, მამაცისა, უშიშარისა, ძლევამოსილისა, გულმოდგინე მეფისა, ლომისა, ტახტისა და გვირგვინის მფლობელისა, თავისი რელიგიის წინამძღოლისა, ქვემეგრდომთა მიმართ სამართლიანისა, ბერძენ მეფეთა შორის უმჯობესისა, ქართველთა სულთანისა, ზღვათა სამეფოებისა და სრუტეების საუნჯისა, რაინდთა იდუმალი ადგილის დამცველისა, წინაპართაგან ტახტებისა და გვირგვინების მემკვიდრეობით მიმღებისა, ირანისა და მურთა ქვეყნების მცველისა, იონიელთა შთამომავლისა, სირიელ მეფეთა ესსენციისა, ურჩეულესისა ტახტებისა და გვირგვინების მფლობელთა შორის, ქრისტიანთა დიდებით შემოსვლისა, იესოს რელიგიის ბურჯისა, მესიის რაინდთა მიერ მირონცხებულისა, წმიდა სახლის (ანუ იერუსალიმის) განმადიდებელისა, ნათელღებულთა ბურჯისა, შემწესი პაპისა, რომის პაპისა, მუსულმანთა მეგობრისა, უახლოეს მეგობრებს შორის უმესანიშნავესისა, მეფეთა და სულთანთა უწრფელესი მეგობრისა»¹⁶¹.

ქართველები ხშირად საკუთარი ნებით თათარი (მონგოლი) ხანების სამსახურშიც დგებოდნენ, რომლებიც მათ დიდ პატივს მიაგებდნენ¹⁶² და ომში მოკავშირეებად უდგებოდნენ მარტოოდენ იმ მიზნით, რომ მაჰმადიანებისადმი

თათრების მტრობისთვის მხარი აებათ და საჭირო შემთხვევაში მათთან საბრძოლველად წაეჭეზებინათ. თათრები დიდად აფასებდნენ სიმამაცეს ქართული ლაშქრისას, რომელიც თითქმის ყოველთვის ავანგარდში იბრძოდა და ბრძოლის ბედსა და შედეგსაც წყვეტდა, რის შესახებაც მუსულმანი და ქრისტიანი ისტორიკოსები მოგვითხრობენ. ბიზანტიელი ისტორიკოსის, პახიმერის სიტყვებით (XVI ს-ის დამდეგს), «აღმოსავლეთის თათართა ხანი, კაცანი მაშინაც კი, როცა ომი არ იყო, მუდამ მრავალრიცხოვანი რჩეული და ბრწყინვალე მხლებლებით ჩნდებოდა. ამ დაცვაში უპირატესად **იბერები**, ჩინებული და გამოცდილი მეომრები მსახურობდნენ. მათ შესისხლხორცებული ჰქონდათ მეომრული სული და კეთილშობილური სილაღე, ამას გარდა, ძალზე ზნეკეთილები იყვნენ, რადგან ქრისტიანული (მართლმადიდებლური) რწმენა წმიდად შემოინახეს. ხანმა უწყოდა, რა დიდი ძალა ჰქონდა ჯვრის გამოსახულებას, რომელმაც მოპოვებულ გამარჯვებათა გამო სამართლიანად **«ქრისტიანული მონაპოვრის»** სახელი დაიმკვიდრა, შეტაკებათა დროს ყველაზე მეტად იბერთა ლეგიონს ეყრდნობოდა, რომელსაც ბრძოლაში დროშის ნაცვლად ჯვრის გამოსახულება მიუძღოდა; ხანს იბერები ჩვეულებრივ გარს ჰყავდა შემოკრებილი და ისინი მუდამ მცველებად ახლდა თან. ამგვარად, ხანი არაბთა სულთანს უმძიმეს დამარცხებებს აგემებდა, იერუსალიმამდეც კი მიაღწია და ლამის დაიპყრო ეს ქალაქი, რომელიც სულთანმა ქრისტიანებს წაართვა. წმიდა ქალაქს უმთავრესად თავისი იბერების დაჯილდოების მიზნით მიუახლოვდა, რომლებიც, როგორც უწყოდა, მეტად წუხდნენ, რომ მათ ცხოველმყოფელ საფლავს მაცხოვრის მტრები, სარკინოზები ფლობდნენ და ბილწავდნენ. მიუხედავად იმისა, რომ ხანმა იმისი ასრულება ვერ შეძლო, რაც სურდა, სულთნის ლაშქარი მაინც სასტიკად დაამარცხა»¹⁶³.

XVIII საუკუნის მეორე ნახევარშიც კი (1768 და 1770 წწ.), როცა საქართველოს მუსულმანები რკინის სალტესავით ერტყნენ გარს, სირიელ-ქალდეველ უმაღლეს სასულიერო პირთა და საპატიო მოქალაქეთაგან შემდგარი ელჩობა არაერთხელ მომზადდა, რომ აღმოსავლეთის ქრისტიანთა ქომაგ ერეკლე II-ისთვის გამოსარჩლება და მფარველობა ეთხოვა¹⁶⁴.

თავის დროზე, რა თქმა უნდა, უეჭველად დაიწერება მართალი ისტორია აღმოსავლეთში ქართველთა თავგანწირული მოღვაწეობის შესახებ და მაშინ ქრისტიანული სამყარო გაოცდება იმ უმძიმესი ისტორიული როლის გამო, რომელიც უფლის განგებით დაკისრებული ჰქონდათ ქართველებს აღმოსავლეთის წმიდა ადგილებისა და ქრისტიანობის დაცვის საქმეში, გაოცდება, პატარა საქართველომ როგორ შეძლო უფლის წმ. საკურთხეველზე ამდენი მსხვერპლის მიტანა. ქართულმა ეკლესიამ კაცობრიობის ისტორიაში უდიდესი და წმიდა მისია შეასრულა.

ცნობილი რუსი აღმოსავლეთმცოდნე, ელინური სიტყვიერების დოქტორი, აწ განსვენებული ეპისკოპოსი პორფირი (უსპენსკი) არქეოლოგიასა და ქრისტიანული აღმოსავლეთის ისტორიის სფეროში თავისი ხანგრძლივი მოღვაწეობის ჟამს, როცა წმიდა მიწის უამრავ ქართულ ძეგლს ეხებოდა, უდიდესი სიყვარულითა და დამსახურებული ყურადღებით ეპყრობოდა მათ, რითაც ღრმა პატივისცემას გამოხატავდა ქართველი ხალხის წარსულის, მისი ჭეშმარიტად ქრისტიანული ღვთისმოსაობის, უდიდესი გარჯისა და ზრუნვის, საეკლესიო ღვთისმეტყველების,

ხელოვნებისა და აღმოსავლეთის წმ. ადგილებში მართლმადიდებლური ეკლესიის დაცვის გამო¹⁶⁵.

პროფესორ ა. ცაგარელის სამართლიანი შენიშვნით, «არცთუ იშვიათად, სხვადასხვა საუკუნისა, სხვადასხვა ეროვნებისა და მრწამსის უცხოელები წმიდა მიწაზე ქართველთა მოღვაწეობაზე უფრო მეტს საუბრობენ, ვიდრე ქართველები თავიანთ თავზე; მხოლოდ ზოგჯერ ქვაზე ან ლითონზე რომელიღაც ლაკონიური წარწერა ან შემთხვევითი ჩანაწერი პერგამენტზე და ა.შ. ამცნობს შთამომავლობას ქართველთა ისეთ ქმედებებზე, რომელთა შესახებ მთელი ფოლიანტების გავსება შესაძლოც და აუცილებელიც იყო...»¹⁶⁶

რუსეთის პოლიტიკური წარმატებები მართლმადიდებლური აღმოსავლეთის პოლიტიკურ უბედურებათა შედეგი იყო. იმ დროს, როცა XVI-XVII საუკუნეები რუსეთის თანდათანობით განვითარებასა და განდიდებას უწყობდა ხელს, იმავე საუკუნეებმა საბოლოოდ დაასუსტეს და დაამსხვრიეს ძლიერება მართლმადიდებლური საქართველოსი, რომელიც მუსულმანური ოკეანის შუაგულში მარტოდმარტო, თანადგომის გარეშე აღმოჩნდა. ხშირად იგი მუსულმანებს ერთდროულად სამ ფრონტზე ებრძოდა, და ზეადამიანური ძალისხმევით წმიდა ჯვრის დროშასა და სამშობლოს იცავდა. ეს უიღბლო ეპოქა რომ არა, საქართველო უეჭველად დღესაც თავისი ტრადიციული მიზნებისა და ბიზანტიის ანდერძის აღმსრულებელი იქნებოდა და აღმოსავლეთში ქრისტიანობის დამცველისა და ქომაგის დიად როლს ღირსეულად გააგრძელებდა. რუსებს ქრისტიანულ აღმოსავლეთში უკანასკნელ დრომდე არც ერთი მონასტერი არ გააჩნდათ და იქ, XVIII საუკუნემდე რუსეთის როლისა და საგანმანათლებლო მისიის შესახებ საუბარი უცნაურიც კი იქნებოდა. ბერძენთა გათავისუფლების მიზნით განხორციელებული ერთადერთი კამპანია 1768 წელს, ეკატერინე დიდის ზეობისას, ყირიმელ თათართა შეუფერხებელი გათავისუფლებით დასრულდა. ახლაც კი, ძლევამოსილ და ვრცელ რუსეთს, მიუხედავად პრესტიჟული მდგომარეობისა და პალესტინის საიმპერატორო საზოგადოების ყოველნაირი მცდელობისა, საზოგადოებისა, რომელიც უზარმაზარ მატერიალურ და მორალურ მსხვერპლს გაიღებს, წმიდა მიწაზე იმ გავლენის რაღაც ნაწილიც არ გააჩნია, რაც XVIII საუკუნის მიწურულამდე შედარებით პატარა საქართველოსა და მის მართლმადიდებლურ ეკლესიას ჰქონდა.

ამჟამად მართლმადიდებლურ აღმოსავლეთში სრულიად სხვაგვარი სურათია გამოკვეთილი. თუ ადრე პალესტინის წმ. ადგილები უპირატესად ქართველებსა და ბერძნებს ეკუთვნოდათ, ამჯერად წმ. მიწაზე ყოველგან კათოლიკეთა და პროტესტანტთა კეთილმოწყობილი მონასტრები, ყარიბთა თავშესაფრები, მისიონერთა ბანაკები და სასწავლო-აღმზრდელობითი დაწესებულებებია განფენილი, რომელიც წლიდან წლამდე უძრავი ქონებისა და თავიანთი აღმსარებლობის ადეპტთა უზარმაზარი მასის უფლებათა განმტკიცებისათვის იღვწიან. კათოლიკეები და პროტესტანტები წმიდა მიწაზე განუწყვეტლად ჩადიან, ხოლო მართლმადიდებელთა რიცხვი ყოველწლიურად მცირდება: 1840 წელს პალესტინაში მხოლოდ 2 000 კათოლიკე იყო, ამჟამად კი 25 000, ანუ მთელი ქრისტიანული მოსახლეობის დაახლოებით მესამედია. არამართლმადიდებლური პროპაგანდა თითქმის მთლიანად სკოლებისა და ფართო ქველმოქმედების გზით

ხორციელდება. განსაკუთრებით მდიდრულად ინგლისური და ამერიკული საზოგადოებებია მოწყობილი.

ახლა გადავდივართ შემდეგი საკითხის განხილვაზე, რომელსაც რუსულ საეკლესიო-ისტორიულ ლიტერატურაში უდიდესი მნიშვნელობა აქვს მინიჭებული, კერძოდ: ათონის წმიდა მთის რომელ მონასტერში იყო აღკვეცილი რუსული ბერ-მონაზვნობის დამფუძნებელი, მაღალღირსი ანტონ პეჩორელი, ვის შესახებაც რუსული ეკლესიის ისტორიის პატრიარქმა ე. ე. გოლუბინსკიმ უკვე უიმედო იგნორაბიძმუს გამოთქვა. ჩვენ ვფიქრობთ, რომ პირდაპირ მინიშნებათა არქონის გამო, ამ საინტერესო საკითხის ახსნა ირიბი გზით შეგვიძლია. შევეცდებით, წამოჭრილ საკითხზე ჩვენთვის ყველა ცნობილი თუ უცნობი მონაცემი ქართული საეკლესიო და სხვა ძეგლებიდან მოვიხმოთ.

რუსული ბერ-მონაზვნობის დამფუძნებლის _ ანტონის მატიანეში აქამდე არაა გადაწყვეტილი მნიშვნელოვანი საკითხი მისი ბერად აღკვეცის ადგილსამყოფელის შესახებ. 1051 წლის თარიღით მატიანეში ანტონის ბერად აღკვეცის თაობაზე ასეა მოთხრობილი: «იყო ვინმე კაცი საერო სახელით, წოდებული ანტიპად, ქალაქ ლიუბეჩიდან 167 და მას ღმერთმა ქვეყანაში მიმოსვლა ჩააგონა; მან კიდევ, წმიდა მთას მიაშურა და რა იხილა მონასტრის ჭეშმარიტება (სიმართლე), და რა მოვლო, შეიყვარა შაოსანთა წესი, იმ მონასტერში მივიდა და მის წინამძღვარს შესთხოვა ბერად აღკვეცა, მანაც კიდევ აღკვეცა და სახელიც ანტონი უწოდა, დაარიგა, შაოსანთა წესს აზიარა და მიმართა: «დაბრუნდი ისევ რუსეთში, და კურთხეულ იყავ წმიდა მთისაგან, რამეთუ შენგან უამრავი ბერ-მონაზონი წამოვა (გაჩნდება)», აკურთხა და წასვლისას მიმართა: «იარე მშვიდობით!»¹⁶⁸

უფრო დაწვრილებით ცნობებს გვაწვდის თქმულება: «პეჩორის მონასტრის დასაბამის შესახებ». თქმულება ღირს ნესტორს მიეწერება. იგი ორი რედაქციითაა ცნობილი: მოკლე და უფრო ვრცელით. მეორე რედაქციის მიხედვით ანტონი ათონზე ორჯერ იმყოფებოდა. ეს რედაქცია ადასტურებს, «რომ ანტონი აღკვეცის შემდეგ 1013 წელს ჩავიდა კიევში, ხოლო სვიატოპოლკის მიერ ბორისისა და გლების მოკვლის შემდეგ (1015 წ.) ათონზე წავიდა; როცა იაროსლავ დიდი მთავრის ტახტზე დაჯდა (1017 წ.), მაშინ ანტონი, მიტროპოლიტის კათედრაზე ილარიონის აღყვანასთან დაკავშირებით, კიევში 1051 წელს ისევ დაბრუნდა. ეკლესიის ისტორიკოსი და ღვთისმეტყველი მიტროპოლიტი მაკარი უპირატესობას მოკლე ნუსხას ანიჭებს¹⁶⁹.

XIX საუკუნის შუახანებამდე რუსულ საღვთისმეტყველო მეცნიერებაში ცნობილი არ იყო, მრავალსაგანეებიანი ათონის რომელ მონასტერში დაბინავდა და აღიკვეცა ანტიპა. ისტორიკოსი ს. მ. სოლოვიოვი ანტონის აღკვეცასთან დაკავშირებით ამბობს: «...ათონზე რუსეთიდან ერთი ქრისტიანი, ქალაქ ლიუბეჩის მკვიდრი ანტიპას სახელით გამოცხადდა და ერთ-ერთ იქაურ მონასტერში ანტონის სახელით აღიკვეცა; ესფიგმენის მონასტრის მახლობლად ზღვის ნაპირთან პირველი რუსი ბერ-მონაზვნის ქვაბულს გიჩვენებენ»¹⁷⁰. «გასული საუკუნის ორმოციან წლებში ჩვენთვის ცნობილი გახდა, _ ამბობს გოლუბინსკი, _ ათონის ესფიგმენის მონასტრის აქამდე სრულიად უცნობი გადმოცემა (ეს მონასტერი მდებარეობს ნახევარკუნძულის აღმოსავლეთ ნაწილში, ხმელეთიდან მეორეზე, ანუ სოლუნიდან ხილენდარის შემდეგ), რომ ანტონი სწორედ იქ იყო ბერად აღკვეცილი და რამდენიმე ხანს მის სიახლოვეს ზღვის მაღალ ნაპირზე

(ზღვაზე გადმოკიდებულ მაღალ მთაზე) მდებარე ქვაბულში მოწესებდა¹⁷¹. ამ გადმოცემას უარესად წესიერი ბარსკი არ ახსენებს; ეტყობა, მის დროს არ არსებობდა და ჩვენმა სწავლულებმა, გარდა გულუბრყვილო ა. ნ. მურავიოვისა¹⁷², არავინ დაიჯერა. ნაკლებად განათლებულმა ხალხმა კი ირწმუნა ის, რაც გადმოცემის საწინააღმდეგოდ დაფარულად და არცთუ მთლად დაფარულად იყო ნაწერი»¹⁷³. მაგრამ თუ ათონზე საქმე ყველასა და თითოეულისათვის ყოველგვარი დაფარვის გარეშეა ცნობილი, ჩვენ რუსეთში აშკარა სიმართლე რატომ არ უნდა ვიცოდეთ?

ამგვარად, ეს გადმოცემა ესფიგმენელებმა უბრალოდ იმ მიზნით შეთხზეს, რომ თავიანთი მონასტერი რუსეთის მფარველობის ქვეშ შეეყვანათ, ჩვენი ცნობილი ხელგაშლილობით ესარგებლათ¹⁷⁴, ანდა, ყოველ შემთხვევაში, უფლება მიეღოთ, რუსეთში გადასახადები აეკრიფათ (პირველ მონასტერში ვერა, მაგრამ უკანასკნელში ნამდვილად წარმატებით მოასწრეს). ესფიგმენელებმა შეთხზეს გადმოცემა და დაწერეს ანტონის «ცხორება» მტკიცებულებათა მოშველიებით, რომ იგი მათთან აღიკვეცა. მაგრამ «ცხორებას» ის უბედურება ეწია, რომ მას ანტონი ათონზე 973 წელს, ჯერ კიდევ რუსეთის მოქცევამდე ჩამოჰყავს. როცა ამ «ცხორების» შემოქმედთ ამ უაზრობის შესახებ მიუთითეს, მათ მოგვიანებით მისი მეორე და მესამე რედაქცია შეადგინეს¹⁷⁵. მესამე რედაქციას, რომელიც უკვე 1863 წელს არსებობდა, ანტონი ათონზე მაინც 1012_13 წლებში ჩამოჰყავს (ნაბეჭდი პატერიკის მიხედვით); ამიტომაც თავისუფლადაა შესაძლებელი, რომ ამჟამად (როცა ნაბეჭდი პატერიკის უსაფუძვლოდ შესახებ შეიტყვეს), მათ ორი-სამი კიდევ მიუმატეს (როცა ჩვენ 1873 წელს ათონზე ვიმყოფებოდით, «ცხორების» პირველი და მეორე რედაქციათა ავტორი ისევ ცოცხალი იყო). თუ იაროსლავის მმართველობის მეორე ნახევარში ათონზე რუსული მონასტრის არსებობა დამტკიცდება (ათონური გაგებით ნამდვილი მონასტრის, ანდა თუნდაც სენაკის სახით)¹⁷⁶, რაც სავსებით დასაშვებია, მაშინ ადვილად შესაძლოა ვარაუდი იმისა, რომ ანტონი სახელდობრ რუსულ მონასტერში აღიკვეცა¹⁷⁷.

ათონის რუსულ მონასტერში ანტონის შესაძლო აღკვეცის გოლუბინსკისეულ ვარაუდთან დაკავშირებით, საჭიროდ მიმაჩნია შემდეგი რამ შევნიშნო: ჯერ ერთი, საექვოა ოდესმე რუსეთის მოქცევიდან ასეთ მოკლე ვადაში ათონის რუსული მონასტრის დაარსების¹⁷⁸ ფაქტი დამტკიცდეს, როცა ჯერ კიდევ ახლად მოქცეულ ქვეყანაში ბერ-მონაზვნობა ის-ის იყო ფეხს იკიდებდა. ახალგაზრდა ეკლესიაში ქრისტიანობის იდეებმა ადამიანის შინაგან მონაპოვრად გარდასახვა ჯერ კიდევ ვერ მოასწრეს და მხოლოდ იმისდა მიხედვით, თუ რამდენად გაერკვნენ და გაითავისეს ქრისტიანობის სწავლების ამაღლებული არსი, შეიძლებოდა მათში ბერ-მონაზვნური ცხოვრების მოთხოვნილება გაჩენილიყო. ეს უკვე შემდგომი სულიერ-ზნეობრივი სრულქმნის სტადია გახლავთ. მეორეც: ათონზე რუსული მონასტრის (ან სენაკის) არსებობა რომც დადასტურებულიყო, მაშინაც ნაკლებად დასაჯერებელია, რომ ღირსი ანტონი, კერძოდ, მასში და არა რომელიმე ძველ, ისტორიულად ცნობილ და კეთილმოწყობილ მონასტერში არ აღკვეცილიყო. უცნაურიც კი იქნებოდა, იგი ათონზე იმ მიზნით წასულიყო, რომ ბერად რუსულ მონასტერში ეკურთხებინათ, როცა ამისი გაკეთება რუსეთში იმ დროს არსებულ ერთ-ერთ მონასტერშიც შეეძლო. თუ მისთვის წმ. ათონის მთაზე ბერად შედგომას

რაიმე მნიშვნელობა ჰქონდა, მაშინ იგი აღკვეცის ადგილად უდავოდ არა რომელიმე ახლად დაარსებულ მონასტერს ან სენაკს აირჩევდა, რომელთაც ბერ-მონაზვნური ცხოვრების ტრადიცია არ ჰქონდათ, არამედ ძველ მონასტერს, სახელგანთქმულს თავისი მოღვაწეობითა და ბერების სულიერი განმანათლებლობით, რომლებთანაც მას განსწავლა შეეძლო. ისტორიკოსი, მიტროპოლიტი მაკარი ღირსი ანტონის ესფიგმენში აღკვეცის შესახებ ექვს გამოთქვამს: «თითქოს იქ აღიკვეცა», – ამბობს ის¹⁷⁹. ჩერნიგოვოს მთავარეპისკოპოსი ფილარეტი ანტონის ბერად აღკვეცას, მათიანის მიხედვით, მონასტრის დაუსახელებლად მიუთითებს და ამბობს: – «ათონის ერთ-ერთ მონასტერში აღიკვეცა»¹⁸⁰.

ამგვარად, ღირსმა ანტონ პეჩორელმა ათონის რომელ მონასტერში მიიღო ანგელოზებრივი მოწესობა? თქმულება «პეჩორის მონასტრის შესახებ» სწავლულთა ერთხმა მტკიცებით XI საუკუნეში მცხოვრებ ნესტორ ჟამთააღმწერელს მიეწერება, რომელმაც რუსული ბერ-მონაზვნობის დამფუძნებლის, ანტონ პეჩორელის აღკვეცის არც დრო და არც ადგილი იცის. ასეთი მნიშვნელოვანი ფაქტის არცოდნა პეჩორის სავანის სამშობლოში მყოფი პირისთვის მიუტევებელია. ეს ვითარება მჭევრმეტყველურად ადასტურებს, რომ ნესტორი, რომელსაც ზოგიერთები «გარდასულ წელთა ამბის» ავტორად მიიჩნევენ, XI საუკუნეზე გაცილებით გვიან ცხოვრობდა. წარმომოხებით ლიუბეჩელი ანტიპა ბერად ან ათონის ერთ-ერთ ბერძნულ მონასტერში უნდა შემდგარიყო, ანდა ქართულ ივერთა მონასტერში. ძველი რუსეთი, რომელიც საბერძნეთის ეკლესიის ავტორიტეტს ცნობდა, თვით ბერძნებს განსაკუთრებულად არასოდეს აფასებდა და პატივსაც არ მიაგებდა. «ის იყო პირმოთნე იმიტომ, რომ იყო ბერძენი», – შენიშნავს რუსი მემატიანე რუსების ერთ-ერთი ბერძენი ეპისკოპოსის შესახებ (XII ს.). «საბერძნეთის არსი დღევანდელ დღემდე ფარისევლურია»,¹⁸¹ ამოწმებს მემატიანე. რუსეთში ბერძნების მიმართ საერთოდ კეთილგანწყობილნი არ იყვნენ, რაც მემატიანის მიერ ჩერნიგოვოს ეპისკოპოს ანტონის შესახებ გამოხმაურებიდანაც ჩანს: «იგი ამას სიტყვებით ამბობდა, მაგრამ გულში სიცრუეს მალავდა, იმიტომ, რომ მოდგმით ბერძენი იყო»¹⁸². ძველრუსული ანდაზები ბერძენთა ემბაკობების შესახებ ასევე დამახასიათებელია: «ა. ტოროპეცელს (ქალაქი ფსკოვის გუბერნიაში) მოატყუებს ბოშა, ბოშას ებრაელი, ებრაელს ბერძენი, ბერძენს კი თვით ემბაკიც ვერ მოერევა»; ბ. «ბერძენი სიმართლეს წელიწადში მხოლოდ ერთხელ ამბობს». გ. «ბერძენი ოქროს გამო თვალებს ამოითხრის» და სხვ.

ნიკონის მათიანის მიხედვით: «რუსმა ეპისკოპოსებმა ილარიონი, რუსინი (რუსი) კიევისა და მთელი რუსეთის მიტროპოლიტად რომ აირჩიეს, მართლმადიდებელ პატრიარქთა და ბერძნული ღვთისმოსაობის კანონებს არ წყდებოდა, არც მათ მიერ გაკეთებული არჩევანის გამო გაამაყებულა, მაგრამ თავს იცავდა მაშინ არსებული მტრობისა და მზაკვრობისაგან.

აქ «მაშინ» მიუთითებს 1043 წლის ომზე ბიზანტიასთან, რომელიც რუსებისათვის უკიდურესად წარუმატებლად დასრულდა. 1043 წელს, ბერძნულ პროვინციებზე რუსების უკანასკნელი თავდასხმისას იაროსლავის რჩეულმა ვოევოდა ვიშატამ თავისი რაზმიდან 5 200 კაცი დაკარგა და 800 ტყვესთან ერთად კონსტანტინე მონომახმა (1042_1055 წწ.) ბიზანტიონის მოედანზე დააბრმავა, ხოლო ზავის დადებისთანავე რუსეთში გაუშვა¹⁸³. შემდგომ ასეთი სასტიკი

საქციელისა, რაც რუსი ისტორიკოსების¹⁸⁴ მიხედვით მთავარი მიზეზია იაროსლავის მიერ რუსული ეკლესიის ბიზანტიურზე დამოკიდებულების შეწყვეტისა და უცხო, ბერძნული ელემენტის სიჭარბისაგან რუსული ეკლესიის განთავისუფლებისა, უცნაურიც კი იქნებოდა ვარაუდი იმისა, რომ ანტიპას ათონის ბერძნული მონასტრისა და ბერძენი წინამძღვრისათვის ბერად აღკვეცის გამო მიემართა.

ჩვენ ვვარაუდობთ, და გვაქვს კიდევაც საფუძველი ვივარაუდოთ, რომ მონასტერი, რომელშიაც ლიუბეჩელმა ანტიპამ ხელდასხმა მიიღო, ყოველგვარი ექვის გარეშე კეთილმოწყობილი და სტუმართმოყვარე ივერიის (ქართული) მონასტერი იყო, რომელიც ამ დროს ათონზე თავის მკვიდრთა წმიდა ცხოვრებითა და რელიგიურ-საღვთისმეტყველო განმანათლებლობით ბრწყინავდა. აქ სათნოებითა და მაღალასკეტური ცხოვრებით ანათებდნენ ბერ-მონაზონი გაბრიელი, რომელიც ღირს იქნა ივერიის მფარველი, კარიბჭის ღმრთისმშობლის სასწაულმოქმედი ხატი მიერქვა; იოანე თორნიკე, 12 000-იანი ქართული რჩეული ლაშქრის ყოფილი ქართველი მხედარმთავარი, რომელმაც ამბოხებული ბარდა სკლიაროსისაგან ბიზანტია იხსნა (976 წ.); ივერიის მონასტრის წინამძღვარი ღირსი ექვთიმე (†1028), რომელმაც ბერძენ იმპერატორთა კარზე ბრწყინვალე განათლება მიიღო და სახელი გაითქვა მაღალმხატვრული თარგმანებით ბერძნული ენიდან ქართულზე და ქართულიდან ბერძნულზე; და საღვთო კანონთა დიდი მცოდნე, ივერიის მონასტრის წინამძღვარი გიორგი მთაწმიდელი (†1065 წ.), თავისი დროის უგანათლებულესი პიროვნება, ღვთისმეტყველი, ისტორიკოსი, პოეტი და ქრისტიანულ აღმოსავლეთში კონსპირატიულ-სპირიტუალისტური მიმართულების გამოჩენილი წარმომადგენელი.¹⁸⁵

ივერიის სავანის შესახებ საუბრისას, რომელიც სხვადასხვა ტომის მრავალრიცხოვან მართლმორწმუნე ქრისტიანს, სულიერი განათლების მისაღებად და ბერ-მონაზვნურ მოღვაწეობაში სრულყოფის მიზნით იზიდავდა, შეუძლებელია ერთი მეტად მნიშვნელოვანი და ღირსშესანიშნავი ფაქტი არ მოვიხსენიოთ, რომელსაც ძალუმს ჩვენ მიერ წამოჭრილ, ღირსი ანტონ პეჩორელის აღკვეცის საკითხს თუნდაც ნაწილობრივ მაინც შუქი მოჰფინოს. წმ. იოანეს, ექვთიმესა და გაბრიელ ივერიელ – აგიორიტების აგიოლოგი, ივერიის სავანის წინამძღვარი გიორგი გვამცნობს, რომ ჯერ კიდევ წმ. იოანე ივერის სიცოცხლეში (998 წ.) რომიდან ათონზე ღვთისმოსავი ცხოვრებით სახელმოხვეჭილი დუკა ვენევენტოსის ძმა ექვს მოწაფესთან ერთად ათონის სიწმიდეთა თაყვანისაგემად ჩავიდა, რასაც ამოწმებენ რომისა და საბერძნეთის ქვეყნები. ჩვენმა წმიდა მამებმა, როგორც კი მისი დიდი სათნოებითა და სიბრძნით დამშვენებული სახე იხილეს, ახლობლებივით შეხვდნენ, თავიანთ სავანეში სიყვარულით მიიღეს და შემდეგი სიტყვებით სთხოვეს მათთან დარჩენილიყო: «ჩვენც თქვენსავით უცხო ქვეყნიდანა ვართ». დუკა ვენევენტოსის ძმა თავის მოწაფეებთან ერთად ივერიის სავანეში დარჩა. ვინაიდან სახელგანთქმული და წარჩინებული კაცი იყო, მის შესახებ ხმა ელვისებურად გავრცელდა და რომაელთა დედაქალაქიდან და სხვა ქალაქიდან მრავალი მოისწრაფოდა ივერიის სავანისაკენ მასთან, რომ ბერად აღკვეცილიყო. ამის ხილვაზე წმიდა მამებმა უთხრეს მას: *«წმიდაო მამაო! რამეთუ, აღკვეცის მნდომნი შენთან მრავალნი მოილტვიან, თავადაც აღკვეცე»*¹⁸⁶. *სულთა მხსნელად მოველინე და უფალს აზიარე ისინი. ისიც ვიცით, ბერ-მონაზვნობისთვის შენთან*

მოსვლა სხვა ხალხსაც ნებავს, ჩვენ შეგეწევით, შევიძინოთ მიწას და საჭიროებისამებრ ყველაფერს» (აქ ათონზე მათი სავანის დაარსების გამო მატერიალური და მორალური დახმარება იგულისხმება). მიუხედავად იმისა, რომ იგი (დუკა ვენევენტოსის ძმა) საზრუნავსა და ურვას გაურბოდა, წინააღმდეგობის გაწევა არ უცდია, დაემორჩილა მათ და ლეონის სახელით აღიკვეცა. ივერიის სავანის მამათა შემწეობითა და მათი უშუალო ხელმძღვანელობით, შორიახლოს მონასტერი ააშენეს, სადაც ღირსი ლეონი დაფუძნდა. ლეონთან ბერ-მონაზვნური მიზნით მრავალმა იწყო თავმოყრა. ათონზე ასე შეიქმნა, წმ. ბენედიქტის ტიპიკონის მიხედვით, რომაული მონასტერი. ივირონის წმიდა მამები რომაელთა ახალ მონასტერს და ღირს ლეონს ხშირად სტუმრობდნენ და მასთან ძალიან მეგობრულად ცხოვრობდნენ.¹⁸⁷

წმ. გაბრიელ ხატმომრქმელი ივერიელი და წმ. ბერი ლეონ დიდი რომაელი (პაპი)¹⁸⁸ ურთიერთის მიმართ უდიდესი სულიერი სიყვარულით იყვნენ გამსჭვალულნი და, როცა ლეონ დიდი წმიდა მამათა (ივერიელთა) მოსანახულებლად მიემართებოდა, იმ დღეებს წმ. გაბრიელის სენაკის სიახლოვეს მისთვის გამოყოფილ სენაკში ატარებდა. მშობლიური ენის გარდა, მან სხვა ენა არ იცოდა, არც იმან (ანუ გაბრიელმა) და როგორც კი მწუხრი ჩამოწვებოდა, ისინი თავიანთი სადგომებიდან გამოდიოდნენ, ლოცვებს აღავლენდნენ, შემდეგ დასხდებოდნენ და ცისკრის ზარებამდე საღმრთო სიტყვის შესახებ საუბრობდნენ. თავიანთ სავანეში დაბრუნებამდე ყოველი სერობის შემდგომ ასე ირჯებოდნენ. ჩვენი მამები და წმ. მთის მიდამოებში მცხოვრები ქრისტესმიერი ძმები ფიცით ირწმუნებოდნენ, რომ, როცა ლეონ დიდი (პაპი)¹⁸⁹ აქ მოდიოდა, ისიც და გაბრიელიც მუდამ ასე იქცეოდნენ, და ადასტურებენ, რომ მათი სიწმიდის გამო, სავსებით შესაძლოა, ყველაფერი სრული ჭეშმარიტება იყოს, ვინაიდან ისინი ღვთის წინაშე სრულყოფილები და დიადები იყვნენ¹⁹⁰. დიდად გულისამაჩუყებელია, როცა რომაელ დაყუდებულთა მიმართ ივერიელთა ნამდვილი ქრისტიანული ძმთმოყვარეობის შესახებ კითხულობ, ეს განსაკუთრებით ნათლად ივერიელთა მიერ რომაელთათვის სავანის მოწყობაში გამოვლინდა. ასე და ამგვარად, ჩვენი მამების ზრუნვის წყალობით, ათონზე, ღვთის ტახტის წინაშე, ბერ-მონაზონთა სამყაროს ლამპარი, ახალი წმიდა სანთელი აინთო.

ზემოთ კურსივით მოყვანილი ნაწერი – მიმართვა ლეონისადმი ივერთა მონასტრის მამებისა, ძალიან გვაგონებს ილუმენის სიტყვებს, თქმულს ათონის ერთ-ერთ მონასტერში რუსული მატიანის მოწმობით, ახლად აღკვეცილი ბერის, ანტონის მიმართ.

როგორც ჩვენამდე მოღწეული, პერგამენტზე შესრულებული შესანიშნავი ქართული «მოსახსენებლის» 1074 წლის ხელნაწერიდან ირკვევა, ივერთა მონასტერი და მისი მოწესეები რუსებს ბერ-მონაზვნურ ღვაწლში მათი სრულყოფის მიზნით¹⁹¹ მეგობრული სიყვარულით იღებდნენ. დასახელებულმა ხელნაწერმა უძვირფასესი ცნობა შემოგვინახა იმის შესახებ, რომ ივერიის მონასტერში რუსი ბერ-მონაზვნებიც მოღვაწეობდნენ. 7 იანვრის რიცხვით დადგენილია «მოსახსენებელი» რუსყოფილი იოანესი, რომელსაც დასახელებული მონასტრისათვის ხუთი წმიდა-სამღვდელომსახურო წიგნი და სასულიერო-ზნეობრივი ხასიათის თხზულებები შეუწირავს: სადღესასწაულო თვენი ორ

წიგნად და თითო თხზულება დიონისესი, ლავსალკონისა და თეოდორესი. თუ იყო მაგალითები იმისა, რომ რუსები ათონის ივერთა მონასტერში სამუდამოდ რჩებოდნენ და ქართველდებოდნენ კიდევაც, რაზეც გამოთქმა- «რუსყოფილი» მიუთითებს (ყოფილი რუსი), მაშასადამე, ექვგარეშეა, რომ ამ სავანეში მოღვაწე რუსები ხანგრძლივი სტუმართმოყვარეობითა და მის მოსახლეთა ძმური ურთიერთობითაც სარგებლობდნენ. ამ ხელნაწერში შემორჩენილია ცნობა მხოლოდ ერთ რუს მოწესეზე, ვინც დიდძალი ქონება გაიღო შესაწირად, მაგრამ ისიც ცხადია, არც ისე ცოტანი იყვნენ რუსები საერთოდ, რომელთა მცირე შემოწირულობები «მოსახსენებელში» არ აღირიცხებოდა. მათ იქ ასკეტური ცხოვრების წყურვილი და ხსენებული მონასტრის საღვთისმეტყველო სასწავლებელში სასულიერო განათლების მიღება იზიდავდათ. დიდი იყო რუსების მუდმივი და ღრმა პატივისცემა ივერთა მონასტრისადმი, მისი სიწმიდის, ღვთისმშობლის კარის სასწაულმოქმედი ხატისადმი, რომლის ასლი 1648 წლის 13 ოქტომბერს ივერიის სახელით მოსკოვში ჩამოაბრძანეს. მას უადრესად დიდ თავყვანს სცემდა მთელი რუსი ხალხი, განსაკუთრებით თეთრქვიანი*, და რომელიც რუსებისთვის მშობლიურად იქცა. ეს კი იმ დიდი ზემოქმედებისა და მფარველობის გამოძახილია, რასაც ივერთა მონასტერი რელიგიურ-ზნეობრივი სრულყოფის საქმეში საერთოდ სლავებზე, კერძოდ კი რუსებზე ახდენდა. ღირსი ანტონ პეჩორელის ხსენების დღეს რუსული ეკლესია ძველ დროში არა 10 ივლისს აღნიშნავდა, როგორც ამჟამად, არამედ 7 მაისს. ამ დღესასწაულის 7 მაისს დაწესება ექვგარეშეა ქართული ბერ-მონაზვნობის დამაარსებლის, ღირსი იოანე ზედაზნელის ხსენების დღის ზეგავლენით მოხდა. იოანე ზედაზნელის ხსოვნის დღესასწაულს ქართული ეკლესია 7 მაისს დღევანდლამდე აღნიშნავს, მთავარი სახალხო ზეიმი კი წინააღმდეგ იწყება. სიტყვამ მოიტანა და აქვე გავიხსენებთ, რომ ძველ რუსეთში თავიანთ ტაძრებს ივერთა მონასტრის ნიმუშით მოხატავდნენ, რაც მიუთითებს რუსეთის უძველეს ზნეობრივ-რელიგიურ კავშირზე ივერიასთან საერთოდ, და ამ წმიდა სავანესთან განსაკუთრებით; ყოველივე ეს მტკიცე საფუძველს გვაძლევს დარწმუნებით ვივარაუდოთ, რომ ლიუბეჩელი ანტიპა ბერად ივერთა მონასტერში შედგა, თუ ანტიპა ათონზე ბერად აღკვეცის მიზნით ნამდვილად იმყოფებოდა. შესაძლოა, მემატიანემ მთელი ეს ამბავი ივერთა სავანეში რომაელ მეუდაბნოეთა ბერად აღკვეცის შესახებ, ჩვენ მიერ ზემოთ მოყვანილი ისტორიის ზეგავლენით შეთხზა.

ივერიის კულტურული ზეგავლენა ასევე გამოვლინდა ძველი რუსეთის საეკლესიო-ლიტერატურულ ძეგლებში და საერთოდ, მთლიანად რელიგიურ-ყოფითი ცხოვრების ყაიდაში, ენაში, ხალხურ სიტყვიერებაში, თქმულებებში, ზღაპრებში,¹⁹² სიმღერებში, ლეგენდებში, გამოცანებში, ანდაზებში¹⁹³, შელოცვებში, დაფიცებებში, გადმოცემებსა და ა. შ. «რუსეთის კავშირი კავკასიასთან ჩვენი ისტორიის მთელ პერიოდში, – სრულიად სამართლიანად შენიშნავს პროფ. მ. ე. ხალანსკი, – ისეთი ცოცხალი და მუდმივი გახლდათ, რომ აპრიორი შესაძლებელი იყო შევხვედროდით რუსულ ხალხურ შემოქმედებასთან კავკასიური ხალხური თქმულებების ურთიერთობის საკითხს. ამ ეთნოგრაფიულად უდიდესი ევროპული სივრცის წიაღში მცხოვრებ ერებს ხშირად ხანგრძლივი ურთიერთობა ჰქონდათ რუსეთის სამხრეთთან და აღმოსავლეთთან. მათი გავლენის კვალი ხალხურ შემოქმედებაში უსათუოდ უნდა ასახულიყო,

როგორც ენაში, ისე ყოფასა და რუსი ერის საერთო სულიერ წყობაში¹⁹⁴. მდიდარი ქართული სიტყვიერება შეუძლებელია უცნობი დარჩენილიყო რუსული მწერლობისათვის. იგი უეჭველად გადასცემდა მას თავის მოთხრობებსა და რომანებს, ანდა აღმოსავლელ მწერალთა თარგმანებს, რომლებითაც ივერია საერთოდ მდიდარი იყო.

ანბანი. ბრესლაუს უნივერსიტეტის რუსული და პოლონური ენების პროფესორი, დოქტორი აბიხტი გლაგოლიცასა და ქართული საეკლესიო ანბანის შესწავლა-შეჯერებისას იმ დასკვნამდე მივიდა, რომ წმ. კირილე, განსწავლული მოღვაწე, ბიბლიოგრაფი, ქართულ დამწერლობას იცნობდა და მისი საეკლესიო ანბანიდან სლავურისათვის ისესხა ასონიშნები, რომლებიც ბერძნულ ენას აკლდა¹⁹⁵.

გლაგოლიცას ქართულ-საეკლესიო ანბანთან შედარებისას დავრწმუნდით, რომ პირველი ასონიშნები: а, н; г, ж, і, и, м, п, х, ქართული ანბანიდანაა ნასესხები, თანაც ზოგჯერ უმნიშვნელო ცვლილებებით¹⁹⁶.

ს. პეტერბურგის არქეოლოგიის ინსტიტუტის მიერ გამოცემულ 1600_1699 წლების გაკრული ხელით ნაწერ ძეგლებში ჩვენ ქართულის მსგავსი შემდეგი ასონიშნები ვიპოვეთ:

ღ (ასო ძ) ქართულადაც (მხედრული) დ, **ღ** იმავე ბგერას აღნიშნავს;

წ (ასო ძ) საეკლესიო-ქართულშიცაა ასეთივე მოხაზულობით) **წ** ასო ძ);

ჩ (ასო ჩ) შესაბამისი ასო საეკლესიო-ქართულშიცაა, იწერება – **ჩ**, შემაერთებელი ხაზი ძირსაა, არის ასეთივე მოხაზულობისაც **ჩ** და ნიშნავს რბილ **ჩ**-ს¹⁹⁷;

ჭ (ასო ძ) ქართულად (მხედრული) ზ, აღნიშნავს ბგერა ძ-ს;

ღ (ასო ძ) ქართულად (მხედრული) თ, აღნიშნავს ბგერა თ-ს;

ქ (ასო ყ) საეკლესიო ქართულში **ქ** აღნიშნავს ბგერა ძ-ს;¹⁹⁸

ყ (ასონიშანი ძ) ქართული (მხედრული) - უ აღნიშნავს ყ-ს;

შ (ასონიშანი ძ) ქართული (მხედრული) - შ აღნიშნავს - შ-ს.¹⁹⁹

საეკლესიო სლავური გალობა

ძველი სლავური საეკლესიო-საღვთისმსახურო გალობა ნათელყოფს, რომ რუსულმა მატრიანებმა საეკლესიო გალობათა წარმოშობის შესახებ ორი შეუთანხმებელი მოწმობა შემოინახეს: იოაკიმეს მატრიანისა და ხარისხთა წიგნისა. იოაკიმეს მატრიანე წმ. ვლადიმირის ნათლისღების შესახებ თხრობისას აღნიშნავს, რომ სლავთაგან ჩამოვიდნენ მომღერლები. ხარისხთა წიგნი კი გვეუბნება, რომ სამი ბერძენი მგალობელი ჩამოვიდა ნათესავებთან ერთად: «და მათგან იწყო რუსეთის მიწაზე ანგელოზებრივი გალობა, ლამაზი თანხმიერება, მით უფრო

სამხმომავანი კეთილხმოვანება და ყველაზე მშვენიერი შეწყობილი გალობა...»²⁰⁰. ეს ურთიერთგამომრიცხავი ცნობები ნათლად უჩვენებენ, რომ მემატრიანებმა გარკვევით არ უწყოდნენ, რუსეთში სამხმომავანი გალობა რომელი ხალხისაგან შევიდა. ბერძნული გალობის განხილვისას ვხედავთ, რომ იგი უნისონური, არაპოლიფონიურია ²⁰¹. ბერძნების ძირითადი მელოდია სავსებით თავისთავადია. ეს მელოდია მთლიანად ერთს, უფრო მტკიცე ხმას ერთვის, ამასთან სხვები პიესის მთავარი მოტივის ვარირებით ავსებენ ამ ხმას. ეს გალობა ულტრატერტილურია. აი, ამგვარ გალობას მიიღებდნენ ბალკანელი სლავები და ამათგან იგი რუსებთანაც გადავიდოდა. იბადება კითხვა: ასეთ შემთხვევაში, რუსულ ეკლესიაში საიდან გაჩნდა სამხმომავანი გალობა?

ბიზანტიაში მრავალხმიან საეკლესიო-ღვთისმსახურების გალობას რომ ეარსება, დღევანდლამდე უსათუოდ შენარჩუნებულიც იქნებოდა. მარტივი, მონოტონური გალობა უფრო დაიკარგებოდა, ვიდრე ჰარმონიზებული. ვარაუდი, რომ ასეთი მელოდიური გალობა თვით რუსული ეკლესიის წიაღში წარმოიშვა, უსაფუძვლოა, რადგან მელოდიური გალობის გამოსამუშავებლად მრავალი საუკუნე და კულტურის გარკვეული დონეა საჭირო.

საეკლესიო მუსიკის ღრმა მცოდნემ, ს. ვ. სმოლენსკიმ, ათონზე და ვენაში ნოტების უამრავი ფოტოსურათი გადაიღო. ისინი IX-XIII საუკუნეთა გალობების დამასკომდელ სანოტო სისტემამდეა შექმნილი და მათ საფუძველზე ასკვნის, რომ «ბერძნულ და რუსულ სასიმღერო ნოტებს შორის მრავალი განსხვავებული გრაფიკული ნიშანია, რომლებიც ყოველი ნოტისთვისაა დამახასიათებელი და ბერძნულ და რუსულ გალობებს შორის კავშირს ასუსტებენ; თავიდან საერთო საწყისის მქონე, (?), ორივე ეროვნების ხელოვნება შემდგომში დამოუკიდებლად განვითარდა». საერთო საწყისის შესახებ მტკიცება მხოლოდ ძველი ქართული საეკლესიო გალობის შესწავლის შემდგომ, ჩვენამდე მოღწეული VIII-XI საუკუნეთა ნოტებით იქნება შესაძლებელი. ვფიქრობთ, რომ სამხმომავანი მელოდიური გალობა ქალდეველ-ქართველთაგან სლავებმა ისესხეს. როგორც ჩანს, ჯერ ბულგარელებმა გადაიღეს, შემდგომ კი ამათგან რუსებმა, თუმცა სულაც არაა დაუჯერებელი, რომ რუსებსაც ბულგარელთა მსგავსად, უშუალოდ ქართველთაგან გადაეღოთ²⁰².

როგორც უცხოელი მწერლები და მოგზაურები ადასტურებენ, ჩვენი წინაპრები ჯერ კიდევ წინარექრისტიანულ ეპოქაში ადგენდნენ გუნდებს და თავიანთ სიმღერებს ღვთაებათა სადიდებლად ასრულებდნენ²⁰³, ქრისტიანობის მიღებისთანავე ქართულმა ეკლესიამ მშობლიური წარმართული მელოდიების მთელი მრავალფეროვნება გამოიყენა. ყველასათვის კარგადაა ცნობილი ის თავისუფლება, რაც უპირველეს ეკლესიაში საღვთისმსახურებო გალობასთან დაკავშირებით იწვევებოდა. ტერტილიანეს მოწმობით, ეკლესიის ყოველ წევრს უფლება ჰქონდა ტაძრის ცენტრში გამოსულიყო და ღმერთი თავისი სურვილისამებრ ედიდებინა²⁰⁴. ჩვენმა წინაპრებმა ბერძნებისაგან ქრისტიანობასთან ერთად არ მიიღეს მათი უნისონური გალობა, როგორც ეს გააკეთეს საკუთარი ნაციონალური მუსიკის არმქონე სომხებმა; ისინი (ქართველები) ხალხური ჰიმნების შესრულებისას იმავე მუსიკალური ცოდნითა და გემოვნებით ხელმძღვანელობდნენ, რაც თავად გამოიმუშავეს და ჯერ კიდევ წარმართობის ხანაში შექმნეს. ამგვარად, ქართული საეკლესიო გალობა ქართველ

წარმართთა ხალხურ-რელიგიური მოტივების ნიადაგზე ვითარდებოდა. როცა ძველ ქართულ საგუნდო გალობას შორიდან ვუსმენთ, ზოგჯერ ძნელი დასადგენია, საეკლესიო სიმღერას ასრულებენ თუ ხალხურს, ისე ჰგავს ეკლესიური მოტივები ხალხურს. ამიტაც შესაძლოა აიხსნას, ძველ საქართველოში საუკეთესო ხალხური მომღერლები სასულიერო წრიდან რატომ გამოდიოდნენ²⁰⁵.

საეკლესიო-სლავური გალობის ბიზანტიური წარმოშობის შესახებ რუსეთში დამკვიდრებული ცრუ აზრის ზეგავლენით ჩვენი ცნობილი ისტორიკოს-არქეოლოგი პლ. იოსელიანიც, ასევე, გაუთვითცნობიერებლად ჩვენს წინაპართა მიერ საეკლესიო გალობათა გადმოღებას ბერძნებისაგან ვარაუდობდა²⁰⁶. ხალხურთან შედარება ჩვენი გალობისა, რომელიც სათავეს შორეულ წარსულში იღებს და ბაბილონის ლურსმულ წარწერებსა და ეგვიპტურ იეროგლიფებზე გაცილებით ასაკოვანია, გვარწმუნებს, რომ ჩვენი ამჟამინდელი საეკლესიო-სადვთისმსახურო გალობა ჩვენი გაქრისტიანებული წარმართი წინაპრების სიმღერაა, ჩვენი ქრისტიანობამდელი უძველესი ეროვნული სიმღერის ღვიძლი პირმშოა. ქართული საეკლესიო მელოდიები თვითმყოფადია და მშობლიური პოეზიის ნიადაგზე აღმოცენდნენ. შესაბამისად, ქართულ საეკლესიო გალობათა პოეტური ელემენტები მშობლიური პოეზიის ელემენტების არსის შემცველია. გაცების ღირსია ის, რომ ჩვენ მზისადმი მიძღვნილი ჰიმნი შევინარჩუნეთ, რომელსაც ჩვენი წინაპრები – კჰალდი – ქრისტეს შობამდე რამდენიმე ათასწლეულის წინათ მღეროდნენ, როცა ისინი ჯერ კიდევ მესოპოტამიაში, სამოთხის მდინარეთა, ტიგროსისა და ეფრატის ნაპირებზე მოსახლეობდნენ, ვმღერით ჩვენც, მათი შორეული შთამომავლები, ხოლო ყოფილი შუამდინარეთისა და ქალდეას დღევანდელ მცხოვრებთათვის იგი უცნობია. როგორ მოხდა, რომ ეს ჰიმნი შენარჩუნდა და აყვავდა იქ, სადაც არ დანერგილა და გაქრა იქ, სადაც თავდაპირველად ამოიზარდა? როგორც ჩანს, ეს ჰიმნი შორეულ ჩრდილოეთში სწორედ იმ ყველაზე მუსიკალურ ხალხთან ერთად გადავიდა, რომელმაც იგი შეთხზა და პირველმა იმღერა. ამ უშესანიშნავესი, დედამიწაზე ყველაზე უძველესი ჰიმნის (მზის) მოტივის შესახებ გ. კორემჩენკო ამბობს: «დამატყვევებელი მოხდენილობით, ლაზათით, სითბოთი და სიწორფელით, იგი ქართული ხალხური მუსიკალური პოეზიის ჭეშმარიტი მარგალიტი გახლავთ»²⁰⁷.

ქართული ნაციონალური გალობის შესახებ გ. კორემჩენკო ამბობს: «ქართული ხალხური სიმღერების სტილი, მელოდიის დიატონიკური წყობის მნიშვნელობით, მკაცრად თავშეკავებული ხასიათისაა. პლასტიკური სილამაზე, საეკლესიო კილოები და ქრომატიზმის უქონლობა ქართული საეკლესიო წესის მკაცრ ხასიათს შეესატყვისება... ქართველთა ხალხური სიმღერები ყველა ძველ საეკლესიო კილოსთანაა შეწყობილი, ამ კილოებისათვის დამახასიათებელი კადენციებითა და მოდულაციებით, რომლებიც დიდი ოსტატობით და როგორღაც თავისებური ორიგინალური ჟღერადობით გამოიყენებიან»²⁰⁸. ავტორი აღმოსავლურ მუსიკაზე თავისი დაკვირვებებისას ქართველთა ხალხური სიმღერების მრავალფეროვნებაზე, სიუხვეზე, მითითებულ სიმღერათა სილამაზისა და პოეტური შთაგონების შესახებ დაწვრილებით საუბრისას უცილობელი მაგალითებით ამტკიცებს სომხურ გალობაზე ქართული მუსიკის ზეგავლენას, ხოლო ბოლოს, ქართულ და უკრაინულ სიმღერებს შორის პარალელის გავლებით მათ შორის ნათესაობას, საერთო მუსიკალურ ფაქტურას ადგენს. გ. კორემჩენკოს

მიერ მოყვანილ უკრაინულ და ქართულ სიმღერათა მსგავს მოტივებს გარდა, ჩვენ კიდევ ერთ სახელგანთქმულ უკრაინულ საცეკვაო-საგუნდო სიმღერაზე: «Гопь мой гречаники»... მივუთითებთ, რომელიც ნასესხებია ამგვარივე მარად ახალგაზრდა საცეკვაოდან, გუნდის მიერ რომ სრულდება. ეს საცეკვაოა «ცანგალა და გოგონა». უეჭველია, უკრაინელები თავიანთ შესანიშნავ მელოდიებს ქართული ხალხური მუსიკის მაღალმხატვრული საგანძურად იღებდნენ: «ძველ რუს სიმღერები მრავალი ხალხისაგან სმენია, _ ამბობს პროფ. მაქსიმოვიჩი, _ და შესაძლოა რუსულ სიმღერებში ბევრი ხმა ამ სიმღერათა გამოძახილია»²⁰⁹. უკრაინაც საქართველოს მსგავსად სიმღერების ქვეყანაა. ორივე ხალხი წლის ყოველ დროს, ყოველ საქმიანობას, სოფლისა და ოჯახის ყოფიერებას განსაკუთრებული სიმღერებით აღნიშნავს. ქართულ სიმღერათა მინორულ კილოს შეესაბამება **სევდა, რაც უკრაინული სიმღერებისთვისაც უმნიშვნელოვანესი მახასიათებელია**²¹⁰. როცა გ. კორემჩენკო ქართული ნაციონალური მუსიკის მთელ საგანძურს საგანგებოდ შეისწავლის, დარწმუნდება, რომ ქართული საეკლესიო გალობა უძველეს ხალხურ კილოზეა აწყობილი და არა პირიქით.

არ შემიძლია გავიზიარო პატივცემულ პოლ. კარბელოვის შეხედულება იმის თაობაზე, ²¹¹ თითქოს ქართულ სიმღერებზე ებრაულ მელოდიებს მოეხდინოთ ზეგავლენა. როგორც ქალდეის გათხრები ადასტურებენ, როცა ქართველთა წინაპრებს _ Khald_ებს მაღალი კულტურა ჰქონდათ, ისტორიულ სცენაზე ებრაელები ჯერ კიდევ არ ჩანდნენ და როცა გამოჩნდნენ, კიდევ დიდხანს მომთაბარე ყოფა-ცხოვრების წესს მისდევდნენ. მაშასადამე, თუ ვინმეს სიმღერა სხვისაგან შეეძლო გადაეღო, ებრაელებს ჩვენი წინაპრებისაგან უნდა გადაეღოთ და არავითარ შემთხვევაში _ პირიქით.

ქართული ღვთისმსახურება.

ალეპოს მთავარდიაკონი პავლე, რომელიც XVII საუკუნის შუახანებში ანტიოქიის პატრიარქ მაკარს რუსეთში მოგზაურობისას ახლდა, იუწყება, რომ მოსკოვში პატრიარქებისა და მეფის თანდასწრებით საღმრთო ლიტურგიაზე მან სახარება ქართულ ენაზე წაიკითხა, ქართულადვე წარმოსთქვა შეგვიწყალენი (კვერექსი) «კათაკმეველნო! განვედით»²¹², _ რაც უდავოდ იმ პატივისცემას მოწმობს, რასაც როგორც რუსეთში, ისე აღმოსავლეთში ქართული ღვთისმსახურებისა და ენის მიმართ ამჟღავნებდნენ. ამაზე ის გარემოებაც მიუთითებს, რომ წარმოშობით არაბმა მთავარდიაკონმა პავლე ალეპოელმა ქართული ეჭვგარეშეა, ანტიოქიაში ისწავლა, სადაც ქართულ საღვთისმეტყველო ენას დიდად აფასებდნენ.

სახარების, ან სამოციქულოს წამღერებით კითხვა, შეგვიწყალენის (კვერექსის) და ასამაღლებელის წარმოთქმის ხასიათი სლავებმა და მათ შორის რუსებმაც ქართველთაგან ისწავლეს, ვინაიდან ქრისტიან ხალხთაგან არავინ, გარდა ქართველებისა, წმიდა საღვთისმსახურო წიგნთა ამგვარი კითხვა და შეგვიწყალენის ასეთი გულწრფელი წარმოთქმა, არ იცის. სერბეთში სახარებისა და სამოციქულოს კითხვა უკეთაა შემონახული. უკანასკნელი რუსეთ-თურქეთის ომის დროს იქ მყოფი ქართველები ადასტურებენ: სახარებისა და სამოციქულოს სერბულ საეკლესიო კითხვას შორიდან ყურს თუ დაუგდებ, იფიქრებ, რომ მათ ქართულ-ეკლესიურად კითხულობენ, ისე საოცრად ჰგავს ერთმანეთს ამ საღვთო წიგნების კითხვა ჩვენთან და მათთან.

ხატწერა. XVII საუკუნეში მოსკოვის სასახლესთან არსებულ ხატსაცავში, როგორც ეს ხატსაცავის აღწერილობის 84_85-ე გვერდებიდან ჩანს²¹³, მრავალი ბერძნული და ქართული წარმოშობის ხატი იყო დაცული. ამ საინტერესო სიის გადათვალთვლისას, რომლის ჩამონათვალში სხვადასხვა წმიდანის 13 ქართული ხატია, ადვილად გაარკვევთ, რომ აღნიშნულ ქართულ ორიგინალურ ხატებს მეფის ხატმწერები ნიმუშებად იყენებდნენ, რასაც შეიძლება პავლე ალექსოელისა²¹⁴ და საჭურველთსაცავში მომუშავე მხატვართა მოწმობის საფუძველზე მიხვდეთ²¹⁵. ხოლო თუ ქართულ მართლმადიდებლურ ფერწერას ასე დიდად აფასებდნენ, მაშინ თავისთავად ცხადია, რომ იმდროინდელი რუსული საეკლესიო ფერწერა უდავოდ ქართულის გავლენასაც განიცდიდა. აქ საჭიროდ მიმაჩნია აღინიშნოს ის ფაქტი, რომ რუსი სწავლულები, ჩვეულებრივ, საერთოდ დუმან რუსეთზე ივერიის კულტურული გავლენის შესახებ იქაც კი, სადაც ამაზე უდავო მითითებები არსებობს. ქართველ ხატმწერთა ნიშანდობლივი თავისებურება ის გახლავთ, რომ მათ ხატის გამოსახვისას მიზნად ჰქონდათ მნახველი არა ნათელი კოლორიტით, სიჭრელით ან კომპოზიციის ორიგინალობით მოეხიბლათ, არამედ შინაარსით. მხოლოდ იმას ცდილობდნენ, რომ ხატს, როგორც წმიდა საგანს, მლოცველებში აღედრა და აემადლებინა ლოცვის განწყობილება, გამოეხატა რწმენის სულიერი და არა გარეგნულ-მატერიალური სილამაზე. ჩვენამდე მოღწეული ძველი ქართული ხატები და ფრესკული გამოსახულებები, რომელთაც აღტაცებაში მოჰყავთ კეთილმორწმუნე მლოცველები და საეკლესიო მხატვრობის სპეციალისტები, ამის საუკეთესო დადასტურებაა. ვფიქრობთ, ძველ რუსეთში ცნობილი ხატწერითი ნამუშევრები, შესრულებული გრძელი, სწორი ხაზებით, ორი ან სამი საღებავით, ხატებზე წაგრძელებული, მკაცრი, მაგრამ მშვიდი და დიდებული სახეებით ქართული ხატწერის სკოლის ზეგავლენით გაჩნდა. ივერიის ღვთისმშობლის ხატი, რომელსაც წაგრძელებული სახე აქვს, ქართული ხატწერის საუკეთესო ნიმუშად შეიძლება გამოდგეს. ამ დამახასიათებელი ნიშან-თვისებებით გამოარჩევს ღირსი პორფირი (უსპენსკი) ქართული ხატწერის ნიმუშებს ბერძნულისაგან²¹⁶. ღირსი პორფირი თავის სტატიაში: «ახალი სიტყვა ათონის ივერიის დედა ღვთისას ხატის გამო,»²¹⁷ იმ დასკვნამდე მიდის, რომ როგორც ღვთისმშობლის ქართული სახე, ისე ხატის ფერწერის ხასიათი მსგავსია. დაბოლოს, თვით თქმულება ათონზე ამ წმიდა ხატის ქართველი მამა გაბრიელისთვის გამოცხადება და ათონზე ივერთა სავანის დაარსებიდანვე ქართველებთან მისი ყოფნა ამ ხატის ქართულ წარმომავლობაზე ნათლად მიუთითებს²¹⁸. ივერიის მონასტრის საკურთხეველში წმ. სატრაპეზოს უკან, – ამბობს ეპ. პორფირი, – სარკმლებს ზემოთ «მთელი ტანით ცად ამადლებული ღვთისმშობელია გამოსახული, მარჯვენა ხელში თეთრი ხელმანდილი უჭირავს. მას კვარცხლბეკად ჰყავს ციური ძალები, ეგრეთ წოდებული საყდარნი (ანგელოზთა დასი), რომლებიც წრეების სახით ფრთებით არიან გამოსახულნი. მისი მოგრძო მოყვანილობის, ქალწულებრივი, ნაზი, არამიწიერი ქართული სახე ნატიფი ნაკვეთბითურთ, შავი თვალებითა და მომცრო ბაგეებითურთ, მეტად სათნოა. ეს ივერიული სილამაზის ნიმუშია. მის ხელში ხელმანდილი – დედა ღვთისას მწუხარე ლოცვების მიმანიშნებელია. ღმრთისმშობლის ხელმანდილით გამოსახვის ჩვეულება მეტად ძველია»²¹⁹. მთაწმიდელმა ათონზე ჩაიწერა გადმოცემა, რომლის მიხედვითაც კარიბჭის ხატი

უკანასკნელ ჟამს, ანუ უფლის მეორედ მოსვლის წინ თავის პირვანდელ ადგილსამყოფელს _ ივერიას დაუბრუნდება²²⁰. ქართულ საეკლესიო მხატვრობას რუსეთში დიდი დაფასება რომ ჰქონდა, ეს ყველაზე უკეთ ქართულ ნიმუშთა მიბაძვებიდან ჩანს. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, რუსეთში ტაძრების მოხატვა ათონის მთის ივერთა მონასტრის ნიმუშებით ხდებოდა²²¹. ქრისტიანთა შორის ივერიის მონასტრის ფერწერას საერთოდ მეტად მაღალი შეფასება ეძლეოდა. ამის შესახებ შემდეგი ღვთისმოსაური გადმოცემაც არსებობს: ივერიის მონასტრის საკრებულო ტაძრის ჩრდილო-დასავლეთ კუთხეში განსაცვიფრებელია უფალი იესოს მთლიანი ფერწერული გამოსახულება. გადმოცემით, თითქოს მავანი მლოცველი უფლისადმი დიდხანს გულმოდგინე ლოცვებს ადავლენდა და სთხოვდა, მისთვის უფალი იესო ქრისტე ხორცშესხმული სახით მოევლინა. საიდუმლო ხმამ დაჟინებულ მლოცველს გამოუცხადა: «ათონის მთაზე, ივერთა მონასტერში წადი, იქ, ჩრდილოეთის კართან, რომელიც ტაძრის კარიბჭესთან გაგიყვანს, მთელი ტანით ჩემს გამოსახულებას ნახავ; შეხედე მას, _ ასეთი ვარ მე, ხორცშესხმული»²²².

ქართული ფერწერის ისტორია, სამწუხაროდ, ჯერ კიდევ დაუმუშავებელია და რუსეთში ყოველივე არაიტალიურს ბიზანტიურად მიიჩნევენ, დახვეწილ ქართულ ფერწერას ბიზანტიურისაგან ჯერ კიდევ ვერ არჩევენ. გ. როვინსკის სიტყვებით, «ხატების შემგროვებლები და მოყვარულები ჯერ კიდევ ვერ შეთანხმდნენ, რომელი ხატი მიიჩნიონ ბერძნულად»²²³.

წმიდანთა გამოსახულების მისაღებად განკუთვნილი ნაჭრების ფიცრებზე დაწებების ჩვეულება, _ ამბობს გ. როვინსკი, _ ალბათ, დასავლეთიდან შემოვიდა და ვაზარი ამ გამოგონებას XIII საუკუნის ფერმწერს მარგარიტონე დ, არეცოს მიაწერს²²⁴. ჩვენში კი ამ ხელოვნების კვალი XI-XII საუკუნეებში გვხვდება. ქართულ საეკლესიო მუზეუმში ჩემ მიერ ქვათახევის მონასტერში ნაპოვნი სამი უძველესი ხატია. ერთ მათგანზე აშკარად ჩანს, რომ ფიცარი წინასწარ აბრეშუმის თხელი მოყვითალო ნაჭრით იყო დაფარული, ზემოდან წაესვათ რაღაც თეთრი მასა, ხოლო შემდეგ ზედ წმიდა სახე გამოესახათ. ეს ხატები XII საუკუნემდეა დამზადებული და ამ ხელოვნებას რუსეთში მართლმადიდებლური საქართველოდან უფრო შეეძლო შედღწევა, ვიდრე უცხო დასავლეთიდან, რომელსაც რუსეთში ერეტიკოსულად მოიხსენიებდნენ.

რუსულ ორნამენტს, განსაკუთრებით გარეული ცხოველებისას, მეცნიერება ამჟამად ქართულთან აკავშირებს; როგორც ჩანს, ამ მხრივ რუსული ხელოვნება ქართული მდიდარი ორნამენტების გავლენას განიცდიდა. «საერთოდ, ორნამენტების დამუშავებაში, გრაფ ი. ტოლსტოისა და ნ. კონდაკოვის სიტყვებით, ქართულმა ხელოვნებამ თვით ბიზანტიურ ხელოვნებასაც და მის განშტოებებს: იტალიურს, სერბიულს და ა. შ. სძლია. ქართული წნული ფორმები ირლანდიურზე მაღლა დგას, მათი ხასიათი უფრო სწორია, ორნამენტთა ნახატობა უფრო ცხადი, ნახატების დანიშნულება და აზრი არქიტექტურულ მიზანს ეთანხმება და წარმოსახვისმიერ ქაოტურ თვითნებობასა და ფორმებით თამაშს არასოდეს ემორჩილება»²²⁵.

საეკლესიო-საღვთისმეტყველო მწერლობა.

უდავოა, რომ განდევილთა ლიტერატურის ზოგიერთი რუსული ძეგლი, რომლებიც ქართულ აპოკრიფებთან მსგავსებას ავლენენ²²⁶, მათი უშუალო გავლენით გაჩნდა. ასეთებს მიეკუთვნება «საგალობელი», რომელიც XV საუკუნის ერთ კრებულში ეზრას მიეწერება²²⁷.

გიორგი მთაწმიდელის მოწაფისა და ბიოგრაფის, გიორგის მოწმობით, ათონის ქართველთა ივერიის მონასტრის წინამძღვარმა წმ. ექვთიმემ (1028 წ), ქართულ ენაზე საღმრთო-ღვთისმსახურებითი წიგნების ცნობილმა მთარგმნელმა, დროის სიმცირის გამო შემოკლებული სახით თარგმნა სვინაქსარი ივერიის მონასტრისათვის²²⁸. ეს ცნობა ისე უნდა გავიგოთ, რომ ექვთიმემ, როგორც სწავლულმა მამამ და კანონიკოსმა, რომელმაც ბრწყინვალე განათლება მიიღო ბიზანტიის სასწავლო დაწესებულებებში, სრული ბერძნული სვინაქსარიდან აიღო ის, რაც უფრო საჭიროდ და მნიშვნელოვნად მიაჩნდა, ანდა უპირიანი იქნება ითქვას, სვინაქსარი გადაამუშავა და თავის სავანეს ახალი რედაქციით მიაწოდა. უეჭველად, სწორედ ამ ქართული რედაქციიდან ითარგმნა უშუალოდ უძველესი ხილანდარის²²⁹ სვინაქსარი იერუსალიმის ტიპიკონის მიხედვით, ვინაიდან ბერძნულად ამ ტიპიკონის სხვა შემოკლებული რედაქცია მეცნიერებისათვის აქამდე უცნობია. ქართულ წყაროებში ტიპიკონის ექვთიმესეულ რედაქციაზე პირდაპირი მითითების შემდეგ უსაფუძვლოდ უნდა ჩაითვალოს ზოგიერთი მეცნიერის ვარაუდი, რომ ხილანდარის სვინაქსარი ითარგმნა უძველესი ტიპიკონის მოკლე ბერძნული სვინაქსარიდან, რომლის არსებობის შესახებ არაფერია ცნობილი და რომელსაც ამაოდ ეძებენ. ლიტურგიკოსებმა წმ. ექვთიმეს ქართულ ტიპიკონს ძველ-ბიზანტიური ლიტურგიკული მწერლობის კვლევის საქმეში ამ ძეგლის უდიდესი მნიშვნელობის გამო, აუცილებლად სერიოზული ყურადღება უნდა მიაპყრონ.²³⁰ საერთოდ, ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ქართული ხელნაწერი ძეგლები ჯერ კიდევ გამოუცემელია და ამიტომ ზოგიერთი თხზულება, რომლებიც ამჟამად ბერძნულიდან სლავურ ენაზე თარგმნილად მიაჩნიათ, და რომელთა ბერძნულ ორიგინალებს ვერ პოულობენ, მდიდარ ქართულ ხელნაწერთა საგანძურის გამოკვლევებისა და გამოცემის შემდეგ უეჭველად ქართული ენიდან თარგმნილი აღმოჩნდება.

თხზულება: **«საკვირველი და მეტად მარგი ამბავი ქალწულზე, ივერიის მეფის ქალიშვილ დედოფალ დინარაზე, რომელმაც სპარსთა მეფე ადრამელები დაამარცხა»**. ეს ნაწარმოები ძველ რუსეთში საყვარელ სულიერ-შემეცნებით თხზულებებს განეკუთვნებოდა; იგი ძველ რუსულ ქრონოგრაფებში ხშირად გვხვდება. რუსული გადმოცემის მიხედვით თხზულების შინაარსი ასეთია: დედოფალი დინარა, «ივერიის ხელისუფალის» ალექსანდრე მელესის ქალიშვილი, თხუთმეტი წლის ასაკში ტახტის მემკვიდრე გახდა და ხალხს ბრძნულად უძღვებოდა. სპარსეთის შაჰმა ალექსანდრეს სიკვდილი რომ შეიტყო, მისი ქალიშვილისაგან მორჩილება მოითხოვა. დინარამ ძღვენი გაუგზავნა მას, მაგრამ მშობლიური სამეფოს დამოუკიდებლობაზე უარის თქმას არ აპირებდა. გახლებული მბრძანებელი მისკენ საომრად გამოემართა. ნორჩი დედოფლის ყველა დიდებული შიშმა შეიპყრო. «ამდენ მეომარსა და სპარსთა ასეთ უძლეველ ლაშქარს როგორ გავუმკლავდებით!» – წუხდნენ ისინი. მამაცმა დინარამ მათ გამბედაობა ჩაუნერგა; «ბარბაროსთა წინააღმდეგ ვისწრაფოთ, – ამბობდა იგი, – რამეთუ მე დიაცი უკვე მივეშურები, დავძლევე დიაცურ უძლეურებას, ვაჟკაცური

სიმტკიცით შევიმოსები, წელზე საჭურველს შემოვირტყამ, თავზე ჩაჩქანს დავიდგამ, ხელში შუბს მოვიმარჯვებ, და გაშმაგებით ჩავებმები ბრძოლაში, რამეთუ არა მნებავს ჩემთა მტერთაგან ჩვენმა ღვთისმშობლის წილხვდომილმა ქვეყანამ და ჩვენთვის მისგან ბოძებულმა სამეფოებმა ტყვევნა განიცადონ; ციური დედოფალი მოგვანიჭებს სიმამაცესა და შემწეობას ჩვენი სამკვიდროსათვის». მას შემდეგ, რაც შარბენის მონასტერში ღვთისმშობლისადმი ლოცვა აღავლინა, სადაც «ქვეითად, ფეხშიშველი, წვეტიანი ქვებით დაფარული უხეში გზით მივიდა», მტრების წინააღმდეგ გაემართა, შუბშემართული გაქანდა სპარსთა ლაშქრისკენ და განგმირა ერთი სპარსელი. მტრებს მისმა ხმამ თავზარი დასცა და უკუიქცნენ. დინარამ სპარსეთის მეფეს თავი მოჰკვეთა და შუბზე წამოცმული თავრიზში ჩაიტანა; მას ქალაქები დანებდნენ და ძვირფასი ნადავლით დატვირთული სამშობლოში დაბრუნდა. ნადავლი «ლალის თასი²³¹, ძვირფასი ქვები და მძივები, ოქრო და სპარსთაგან წამოღებული მთელი სამეფო მონაგარი», ყოველივე ღვთის სახლებს დაურიგა. ამის შემდეგ მეფობდა 38 წელს, ბოლოს ხელისუფლება თავის ნათესავებს დაუტოვა. «ივერიის განუყოფელი სამეფო კი ჰგიებს დღევანდლამდე. იგი ებრაელთა მეფის დავითისაგან, მეფის შტოსაგან მომდინარეობს»²³².

ეს თხზულება აკადემიკოსმა მ. ბროსემ ისტორიული განმარტებებითურთ გამოსცა და ფიქრობს, დინარა, რა თქმა უნდა, იგივე დიდი თამარიაო, თუმცა, «ქართლის ცხოვრებიდან» იცის, რომ დინარა ჰერეთის დედოფალი იყო და სახელოვან თამარამდე სამი საუკუნით ადრე ცხოვრობდა. დინარა «ქართლის ცხოვრებაში» ორჯერაა მოხსენიებული²³³. ცნობილია, რომ იგი ღვიძლი და იყო გურგენ ერისთავთერისთავისა და მართლმადიდებლობაზე მოაქცია თავისი ვაჟიშვილი იმხანიკი და წარმართული ჰერეთი. უფრო დაწვრილებითი ცნობები დინარაზე «ქართლის ცხოვრებაში» არაა, რადგან ჰერეთის სამეფოს თავისი მატთანე ჰქონდა, რომელიც, სამწუხაროდ, ჯერჯერობით მიკვლეული არაა.

მ. ბროსეს აზრი შესაძლოა გარკვეულ წილად დასაჯერებელი ყოფილიყო, რომ დინარას სახელი საქართველოს ისტორიაში საერთოდ არ გვხვდებოდეს, მაგრამ იგი ისტორიული პიროვნებაა და ჩვენი თანამემამულე მემატთანეებისა და სომეხი მწერლებისათვის კარგადაა ცნობილი. რუსები თამარს ისე კარგად იცნობდნენ, დინარაში არ აერეოდათ. თამარი რუს მთავარ გიორგიზე, ანდრეი ბოგოლიუბსკის ძეზე იყო დაქორწინებული და თავის ბრწყინვალე გამარჯვებათა წყალობით რუსებისთვის ცნობილი გახლდათ. ასევე უსაფუძვლოდ და ყოვლად დაუსაბუთებლად მიგვაჩნია ნ. გ. უსტრიალოვის მოსაზრება, თითქოს თქმულება დედოფალ დინარაზე დიდი სიძველით არ გამოირჩევა და იგი ზღაპარია, რომელსაც ყვებოდნენ ქართველები რუსეთში მეფე მიხეილ თევდორეს ძისა და მისი მემკვიდრის კარზე²³⁴. უსტრიალოვის მოსაზრებებთან დაკავშირებით საჭიროა აღინიშნოს, რომ პირველ რიგში ეს ამბავი რუსულ ქრონოგრაფებში გვხვდება, რომელთა უძველესი ნუსხები XVI საუკუნეს სცდება, მეორეც, ზღაპარი ისტორიულ ქრონიკებში ვერ მოხვდებოდა. ამ თქმულების მწიგნობრული ნასესხობა ივერიიდან რომაა, მისი გადმოცემის ლიტერატურული სტილიც მიუთითებს.

1639 წელს რუს დესპან ფ. ფ. ვოლკონსკის ალავერდელმა ეპისკოპოსმა ზებედემ აცნობა, რომ ალავერდის ტაძარი სპარსთა მეფის დამმარცხებელი ქართველი დედოფლის, დინარას შვილის მიერაა დაარსებული, რომ დამაარსებლის ნეშტი

მონასტრის ტაძარში განისვენებს, რომ მემატიანეები დინარას სახელოვანი მეფობისა და სპარსეთის მეფეზე გამარჯვებათა შესახებ თხრობისას არაფერს ამბობენ, გათხოვილი თუ იყო, ან შვილები თუ ჰყავდა²³⁵. აქ დედოფალ დინარას მაგიერ თამარ მეფე რომ იგულისხმებოდეს, წიგნიერი კაცი, მთავარეპისკოპოსი ზებედე არ იტყოდა, რომ მატიანე მის ქორწინებაზე არ ლაპარაკობს, არც იმაზე, ჰყავდა თუ არა შვილები, ვინაიდან «ქართლის ცხოვრება» დაწვრილებით მოგვითხრობს თამარის ორჯერ, გიორგისა და დავითზე დაქორწინების შესახებ²³⁶, ასევე მოგვითხრობს, რომ მას შვილები, გიორგი და რუსუდანი ჰყავდა²³⁷ და, როგორც თამარი, ისე მისი მემკვიდრე, გიორგი არა ალავერდის, არამედ გელათის მონასტერში არიან დაკრძალულნი²³⁸.

კახეთის ნაწილი – ჰერეთი ქართული ტომითაა დასახლებული. ეს პროვინცია ერთ-ერთ რუსულ საბავშვო სიმღერაშიცაა ნახსენები:

«Дождикъ, дождикъ, перестань,»
Я поеду в эрестань...»
«წვიმავ, წვიმავ, გადაილე,
წავალ მე ჰერეთში...»

ეს სიმღერა, უეჭველია, ადრე ხალხური იყო და რუსეთ საქართველოს მჭიდრო კავშირზე მიუთითებს, ე. ი. რელიგიური მომლოცველობა, რომელიც როგორც ამ სიმღერის შინაარსიდან ჩანს, გრძელდებოდა ქრისტიანულ პერიოდშიც, საქართველოდან რუსების წინაპართა გადასახლების შემდგომაც.

ქებათაქების იპოლიტისეული განმარტებები.

ქებათაქების იპოლიტისეული განმარტებების ჩვენამდე მოღწეული სლავური ნაწყვეტები შემდეგ მოსაზრებებზე დაყრდნობით უდავოდ ქართულიდანაა თარგმნილი: 1. ეს ნაწყვეტები უფრო ქართულს მიესადაგება, ვიდრე ბერძნულსა და სხვა თარგმანებს; 2. ნაწყვეტების ადგილები, რომლებიც ბერძნულ ორიგინალს არ ესადაგებოდა და სწავლულთა მიერ სლავურ თარგმანთა წიაღსვლებად იყო მიჩნეული, ქართულ თარგმანებს ემთხვევა. 3. ქართული ტექსტი XI სლავური საკამათო ნაწყვეტის სისწორესა და შესაფერისობას ამტკიცებს; 4. იპოლიტისათვის მიკუთვნებული გავრცელებული სათაური: «სიტყვები სამყაროს აღსასრულსა და ანტიქრისტეზე და უფლისა ჩვენისა იესო ქრისტეს მეორედ მოსვლაზე,» ბერძნულ ორიგინალში არ მოიპოვება და კ. ი. ნევოსტრუევის²³⁹ აზრით, ეფრემ სირინისაგან არის გადმოღებული მაშინ, როცა ქართულმა ტექსტმა ეს ვრცელი სათაური შეინარჩუნა და, მაშასადამე, ორიგინალშიც იპოლიტის სიტყვას ვრცელი წარწერა ჰქონდა. 5. ქართული და სლავური თარგმანები ერთსა და იმავე ადგილზე, მესამე თავის მეშვიდე ტაეპით მთავრდება²⁴⁰.

საიდანაა აღებული მაგალითი ივანე სუსანიანის გამირული მოქმედებისათვის?

«ქართლის ცხოვრება» იტყობინება, რომ 1609 წელს თურქები საქართველოს თავს დაესხნენ და მანგლისის ახლოს სოფელი **კველთა** გადაწვეს, ხოლო იქაური მღვდელი (თევდორე) შეიპყრეს, აწამებდნენ, მათრახებით სცემდნენ, რომ ლუარსაბ მეფის ადგილსამყოფელი დაესახელებინა, მაგრამ მღვდელი თავისთვის იმეორებდა: «მარადიულ ცხოვრებას ამ საწუთროზე არ გავცვლი და მეფისა და სამშობლოს მოღალატე არ გავხდები». მან თურქები გოსტიბეს ახლოს ჩაატარა (საწინააღმდეგო მხარეს) და **კვენადროს** გზაზე გაიყვანა. როცა თურქები

დარწმუნდნენ, რომ მღვდელმა ისინი შორს გაიტყუა, მას თავი მოჰკვეთეს. მღვდელი თევდორე «ქართლის ცხოვრების» მოწმობით წმიდანადაა შერაცხილი²⁴¹. ამ პერიოდში საქართველოსა და რუსეთს ხშირი ურთიერთობა ჰქონდათ. მეფის ერთგულმა რუსმა მწიგნობარმა ამ ყურმოკრული ამბის საფუძველზე შეთხზა ლეგენდა ივანე სუსანინის თავგანწირვის შესახებ, ვის გმირობასაც მოსკოველი მემატთანე არ იცნობს²⁴². «XIX საუკუნემდე, _ ამბობს ნ. ი. კოსტომაროვი, _ როგორც ცნობილია, აზრად არავის მოსვლია სუსანინი მეფის გადამრჩენად მიეჩნია და მისი ჩვეულებრივი გმირობა ისტორიული მნიშვნელობის მოვლენად შეერაცხა»²⁴³. ივანე სუსანინიმა რომ გმირობა ჩაიდინა, რომ პოლონელები, რომლებიც მიხეილ თევდორეს ძეს ეძებდნენ, არა იქ მიიყვანა, საითაც ისინი მისწრაფოდნენ, და მეფისთვის სიცოცხლე გასწირა, ისტორიკოს კოსტომაროვს ანეკდოტად მიაჩნია²⁴⁴.

უდავოდ ქართული თარგმანის ზეგავლენით, სლავმა მთარგმნელებმა რწმენის სიმბოლოს მეცხრე წევრად ივერიელთა მსგავსად ბერძნული სიტყვა «αχθελιχ» თარგმანის გარეშე დატოვეს²⁴⁵. შემდგომ, როცა რუსეთმა კათოლიკურ სახელმწიფოებთან კავშირი დაამყარა და ლათინურ ეკლესიასთან პოლემიკაში ჩაება, აღნიშნული ბერძნული ტერმინი «Синерхию»-თი უხეიროდ შეცვალა, რაც ვლ. ს. სოლოვიოვის შენიშვნით, ბერძნული სიტყვის «αχθελιχ» -ის არქაული თარგმანია და, მამასადაძამე, ნიშნავს ეკლესიას, ყოველი მხრიდან შეკრულს და არავითარ შემთხვევაში ეკლესიას, რომელსაც ეპისკოპოსთა კრება მართავს²⁴⁶. გამოთქმა «αχθελιχ» კრებების, გზავნილებათა და ქართული ლიტურგიკული ძეგლების სათაურებშიდაა შემორჩენილი.

რუსული აგიოლოგიური ძეგლები.

საკითხი იმის შესახებ, თუ რუსული აგიოლოგიური ძეგლები რამდენად დამოუკიდებელი ნაწარმოებებია, ცხოვრებანი უცხო ზეგავლენებს რამდენად დაექვემდებარა და, კერძოდ, რომელი წყაროები ზემოქმედებდნენ მათზე, რუსულ საეკლესიო ისტორიის მეცნიერებაში ჯერ კიდევ არაა გადაწყვეტილი. ჯერ კიდევ ი. ი. სრეზნევესკი ჩიოდა დიდ სიმწიფეთა შესახებ, რომელთა გადალახვა ძველი რუსული მწერლობის იმ საკითხთა მკვლევარს უხდება, რომლებიც ბიზანტიურ მწერლობას ეხება. ძველი რუსული ლიტერატურის უახლესი ისტორიკოსი, პროფესორი პ. ვ. ვლადიმეროვი წუხს, რომ საკითხი კიევ-პეჩორის პატერიკის წყაროების შესახებ აქამდე ამოუხსნელია²⁴⁷. საერთოდ, უნდა შევნიშნოთ, რომ, როცა ძველი რუსული მწერლობის რომელიმე ძეგლთან დაკავშირებით უცხოურიდან ნასესხობა ან მიმბაძველობაა დადგენილი, არცთუ იშვიათად ვარაუდობენ, რომ ბერძნული ორიგინალი ან პროტოტიპი ჯერ კიდევ ნაპოვნი არ არის. შეგვიძლია დაგარწმუნოთ: თუ ამგვარი ორიგინალები აქამდე ვერ იპოვეს, მაშინ მომავალში მათი აღმოჩენის ნაკლები შანსი არსებობს. ამ შემთხვევაში მაძიებლებს დაეხმარება უძველესი ქართული ძეგლების გამოცემა და მეცნიერული გამოკვლევა, რაც დღესდღეობით მთლიანად უგულებელყოფილია. ამ ძეგლებს შორის უეჭველად არცთუ მცირე რაოდენობის ისეთი ორიგინალიც მოინახება, რომლებსაც ისინი ბერძნულ ლიტერატურაში ამაოდ ეძებენ.

მეფე ალექსი მიხეილის ძის «ძეგლისდებანი».

მეფე ალექსი მიხეილის ძის «მეგლისდებათა» სახელით ცნობილი კოდექსის შემდგენლები, როგორც სხვადასხვა ხალხის სამართლის მეგლების გულმოდგინე შესწავლის საფუძველზე ზოგიერთები ვარაუდობენ, მუშაობის პროცესში ქართულ კანონთა კრებულებითაც სარგებლობდნენ²⁴⁸, რადგან აქ მოცემული ზოგიერთი სტატია ბიზანტიურ კანონმდებლობაში საერთოდ არც მოიპოვება და განწყობილებითა და ფორმულირებით ქართული იურიდიული მეგლების შესატყვისია²⁴⁹.

რუს მეფეთა საზეიმო ტიტული.

ივანე მრისხანისა და სხვა მეფეთა საზეიმო ტიტული და მის დასაწყისში ღვთისმეტყველების გამოყენება უეჭველად ქართველ გვირგვინოსანთა სიგელებიდანაა გადმოღებული. ამაზე ისტორიკოსი ს. მ. სოლოვიოვიც მიუთითებს და ადასტურებს, რომ «ივანეს მოსწონდა დიდებული გამოთქმები სიგელებისა, რომლებიც აღმოსავლელ გვირგვინოსანთაგან ეგზავნებოდა და ზოგიერთ ამ გამოთქმას ჩვენ მის სიგელებში ვხვდებით²⁵⁰.

წარმართული დღესასწაულები და თამაშობები.

რუსეთში წარმართული ღვთაებების: **კუპალას** – ქართული კოპალეს²⁵¹, **იარილის** – ქართული იარალოს ან არალოს პატივსაცემად გამართულ დღესასწაულებს ჰქონდათ და ახლაც აქვთ ქართული ელფერი და ისევე ასრულებენ, როგორც საქართველოში. ქართული კოპალე უკრაინელებმა სიტყვის მსგავსების გამო კოპალოდ გადააკეთეს, ხოლო ქრისტიანობის მიღების შემდეგ იოანე ნათლისმცემლის (Купалы) დღესასწაულს შეუთანხმეს. კუპალო (მიწის ნაყოფთა ღვთაება), უკრაინაში უძველესი სახალხო დღესასწაული, იოანე წინამორბედის შობის კვირამაღს იმართება. ამ დამეს შიშველ მთაზე კუდიანები იკრიბებიან. უკრაინელები თითქმის ყოველი მხრიდან აჩაღებენ ჭიაკოკონებს, რომელთაც განმწმენდ მნიშვნელობას ანიჭებენ. საქართველოში კუდიანები იალბუზზე იკრიბებიან. ოთხშაბათს, დიდი ხუთშაბათის დამდეგს ჩვენთან ყველგან ჭიაკოკონებს აჩაღებენ. სამეგრელოში ჭიაკოკონას წელიწადში ოთხჯერ: ამაღლების, ელიას, ფერიცვალებისა და მიძინების დღესასწაულთა წინაღღებში ანთებენ²⁵² და მასზე გადახტომისას «არურური (არული) კუდიანებსა!» ანუ «ალი კუდიანებს!» – იძახიან. ჭიაკოკონას გალიციის უკრაინაში დიდ ოთხშაბათ საღამოსა და ხუთშაბათს, ადრე დილას, სწორედ გუცულობის დღესასწაულზე²⁵³ ანთებენ. წინარე ქრისტიანული ხალხური დღესასწაულებიდან, თავისი წმიდა წარმართული ატრიბუტებით, თავისი პირველსაწყისი სიწმინდით, არც ერთი ისე არაა შემორჩენილი, როგორც კუპალას დღესასწაული ჭიაკოკონათა გაჩაღებითა და მათზე გადახტომებით, მიუხედავად ტულის საეკლესიო კრების მკაცრი განჩინებისა, რომელმაც 65-ე პარაგრაფით დაადგინა: «ვბრძანებთ, მომავალში არ გამოიყენონ კოცონები, რომელთაც ახალმთვარობისას, თავიანთი სახლებისა და დუქნების წინ აჩაღებენ ზოგიერთები და გადახტომას ბედავენ რომელიღაც ძველი ჩვეულებისამებრ. ვინც ამგვარ რამეს ჩაიდენს, ის თუ კლერიკოსია, დაე იქნეს დათხოვილი, ხოლო თუ საეროა, შერისხული».

მ. ა. მაქსიმოვიჩის აზრით, იარილო იგივეა, რაც ინდური გარისი, ღმერთ ვიშნუს ერთ-ერთი სახელი, რომელიც, სხვათა შორის, მწვანეს ნიშნავს²⁵⁴. სნეგირიოვი უკრაინულ იარილოს ვაჟკაცობისა და გულისთქმათა ღვთაებად აღიარებდა და მას

ბერძნულ არესსა და ეროტთან აახლოებდა²⁵⁵. სხვა მეცნიერთა აზრით კი, იარილო რომელიღაც სლავური ღმერთის სახელია²⁵⁶, მაგრამ უცნაურია, რომ ამ ღვთაების სახელწოდება ძველი რუსული მწერლობისთვის უცნობია. ზოგის აზრით იგი მომდინარეობს სანსკრიტული ძირიდან – ar, ბერძნულიდან – ep – მოქმედება, ამალღება, აღმასვლა; მეორეთა აზრით სანსკრიტული სიტყვიდან – rñmi – ავდივარ, ხოლო მესამენი იმავე ბგერებს პოულობენ სლავურ სიტყვებში, როგორცაა: ярынь, ярица, ярына და ა. შ. საქართველოში იარილო-არალო მიაჩნიათ წარმართულ ღვთაებად – Арей, რომლის პატივსაცემად ჩვენი წინაპრები საგუნდო სიმღერებს ჯერ კიდევ უძველეს დროში მღეროდნენ. ქართულ საგალობელ ალილოს პროფ. ხახანაშვილი რუმინულ-სლავური ალილოს მისამღერთან aj lelom d'ai le rom-თან აკავშირებს²⁵⁷.

უკრაინული ალილო – შობის დღეებში სიმღერით კარდაკარ სიარული – ქართულ ალილოს გვაგონებს²⁵⁸. «გ. ვესელოვსკის აზრით, – აღნიშნავს ოლენა პჩილკა, – ალილოს სხვა სიმღერებსაც მემკვიდრეობით მოჰყვება რომაული ზეგავლენა. ამ მტკიცებულებას ალილოთა სფეროში ფოლკლორული ძიებებით ამყარებს და განსაკუთრებით მიუთითებს რუმინულ და ჩვენს (უკრაინულ) ალილოებს შორის მსგავსებაზე. მაგრამ საქმე ისაა, რომ მსგავსება ჯერ კიდევ არაა უშუალო მემკვიდრეობითობა, შესაძლოა ეს იყოს ნათესაობა, რასაც უფრო შორეული და ღრმა ფესვებიც აქვს. ამ კუთხით ძალზე მჭევრმეტყველურია გამოკვლევები კავკასიურ ეროვნებათა წარმომადგენლების წეს-ჩვეულებებისა ალილოს სფეროში, რაზედაც იხილეთ ა. ხახანაშვილის საინტერესო სტატია («ახალი წლის დღესასწაულობა ქართველებში»). სხვათა შორის, აფხაზები ახალ წელს «კოლანდას» უწოდებენ²⁵⁹, რის გამოც რომაულ კელენდებთან მსგავსების ძებნა აზრს კარგავს. კავკასიაში უახლოესი არქეოლოგიური გათხრები შესაძლებლობას იძლევა დამაჯერებლად დაახლოვდეს კულტურათა მონაცემები ძველი ერებისა, რომლებიც აქ ძველად სახლობდნენ მსგავსივე მონაცემებით, როგორც ჩვენთან სამხრეთ რუსეთშია მოპოვებული. ამ საგანს ძალიან არ ჩავუღრმავდები, მაგრამ თავს უფლებას მაინც მივცემ მივუთითო თუნდაც ჭურჭელზე – თიხის ქოთნებზე, რომელთა ნახვა შესაძლებელი იყო ხარკოვის არქეოლოგთა გამოფენაზე: ამ ძველი კავკასიური ქოთნების არა მარტო ფორმა, არამედ მათზე გამოსახული სახეები საოცრად ჰგავდნენ ჩვენსას. ამგვარად, უახლოეს ეთნოგრაფიულ და არქეოლოგიურ მონაცემებს ძალუძთ «коляды» -სა და «келедокъ» - თან დაკავშირებით უარყონ მოსაზრება იმისა, რომ ისინი ჩვენთან უთუოდ კლასიკური სამყაროდან მოვიდნენ ქრისტიანობასთან ერთად, რომლის საფარველქვეშ კლასიკური წეს-ჩვეულებები, ასევე კალანდის სიმღერებიც გადმოსახლდა. ამ შემთხვევაში, მემკვიდრეობითობის დადგენა უფრო შორეული, მაგრამ უფრო უძველეს კულტურულ და სხვა ნათესაობის მქონე ხალხებთანაა შესაძლებელი²⁶⁰.

საქართველოში ღვთაებათა წარმართული სახელწოდება – არალო და იარალო, სუფრულ და გუნდურ სიმღერებში დღევანდლამდეა შემორჩენილი. ამ მისამღერში ზოგიერთები გაზაფხულის ღვთაებისადმი მოწოდებას ხედავენ. არალო, ჰარი-არალოს ა. ს. ხახანაშვილი ალილოს უდარებს. ჰენრი რაულინსონი მთა არარუზე მიუთითებს, რომელთანაც იყო დაკავშირებული მითები არალეზე. თუ ისტარის (ასტარტეს) კულტთან ამ მითის შედარება, – განაგრძობს ბატონი ხახანაშვილი, –

სარწმუნოა, მაშინ ჩვენ არალოში გაზაფხულის ღვთაებისადმი მოწოდებას ვხედავთ. ალილო შესაძლოა არალო, არიდან იყოს წარმომდგარი²⁶¹. ალილოს ჰიმნთან დაკავშირებით თავს ნებას მივცემთ შემდეგი ვარაუდი გამოვთქვათ: ეს ჰიმნი, რომელშიაც წარმართული შინაარსი უცილობლად ქრისტიანულითაა შეცვლილი, ხომ არაა შექმნილი შორეულ წარსულში თანადაქვემდებარებული კლასების, შვიდიდან ერთ-ერთი, წყვდიადის სულის -ალალოს პატივსაცემად, რომელიც გამანადგურებლად, მსოფლიო წესრიგის მტრად გამოისახება? ეს სული ჩვენს წინაპარ ქალდეველთა²⁶² მითოლოგიაშია მოხსენიებული. ალალო ბავშვებს იტაცებდა. ჩვენში აქამდე ასეთი ჩვეულება არსებობს: როცა ჭამის დროს ბავშვებს ყელზე ლუკმა დაადგებათ, **ალალი, ალალის** ეუბნებიან. უეჭველია, აქ საქმე გვაქვს ბავშვების მტაცებელი ალალოს ქმედების შესახებ ერთ-ერთ უძველეს შეხედულებასთან, რაც ჩვენი წინაპარი Khald-ისაგან მემკვიდრეობით გადმოგვცა. ამავე ხერხით გადმოგვცა სიმღერები მისამღერით: **ანუნი, დალალე, ლალე, თალლი თულაი ლალე**, რომლებშიაც უზენაესი ტრიადის ღვთაება ანუს და სული _ თელალის სახელწოდებები გაისმის²⁶³.

ყოვლადწმიდად წოდებული პირველი მეერგასე შვიდეული რუსულ ხალხურში უძველესი წარმართული კოსტრობონკისა და იარილოს თამაშობებისა და სეირობების სიცოცხლისუნარიან, უკვდავ ხსოვნას ემთხვევა. ეს თამაშობები, კოსტრობონკისა და იარილოსი, წყალში გადაგდებითა და წუწაობით, ქართულ კარნავალ ყეენობას ძლიერ ჩამოჰგავს. იგი ყველიერის ორშაბათს ეწყობა.

მისამღერი დიდი ლადო. (Диди Ладო) რუსეთში მისამღერი დიდი ლადო ვის არ გაუგია. დიდი ქართულ ენაზე დიდს ნიშნავს, ლიტვურადაც didis-დიდია, ხოლო ლადო რა თქმა უნდა, მხიარულების, სიხარულის, სინათლის, სილამაზისა და სიყვარულის²⁶⁴ ღმერთია. ვლადიმირის სამხრეთ რუსული ცხოვრების მიხედვით ლადოს რუსების ღვთაებებს შორის მეოთხე ადგილი ეჭირა. «სჯეროდათ, რომ იგი მხიარულების, ლხინისა და კეთილ ქცევათა ღმერთი იყო, _ გვეუბნება ცხოვრება; ცოლს ვინც ირთავდა, იმას ოინბაზობებს უწყობდნენ, რათა სიყვარულითა და მხიარულებით სავსე ცხოვრება ჰქონოდა. ზოგიერთ მხარეში დღესაც მხიარულების დროს ხელების შემოკვრითა და მაგიდაზე დარტყმებით «ლადო-ლადოს» მღერიან და თავიანთ ხალისიან სიმღერებში მას ხშირად მოიხსენიებენ».²⁶⁵

ისტორიკოსი ს. მ. სოლოვიოვი სახელწოდებას Дидь, Диди რუსულ სიმღერათა მოწოდებებში ბაბუასთან (დედ) აიგივებს და მისამღერი «ლიულ, ლელი» მისი აზრით ასევე ბაბუას ნიშნავს. (Деда)²⁶⁶. ჩვენ კი «люль, лель» მისამღერის წარმომავლობის ახსნა უფრო საფუძვლიანად მისამღერ ლალესაგან (lale, lale) გვესახება, რომელზედაც ზემოთ ვსაუბრობდით. ნ. ი. კოსტომაროვის მიერ მოყვანილ უკრაინულ საკალანდო სიმღერაში²⁶⁷: «Ей доловъ, доловъ» _ ჩვენ ქართული საგუნდო სიმღერის «ო დელია ო დელა»-ს მიმსგავსებას ვხედავთ; ეს სიმღერა საქართველოში ამჟამადაც იმღერება²⁶⁸. სავსებით შესაძლებელია «Ей доловъ, доловъ» განთიადის ქართული ჰიმნის დასაწყისის გახსენება ავრორას, დილის ცისკრის ღვთაების პატივსაცემად: «ახ, დილაჲ, დილაჲ».

ადათ-წესები.

ზოგიერთი სლავის მიერ პურის მოსავლის აღების შემდგომ ღმერთისთვის მამლის შეწირვის ადათ-წესი²⁶⁹ ასეთსავე ქართულ ადათ-წესს გვახსენებს, რასაც საქართველოში კვირიკესა და ივლიტეს (15 ივლისს) და ალავერდის (14 სექტემბერს) დღესასწაულებზე იცავენ. უკრაინის ველებზე გადაჭიმულ სოფლებში ყველიერის პირველ ერბოიან ბლინს სახლის სხვენის სარკმელზე მშობლების სულებისთვის ალაგებენ²⁷⁰. საქართველოშიც შემორჩენილია ასეთივე უძველესი წეს-ჩვეულება_ჩიტი ფაფაობა (ჩიტისთვის დაფქული ხორბლის ფაფა). ასევე არ შეიძლება არ დავინახოთ, რომ ამ ფაფით ფარავენ ფიცრებსა და ნაფოტებს და სახლის სახურავზე ჩიტებისთვის დგამენ. ამ წეს-ჩვეულებას საფუძვლად უდევს გარდაცვლილი მშობლებისა და ნათესავების სულის ხსენება. რუსეთში უბრალო ხალხი მთქნარების დროს ბაგეზე სამი შეტყუპებული თითით მცირე ჯვარს გამოისახავს ხოლმე. ეს ჩვეულება უეჭველად ქართველებისაგან აქვთ გადაღებული. რუსეთში წვრილი ნიჟარების, როგორც თილისმების ტარება, ასევე უძველესი ქართული ჩვეულებაა.

შობის კვირამალს ქართლში ბედნიერების კვერებს «ბედის კვერს» აცხობენ, ხოლო ახალი წლის დამდეგს _ ბასილას, რომელსაც ადამიანის გამოსახულება აქვს. ბასილას ბასილი დიდის სახელზე ამზადებენ, რომლის ხსოვნასაც წმ. ეკლესია 1 იანვარს აღნიშნავს. მღვდელმთავარ ბასილი დიდს საქართველოში განსაკუთრებულ პატივს მიაგებენ; მისი საგვარეულო მამული, გადმოცემით, მდინარე ჭოროხის პირას, ისპირის პროვინციაში იყო. პური ბასილა სერბიულ ვასილისას შეესატყვისება²⁷¹. საქართველოში აღდგომის მეორე დღეს სასაფლაოზე მიდიან და წითელ კვერცხებს საფლავზე ამოთხრილ ორმოებში მარხავენ. ზუსტად ასეთი ჩვეულება აქვთ სლავებსაც. ბელორუსიაში იმის შემდეგ, რაც მიცვალებულის საფლავზე ორმოში კვერცხებს ჩაფლავენ, ამბობენ «святые радзицели»²⁷². სიტყვა радзицели-ში ქართული სიტყვა წითელი ხომ არ იგულისხმება?

დარიგებაში, რომელიც წმ. თეოდოსს მიეწერება, ნათქვამია: «...ნადიმში სამ სადღეგრძელოზე მეტი არ უნდა წარმოითქვას; სუფრის დასაწყისში ადიდებენ ქრისტეს, დასასრულისას ქება-დიდებას ასხამენ ქალწულ მარიამს, ბოლოს მასპინძელს ადღეგრძელებენ»²⁷³. რუსების ნადიმის აღწერისას ისტორიკოსი ნ. ი. კოსტომაროვი აღნიშნავს, რომ ნადიმობისას სვამდნენ მეფის, ბოიარების, მხედრობის, მასპინძლისა და სტუმრების ჯანმრთელობის სადღეგრძელოებს სიმღერით: «მრავალსა წელსა»²⁷⁴. ეს უძველესი ქართული ეროვნული ჩვეულებაა, რომლის გარეშეც ჩვენში არც ერთი მხიარული ნადიმი არ ტარდებოდა და არ ტარდება.

ისტორიკოსი ნ. ი. კოსტომაროვი ასევე ახსენებს ერთ ჩვეულებას ქელებთან დაკავშირებით, როცა სასაფლაოზე და მიცვალებულთა საფლავებზე ღვინოს (ან არაყს) მოასხამენ. ამით გარდაცვლილი თითქოს ქეიფის მონაწილე ხდება²⁷⁵. ეს ჩვეულებაც ქართველებისაგანაა გადაღებული, მხოლოდ ჩვენთან გარდაცვლილის საფლავზე მარტოოდენ ყურძნისგან დაწურულ ღვინოს მოასხამენ უმანკოთა საუფლოში მისი სულის მოსახსენიებლად.

ცხრაობითი თვლა.

საქართველოში უძველესი დროიდან ცხრაობით ითვლიდნენ, ძველ საქართველოში თაყვანს სცემდნენ სამებას. ცნობილია, რომ ჩვენი წინაპრები სამ კერპს აღმართავდნენ და სამჯერ სამივე წმიდათაწმიდად მიაჩნდათ. ეს ცხრაობითი თვლა სოფლის მოსახლეობაში ახლაცაა შემორჩენილი. როცა ახლობლებს დღესასწაულებზე ანდა ოჯახის რაიმე ზეიმთან დაკავშირებით ძღვენს უგზავნიან, ჩვეულებრივად ასე ანგარიშობენ: ორჯერ ცხრა პური, ერთჯერ ცხრა ნაზუქი, სამჯერ ცხრა ჩურჩხელა და ა. შ. ასევე ცხრაობით ითვლიან წიწილებს, კვერცხს. მსგავს ანგარიშს რუსულ წერილობით ძეგლებშიაც ვხვდებით, რაც ყოველგვარი ეჭვის გარეშე საქართველოდანაა ნასესხები. ყირიმში მეფე მენგლი-გირეისთან ელჩად წარგზავნილი ბოიარი ვასილი მოროზოვი ამბობს: «მე წავედი მეფესთან და ცხრიანები (საჩუქრები) ჩემს შემდეგ მიიტანეს»²⁷⁶.

ენა

ქართველთა ზეგავლენა რუსების ენაზეც უნდა ასახულიყო, რომელთაც განსაკუთრებით ძველ დროში არ შეიძლებოდა ცნებათა გამოსახატავად საკუთარი სიტყვების საკმარისი მარაგი ჰქონოდათ. სამწუხაროდ, რუსულ ლექსიკოგრაფიულ ლიტერატურაში უზარმაზარი ხარვეზია, კერძოდ, რუსული ენის ისტორიული ლექსიკონის არარსებობა, რის გამოც ჩვენთვის ძნელი იყო ქართველთაგან ნასესხები ყველა სიტყვა დაგვესახელებინა. ქვემოთ ჩვენ მიერ მოყვანილი სიტყვები, ვფიქრობთ, ქართული ენიდან უშუალოდ უნდა იყოს ნასესხები, ნაწილობრივ კი მისი მეშვეობითაც: 1. აბაზი _ Абазь - (Abazi); 2. ალე _ Аллея (alle); 3. ალისფერი _ Алыи (alis pheri); 4. ბაუ _ Бау, Баю²⁷⁷; ბაუა (Бай, Баша); 5. ბანი _ Бани (Крыша)- (bani); 6. ბაგა²⁷⁸ _ База (стойло) _ (baga); . აბანო _ Бани (abano), სოფელი გორის მაზრაში; 8. ბედი, უბედო _ Беда (bedi- ubedo); 9. ბული-ბული _ Були-були ბატებს ასე უხმობენ) _ (buli-buli); 10. ბალთა²⁷⁹ _ Балта (baltha); 11. თეთრეული _ Белье (ქართულიდან თარგმანი, თეთრეული (thethreuli); 12. ფანდური _ Бандура (phanduri); 13. ბადია _ бадья (badia); 14. ბაღჩა _ Бахча (bakhtcha); 15. ყორანი _ Воронь - (khorani); 16. ვერა _ Выра (peka) -(vera); 17. ვერა, უბანი თბილისისა _ Виры (Vera); 18. გაზდა _ Газда (хозяин, мужчина (გაზდა) воспитывать 19. გომი _ Гомь и гор. (gomi); 20. გორა, გორაკი _ Гора, Горка (gora, goraki); 21. გული _ Гуля (пуля, шарик) - (guli); 22. გურგანის ზღვა _ Гургани гор. (Gurganis zgva); 23. და _ Да (союз) (da) 24. იორი _ ივრის ხეობა _ Иверца р. (ivris kheoba); 25. ზიანი _ Изьянь (siani); 26. კაბა _ каба (caba); 27. გზა _ Кза р. (სუზდალის მიწაზე) (дорога) (Gza). ნასესხობა მდინარის მნიშვნელობის მიხედვითაცაა. მდინარეები ძველად ერთადერთი და მთავარი სანაოსნო გზები იყო, რომელთა ნაპირებზე სახმელეთო გზებიც მიიკლავნებოდა. 28. კიკინი _ Kuku (пукли) - (Kikini); 29. ხანჯალი _ кинжал (Khanjali); 30. ქისა _ Киса (qissa); 31. კოკონა ჭია _ Кокон (cocopa tschia); 32. ქულბაჯი _ Кольбягъ _ ხსენებული რუსულ პრავდაში²⁸⁰ (gulbagi); 33. კარბი _ Корби (сел) _ (carbi); 34. ჰუნე _ Кунь (конь) _ (hune); 35. კუთხე _ Кумь (уголь)- (cuthkhe); 36. ქმა _ Кшь, Киша (qcha); 37. ლარი _ (Ларь) სამეფო განძისაგავი (lari); ეს სიტყვა ჯერ კიდევ უძველეს ქართულ დამწერლობაში გვხვდება და ხაზინას, განძს ნიშნავს. თუ მას პატრონომიულ პრეფიქს სა-ს მივუმატებთ, სათავსოს დასახელებას მივიღებთ, სადაც განძეული და ფასიანი ქაღალდები ინახება _ სალარო, აქედან განძის მცველი _ მოლარე; 38. ლილისფერი _ Лилыйи цветъ (lilis pheri, Лила _ ქართულად ლილაა; 39; მიმოვიდა

_ Мимо идя (mimovida); 40. მანკი _ Манки (ზადი) _ (manki); 41. ნარევი _ Наревь р. (narevi); 42. ობოლი _ Оболь (oboli); 43. ოლთის მდინარე _ Ольта река (olthis mdinare); 44. თივა _ Отава (сено) - (thiva); 45. ოჯახი _ Очаг (odjakh); 46. ფლავი _ Плавь гор. (phlavi); 47. ფრონე _ Проня река 48. ფთა, ფრინველი _ Птахъ, пта (ptha, phrinveli); 49. ფული²⁸¹ _ Пулы (phuli); 50. სახლი²⁸² _ Сакля (sakhli); 51. საქმე _ Сакма (saqme); 52. სამგორი _ Самородокъ с. (samgori); 53. სვირი _ Свири р. (sviri); მდინარე და ადგილი საქართ.; 54. სნო მდინარე _ Сновъ река (sno) გორის მაზრაში; 55. ტალა _ Таль (tala) მოგზაურთა ღამის შიში; 56. ტანა _ Таневъ р. (tana); 57. თმა, თუმანი, თემი²⁸³ _ (10 000) _ Тма, (thma, tumani, themi); 58. თბილი _ Теплый (thbili); 59. უპოვარი, შეუპოვარი _ Упорный (sheupovari); 60. ხარჯი _ Харчи (Kharji); 61. მოხმურული, მოღრუბლული _ Хмара, хмарый (mohrubluli); 62. ჩოხა _ Чуха (tschokha); 63. ჩადრი _ Чадра (tschadri); 64. ჩარდახი _ Чердак (tschardakhi); 65. ჩალისფერი _ Чалыйъ цветъ (tschalis pheri); 66. ქსანი _ Шексна р.; შარა _ Шара р. (chara), Корани, Псела და სხვ.²⁸⁴

ექვს ნაწილად გამოცემულ ახალ რუსეთის სახელმწიფო სრულ გეოგრაფიულ ლექსიკონში (მოსკოვი 1878-89 წ.წ.), ჩვენ შემდეგი ქართული გეოგრაფიული სახელწოდებები აღმოვაჩინეთ: 1. ალაზანი _ Алазея река²⁸⁵ (Alasani); 2. ამტნის მდინარე _ Амтнись река²⁸⁶ (Amtnis mdinare); 3. ვაკა _ Вага село²⁸⁷ (vakha); 4. გორი _ Горы городъ²⁸⁸ (Gori); 5. ინგური, ენგური _ Ингуль р.²⁸⁹ (Enguri); 6. კასპი _ Каспля _ სოფელი ამავე დასახელების მდინარეზე (caspi)²⁹⁰; 7. მტკვარი _ Куръ р.²⁹¹ კ.(curus); 8. ნაბადა _ Набдин село²⁹² (Nabada); 9. ნული _ Ноли гор. ²⁹³ (Nuli); 10. ბრილი _ Прели мест²⁹⁴ (brili); 11. რეხა _ Руха р.²⁹⁵ (rekha); რეხულა, რუხა, ციხე-სიმაგრე ენგურზე; 12. ტანა _ Танаись Донъ²⁹⁶ (tana); 13. თერგი _ Терка р.²⁹⁷ (thergi); 14. წიფა²⁹⁸ _ Ципа р. (tsipha).

უნდა აღინიშნოს, რომ ნასესხებმა სახელწოდებებმა ახალ სამშობლოში დიდი სახეცვლილებები განიცადეს: მათ ან რუსულ ენაზე თარგმნიდნენ, ანდა მათ რუსიფიკაციას ახდენდნენ _ ძირებზე თავიანთ ადგილობრივ დაბოლოებებს უმატებდნენ. ასევე გვხვდება სიტყვები ორმაგი _ ქართული და რუსული დაბოლოებებით. ზოგიერთმა სიტყვამ კი პირველადი სახე ისე შეიცვალა, მათი წარმოშობის დადგენა მხოლოდ ფილოლოგიური შესწავლის შედეგად თუა შესაძლებელი. ზოგიერთმა ქართულმა სიტყვამ, რომლებიც წინა ისტორიულ ჟამსაა შესული რუსულ ენაში, თავისი უცხოური ხასიათი ფონეტიკური ან მორფოლოგიურ ცვლილებათა მიზეზებით დაკარგა. ქვემოთ მოყვანილი სახელწოდებებიც ჩვენ ქართული ნომენკლატურიდან ნასესხობად მიგვაჩნია: Авгоръ р. Ало р. Анабара р. Ангара р. Бора село. Дина р. Дедилово село. Лама р. Лопанъ р. Мариса р. Мжа р. Напириса р. Орькапи креп. Сакмара р. Сура р. Уда р. Урга р. Цна р. Чона р. Шаква р. Шачебола р. Шишаки мьст; Стыр, და სხვ.

ჩვენი დიდი მონდომების მიუხედავად, 1773 წელს კოლეჟსკი ასესორის თეოდორ ათანასეს ძე პოლუნინის მიერ რუსეთისადმი მიძღვნილი გეოგრაფიული ლექსიკონი ვერაფრით მოვიპოვეთ, რომელშიაც უცილობლად უფრო მეტ ძველ გეოგრაფიულ სახელწოდებას ვნახავდით, ხოლო ჩვენამდე პირველადი სახით მოღწეული გეოგრაფიული სახელები ჭეშმარიტი არსის შემცველი, მათი წარმომავლობის უტყუარი მაჩვენებელია და იმ ხალხის მშობლიურ ენაზე მეტყველებენ, რომლებმაც შექმნეს. მოცემულ შემთხვევაში, გეოგრაფიული

ნომენკლატურა უტყუარი მოწმობაა იმისა, თუ სინამდვილეში სად იყო სლავების წინაპართა სამკვიდრო და მათი კოლონიზატორული მოძრაობა სამხრეთის ქვეყნებისკენ რა მიმართულებით ვითარდებოდა.

ასევე მივუთითებთ რუსეთში გამოყენებულ ჭურჭლეულობასა და სამოსზე, რომლებიც უდავოდ საქართველოდან გადავიდა ამ ქვეყანაში: бадья (badia) - დიდი ვერცხლის თასი, რომელიც დღესაც იხმარება საქართველოში; მცირე ბადია, ქართულად _ ლოდაკი²⁹⁹; კულა _ Кyбoкъ (cula) ჭურჭელი, რომლის ვიწრო ყელიდან ისმევა ღვინო, ჩვენთან დღევანდლამდე გამოიყენება; აზარფეშა _ Ковшикъ (asarphesha); გრძელი სახელურიანი ღვინის დასალევი ვერცხლის მრგვალი ჭურჭელი; достакань ღვინის დიდი თასი (ყანწი, რქა)³⁰⁰, საქართველოში ქეიფისას გამოიყენება ღვინის დასალევად; «მოსკოვიტების ქვეყნის ქალთა თავსაბურავი, _ ნათქვამია ანტიოქიის პატრიარქის, მაკარის მოგზაურობაში, _ პატარა, ბოლოებგადაკეცილი, ბამბაგამოკერებული ქართული ქუდია; მამაკაცთა სამოსი _ კაბა (аба), გადასაწევსახელოებიანი სამოსი, რომელიც ახლაც იხმარება), ზემო სამოსი _ ქართული ჩოხა _ чуха³⁰¹ სასულიერო პირთა ზედა კაბასაც ჩოხა³⁰² _ чуха ეწოდებოდა. ამიტომაცაა, რომ საქართველოში ანაფორის მატარებელს ჩოხოსანს უწოდებენ. ჩოხის ჩაცმა ან მისი კურთხევა ბერად შედგომას ნიშნავდა. საქართველოში ზევით აპრეხილცხვირიან და ნაოჭებიან ჩექმას, მოგვს (Сапор) იცვამდნენ. ეს ჩექმა ოფიციალური ფეხსაცმელიც იყო. ახლაც ქართველ თავადაზნაურთა წარმომადგენლები უმაღლეს პირებთან შეხვედრისას ამ ძველი ქართული ყაიდის ჩექმებს იცვამენ. უკრაინულ ჩექმებსაც (Чиботы) ზუსტად მსგავსი ფორმა აქვს, რომლებიც ისტორიკოს ნ. ი. კოსტომაროვის აღწერით ზემოთ აპრეხილი, წვრილცხვირიანი და ნაკეცებიანია³⁰³. გლეხებს კი საქართველოში ჩექმების ნაცვლად ხელით ამოსხმული ტყავის ქალამნები ეცვათ და აცვიათ, რომლებიც მხარის კლიმატურ პირობებს სავსებით შეეფერება. ქალამანი ფეხს ყოველი მხრიდან ეკვრის და სანტიმეტრის სიფართის შავი თასმით წვივს ირგვლივაა შემოჭიმული. უკრაინული ქალამანიც ზუსტად ასეთივე ნიმუშისაა. იგი ნ. ი. კოსტომაროვის გადმოცემით შედგება ტყავის ძირისაგან, რომელიც ფეხს იტგვლივ სარტყელით ერტყმის³⁰⁴. რუსი ქალებიც ქართველ ქალთა მიმსგავსებით თავსაფარს, ქართულად მანდილს იხურავდნენ _ თავს (შუბლს) წვრილი, ძვირფასი ნაჭრით იკრავდნენ, რომელიც აბრეშუმის ძაფით იყო მოქარგული, საშუბლე ქინძისთავიანი მარგალიტებით დამშვენებული, და ქართველი ქალების მსგავსად კულულებს (კავებს) იკეთებდნენ, კულულებს ყურს ქვემოთ უშვებდნენ. ასევე ყოველ მხარეს უშვებდნენ ოთხ-ექვს მარგალიტის ზონარს. უკანა ნაწილს Kuku, ³⁰⁵ ქართული სიტყვა _ კიკინასაგან (пукли) ეწოდებოდა.

უკრაინული სუფიქსების ck და ko-ს წარმომავლობა.

ქ. ხარკოვში (1902 წ) XII არქეოლოგიურ ყრილობაზე ბ. ლოპატინსკიმ მოხსენება წაიკითხა რუსული ენის სუფიქსების ck და ko -ზე ქართული ენის დიალექტის _ მეგრულის გავლენის შესახებ. სუფიქსი ck მეგრულ დიალექტში არსებობს და, როგორც დამოუკიდებელი სიტყვა-სქუა, შვილსაც აღნიშნავს, მაგრამ იგი ასევე გამოიყენება, როგორც წარმოშობის აღმნიშვნელი რთული სიტყვის შემადგენელი ნაწილი. მეგრული ილიაშსქუა რუსულად ილინსკი იქნება³⁰⁶.

ск -სა და ко სუფიქსების წარმოშობის შესახებ ბ. ლოპატინსკის რეფერატზე დამატების სახით საჭიროდ მიგვაჩნია ადვნიშნით, რომ ко -ზე დამთავრებული ყველა კნინობითი და მოფერებითი სახელი, რომლებიც რუსულ მატთანებში გვხვდება, ასევე ქართული ენიდანაა ნასესხები. ასეთებია: ვასიკო (Василько) ლავრ. წიგ. გვ. 198, 208,232, 247-253, 255-260, 264, 278-279, 288, 312, 322, 327, 383, 392, 413, 416; 420, 424, 426, 429, 431, 436, 443, 449, 451-452, 481; ვარიაჟკო ვოევოდა. ibid. გვ. 76_77; ვიატკო ფუძემდ. გვ. 11; ივანკო თავ. (ივანიკა, ივანიკო) გვ. 477; Михалко (მიხაკო) გვ. 340_342, 344_345, 353-354, 356-360, 396; რადკო გვ. 200; სინკო, კნინობითი სიმონისაგან. გვ. 46; და ა. შ. ასევე ქართულიდანაა ნასესხები Гюрги კნ. (გიორგი) გვ. 428-429; 487; Туадь კნ. (თავადი - რყზპმ) აქ საზოგადო სახელი საკუთარის მაგივრადაა დაყენებული მემატთანის უცოდინარობის გამო. გვ. 46; ტეტია _ Тетий კნ. ევსტაფი (გვ.375; Урусона კნ. ორივე ქართული დაბოლოებაა, პრეფიქსი у ქართულია, გვ. 268-269.

III

მატიანის მნიშვნელობა ისტორიისათვის. რუსული ქრონიკა, მისი გამოცემის მცდელობები და თანამედროვე ვითარება მის უმთავრეს უცხოურ წყაროთა შესახებ. რუს სწავლულთა, ისტორიკოსთა და სლავმცოდნეთა ურთიერთგამომრიცხავი მოსაზრებები რუსულ მატთანეთა შედგენილობისა და ღირსებათა შესახებ. სკეპტიციზმი და დოგმატიზმი რუსულ ისტორიოგრაფიაში. მისი ოფიციალურ-სამსახურებრივი ხასიათი XVIII საუკუნეში. პატრიოტული პანეგირიზმი და კეთილგანზრახულობა რუსულ მატთანეთა მეცნიერული კვლევის საქმეში. დასკვნები მეცნიერთა მოსაზრებებზე «გარდასულ წელთა ამბავთან» დაკავშირებით. ბიზანტიურ მწერლობაში თავდაპირველი მატთანის ნამდვილი ნიმუშის არ- არსებობა.

წინა თავებში მოკლედ გადმოვეცით საქართველოს კულტურული ღვაწლის შესახებ, როგორც უძველეს წარმართულ, ისე ქრისტიანულ პერიოდში. ამასთან მივუთითეთ ქართველების უდიდეს როლზე აღმოსავლეთის ქრისტიანობის ისტორიაში და მათი მონასტრების სასულიერო-საგანმანათლებლო მისიაზე საერთოდ სლავების, განსაკუთრებით კი რუსთათვის³⁰⁷. იმასთან დაკავშირებით, რომ, ჩვენი აზრით, იბერიელთა გავლენა რუსი ხალხის ყოფა-ცხოვრებაზე უზარმაზარი იყო და ეს, სხვათა შორის, მათ უძველეს მატთანებშიც აისახა, საჭიროდ მიგვაჩნია, აქვე მოკლედ მიმოვიხილოთ საკითხები ე. წ. «გარდასულ წელთა ამბის» წყაროების შესახებ.

ისტორიის ძირითადი და უმთავრესი პირველწყარო, რომელსაც მეცნიერული ისტორიული კრიტიკა ეყრდნობა, მატთანებია. რუსული მატთანები XV-XVIII საუკუნეთა ნუსხებში დიდი რაოდენობითაა შემონახული. უძველესად ზოგიერთები (არასრული, ე. წ. პირველი ნოვგოროდული მატიანე) XIII საუკუნის ნუსხას მიიჩნევენ³⁰⁸, მაგრამ საკმაოდ უსაფუძვლოდ. «თავდაპირველი მატიანე» დღემდე ცალკე არაა ნაპოვნი; ყველაზე ძველი და ჩვენამდე საუკეთესო სახით მოღწეული ეს მატიანე 1377 წლის ლავრენტისეულ ნუსხაშია ჩართული, თუმცა ისტორიკოსი დ. ი. ილოვასკი ამ ნუსხის შესახებ ამბობს, რომ იგი შეიძლება,

დიდი-დიდი, XIV საუკუნის დასასრულს მიეკუთვნოს, რადგან არა გვაქვს დამამტკიცებელი საბუთი იმისა, რომ ლავრენტისეულ კრებულს ჩვენამდე თვით ლავრენტის ხელნაწერით მოედწიოს³⁰⁹. ლავრენტისეული ნუსხა, ისტორიკოს კარამზინის აზრით, საუკეთესოა. ეს აზრი ნუსხას საეკლესიო-ისტორიულ მეცნიერებაში დაუმკვიდრდა და ჩვენც არქიოგრაფიული კომისიის მიერ 1872 წელს გამოცემული ამ ნუსხით ვხელმძღვანელობთ.

რუსული მატიანეების შესახებ დაახლოებით ორი საუკუნის მომცველი ვრცელი ლიტერატურა არსებობს. მატიანეთა, როგორც წინაპართა მიერ ნაანდერძევი ძვირფასი კულტურული ძეგლების დამუშავება, თავისი უზარმაზარი მნიშვნელობის გამო, ეროვნული თვითშეგნების აღმოცენებისა და თვით რუსული ისტორიის მეცნიერულად დადგენის სურვილის გაჩენის დღიდან დაიწყო. ამ დროიდან ფართოდ მიეცა გასაქანი ყოველგვარ მარჩიელობას. ვინც კი ოდესმე რუსულ ისტორიასა და, საერთოდ, ძველი დროების სამამულო წერილობით ძეგლებს გასცნობია, უეჭველად ე. წ. «გარდასულ წელთა ამბის» საკითხსაც შეეხებოდა. ამიტომ გასაკვირი არაა, რომ ჯერ კიდევ თავისი დროის სახელმოხვეჭილი გერმანელი მეცნიერის, აკადემიკოს გ. ზ. ბაიერის (1694_1738)³¹⁰ რუსულ სიძველეთა ამ პირველი მკვლევარის³¹¹ შრომებში, ისტორიოგრაფ აკადემიკოს გ. ფ. მილერის (1705_1783) თხზულებაში «ჟამთააღმწერელ ნესტორის შესახებ» და პეტრე პირველის ფავორიტის – ვ. ნ. ტატიშჩევის (1686_1750) გამოკვლევებში არის კვალი რუსულ მატიანეთა მიმართ მათი კრიტიკული დამოკიდებულებისა³¹². ვ. ნ. ტატიშჩევს შესაძლებლად მიაჩნდა, რომ რუსებს მწერლობა წმიდა ვლადიმირამდე და თვით კირილემდეც ჰქონოდათ. ერთ-ერთ სამამულო მემატიანედ იგი ეპისკოპოს იოაკიმეს (†1030) ცნობდა, რომლის ნაშრომიდან მხოლოდ მოკლე ამონარიდები მოჰყავს. ძველი მატიანის შესახებ ტატიშჩევი ასეთ აზრს გამოთქვამს: «უეჭველად ამ მატიანის შემოქმედი ნესტორია, რომელმაც იგი 1093 წლამდე მიიყვანა, ხოლო ილუმენმა სილვესტერმა გააგრძელა 1116 წლამდე»³¹³. მაგრამ სამეცნიერო კრიტიკა ტატიშჩევის მიერ იოაკიმეს მატიანის მიკვლეულ ნაწყვეტს უნდობლად მოეკიდა და მიაჩნია, რომ მეცნიერი გულუხვად გვთავაზობდა ისტორიულ გამონაგონს³¹⁴. მატიანეებზე დაწერილმა ტატიშჩევის მრავალწლიანმა შრომამ საისტორიო მეცნიერებას შესაფერისი სარგებლობა ვერ მოუტანა. მისი ისტორია ქრონოლოგიურად, მაგრამ სათანადო კრიტიკული აპარატის გარეშე გამოცემული, იგივე ახალი, უფრო ვრცელი «მატიანეა». ტატიშჩევი მატიანის ტექსტს მეტად თვითნებურად ეპყრობოდა, ასწორებდა, თანაც არცთუ ყოველთვის კარგად, საკუთარ სახელებს ყოველგვარი შენიშვნების გარეშე ასხვაფერებდა, არ უთითებდა, საიდან რა იყო აღებული. ტატიშჩევს მატიანეთა ტექსტების შეგნებულ გაყალბებასა და არაკეთილსინდისიერებაში ადანაშაულებდნენ.

უფრო მეტი კრიტიკული დამოკიდებულება გამოავლინა გ. ფ. მილერმა, რომელსაც მიაჩნდა, რომ «თავდაპირველი მატიანის» ზოგიერთი ამბავი ნაყალბევი იყო. ჟურნალში «ყოველდღიური ამბები მოსამსახურეთა სასარგებლოდ და გასახალისებლად» (1755) მილერი აღტაცებით ლაპარაკობს ნესტორ ჟამთააღმწერელზე, როგორც სლავების პირველ მემატიანეზე, და იმაზეც, რომ ეს მატიანე ევროპელებს პირველმა სწორედ მან გააცნო. ასევე შესაძლოდ მიაჩნდა, რომ მანამდე არსებობდა რაღაც ჩანაწერები, რომლებიც ნესტორმა მასალად

გამოიყენა. რუსული მატთანების დამუშავებაში მილერს გვარიან დაბრკოლებას უქმნიდა რუსული სახელწოდებები³¹⁵. იგი მატთანეთა ნუსხებს კარგად იცნობდა და რჩევას იძლეოდა, წიგნად გამოცემისას საუკეთესო ნუსხა უცვლელად დაებეჭდათ, ხოლო დანარჩენებისა – ვარიანტები. მილერი პირველი იყო მათ შორის, ვინც აქტების, როგორც ისტორიული წყაროების, მნიშვნელობას ჩასწვდა. მისი სიტყვებით, «ისტორიკოსი უნდა იქცეოდეს, ვითარცა უსამშობლო, ურწმუნო და უბატონო... ისტორიკოსის ნათქვამი უნდა იყოს უაღრესად ჭეშმარიტი და თვითონ ეჭვებისა და პირფერობის საბაზს არასოდეს იძლეოდეს». იგი რუსი ხალხის წარმომავლობის საკითხსაც შეეხო და ამის გამო ლამის პოლიტიკური დანაშაულის ბრალდებასაც არ მოერიდა³¹⁶. მიუხედავად ზოგიერთი შეცდომისა, მილერის გამოკვლევები რუსული ისტორიული წერილობითი ძეგლების შესახებ ფასდაუდებელია, რისთვისაც მას კ. ნ. ბესტუჟევი-რიუმინი რუსული ისტორიის მამად მოიხსენიებს.

გ. ფ. მილერის შრომებმა მაშინდელ რუს საზოგადოებრიობას ყურადღება მიაქცევინა სამამულო მატთანებზე, რომლებიც ჯერ კიდევ ხელნაწერთა სახით იდო. რუსულ მატთანეთა გამოცემა, რაც არქიოგრაფიულმა კომისიამ ითავა, მშობლიური ისტორიის ყველა მოყვარულის დიდი ხნის ოცნება იყო. ეს საქმე მეცნიერებათა აკადემიასაც აწუხებდა. როცა ბოლოს და ბოლოს, 1734 წელს მეცნიერებათა აკადემიამ რუსულ მატთანეთა გამოცემა განიზრახა, 25 აპრილს მმართველ სენატში ასეთი მოხსენება წარადგინა: «წარსულში, 1727 წლის 14 ოქტომბრის უხენაესი საიდუმლო სათათბიროს ბრძანებით ს. პეტერბურგში სტამბა ორ ადგილას უნდა მუშაობდეს, კერძოდ, დაბეჭდოს სენატის ბრძანებები და რუსულ ენაზე თარგმნილი სხვადასხვა ისტორიული წიგნი, რომლებიც უწმიდესი მმართველი სინოდის მიერ მომავალში შემოწმებული იქნება მეცნიერებათა აკადემიაში, სადაც ეს ისტორიები, კალენდრები და მმართველი სენატიდან მოწოდებული ბრძანებები იბეჭდება. ამჟამად მეცნიერებათა აკადემიას განზრახული აქვს, სხვა ხალხების კვალობაზე, რომელთაც თავიანთი სამამულო ისტორიის შესწორების უდიდესი სურვილი აქვთ, სტამბას გადასცეს ძველი რუსული მატთანები განმარტებათა, კილო-კავებისა და მასალათა შესწორების გარეშე, პირვანდელი სახით, ზოგიერთი მონაკვეთის გარდა, რომელთაც საერო ისტორიასთან საერთო არაფერი აქვთ, მხოლოდ სულიერებას ეხებიან და, რომელთა განხილვის შესაძლებლობა წმიდა მმართველ სინოდს მომავალში კვლავაც ექნება. ამიტომ იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ ამ გზით რუსეთის ისტორია დროთა ვითარებაში უფრო ნათელი გახდება, რაც სტამბისთვის სასარგებლო იქნება, ხოლო ხალხისთვის მისი კითხვა – სასიამოვნო».

მმართველი სენატი წმიდა სინოდს დაუკავშირდა და მეცნიერებათა აკადემიამ სინოდისგან შემდეგი პასუხი მიიღო: «იყო მსჯელობა იმის შესახებ, რომ აკადემიაში ისტორიის დაბეჭდვას აპირებენ, რაზეც ქალაქსა თუ სხვა ხარჯებს ამაოდ გაიღებენ, რამეთუ ამ წიგნებში აშკარა სიცრუე წერია, რის გამოც შესაძლოა ხალხი ცთუნებული აღმოჩნდეს. ხოლო თუ ისინი დაიბეჭდება, მათი შეძენის მსურველთა რიცხვი ნაკლები იქნება, რადგან ერთიანი სტილი შეირყვნება. შესაძლოა, ზოგიერთებმა ისინი ხალხისთვის შეიძინონ, მაგრამ პირველივე შენაძენით დანარჩენის გასაღება დაამუხრუჭონ. ამის გამო გამორიცხული არაა, რომ ხაზინის კაპიტალს გარკვეული ზარალი მიადგეს»³¹⁷.

ამგვარი პასუხის შედეგად მატიანეთა გამოცემა გადაიღო. წმიდა სინოდმა ამგვარივე წინააღმდეგობა გაუწია აკადემიკოს გ. ფ. მილერსაც, რომელმაც მის მიერ აღმოჩენილ ციმბირის მატიანეთა გამოცემა (1733_1743) განიზრახა. მათში სინოდის აზრით, არის «არცთუ ისე მცირე სიცრუე, იგავები, სასწაულები და ეკლესიის ამბები, რომლებიც არამცთუ რაიმე ყურადღებას იმსახურებენ, არამედ აკადემიურ რეგლამენტსაც ეწინააღმდეგებიან. ამ საქმეში რაიმე სახით ისეთი ჩარევა, რაც კანონს ეხება, სწორედ აკადემიკოსებსა და პროფესორებს ეკრძალებათ»³¹⁸. მილერს ათი წლის განმავლობაში მოგზაურობის პერიოდში მონდომებით ნაგროვები ამ საინტერესო კულტურის ძეგლების გამოცემაზე უარი ეთქვა. 1767 წელს გამოიცა ჯერ კიდევ პეტრე პირველის დროს გადაწერილი კენინგსბერგული ნუსხა. დაახლოებით 1780 წელს ეკატერინე II-მ, გ. შლეცერის მოწმობით, წმ. სინოდს უბრძანა: «ხალხის სასარგებლოდ და რუსეთის ისტორიის წარმატებისათვის საიმედო ადამიანთა მეთვალყურეობით გადაიღონ მოსკოვის სინოდისა და სასტამბო ბიბლიოთეკებში არსებული ისეთ ძველ რუსულ მატიანეთა ნუსხები, რომელთა გარჩევა სიძველის გამო ძნელია, შემდგომ კი მათ ბეჭდვას შეუდგნენ. თავდაპირველად უმნიშვნელოვანესები დაბეჭდონ, მერე – დანარჩენები, ხოლო ზოგიერთ მათგანში გამოსახული ფიგურები ზუსტად გადაიღონ. ასევე გამოიკითხონ, ტროიცკისა და სხვა მთავარი მონასტრების ბიბლიოთეკებში ხომ არ მოეძებნება რაიმე მნიშვნელოვანი რუსულ მატიანეთაგან, და თუ აქვთ, ისინიც დაიბეჭდოს»³¹⁹.

XVIII საუკუნის მიწურულს მატიანეებსა და რუსულ ისტორიაზე განსაკუთრებული თავგამოდებით მუშაობდა თავადი მ. მ. შჩერბატოვი. მიუხედავად მთელი რიგი ცთომილებისა, მისი, როგორც პუბლიცისტ-ისტორიკოსის დამსახურება, ვინც რუსეთის ისტორია 15 ტომამდე, ანუ ვიდრე 1610 წლამდე შეავსო, ის გახლდათ, რომ მატიანეები შეძლებისდაგვარად დაამუშავა და მათი მნიშვნელობა, როგორც საუკეთესო ისტორიული წყაროებისა, აღამაღლა. მან მეცნიერებისთვის ხელმისაწვდომი გახადა ყველაზე მნიშვნელოვანი ნუსხები: ნოვგოროდის მატიანე, სააღდგომო ნუსხა და სხვ. ტატიშჩევივით მატიანეთა ტექსტს თავის მოსაზრებებსა და ახსნა-განმარტებებს არ უმატებდა, ინტერპოლაციებით კი არ ამახინჯებდა, ცდილობდა ისინი ზუსტად დაემოწმებინა. შჩერბატოვი განსაკუთრებული წარმატებით სხვადასხვა სახელმწიფო აქტისა და დიპლომატიურ ურთიერთობათა ძეგლების დამუშავებასა და გამოცემისას გაისარჯა. აქტებისა და მატიანეთა გამოცემებზე საკუთარ ბიბლიოთეკაში ასევე ბევრი იღვაწა განათლების ცნობილმა ქომამა და საზოგადო მოღვაწემ, მარტინისტმა, ნ. ი. ნოვიკოვმა (1744_1818) რომელსაც, დედოფალ ეკატერინე II-ის ნებართვით, მოსკოვის ნებისმიერ არქივში შესვლის უფლება ჰქონდა. მაგრამ რუსულ მატიანეთა სრული გამოცემის სისტემატური ბეჭდვა მხოლოდ 1841 წელს დაიწყო.

რუსულ მატიანეთა კვლევის ნამდვილი დონის ასამაღლებლად საჭირო იყო ევროპული განათლების მქონე და კრიტიკულად მოაზროვნე პიროვნება. ასეთი გახლდათ შლეცერი. ეს რეფორმატორი რუსულ ისტორიოგრაფიაში სულ სხვა გზით მიემართებოდა. რუსულ მატიანეთა პირველი კრიტიკული მკვლევარი, ვისაც რუსული ისტორიული მეცნიერების წინაშე უზარმაზარი დამსახურება მიუძღვის, შვილი გეტინგენის პასტორისა, ავგუსტ ლუდვიგის ძე შლეცერი

(1735_1809 წ.წ.) თავის კაპიტალურ გამოკვლევაში, რომელსაც ჰქვია «ნესტორი» და რომელზეც თითქმის 42 წელი შრომობდა, წერს: «ნესტორის მთელი მატთანე ბიზანტიურ თარგზეა შედგენილი, თავის ქმნილებებში ამ უკანასკნელიდან სიტყვასიტყვით თარგმნილი მთელი რიგი მონაკვეთები ჩართო; ასევე ცხადად მიბაძა ქრონოლოგიურ თანმიმდევრობაშიც... ამ რუსმა ამნაირად განიზრახა თავისი ხალხის მემატთანე გამხდარიყო. მართალია, ნესტორის ნიმუშები თუკიდიდესას ვერ უტოლდება, მაგრამ იყო მნიშვნელოვანი, კეთილსინდისიერი, მატთანეების მწერალთა ჭეშმარიტების მოყვარული, ხოლო მეზღაპრეებიც არ ტყუოდნენ... ბევრ რამეს თანამედროვესავით წერდა, რადგან მის სახელმწიფოს მისსავე სიცოცხლეში ჯერ ორასი წელიც არ შესრულებოდა. ბევრი რამ, როგორც თვითონ აღიარებს, 1016 წელს გარდაცვლილ თავის თანამოწესე ბერ იანისაგან შეიტყო, რომელიც 90 წლის იყო და ვლადიმირ დიდის გარდაცვალებიდან ერთი წლის შემდეგ დაბადებულა... «ბიზანტიელ იმპერატორებთან დადებული მშვიდობიანი ხელშეკრულებები ჩემთვის არის გამოცანა, რომლის ამოხსნა ჰომეროსის ხომალდთა ნუსხაზე უფრო რთულია»³²⁰. «შესაძლებელია, ზოგიერთი ადგილის გამოკლებით კედრინი სინკელისაგან იწერდა, ხოლო ნესტორი – კედრინისაგან. მაგრამ იქნებ ვინმემ მიაგნოს მეოთხე ან მეხუთე ბიზანტიელ ისტორიკოსს, ვისაც ნესტორი უფრო ეთანხმება, ვიდრე კედრინს»³²¹. «ნესტორი კოსმოგრაფიას ბიზანტიური სიზუსტით იწყებს, ნოეს შვილებს შორის დედამიწის დაყოფას ზღაპრის ფორმით ასახავს და ბაბილონის ორომტრიალამდე მიდის, რომელსაც თავს მაინც ანებებს და ჩქარობს საკუთარი სამშობლოს ისტორიის შესავალს მიადგეს... თავისი სახელმწიფოს წარმოშობას, ცხადია, მცდარი გადმოცემა დაუდო საფუძვლად»³²². «მაგრამ ეს ნესტორი გვიანდროინდელ ისლანდიელებსა და პოლონელებზე ისე აღმატებულია, როგორც ზოგჯერ დაბინდული გონება უთავბოლო სისულელეზე»³²³. «ნესტორი არის პირველი, უძველესი, ერთადერთი, ყოველ შემთხვევაში, მთავარი წყარო ზემოური ჩრდილოეთის აღმოჩენისა»³²⁴. «ნესტორი თავის თანამოწესეთა შორის დიდი ხანია ერთადერთ, ნამდვილ მემატთანედ რჩება»³²⁵.

«პატივცემულ ნესტორს, – განაგრძობს შლეცერი, – ყველა თავს დაესხა, იწყეს მისი ენის შეცვლა, სიტყვების ამოგდება, მიმატება, შემცირება, საკუთარი მსჯელობების ჩამატება. მისი მომხიბვლელი უბრალოება ხელოვნურად დაამახინჯეს, მისი თხრობა, რომელშიაც არაფერი ზედმეტი არაა, მსჯელობებით გადატვირთეს. მაგრამ ეს ყველაფერი როდია. პირველ ასწლეულში ნესტორი ძალზე თავშეკავებულია, რადგან, როგორც პატიოსანი და ჰკვიანი კაცი, მხოლოდ იმას მოგვითხრობს, რაც იცის, და მხოლოდ იმაზე წერს, რაც მხოლოდ მის ისტორიას ეხება. მას ხან ბიზანტიელთა შრომების ამონარიდებით ავსებდნენ, ბოლოს კი სულელური გამონაგონებით, რომლებიც, არა უადრეს XV საუკუნისა, მოსკოვში მეზობლებისაგან რაღაც გზებით მოხვდა და ძველ წიგნად დამკვიდრდა. და ასე საცოდავად დამახინჯებული მატთანეები ჯერ ისევ ნესტორისეულ მატთანედ იწოდებოდა»³²⁶. შლეცერი რუსულ მატთანეთა მეცნიერულად გადამუშავებისა და გამოცემისათვის ითხოვდა: 1. მატთანეთა კრიტიკულად დამუშავებას, სხვადასხვა რედაქციის შეჯერებასა და ტექსტის გაწმენდას; 2. ტექსტის შედარებითი გრამატიკის დახმარებით ახსნას; 3. ისტორიულ

დამუშავებას, ანუ მატიანეთა და სხვა ძეგლთა შინაარსობრივ შეჯერებას. შესაბამისად, იგი მატიანეთა ნაკლებ კრიტიკას მოითხოვდა. «პეჩორელი მოხუცი ბერი, _ ამბობს შლეცერი, _ ღირსია ამ ნაშრომისა. ამას იმ დიდი ნაციის სახელი მოითხოვს, რომელსაც თვითონ მიეკუთვნება; საერთო ჩრდილოური, ევროპული, მსოფლიო ისტორიაც კი მასში მონაწილეობს»³²⁷. რუსულ მატიანეთა დამუშავებისას შლეცერი პატრიოტული მიზნით ზოგიერთი ისტორიული ფაქტის დამახინჯებას მკაცრად კიცხავდა. ქარაგმა სათანადოდ იქნა გაგებული და მას ძლიერი ბრძოლის გადახდა მოუხდა ლომონოსოვთან, რომელიც თავისი ცრუ-კლასიკური შეხედულების შესაბამისად წინაპართა განსადიდებელ ისტორიას წერდა. მიუხედავად შლეცერის უზარმაზარი დამსახურებისა, მის გამოკვლევებსა და რუსული ისტორიის დამუშავების შედეგებით მეთოდს ზოგიერთი თანამედროვე არაკეთილგანწყობით შეხვდა. მეცნიერებათა აკადემიის წევრი ლომონოსოვი შლეცერზე წერდა: «როგორ საზიზღარ უწმაწურობებს არ მოზოდავს ეს რუსულ სიძველეებზე მიშვებული პირუტყვი...»³²⁸

შლეცერის წინასწარმეტყველება, რუსული მატიანის უცხოური წყაროს აღმოჩენის შესახებ, მართლაც გამართლდა. 1813 წელს აკადემიკოს _ ნუმიზმატიკოსმა ფ. ი. კრუგმა (1764_1844), რომელმაც ბიზანტიური ქრონოლოგია რუსულ ისტორიასთან დაკავშირებით პირველმა საგანგებოდ და გულმოდგინედ შეისწავლა და არქეოლოგმა ა. პ. ერმოლოვმა (1780_1828) აღმოაჩინეს, რომ რუსული მატიანის პირველწყაროდ გიორგი ამარტოლის ქრონიკა იყო გამოყენებული, თუმცა ამ აღმოჩენას ს. ფ. პლატონოვი³²⁹ და ბ. შმურლო³³⁰ რატომღაც მიაწერენ პ. მ. სტროევს, რომელმაც თითქოსდა მანამდე უცნობ გიორგი ამარტოლზე პირველმა მიუთითა.

შლეცერის მიმდევარი, რუსული ისტორიის მამა _ ნ. მ. კარამზინი (1765_1826) რუსული ისტორიის განვითარების შესახებ ტატიშჩევისა და თავად შჩერბატოვის შეხედულებათა აღიარებისას მათ ორიგინალურ სქემებს ეთანხმებოდა, მაგრამ, მეორე მხრივ, შლეცერის შეხედულებებსაც იზიარებდა. კარამზინმა ისტორიული კრიტიკის სარბიელზე პირველი გაუბედავი ნაბიჯები შლეცერის ზეგავლენით გადადგა³³¹. მას სავალდებულოდ მიაჩნდა ყველგან აღნიშნულიყო მატიანეში შესული იგავ-არაკები თუ ზღაპრები. ვლადიმირის საუკუნე ძლევა მოსილებისა და დიდების საუკუნედ მიაჩნია და თავდაპირველ მატიანეს უდიდეს მნიშვნელობას ანიჭებს³³². კარამზინი, როცა ვლადიმირის ნათლობის შესახებ ძველი მემატიანის სიტყვები მოჰყავს, ამბობს: «ასე გადმოგვცემს ჩვენი მემატიანე, რომელიც, ალბათ, იცნობდა ვლადიმირის თანამედროვეთ და მისი მთავრად ყოფნის მნიშვნელოვანი მონაკვეთები ამიტომაცაა სარწმუნო»³³³. კარამზინი ნესტორს თავისი საუკუნის მჭევრმეტყველ მწერლად აღიარებს³³⁴ და შესაძლებლად მიაჩნია, რომ იგი საეკლესიო ჩანაწერებით სარგებლობდა.

ნ. მ. კარამზინი ნაციონალიზმით იყო გამსჭვალული. იგივე პრინციპი გასდევს მის ისტორიასაც, რომელშიც ნაციონალური სახელმწიფოს თანდათანობით შექმნას ხედავს. კარამზინს ნ. ა. პოლევოი უსაფუძვლოდ როდი უსაყვედურებდა, რუსეთის სახელმწიფოს ისტორიაში მან უყურადღებოდ დატოვა «რუსი ხალხის ისტორია». პროფესორი უსტრიალოვიც მიუთითებდა, რომ ისტორია საზოგადოებრივი ცხოვრების თანმიმდევრული განვითარების სურათს უნდა ასახავდეს მოქალაქეობრიობის ერთი მდგომარეობიდან მეორეში გადასვლისას. არციბაშევი

კი რუსეთის სახელმწიფოს ისტორიაში ხედავს «უფრო მეტ მქადაგებლურ მარცვალს, ვიდრე ისტორიულს».

შლეცერმა რუსული თავდაპირველი მატიანის კრიტიკულად დამუშავებისას თავისი კოლოსალური ძალისხმევის მიუხედავად, რუსულ მატიანესთან დაკავშირებით, ისტორიული კრიტიკის მემკვიდრეებს უამრავი ეჭვი დაუტოვა. შლეცერის ზოგიერთი მიმდევარი უფრო შორსაც წავიდა; მიაჩნდათ, რომ პირველი რუსი მემატიანე იყო არა სხვა ვინმე, არამედ ერთ-ერთი ბიზანტიური ქრონოგრაფის მთარგმნელი; თარგმანი რომ დაასრულა, ცოდნისმოყვარულმა და შრომისმოყვარე ბერმა საკუთარი ცნობები რუსეთის საშინაო მდგომარეობის შესახებ შესაფერის ადგილებზე განათავსა, მათ ზოგიერთი ხალხური და მონასტრის გადმოცემა მიუმატა და თავის მონასტერში მომხდარი უმთავრესი ამბები აღნიშნა³³⁵.

მატიანის ყურადღებით შესწავლამ მომდევნო თაობის მეცნიერები იმ დასკვნამდე მიიყვანა, რომ რუსული მატიანე არა მონოლითური ძეგლი, არამედ ნაკრებია. მის სიძველეში ეჭვიც შეეპარათ. რუს პროფესორთაგან ერთ-ერთი, მეტად სახელგანთქმული და პოპულარული, წარმოშობით ბერძენი მ. ტ. კაჩენოვსკი (1775_1842), შლეცერის შედარებითი მეთოდის მიმდევარი და მტერი ყოველგვარი «პატრიოტული მიკერძოებულობისა», ისტორიკოს ნ. მ. კარამზინის რუსეთის ისტორიისა და მისი წყაროების ნაციონალისტურ შეხედულებათა გააფთრებული მოწინააღმდეგე იყო. რუსულ მატიანეთა შესახებ ნიბურის ისტორიული კრიტიკის ზეგავლენით შემდეგს აცხადებდა: «ისტორიული კრიტიკა პირველ ასწლეულთა მატიანეებში ბევრ ისეთ მოვლენას აღმოაჩენს, რომლებიც თითქოს უცხო ქვეყნების წიგნებიდან შეგნებულადაა ამოკრებილი და თავისუფალი ადგილების შესავსებადაა ჩამატებული... ჩვენი მატიანეები მდიდარია სიმართლით, მაგრამ, ამავე დროს, არც გამონაგონითაა ღარიბი. კარგი იქნება, თუ მათ კითხვას, კრიტიკულ შედარებასა და ღვარძლისაგან ხორბლის გამორჩევას ვისწავლით»³³⁶.

პროფესორ კაჩენოვსკის აზრით, იოაკიმესეული მატიანე სინამდვილეს არ შეესაბამებოდა და ბერძნებთან დადებული ხელშეკრულებები საეჭვოდ მიაჩნდა იმის საფუძველზე, რომ იმჟამინდელი საზოგადოებრივი ცხოვრება, რომელსაც ხელშეკრულებები ასახავდა, არ შეიძლებოდა ასეთი მაღალი დონის ყოფილიყო. კაჩენოვსკის მტკიცებით რუსულ ისტორიაში არის ზღაპრების პერიოდი და ყველა თავდაპირველი ცნობა ერთნაირად სარწმუნო როდია, რადგან პირველწყაროებმა ჩვენამდე მოაღწიეს არა ორიგინალების, არამედ გვიანდელი ნუსხების სახით. კაჩენოვსკის მთავარი დამსახურება ისაა, რომ რუსეთის ისტორიის წყაროებისა და ფაქტების მიმართ შლეცერისეული მცირე შენიშვნის საპირისპიროდ, მეტისმეტად კრიტიკული დამოკიდებულება გამოიჩინა და მრავალი ამბის ლეგენდარულობა დაამტკიცა. პროფ. კაჩენოვსკი უცხოურ წერილობით წყაროებზე დაყრდნობით ამტკიცებდა, რომ ძველ რუსეთს არც დამწერლობა ჰქონდა, არც ვაჭრობა³³⁷, არც ფულის ნიშანი, არც ქალაქის თემი; მატიანე ყალბია და XIII საუკუნეშია შექმნილი, რომ ცხოვრების აღმწერი მატყუარა იყო და ა. შ. მან შექმნა სკეპტიკოსთა მთელი სკოლა, რომელსაც მიეკუთვნებოდნენ მის მიმდევართა გამოჩენილი წარმომადგენლები: ნ. ს. არციბაშევი, ცნობილი ნ. ვ. სტანკევიჩი, სწავლული გოსტევი, ს. მ. სტროევი და სხვ.

ამ დროს სკეპტიკოსებისაგან რუსული მატიანის დასაცავად გაილაშქრა აკადემიკოსმა და სენატორმა პ. გ. ბუტკოვმა (1775_1857) თხზულებით: «ნესტორის რუსული მატიანის დაცვა სკეპტიკოსთა ცილისწამებებისაგან». ის წინასიტყვაობაში ჩამოთვლის სკეპტიკოსთა სკოლის თავდასხმებს და ამბობს: «ყველა ეს შეხედულება, ყველა ეს მსჯელობა, მიება, ლექციები, აზრები და თავდასხმები, ამოფარებულნი უმაღლეს კრიტიკასა და რუსეთის ისტორიის პირველი პერიოდის არსის გარკვევის საბაზს, პირდაპირ ჩვენი უძველესი მატიანის ღირსებათა განადგურებას ისახავენ მიზნად. ისინი გვისაყვედურებენ, რომ ნესტორის მიმართ ბრმა ნდობით განწყობილნი, საკუთარ თავს მიუტევებელ ცთომილებებში ვამყოფებთ, და აცხადებენ, თითქოს მზად არიან დაგვიხსნან ამ ბურუსიდან, თუკი მომავალში ნესტორის მატიანეს მათი თვალთ შევხედავთ და დავთანხმდებით, რომ ეს ქმნილება ჭრელი ნაზავია სინამდვილისა და სიცრუისა, ეფუძნება დამახინჯებულ გადმოცემებს, გამონაგონებს, სიყალბეებსა და ჩამატებებს, რუსეთისათვის მრავალი უცხო ქვეყნის ამბების მიწერას»³³⁸.

«შვიდი ასეული წლის განმავლობაში, _ აღნიშნავს ბუტკოვი, _ არავის ხელუყვია ნესტორის მატიანის ღირსება... მაგრამ ახლა გამოჩნდნენ მწერლები, რომლებიც თამამად აცხადებენ, რომ ჩვენ მატიანის მიმართ წინასწარი აკვიატებული საზრისი გვაქვს და მიუტევებლად ვცდებით. ისინი საქვეყნოდ აცხადებენ, IX საუკუნის ნახევრიდან XI საუკუნის ნახევრამდე რუსეთის ამბების მომცველი მატიანე XI საუკუნეს არამც და არამც არ მიეკუთვნებაო»³³⁹.

აკადემიკოსი ბუტკოვი სკეპტიკოსთა მტკიცებულებებს თავისებურად უარყოფს და მიიჩნევს, რომ «ნესტორის მატიანის შედგენის იდეა შესაძლოა თავის საძმოში რუსეთის მოვლენებთან დაკავშირებით საუბრებისას გასჩენოდა. როცა წმ. თეოდოსი პეჩორელ ბერებს ხანგრძლივი ძილისა და სიზარმაცის აღკვეთის მიზნით საეკლესიო გალობასა და წიგნების კითხვას ურჩევდა, ითხოვდა, ისინი, ამავე დროს, მამათა გადმოცემებითაც დაინტერესებულიყვნენ»³⁴⁰. მატიანის ნიმუშად ბუტკოვი ბიზანტიურ ქრონიკებს აღიარებს და მიიჩნევს: «როცა ნესტორი რუსული მატიანის შედგენას ბიზანტიური ქრონიკების მაგალითზე შეუდგა, ისე მოიქცა, როგორც მის ადგილზე მყოფი რამდენადმე კეთილგანწყობილი ნებისმიერი კაცი მოიქცეოდა: მას დაურთო მნიშვნელოვან მოვლენებზე ხალხის ხსოვნაში შემონახული სიტყვამცირე შინაური ამბები, რომლებიც მამიდან შვილზე სიმღერებისა და ზღაპრების მსგავსად გადადის, თავის მატიანეში ასევე შეიტანა ოლეგის, იგორისა და სვიატოსლავის მშვიდობიან ხელშეკრულებათა ნუსხებიც... თავისი საუკუნის უახლოეს შემთხვევებზე კი თანამედროვეთა მონათხრობის მიხედვით წერდა»³⁴¹.

ბუტკოვი თავის ნაშრომს შემდეგი ორი დებულებით ამთავრებს: 1. «ჩვენი ძველი მატიანე სრული ნდობის ღირსია როგორც იმით, რომ რუსეთის ყველა უმნიშვნელოვანესი ცნობა ეთანხმება უცხოელ და თანამედროვე მწერალთა თხზულებებს, ასევე იმ წყაროების სიზუსტით, რომელთაგანაცაა ამოკრებილი გადმოცემები შინაური ამბების შესახებ; 2. ამ მატიანის შედგენაში უპირატესად მონაწილეობდა ნესტორი, კიევ-პეჩორის თეოდოსის მონასტრის ბერი, ვინც 1113 წლამდე ნამდვილად იღვწოდა; ის ნესტორი, ვისაც თვით ყველაზე გაბედული მოწინააღმდეგეებიც კი ვერ ართმევენ თხზულებებს ბორისზე და გლებზე, თეოდოსის ცხოვრებაზე, მისი წმიდა ნაწილების გადასვენებაზე... თხზულებებს,

რომლებიც ამჟღავნებენ ნესტორის გონს, ცოდნასა და მწიგნობრობის ნიჭს; ის ნესტორი, ვისაც რუსეთის ქვეყნის მემატიანის სახელით 600 წელზე მეტი ხნით ადრე იცნობდნენ სიმონი და პოლიკარპე, აგრეთვე, ჩვენი წინაპრები ძალზე დიდი ხნის წინათ – უძველეს მატიანეთა ნუსხების თავფურცელთა წარწერებიდან; ბოლოს, ის ნესტორი, ვისაც ჩვენი ეკლესია რუსი მემატიანის სახელით მოიხსენიებს»³⁴².

მ. ტ. კაჩენოვსკის მიმდევარმა ნ. ს. არციბაშევმა (1773_1841), თავდაპირველი მატიანის აღსადგენად უმძიმესი შრომა გასწია მის ხელთ არსებულ მატიანეთა ნუსხების გამოწვლილვით შეჯერებისას. ამ შრომის შედეგი იყო მისი სამ ტომად შედგენილი ნაშრომი: «თხრობა რუსეთზე», რომელშიაც ხელნაწერები 1700 წლამდეა შეჯერებული. არციბაშევი შლევცერს იმის გამო ადანაშაულებდა, რომ მან «თავდაპირველ მატიანეში» ზღაპრული რამ მეტად მცირე დოზით შენიშნა. კაჩენოვსკის სხვა მოწაფეები და მიმდევრები ისტორიის კრიტიკის ახალი ფილოსოფიური პრინციპების დამყარებით უფრო შორს წავიდნენ, მაგრამ თავისუფალი კრიტიკის ხმა დროებით უნდა დადუმებულიყო დოგმატიკოსთა მიერ გამოცხადებული პატრიოტიზმისა და სიძველეთა ავტორიტეტის წინაშე. სკეპტიკოსთა სკოლის საპირისპიროდ, გაჩნდა ე. წ. დოგმატიკოსთა სკოლა, რომლის თვალსაზრისს წინაპართა ქება-დიდება და მათი ცხოვრების გაიდეალება შეადგენდა. ამასთან, უარყოფილი იყო სხვა დანარჩენი არგუმენტები, რის შედეგადაც დოგმატური თვალსაზრისი თავისი არსით დამაჯერებელად ვერ გამოიყურებოდა. ამგვარად, რუსული სამატიანო ძეგლების კვლევისადმი მეცნიერულმა ყურადღებამ უკანა პლანზე გადაინაცვლა და უპირატესობა პატრიოტულ პანეგირიზმს მიენიჭა.

ამ რეაქციულმა ზეგავლენამ, თავისი გამომხატველის სახით, უნივერსიტეტის კათედრის პროფესორ კაჩენოვსკის მოადგილე, მოსკოვური პატრიარქალური ყაიდის ცნობილი ისტორიკოსი «კარამზინის მიერ ისტორიკოსად ხელდასხმული» – მ. პ. პოგოდინი ჰპოვა³⁴³.

დოგმატიკური სკოლის მეთაურის, მ. პ. პოგოდინის (1800_1875) გამოკვლევების მიხედვით, რუსი მემატიანე სვიატოპოლკის ეპოქაში, XI საუკუნის მიწურულსა და XII საუკუნის დასაწყისში ცხოვრობდა³⁴⁴. აქამდე ცნობილი ყველა ისტორიული საბუთით მატიანის შემდგენელი გახლდათ კიევ-პეჩორის მონასტრის ბერ-მონაზონი, ნესტორი, რომელიც მოხსენებულ დროს ცხოვრობდა, საქმის გამგრძელებელი კი იყო XI საუკუნის მწერალი ვასილი³⁴⁵. მ. პ. პოგოდინის აზრით, ნესტორის მატიანის წყაროები იყო: 1. ერთი პირველთაგანი – ადრინდელი ჩანაწერები; 2. პირადი მოწმობა; 3. თანამედროვეთა ცნობები; 4. ბულგარული მატიანეები ან ცნობები; 5. ბერძნული მატიანეები; 6. ვარიანთა ცნობები; 7. მოსახლეობისა და მეზობელთა ცნობები; 8. საერთო გადმოცემა; 9. წერილობითი საბუთები; 10. ხალხური სიმღერები³⁴⁶.

ბ. პოგოდინი ნესტორის მატიანის სხვა ხალხების მატიანეებთან შედარებამ ასეთ დასკვნამდე მიიყვანა: «გარდასულ წელთა ამბავი» არაჩვეულებრივად უტყუარია და მისი შემოქმედი უდიდეს პატივისცემას იმსახურებსო, თუმცა თავის ლექციებში არ უარყოფდა, რომ ნესტორის მატიანეში არცთუ ისე მცირეა გამონაგონი და ზღაპრული³⁴⁷. ისტორიკოსმა პოგოდინმა წარსულის

გულმოდგინე შესწავლა მოითხოვა და წამოაყენა კვლევის მათემატიკური მეთოდი, რომელსაც ხშირად თვითონვე არღვევდა.

თავისი ლექციების დასასრულს ბ. პოგოდინი III კურსის სტუდენტებს ამგვარად მიმართავს: «ყველა ზედმიწევნით ზუსტი გამოკვლევის საფუძველზე, ყველა დაწვრილებითი დაკვირვების მიხედვით, ყველა დაჟინებულ მოსაზრებაზე დაყრდნობით, მატიანის ყველა მაჩვენებლისა და უცხო ცნობათა მკაცრი კრიტიკის გათვალისწინებით მშვიდად, ემოციების გარეშე, კეთილსინდისიერად, იმ მდგომარეობის მიხედვით, რომელშიაც ამჟამად იმყოფება ჩვენი ისტორია და მისი კრიტიკა, იმით, აქამდე რამდენი წყარო და საბუთიცაა ცნობილი, ჩვენ უდავოდ ვადიარებთ, რომ პირველ მატიანეს უნდა ვუმადლოდეთ XI საუკუნის კიევ-პეჩორის მონასტრის ბერ-მონაზონს – ნესტორს. რაც უფრო მეტად კრიტიკულად მოვეკიდებით მას, მით უფრო წმიდად, სარწმუნოდ, საპატიოდ წარმოჩნდება ყოველი უნებლიე მსაჯულის თვალთა წინაშე, როგორც მხცოვანი იროდი, რომელიც საუკუნეთა მანძილზე ასევე უამრავი უსაფუძვლო ეჭვით იყო გარემოცული. ყველა ცილისწამება და ტყუილი ბრალდება მის უხრწნელ ნეშტს უცხო ქერცლივით სცილდება. დიახ, ჩვენ ნესტორის მატიანის სახით ისეთ საუნჯეს ვფლობთ, როგორსაც ლათინური ევროპა ვერ წარმოგვიდგენს 348, როგორც ჩვენს უფროს ძმებს სლავებს შურთ. ნესტორს XI საუკუნის უკუნეთში, შინაომების ეპოქაში პირველს მოუვიდა აზრად მომავალი საუკუნეებისთვის გადაეცა წინაპართა საქმენი, სახელმწიფოს ტანჯვით შობა, მისი ბოზოქარი ყრმობა. ნესტორმა გზა გაკაფა, ყველა თავის მემკვიდრეს მაგალითი მისცა ნოვგოროდსა და ვოლინში, ვლადიმირსა და ფსკოვში, კიევსა და მოსკოვში, როგორ განეგრძოთ მისი საისტორიო საქმე, ურომლისოდაც ჩვენ ხეტიალი მოგვიწევდა გამონაგონთა და გადმოცემათა წყვდიადში. ნესტორმა ეს საქმე ყურადსაღები საღი აზროვნებით, ხელოვნებით, კეთილსინდისიერებითა და სიმართლით ადასრულა, და აქვე დავამატებდით – თავისი კიდევ ერთი ღირსშესანიშნავი თვისებით – სულის სითბოთი და სამშობლოსადმი სიყვარულით... ნესტორი რუსული ისტორიის შესანიშნავი სახეა, მამულის მოყვარული, მისი ლიტერატურული დიდების, წმიდა და მშვენიერი დიდების ერთგული. ნესტორმა მისთვის, ყველა კანონის გათვალისწინებით, რუსული განათლებისა და რუსული ლიტერატურის პანთეონში საპატიო ადგილი უნდა დაიმკვიდროს... ვილოცებთ, რათა ჩვენს ძიებებში გვიწინამძღვროს მისი მიწიერი სიყვარულის სამყაროში, – სახალხო განათლების სისტემის ყველაზე მთავარ საგანში, რომელშიაც მთელი ჩვენი სამამულო ისტორიის აწმყო და მომავალია დავანებული...»³⁴⁹ პოგოდინს ისღა აკლდა, სტუდენტები მიეწვია კიევში, რათა ღირსი ნესტორ «ყამთააღმწერლის» უხრწნელი ნეშტისთვის პატივი მიეგოთ რელიგიურ-პატრიოტული მომლოცველობით. პროფ. პოგოდინის მიერ მემატიანე ნესტორისთვის უხვად შესხმული ქება-დიდება რუსეთის წარსულის მისეული ცოდნის გამო ყოველგვარ აზრს კარგავს, როცა ეს ქება-დიდება ნესტორისადმია მიმართული, მაგრამ არსებით მნიშვნელობას იძენს, როცა ეხება პირველწყაროს. – «გარდასულ წელთა ამბავს».

მ. პ. პოგოდინმა რუსულ მატიანეთა ისტორიულ-კრიტიკულ გამოკვლევებზე დიდი შრომა დახარჯა და დოქტორის ხარისხის მოსაპოვებლად ნესტორის შესახებ მეტად ვრცელი თხზულებაც დაწერა, მაგრამ, როგორც პროფესორი მილიუკოვი

ენამოსწრებულად შენიშნავს, «რადგან გონებაბრჯგუ იყო, თავისი ამოცანა ძალზე მდარედ შეასრულა»³⁵⁰. პოგოდინი შემოქმედებით ნიჭს იყო მოკლებული, ხშირად საკუთარ თავს ეწინააღმდეგებოდა და ისტორიკოს ბესტუჟევი-რიუმინის თქმით, რომელიმე მრევლისთვის მისი მიკუთვნება ძნელი საქმე იყო. ნესტორის შესახებ დაწერილი მთელი მისი ვრცელი თხზულება აგებულია ვარაუდებზე, მოსაზრებებზე, შეპირისპირებებზე, თეორიებსა და ა.შ. ეს მეტად სუსტ და არამყარ ფუნდამენტზე არასაიმედო მასალისაგან ნაგები ხელოვნურ შესაძლებლობათა მთელი ეიფელის კოშკია.

მიუხედავად ცხარე კამათისა, მ. პ. პოგოდინმა ვერ ჩაახშო ხმები სკეპტიკოსთა სკოლისა, რომელმაც წარმოაჩინა ახალი სწავლულნი: ნ. ა. პოლევოი, პ. ს. კაზანსკი, ნ. ი. ნადეჟდინი, პ. მ. და ს. მ. სტროევი, ნ. ი. კოსტომაროვი, დ. ი. ილოვაისკი და სხვ. ისინი თავიანთ გამოკვლევებში კრიტიკულად აანალიზებენ რუსულ «თავდაპირველ მატიახეს».

ნ. ა. პოლევოი (1796_1846) რუსი ხალხის ისტორიის წინასიტყვაობაში (I-VI ტ) ძველი სამამულო მწერლობის ძეგლების მიმოხილვისას აღიარებს, რომ მონასტრებში სამატიახო შრომა მემკვიდრეობითი იყო, და ამ თვალსაზრისით, ნესტორს მონასტრის ერთ-ერთ მემატიახედ მიიჩნევს, ხოლო მისი მატიახის სახელწოდებას – გვიანდელად. «არც ერთ ნუსხაში, – ამბობს იგი, – ნესტორის გადმოცემები გამგრძელებელთაგან გამოყოფილი არ არის და ყველაფერი გაერთიანებულია და ერთ ყაიდაზეა დაწერილი. ეს გახლავთ ერთი უწყვეტი ჯაჭვი ისტორიული ჩანაწერებისა, რომელთა გადამწერნი ჩვენთვის უცნობია»³⁵¹. მეორე მხრივ აღიარებდა, რომ ძველ მატიახეში ბევრი რამ ზღაპრული და ძველი საეკლესიო მისტერიების მსგავსად იყო ჩაწერილი, როგორც გადმოცემა, მაგრამ შესაძლოდ მიაჩნდათ, ისინი იმ დროის წეს-ჩვეულებათა ასახავად გამოეყენებინა³⁵². ნ. ა. პოლევოი სკეპტიკოსებს მხურვალედ უჭერდა მხარს და მრავალ საკითხში ეთანხმებოდა, მაგრამ უშუალოდ მათ ჯგუფს არ ემხრობოდა.

პ. ს. კაზანსკიმ გასული საუკუნის 50-იან წლებში პირველი სამატიახო კრებულის ნესტორისთვის მიკუთვნების თაობაზე ახალი ეჭვები გამოთქვა. იგი ამტკიცებდა, რომ მატიახის ნაწილთაგან, რომლებიც არქიოგრაფიულმა კომისიამ «ნესტორის მატიახის ძველი ტექსტის» სახელწოდებით გამოსცა, ყველა არ იყო ერთნაირად ძველი, ერთსა და იმავე ავტორს არ მიეკუთვნებოდა და ურთიერთგამომრიცხველ ცნობებს მოიცავდა³⁵³. მატიახესა და ბორისისა და თეოდოსის ცხოვრებას შორის არსებულ წინააღმდეგობათა საფუძველზე მან უარყო აზრი, რომ პირველი კრებულის ავტორი ნესტორი იყო.

რუსული ისტორიის უძველესი პერიოდის მიმართ ასევე სკეპტიკურად იყო განწყობილი ნ. ი. ნადეჟდინიც (1804_1856), რომელსაც ამისი გარკვეული საფუძველიც ჰქონდა. «სამწუხაროდ, – ამბობს იგი, – ისეთი ძეგლები, რომლებიც ნამდვილად უტყუარია (სიგელები და ოფიციალური საბუთები) XIII საუკუნეს არ სცილდება... მთელი ოთხი ასწლეულის ძეგლებად მხოლოდ მატიახეები რჩება, ხოლო მათზე გადაჭრით ვერ იტყვი, უტყუარიაო... როგორც ჩვენი, ისე საერთოდ ყველა მატიახის მიმართ სკეპტიციზმი არცთუ უსაფუძვლოა. გადმოცემას რომ სავსებით ენდო, აუცილებლად უნდა გჯეროდეს მისი უტყუარობა»³⁵⁴.

პ. მ. სტროევი (1795_1876) ნესტორის ბიზანტიური წყაროს შესახებ თავის საინტერესო სტატიაში ამბობს: «ჩვენი მატიახეების დასაწყისში სამამულო

თქმულებები ისე მცირეა, ძველი რუსეთის ტოპოეთნოგრაფიის, სამი ხელშეკრულებისა და ზოგიერთი ზღაპრის გარდა (როგორცაა ოლეგის გარდაცვალება, ოლგას ხრიკები და სხვ.), ყველა თითქმის ბიზანტიურია»³⁵⁵.

ისტორიკოსი ს. მ. სტროევი (1815_1840) მ. პ. პოგოდინის მგზნებარე მოწინააღმდეგე გახლდათ. ამტკიცებდა, რომ რუსული მატიანის შესახებ პოგოდინის აზრი უსაფუძვლო იყო და უარყოფდა ამ მატიანის სიძველესა და უტყუარობას. «ჩვენი მატიანეები, – წერდა იგი, – სხვა არაფერია, თუ არა კრებულები, რომლებიც XIII საუკუნის მიწურულს, ან XIV საუკუნის დასაწყისში სხვადასხვა თხზულებისგანაა შედგენილი და სხვადასხვა დროს სხვადასხვა პირთა მიერ დაწერილი. რუსულ მატიანეებში შესული თხზულებებია: 1. ბერძნულ მატიანეთა თარგმანები (კერძოდ, გიორგი ამარტოლისა); 2. წმიდანთა ცხოვრება აღწერილი სხვადასხვა პირთა მიერ სხვადასხვა დროს; 3. სამონასტრო ჩანაწერები ქალაქებისა და მონასტრების ღირსშესანიშნავ მოვლენებზე; 4. სასულიერო პირთა ეპისტოლეები სხვადასხვა საგანზე; 5. ცალკეული თხზულებები ბრძოლების, მთავრების და სხვათა შესახებ»³⁵⁶.

ძველი სლავური სასულიერო მწერლობის დიდი მცოდნე და მკვლევარი, ცნობილი ფილოლოგ-სლავისტი ი. ი. სრეზნევსკი (1812_1880) ნოვგოროდულ მატიანეთა შეჯერებითი კვლევის შემდგომ ასეთ დასკვნამდე მივიდა: «ჯერ ერთი, რუსული მატიანეები ერთსა და იმავე დროს სხვადასხვა ადგილას სხვადასხვა ჰქონდათ, ნესტორი ამ მატიანეთაგან ბევრით სარგებლობდა, მაგრამ არა ყველა მათგანით; მეორეც, შემდგომ ნესტორის მატიანეს პირველობა დარჩა, როგორც ყველაზე საუკეთესოს, ან სულაც სხვა მიზეზით, ხოლო სხვა მატიანეები ნესტორის თქმულებათა შესავსებად გამოიყენებოდა; მესამე, ყველა ნოვგოროდელმა, გვიანდელმა კი, ნესტორის არსებობა როდი იცოდა, ანდა მით სარგებლობა როდი სურდა, მხოლოდ თავიანთ ადგილობრივ ჩანაწერებს იყენებდნენ და ხშირად სარგებლობდნენ მხოლოდ ზოგი რამით და არა ყველაფრით, რაც შეიძლება მართებულად მოსჩვენებოდათ, თუკი ხელთ ჩაუვარდებოდათ»³⁵⁷. შემდგომ სრეზნევსკი ცდილობს არსებულ კრებულებში მატიანეების წარმართობის დროინდელ თქმულებათა ნარჩენებზე მიუთითოს და კითხვაზე: იყო თუ არა რუსეთში XI საუკუნემდე მატიანეები?- ასე უპასუხებს: «ჩვენი მატიანეები მართლაც ძველია, მაგრამ გაცილებით ძველი ამონარიდებისაგანაა შედგენილი და ზოგიერთი ამ ამონარიდთაგანი ვლადიმირამდელ ეპოქას ეკუთვნის...» «გარდასულ წელთა ამბის» ავტორი, როცა ამგვარი შენიშვნებით სარგებლობდა (შენიშვნები ეხებოდა VII-VIII სს. და უფრო ადრინდელ მოვლენებს), ზოგჯერ მათ შორის წინააღმდეგობებსაც აწყდებოდა, ცდილობდა ჭეშმარიტება დაედგინა იმით, რომ ერთ თქმულებას მეორეს ამჯობინებდა და უსარგებლოდ არ მიაჩნდა, რაც თავად უმართებულოდ ეჩვენებოდა, ისიც კი სადავოდ გაეხადა»³⁵⁸.

«ზოგიერთ მკვლევარს უდავოდ მიაჩნია, – ამბობს იგი, – რომ მატიანეთა პირველი ნიმუშები საბერძნეთიდან შემოვიდა, რომელთა მიმსგავსებით იწყეს ჩვენთან მატიანეთა შედგენა, რომ ჩვენს მატიანეთაგან უძველესნი ბიზანტიური მატიანეებიდან იყო გადმოღებული. ამ თვალსაზრისს მრავალი გარემოება ადასტურებს და, როგორც ჩანს, უდავოა. ან განა შეიძლება ხელი აიღო იმის რწმენაზე, რომ ბერძნებისაგან ქრისტიანული განათლების ყველა საწყისის გადმოღებისას ჩვენს წინაპრებს ბერძნებთანვე უნდა ეძებნათ მეცნიერებისა და

ხელოვნების ნაწარმოებთა მაგალითებიც. უნდა ეძებნათ! ნამდვილად ეძებდნენ და პოულობდნენ კიდევ. თუმცა, ისე, რომ სულაც არ განელებოდათ რწმენა, რომელიც ღირსი იქნებოდა სრული ნდობისა და ვერავითარი ეჭვი ვერ შეარყევდა მას. შეიძლება მასთან ერთად გქონოდა არანაკლებ სამართლიანი და საღი გონების კარნახით გამართლებული რწმენაც, რომ რუსებს ყველა სხვა ხალხის მსგავსად რამდენადმე მაინც უნდა ეგრძნოთ სულიერი მოთხოვნილებები და თავი დაეკმაყოფილებინათ უფრო განათლებული მეზობლების დაუხმარებლად. ამ მოთხოვნილებათა რიგში ერთ-ერთი ყველაზე მთავარია წარსულის ხსოვნა და მისწრაფება ამ ხსოვნის თქმულებითა და ნაწერით უკვდავყოფისა»³⁵⁹.

ჩვენი «გარდასულ წელთა ამბავი» ძალიან ბევრმა სხვა მემატიათა ტყუილად როდი დაუდო საფუძვლად თავის თხზულებებს, როგორც ნაშრომი მემატიათისა, რომელმაც ისარგებლა გარდასული დროების ერთმანეთთან დაუკავშირებელი მოვლენებით, შენიშვნებით, თანამედროვეთა მონაყოლით, ცხოვრებებით, აქტებითა და იმით, რაც კი ამოიკითხა ბიზანტიელ მწერლებთან და ჩეხი კოზმა პრალელისა და პოლონელი მარტინ გალის მსგავსად თავის თხრობას მიანიჭა სიმწყობრე და ხალისი, სიცოცხლე და ღირსება. მან სხვა მემატიათებს მისაბამ მაგალითად უმაღლესი ნიმუში უჩვენა და უფრო იმითაც გახლდათ დასაფასებელი, რომ ძნელი იყო მისი მიბაძვა. მის თანამედროვეთა და უახლოეს მიმდევართა შორის ერთი ისეთიც კი არ აღმოჩნდა, ვინც დროის ამ მონაკვეთთან დაკავშირებით მსგავს მატიათეს შეადგენდა; ამის გამოც იგი არა მარტო საუკეთესოდ, არამედ ერთადერთადაც დარჩა³⁶⁰. მის წიგნს გადაწერდნენ და აგრძელებდნენ ყველგან, სადაც კი შეიძლება ხელთ ჰქონოდათ და მისი ღირსების მიუკერძოებელი დაფასებაც იცოდნენ»³⁶¹. შემდეგ ი. ი. სრეზნევსკი რუსების წინაპართა განსახლების შესახებ მემატიათის თხრობას ე. წ. შუა საუკუნეთა მატიათების უმესანიშნავეს, კლასიკურ მონაკვეთთა რიცხვს მიაკუთვნებს³⁶². კითხვაზე, როდის³⁶³ და ვის მიერაა «გარდასულ წელთა ამბავი» დაწერილი, სრეზნევსკი ასეთ პასუხს იძლევა: «XI საუკუნის მეორე ნახევრის დასაწყისში, მის დასასრულსა და XII საუკუნის დასაწყისში... XI საუკუნის დასასრულისა და XII საუკუნის დასაწყისის მოვლენათა აღწერისას მატიათებში ორი სხვადასხვა სახელის მქონე მემატიათე ჩანს: ერთია კიევ-პეჩორელი ბერი, პატერიკის მიხედვით, ნესტორი, მეორე – ვასილი, შესაძლოა, ესეც სასულიერო პირი, ხოლო თუ 1110 წლის მინაწერი უბრალო გადაწერს არ ეკუთვნის, მაშინ «გარდასულ წელთა ამბის» მემატიათების რიცხვს, რომლებიც სახელებით იყო ცნობილი, სილვესტრიც, კიევის მიქაელის მონასტრის წინამძღვარიც, უნდა მიემატოს. ნესტორი 1091 წლისა და ადრინდელი დროის აღწერაში ჩანს, ვასილი – 1096_1098 წწ. აღწერაში, სილვესტრი კი გაცილებით გვიან, – 1110 წლის მოვლენათა აღწერის შემდგომ ჩნდება»³⁶⁴.

რუსულ მატიათეთა მკვლევარი აკად. მ. ი. სუხომლინოვი, რომლის თხზულებასაც «ძველ რუსულ მატიათეზე, როგორც ლიტერატურულ ძეგლზე», თავისი მნიშვნელობა დღევანდლამდე არ დაუკარგავს, ფიქრობს: «რომ XI საუკუნის მემატიათე გაცილებით ძველი, როგორც ზეპირი, ისე წერილობითი წყაროებით სარგებლობდა, მაგრამ მათგან ცოტა რამ ისესხა ყოველგვარი ცვლილების გარეშე... მოვლენათა თვითმხილველის ან თანამედროვის თხრობა მხოლოდ XI საუკუნის მეორე ნახევარში იწყება, თუმცა თანამედროვე მემატიათის

გამოჩენითაც ხასიათი მნიშვნელოვნად არ იცვლება. ერთიანობა, რაც ძველმატიანეს გამოარჩევს და მას მწყობრი მთლიანობის სახეს უნარჩუნებს, გაიძულებს, მასში ცნო შრომა ერთი პირისა, რომელიც თავიდან ძველი გადმოცემების მიხედვით წერდა, ხოლო შემდეგ თანამედროვე მოვლენათა ცხადი ჩვენებით. შეუძლებელია მათიანის მნიშვნელობის უარყოფა, რომელსაც უკვე XII საუკუნის დასაწყისში მწყობრი, ლიტერატურულად მთლიანი სახე ჰქონდა, ამასთან, შეუძლებელია არ დაეთანხმო იმას, რომ მისი მნიშვნელობა მით უფრო უდავო იქნება, რაც უფრო დამტკიცდება მისი დამოუკიდებლობა»³⁶⁵.

იყო თუ არა სამატიანო მოღვაწეობის დასაწყისი რუსების თვითმყოფადი მოვლენა, გამომდინარე ხალხური ყოფის პირობებიდან, თუ ის რუსული მათიანის ავტორის ხელთ არსებული უცხოური ნიმუშის მიბადვის შედეგია? ამ კითხვაზე მ. ი. სუხომლინოვი პასუხობს: «რუსულმატიანეთა წარმოშობა სხვადასხვაგვარადაა ახსნილი. სწავლულები აღიარებენ, რომ მათში ბიზანტიური ქრონოგრაფების მონაწილეობა შესაძლებელია, მაგრამ ეს მონაწილეობა თანაბარი როდია. ზოგის აზრით, ბიზანტიური გავლენა სრული და გადამწყვეტი იყო: შედგენილობა, გარეგნული ფორმა და შინაგანი ხასიათი ჩვენმა მათიანეებმა ბიზანტიური ქრონოგრაფებისაგან გადმოიღეს. სხვების აზრით, ბიზანტიურის გავლენა უფრო ზომიერი იყო: ამით აიხსნება ბევრი წვრილმანი, მაგრამ მთლიანობაში, მათიანე რუსული სიტყვიერების ორიგინალურ ნაწარმოებად რჩება»³⁶⁶.

«ბიზანტიური გავლენა რა ძლიერიც უნდა ყოფილიყო³⁶⁷, _ აგრძელებს ბატონი სუხომლინოვი, _ იგი მის ერთდროულ, ან მასზე ადრეულ, დამოუკიდებელ მოღვაწეობასაც არ გამოირიცხავდა. ბიზანტიურ ქრონიკებთან სიახლოვის მიუხედავად, ჩვენი მათიანეები მათ უამრავ რამეში არ ჰგვანან... იმ მოსაზრებაშიც არაფერია დაუჯერებელი, რომ დამოუკიდებლად შექმნილი ძველი მათიანე შემდგომში ბერძნულ მოვლენათა შესახებ გამოთქმული შენიშვნებით გამდიდრდა»³⁶⁸. აკადემიკოსი სუხომლინოვი იმას, რომ ვლადიმირის ნათლობისა და ცხოვრების ავტორი ბერძნულ ქრონიკებს იცნობდა, აღნიშნავს მხოლოდ რუსი მთავრის ბერძენთა იმპერატორ კონსტანტინესთან ასეთი შედარებისას: «ესე არს დიადი რომის ახალი კონსტანტინე, რამეთუ მან ხალხი თვისი და თავი თვისი მონათლა; ასე ჰქმნა მსგავსად მისა.»³⁶⁹ «სხვა შემთხვევაში კი, _ აგრძელებს ბატონი სუხომლინოვი, _ ამარტოლის აღწერით წმიდა კონსტანტინეს მიერ ქრისტიანობის მიღება და წმიდა ვლადიმირისა _ ჩვენი მემათიანის მიხედვით, რომელიც შინაური წყაროთი³⁷⁰ ხელმძღვანელობს, უფრო განსხვავებულია, ვიდრე მსგავსი, და ეს უკანასკნელი თვით მოვლენებს შეეხება და არა პიროვნებებს»³⁷¹.

ძველი რუსული მათიანის და მასზე არსებულ თვალსაზრისთა გულმოდგინე კრიტიკული მიმოხილვის შემდეგ, ბატონი სუხომლინოვი ამ მათიანის თავისებურებებს შემდეგნაირად ახასიათებს: «ჩვენთან სამატიანო მოღვაწეობის დასაწყისი, _ ამბობს იგი, _ არსითა და ფორმით დამოუკიდებელი მოვლენაა. ჩვენი მათიანე გაჩნდა დამოუკიდებლად, მთელი თავისი გარეგნული ფორმით თანდათან იზრდებოდა და შინაგან ხასიათსა და მნიშვნელობას იძენდა. მათიანის განვითარება ორი გზით მიმდინარეობდა: ჯერ ერთი, მისი შინაარსი არა მარტო მოკლე შენიშვნებს მოიცავდა, არამედ საკმაოდ დაწვრილებით თხრობასაც: მეორეც, ნასესხობები გარეშე თხზულებებიდან იყო. ისინი ასევე ორგვარი გახლდათ: ერთნი მემათიანის თანამემამულეთა ნაწერებიდან იყო გადმოტანილი,

მეორენი – მისი თაობის წარმომადგენელთა ნაწარმოებებიდან, როგორცაა, მაგალითად, კირილესა და მეთოდეს ცხოვრება, ანდა ბერძენი მწერლების ნაწარმოებებიდან, კერძოდ, გიორგი ამარტოლის ქრონიკებიდან... მემატიაწე მოაზროვნე კაცი იყო, საეჭვო გარემოებებს განიხილავდა, სხვადასხვა მონაცემით ამოწმებდა, სჯიდა; მტკიცებულებებს უმეტესწილად ბიბლიიდან და ბიზანტიელი მწერლებიდან ნასესხებ მაგალითებზე აფუძნებდა... ზოგიერთი თვისებით ევროპელ თანამოკალმეებზე აღმატებულმა ჩვენმა მემატიაწემ თავის მხრივ სხვა შემთხვევაში მათ უნდა დაუთმოს»³⁷².

დოგმატიკური სკოლის ერთ-ერთი გამოჩენილი მიმდევარი, რუსული სიტყვიერების კრიტიკოსი და ისტორიკოსი **ს. პ. შევირიოვი** (1806_1864) რუსული მატიაწის მნიშვნელობით აღტაცებულია: «XI საუკუნის ევროპაში, – ამბობს იგი, – თანამედროვე ისტორია მხოლოდ სამ ენაზე იწერებოდა: ბერძნულ ენაზე თხზავდნენ ბიზანტიელები, ლათინურზე – დასავლეთის ყველა მემატიაწე, რამაც ცოცხალ მოვლენათა უტყუარობას უდიდესი ზიანი მიაყენა, და ბოლოს, მესამე – ენა, რომელზედაც კიევ-პეჩორის მონასტრის წიაღში ჩვენი ჩრდილოეთის ისტორია იწერებოდა, სლავურ-რუსული იყო... უიმისოდ (უნესტოროდ) მეტად მცირე ცნობები გვექნებოდა ჩვენი სამშობლოს დასაბამის ზოგიერთ მოვლენაზე მხოლოდ ბიზანტიური და დასავლეთის წყაროების მიხედვით. არ გვეცოდინებოდა, ვინ ვართ? საიდანა ვართ? რა კავშირი გვაქვს სხვა მოდგმის ხალხებთან, რომლებიც ჩვენს ვეება მთლიანობას შემოუერთდნენ. ეს ცოტაა, იმასაც ვიტყვით, რომ იშვიათია ხალხი, რომელმაც ასე ნათლად და ზუსტად იცოდეს თავისი სახელმწიფოს დასაბამი, როგორც ჩვენ. ამის შესახებ ჩვენამდე მოღწეული ცნობები არავითარი იგავით არაა შელამაზებული (ნუთუ მართლა არავითარით?!), რაიმე თვითნებური გამონაგონით არაა აბურდული»³⁷³, რასაც თეოდოსის მონასტერსა და მის აღზრდილ ბერ-მონაზონ ნესტორს უნდა ვუმაღლოდეთ. კრიტიკას თავის ექვებსა და ვარაუდებში რამდენიც უნდა ებორიალა, ჭემმარიტების მოყვარული მემატიაწის უბრალო და ღრმააზროვან თქმულებებს ერთ დროს მაინც ამართლებდა... შლეცერის მიერ წამოჭრილმა ექვებმა ჩვენში საკუთარ სკეპტიკოსთა სკოლაც კი წარმოშვა. ნესტორს თავის თანამემამულეთა მიერ დაგებული საცთურებიც კი უნდა გაეფლო... რა თქმა უნდა, არც ერთ სხვა მემატიაწეს თავის თუ უცხო კრიტიკოსთაგან ისეთი წამება არ განუცდია, როგორც ჩვენს კიევ-პეჩორელ ბერ-მონაზონს. მას შეიძლება მეცნიერების ნამდვილი წამებული ეწოდოს, მაგრამ რაც უფრო მეტს აწამებდნენ, მით უფრო აღმატებული სახელით იმოსებოდა... მისი, როგორც სწავლულის აპოთეოზი სრულად ჩვენს დროში, როგორც ჩვენთან, ისე მთელს ევროპაში აღსრულდა. ნესტორს უკვე თაყვანი სცეს უცხოელმა მეცნიერებმა, ჩვენმა თვისტომმა სლავებმა და, ბოლოს და ბოლოს, ჩვენც დავინახავთ, რომ ჩვენს ნესტორს არა მარტო რუსულ-შინაურული, არამედ მსოფლიო მნიშვნელობა აქვს»³⁷⁴. ნესტორი განახლებული ადამიანი, ახალი ქრისტიანია. მისი სინდისისა და მრწამსის წინააღმდეგ რამის თქმა მისი რწმენის საწინააღმდეგო იქნებოდა. იგი ჩვენში ქრისტიანული კეთილსინდისიერებით აღსავსე პირველი სწავლულია. მისი მატიაწის სიმართლე მისი ქრისტეში ნათელდებული ისტორიული სინდისის სიმართლეა. ჩვენმა ეკლესიამ წმიდანად შემთხვევით როდი შერაცხა: ღმერთს მართლაც აამა თავისი მატიაწით, რომელშიაც სულიერი ძალების უბრალოებით მოსილი და გონით გაცნობიერებული

ქვეყნების თვინიერ არაფერი უთქვამს. მართლმორწმუნე ქრისტიანის ამ ქვეყნის სინდისში იმალება ძირითადი მიზეზი იმისა, თუ ნესტორმა ასე ღირსეულად რატომ გადალახა ყველა წამება, მომდინარე მეცნიერებიდან, რომელმაც, თავისი თვალსაზრისით, ბოლოს და ბოლოს ცნო ის, რაც ეკლესიას უკვე დიდი ხნის დადგენილი ჰქონდა... ნესტორის მთელი მატთანის მთავარი გმირი რუსულ წიაღში სულიერების თესლის ჩამყრელი ვლადიმირია. მის ირგვლივ ერთიანდებიან ასე ვთქვათ, მემატთანის მთელი ძალები... ნესტორი ხალხის ნათლისღებას³⁷⁵ თითქოს რომელიმე თვითმხილველის, იქნებ იერემიას სიტყვებით გადმოსცემს, რომელიც მაშინ კიევ-პეჩორის მონასტერში მოღვაწეობდა და ეს ამბავი ახსოვდა... მთელი მატთანე (თხრობის ფორმით), როგორც პირადად მგონია, შესაძლოა ორ ნაწილად დაიყოს, რომელთაგან პირველი XI საუკუნემდეელი ამბების მომცველია და მასში იგავების ფორმა სჭარბობს, ხოლო მეორე ნახევარში XI საუკუნიდან მოყოლებული, თითქმის თანამედროვისა და თვითმხილველის თხრობას ვხედავთ. ნესტორში ჩვენ ვკვრეტთ ვნებათუქონელ პიროვნებას, მიუკერძოებელ კაცს, მაგრამ ეს პიროვნება ადგილს მეორე დიდ პიროვნებას, თვით რუს ხალხს უთმობს და მის რიგში დგება. დიახ, ჩვენი ნესტორი ეს თვით ხალხის ნამუსია, რომელმაც მემატთანის სახე მიიღო; ეს ხალხის ბაგა, რომლითაც ჩვენი სამშობლოს თავდაპირველი ყოფა-ცხოვრება გამოითქვა³⁷⁶.

რუსული ეკლესიის სწავლული იერარქი, მიტროპოლიტი მაკარი (1816_1882 წწ.) ნესტორ ჟამთააღმწერელზე ამბობს: «ნესტორი უჩვეულოდ ნიჭიერი კაცი იყო და მრავალგვარ საღვთისმეტყველო და ისტორიულ ცნობას ფლობდა, რომლებიც წიგნების კითხვითა და ძველ გამოცდილ ადამიანებთან გასაუბრებებით შეიძინა იაკობ შავსტიქაროსნის მსგავსად. თავისი პირველი ნაშრომი ახლად მოვლენილ სასწაულმოქმედთა, წმ. წამებული ბორისისა და გლების ცხოვრებისა და მოღვაწეობის ასახვას მიუძღვნა, რომლებსაც მაშინ რუსეთი აგრერიგად ეთაყვანებოდა. შემდგომ მისთვის არანაკლებ ძვირფასი და რუსეთში პატივდებული სასწაულმოქმედის, ღირს თეოდოსი პეჩორელის ცხოვრება დაწერა. დაბოლოს, რუსულ მატთანეს მტკიცე საფუძველი ჩაუყარა...»³⁷⁷ «ღირსი ნესტორის მესამე და უმთავრესი თხზულება, რომელმაც მისი სახელი სამუდამოდ უკვდავყო, მის მიერ 1110 წლამდე მიყვანილი რუსული მატთანეა, მაგრამ ეს მატთანე უპირატესად ჩვენი სამშობლოს სამოქალაქო და არა საეკლესიო მოვლენებს ასახავს, რომელთაც ადგილ-ადგილ და თითქმის გაკვრით ეხება, გარდა სამი თუ ოთხი უმთავრესი მოვლენისა. ამიტომ მატთანე საეკლესიო ისტორიაში არ უნდა იყოს განხილული. მხოლოდ იმას აღვნიშნავთ, რომ ჩვენი პირველი მემატთანე სამოქალაქო ამბების აღწერისას ამ მოვლენებს უდგება, როგორც მართლმადიდებელი ეკლესიის ღვიძლი შვილი, ყველაფერში სამყაროს გამრიგე ღმერთის განგებულების კვალს ხედავს, ადგილ-ადგილ თავისთავს ღვთისმოსაური ფიქრების უფლებასაც აძლევს, იძლევა დამრიგებლურ შენიშვნებს, გაკვეთილებს უტარებს თავის მკითხველებს, რის გამოც ჩვენი წინაპრებისთვის აგრერიგად საყვარელი მისი მატთანე ხალხის ზნეობრივად ჩამოყალიბებაში ერთ-ერთ ყველაზე კეთილისმყოფელ ზეგავლენას ახდენდა»³⁷⁸.

«ჩვენი ძველი, კეთილმორწმუნე მემატთანე ცხოვლად გრძნობდა ამ დიადი მოვლენის (დიდ მთავარ ვლადიმირის ქრისტიანად მოქცევა) მთელ სიახლოვეს ჩვენთან, – ამბობს მაკარი ნესტორზე, – და, როგორც ჩანს, განსაკუთრებული

სიყვარულით ცდილობდა შთამომავალთა ხსოვნისათვის შეეგროვებინა და ჩაეწერა ყველაფერი, თვით უმცირესი წვრილმანიც კი საღმრთო გარდამოცემისა. დაწვრილებით მოგვითხრობს, როგორ დაიწყო, როგორ გრძელდებოდა და როგორ დასრულდა მთავარი ვლადიმირის გადასვლა კერპთაყვანისმცემლობის უკუნიდან ქრისტეს ნათელში. უნდა ითქვას, რომ ღირს ნესტორს, რომელიც ვლადიმირის ნათლობიდან მთელი საუკუნის შემდეგ წერდა, ყველაზე სარწმუნო წყაროებიდან შეეძლო მოეპოვებინა და, რა თქმა უნდა, მოიპოვა კიდევ მასზე ცნობები: 1. დიდი მოვლენების თვითმხილველთა ზეპირი გადმოცემებიდან, როგორც, მაგალითად, იყო ღირსი იერემია, რომელსაც კარგად ახსოვდა 988 წლის რუსეთის ნათლობა, როცა თვითონაც ნათელილო და ღირს ნესტორთან ერთად ერთ მონასტერში ცხოვრობდა, ხოლო ნესტორს საკუთარი აღიარებით³⁷⁹ ძალიან უყვარდა ღრმად მოხუცი მამებისა და მონასტრის სხვა ძმებისთვის გამოეკითხა იმ პიროვნებათა და მოვლენათა შესახებ, რომლებზე თხრობასაც აპირებდა; 2. იმ ამბების წერილობითი გადმოცემებიდან, როგორც იყო, მაგალითად: «ქება-დიდება ჩვენს კაგანს ვლადიმირს, შედგენილი მის მიერ მონათლული კიევის მიტროპოლიტი ილარიონის მიერ (1037_1050 წლებს შორის), და ქება-დიდება იმავე დიდ მთავარს, მისი ცხოვრების მოკლე აღწერით, რომელიც ბერ-მონაზონ იაკობის მიერაა დაწერილი (ხსენებ.1074 წ.). ამის გამო, მემატიანის ცნობა დიდი მთავრის, ვლადიმირის გარეშე პირთა მიერ მონათვლის შესახებ ჩვენ სავსებით შესაძლებლად მიგვაჩნია»³⁸⁰.

ძველი რუსული მწერლობის შემდგომმა გამოკვლევებმა სრულიად ცხადყვეს, რომ წმიდა ვლადიმირის ნათლისღების ისტორიაში (ამბავში) ზოგიერთი ეპიზოდი ინტერპოლაციურია³⁸¹, რომ ყველაზე ძველი რუსული მატთანე კომპილაციური ხასიათისაა³⁸², რომ იგი სხვადასხვა დროს სხვადასხვა პირის მიერ იყო დაწერილი³⁸³. «თუ ჩვენ, _ ამბობს ისტორიკოსი ნ. ი. კოსტომაროვი (1817_1885) _ «თავდაპირველი მატთანის» იმ ნაწილის განხილვას შევუდგებით, რომელიც ჩვენს ძველ ისტორიას იაროსლავის სიკვდილამდე მოიცავს, მაშინ უნდა ვაღიაროთ, რომ მასში შეტანილი ზოგიერთი წერილის მონაკვეთების გამოკლებით, ყველაფერი ზეპირი გადმოცემებიდან, ამბებიდან და გალობებიდანაა ნასესხები. სხვა წყაროების წარმოდგენა შეუძლებელიცაა»³⁸⁴. ჩვენი ისტორიის დიდ ნაკლად ის მიგვაჩნია, რომ ისეთი მნიშვნელოვანი მოვლენა, როგორც ვლადიმირის დროს ქრისტიანობის შემოღებაა, ჩვენთვის მწიგნობარ ადამიანთა მიერ შედგენილი წყაროებიდან, არეული და მთელი რიგი გაუგებრობებით გაჯერებული წყაროებიდან ხდება ცნობილი... ჩვენ გამუდმებით უმძიმეს შეცდომებს მაშინ ჩავდივართ, როცა სინამდვილეში მომხდარ ფაქტად ვაღიარებთ იმას, რასაც კრიტიკულად შეფასებისას ვერაფრით ვიჯერებთ»³⁸⁵. ვლადიმირის დაბრმავების შესახებ ლეგენდარული მონათხრობის გარდა, ყველაფერი დანარჩენი, _ ამბობს ბატონი კოსტომაროვი, _ ვლადიმირის ნათლობის ამბავში, მისი შვილები და ხალხი უმეტესწილად იმისი ამპლიფიკაცია* გახლავთ, რისი შინაარსიც ისტორიული სიმართლე იყო»³⁸⁶.

XIV საუკუნის დასასრულამდე რუსული მატთანის შესახებ თავის გამოკვლევებში ისტორიკოსი, აკადემიკოსი **კ.ნ. ბესტუჟევ-რიუმინი** (1809_1897) მას შემდეგ, რაც ძველი მატთანე დაანაწევრა, ასკვნის, რომ «ძნელია «გარდასულ წელთა

ამბის» შესახებ რამე ახალზე ისაუბრო იმის მერე, რაც გააკეთეს უშესანიშნავესმა სწავლულებმა, რომლებიც ოდესმე სწავლობდნენ და ახლაც სწავლობენ რუსულ ისტორიას და არც ერთს ეს საკითხი უყურადღებოდ არ დაუტოვებია»³⁸⁷.

«გარდასულ წელთა ამბავი,» – აგრძელებს ბესტუჟევი-რიუმინი, – ისეთივე სამატიანო კრებულია, როგორც ჩვენი სხვა მატთანები, მაგრამ მის ამგვარ მხარეს რომ ვაღიარებთ, არაფრით არა გვსურს ავტორის საუკუნეობით აღიარებული გონებრივი უპირატესობა დავაკნინოთ, ვისი შრომისადმი ასეთი ნდობითა და მოკრძალებით მოპყრობას მიეჩვია რუსული ისტორიის ყველა მკვლევარი»³⁸⁸. «დიდი კრებულის შემდგენლის ლიტერატურული ტალანტის საუკეთესო დადასტურება, როგორც ავტორი ფიქრობს, არის ვლადიმირის ცხოვრების აღწერა»³⁸⁹.

პროფ. ნ. პ. ბარსოვი (1839_1889) «თავდაპირველ რუსულ მატთანზე» ამბობს, რომ «ის სახე, რითაც ჩვენამდე პირველმა მატთანემ XII საუკუნის დასაწყისში მოაღწია, იმ გარდამავალ ეპოქაში მიიღო, როცა, იაროსლავის თქმით, ის-ის იყო, პირველი მთავრების მიერ აღმოსავლეთის სლავი ტომების ერთიან სახელმწიფოში შეკრებით, «დიდი შრომა» დასრულდა, როცა ამ ტომებმა ერთ ეროვნებად იწყეს გაერთიანება მთავრების ხელისუფლების, საეკლესიო უწყებათა და ახლად ფეხადგმული განათლების გავლენით და, როცა ის იყო საუფლისწულო მამულების წესრიგი ძლივს გამოიკვეთა, შემდგომში კი ახალგაზრდა სახელმწიფო ერთმანეთისაგან დამოუკიდებელ სამთავროებად დაქუცმაცდა. ეს იყო ჟამი რუსული მიწის ერთიანობის იდეის სიჭარბისა, იდეისა, რომელიც გამოიხატა პოლიტიკურ ურთიერთობებსა და ახლახან ფეხადგმულ ლიტერატურაში. ადგილობრივ თემთა ინტერესები, რომლებიც რუსეთის სამთავროების ყოფის კვალობაზე ვითარდებოდა, ჯერ კიდევ დუმდნენ. მემატთანე თავის შრომას იმ დროს ამთავრებდა, როცა ლიუბეცკის სეიმის დადგენილებით მთავრებმა იაროსლავის შთამომავლების ძირითადი შტოს უფლება სამთავროს მემკვიდრეობაზე პირველად ცნეს და ამით მათი შემდგომი განკერძოებულობა განამტკიცეს, მაგრამ მათ მიერ დამტკიცებული წესწყობილება ჯერ კიდევ მომავლის საქმე იყო. «თავდაპირველი მატთანე», როგორც ხალხის თვითშეგნების გამომხატველი, ერთიანობის იდეით და რუსული მიწის მთლიანობის შეგნებითაა გაჟღენთილი. იგი იმ დროისათვის უკვე ვრცელი სახელმწიფოს მხოლოდ რომელიმე მხარის ინტერესებით როდი იფარგლება, თავის ფურცლებზე ყოველივე იმას აღწუსხავს, რისი შეტყობა ხალხური გადმოცემებიდან და რუსი ხალხის ბედის შესახებ მცირე წერილობითი წყაროებითაც იყო შესაძლებელი. რომელიმე მხარეს უპირატესობას არ ანიჭებს და ყველაზე ხშირად კიევი იმის გამო ჩერდება, რომ მოვლენები იქ უფრო მძიმდებოდა და რუსული ისტორიული ცხოვრების მაჯისცემა ყველაზე ძალუმად იქ სცემდა. მისი მონათხრობი მოიცავს რუსეთის სახელმწიფოს მთელ სივრცეს, რაკი თვალყურს ადევნებს მის ურთიერთობებს მეზობლებთან, რუსეთისთვის ცნობილ თითქმის მთელ სამყაროს»³⁹⁰.

«როგორც ჩანს, «თხზულება», – ამბობს პროფ. ბარსოვი, – თავიდან ერთი მთლიანი მოთხრობა იყო, და მხოლოდ კრებულის გვიანდელმა რედაქტორებმა დაყვეს წლების მიხედვით, შეავსეს და განავრცეს, როგორც ბიზანტიური ქრონოგრაფების ამონარიდებით, ისე საკუთარი ცნობებითა და მოსაზრებებით. ამის გამო ამჟამად ძნელია არამცთუ «თხზულების» თავდაპირველი სახის

დადგენა, არამედ მოცულობისაც, კერძოდ, რომელი რუსი მთავრით დასრულდა თხრობა, «კიევში ვინ იყო პირველი მთავარი და რუსულმა ქვეყანამ არსებობა საიდან დაიწყო»; თუმცა საფუძველი გვაქვს ვივარაუდოთ, რომ «თხზულება» თავისი პირვანდელი სახით პირველი ასწლეულის რუსეთის ისტორიის შესახებ გაცილებით მეტის მომცველი იყო. ასევე არაერთგვაროვანია თხზულების გაგრძელება შინაარსითაც და ხასიათითაც, ანდა, უფრო სწორად რომ ითქვას, სილვესტრის კრებულის მეორე ნაწილი. მატიანის მოკლე, წლიური შენიშვნების გვერდით, რომლებიც ამოკრებილია ადგილობრივი წყაროებიდან (კიევ-პეჩორის, ჩერნიგოვოს, ნოვგოროდისა და სხვ. წყაროები), «თხზულების» ცალკეულ თქმულებებში დაწვრილებითაა გადმოცემული მოვლენები, თვითმხილველთა მონათხრობები და ლიტერატურული ძეგლები (მონომახის სწავლებანი, მისი წერილი ოლეგისადმი). ჩანს, ეს ყველაფერი კრებულში პირვანდელი სახითაა შესული, შემდგენელს მის ხელთ არსებული მასალები ქრონოლოგიური წესრიგით შეჰქონდა. ამ ნაირგვარი და დანაწევრებული ფაქტების მასაში მემატიანის ვინაობა იკარგება. მკვლევარს შესაძლებლობა არა აქვს, იმსჯელოს მისი მომზადების დონეზე, არც პირად თვისებებზე, რომლებსაც მემატიანე თავისი შრომის გასაწევად ფლობდა... მასთან ფაქტიური ქრონოლოგია სვიატოსლავის სიკვდილით იწყება; მანამდე მას ხელთ ისტორიული მასალა ჰქონდა, რომელსაც მოსაზრებების საფუძველზე წლების მიხედვით ყოფდა. მეორე მხრივ, ასევე ნათელია, რომ შინაარსითა და თხრობის ხასიათის მიხედვით «თავდაპირველი მატიანის» ნაწილი სვიატოსლავის გარდაცვალებამდე გვიანდელი რედაქტორის მიერ ოფიციალური საბუთების (ბერძნებთან დადებული ხელშეკრულებების) ჩანართებით, ბიზანტიელი მწერლების ნაწარმოებთაგან გადმოტანილი ნასესხობებითა და ამონარიდებით წლებადაა დაყოფილი. მატიანის ამ ნაწილის მთავარი წყარო ხალხური გადმოცემებია, რომლებმაც მასში საკუთარი პოეტური კოლორიტი შეინარჩუნეს მაშინ, როცა «თავდაპირველი მატიანის» მომდევნო ნაწილი უმთავრესად წერილობით წყაროებსა და მემატიანის პირად მოგონებებზეა დაფუძნებული, და თუ მასში მაინც არის გადმოცემა, მაგალითად, სვიატოსლავის შვილთა შინაომებზე, ვლადიმირზე, ბერძენთა წინააღმდეგ (1043 წ.) ვლადიმირ იაროსლავის ძის ლაშქრობაზე, მაშინ გამოდის, რომ გადმოცემები არა ხალხური, არამედ ლაშქრულია, შემდეგ, 972 წლიდან მატიანის ქრონოლოგიური ჩარჩო ნაკლებად ხელოვნური, უფრო მეტად საფუძვლიანი ხდება. «თავდაპირველი მატიანის» სწორედ ამ წლამდელი ნაწილი თავისი თავდაპირველი სახით «გარდასულ წელთა ამბად» რომ უნდა წოდებულიყო და ვლადიმირის მიერ რუსეთის მოქცევამდე იყო დაწერილი, მისი თავფურცელიდანვე ჩანს. შეეძლო კი სილვესტრს, ანდა სხვა მემატიანეს, რომელიც რუსეთის მოქცევის შემდეგ წერდა, თავისი შრომის დაწვრილებით სარჩევში გამოეტოვებინა მითითება იმაზე, რომ აქ გადმოცემული იქნება ამბები, რომელთაც მისი დროისათვის მეტად საყურადღებო და ყოვლისმომცველი მნიშვნელობა ექნებათ?³⁹¹

მაგრამ ჩვენ მიერ წამოჭრილი საკითხის გამოკვლევაში ამ მნიშვნელოვან საგანზე განსაკუთრებულ ყურადღებას პროფესორ ფ. ა. ტერნოვსკის თვალსაზრისი იმსახურებს. ეკლესიის ისტორიის პროფესორი **ფ. ა. ტერნოვსკი** (1838_1884) ძველი რუსეთისთვის ბიზანტიური ისტორიის მნიშვნელობის შესახებ დაწერილ სადოქტორო ნაშრომში მიიჩნევს, რომ «ჩვენი წინაპრებისათვის ხელმისაწვდომი მსოფლიო-ისტორიული მასალების მთელი მასიდან ბიზანტიური ისტორია

ყველაზე საუკეთესო იყო პრაქტიკული დანართების, საჭირო შემთხვევაში ცნობებისა და მაგალითების სასესხებლად. შეუწყნარებლობის სული, რომლითაც ჩვენს წინაპრებს სურდათ თავიანთი წმიდა მართლმადიდებლური რწმენა უცხო მინარევებისაგან დაეცვათ, მათ ნებას არ აძლევდა, მაგალითები წარმართულ სამყაროსა და დასავლეთის ლათინთა ისტორიაში ეძიათ (ბიბლიური ძველი აღთქმის ისტორია უფრო ავტორიტეტულ მაგალითებს გვთავაზობდა, მაგრამ ეს მაგალითები დროითაც და ცხოვრების პირობებითაც ძალზე შორეული იყო, განზე იდგა იმის შეგნებით, რომ ქრისტე მაცხოვრის ახალ დროში მოვლენით გარდასული დროების მითებმა ახალი სიცოცხლე შეიძინეს. ქრისტიანობის პირველი ხანა, აღსავსე რწმენისათვის ტანჯვისა და გვემის მაგალითებით, თავისი ხასიათით არ შეესაბამებოდა სახელმწიფოს ცხოვრების პირობებს, რომელშიც მართლმადიდებლობას გაბატონებული რელიგიის ადგილი ეკავა). ამის საწინააღმდეგოდ ბიზანტია ჯერ ერთი, ჩვენი წინაპრებისთვის მისაბამი ავტორიტეტი გახლდათ, ბიზანტიაში იყვნენ კეთილმორწმუნე მეფეები, მართლმადიდებელი მღვდელმთავრები და არსებობდა სხვა მისაბამი მაგალითებიც³⁹². მეორეც, ყოფა-ცხოვრების საერთო ყაიდითა და ცალკეული მოვლენებით რუსულ ცხოვრებასთან გარკვეულ ანალოგიას პოულობდნენ. ეს ანალოგია და რუსული ყოფიერებისთვის ბიზანტიის ისტორიის დართვა განსაკუთრებით მოსკოვის სახელმწიფოს დაარსების დროიდან გაძლიერდა. ბიზანტიასაც და მოსკოვსაც ჰყავდა ღვთისმოსავი მეფე, პატრიარქი, უამრავი ბერ-მონაზონი, ჩნდებოდნენ ეკლესიის სიმშვიდის დამრღვევი ერეტიკოსები; აქედანაც გასაგებია, რომ მოსკოვში ერეტიკოსთა მიმართ სამოქალაქო ხელისუფლებას უსათუოდ უნდა გასჩენოდა კითხვები, თავის დროს ბიზანტიას რომ აღეღებდა და ცნობილი წესით აღიკვეთა. ასეთ შემთხვევაში ბიზანტიური მზა მაგალითების გათვალისწინება ჩვენი წინაპრებისთვის, ბუნებრივია, აუცილებელიც კი იყო»³⁹³.

«თავისი ისტორიული მსოფლმხედველობით, – აგრძელებს პროფესორი ტერნოვსკი, – ამარტოლი სრული პირველსახეა მისი მიმბამველი ნესტორისა და სხვა რუსი მემატთანებისათვის, რომლებიც ასევე უმეტესწილად ასკეტური იდეალებით გამსჭვალული ბერები იყვნენ... ძირითად თვალსაზრისთა ამ შესატყვისობით შესაძლოა აიხსნას მნიშვნელოვან მსგავსებათა არსებობა ამარტოლის ქრონიკასა და რუსული ყოფა-ცხოვრების აღწერათა შორის»³⁹⁴. შემდეგ პროფესორი ტერნოვსკი ვარაუდობს, რომ ამარტოლის ერთ-ერთი უძველესი ნუსხა ხელთ ჰქონდა რუს მემატთანეს, და შესაძლოა, თავისი ისტორიული ნაშრომის დაწერის იდეაც კი შთააგონა, მას ყოველ შემთხვევაში პირველსახედ გამოადგა³⁹⁵. ტერნოვსკი «თავდაპირველი მატთანის» ავტორს დახელოვნებულ მწერლად აღიარებს, რაც მის ისტორიულ თავდაჭერილობას პატივს მიაგებს³⁹⁶.

ცნობილი ისტორიკოსი ს. მ. სოლოვიოვი (1820_1879) რუსული მატთანის დასაწყისზე ამგვარად მსჯელობს: «...თუ ხსოვნა მნიშვნელოვანი ამბებისა და სახელგანთქმული პიროვნებებისა, თანამედროვეთა წრიდან რაღაცით რომ გამოირჩნენ, ხალხის მახსოვრობას შემორჩება და საუკუნიდან საუკუნეს შელამაზებული სახით გადაეცემა, თუ წიგნიერების პირობებში გამოჩნდებიან ადამიანები, რომლებიც მხატვრული ენით, წერილობითი სახით გადმოსცემენ ცნობებს რომელიღაც მნიშვნელოვან მოვლენებზე... თუ ხალხს თვით ყრმობის

ასაკიდანვე თანდაყოლილი აქვს მისწრაფება თავისი წარსულის ცოდნისა, საკუთარ თავს უნდა აუხსნას, როგორ წარმოიშვა საზოგადოება, რომელშიაც თვითონ ცხოვრობს; თუ მამებისადმი რელიგიური თაყვანისცემა მათი ხსოვნის შენარჩუნებას ითხოვს, თუ ადამიანის მიმართ ეს თანდაყოლილი პატივისცემა მას აიძულებს ძველ თქმულებებში ცოცხალი დარიგებები ეძიოს, თუ ყველა ერის წარმომადგენლები უდიდესი სიამოვნებით უსმენენ თქმულებებს წინაპართა შესახებ, თუ ამ თქმულებებს წერა-კითხვის არცოდნისას ზეპირად გადმოსცემენ, ხოლო დამწერლობის ჩასახვისთანავე დაუყოვნებლივ იწერენ, თუ ხალხთა ცხოვრების საერთო კანონი ამგვარია, მაშინ არავითარი საფუძველი არ არსებობს ვივარაუდოთ, რომ რუსებთან სხვა ვითარება იყო, არც იმის საფუძველია, რომ მატიანების გაჩენის თარიღი განათლებასთან ერთად ქრისტიანობის შემოსვლიდან რაც შეიძლება შორს გადაიწიოს, მით უმეტეს, რომ ბიზანტიასთან ხშირი, უშუალო ურთიერთობები არსებობდა. რუსეთს ბიზანტია მაგალითად ესახებოდა ყველაფერში, რაც კი მოქალაქეობრიობას უკავშირდებოდა, ბიზანტიამ მისცა ნიმუშები მატიანებისა, რომელთა გაცნობა სლავური თარგმანებითაც იყო შესაძლებელი...

როცა ვთქვით, ბიზანტია ყველაფერში მაგალითის მიმცემი იყო, რაც მწერლობას უკავშირდებოდაო, – აგრძელებს ისტორიკოსი სოლოვიოვი, – ამით უკვე გადაწვევით საკითხი, თუ რა სახით უნდა აღმოცენებულიყვნენ ჩვენთან პირველი ძეგლები, კერძოდ, ისტორიული შინაარსისა: ისინი მატიანის სახით (ქრონიკები, ანალები) უნდა გაჩენილიყვნენ, ეს იქნებოდა ყოველწლიური ჩანაწერები მოვლენათა შესახებ მათ შორის ყოველგვარი ისტორიული, მეცნიერული კავშირების გარეშე. ჩვენი პირველი მატიანები სასულიერო პირთა ხელითაა შესრულებული და, თუ თვით მატიანეში იმის აშკარა დადასტურებას ვხედავთ, რომ იგი მონასტერშია შექმნილი, მაშინ ვალდებულები ვართ, დავეკმაყოფილდეთ ამით და არ ვეძიოთ რომელიღაც სხვა ადგილები, და თავდაპირველი მოკლე მატიანის, მოკლე ჩანაწერთა შემდგენელი სხვა პირები»³⁹⁷.

კითხვაზე, რა სახით მოაღწია ამ მატიანემ ჩვენამდე, ისტორიკოსი სოლოვიოვი უპასუხებს: «ჩვენამდე მატიანემ მრავალი ნუსხის სახით მოაღწია, რომელთაგან ყველაზე ძველი XIV საუკუნეზე ადრინდელი არაა; ამ ნუსხებს შორის არც ერთი ისეთი არ მოიძებნება, რომელსაც ჩამატების აშკარა კვალი არ ეტყობოდეს; მაშასადამე, მატიანეთა ყველა ნუსხა, ძველი იქნება ის, თუ გვიანდელი, კრებულების სახით გვაქვს. ამ ნუსხების განხილვისას ვამჩნევთ, რომ მათში რუსული მიწის შესახებ შედგენილი თავდაპირველი მატიანე, რომელსაც აშკარად ერთი საერთო საფუძველი აქვს, არა მარტო ენობრივად განსხვავდება, რაც ადვილად აიხსნება ამა თუ იმ ნუსხის, ან კრებულის შედგენის დროით, არამედ მოვლენათა წვრილმანებითაც: ერთი წყების ნუსხებში ისეთ ცნობილ მოვლენათა თარიღებია გამორჩენილი, რომელთაც სხვებში ვხვდებით.»³⁹⁸ შემდგომ, ისტორიკოსისთვის მთავარ საკითხზე: თუ როგორ უნდა გამოიყენო ეს წვრილმანები, ეს ზედმეტი ამბები, რომლებიც ზოგ, უპირატესად გვიანდელ კრებულებშია, ხოლო სხვებში არ მოიპოვება, სოლოვიოვი ასე უპასუხებს: «გასული საუკუნის ისტორიის კრიტიკამ ეს საკითხი ისე გადაწვევითა, რომ გამოყენებულ უნდა იქნეს მხოლოდ ძველ ნუსხებში აღნიშნული ამბები, გვიანდელი ხანის კრებულების დამატებითი ცნობები შემდეგდროინდელ თხზულებებად,

გამონაგონად ჩაითვალოს. მაგრამ ჩვენს დროში, ისტორიული კრიტიკის მოწიფულობის ხანაში, ასეთი მსჯავრით დაკმაყოფილება არ შეიძლება. მხოლოდ კრებულის გვიანდელი შედგენის მიზეზით დაუშვებელია ისტორიკოსმა მასში შესული ამბების სისწორეში ეჭვი შეიტანოს. მაგალითად, XVII საუკუნის გვიანდელი კრებულის შემდგენელს შეეძლო ჩვენთვის დაკარგული უძველესი ნუსხებით ესარგებლა: მაშასადამე, გვიანდელ კრებულებში შეტანილი ყოველი ახალი ამბავი, თავისთავად, გვიანდელი შედგენისგან დამოუკიდებლად, კრიტიკულად უნდა შეფასდეს. «თავდაპირველი მათიანის» პირველივე სტრიქონიდან, _ აგრძელებს ბატონი სოლოვიოვი, _ უკვე ჩანს წყარო და ნიმუში, _ ბიზანტიური მათიანე: რუსი მემათიანე თავის თხრობას ზუსტად ისე იწყებს, როგორც ბიზანტიელი მემათიანე: ქვეყნების ჩამოთვლით, რომლებიც ნოეს სამი შვილის შთამომავლობას ერგო. ეს ჩამონათვალი ბერძენ მემათიანე გიორგი ამარტოლისაგანაა აღებული»³⁹⁹. ბატონი სოლოვიოვი რუსულ მათიანეებში ჩამატებებსა და ჩანაკრებზე არაერთხელ მიუთითებს⁴⁰⁰. რუსეთის მოქცევის გამო მათიანისეული თქმულება რომ მოჰყავს, ამბობს: «მთელი ეს თქმულება თავისი წვრილმანებით ვითარებას მეტად ეთანხმება და ამის გამო უარყოფილი არ უნდა იქნეს»⁴⁰¹.

რუსული ლიტერატურის ისტორიკოსი და ძველი მწერლობის მკვლევარი **ი. ი. პორფირევი** (1823_1890) რუსული «თავდაპირველი მათიანის» შესახებ ამბობს: «ჩვენს ძველ მათიანეს ყველა ნუსხაში სააღდგომო ცხრილების მსგავსად ყოველწლიური თხრობის ფორმა აქვს და ახლავს უამრავი შეუვსებელი წელი, რომლებიც რიცხვებით კია აღნიშნული, მაგრამ არავითარ შენიშვნებს არ შეიცავენ. მათიანეში ბევრი ცნობა სააღდგომო ჩანაწერის მსგავსია, რომლებსაც, როგორც ჩანს, მათთვის დამხმარე მნიშვნელობა ეკისრებოდა. სააღდგომო ცხრილების შემდეგ მათიანის შენიშვნებს იკვლევდნენ, შემდეგ კი მეტ-ნაკლებად გამოწვლილვით მთელ მათიანეებს, რომლებიც უნდა ვიფიქროთ, როგორც სასულიერო, ისე საერო განათლებულ პირთა მიერ სხვადასხვა ადგილას, განსაკუთრებით მონასტრებსა და ეკლესიებში იწერებოდა. ტატიშჩევი პირველ რუს მემათიანედ 1030 წელს გარდაცვლილ ნოვგოროდელ ეპისკოპოს იოაკიმეს აღიარებდა. თავის რუსეთის ისტორიაში მან შეიტანა ნაწყვეტი იოაკიმეს მათიანიდან, რომელიც XVIII საუკუნის ხელნაწერში იპოვა. ცნობილია, რომ თავდაპირველ ნოვგოროდულ მათიანეს (1016 წლამდე) ჩვენამდე არ მოუღწევია. იქნებ სულაც ეს იყო იოაკიმეს მათიანე და მისგან ტატიშჩევის მიერ აღმოჩენილი ნაწყვეტები გადარჩა. ჩვენამდე უძველესი დროიდან მოღწეულ მათიანეთა შორის პირველი ყოველგვარ შემთხვევაში ნესტორს მიეწერება.

ნესტორის მათიანის დედანმა ჩვენამდე ვერ მოაღწია... ნესტორის ჩვენამდე მოღწეული მათიანის ნუსხებიდან ყველაზე ძველი ლავრენტისეულია, ბერი ლავრენტის მიერ 1377 წელს სუზდალის მთავრის, დიმიტრი კონსტანტინეს ძისთვის შედგენილი, მაგრამ ამ ნუსხაშიაც ნესტორის მათიანე არა იმ სახითაა, როგორც შეიძლებოდა პირველი მემათიანის კალამს შეექმნა⁴⁰².

«ნესტორის მათიანეს, _ ამბობს პროფესორი პორფირევი, _ ასეთი სათაური აქვს: «ესე ამბები გარდასული წლებისა, საიდანაც იწყო რუსეთის ქვეყანა, ვინ იყო კიევში პირველი მთავარი, და რუსეთის ქვეყანამ როდიდან იწყო არსებობა». მაგრამ ბერძენ მემათიანეთა ჩვეულებისამებრ, ნესტორი ამ თხზულებას არა რუსეთის

ქვეყნის დასაბამით, არამედ ბიბლიური, წარღვნის შემდგომი, ნოეს შვილებს შორის დედამიწის დანაწილების დროიდან იწყებს... თვით რუსეთის ქვეყნის მატთანე 852 წლიდან იწყება. «6360 (852წ.) ზაფხულში დაიწყო მიხეილმა მეფობა და იწყო რუსეთის ხსენება»... ამავე წლიდან, რომლიდანაც რუსეთი ბერძნულ მატთანეში პირველადაა მოხსენიებული, ჩვენი მემატთანეც იწყებს რუსეთის ქვეყნის ისტორიას:» მით უფრო, _ ამბობს მემატთანე, _ აქედან დავიწყოთ და თარიღიც დავსვათ... ამ დროიდან წინ სვამენ წლებს, რომლებიც ადრე არ აღინიშნებოდა, წელთაღრიცხვა სამყაროს შექმნიდან იწყება და წლის დასაწყისად მარტის თვეა მიჩნეული. მატთანე სხვადასხვა, როგორც ბერძნული, ისე სლავური და რუსული თხზულებებით სარგებლობდა. ბერძნული თხზულებებიდან მატთანის წყაროებად გამოყენებული იყო ქრონიკები, განსაკუთრებით გიორგი ამარტოლის ქრონიკა... წერილობითი წყაროების გარდა, ნესტორი უდავოდ ზეპირი თქმულებებითაც და ხალხური გადმოცემებითაც სარგებლობდა და ამის შესახებ თვითონვე აღნიშნავს⁴⁰³.

ნესტორის მატთანის ლიტერატურულ მნიშვნელობაზე ბ-ნი პორფირევი ამგვარად მსჯელობს: «რელიგიური და პატრიოტული გრძნობა არის ის ძირითადი მოტივები, რომლებიც მისი მატთანის ყოველ თემას გასდევს. ნესტორი, როგორც საღმრთო წიგნებზე აღზრდილი კეთილმორწმუნე ქრისტიანი, სამყაროში მომხდარ ყველა შემთხვევასა და ბუნების მოვლენას რელიგიური თვალსაზრისით განიხილავს და მათ ღვთის განგებულების უშუალო მონაწილეობით ხსნის... ამ ხასიათის მატთანეს, ბუნებრივია, დიდი საგანმანათლებლო მნიშვნელობა ექნებოდა. მემატთანის მსჯელობა ადამიანებისა და ხალხების საქმეთა შესახებ, სიმართლითა და მიუკერძოებლობით გამოირჩევა. ქრისტიანული შეხედულებები და რელიგიური გრძნობები მას ხელს არ უშლის სიკეთე არაქრისტიან ხალხებშიც დაინახოს. ქებით მოიხსენიებს სირიელთა, ბაქტრიელთა, ინდიელ ბრაჰმანთა და ბრიტანელთა კანონებს; პოლონელებზე საუბრისას, იწონებს მათ ერთგულებას მშობლიურ ზნე-ჩვეულებათა მიმართ, მათ მშვიდ ხასიათს, უმწიკვლობას ოჯახურ ყოფაში, საქორწინო წესდებებსა და წეს-ჩვეულებებს. დაწვრილებით და ჭეშმარიტი თანაგრძნობით ასახავს რუსული წარმართობის საწყის პერიოდსა და ძველი წარმართი მთავრების საქმეებს... მაგრამ ყოველივეს თანაგრძნობით გადმოცემისას, რაშიაც კი რუსეთის ძალა და დიდება ვლინდება, ნესტორი, რა თქმა უნდა, განსაკუთრებული სიხალისით ქრისტიანული დროის მონაკვეთზე საუბრობს. წმ. ოლეგის, წმ. ვლადიმირის და, ბოლოს, მთელი რუსი ხალხის ნათლისღება ყველაზე ვრცელი და საუკეთესო სურათების მომცველია. მათში ჭარბობს ამაღლებული ლირიკული ადგილები, აღსავსე ღრმა ქრისტიანული და პატრიოტული აღფრთოვანებით. ნესტორის მატთანის თხრობა ეპიკური ხასიათით გამოირჩევა»⁴⁰⁴.

«ნესტორის მატთანე, _ აგრძელებს პროფესორი პორფირევი, _ ჩვეულებრივ, რუსული «თავდაპირველი მატთანით» იწყება, მაგრამ მათში შესული სხვადასხვაგვარი დამატება და ჩანართი მიუთითებს, რომ მის გარდა, სხვა ადგილებში სხვა მატთანეებიც არსებობდა... ნესტორის მატთანე 1110 წლით მთავრდება. ლავრენტისეული ნუსხით 1200 წლამდე მისი გაგრძელებაა კიევის მატთანე. 1201 წლიდან ვოლინის მატთანე მოდის და 1292 წლამდე გრძელდება. ეს, სხვათა შორის, ვოლინის მატთანის მეორე ნაწილია, პირველი ნაწილი

დაკარგულად მიაჩნიათ და ნესტორის მატთანეში ჩართულია მხოლოდ მისი ნაწყვეტი – მთავრის, – ვასილკა როსტისლავოვიჩის დაბრმავება. 1292 წლიდან მოდის სუზდალის მატთანე, რომელიც სამხრეთ რუსულ, ანდა კიევის მატთანის საპირისპიროდ, ჩრდილოურად იწოდება»⁴⁰⁵.

რუსული ყოფის მკვლევარი, ისტორიკოსი-არქეოლოგი ი. ე. ზაბელინი რუსული მატთანის წარმოშობის შესახებ ამბობს: «ჩვენი მატთანეების შემადგენლობის დაწვრილებითმა გამოკვლევამ პატივცემული სწავლულები იმ მეტად საფუძვლიან და საკმაოდ უტყუარ თვალსაზრისამდე მიიყვანა, რომ რუსულ მატთანეთა პირველი ცნობები IX საუკუნეს თუ არა, უკიდურეს შემთხვევაში X საუკუნეს მაინც განეკუთვნება და, მაშასადამე, თვით რუსული ისტორიის დასაბამიდან მომდინარეობს. პირველი სამატთანო ცნობები ჩვენში, ჩვენი ისტორიული ცხოვრების პირველივე გმირებთან ერთად, ან მათ კვალდაკვალ ჩნდება. ამგვარ ცნობათა აშკარა კვალი შემონახულია არა მარტო უძველეს, არამედ გვიანდელ ნუსხებშიც, რომლებიც თავიანთ ცნობებს ჩვენამდე მოუღწეველი ძველი ქარტიებიდან კრებდნენ⁴⁰⁶. რუსეთის ამბების შესახებ პირველ სამატთანო ცნობებს, ჩვენი ისტორიის თვით დასაბამიდან რომ მომდინარეობენ, კიევში წარმოქმნილ პირველ ქრისტიანულ თემებს უნდა ვუმაღლოდეთ⁴⁰⁷. სამატთანო საქმის პირველი ყლორტები მოკლე, სამახსოვრო შენიშვნებისაგან შედგებოდა, როგორებიც კალენდრებში შინაური წესით ახლაც კი კეთდება⁴⁰⁸. ჩვენი მატთანე, შეიძლება ითქვას, საკუთარი ყანიდან, საკუთარი მარცვლიდან ამოიზარდა⁴⁰⁹, იგი თვით ხალხის მარჯვენითაა შექმნილი⁴¹⁰. ნესტორი ბიზანტიელებს მეტად თვითნებურად, მხოლოდ ხელსაყრელ მასალად იყენებდა და მისი მატთანის მთელ ნაგებობას ეტყობა საკმაოდ თავისუფალი შრომა, დამოუკიდებელი ყოველგვარი ნიმუშებისაგან, რომლებთანაც მსგავსება მხოლოდ ამოცანისა და სამუშაოს ერთგვარობის გამო ჰქონდა⁴¹¹. ჩვენი პირველი «გარდასულ წელთა ამბავი» «დაწერილი გონებისა და, შესაბამისად, მთელი ძველ-რუსული წიგნიერი საზოგადოების მოთხოვნილებათა პასუხად, ამავე მიზეზით, მაშინვე მთელს რუსეთსა და მის ყოველ კუთხე-კუნჭულში, სადაც კი წიგნიერება იყო დაუნჯებული, საერთო მონაპოვრად იქცა⁴¹². «გარდასულ წელთა ამბის» მთხზველს რუსული პატიოსნება უფლებას არ აძლევდა თავისი თხრობა რიტორიკული გამონაგონებითა და ცრუპენტელური ზღაპრებით დაეწყო. იგი ძველი, კერძოდ, რუსების დროების აღწერას ნამდვილი საქმიდან იწყებს»⁴¹³.

ისტორიკოსი **დ. ი. ილოვაისკი** თავის რუსული ეროვნებისა და სახელმწიფოებრიობის უმნიშვნელოვანესი საკითხებისადმი მიძღვნილ გამოკვლევაში რუსულ მატთანესთან დაკავშირებით ამბობს: «უეჭველია, ე.წ. ნესტორის მატთანე იმ სახით, რომლითაც ჩვენამდე მოაღწია, სამატთანო კრებულია, რომელიც თანდათან იზრდებოდა და სხვადასხვა რედაქციას განიცდიდა. როგორც ირკვევა, გადამწერები ყოველთვის არ კმაყოფილდებოდნენ ორიგინალის ზუსტი აღდგენით; ხშირად ავტორის როლსაც ასრულებდნენ: ზოგ ადგილს ამოკლებდნენ, ზოგს განავრცობდნენ; ენას აახლებდნენ, ურთავდნენ თავის მსჯელობებს, ახსნა-განმარტებებს და მთელ ეპიზოდებსაც კი. ამასთან, მხედველობიდან არ უნდა გამოგვრჩეს კალმისმიერი უბრალო შეცდომები, გაუგებრობები (განსაკუთრებით მნიშვნელოვან სიტყვათა კითხვის დროს) და სხვ... ხოლო, როცა რუსული

ისტორიის მეცნიერული დამუშავება დაიწყო, იმ ამბებს, რომლებიც გაცილებით ძველ მოვლენებს გვამცნობენ, ვიდრე თვით მატიანეები, ჩვეულებრივ ხალხურ თქმულებებს მიაკუთვნებდნენ. ჩვენ არავითარ შემთხვევაში უარს არ ვამბობთ თქმულებებზე, როგორც ისტორიის ერთ-ერთ წყაროზე, მაგრამ საქმე ისაა, რომ ამ წყაროთი სარგებლობისას დიდი სიფრთხილე გვმართებს და სანამ თქმულება სხვა, უფრო სარწმუნო წყაროებით მკაცრად არ შემოწმდება, მის ისტორიულ ფაქტად ცნობა არაფრით შეიძლება»⁴¹⁴.

«მე არ გამოვყოფ, – ამბობს ცოტა ქვემოთ ისტორიკოსი დ. ი. ილოვაისკი, – ნესტორის ან სილვესტრის მატიანეებს («გარდასულ წელთა ამბავი») საერთოდ, სამხრეთ რუსეთის კრებულისაგან, ანუ მის განუყოფელ ნაწილად ვცნობ კიევის იმ კრებულს, რომელიც XII საუკუნით მთავრდება და ჩვენამდე ე. წ. იპატიევის ნუსხის სახით მოაღწია. ერთი სიტყვით, ამ კრებულში ჩვენთვის ცნობილი «გარდასულ წელთა ამბის» რედაქციას XII საუკუნის დასაწყისიდან XII საუკუნის მიწურულამდე, ან XIII საუკუნის დასაწყისამდე გადავადგილებდი... ბ-ნ პოგოდინის თვალსაზრისის საწინააღმდეგოდ, მეცნიერთა ნაშრომებმა თანდათან უდავოდ დაამტკიცეს, – აგრძელებს ილოვაისკი, – რომ ნესტორისათვის ჩვენი თავდაპირველი მატიანის მიკუთვნება გაუგებრობის ნაყოფია, ისეთივე ძველი ცრურწმენაა, როგორაც ჩვენ ვარიაგთა მოხმობა მიგვაჩნია»⁴¹⁵. ჩვენი მემატიანეების მიუკერძოებლობის შესახებ სიტყვების გამეორება დიდი ხნის წინათ უარყოფილი მდგომარეობის გამეორებას ნიშნავს. წარმოდგენა მემატიანეზე, ვითარცა კიევის მღვიმეებში ცოცხლად დამარხულ ბერზე, მხოლოდ პოეზიისთვის თუ გამოდგება (როგორც პიმენ პუშკინისა). ამა სოფლიდან სრულიად განდგომილ და თავის თავში ჩაღრმავებულ ადამიანს არაფრით შეეძლო სცოდნოდა ის, თუ რა ხდებოდა რუსული მიწის სივრცეებში, ან თვალი მიედევნებინა მისი ნაირ-ნაირი მოვლენებისთვის. მემატიანის ხელში, მაგალითად, საიდან უნდა აღმოჩენილიყო ისეთი დოკუმენტური წყაროები, როგორებიცაა: სამთავროთაშორისი ან ბერძნებთან დადებული ხელშეკრულებები? ეს საბუთები წიგნსაცავებში ინახებოდა. ვის შეეძლო მემატიანისთვის გაეცნო სწავლებანი, გზავნილებები და საერთოდ მთავართა სიგელები, ბრძოლების, დიპლომატიურ ურთიერთობათა, დრუჟინებთან მთავრების ბჭობის, ამა თუ იმ მთავრის ზრახვათა და შეგულიანებათა შესახებ? რანაირად შეეძლო მას თვალყური ედევნებინა უფროს და უმცროს მთავართა მაგიდიდან მაგიდაზე ყოველი გადაადგილ-გადმოადგილებისათვის? და ა. შ. ნათელია, ყოველივე ეს არ შეიძლება დაწერილიყო თვით მთავრების ნებისა და თანხმობის გარეშე... მკაცრი სისტემა, სიზუსტე თხრობასა და გადაწერაში, თავშეკავებული კილო და სხვა ღირსებები ჩვენი მემატიანეებისა და გადამწერებისათვის რომ მოგვეთხოვა, უცნაურიც კი იქნებოდა»⁴¹⁶.

«რუსები, – ამბობს ისტორიკოსი ე. ე. გოლუბინსკი ⁴¹⁷, – წიგნიერები იგორის დროიდან გახდნენ. უნდა ვიფიქროთ, რომ ზოგიერთი სამატიანო ჩანაწერისა და შენიშვნის გაკეთება დაწყებული ჰქონდათ და უმნიშვნელოვანეს მოვლენებზე ცალკეულ სამატიანო თხზულებათა შედგენას წერა-კითხვის გავრცელების პირველი ხანებიდანვე შეუდგნენ. ერთობ შესაძლებელია, რომ XII საუკუნის დასაწყისში დაწერილ ჩვენს მატიანეზე უფრო ადრე იყო მცდელობა ნამდვილი მატიანეები, არსებული მასალების გადამუშავებული სამატიანო კრებულები

შეედგინათ. რაც უნდა იყოს, მაინც, ჩვენი ნამდვილი მატთანე, რომელიც ხელმისაწვდომი გახდა და დღევანდლამდე შემორჩენილი, XII საუკუნის დასაწყისში პეჩორის მონასტრის ერთმა ბერმა დაწერა...» კითხვაზე, კერძოდ ვინ იყო რუსული ისტორიოგრაფიის ეს სახელგანთქმული მამა? გოლუბინსკი უპასუხებს: «ეს ჯერჯერობით გადაუწყვეტელ საკითხად რჩება».

ისტორიაში მეტად უმაგალითო შემთხვევა მოხდა, – ამბობს გოლუბინსკი, – პირველ მემატთანედ მივიჩნევთ სხვას, ვისაც ამ პატივის არავითარი უფლება არ ჰქონია და რაც მას არც მიუთვსება; იგი გახლავთ სწორედ ღირსი ნესტორი, რომელზედაც ჩვენ ცოტა ზემოთ ვსაუბრობდით, როგორც ბორისის, ღირსი თეოდოსისა და გლების «ცხორებათა» ავტორზე. ეს ძალზე ძველ დროში, იმ პეჩორელი ბერების მიზეზით მოხდა, რომელთა ფენასაც მიეკუთვნებოდა თვით მემატთანე. მას მატთანეში თავისი სახელი არ უხსენებია, არც მონასტრის ბერების ზეპირ გადმოცემებს შემორჩენია; თუმცა მემატთანის ვინაობა მატთანის წარწერაში სახელის გარეშე იკითხებოდა, როგორც დღევანდლამდე მოღწეული კრებულების უმეტეს ნაწილში იკითხება, რომ ეს თხზულება არის «გარდასულ წელთა ამბავი» პეჩორის თეოდოსის მონასტრის შავსტიქაროსნისა, ანდა, – თუ მინაწერში სიტყვები «შავსტიქაროსნისა» და სხვა, გვიანდელი ჩამატებებია – თვით მატთანის ტექსტშია არაერთი ცხადი მინიშნება, რომ თხზულება პეჩორის მონასტრის ბერის ქმნილებაა. ამ თანამოდმის ძებნაში, რომელმაც თავისი სახელი გაუმხელებელი დატოვა, პეჩორელი ბერები, ბუნებრივია, ჩაეჭიდნენ ნესტორს, რომელიც ერთხანად მემატთანესთან ერთად ცხოვრობდა და მისი ისტორიული ნაშრომებით, ანუ «ცხორებებით» (სადაც თავის თავს სახელით მოიხსენიებს), შესაძლო იყო მემატთანედ მიეჩნიათ. ამგვარად, ნესტორის მემატთანედ მიჩნევა პეჩორის მონასტერში დაიწყო. პეჩორის მონასტერში შექმნილი ეს აზრი, რომ ნესტორი მემატთანეა, პეჩორის პატერიკში იყო შეტანილი, რომლის შედეგადაც ეს საყოველთაო აზრად ჩამოყალიბდა. უახლოეს დროში, იმის შემდეგ, რაც ისტორიის მეცნიერული დამუშავება დაიწყო, ძალიან ადვილად შეიძლებოდა გარკვეულიყო, რომ პეჩორის მონასტრის აზრი უსაფუძვლო და არასამართლიანია. მაგრამ ამას ხელს უშლიდა პეჩორის პატერიკის მოწმობისადმი ისეთი დამოკიდებულება, თითქოს ეს იყო რაღაც ღვთივსულიერი მოწმობა, რომლის სიმართლეში, არავითარ შემთხვევაში, ეჭვის შეტანა არ ეგების. დიდი ხნის წინ, ანუ სამეცნიერო გამოკვლევების დასაწყისიდანვე მემატთანედ ნესტორის მიჩნევას სერიოზული წინაუკმობა ახლდა. მაგრამ მკვლევართა წინაშე პატერიკის მოწმობა იდო და მათ არც კი უფიქრიათ, იმ მოწმობათა უტყუარობაში ეჭვი შეეტანათ. მთელი ძალები იმისთვის დახარჯეს, წინაუკმობა ასე თუ ისე დაეძლიათ. ბოლოს, არცთუ ისე დიდი ხნის წინათ მეცნიერებმა გამხედაობა მოიკრიბეს, რომ ისტორიული კრიტიკის ის პრინციპი ეცნოთ, რომლის მიხედვითაც საღი აზრი ყოველგვარ ავტორიტეტზე ავტორიტეტულია, და, ამგვარად, პატერიკის ცნობათა სისწორეში საფუძვლიანი ეჭვი შეეტანათ.** რაც უნდა იყოს, არავითარ ეჭვს არ უნდა იწვევდეს ის, რომ ღირსი ნესტორი ჩვენი «თავდაპირველი მატთანის» ავტორი არ არის...

«თავდაპირველი მატთანის» ბოლოში 1110 წლის თარიღით შემდეგი ჩანაწერი თუ მინაწერი იკითხება: «ეს წიგნები წმიდა მიქაელის წინამძღვარმა, მემატთანე სილვესტრმა დაწერა უფლისაგან წყალობის მიღების იმედით, ვლადიმირის მთავრობის დროს, კიევში მის მთავრად ყოფნისას, ხოლო მე იმჟამად ვწინამძღვრობდი წმიდა მიქაელთან 6624, ინდიქტიონის მე-9 წელს (1116 წ.) და

ვინც ამ წიგნებს წაიკითხავს, ლოცვებში მოვიხსენიებთ.» სანამ მემატთანედ ნესტორი მიაჩნდათ, ამ იღუმენ სილვესტრს, როგორც გადამწერს ისე უყურებდნენ, მაგრამ თუ ნესტორს გამოვრიცხავთ, მასში ალბათ თვით მემატთანე უნდა ვიგულისხმოთ; ამასთან, საქმის არსი, რასაკვირველია, ისე უნდა გავიგოთ, რომ იგი იღუმენად პეჩორელმა ბერებმა აირჩიეს. დიდად სამწუხაროა, იღუმენი სილვესტრი აზრს მთლად გარკვეულად რომ არ გამოხატავს. გარკვეულად რომ გამოეხატა, მასში უეჭველად ან თვით მემატთანეს დავინახავდით, ან მხოლოდ გადამწერს. ყოველ შემთხვევაში, მისი გამოთქმა написахъ (დაწერა) და არა переписахъ (გადაწერა) უფრო იმის სასარგებლოდ მეტყველებს, რომ იგი მემატთანეა და არა მხოლოდ გადამწერი.

თავისი მატთანის წერას რომ იწყებდა, ჩვენს მემატთანეს ნიმუშად ხელთ ბერძნული მატთანეები ან ქრონოგრაფები ჰქონდა, რომელთაგან ორი იოანე მალალასი და გიორგი ამარტოლისა სლაფურად იყო თარგმნილი და მათ არა მარტო იცნობდა, არამედ თავის ნაშრომში გარკვეულწილად გამოიყენა. თუმცა ჩვენი მატთანის გარეგნული ფორმა ბერძნული ქრონოგრაფებისას არ ემთხვევა, მათგან განსხვავებულია, საკუთარია და გადამუშავების გამო უფრო დაბალ, უფრო პირველად საფეხურზე დგას...

«გარდასულ წელთა ამბის» სახელწოდება მემატთანეს ბერძენი ქრონოგრაფებისაგან არ უსესხებია. ბერძნების გადანაწერთა სახელწოდება იყო: χρονογραφία ან χρονογραφείον (-γραφίον) და χρονικόν, რაც რუსულად ჟამთააღწერას, მატთანეს ნიშნავს. ამარტოლის ქრონოგრაფის იმ ნუსხას, რომელიც ბულგარელ მთარგმნელს ჰქონდა, წინასიტყვის თავზე ეწერა: Βιβλία χρονικά και ιστορικά, რაც ასე უთარგმნია: «წიგნი დროებისა და ხატებისად», თვით ტექსტის დასაწყისში კი ეწერა: χρονικόν σύντομον, შემცირებული ჟამნი, რაც მას ასე უთარგმნია: «დრო-ჟამნი უბრალოდ». სიტყვა «დრო-ჟამნი» წელთან დართვით არის აზრს მოკლებული პლეონაზმი, რაც მემატთანემ ჩვეულებრივი მნიშვნელობით კი არ იხმარა, არამედ იმ მნიშვნელობით, რომ მას აქვს დათარიღებული ქრონოლოგია (χρονικός, χρονολογικός); ამრიგად, «დრო-ჟამთა» წლები ნიშნავს წლების თხზულებას, რომელსაც აქვს ქრონოლოგია (წლები), ქრონოლოგიურად შემოღებული (წლების მიხედვით). თავისი მატთანის ამ სახელწოდებით ავტორს სურს, მის იმ თვისებაზე მიუთითოს, რომ თხრობა, როგორც ჩვენ ადრე ვთქვით, ქრონოლოგიურად, წლების მიხედვით მიმდინარეობს.

რაც შეეხება წყაროებს, გოლუბინსკის აზრით, ეს იყო მონათხრობი ხანდაზმული ადამიანებისა, რომელთაგან ორს პირდაპირ სახელით მოიხსენიებს და, რომელთაც შეეძლოთ მისთვის ბევრი რამ ეცნობებინათ რუსეთის მოქცევის ჩათვლით, აგრეთვე, ადრე შედგენილი კერძო ისტორიული თქმულებები, ფიციალური საბუთები და ჩანაწერები, ხალხურ სიმღერებსა და თქმულებებში შემონახული ზეპირი ისტორია, საეკლესიო «სინოდიკებისა» და მოსახსენებლების ჩანაწერები, სასაფლაოს, აკლდამების, ქვებისა და ეკლესიების წარწერები და, ბოლოს, როგორც ზემოთ ვამბობდი, წყვეტილი სამატთანო შენიშვნები და წარსულში გაკეთებული დიდი და მცირე ჩანაწერები, ან შესაძლოა, ამ შენიშვნებისა და ჩანაწერების მთელი კრებულებიც კი, რომლებიც ამ მატთანის პირველი ცდები გახლდათ.

დიდად სამწუხაროდ, ჩვენმა «თავდაპირველმა მატთანემ» აქამდე თავისი პირვანდელი სახით ვერ მოაღწია, მეტ-ნაკლები ცვლილებები განიცადა და

უეჭველად გვიანდელი ჩანართებით შეივსო.უნდა ვიფიქროთ, ერთგვარად, შესაძლოა, საკმაოდაც შემოკლდა. მატიანის კრებულის უძველესი ნუსხა, რომელმაც ჩვენს დრომდე მოაღწია, XIV საუკუნის მეორე ნახევარს განეკუთვნება, სუზდალში დაწერა ბერმა ლავრენტიმ 1377 წელს და ამიტომ **ლავრენტისეული** ნუსხა ეწოდება.

პროფ. **მ. ო. კოიალოვიჩი** (1828_1891) ძველ რუსულ მატიანეზე წერდა: «ჩვენი ძველი მატიანის შესახებ სწავლულთა შეხედულება მეტად მრავალგვარია. მიზეზი გაუგებრობებისა და კამათისა ის გახლავთ, ჩვენი მატიანე მთლიანი, ერთი პირის ნაწარმოები არის, თუ სხვადასხვა პირის მიერ ჩაწერილი ცნობების კრებული? ძველად, განსაკუთრებით, XVIII საუკუნეში, ჩვეულებრივ ფიქრობდნენ, რომ ეს მატიანე კიევ-პეჩორის მონასტრის ბერმა ნესტორმა შეადგინა... ამ თვალსაზრისზე იდგა სახელგანთქმული გერმანელი მკვლევარი შლეცერიც, რომელიც ნუსხების წინააღმდეგობრიობას ხსნიდა და მათ გამო აღშფოთებას გამოთქვამდა. სხვადასხვა ნუსხის შეჯერებითა და კრიტიკული განხილვით ნესტორის მატიანის ტექსტის აღდგენის შრომაც კი იტვირთა. ძველ მატიანესთან დაკავშირებით შლეცერის თვალსაზრისს კარამზინიც იზიარებდა. მომდევნო ხანაში კი, როცა ამ მატიანის შესწავლა უფრო ყურადღებით დაიწყო, სხვა დასკვნამდე მივიდნენ, კერძოდ, გამოითქვა აზრი, რომ იგი ისეთი მთლიანი ძეგლი სულაც არაა, როგორც შლეცერი და კარამზინი ფიქრობდნენ. მიმდინარე საუკუნის ოციან წლებში ე. წ. სკეპტიკოსებმა, რომელთა სათავეში მოსკოვის უნივერსიტეტის პროფესორი კაჩენოვსკი იდგა, «გარდასულ წელთა ამბის» ძველი წარმოშობა საეჭვოც კი გახადეს. რუსეთის დასაბამის შესახებ წარმოებულ ძიებებში იგივე თვალსაზრისი განაახლა ახლახან დ. ი. ილოვაისკიმ. საქმის უფრო მეცნიერულმა შესწავლამ ძველი მატიანისადმი ასეთი საეჭვო დამოკიდებულება უარყო, მაგრამ საბოლოოდ მეცნიერული შესწავლის შედეგად მაინც ის დასკვნა გაჩნდა, რომ ძველი მატიანე ერთი პირის მიერ შესრულებული ნაწარმოები კი არა, სხვადასხვა წარმოშობის ცნობათა ნაკრებია. ზოგიერთის ვარაუდით კრებული შეადგინა არა ნესტორმა, არამედ ვიდუბეცკელმა ილუმენმა სილვესტრმა, რომელიც თავისი თავის შესახებ თვით მატიანეში გვამცნობს. 1110 წლის მოვლენების თხრობის შემდგომ ლავრენტის მატიანის ნუსხაში ნათქვამია: «სამატიანო წიგნები წმიდა მიქაელის წინამძღვარმა დაწერა...», «მაგრამ ეს თვალსაზრისი კრიტიკას ვერ უძლებს. ჩვენს ძველ ენაზე წიგნების წერა, ჩვეულებრივ, ნიშნავდა გადაწერას, წერას პირდაპირი გაგებით»⁴¹⁸.

როცა პროფესორი კოიალოვიჩი შლეცერს უდარებს ბირონს, ცდილობს, დაამტკიცოს, რომ შლეცერმა რუსულ ისტორიას ზიანი უფრო მეტი მოუტანა, ვიდრე სარგებლობა, რომ მან რუსულ მატიანეთა დამუშავების საკითხის მეცნიერულ დონეზე დაყენებას საფუძვლად დაუდო სხვისი, კერძოდ, ტატიშჩევის ნაშრომი; შემდგომ ახალგაზრდა სპეციალისტებს ურჩევს შლეცერის შრომებს გაეცნონ, თუმცა, მის სიტყვას არ ენდობა⁴¹⁹.

რუსული ლიტერატურისა და საზოგადოებრიობის ერთ-ერთი გამოჩენილი მკვლევარი **ა. ნ. პიპინი** (1833_1904 წწ) «თავდაპირველ მატიანეზე» შემდეგს ამბობს: «პირველად ნესტორის, ანუ თავდაპირველი მატიანის (ასე მატიანეს იმის შემდეგ უწოდებენ, რაც ნესტორის ავტორობის შესახებ ეჭვები გაჩნდა) უდიდეს მნიშვნელობაზე ისტორიულ მეცნიერებაში მიუთითა სახელგანთქმულმა

შლეცერმა. მართალია, ამ მატთანეს უკვე ჩვენი ისტორიოგრაფიის ერთი დამწყებთაგანი, ტატიშჩევი ყურადღებით სწავლობდა (რომელსაც შეეძლო სახელგანთქმული აკად. ბაიერის შრომებით ესარგებლა), მაგრამ მისდამი მკაცრი კრიტიკული მიდგომა მხოლოდ გერმანელმა სწავლულმა გამოავლინა: ნესტორის კვლევისას შლეცერი აღტაცებაში მოჰყავს მის უბრალოებასა და უდიდეს სიმართლეს ისეთ საუკუნეში, როცა დაბალი განათლების გამო ისტორიული სიმართლის ასეთი გაგება იშვიათობა იყო: შუა საუკუნეების მემატთანეთა მეზღაპრეობის ფონზე ნესტორი შესანიშნავი გამონაკლისია და მის მიერ იმ ხალხის ენაზე დაწერილი მატთანე, ვის ისტორიასაც გვიამბობდა, შლეცერს ფენომენალურ ძეგლად ეჩვენებოდა... იმის შემდეგ, რაც შლეცერმა ნესტორის შესახებ თავისი თვალსაზრისი გამოთქვა, დასავლეთის შუა საუკუნეების ლიტერატურაში მრავალი ახალი გამოკვლევა და აღმოჩენა განხორციელდა, ძალიან მომრავლდა ცნობები ჩვენს ძველ დროზე, მაგრამ ნესტორის მისეული შეფასება მთლიანობაში თავის მნიშვნელობას არ კარგავს და «თავდაპირველი მატთანე» თანამედროვე ისტორიკოსთა თვალში ჩვენი ძველი ლიტერატურის ერთ-ერთ ყველაზე თვალსაჩინო ნაწარმოებად რჩება...

სხვათა შორის, გამოკვლევები დამთავრებული ჯერ კიდევ იმის გამო არ არის, რომ ისინი დაკავშირებულია მატთანის მხოლოდ გვიანდელ ნუსხებთან, რომლებიც რამდენიმე საუკუნით ჩამორჩნენ არა მატთანის თვით საწყისს, არამედ იმ პირველ კრებულს, როგორც ე. წ. ნესტორისეული მატთანე არის. აქამდე გადაუწყვეტელია საკამათო საკითხებიც... სამატთანო მასალის ასეთი მდგომარეობის გამო გასაგებია, რომ საკითხი ჩვენი ჟამთააღმწერლობის უძველესი დროის შესახებ მეტად რთულია და იგი ხშირად საეგებიოდ შეიძლება გადაიჭრას. უწინარეს ყოვლისა, ერთმანეთს სცილდება მეცნიერთა აზრი იმის შესახებ, თუ როდის და რანაირად დაიწყო მატთანე. ზოგიერთ მკვლევარს უდავოდ მიაჩნდა, რომ მატთანე დაიწყო ქრისტიანობის მიღებამდე, არა მარტო X საუკუნეში იღებს სათავეს, არამედ უფრო ადრეულ პერიოდშიც, რომ უძველესი მატთანის ზოგიერთ დამოწმებაში წარმართული ხანის გამოძახილიცაა. აი, ამ უძველეს ხანას მიეკუთვნება ნოვგოროდის მატთანის დასაწყისი, რომელმაც ჩვენამდე ვერ მოაღწია, მაგრამ საგულვებელია, რომ არსებობდა...

თხზულების შემდგენელი პირდაპირ ეროვნულ ამოცანას ისახავს, როცა აყენებს საკითხს ხალხის შესახებ, სახელმწიფოს, როგორც მთავრის ხელისუფლების საწყისის შესახებ, როცა საუბრობს რუს ტომებზე, როგორც ერთიან ხალხზე, რომელსაც მთელ სლავობასთან აკავშირებს, აგროვებს გადმოცემებს, იძლევა გეოგრაფიულ ცნობებს და ა. შ. თხზულების ავტორი გახლავთ გონიერი მწერალიც, როცა ცდილობს თავის ნაშრომში შეიტანოს გარკვეული კრიტიკული აზრი, განიხილავს გადმოცემათა უტყუარობის ხარისხს, თავის ცნობებს ბერძნული მატთანეებისას უდარებს, აჯერებს ქრონოლოგიას, გადმოსცემს ისტორიულ საბუთებს და ა. შ.

...იმ გვიანდელი ნუსხების მიხედვით, რა სახითაც მატთანე მოგვეპოვება, ამჟამად თითქმის შეუძლებელია პირვანდელი სახით გამოვარჩიოთ ადგილობრივი მატთანეები: კიევისა, ნოვგოროდისა, სუზდალისა და ა. შ. შესაძლოა ამგვარი წმინდა ადგილობრივი სახის მატთანე არც არსებობდა. როცა მატთანის შესახებ ეს აზრი გაჩნდა, მიიჩნევდნენ, რომ მას საფუძვლად ედო «გარდასულ წელთა ამბავი», როგორც მთელი ისტორიის საწყისი, ან თხზულებას, რომელიც

ნუსხაში გაჩნდა, ადგილზე დაერთო გაგრძელებები, ამასთან ერთად კი დამატებებიც სხვა წყაროებიდან. ამრიგად, მატთანებში გვაქვს არა სრულიად განსაკუთრებული მატთანეთა წყება, არამედ ჩვეულებრივი სამატთანო კრებულები...⁴²⁰

პეტერბურგის სასულიერო აკადემიის პროფესორი **ნ. კ. ნიკოლსკი** ქრისტიანული საკითხავის ფურცლებზე⁴²¹ მოციქულთასწორ ვლადიმირის სამატთანო გადმოცემების წყაროებზე მსჯელობს და მიაჩნია, რომ «გარდასულ წელთა ამბავი» შეიცავს მონათხრობს, რომელიც რამდენიმე წყაროს მეშვეობით იმ დროსაა შედგენილი, როცა წმ. ვლადიმირის ნათელლების შესახებ ურთიერთსაწინააღმდეგო ცნობები შეითხზა, ვინაიდან თვით მემატთანეც 988 წელს აღნიშნავს: «ისინი კი, სიმართლის არმცოდნენი ამბობენ, თითქოს ნათელილო კიევში: ზოგიერთები ფიქრობენ ვასილიევშიო; სხვები კიდეც სხვანაირად იტყვიან»⁴²². «წმიდა ვლადიმირის ნათელლებისა და მისი შემდეგდროინდელი მოღვაწეობის მატთანისეული რედაქცია, – ამბობს იგი, – პირველადი არ იყო, მაგრამ ჩანს, მემატთანე მზა წყაროებით სარგებლობდა, რომელნიც მან თავისი თხრობის მიზნებს შეუხამა, შეავსო და შეცვალა»⁴²³. ამავე გამოკვლევაში პროფესორ ნიკოლსკის ვლადიმირის ნათელლება სამატთანო თხრობის სავარაუდო წყაროდ მიაჩნია: «სიტყვა იმის შესახებ, თუ როგორ ნათელილო ვლადიმირმა კორსუნის აღების შემდეგ»⁴²⁴.

ხარკოვის უნივერსიტეტის რექტორი, პროფესორი **დ. ი. ბაგალი** რუსული მატთანების წარმოშობის შესახებ ამბობს: «ჯერ კიდეც შლევცერმა გამოთქვა აზრი, რომელიც მეცნიერებაში დიდხანს ბატონობდა, რომ «გარდასულ წელთა ამბავი» ბიზანტიური ნიმუშის მიბაძვაა. მაშასადამე, მას პირდაპირ უკავშირებს ბიზანტიურ ქრონიკებს, რაც დღესაც არაა მთლიანად დაძლეული. ირკვევა, რომ ბიზანტიურ ჟამთააღმწერლობაში ისეთ ნიმუშებს ვერ დავასახელებთ, რომელთაც თითქოს ჩვენი მემატთანე ბაძავდა. ამ დაუჯერებელმა აზრმა საწინააღმდეგო მოსაზრება წარმოშვა: რუსული მატთანე ბიზანტიურს კი არა, დასავლეთ-ევროპულ ქრონიკებს, ან ე. წ. ანალებს უნდა უკავშირდებოდეს; მაგრამ არ არსებობს არავითარი საფუძველი, ჩვენი მატთანეები დასავლეთევროპულ ანალებს მივამსგავსოთ»⁴²⁵. ძველი სამატთანო კრებული, ანუ ე. წ. «გარდასულ წელთა ამბავი», რომლის შედგენასაც ნესტორს უმართებულოდ მიაწერენ, არაფრით არ შეიძლება XII ან XIII საუკუნეებზე ადრე იყოს შექმნილი. მსგავსი კრებულის შესადგენად მწერლობის კიდეც ისეთი პირობები უნდა ყოფილიყო, რომელთა არსებობა X საუკუნეში საეჭვოა. დ. ი. ბაგალის აზრით, მატთანეები უნდა შექმნილიყო კიევში, როგორც იმჟამინდელ კულტურულ ცენტრში»⁴²⁶.

თანამედროვე რუსი ისტორიკოსი, აკადემიკოსი **კლიუჩევსკი** რუსული მატთანის წარმომავლობის შესახებ ასე მსჯელობს: «ჟამთააღმწერლობა ჩვენი ძველი მწიგნობრების საყვარელი საქმიანობა იყო, მათ დაიწყეს ბიზანტიური ქრონოგრაფიის გარეგნული ხერხების მორჩილი მიბაძვა, მალე მისი სულისკვეთება და ცნებები გაითავისეს, დროთა ვითარებაში გამოიმუშავეს სამატთანო თხრობის ზოგიერთი თავისებურება, საკუთარი სტილი, მყარი და ერთიანი ისტორიული მსოფლხედვა, ისტორიულ მოვლენათა ერთგვაროვანი შეფასება და ზოგჯერ თავიანთ საქმიანობაში შესანიშნავ შედეგს აღწევდნენ»⁴²⁷.

შემდგომ კლიუჩევსკი უთითებს სამ ძირითად ნაწილზე, რომელთაგანაცაა შედგენილი თავდაპირველი სამატიანო კრებული. ესენია: ა. «გარდასულ წელთა ამბავი», შეწყვეტილი ოლეგის მთავრობის პერიოდში და შედგენილი 1054 წლამდე; ბ. გადმოცემა რუსეთის ნათლისღების შესახებ, რაც კრებულში 986_988 წლებითაა დათარიღებული და XII საუკუნის დასაწყისშია შედგენილი; გ. კიევ-პეჩორის მატიაზე, რომელშიაც აღწერილია XI და XII საუკუნეთა ამბები 1110 წლის ჩათვლით. ეს მატიაზე პეჩორის მონასტრის ბერის, ნესტორის მიერაა დაწერილი, და იწყებოდა იაროსლავ I-ის დროით. ე. წ. «თავდაპირველი მატიაზე», რომელსაც ჩვენ ლავრენტისეულს ვუწოდებთ და მისი მონათესავე ნუსხების მიხედვით კვითხულობთ, სამატიანო კრებულია და არა კიევ-პეჩორელი ბერის თავდაპირველი მატიაზე, რომელმაც ჩვენამდე ნამდვილი სახით ვერ მოაღწია⁴²⁸. «კრებულის შემდგენელი სწავლული მწიგნობრის შთაბეჭდილებას ტოვებს იმით, რომ შესანიშნავად იცნობს უცხოურ თუ საკუთარ წყაროებს, მათი გამოყენების ხერხებს, – ამბობს კლიუჩევსკი, – ამ შთაბეჭდილებას აძლიერებს კრიტიკული აზროვნების გამონაშუქი... როცა განსხვავებული დიდძალი მასალა დალაგებულია ნაირგვარ მონაცემთა გააზრებით დასახული გეგმის მიხედვით, დამუშავებულია ცნობილი ხერხებით, კრიტიკული ხედვითაც და გაშუქებულია წარმმართველი ისტორიული იდეით, მაშინ საქმე გვაქვს არა, უბრალოდ, მატიაზესთან, არამედ მეცნიერულ ნაშრომთან (ისე კი ღირდა გაგვეგო, რა არის მემატიაანის ეს «მეცნიერულობა!»), რომელსაც ზოგი ყურადსადები მეცნიერული სიმართლე ეკუთვნის. აქ შესასწავლია არა მარტო ნედლი ისტორიული მასალა, არამედ მთლიანი შეხედულებაც, თვით ზოგიერთი მეთოდოლოგიური ხერხის მოხმობით»⁴²⁹.

უკრაინის ისტორიისა და მისი მწერლობის დიდი მცოდნე, ლვოვის უნივერსიტეტის პროფესორი **მიხაილო გრუშევსკი** უკრაინის ისტორიაზე დაწერილ თავის კაპიტალურ ნაშრომში თავდაპირველ მატიაზეზე ასე მსჯელობს: «თავდაპირველი მატიაანის სათაური «გარდასულ წელთა ამბავი»... არ შეიძლება დაერთოს მთელ «თავდაპირველ მატიაზეს» თვით XII საუკუნის დასაწყისამდე. იმავე სათაურის მიხედვით, როგორც ამას სრეზნევსკი და შახმატოვი ფიქრობენ⁴³⁰, სავსებით სამართლიანია, ამბად თავდაპირველი მატიაანის მხოლოდ ის ნაწილი იწოდებოდეს, რომელიც რუსული მიწის (ანუ «პოლიანური», კიევური) საწყისი პერიოდის ამბებსა და 935 წლამდე მის პირველ მთავართა საქმეებზე მოგვითხრობს («ვინც კიევს დიდი მთავრობა იწყო»). თავდაპირველი მატიაანის იმ ნაწილს, რომელიც 945 წლის შემდეგდროინდელ ამბებზე მოგვითხრობს, არ შეიძლება ეს სათაური ეწოდოს. ამით ახალ, განსაკუთრებულ ნაწილს ვიღებთ, და არ შეიძლება მისი შექმნა პირველი ნაწილის წერისას ავტორის განზრახვა და გეგმა ყოფილიყო. ამ მატიაანის პირველი ნაწილი – «ამბავი» ალბათ, დაიწერა არა უგვიანეს და არა უადრეს XI საუკუნის შუა წლებისა⁴³¹. ის პირველი, ასე ვთქვათ, შესავალი ნაწილი შემდგომ შეივსო და განივრცო, XI საუკუნის მეორე ნახევარში კი იგი სხვა პირებმა გააგრძელეს: გაჩნდა მეორე რედაქცია, დაბოლოს, XII საუკუნის დასაწყისში იგი ხელახლა იქნა რედაქტირებული და დასრულებული: _ ესეც მესამე რედაქცია⁴³².

ამგვარად, «თავდაპირველი მატიაზე» რამდენიმე პირის შრომის ნაყოფი, კომპილაცია გახლავთ და არა რაიმე მთლიანი; ნესტორის მატიაზედ მხოლოდ ტრადიციის მიხედვით იწოდება, მიუხედავად იმისა, რომ იგი ნესტორს

ნამდვილად არ ეკუთვნის. ...ნესტორი შეიძლება მივიჩნიოთ ოდენ ავტორად პეჩორული ჩანაწერებისა, რომლებიც მატიანეში XI საუკუნის დასასრულსა და XII საუკუნის ბოლოს შეიტანეს, ანდა იგი მატიანის ერთ-ერთი გვიანდელი რედაქტორია... ერთ-ერთ ასეთ რედაქტორად და არა ერთ რედაქტორად დიდი დამაჯერებლობით, თითქმის უყოყმანოდ შეიძლება ვაღიაროთ ვიდუბეცკელი ილუმენი სილვესტრი. უამრავი მიზეზი (მაგალითად, უამრავი ცნობა მატიანეში პეჩორის მონასტრის შესახებ) ბადებს ჰიპოთეზას, რომ ამ მატიანეს პეჩორის მონასტერში ჩამოყალიბების უფრო ადრეული სტადიები ჰქონდა⁴³³. მისი ჩრდილოური რედაქცია, რომელიც შემონახულია, მაგალითად, ლავრენტისეულ კოდექსში, 1110 წლით დათარიღებული მინაწერის მიხედვით 1116 წელსაა დამთავრებული, ხოლო სამხრეთულ რედაქციაში ასეთი თარიღი არა ჩანს, მაგრამ სავარაუდებელია, რომ იგი (რედაქცია), როგორც ა. ა. შახმატოვი ფიქრობს⁴³⁴, სამხრეთულზე ცოტათი გვიან, შესაძლოა 1118 წელსაა დასრულებული.

კიევში ეს «თავდაპირველი მატიანე» შემდგომ 1199 წლამდე იქნა მიყვანილი, ხოლო მოგვიანებით ამას 1205-1269 წლების ქრონიკები დაურთეს, რომლებიც ნაწილობრივ გალიციაში, ნაწილობრივ კი ვოლინში იყო შედგენილი. მატიანეთა ამ კრებულმა დაახლოებით XIII საუკუნის უკანასკნელ მეოთხედში ვოლინში შეთხზული იპატიევისა და ასევე მისი მსგავსი კოდექსების სახით მოაღწია⁴³⁵.

მატიანის წყაროების სრულყოფილად გამოკვლევის თვალსაზრისით განსაკუთრებით მნიშვნელოვნად მიჩნეულია აკადემიკოს ა. ა. შახმატოვის შრომები. «ვლადიმირის მოქცევის მატიანისეული მონათხრობი, _ აღნიშნავს ა. ა. შახმატოვი, ძველი რუსული მწერლობის მკვლევარი და გამოჩენილი ლინგვისტი, _ მრავალი თვისებით ავლენს თავისი შედგენილობის, თუ შეიძლება ასე ითქვას, კომპილაციურ ხასიათს»⁴³⁶. მისი აზრით, თავდაპირველ კრებულში თხზულებები ბერძნულ მოვლენებზე არა უშუალოდ ამარტოლისაგან შევიდა, არამედ ქრონოლოგიური სახის კომპილაციიდან, რომლის შემადგენლობაში ბერძნული ქრონიკის ტექსტიც მოხვდა⁴³⁷.

აკადემიკოსი ა. ა. შახმატოვი ძველ მატიანეს ვლადიმირის მოქცევის შესახებ ურთიერთგამომრიცხავი მონაცემების⁴³⁸ საყურადღებო კრებულად მიიჩნევს. ვლადიმირის ჩვეულებრივი ცხოვრების შედგენისას, მისი აზრით, «კიდევ მესამე, უცნობი წყარო იყო გათვალისწინებული»⁴³⁹. ვლადიმირის მოქცევის შესახებ რუსულ მატიანეთა თქმულებებისა და მათი ინტერპოლაციების შესათანხმებლად ა. ა. შახმატოვი ვარაუდობს, რომ არსებობდა წერილობითი ძეგლის გაცილებით ძველი რედაქცია, ვიდრე ვლადიმირის მოქცევის სამატიანო გადმოცემა იყო⁴⁴⁰.

პაპის მიერ ვლადიმირთან ელჩობის გამოგზავნისა და ვლადიმირის მიერ პაპთან ელჩობის წარგზავნის შესახებ მატიანის მოწმობათა დასადასტურებლად ა. ა. შახმატოვი ამბობს: «სავსებით შესაძლებელია, ამ ელჩობის შესახებ ბორისის ნათლობის გადმოცემაც მოგვითხრობდეს. აქედან ცნობები მათ შესახებ ვლადიმირის მოქცევის რუსულ კომპილაციურ გადმოცემაშია გადატანილი... რუსულმა გადმოცემამ ბულგარული გადააკეთა, რუსი კომპილატორი თითქმის ისევე მოიქცა, როგორც ნესტორი, რომელმაც თეოდოსის ცხოვრების შესადგენად საბას ცხოვრების ბულგარული თარგმანით თითქმის ისევე ისარგებლა, როგორც 1073

წლის კრებულის გადამწერმა, რომელმაც ბოლოსიტყვაობაში ბულგარელი სვიმონის სახელი მთავარ იზიასლავით (სვიატოსლავით) შეცვალა»⁴⁴¹.

ა. ა. შახმატოვი რამდენიმე მოსაზრებას გამოთქვამს იმაზე, რომ რუსული მატიანის თხრობა დამოკიდებულია ბულგარელი მთავრის, ბორისის ნათლობის შესახებ დაწერილ თხზულებაზე, რომელმაც ჩვენამდე ვერ მოაღწია, მაგრამ, ალბათ, არსებობდა, და დასკვნაშიც ამბობს: «ჩვენ მიერ მითითებული ცხრა პუნქტი ისე აახლოებს ვლადიმირის მოქცევის გადმოცემას ბორისის ნათლობის⁴⁴² სავარაუდო ბულგარულ თქმულებასთან, რომ რუსული ლიტერატურული წყაროს საკითხი მე გადაწყვეტილად მიმაჩნია»⁴⁴³.

აკადემიკოს ა. ა. შახმატოვის მიერ გამოთქმული იმ მოსაზრების გამო, რომ რუსული მატიანის თხრობა დამოკიდებულია ბულგარელი მთავრის ბორისის ნათლისღების შესახებ დაწერილ ჩვენამდე მოუღწევველ, მაგრამ, ალბათ, არსებულ თხზულებაზე, უნდა შევნიშნოთ: აქ ერთი ვარაუდი მეორეზეა დაფუძნებული და საფუძველი არ არსებობს ვარაუდისა, არც ბულგარულ და არც ბერძნულ ისტორიულ თუ აგიოლოგიურ ძეგლებში. თუ ვივარაუდებთ, რომ ბულგარეთის მეფის, ბორისის (ბოგორი) შესახებ (864 წ.)⁴⁴⁴ არსებობდა მართალი ცხოვრება, მაშინ მას დაწვრილებით უნდა გადმოეცა, ამ სუსტი ნებისყოფის გვირგვინოსანმა მოქცევის შემდგომ როგორ მიიღო მართლმადიდებელი სამღვდელთა კონსტანტინოპოლის პატრიარქისაგან, ოთხი წლის მერე როგორ აღიარა თავის სულიერ მეუფედ რომის პაპი და ელჩობა გაუგზავნა, რათა მას გამოეგზავნა კათოლიკე მღვდელ-მსახურნი, რომლებიც ბერძენი სამღვდელთა ადგილზე განაწესა; შემდეგ, კვლავ, როგორ მალე (870 წ.) გაგზავნა ელჩობა კონსტანტინოპოლში მსოფლიო პატრიარქისათვის ბულგარეთის ეკლესიურად დაქვემდებარების თაობაზე. როცა კონსტანტინოპოლიდან მთავარეპისკოპოსი და სამღვდელთა ჩაუვიდა, ბორისმა თავისი სამეფოდან ლათინთა სამღვდელთა გააძევა. ასეთი შინაარსის ცხოვრება არ შეიძლებოდა წყარო და ნიმუში ყოფილიყო რუსი მემატიანისათვის, რომელიც მტრულად იყო განწყობილი კათოლიკეთა მიმართ და მათთან გაუსაძლისი ურთიერთობა ჰქონდა. მართალია, ა. ა. შახმატოვი თავის ვარაუდს ფრთხილად გამოთქვამს და ამბობს, «ალბათო», მაგრამ მას ამ «ალბათზე» აქვს ყველაფერი დაფუძნებული. ამგვარად, ა. ა. შახმატოვის მოსაზრებას მყარი ისტორიული საფუძველი არ გააჩნია და საქმე ნამდვილ გონებითჭვრეტასთან გვაქვს.

მთელმა რიგმა შემდგომმა გამოკვლევებმა ა. ა. შახმატოვი იმ დასკვნამდე მიიყვანა, რომ თხზულების თავდაპირველ კრებულში ვლადიმირის მოქცევის ამბის შემდგენელი იყო ვასილი, რომელიც საკუთარ თავზე პირველ პირში მოგვითხრობს ვასილკას დაბრძალების შესახებ.⁴⁴⁵ შემდეგ შახმატოვი ბატონების – ბელიაევისა და გოლუბინსკის დარად ვარაუდობს, რომ რუს მწიგნობრებს ხელთ ჰქონდათ ბერძნული თხზულების ორიგინალის სლავური თარგმანი ვლადიმირის ნათლობის შესახებ⁴⁴⁶.

დაახლოებით ორასი წელი გავიდა, რაც რუსეთში სწავლულები «გარდასულ წელთა ამბის» წარმოშობის საკითხებზე მუშაობენ და ამ გამოკვლევებმა ისინი ე. წ. კიმერიულ უღრანში – ვარაუდებისა და გამოცანების ვრცელ ლაბირინთებში შეიყვანა. აღნიშნულ ხანგრძლივ პერიოდში რუსულ მატიანეთა შესწავლაზე ისეთი მეცნიერები მუშაობდნენ, როგორებიც იყვნენ გ. ფ. მილერი, ა. ლ. შლეცერი, ნ. მ.

კარამზინი, მ. ტ. კაჩენოვსკი, პ. გ. ბუდკოვი, ნ. ს. არციბაშევი, მ. პ. პოგოდინი, ნ. ა. პოლევოი, მ. პ. სტროევი, ს. მ. სტროევი, ი. ი. სრეზნევესკი, მიტროპოლიტი მაკარი, მ. ი. სუხომლინოვი, ს. პ. შევირევი, ნ. ი. კოსტომაროვი, ვ. ნ. ბესტუჟევი-რიუმინი, პ. ნ. ბარსოვი, ფ. ა. ტერნოვსკი, ს. მ. სოლოვიოვი, ი. ი. პორფირევი, ი. ე. ზაბელინი, დ. ი. ილოვაისკი, ე. ე. გოლუბინსკი, მ. თ. კაიალოვიჩი, ა. ა. პიცინი, ნ. კ. ნიკოლსკი, დ. ი. ბაგალეი, ვ. თ. კლიუჩევსკი, მიხაილო გრუშევსკი, ა. ა. შახმატოვი და სხვ. მათი უმრავლესობა პირველი რანგის მეცნიერები და სლავთმცოდნეობის მთავარი ბურჟუები არიან. ბევრმა მათგანმა «გარდასულ წელთა ამბავს» არაერთხელ მიმართა. იმისი ჩამოთვლა კი ძნელია, ამ დროის განმავლობაში «თავდაპირველი მატიანისა» და მისი ავტორის ვინაობის შესწავლას რამდენი სამეცნიერო გამოკვლევა და სტატია მიეძღვნა. მაშასადამე, ყველაფერი უკვე ცხადია. ჩვენ ამ თავში საკმაოდ დაწვრილებით გადმოვეცით რუსული «თავდაპირველი მატიანის» მკვლევარების, როგორც სკეპტიკოსთა, ისე დოგმატიკოსთა სკოლის წარმომადგენლების თვალსაზრისი იმ მიზნით, რომ ყველასათვის საშუალება მიგვეცა ამ საგნის ირგვლივ არსებულ ლიტერატურას უშუალოდ გასცნობოდა. თვალსაზრისთა ამ მიმოხილვიდან დავიინახეთ, რომ ზოგიერთი რუსი სწავლული ისტორიული რომანების ავტორად, ნესტორის პანეგირისტად, გუნდრუკის მკმეველად უფრო გვევლინება, ვიდრე მის მიუკერძოებელ მკვლევრად. ერთი ნაწილი შარავანდედისაგან ნესტორის განმარცვის გზით XIV საუკუნემდელი ყველა ცნობის ლეგენდად გასაღებას ცდილობდა, რისთვისაც მათ პატრიოტთა ბანაკიდან უძღვნიდნენ ქიმიურ ფხვნილს, რომლის გამოგონებისა და პირველად გამოყენების პატივი უდავოდ სახელმძღვანელო ლომონოსოვს ეკუთვნოდა⁴⁴⁷; მეორენი კი, რუსი ხალხის თვითმყოფადი შემოქმედებითი ძალებისადმი რწმენით აღვსილნი, თავდაპირველ მატიანეს რუსულ ორიგინალურ და წმინდა ქმნილებად, ევროპაში სწორუპოვარ ქმნილებად რაცხდნენ.

«გავიდნენ დრონი, როცა აღტაცებულ დითირამბებს უძღვნიდნენ ერთ-ერთ თვალსაჩინო ძველ რუსულ ძეგლს, რუსულ «თავდაპირველ მატიანეს», – ამბობს პროფესორი ზაბოლოცკი, – გავიდნენ დრონი მასზე სასტიკი თავდასხმებისა, დაეჭვებისა მისი სიძველისა და უტყუარობის გამო, ძველი რუსული ლიტერატურის ჭეშმარიტად შესანიშნავი ძეგლის მშვიდმა მეცნიერულმა გამოკვლევებმა კი შეცვალეს პოლემიკური სიფიციხე»⁴⁴⁸. დრონი მართლაც გავიდნენ, მაგრამ მშვიდ მეცნიერულ გამოკვლევებს დადებითი და უცილობელი არაფერი მოჰყოლია: ერთნი, ოღონდაც მოჯადოებული წრიდან გამოსულიყვნენ და ერთიმეორეზე ახვავებდნენ ვარაუდებს, მეორენი დიდ ძალისხმევას იჩენდნენ, რათა თავიანთი მდგომარეობა დაეფიქსირებინათ; ზოგიერთები კი მიგნებათა გზით მიიწევდნენ, ასე ვთქვათ, საგნის ზედაპირზე მისრიალებდნენ; ამის გამო რუსული მატიანის ნამდვილი პირველწყაროს კარდინალურმა საკითხმა წინ შედარებით მცირე მანძილზე წაიწია. რუსი სწავლულები შედგნენ იქ, სადაც ენერგიულად უნდა შესდგომოდნენ სამეცნიერო კვლევას, როცა საკვლევად უნდა მოეხმოთ ახალი ისტორიულ-ლიტერატურული მასალები და არ დაეკარგათ არიადნეს ძაფი.

ძველი რუსული მწერლობის მკვლევარებსა და სწავლულებს გიორგი ამარტოლის (ცოდვილის) ბერძნული ქრონიკა რუსულ მატიანეთა უმთავრეს წყაროდ მიაჩნდათ⁴⁴⁹ და ამას იქით არ წასულან, როგორც ის ხომალდი, რომელიც

დედამიწის მრყეველმა პოსეიდონმა აქცია კლდედ, რომელიც ფეაკელთა ქალაქს აეფარა⁴⁵⁰. ყველაფერი ეს კი იმის გამო ხდება, რომ რუსული მატანის პირველწყაროს ეძებდნენ და ეძებენ იქ, სადაც იგი საერთოდ არ იყო. «რუსეთმა ნათლისღება ბერძენთაგან მიიღო, – ამბობს პროფესორი თ. ი. ფორტინსკი, – ამიტომ უფრო უპრიანი იქნება, რუსულ და ბიზანტიურ ძეგლებში ეძებონ ამ მოვლენის შესახებ გაცილებით საფუძვლიანი და უტყუარი ცნობები»⁴⁵¹. მაშასადამე, პროფესორი ფორტინსკი რუსული და ბიზანტიური ძეგლების გამოკლებით, აღნიშნული მოვლენის გამოსარკვევად უმართებულოდ მიიჩნევს სხვა ხალხების ლიტერატურულ ძეგლთა შესწავლას. მაგრამ მეცნიერებას არც რუვიმები ჰყავს და არც ბენიამინები, მის წინაშე ყველა თანასწორია. ამ ქედმაღლობამ რუსეთს ნაკლები სარგებლობა მოუტანა და მეცნიერულ საქმიანობას იგი არცთუ უმნიშვნელოდ ამუხრუჭებს. ჯერ კიდევ ნახევარი საუკუნის წინათ უდიდესი მოაზროვნე და სლავიანოფილთა ბელადი, პოეტი, ფილოსოფოსი და ღვთისმეტყველი ა. ს. ხომიაკოვი მიუთითებდა, რომ «ახალ ისრაელში» – (რუს ხალხს ასე უყვარდა საკუთარი თავის მოხსენიება),⁴⁵² შეიმჩნევა ახალი ისრაელის არასიმპათიური თვისებები (ჩვენ აბრაამის ძენი ვართ), ასევე ნაციონალური თავმოწონება, ქედმაღლობა, შეურაცხმყოფელი დამოკიდებულება სხვა ეროვნებათა მიმართ და ცრუწმიდანობა⁴⁵³.

ისტორიკოსი ნ. ი. კოსტომაროვიც ასევე მიუთითებს მოსკოველთა ამ ხასიათს: «ჩამოყალიბდა (მოსკოვში), – ამბობს იგი, – შეუწყნარებლობა სხვა რწმენის მიმართ, სიძულვილი უცხო ხალხების მიმართ, ქედმაღლური წარმოდგენა საკუთარ თავზე... მოსკოველი რუსები თავიანთ თავს რწმენის თვალსაზრისით ერთადერთ რჩეულ ერად მიიჩნევდნენ და მთლად კეთილად ვერ იყვნენ განწყობილი თანამორწმუნე ხალხთა – ბერძენთა და უკრაინელთა მიმართ; თუ ამ ხალხთა ეროვნულობაში განსხვავებული რამ იყო, ეს მათ სძულდათ, მწვალებლობად მიაჩნდათ: ყოველივეს არათავისას ქედმაღლურად უყურებდნენ»⁴⁵⁴. დაახლოებით 1480 წელს სამღვდელმთავრო ფიცში შეტანილიც კი იყო აღთქმა, რომ ბერძენები არც სამიტროპოლიტო და არც სამღვდელმთავრო კათედრებზე⁴⁵⁵ არ მიეღოთ.

ალეპოელი მთავარდიაკონი პავლე, რომელიც პატრიარქ მაკარს მოსკოვში ახლდა, ასეთ აზრს გამოთქვამს: «ამ ორი წლის განმავლობაში მოსკოვში გულებზე ბოქლომი გვედო, ხოლო გონება უკიდურესად შეურვებული და დათრგუნვილი გვექონდა, რამეთუ ამ ქვეყანაში ადგილობრივ მკვიდრთა გარდა, არავის შეუძლია თავი ოდნავ მაინც თავისუფლად ან კმაყოფილად იგრძნოს; მაგრამ ყოველივე ჩვენი მსგავსი, მთელი ქვეყნიერების მბრძანებლადაც რომ გადაიქცეს, სულის მღელვარებასა და გულის წუხილს ვერასოდეს დაიოკებს»⁴⁵⁶. ერთ კურიოზულ შემთხვევასაც მოვიყვანოთ, რაც მიუთითებს, რა დიდი წარმოდგენა ჰქონდა მემატანეს XV საუკუნის თავის თანამემამულე მწიგნობრებზე: როგორც ცნობილია, სოფიო პალეოლოგს თან ახლდა პაპის კარდინალი ანტონი, რომელმაც დისკუტი გამართა ეკლესიათა გაერთიანების თაობაზე, მაგრამ მალე შეშინდა, – ამბობს მემატანე, – რადგანაც მიტროპოლიტმა კამათში მწიგნობარი ნიკიტა პოპოვიჩი დაუპირისპირა. კარდინალმა ნიკიტას პასუხი ვერ გასცა და კამათი შეწყვიტა სიტყვებით «წიგნები თან არა მაქვს!!!»⁴⁵⁷ და ეს ითქვა დიდად

განათლებულ კარდინალ ანტონზე. აი, მაგალითად, როგორ ხვდებოდა მოსკოვის მიტროპოლიტი დიონისე ანტოქიის პატრიარქ იოაკიმეს 1586 წელს: «მიტროპოლიტი დიონისე იმ დროს ამბიონზე იდგა მღვდელმთავრის შესამოსლით მოსილი... პატრიარქს თავისი ადგილიდან სამი ადლის დამორებით შეხვდა და აკურთხა, შემდეგ პატრიარქმა აკურთხა მიტროპოლიტი და გაკვრით უთხრა, რომ ჯერ მიტროპოლიტს უნდა მიეღო მისგან კურთხევა»⁴⁵⁸. ეს ამპარტავნული დამოკიდებულება ქრისტიანული ეკლესიის უძველეს იერარქებისადმი რელიგიურად ჩანს რუსების შუამდგომლობაში, რომლითაც უნდოდათ მოსკოვის პატრიარქი აღმოსავლეთის პატრიარქთა შორის მესამე ადგილზე ყოფილიყო წარდგენილი. რუს სასულიერო პირებს განსაკუთრებით ქედმაღლურად ეჭირათ თავი საქართველოში, სადაც რუსული ელჩობის ამაღლაში იყვნენ. ისტორიკოსი ს. მ. სოლოვიოვი რუს სასულიერო პირთა მისიასთან დაკავშირებით შენიშნავს: «ქართული ქრისტიანობა რუს სასულიერო პირებზე მძიმე შთაბეჭდილებას ახდენდა, მით უმეტეს, რომ რუს სასულიერო პირებს თვითონ არასოდეს შეეძლოთ გაერჩიათ არსებითი არაარსებითისაგან და ფორმას, კანონს ძლიერ იყვნენ მიჯაჭვულნი»...⁴⁵⁹

ჩვენ არ შევუდგებით მნიშვნელოვანი საკითხის – რუსული მატიანის პროტოტიპის გარკვევის შემაფერხებელ მიზეზთა დეტალურ განხილვას და თვით გიორგი ამარტოლის ქრონოგრაფზე ვიწყებთ საუბარს⁴⁶⁰. ამტკიცებენ, რომ გიორგი ამარტოლის ქრონიკა თავის წყაროდ თვით ძველმა რუსმა მემატიაანემ დაასახელა. რაღაც ამდაგვარს მატიაანეში სხვადასხვა ხალხთა ყოფა-ცხოვრების აღწერის წინ მართლაც ვკითხულობთ: «ამბობს გიორგი მატიაანეში»⁴⁶¹. აქ მემატიაანე გიორგის ახსენებს, მაგრამ ეს საფუძველს არ გვაძლევს, კერძოდ, ამარტოლი ვიგულისხმობთ. გიორგის სახელით ცნობილი მემატიაანე კი ცოტა როდი იყო. მართალია, მემატიაანე გარკვევით ვერ უთითებს, მაგრამ სწავლული მკვლევარები სახელ გიორგის რატომღაც ამარტოლს აკუთვნებენ და ამას უზარმაზარ მნიშვნელობას ანიჭებენ. მითითებული მწერლის ქრონოგრაფს თუ რა დიდ შეფასებას აძლევდნენ და აძლევენ რუსეთში, აკადემიკოს ი. ი. სრეზნეცკის გამოხმაურებიდან ჩანს. როცა 1879 წელს ძველი მწერლობის მოყვარულთა საზოგადოებამ გიორგის, «ცოდვილი ბერის», მატიაანის სერბიული თარგმანის დაბეჭდვა გადაწყვიტა, ი. ი. სრეზნეცკიმ სხდომის მიმდინარეობისას განაცხადა, რომ «ამ ძეგლს რუსული ლიტერატურის ისტორიისათვის უდიდესი მნიშვნელობა აქვს და აუცილებელია გამოიცეს ზედმიწევნით ზუსტად, შენარჩუნდეს გადატანებიც კი»⁴⁶².

ბევრს სჯერა, რომ რუსულ მატიაანესთან ყველაზე ახლოს ამარტოლი დგას, მაგრამ შეუძლებელია ამ ხალხს დაეთანხმო, ვინაიდან მათი მოსაზრებები ნაკლებ დამაჯერებელია. ჯერ ერთი, თუ რუსული მატიაანის ავტორი სარგებლობდა არა ამარტოლის ბერძნული ორიგინალით, როგორც სამართლიანად ამტკიცებს ზოგიერთი, არამედ მისი სლავური თარგმანით, მაშინ მას უთუოდ უნდა შეენარჩუნებინა სახელწოდება «ცოდვილი», რომელსაც სლავური თარგმანის სათაურში ვხვდებით⁴⁶³. ამასთან, უნდა შევნიშნოთ, რომ ამარტოლის სლავური თარგმანი, დაბეჭდილი რუსულ მატიაანეთა სრული კრებულის პირველი ტომის დამატებებში, განსხვავდება მატიაანეთა აღწერილობისაგან და უფრო ახლოს დგას ორიგინალთან, ვიდრე «გარდასულ წელთა ამბავი»; მეორეც, ამარტოლის შეჯერება რუსულ მატიაანესთან წარმოაჩენს მხოლოდ სამ-ოთხ პარალელურ მონაკვეთს,

რომლებიც რუსულ მატთანში შეიძლება მოხვედრილიყო სხვა ქრონოგრაფებიდანაც, ანდა, უფრო სწორად, რომელიმე ცომპენდიუმ-იდან.* ჯერ კიდევ პროფესორმა ფ. ა. ტერნოვსკიმ მიუთითა, რომ მისი აზრით, რუსულ მატთანში ამარტოლიდან მოხვდა ხუთი ცნობა: 1. თქმულება სხვადასხვა ხალხის – სირიელთა, ბაქტრიელთა, ქალდეველთა, ბრიტანელთა და ამაზონთა წეს-ჩვეულებებზე; 2. ნოეს შთამომავალთა შორის დედამიწის დანაწილებაზე; 3. ქამის შთამომავალთა მიერ უცხო მიწების დაპყრობაზე და იქიდან მის მკვიდრთა განდევნაზე; 4. აპოლონ თიანელზე და მის სასწაულებრივ საქმიანობებზე; 5. ნერონის, იუსტინეს, მავრიკისა და კონსტანტინე კოპრონიმის ზეობისას იერუსალიმზე ანტიოქოსის თავდასხმის წინ ავის მომასწავებელ ნიშნებზე.⁴⁶⁴

თქმულება ნოეს შთამომავალთა შორის დედამიწის დანაწილების შესახებ საექვოა ამარტოლის ქრონიკიდან იყოს ნასესხები ჯერ ერთი იმის გამო, რომ რუსი მემატთანე უეჭველად მოიყვანდა ამარტოლის გადმოცემის ბოლო ნახევარსაც იმაზე, რომ ქამის შთამომავლებმა პალესტინა, სემის მამულების ნაწილი დაიპყრეს, უფლის ნებით იქიდან განიდევნენ, და მეორეც, ამარტოლთან ეს მონათხრობი მოქცეულია შუაში; მაშინ, როცა რუსულში დასაწყისშია, როგორც ქართულ მატთანე «ქართლის ცხოვრებაში», და ქამის შთამომავალთა მიერ სხვისი მამულების მიტაცებისა და იქიდან მათი განდევნის შესახებ ერთი სიტყვაც არაა ნათქვამი. პირიქით, მემატთანე ადასტურებს, რომ «სემმა, ქამმა და იაფეტმა კენჭისყრით დედამიწა რომ დაინაწილეს, დადგენილ საზღვრებს არ არღვევდნენ და თითოეული მათგანი თავის ნაწილში ცხოვრობდა»⁴⁶⁵. პროფესორ ფ. ა. ტერნოვსკის აზრით, დედამიწის დაყოფის თაობაზე ამარტოლის თქმულების დასასრული – ქამის შთამომავლებმა პალესტინა, სემის მამულის ნაწილი დაიპყრეს და იქიდან უფლის ნებით განიდევნენო, ნესტორმა თითქოს განზრახ გამოტოვა, რათა შესაძლებლობა ჰქონოდა ისინი შემდეგში გამოეყენებინა⁴⁶⁶. მაგრამ მატთანის 6581 (1073) წლით დათარიღებული მონაკვეთი, რაც ტერნოვსკის აქვს მხედველობაში: «არა კეთილ არს სხვისი საზღვრის გადაღახვა»⁴⁶⁷, აპოთემაა და სემის მამულის ნაწილის მიტაცებას კი არ ეხება, არამედ სვიატოსლავის მიერ თავისი მამის მცნებათა დარღვევას: «სვიატოსლავმა გააგდო თავისი ძმა, დაარღვია მცნება უფლისა და წავიდა კიევს. ღვთის წინაშე დიდი ცოდვაა მამის მცნებათა დარღვევა»⁴⁶⁸. პროფესორ ტერნოვსკის მიერ მითითებულ ძეგლებს შორის ჩამოთვლილი მსგავსი პუნქტები საკმაო საფუძველს ვერ იძლევიან, რომ ვინმე გიორგის ჟამთააღწერა ამარტოლის ქრონიკებად ვაღიაროთ. აქ რამდენიმე პარალელური ცნობის გვერდით მრავალი შეუსაბამო ამბავია მოხმობილი, განსაკუთრებით ყველაზე მთავარი მოვლენის – იმპერატორ კონსტანტინეს ნათლობის შესახებ ამარტოლის მიხედვით, ხოლო ვლადიმირის ნათელდებისა – მატთანის მიხედვით...

კონსტანტინეც და ვლადიმირიც ნათლობის წინ მძიმედ არიან დაავადებულნი და საიდუმლოს შესრულების პროცესში იკურნებიან, მაგრამ მათი სწეულება განსხვავებულია. კონსტანტინეს ნათლობის გარემოებათა შესახებ ამარტოლის ქრონოგრაფი მოგვითხრობს, რომ იმპერატორს კეთრი შეეყარა და წარმართ ქურუმთა რჩევით მაშინღა განიკურნებოდა, თუ ახალშობილთა თბილი სისხლის აბაზანას მიიღებდა. მაგრამ სამსხვერპლოდ განწირულ ამ უდანაშაულო ჩვილთა

დედების სასოწარკვეთილი სახეების ხილვამ კონსტანტინე შესძრა, შეებრაღა ისინი და შემოთავაზებული სამკურნალო აბაზანის მიღებაზე უარი თქვა. კონსტანტინეს ამგვარი ნაბიჯი ზეციური ხილვით დაჯილდოვდა. მას ძილში მოციქულები პეტრე და პავლე გამოეცხადნენ და უბრძანეს, ეპისკოპოს სილვესტრისთვის ეხმო, რომელიც მას ღვთიურ, განმკურნებელ და გადამრჩენელ წყაროზე მიუთითებდა. დილით იმპერატორმა ბრძანა, მასთან სილვესტრი მიეყვანათ და, უპირველეს ყოვლისა, სურვილი გამოთქვა სილვესტრს მისთვის პეტრე და პავლე მოციქულთა ხატები ეჩვენებინა. ხატების ხილვაზე წამოიძახა: «ჭემმარიტად, ისინი არიან, რომლებიც სიზმრად გამოემეცხადნენ და მიბრძანეს, შენთვის მეხმო, სილვესტრ. ახლა მიჩვენე წყარო, რომელზეც მეუბნებოდნენ ისინი და რომლის მეშვეობითაც სულითა და სხეულით განვიკურნები». ეპისკოპოსმა დაუყოვნებლივ ბრძანა წყლიანი ემბაზი მოემზადებინათ და მეფე მონათლა. ნათლობის აღსრულების შემდგომ მეფე წმიდა ემბაზიდან სრულიად განკურნებული ამოვიდა, წყალში თევზის ქერცლივით დატოვა თავისი სხეულის ფუფხი. ამ სასწაულის ხილვაზე, სინკლიტმა და მთელმა ხალხმა წამოიძახეს: «მხოლოდ ქრისტიანთა ღმერთია დიადი და ძლიერი, ამიერიდან ჩვენ ყველას გვწამს იგი და მოვინათლებით, რადგან ახლა დიდი სასწაული ვიხილეთ». – ასე აღწერს ბერძენი მემატიანე გიორგი ამარტოლი კონსტანტინე დიდის განკურნებას⁴⁶⁹.

რუსულ მატიანეში ვლადიმირის დასნებოვნება და განკურნება სულ სხვანაირადაა აღწერილი: «უფლის განგებით იმხანად ძალიან დასნეულდა ვლადიმირი; ოდნავადაც ვერ ხედავდა, მეტად წუხდა, ვერ იგებდა, რა მოხდა მის თავს; ციური დედოფალი გამოეცხადა და უთხრა: თუ გსურს ამ სნეულებისაგან განიკურნო, მალე მოინათლე, ხოლო თუ არა, ამ სნეულებას თავს ვერ დააღწევ. ვლადიმირმა ეს რომ მოისმინა, უპასუხა: თუ ეს სიმართლე გამოდგა, მაშინ ჭემმარიტად დიადი ღმერთი ქრისტე იქნება»; და წარუძღვა მოსანათლად მას კორსუნელი ეპისკოპოსი წმ. დედოფლის სამღვდელოებასთან ერთად და გამოაცხადა ვლადიმირის ნათლობა; როგორც კი ხელი შეახო, ვლადიმირს თვალის ჩინი დაუბრუნდა». მან დაინახა თუ არა, როგორ განიკურნა, ადიდა ღმერთი და წარმოთქვა: «ჭემმარიტი ღმერთი ვიხილე პირველად». მისი ლაშქრიდან ამის მხილველი ბევრი მოინათლა»⁴⁷⁰.

ბ. სუხომლინოვის აზრით რუსი მთავრის ნათლობის აღწერისას რუსული მატიანის ავტორი დამოუკიდებელია; ვლადიმირთან დაკავშირებული გადმოცემის ლიტერატურულად დამუშავებისას თავისუფლად შეეძლო ესარგებლა ბერძნული მონათხრობით იმ გვირგვინოსნის შესახებ, რომელმაც თავისი ქვეყნისთვის გააკეთა იგივე, რაც ვლადიმირმა რუსული ქვეყნისთვის. როგორც ამ ორი გადმოცემის შედარებისას ვხედავთ, თვით ნათლობისკენ მოწოდება ბიზანტიელ და რუს ავტორთა მიერ ერთნაირად როდია შემოთავაზებული. ამარტოლის მოწმობით ხალხმა კონსტანტინეს სასწაულებრივი განკურნება რომ იხილა, წამოიძახა: «დიდია ღმერთი ქრისტიანეთა. ჩვენ ახლა ყველას გვწამს და გვინდა მონათვლა!..» რუსულ მატიანეში კი საქმე ამგვარად წარმოგვიდგება: «ვოლოდიმირმა მთელ ქალაქს აუწყა: «ვინც დილითვე მდინარეში არ მოინათლება, ეს იქნება მდიდარი თუ ღარიბი, გლახაკი თუ მუშაკი, ჩემს სიძულვილს დაიმსახურებს»... ამის გაგონებაზე ხალხი სიხარულით მიდიოდა,

ხარობდა და ამბობდა: «იგი კარგი რომ არ იყოს, მთავარი და ბოიარები არ მიიღებდნენ»⁴⁷¹.

«ერთ მეტად მნიშვნელოვან პუნქტში, – ამბობს პროფესორი ტერნოვსკი, – კერძოდ, წიგნების სიკეთეზე მსჯელობისას, ნესტორი არა მარტო არ მისდევს ამარტოლს, არამედ, პირდაპირ ეწინააღმდეგება. ამარტოლი, როგორც ორიგენესადმი მისი გამოხმაურებიდან ჩანს, კეთილად არ უყურებს წიგნიერ განსწავლულობას, ვითარცა სულიერი სიამაყის შთამნერგავს. ნესტორი ამარტოლის საწინააღმდეგოდ წიგნების შესაქებად სიტყვას არ იშურებს: «რომლის სიტყვების არსი არწყულებს სამყაროს, ამ არსიდან მომდინარეობს სიბრძნე, ვინაიდან წიგნებს უშრეტი სიღრმე აქვთ»...⁴⁷² რა თქმა უნდა, თვალსაზრისთა ამ სხვაობას, – ამბობს პროფესორი ტერნოვსკი, – განაპირობებდა სხვადასხვა მდგომარეობაც ბერძენი ამარტოლისა, რომელსაც მოყირჭებული ჰქონდა წიგნიერი განსწავლულობა და სლავი ნესტორისა, რომელიც ამ განსწავლულობას პროზელიტის მთელი სიხარბით ითვისებდა, ბერძენი ამარტოლისა, რომელსაც ხელი არა მარტო საეკლესიო-ქრისტიანულ ლიტერატურაზე მიუწვდებოდა, არამედ წარმართულსა და ერეტიკულზეც, და სლავი ნესტორისა, რომელიც მარტოოდენ ღვთაებრივი სწავლების გზის მაჩვენებელ წიგნებს იცნობდა. მაგრამ ეს განსხვავება რომ შეგეფასებინა და მომღვარს ასეთი მნიშვნელოვანი პუნქტის გამო დაპირისპირებოდი, საკმაო სულიერი სიმწიფე და თავისთავადობა უნდა გქონოდა»⁴⁷³.

აწ გარდაცვლილ პროფესორ ტერნოვსკის თვალსაზრისს სიამოვნებით დავეთანხმებოდით, თუ საფუძველი გვექნებოდა გვევარაუდა, რომ მემატიანე ისე განათლებული იყო, შეეძლო საკუთარი თვალსაზრისი გამოეთქვა მეტად საყურადღებო ფილოსოფიურ საკითხზე, სიბრძნის მნიშვნელობაზე. როგორც მთელ თავის მატიანეში, ისე ამ შემთხვევაშიც ჩანს, მემატიანემ ეს თვალსაზრისი ისესხა ქართული წერილობითი ძეგლებიდან, ან მათზე დაყრდნობით ჩამოაყალიბა. ეფრემ მცირე (XI ს.), დიდად განათლებული ცნობილი ქართველი მოღვაწე, მოციქულთა განმარტებების თავის მეცნიერულ შესავალში, სხვათა შორის, აღნიშნავს: «ბერძნული ენა (რომელშიც ქრისტიანი მწერლები საერთოდ ბერძნულ სიბრძნეს გულისხმობენ), ღრმაა, ვით უფსკრული...»⁴⁷⁴ ექვთიმე აგიორიტი, ათონის ივერთა მონასტრის წინამძღვარი, მათეს სახარების იოანე ოქროპირისეულ განმარტებათა თავისი თარგმანის დასასრულს, ბოლოსიტყვაობაში შენიშნავს: «...განძეული აურაცხელია, სავსე მადლითა და სულიერი საუნჯით, ცხოველმყოფელია წყაროები, რომლებითაც მორწმუნეთა სული დღითი-დღე ივსება და კეთილსათნოების ნაყოფი გამოაქვთ...»⁴⁷⁵ აქ ცხოველმყოფელი წყლის მდინარეებიცაა და განუსაზღვრელი სიღრმეც.

ასე და ამგვარად, დაწყებითი მატიანის შეჯერებამ გიორგი ამარტოლის ქრონოგრაფთან, განსაკუთრებით უმთავრესი მოვლენის, ამარტოლის აღწერით იმპერატორ კონსტანტინეს ნათლობისა და რუსული მატიანის მიხედვით დიდი მთავრის – ვლადიმირის ქრისტიანად მოქცევის შეჯერებამ, უტყუარად დაამტკიცა, რომ გიორგი ამარტოლის ქრონოგრაფი არ შეიძლებოდა «გარდასულ წელთა ამბის» ავტორის წყარო ყოფილიყო.

IV

ქართული მატთანე «ქართლის ცხოვრება», როგორც ყველაზე უმნიშვნელოვანესი პირველწყარო «გარდასულ წელთა ამბისათვის.» – გამოხმაურებები ქართული მატთანის შესახებ, მისი დიდი ავტორიტეტი და უტყუარობა. – რუსული ქრონიკების წარწერათა წარმოშობა. მიბაძვა ქართული მატთანის თხრობის გარეგნული ფორმისა. – პარალელიზმები მითითებულ ძეგლებში. – გვაროვნული წეს-წყობილების თეორია «ქართლის ცხოვრების» საფუძველზე. – რუსული მატთანის ზოგიერთი გაუგებარი და ბნელით მოცული ადგილის განმარტება. – ვლადიმირისა და რუსების ნათლისღების შინაარსისა და მირიანისა და ქართველი ხალხის ქრისტიანად მოქცევის თხრობათა იგივეობის შესახებ. – ქართული სამატთანო თხრობის გადაკეთება. – რუსული ქრონიკის პირველწყაროს საკითხის ლიკვიდაცია. – «გარდასულ წელთა ამბის» საერთო დასკვნა.

«გარდასულ წელთა ამბის» პირველწყარო უდავოდ იყო «ქართლის ცხოვრება», – ძველი ქართული მწერლობის ისტორიული ძეგლი, «რომელიც ქართველებმა ძალდაუტანებლად შექმნეს, სხვები კი ეფუძნებიან». რუსმა მემატთანემ მთელი ეპიზოდები ყოველგვარი ცვლილების გარეშე ისეთი წყაროდან ისესხა, რომლითაც ბოლო დრომდე არავინ დაინტერესებულა. აქამდე ეჭვი არავის ეპარებოდა, რომ რუს ისტორიკოსებს შეეძლოთ აგრერიგად დასესხებოდნენ ამჟამად ნაკლებად ცნობილ «ქართლის ცხოვრებას». ორივე ძეგლის თვით ზერელე შედარებისასაც კი ძალაუწიებურად იმისი ძლიერი რწმენა ჩნდება, რომ რუსული ქრონიკები ქართული მატთანის მაგალითზე, მისი უდიდესი ზეგავლენით, მისი უმდიდრესი მასალის საფუძველზეა დაწერილი. ისიც უეჭველია, რომ თვით რუსული მატთანის დაწერის იდეა ავტორს მისი უშუალო გავლენით დაეხდა. რაც შეეხება ვლადიმირის ნათლისღების გადმოცემას, იგი ქართული თხზულების, მირიანის მოქცევის ამკარა გადაკეთებაა, როგორც ამას ქვემოთ, ორივე თხზულების შედარებისას დავინახავთ.

ჩვენ აქ მცირე წიაღსვლას გავაკეთებთ, რათა მკითხველებს ქართული მატთანე – «ქართლის ცხოვრება» გავაცნოთ. ამ სახელით ცნობილი მატთანე ქართულ უმესანიშნავეს ლიტერატურულ ძეგლთა რიცხვს მიეკუთვნება. იგი სხვადასხვა ეპოქის ცალკეულ ქრონიკათა კრებული გახლავთ. აქ IV საუკუნის თხზულებებია შესული: ა. წმიდა ნინოს ცხოვრება⁴⁷⁶, ჩაწერილი დედოფალ სალომე უჯარმელისა და პეროჟავრა სივნიელის მიერ⁴⁷⁷; ბ. აზიათარ პირველმოდვრის გადმოცემა, როგორ გახდა იგი წმიდა და ნეტარი ნინოს მოწაფე⁴⁷⁸; გ. მისივე გადმოცემა უფლისა ჩვენისა იესო ქრისტეს კვართის შესახებ⁴⁷⁹; დ. წმიდა ნინოს მოწაფის, სიდონიას გადმოცემა: მირიანის სასწაულებრივი მოქცევის, ნინოსადმი თაყვანისცემის, ქრისტეს აღიარების, წმ. ჯვრების აღმართვის, ტაძრების დაარსებისა და მომხდარ სასწაულებზე⁴⁸⁰; ე. წმიდა ჯვრების აღმართვა⁴⁸¹; ვ. რომის პატრიარქისა და ფრანკთა (ბრანჯთა) მეფის წერილები მიმართული ნინოს, მეფისა და მთელი ქართლის ერისადმი⁴⁸²; ზ. ლეონტი მროველისა და იოანე დეკანოზის ქრონიკები⁴⁸³; თ. ჯუანშერ ჯუანშერიანის VIII საუკუნის;⁴⁸⁴ და ი.

არსენ კათოლიკოსის – X საუკუნის ქრონიკა; კ. სუმბატის ქრონოგრაფი – XI საუკუნე და სხვ.

«ქართლის ცხოვრების» ქართული ტექსტი ორ უზარმაზარ ფოლიანტადაა გამოცემული, რომელთაგან პირველი ტომი 1849 წელს აკად. მ. ბროსეს რედაქციით გამოვიდა, მოიცავს 484 გვერდს და 1469 წლამდეა მიყვანილი, ხოლო მეორე – პროფესორ დ. ი. ჩუბინაშვილის რედაქციით 1854 წელს (576 გვერდს + XXXIII) და 1800 წლამდეა მიყვანილი. ეს ანალები აწ განსვენებულ აკადემიკოს მ. ბროსეს მიერ ფრანგულ ენაზეა თარგმნილი, რომელმაც თავის თარგმანს მრავალრიცხოვანი და ვრცელი ისტორიულ-ფილოლოგიური შენიშვნა დაურთო. მთელი თხზულება სამ დიდ ტომად (ინ ფოლიო) შემდეგი სათაურით გამოვიდა: *Historie de la Georgie depuis l'antiquite jusgu'au... st. Petersbourg 1849_1857 წ.* ამას გარდა, 1851 წელს კიდევ დამატებითი ტომი გამოუშვა: *Additions et eclairciessements á l'histoire de la Georgie.* მ. ი. ბროსეს თარგმანი ყველგან ზუსტი ვერაა. წინასწარი აკვიატებული აზრით შეპყრობილი ზოგიერთი მწერალი, რომელმაც არც ქართული ენა იცის და არც ამ ენაზე არსებულ ძეგლებს იცნობს⁴⁸⁵, ცდილობდა დაემტკიცებინა, რომ ქართველები XII საუკუნემდე არც არსებობდნენ და «ქართლის ცხოვრება» სომეხი ბერის ან ვახტანგ V-ის(?) მიერ შეთხზული ამღვრეული წყაროა, და შესაბამისად, ისტორიულ მნიშვნელობას მოკლებულია. მაგრამ აკადემიკოსმა ბროსემ⁴⁸⁶, ქართველმა ისტორიკოსმა დ. ზ. ბაქრაძემ⁴⁸⁷, ქართული წერილობითი ძეგლების მკვლევარმა და ორიენტალისტმა, პროფესორმა ა. ს. ხახანაშვილმა⁴⁸⁸, ე. თაყაიშვილმა⁴⁸⁹, თ. დ. ჟორდანიამ⁴⁹⁰, მ. გ. ჯანაშვილმა⁴⁹¹ ცილისმწამებელთა ბეზღებები და მონაჩმახები საფუძვლიანად უკუაგდეს და სამამულო მატიანის რენომე აღადგინეს.

მას შემდეგ, რაც აღმოჩნდა: XII ს-ის სომხურად თარგმნილი «ქართლის ცხოვრება», რომელიც მ. ბროსემ გამოაქვეყნა სათაურით «*Chronique armenienne*», IX-X საუკუნეების ხელნაწერი ქართლის მოქცევის ძველი საეკლესიო მატიანისა, რომელსაც «მოქცევაჲ ქართლისაჲ», ეწოდება, ჩვენს მატიანეში მთლიანად შევიდა და მასში მის წყაროებს შორის იხსენიება⁴⁹²; ქართლის ცხოვრების ვახტანგის ვარიანტზე ადრინდელი მარიამ დედოფლისეული (1638_1645) «ქართლის ცხოვრება», რომელიც მოიცავს სუმბატის XI ს-ის⁴⁹³ სრულ ქრონოგრაფს. ყველასთვის ნათელი გახდა, რომ «ქართლის ცხოვრების» მატიანის მთავარი წყარო ამავე სახელწოდებითვე არსებობდა ჯერ კიდევ VI საუკუნეში. ბერაი, შემდგენელი IX-X სს შატბერდის პერგამენტული ენციკლოპედიისა, რომელშიაც სხვა ტრაქტატებს შორის მოთავსებულია ქრონიკა «მოქცევაჲ ქართლისაჲ», ამ ენციკლოპედიის ბოლოში შენიშნავს: «წიგნი იგი (ანუ ქრონიკა), გადამალული ჩვენს წინამორბედთა მიერ, როგორც საუნჯე, დიდი დროისა და წლების შემდეგ იპოვეს.⁴⁹⁴» მოყვანილი სიტყვები ეჭვს არ იწვევს, რომ ქრონიკა «მოქცევაჲ ქართლისაჲ» შატბერდის ენციკლოპედიის შედგენამდე დიდი ხნით ადრეა დაწერილი და ერთ-ერთი უძველესი ქართული საეკლესიო-ისტორიული ძეგლია. ეს თვალსაზრისი სავსებით დაამტკიცა არქიმანდრიტ ამბროსის მიერ ამას წინათ გამოაქვეყნებულმა ჭელიშის მონასტრის «მოქცევაჲ ქართლისაჲს» ახლად აღმოჩენილმა ნუსხამ, რომელშიაც შემონახულია ბერაის IX-X სს-ის ხელნაწერიდან მკრეხელის ხელით ამოგლეჯილი ცნობები. ამ ძვირფასი ცნობების მიხედვით

საქართველოს მოქცევის ისტორია VI საუკუნეში მთავარ გრიგოლს მის ხელთ არსებული ცნობების საფუძველზე შეუდგენია.

«ქართლის ცხოვრების» მთავარი ღირსება მისი სრული უტყუარობაა, რისი წყალობითაც საქართველოსა და მისი მეზობელი ქვეყნების ისტორიისათვის უძვირფასესი წყარო გახლავთ. ამ მატიანის ყველა თხზულება თავიდან ბოლომდე ისე ძლიერაა აღბეჭდილი დროის სულისკვეთებითა და გადმოცემულ ამბებთან უშუალო სიახლოვით, რომ მატიანე, მთლიანად წინარეისტორიული ეპოქის გამოკლებით, უდავოდ ამ მოვლენათა თანამედროვეა. მკითხველი აღწერილ ეპოქაში უნებლიეთ გადაინაცვლებს, ყველაფერი მის თვალწინ მიმდინარეობს და მოვლენათა უშუალო მოწმე თითქოს თვითონაც ხდება. მატიანის კილო მშვიდია და სრულიად მიუკერძოებელი. «თუმცა კანონი მეფეებზე ძვირის თქმას კრძალავს» (როგორც მოსე გვასწავლის, «შენი ხალხის მთავარზე ღვარძლით რომ არ ილაპარაკონ...»), მაგრამ ვინაიდან ეს წიგნი (მატიანე) კეთილისა და ბოროტის მქმნელთა მიმართაც მიუკერძოებელია, მასში აღწერილ დროშიც სიმართლის მარცვალი დევს და არა მიკერძოება»⁴⁹⁵, – ასე განსაზღვრავს მემატიანის მოვალეობას «ქართლის ცხოვრება». ამის გამო იგი საქართველოში უდიდესი ავტორიტეტით დამსახურებულად სარგებლობდა და დღესაც სარგებლობს. თუმცა, ზოგიერთი უმნიშვნელო ნაკლოვანების – შენიშვნებისა და ანაქრონიზმების გამო გაჩუმებაც არ ეგების⁴⁹⁶, რომელთა ახსნაც ადვილია, თუ მხედველობაში მივიღებთ თავისებურ ქართულ ქორონიკონს⁴⁹⁷, ძველად მატიანის გავრცელებას გადაწერით, გადამწერის უნებლიე შეცდომებს, ქართულ-საეკლესიო ნაწერთა არასწორ წაკითხვას და იმ დიდ თავისუფლებას, რომლითაც გადამწერები სარგებლობდნენ, როცა ზოგჯერ თავს უფლებას აძლევდნენ ძველი არქაული სიტყვები და სახელწოდებები ახლით შეეცვალათ და მატიანეში დამატებები, ზოგჯერ კი ახსნა-განმარტებებიც შეეტანათ. ამას გარდა, კიდევ ერთი გარემოება უნდა იყოს დასახელებული, რომელიც ზოგჯერ ქრონოლოგიური უზუსტობის უნებლიე მიზეზად იქცეოდა. საქმე ისაა, რომ აღმოსავლეთის ქართულ მონასტრებში მოღვაწე ჩვენი მთარგმნელები ადგილობრივ წელთაღრიცხვას იცავდნენ, და საქართველოში ამ მთარგმნეთა გავრცელების შედეგად დამკვიდრდა შემდეგი წელთაღრიცხვები: ალექსანდრიული (5508 წ. სამყაროს შექმნიდან) და კონსტანტინოპოლისა, (5500 წ. სამყაროს შექმნიდან), რომლებიც ჩვენი ძველი მწერლობის ძეგლებში აისახნენ. ქართული მატიანე, «ქართლის ცხოვრება» ეკლესიის კანონიკური წიგნი არაა, რომ უნაკლო გამოსულიყო, მაგრამ ხარვეზი გაცილებით ნაკლები აქვს, ვიდრე ნებისმიერი ხალხის მატიანეს, ამას გარდა, თავისი მდიდარი შინაარსითა და იშვიათი თვისებებით გამოირჩევა.

ვიდრე ჩვენი მატიანის რუსულთან შეჯერებას შევუდგებოდეთ, საჭიროდ მიგვაჩნია, ქართულ მატიანეთა ნუსხების შესახებ ნარკვევის სრულად წარმოჩენის მიზნით, დავასახელოთ გიორგი მთაწმიდელის ერთი უძველესი მატიანე, რომელიც ათონზე ივერთა მონასტერში იყო, და, მამასადაძმე, «გარდასულ წელთა ამბის» ავტორს ხელთ უნდა ჰქონოდა. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, გიორგი მთაწმიდელი ქრისტიანულ აღმოსავლეთსა და თავის სამშობლო – ივერიაში – ეკლესიის უდიდეს ლამპრად მიაჩნდათ. ამ სახელმძღვანელო მოღვაწემ თავის მრავალრიცხოვან ნაშრომებთან ერთად სამშობლოს უძველესი ქართული ქრონიკების საფუძველზე შედგენილი ქართული სამატიანო თხზულებაც

დაუტოვა. ამ მატთანეს ბატონიშვილი თეიმურაზი, რომელიც აკადემიკოს მ. ბროსეს თავის მასწავლებლად მიაჩნდა⁴⁹⁸, მის ხელთ არსებულ წყაროთა შორის მოიხსენიებს. მატთანეს ასეთი სათაური ჰქონდა: «უძველეს წინაპართა მიერ შედგენილი შორეული წარსულის ამბები», რომელიც გიორგი მთაწმიდელმა, სხვათა შორის, ანტიოქიის წმ. სვიმეონ მესვეტის (521_596) მონასტერში, სადაც მრავალი ქართველი განდევილი მოღვაწეობდა, ნანახი უძველესი ქართული ქრონიკის საფუძველზე შეადგინა. ამავე მონასტერში სამი წლის განმავლობაში იღვწოდა თვით ბერი გიორგი მთაწმიდელი (1041_1044), აქვე იგი ქართველმა ეპისკოპოსმა გიორგი დაყუდებულმა სქიმეთი შემოსა. ამ დროს განეკუთვნება ხსენებული ძეგლის შედგენაც, რომლის ამონარიდებითაც სარგებლობდა ბატონიშვილი თეიმურაზი თავისი ძველი ქართული ისტორიის წერისას⁴⁹⁹, საკვირველი მთის წმ. სვიმეონ მესვეტის მონასტერში უძველესი ქართული მატთანის არსებობის შესახებ გიორგი მთაწმიდელის სიტყვები უახლოესი გამოკვლევებით სავსებით დადასტურდა. სინის მონასტრის X საუკუნის ფრაგმენტზე მონასტრის უძველესი ბიბლიოთეკის კატალოგი აღმოჩნდა და წიგნებს შორის ისტორიული თხზულება – «მოქცევაჲ ქართლისაჲც» არის მოხსენიებული⁵⁰⁰. გიორგი მთაწმიდელის მატთანის ამონარიდები სად ინახება, ჯერჯერობით უცნობია, მაგრამ მათი არსებობის შესახებ მოსკოვში ქართული სამეფო გვარის შთამომავალთათვის ცნობილია და XIX საუკუნის პირველ ნახევარშია ნახსენები.

რუსული მატთანისა და «ქართლის ცხოვრების» შეჯერების დაწყებამდე, საჭიროდ მიგვაჩნია დავსძინოთ, რომ რუსული მატთანის თვითმყოფადობისა და მასში ბიზანტიური ელემენტების ფართოდ არსებობის შესახებ დამკვიდრებული თვალსაზრისის საწინააღმდეგოდ ახალი, უცნობი არგუმენტებით გალაშქრება იოლი საქმე როდია. ეს სიძნელე იმ გარემოებითაცაა განპირობებული, რომ ანგარიში უნდა გაუწიო მატთანეზე შექმნილ აზრს, რომელიც საკმაოდ ძველია და ავტორიტეტული. ამიტომ მატთანის წინააღმდეგ ყოველი თამამი გამოსვლა სამამულო სიწმინდის ხელყოფად მიაჩნიათ, საერთოდაც, არცთუ ადვილია ცრურწმენებისაგან გათავისუფლდე, არ იფიქრო ისე, როგორც სხვებმა და თავი აიძულო სხვანაირად იაზროვნო.

შევუდგეთ «ქართლის ცხოვრებისა» და რუსული მატთანის შეჯერებას. თავდაპირველ რუსულ მატთანეს სათაურად შემდეგი წარწერა აქვს: «ესე ამბები გარდასულ წელთა, საიდან წარმოიქმნა რუსეთის ქვეყანა, ვინ იყვნენ პირველი მთავრები კიევში და როდიდან არსებობს რუსეთის ქვეყანა»⁵⁰¹. ეს ლამაზი სათაური უმნიშვნელო ცვლილებებით ისესხა რუსმა ყოფა-ცხოვრების აღმწერმა სუმბატის (XII ს.) ქართული ქრონოგრაფიდან, რომელიც ასე იწყება: «ცხოვრება და უწყება ბაგრატიონიანთა ჩუენ ქართუელთა მეფეთასა და სადათ მოიწივნეს ამას ქუეყანასა იგინი, ანუ რომლით ჟამითგან უპყრიეს მათ მეფობა ქართლისა»⁵⁰². სუმბატის ქრონოგრაფი, რომელზედაც ჩვენ ზემოთ ვსაუბრობდით, დედოფალ მარიამის სამატთანო ვარიანტში ცალკეა მოთავსებული.

ისტორიკოს სუმბატის მიზანი იყო, დაეწერა ნამდვილი ამბავი ბაგრატიონთა ქართული სამეფო დინასტიის შესახებ: საიდან მოვიდნენ ისინი საქართველოში და როდის დაეუფლნენ ქართლის სამეფო ტახტს, რაც თავის ქრონოგრაფში ადასრულა კიდევაც; ამიტომ ჩვენ მიერ ზემოთ მოყვანილი მისი ქრონოგრაფის სათაური

სავსებით შეესატყვისება თვით შინაარსს. რუსმა მემატანემ კი სუმბატის ქართული ქრონოგრაფიდან აიღო სათაური და თავისი მატანის დასაწყისში მოათავსა, როგორც საერთო სათაური მაშინ, როცა იგი შესაძლოა მხოლოდ რუსეთის ყველაზე უადრეს პერიოდს მიეკუთვნოს, სადაც მოთხრობილია წარღვნის შემდგომ ნოეს შთამომავალთა განსახლებაზე, სლავი ტომების წარმოშობასა და განსახლებაზე, სლავების რუსულ ტომებად დაყოფაზე, მათ თავდაპირველ ყოფა-ცხოვრებასა და რუსეთში ვარიაგ მთავართა დამკვიდრებაზე და არა მთელ მატანეს, რომელიც რუსეთის შემდეგდროინდელ, IX-XII საუკუნეთა ამბებს აშუქებს.

სათაურის შემდეგ «ქართლის ცხოვრებაში» თხრობა ამ სიტყვებით იწყება: «პირველად ვახსენოთ ესე»⁵⁰³. რუსულ მატანეშიც ახალი სტრიქონის შემდეგ ვკითხულობთ: «ამ ამბავს დავიწყებთ ასე»⁵⁰⁴. რუსი ჟამთააღმწერელი ქართული მატანის გეგმას მისდევს და მორჩილად ბამავს მის კილოს, მისი თხრობის გარეგნულ ტექნიკას. როცა თხრობა მთავარ აზრს გადაუხვევს, მაშინ ქართლის ცხოვრება ჩართული განმარტებითი ეპიზოდებით გაწყვეტილი საუბრის კავშირის აღსადგენად და გასაგრძელებლად ჩვეულებრივ იყენებს ასეთ დამახასიათებელ სტერეოტიპულ ფრაზას: «ხოლო აქედგან ვიწყოთ და წარმოვთქუათ»⁵⁰⁵. რუსმა მემატანემაც წერის იგივე მანერა გადაიღო და კავშირის აღდგენის მიზნით ხშირად ასეთ ფრაზებს იყენებს: «მაგრამ ჩვენ პირველსავეს ვუბრუნდებით», «ჩვენ თავდაპირველს ვუბრუნდებით»⁵⁰⁶. ქართველი ჟამთააღმწერლები, როგორც მოვლენათა თანამედროვე აღმწერები, ასეთ ფრაზას იყენებენ ხოლმე: «დღევანდელ დღემდე»⁵⁰⁷. რუსი მემატანეც იმასვე იმეორებს: «დღევანდელ დღემდე», «დღევანდლამდე»⁵⁰⁸.

ქართულ მატანეში პირველსავე გვერდზე ნათქვამია, რომ ქართველთა მამამთავარია ნოეს შვილის – იაფეტის – შვილიშვილი. აქვე მოთხრობილია ქართველთა განსახლებაზე. ზუსტად ასევე იქცევა რუსი მემატანეც, რომელიც რუსთა მამამთავარს იაფეტიდებს აკუთვნებს და თავშივე მოგვითხრობს რუსთა განსახლების შესახებ. «რუსული მატანის ეს ფურცლები (ანუ ქართულის. ე. კ.), – ამბობს აკადემიკოსი ი. ი. სრეზნევსკი, – ე. წ. შუა საუკუნეთა მატანეებში უმესანიშნავეს, კლასიკურ მონაკვეთებს მიეკუთვნება. შეუძლებელია არ გაგაოცოს მემატანის ცნობების საერთო სისწორემ, მნიშვნელოვან ცნობათა შერჩევისა და თხრობის ხასიათის დაურღვევლად მათი გამოყენების უნარმა»⁵⁰⁹. «ქართლის ცხოვრება» ტომების განსახლებას სამხრეთიდან იწყებს, რუსული თავდაპირველი მატანეც ასევე იქცევა.

რუსულ თავდაპირველ მატანეში ქართულ ან ქართული ფორმით ხმარებულ შემდეგ დასახელებებს ვხვდებით: კარია⁵¹⁰; სარდანი⁵¹¹; თავრიანი, თავრალნი⁵¹² (მრ. რიცხვის ქართული დაბოლოება) და სხვ. აქ აუცილებელია შევნიშნოთ, რომ დაბოლოება ანი ქართულია. პროფესორმა ი. ი. მალიშევსკიმ ნესტორ მემატანის სახელობის კიევის საისტორიო საზოგადოებას აცნობა, რომ «ან-ით დასრულებული ქალაქების სახელები ტამანიდან ყაზანამდე, კავკასიურია»⁵¹³, უფრო სწორად, ქართულია. შემდგომ, სახელწოდება «კავკასისისკია», კავკასიისკია»⁵¹⁴ არის ქართული ფორმა სიტყვისა – კავკასიისა, რომელიც ადგილის ქართულ დაბოლოება ისა-ს შეიცავს, მაგრამ მიმატებული აქვს ადგილის

რუსული დაბოლოება – სკია⁵¹⁵, ასური – ქართული ფორმა⁵¹⁶, აღაიანსკიც.⁵¹⁷ ქართლში აღაიანის სახელით სოფელი ახლაც არსებობს.

«ქართლის ცხოვრება» გადმოგვცემს, რომ სახარების საქადაგებლად ზემო ქართლისაკენ მიმავალმა ანდრია მოციქულმა რკინის ჯვრის მთა გადავლო; ამას ქართველი მემატთანე დასძენს: «არის თქმულება, რომ ის ჯვარი თვით ნეტარი ანდრიას მიერაა აღმართული»⁵¹⁸. ქართლის ცხოვრებიდან ნასესხები იგივე თქმულება რუსულ მატთანეშიც მეორდება, მაგრამ ამჯერად უფრო დადებითი ფორმით: «იმ მთებზე რომ ავედი, ვაკურთხე, ჯვარი აღმართე»⁵¹⁹ რუსულ მატთანეში ქალაქი სინოპი ორნაირი ტრანსკრიპციით გვხვდება: სინოპი და სინოფი⁵²⁰. ამ სახელწოდების დაწერილობაში ამგვარი სხვაობა მარტივად აიხსნება: ქართულად sinophi – არის სინოფი, ქართული ბგერა «ფ» ჩვეულებრივ π-თი და φ-თი გამოისახება, ამის გამო რუსი მემატთანე თავის ცნობებს ქართლის ცხოვრებიდან რომ იღებს, Синопи-სა და Синофи-ს დაუდევრად იყენებს.

«ქართლის ცხოვრება» ქართველთა წინაპრების განსახლების შესახებ მოგვითხრობს, რომ ბაბილონის გოდოლის შენებისა და ენათა აღრევის შემდეგ, ქართველთა მამამთავარი, თარგამოსი თავისი საგვარეულოთი ჩრდილოეთის ქვეყნებისკენ გაემართა და არარატიდან მასისამდე მიუდგომელი ადგილები დაიკავა. თარგამოსის ვაჟიშვილთაგან: ქართლოსი დასახლდა მთაზე, რომლის სახელისგან წარმოსდგა სახელწოდება – ქართლი; ბარდოსმა აღაშენა ქალაქი ბარდავი, მოვაკანმა – მოვაკნეთი, ჰეროსმა – ჰერეთი, ეგროსმა – ეგრისი... ქართლოსის ვაჟიშვილმა – მცხეთოსმა აღაშენა მცხეთა, მცხეთოსის ვაჟიშვილებმა: უფლოსმა – უფლისციხე, ოძრხოსმა – ოძრხე⁵²¹. მამასადამე, საქართველოს ქალაქებისა და პროვინციების ტოპონიმურ სახელწოდებებს «ქართლის ცხოვრება» ქართლის მამამთავრის და გმირთა ეპონიმებისგან ქმნის. «გარდასულ წელთა ამბის» ავტორიც ასევე იქცევა. რუსი მემატთანე ქართველის მსგავსად გადმოგვცემს, რომ ბაბილონის გოდოლის შენებისა და ენათა აღრევის შემდეგ «სლოვენები დუნაიზე დიდი დროით დამკვიდრდნენ...». ისინი მომრავლდნენ და იმ მიწას, სადაც დასახლდნენ, თავიანთი სახელი უწოდეს; რადგან აქ მოსულები მორავებად იწოდებოდნენ, მიწასაც მორავა ეწოდა... ხოლო სხვა დრევილიანები ტყეებში შევიდნენ... სხვები დვინაზე. მათ მდინარე პოლოტას გამო, რომელიც დვინას უერთდება, პოლოჩანები ეწოდათ... ამის შემდეგ ყველა თავიანთ ადგილებზე, თავიანთ საგვარეულოებთან ერთად ცხოვრობდნენ, ყველა თავ-თავის გვარს განაგებდა... იყო სამი ძმა, ერთს კიი ერქვა, მეორეს შეკი, ხოლო მესამეს ხორივი... მთა, რომელზეც კიი დასახლდა, ამჟამად ბორიჩევად იწოდება, შეკი რომ დადგა, იმ მთას შეკოშიცა ჰქვია, ხოლო მესამე მთას, სადაც ხორივი იყო, ხოროვიცა ეწოდა; და აღაშენა ქალაქი თავისი უფროსი ძმის სახელზე, და მას სახელად კიევი დაარქვა»⁵²².

ქართული მატთანე მოგვითხრობს, რომ სპარსეთიდან გაძევებული თურანელები საქართველოს საზღვრებთან მოვიდნენ და ხელისუფლისა და ერის ნებართვით ქართულ მიწაზე დასახლდნენ⁵²³. საქართველოში ასევე დასახლდნენ იერუსალიმის დარბევის გამო ქვეყნიერებაზე მიმოფანტული ებრაელები, სირიელები, ბერძნები და ხაზარები ნებართვის მიღების შემდეგ⁵²⁴. რუსი

მემატიანეც, ქართველი მემატიანის მიზამდით, სლავებს შორის სკვითების, ხაზარების, უგრებისა და პაჭანიგების დასახლების შესახებ მოგვითხრობს⁵²⁵.

«ქართლის ცხოვრება» მიწის განაწილებასთან დაკავშირებით გარკვეულ სისტემას იცავს: თავიდან ლაპარაკობს თარგამოსის რვა დევგმირ შვილს შორის მიწის საერთო დანაწილებასა და მათ გადასახლებაზე⁵²⁶, ხოლო შემდგომ მათ შვილებს შორის ქართლის მამულების განაწილებაზე⁵²⁷. თავდაპირველი მატიანის ავტორსაც ამის მსგავსი რაღაცის აღნიშვნა სურდა და სლავთა სამ ადგილას განსახლების შესახებ მოგვითხრობს, მაგრამ ყოველ ნაბიჯზე ურთიერთსაწინააღმდეგო ცნობები მოაქვს. მართალია, ისტორიკოს ს. მ. სოლოვიოვს მიაჩნია, რომ ეს ჩამონათვალები აღმოსავლეთ ევროპის დაბლობზე⁵²⁸ სლავების თანდათანობითი განსახლების შესახებ უზუსტესია⁵²⁹, რომ ისინი ერთმანეთს ავსებენ, ერთმანეთს განმარტავენ და წესრიგს ამყარებენ, მაგრამ მატიანე მას ამგვარი ვარაუდისათვის არავითარ საფუძველს არ აძლევს. ეს ჩამონათვალები აშკარად ეწინააღმდეგებიან ერთმანეთს. ამასთან, უადგილო განმარტებებით შეწყვეტილია ვარიაგებიდან ბერძნებამდე არსებული საწყლოსნო გზის და ანდრია პირველწოდებულის⁵³⁰ მიმოსვლის შესახებ თავდაპირველი მატიანის მეხუთე გვერდზე დაწყებული თხრობა სლავთა განსახლების შესახებ. ამით აიხსნება ხშირი განმეორება ფრაზისა: «პოლიანებს კი, მცხოვრებთ ცალკე...»⁵³¹

«ქართლის ცხოვრება» (რუმინანცევის მუზეუმის ვარიანტი) ქართველთა შორის გადასახლებათა ახალი ტალღის შესახებ რომ გვამცნობს, გვეუბნება: «ქართლოსიანთა ენა აქამომდე იყო მხოლოდ ქართული, რომელზედაც ისინი მეტყველებდნენ; როცა ეს უამრავი ტომი ქართლში მოვიდა, მაშინ ქართლოსიანებმა თავიანთი ენა შეცვალეს (ანუ გამდიდრდა) და ყველა ამ ტომისაგან კაზმული ენა გამომუშავდა. «დაწყებითი მატიანე დუნაისპირეთის სლავებთან: სკვითების, ხაზარების, ბულგარელების, ბელოუგრებისა და პაჭანიგთა⁵³² მოსვლისა და დასახლების შესახებ თხრობისას, სლავი ტომების ერთიანობის ფაქტსაც ასევე დაჟინებით ამტკიცებს: «და ასე გაერთიანდა სლავური ენა, იმთავითვე წიგნიერებასაც ეწოდა სლავური... აქედან რუსეთში მხოლოდ სლავური ენაა»⁵³³.

ჩვენ ზემოთ მოვიყვანეთ ქართული მატიანის _ «ქართლის ცხოვრების» მოწმობა ჩვენს წინაპართა გვაროვნული წყობის შესახებ, რაც მათ შორის ჯერ კიდევ წინარექრისტიანულ ეპოქაში ბატონობდა. მატიანის სიტყვებით ქართველები წარღვნის შემდგომ ტომებად განსახლებისას, ცალკეულ გვაროვნულ კავშირებად დასახლდნენ და გვარს უხუცესები მართავდნენ, რასაც ადასტურებს სტრაბონიც, რომელიც ამტკიცებს, რომ იბერები გვარებად იყოფიან, «ქონება ეკუთვნის ყოველ გვარს, რომელსაც მბრძანებლობს და მართავს უხუცესი.» შემდეგ გვარი ოჯახებად დაიშალა, რომლის სათავეში დადგა მამასახლისი _ სახლის მამა⁵³⁴. «ქართველი ხალხის სოციალური დაყოფის ძირითადი ერთეული, _ ამბობს პროფესორი ივ. ჯავახიშვილი _ იყო გვარი»⁵³⁵. ეკონომიკურ ნიადაგზე წარმოქმნილი ასოციაციები, როგორც გვაროვნულ საწყისთა ნიშნები, საქართველოში დღესაც არსებობენ: ხანულობა, გუთანი; ქართველ მთიელთა ერთი გვარის მატარებელ ოჯახებს ერთმანეთს შორის ქორწინებით დანათესავების უფლება არა აქვთ და

სხვ... საქართველოს ისტორიაში ამ საკითხის დადგენის შემდგომ განვიხილოთ, რამდენად საფუძვლიანია ვარაუდი გვაროვნული წყობის არსებობისა ძველი რუსეთის ყოფაში.

რუსეთის გვაროვნული წყობის შესახებ პირველად ისტორიულ-იურიდიული სკოლის წარმომადგენელმა, დერპტის უნივერსიტეტის პროფესორმა – გუსტავ ევერსმა (1781_1830) წამოიწყო საუბარი. ამიტომაც იგი გვაროვნული ყოფა-ცხოვრების თეორიის ფუძემდებლადაა მიჩნეული. ევერსმა 1826 წელს გამოსცა თხზულება სათაურით: «Das älteste Recht der Russen», რომელშიც ცდილობდა, რუსეთის გვაროვნული ყოფა-ცხოვრების მეცნიერული თეორია დაეფუძნებინა და აღნიშნავდა, რომ სლავებს (პოლიანებს) საერთო საკუთრება ჰქონდათ, რისთვისაც იმოწმებდა მატიანეს: «ცხოვრობდნენ გვარებად», «აღსდგა გვარი გვარზე» და ა. შ. ეს ადგილები გვაროვნული ყოფა-ცხოვრების მქადაგებელთათვის ქვაკუთხედად იქცა.

მაგრამ მატიანეში გვარი ფართო გაგებით, თემის მნიშვნელობითაც იხმარება: «ცალკე კი ველად ვცხოვრობთ და ჩვენს გვარსაც განვაგებთ... ვცხოვრობთ ყველანი ჩვენ ჩვენი გვარით... ყოველი ჩვენგანი ჩვენს გვარს განვაგებთ, ⁵³⁶ – ოჯახისა და დინასტიისას», «და ამ ძმებს (კის, შეკსა და ხორივს) თავიანთი გამგებლობის მიხედვით გვარი ჰყავდათ ცალკე... სულ სამი ძმა იყო, თქვეს კიეველებმა.. მოვდრეკთ, და ჩვენ მათი კოზარის მიერ გადახდილ ხარკს შეეჭამთ»⁵³⁷. «და მას (რიურიკს) ორი კაცი ჰყავდა არა თავისი გვარისა, მაგრამ ბოიარი»⁵³⁸. – 6390 (882) წლის ჩანაწერებში ვკითხულობთ: «თქვენ მთავრები არა ხართ, – უთხრა ოლეგმა ასკოლდსა და დირს, არც მთავრის გვარისა, მაგრამ მე ვარ მთავრის გვარისაგან და იგორიც რიურიკთა შთამომავალია»⁵³⁹. მემატიანე მოყვანილი სიტყვებით გვარსა და ტომს აიგივებს და ოლეგიც თავისი უფლებამოსილების დასადასტურებლად რიურიკებთან თავის ნათესაურ კავშირზე მიუთითებს. გვარი ასევე ნათესავის, თვისტომის თვალსაზრისითაა გამოყენებული: «სამი ძმა თავისი გვარებით აირჩიეს და მთელ რუსეთში წავიდნენ... მე ვარ სტუმარი, – უთხრა ოლეგმა კიეველ მთავრებს, საკუთარი განზრახვა კი არ გაუმხელია, – საბერძნეთში მივდივარ, მთავრის შვილების, ოლეგისა და იგორისაგან; და თქვენი გვარით ჩვენთან მოხვალთ»⁵⁴⁰. (ხალხები და წარმომავლობა: «გვარი თვისი უწყებული და ყოვლისმადიებელი») ⁵⁴¹.

მემატიანე თითქოსდა პოლიანებთან არსებულ გვაროვნულ წყობაზე საუბრობს მაშინ, როცა უკრაინელთა (პოლიანების) ცხოვრებაში არაფერი ისეთი არ დარჩა, რაც მათ შორის გვარის დამწყებ წინაპართა არსებობას გაგვახსენებდა. ბ. ჩუბინსკის მოწმობით: «თანამედროვე უკრაინელთა ყოფაში პიროვნების იდეა ცხოვრების ყოველგვარ გამოვლინებაში ცნაურდება. ოჯახის დაყოფა და ყოველი ვაჟიშვილის მისწრაფება, დაქორწინების შემდგომ გამოეყოს მამას, ეკონომიკურ ასოციაციათა მიმართ სიძულვილი, ერთი სიტყვით, პიროვნების იდეის უკიდურესი განვითარებაა...»⁵⁴² ყველაფერი ეს ნათლად გვიჩვენებს, რომ მათ ცხოვრებაში გვაროვნული წყობა არ ყოფილა. რუსეთში გვაროვნულ წყობას რომ ეარსება, მაშინ მასთან განუწყვეტლად დაკავშირებული წინაპართა თაყვანისცემის კულტიც იარსებებდა. მაგრამ ჩვენ ამას თავდაპირველ მატიანეში ვერ ვხედავთ. გვაროვნული წყობა თავის გამართლებას რუსულ მატიანეშიც ვერ პოულობს.

უძველესი რუსული სამართლის ძეგლის საფუძველზე: «თუ გლეხი უშვილოდ მოკვდა, ქონება თავადს უბრუნდება...»⁵⁴³ «გლეხი თუ მოკვდება, ქონება თავადს უბრუნდება», ან, როგორც «რუსსკაია პრავდა» მიუთითებს, გლეხის სიკვდილის შემდეგ მემკვიდრეობა თავადს გადაეცემა და არა გვარს («დაბრუნების შესახებ» სინოდური ნუსხის მიხედვით)⁵⁴⁴ – ასეთი დებულებები არ იარსებებდა, რუსეთში რომ გვაროვნული წყობა ყოფილიყო. მემატიაანის სიტყვების გასამართლებლად ისტორიკოსი სოლოვიოვი ვარაუდობს, თითქოს გვაროვნული წყობა მხოლოდ IX საუკუნის შუა ხანებამდე არსებობდა⁵⁴⁵. ანდრია ბოგოლიუბსკისა და მისი მემკვიდრეების დროს არსებული ვითარება არ შეიძლებოდა ყოფილიყო გვაროვნული წყობის შედეგი. ამ წინააღმდეგობათა შესათანხმებლად შეითხზა ჰიპოთეზა ძველ და ახალ ქალაქებზე, თუმცა ამ ჰიპოთეზამაც ნაკლებად უშველა მითითებულ სოციალურ ცვლილებათა გამორკვევას. ამგვარად, გვაროვნული წყობის ხელოვნურად განვითარებული თეორია სოლოვიოვისა, კაველინისა (კაველინი მასში რუსული ისტორიის სწორად გაგების გასაღებს პოულობდა) და სხვებისა, ხუხულა აღმოჩნდა. იგი მატიაანისადმი ზედმეტი ნდობის არამყარ ფუნდამენტზეა დაშენებული, მატიაანისა, რომელმაც ეს ცნობები «ქართლის ცხოვრების» საფუძველზე შეთხზა.

ქართლის ცხოვრების მიზამვით, რომელშიაც მცხეთა ქართული ქალაქების დედად იწოდება⁵⁴⁶, რუსმა მემატიაანემ ოლეგის პირით კიევეს ასევე რუსული ქალაქების დედა უწოდა⁵⁴⁷.

«ქართლის ცხოვრება» თარგამოსის რვა გმირი ვაჟიშვილის ამბის დამთავრების შემდეგ მოგვითხრობს: «ხოლო აქედან ვიწყოთ და წარმოვთქუათ ამბავი ქართლისა და ნათესავისა მათისა, და ცხოვრება მათი ვიდრე დღეთა ჩუენთამდე»⁵⁴⁸. რუსი მემატიაანეც თავისი მატიაანის ისტორიულ ნაწილზე გადასვლისას ამოსავალ პუნქტად იმპერატორ მიხეილ III-ის (852_867) მეფობის დასაწყისს იღებს, რომლის დროსაც რუსეთის სახელი პირველად შეიტყო. ქართული მატიაანის მსგავსად იგი დაპირებას იძლევა, რუსეთზე ისტორიული თხრობა ამ ეპოქიდან დაიწყოს: «მით უფრო აქედან დავიწყებთ... და ვიტყვი, რომ ამა და ამ წელს იყო»⁵⁴⁹.

«ქართლის ცხოვრება» ადასტურებს, რომ არარატიდან მასისამდე თარგამოსისა და მისი გვარის განსახლებისას მათ ბევრი ცოლი, ვაჟიშვილი, ქალიშვილი, შვილიშვილი ჰყავდათ.⁵⁵⁰ რუსი ჟამთააღმწერელიც როდიმის, ვიატკასა და ჩრდილოელთა ჩამომავლებზე და მათ ზნე-ჩვეულებებზე საუბრისას ასევე იუწყება, რომ მათ «ორ-ორი და სამ-სამი ცოლი ჰყავდათ»⁵⁵¹.

ალექსანდრე მაკედონელის საქართველოზე თავდასხმის შესახებ საუბრისას «ქართლის ცხოვრება» მოგვითხრობს: «და პოვნა ყოველნი ქართველნი უბოროტეს ყოველთა ნათესავთა სჯულითა, რამეთუ ცოლ-ქმრობისა და სიძვისათვის არა უჩნდა ნათესაობა, ყოველსა სულიერსა ჭამდეს, მკუდარსა შესჭამდეს, ვითარცა მხეცნი და პირუტყუნი, რომელთა ქცევისა წარმოთქმა უხმ არს»⁵⁵². რუსი მემატიაანეც თანამემამულეთა ზნეს თითქმის ასევე ახასიათებს: «მხეცებივით ცხოვრობდნენ, იქცეოდნენ, ვითარცა პირუტყვები: ხოცავდნენ ერთმანეთს, ყოველგვარი უწმინდურობით იკვებებოდნენ და ქორწინება მათ შორის არ იყო, თუმცა ქალიშვილებს ძალდატანებით იტაცებდნენ»⁵⁵³. შემდეგ ყივჩაღებზე

აღნიშნავს: «მკვდრების მჭამელნიო»⁵⁵⁴. ჩვენ მიერ ხაზგასმული სიტყვები 1074 წლის ქართული აღაპებიანი პერგამენტული მანუსკრიპტიდანაა ნასესხები, რომელზეც ზემოთ აღვნიშნავდით, როცა ბულგარელთა შორის წმ. გიორგი მთაწმიდელის მოციქულებრივი მოღვაწეობის შესახებ გვქონდა საუბარი!

«ქართლის ცხოვრების» დასაწყისში ქრონოლოგიური ნიშნის გარეშე უწყვეტი თხრობაა. რუსული მატიანის ავტორიც ზუსტად ასევე იქცევა. «ქართლის ცხოვრებაში» (სუმბატის ქრონოგრაფში) ქრონოგრაფიული მითითებები 826 წლიდან ჩნდება⁵⁵⁵, ხოლო რუსულ მატიანეში – დაახლოებით ამავე დროს, კერძოდ 852 წლიდან⁵⁵⁶.

ქართულ მატიანეში სამყაროს შექმნიდან წლის მაჩვენებლის გვერდით ქართული ქორონიკონიც აღინიშნება («ინდიქტიონი»), რომელიც 532 წლისაგან შედგება (19X28). რუსული მატიანის ავტორიც ამგვარადვე იქცევა⁵⁵⁷. «ქართლის ცხოვრებაში», როგორც მეფე მირიანის მოქცევის ისტორიიდან ჩანს, წელი მარტიდან იწყებოდა. მირიანის ქრისტიანად მოქცევის თხზულებაში ნათქვამია: «...მარტიდან მეოთხე თვეს, რომელიც არს ივნისი⁵⁵⁸, «იყო მარტიდან თვე მეექვსე, აგვისტო»⁵⁵⁹. ასევე რუსულ დაწყებით მატიანეშიც, რომელშიაც წელი ასევე მარტის თვიდან იწყება. მარტის წელი რუსეთში XIV საუკუნის დასასრულს გააუქმეს⁵⁶⁰ და ამის შემდეგ სამყაროს შექმნის წელთა აღნუსხვა პირველი სექტემბრიდან, სვიმეონის დღეს დაიწყეს.

«ქართლის ცხოვრების» ქრონოლოგიურ თარიღებთან დაკავშირებით აღვნიშნავთ მის შემდეგ დამახასიათებელ თავისებურებებს: გამოჩენილ გვირგვინოსანთა გარდაცვალებისა და ტახტზე ასვლის თარიღების მითითების გარდა, ზოგჯერ გამოითვლება გამორჩეულ მეფობის ხანათა შორის განვლილი დროც, რაც მეფეთა და მცხეთის მღვდელმთავართა რაოდენობის აღნიშვნით ხდება. «მირიან მეფიდან, – ამბობს «ქართლის ცხოვრება», – ვახტანგ მეფემდე (I) იყო 10 თაობა, გარდაიცვალა 8 მეფე და 157* წელი გავიდა; განდგომილთა გარდა, ჭემმარიტი ეპისკოპოსი 8 იყო...» «მირიანის მეფობიდან ფარსმან მეორემდე 200 წელი გავიდა და 14 მეფე გარდაიცვალა; და ვახტანგის დროს ექვსი კათალიკოსი გარდაიცვალა»⁵⁶¹.

«გარდასულ წელთა ამბის» ავტორიც რაღაც მსგავსს ცდილობს: ქართული მატიანის მიხედვით იგი 6360 (852) წელს წერს: «...ხოლო მიხეილის პირველი წლიდან რუსი მთავრის ოლეგის პირველ წლამდე 29 წელია; ხოლო ოლეგის პირველი წლიდან, იმის შემდეგ, რაც იგი კიევში დაჯდა, იგორის პირველ წლამდე 31, იგორის პირველი წლიდან სვიატოსლავის პირველ წლამდე 33; ხოლო სვიატოსლავის პირველი წლიდან იაროპოლკის პირველ წლამდე 28 წელიწადია; ხოლო იაროპოლკი 40 წელიწადი მთავრობდა; მით უფრო, სვიატოსლავის სიკვდილიდან იაროსლავის სიკვდილამდე 85, ხოლო იაროსლავის სიკვდილიდან სვიატოსლავის სიკვდილამდე 60 წელია»⁵⁶².

«ქართლის ცხოვრების» ცნობით, ქართველებმა კავკასიელ მთიელებთან ერთად ხაზარები დაამარცხეს. ხაზარეთის საზღვარზე აღაშენეს ქალაქები და ისინი თავიანთ მოხარკეებად აქციეს. შემდგომ ხაზარები გამლიერდნენ, ქართლოსიანებზე გაიმარჯვეს და ხარკი დაადეს⁵⁶³. მეფე მადასის ხელმძღვანელობით საქართველოში და, საერთოდ, მცირე აზიაში ხაზართა

შემოსევა ქ. შ. - მდე VII საუკუნეში ისტორიული ფაქტია და ცნობილია, როგორც სკვითთა შემოსევა აზიაში, სადაც ისინი 28 წლის განმავლობაში ბატონობდნენ. რუსმა მემატიანემ ეს ცნობა გადაიღო და რუსებს მიუსადაგა. ამასთან ერთად, გამარჯვების ნაცვლად, თავიდან ხაზარების მიერ თავის თანამემამულეთა დამარცხებას აღნიშნავს და საარაკო ხარკის შესახებ საუბრობს: «ყველა კომლი აღწერეს», - ხოლო შემდეგ იმაზე ჰყვება, ხაზარებს ხარკი თვითონ როგორ შეაწერეს.⁵⁶⁴

«ვეფხისტყაოსნის» პერსონაჟის - ნესტან-დარეჯანის გამზრდელის, ასმათის (Asmath) კვალად გადაკეთებულია სვიატოსლავის აღმზრდელის სახელი - Асмудъ (ლავრ. 54, 57 გვ.). აქ ქალის სახელის მამაკაცის სახელად ქცევა ნუ შეგაცბუნებთ; მსგავს მაგალითს 1000 წლით დათარიღებულ რუსულ მატიაზემეც ვხვდებით. აქ ქალის სახელი მალთრედი - მალვრედადაა გადაკეთებული და დამატებულია ეპითეტი - ძლიერი, რის შესახებაც შემდეგ თავში გვექნება საუბარი.

«ქართლის ცხოვრება» საქართველოს ისტორიის უძველეს ეპოქაზე თხრობისას ერთი დინასტიის დამხობისა და მეორის მოწვევაზე საუბრობს. მეფე საურმაგ მეორეზე (237_162) ვკითხულობთ, რომ ამ დროს ქართლის ერისთავებმა ბჭობა გამართეს და დაადგინეს: «არა კეთილ არს ჩუენდა, რათამცა ვმსახურებდეთ ნათესავსა ჩუენსა, არამედ ვიყოთ ერთად, და მოვკლათ ჩუენ საურმაგ, და ვიყვნეთ ჩუენ თავისუფალ, ვითარცა პირველ, და მივსცემდეთ ხარკსა ვინცა - ვინ გამოჩნდეს მძლე, რამეთუ ესრეთ ყოფითა უფრო განვისუენებთ...»³⁶⁵ მაგრამ მათი განზრახვა წარუმატებელი აღმოჩნდა. შემდგომ, მეოთხე მეფე ფარნაჯომზე (112_93 წ. ქ. შ-მდე) მემატიანე ამბობს, რომ ხალხი წინააღმდეგი იყო მისი სპარსული სულისკვეთებით აღსავსე რელიგიური რეფორმის, ცეცხლთაყვანისმცემლობის შემოღების გამო. ქართველებმა არშაკიდებთან ელჩობა გაგზავნეს და სთხოვეს მშობლიური რელიგიის უარმყოფელი მეფის, ფარნაჯომის მაგივრად ტახტზე მირვანის სიძე, არშაკი აეყვანათ. ფარნაჯომი განდევნეს და საქართველოს მეფედ არშაკი გამოცხადდა⁵⁶⁶. ამ მონათხრობთა საფუძველზე რუს მემატიანესთან 862 წლის თარიღით გაჩნდა ამბავი ვარიაგთა განდევნისა⁵⁶⁷, რომელთაც ხარკს უხდიდნენ ჩრდილოეთში მცხოვრები სლავური ტომები (ჩუდი, სლოვენა, მერია, კრივიჩი და ვესი). «რათა საკუთარი თავი თვითონვე კუთვნებოდათ», - ამბობს მემატიანე, მაგრამ როცა მათ შორის შინაომები დაიწყო და დარწმუნდნენ, რომ საკუთარი თავის მართვა არ შეეძლოთ, გადაწყვიტეს: «მოვძებნოთ ჩვენთვის მთავარი, რომელიც ჩვენზე იბატონებს და კანონიერად განგვსჯის»⁵⁶⁸.

«ქართლის ცხოვრების» ცნობით, საქართველოს მეფე ასფაგური ქრ. შობიდან 265 წელს გარდაიცვალა და თავისი მხოლოდშობილი ქალიშვილი აბუშერა ტახტის მემკვიდრედ დატოვა. ერისთავთა თათბირმა საქართველოში სამეფო დინასტიის მამაკაცთა ხაზით შეწყვეტასთან დაკავშირებით მოისმინა სპასპეტ მაეჟანის ვრცელი სიტყვა, რომელმაც თქვა, რომ მეფის გარეშე სამეფოში სათანადო წესრიგს ვერ შეინარჩუნებდნენ, ვერ წარმართავდნენ ომებს გარს შემოჯარულ მტრებთან და შესაფერისი პატივით ვერ ისარგებლებდნენ, და გადაწყვიტა, დესპანების მეშვეობით სპარსეთის მეფე საფორისათვის ეთხოვა, საქართველოს მეფედ თავისი ერთ-ერთი ვაჟიშვილი დაენიშნა და ტახტის მემკვიდრეზე დაექორწინებინა. როცა ქართველი დესპანები ხალხის თხოვნით საფორთან გამოცხადდნენ, «ხოლო გამოიკითხა სპარსთა მეფემან პირველად ქალაქისა მცხეთისა, და უთხრეს სივრცე

და სიმაგრე მისი» პასუხის შემდეგ საფორმა თავისი ვაჟი მირიანი საქართველოში მეფის ტახტის დასაკავებლად გააგზავნა⁵⁶⁹. რუსული მატიანის ავტორმა ეს ორი ფაქტი გააერთიანა და მას ვარიაგთა მოწვევის მონათხრობი გამოუვიდა: «მოვძებნოთ ჩვენთვის მთავარი, რათა იუფლოს ჩვენზე და კანონიერად განგვსაჯოს... ჩვენი მიწა დიდია და ბარაქიანი, ხოლო წესრიგი მასში არაა; მოდით, იმთავრეთ და იბატონეთ ჩვენზე»⁵⁷⁰. «ქართლის ცხოვრებაშიც» და რუსულ მატიანეშიც მოწოდების მოტივი სავსებით მსგავსია.

სუმბატის ქრონიკის მიხედვით საქართველოში ტყვე ებრაელთაგან ოთხი ძმა ჩამოვიდა და აქ მბრძანებლები გახდნენ: პირველი ქართლის მამსახლისი შეიქნა, მეორე კახეთისა, ხოლო დანარჩენი ორი კამბეჩოვანისა (სილნალის მაზრა)⁵⁷¹). ეს ხომ არ იქცა ნოვგოროდიდან კიევში მთავრების მოგონილი გადასახლების საფუძვლად? ვარიაგელ მთავართა ზღვის იქიდან მოწვევის ლეგენდა ზღაპრული ხასიათის ყველა ნიშანწყალს შეიცავს: თვით რიცხვ სამს უდავოდ ზღაპრული ხასიათი აქვს. ეს რიცხვი გადმოცემის საერთო მითიური კუთვნილებაა და ვარიაგ მთავართა მოსვლის შესახებ არა თუ რამეს იტყობინება, სკანდინავიური, გერმანული და ბერძნული მატიანეებიც არაფერს მიანიშნებენ მათზე. ამას გარდა, არც ილარიონი («ქება კოგანის ვოლოდიმირისა»), არც დანიელ დაყუდებული თავის სიტყვაში, არც თქმულება ბორისზე და გლებზე ვლადიმირის წინაპრებს იგორს იქით არ მოიხსენიებენ.

«ქართლის ცხოვრება» ფარსმან III ქველზე (146_182 წ.) ამბობს, რომ იგი იყო გოლიათი, დაამარცხა სპარსელთა ჯარები და თვით სპარსეთში ცეცხლითა და მახვილით შეიჭრა. სპარსელებმა მიუგზავნეს მზარეული, რათა ფარსმანის ნდობა მოეპოვებინა და მოეწამლა, მოწამვლის შედეგად ფარსმანი გარდაიცვალა კიდეც⁵⁷². ამავე მატიანის ცნობით, ხაზართა ხაკანმა, საქართველოს ხელისუფალ ჯუანშერზე (718_787) იმით განაწყენებულმა, რომ ჯუანშერმა თავისი უმრწემესი დის მშვენიერი შუშანის მითხოვებაზე უარი შეუთვალა, საქართველოში უზარმაზარი ლაშქარი გაგზავნა ბლუჩარის სარდლობით. ბლუჩარმა ჯუანშერისა და შუშანის ერთ ციხე-სიმაგრეში შეპყრობა მოახერხა, მაგრამ შუშანმა კერპთაყვანისმცემლის ხელში ჩავარდნა არ ისურვა, ბეჭდის ძვირფასი თვლის ქვეშ შენახული შხამი ამოწუნა და გარდაიცვალა⁵⁷³.

მოყვანილ ცნობათა გავლენით რუსმა მემატიანემ შეთხზა ამბავი როსტისლავის საგმირო საქმეთა, ტმუტარაკის დაპყრობის, კოსოგებისთვის ხარკის შეწერისა და ბერძნების მიერ მიგზავნილი კოტოპანის ხელით მისი მოწამვლის შესახებ. 1066 წელს მემატიანე ჰყვება: «როსტისლავმა დაიპყრო ტმუტარაკანი და კოსოგებსა და სხვა ქვეყნებს ხარკი დაადო; ამით დაშინებულმა ბერძნებმა პირფერულად კოტოპანი გაუგზავნეს. იგი როსტისლავთან რომ გამოცხადდა, მისი ნდობა მოიპოვა. ერთხელ, როცა როსტისლავი თავის მოლაშქრეებთან ერთად ილხენდა, კოტოპანმა მიმართა: «მთავარო! მსურს, შენი თასით შევსვა», როსტისლავმა უპასუხა: «შესვი». კოტოპანმა კიდეც ნახევარი შესვა, ხოლო სანამ მეორე ნახევარს მთავარს დასალევად გადასცემდა, თითი, რომლის ფრჩხილქვეშ სასიკვდილო შხამი ჰქონდა, სასმისში ჩაყო». შხამისაგან მთავარი გარდაიცვალა. ვფიქრობთ, რომ სახელწოდება «კოტოპანი» (o cotopano _ ოლქის მმართველები ბიზანტიაში) რუსმა მემატიანემ ქართული ანალებიდან ისესხა, ნახსენებია «ადმოსავლეთის კატაბანი», რომელიც 1025 წელს კონსტანტინოპოლიდან საქართველოში მომავალ

უფლისწულ ბაგრატს ახლდა (ქართ. ცხოვ. I, გვ. 217; მარიამ დედოფლ. ვარიანტი. გვ. 358).

«ქართლის ცხოვრების» მიხედვით, სადაც ნაამბობია ოს ბაყათართან მეფე ვახტანგ I (446_499) და სხვათა⁵⁷⁴ ორთაბრძოლაზე, რუსმა მემატეანემ შეთხზა ამბავი, მსტისლავ ტმუტარაკანელისა და კოსოგთა მთავრის რედედის ორთაბრძოლის შესახებ⁵⁷⁵. აქ აუცილებელია აღინიშნოს, რომ «ქართლის ცხოვრების» ოსები – რუსული მატეანით კოსოგები არიან. ამასთან ერთად, არაფრით შეიძლება ყურადღება ერთ უცნაურობას არ მიექცეს: ოსი გმირის საკუთარი სახელი – ბაყათარი რუსმა მემატეანემ უცოდინარობის გამო საზოგადო სახელად – (богатырь) გოლიათად მიიღო და რუსულ ენაში გმირის აღმნიშვნელად იგი დღევანდლამდე შემორჩენილი. ისტორიკოსი კოსტომაროვი ამბობს, რომ სიტყვა богатырь – გვიანდელია, რომ რუსეთში შეუძლებელია იგი თათრებამდელ დროს ყოფილიყო⁵⁷⁶. ორივე თხზულებაში გასაცარია თხრობის მსგავსება; სხვაობა ისაა, რომ ქართველები რუსებითაა შეცვლილი, ხოლო მეფე – მთავრით.

«ქართლის ცხოვრება» მოგვითხრობს, რომ წმ. დავით IV აღმაშენებელმა, ქართველ გვირგვინოსანთა შორის სახელგანთქმულმა მეფემ (1089_1125), ყივჩაყთა (რუსული მატეანით – половцы (მეფის – ათრაკა შარადანიძის ქალიშვილი, გურანდუხტი შეირთო და შემდეგ, 1118_1119 წლებს შორის, სახელმწიფოებრივი მოსაზრებით თავისი სიმამრი, ცოლისძმები და დაახლოებით 50 000 მამაცი ყივჩაყი მათი ცოლ-შვილის მიუთვლელად საქართველოში გადმოასახლა, საცხოვრებლად მოხერხებული ადგილი მიუჩინა და მათაც ხალისით დაიწყეს გაქრისტიანება⁵⁷⁷. რუსმა მემატეანემ ცნობა ათრაკა შარადანიძეზე თავისი ნაცნობი წყაროდან – «ქართლის ცხოვრებიდან» გადაიღო; ოღონდ იგი მასთან ყივჩაყთა მთავარ შარუკანადაა წოდებული. «ქართლის ცხოვრებაში» საქართველოში ყივჩაყთა უზარმაზარი მასის გადასახლების შესახებ რომ ამოიკითხა, მატეანეში რუსების მიერ ყივჩაყთა საშინელი დამარცხების ცნობა შეიტანა⁵⁷⁸.

მატეანის გამონაგონ თხრობაში, სხვათა შორის, რწმენის არჩევანის შესახებ წარგზავნილ კაცთა შემდეგი სიტყვებია შეტანილი: «ბულგარეთში ვუყურებდით, როგორ ლოცულობდნენ ტაძარში, ხმამალლა დრტვინავდნენ, იდგნენ უსარტყლებოდ; თაყვანისცემის შემდეგ სხდებოდნენ, გადარეულებივით აქეთ-იქით იყურებოდნენ»⁵⁷⁹. ამ სიტყვების მოყვანისას გოლუბინსკი ამატებს: «არ ვიცი და ვერ ვხვდებით, ამ სიტყვებით ავტორს რისი თქმა უნდა»⁵⁸⁰. ამ გაუგებარი სიტყვების ასახსნელად მოვიყვანთ ერთ ადგილს ჩემი ბაბუის მამის, დეკანოზ გაბრიელ სამაგლიშვილის სამისიონერო ჩანაწერებიდან⁵⁸¹. XVIII-ის დასასრულისა და XIX საუკუნის დასაწყისში ჩრდილო კავკასიელ ოსებსა და ინგუშებს შორის ქართველ მისიონერთა თავდადებულ მოღვაწეობაზე თხრობისას იგი ადგილობრივ მთიელ მაჰმადიანთა ერთ-ერთ ჩვეულებაზე ჰყვება: როცა ისინი ემზადებიან სალოცავად (ლოცვად დგებიან), მიწაზე ქურქებს ფენენ, მექასკენ სახემიქცეულნი იჩოქებენ, ზოგჯერ კი იცუცქებენ; თავის სიმალეზე მოწიწებით აღაპყრობენ გაშლილ ხელებს; ცერებით ყურის ბიბილოებს ეხებიან და ხმამალლა, აღფრთოვანებით წარმოთქვამენ მუსლიმანურ ლოცვას: «ლა ილ ალლა ვა მამად რესულ ალლა!», თავს სამგზის მიაბრუნებენ მარჯვნივ და მარცხნივ, და ყოველი მიბრუნებისას მხრებს სულს უბერავენ»⁵⁸². მაჰმადიანთა აი, ეს ჩვეულება აქვს

უქველად მხედველობაში რუს მემატანეს, როცა ბულგარელ მუსლიმებზე საუბრობს: «მარჯვნივ და მარცხნივ იყურებოდნენ, როგორც გადარეულები»-ო.

არაფერი უჩვეულო და სასაცილო არ არის ამ მუსლიმურ ჩვეულებაში, რომელიც მათ ქრისტიანობიდან ოდნავ სახეშეცვლილად გადაიღეს. ქრისტიანებმა თავიანთი ღვთისმსახურების გარეგნული წესები ებრაული სინაგოგიდან მემკვიდრეობით მიიღეს, სინაგოგას კი ისინი ქალდეველთაგან გადაეცათ და ა. შ. ესე იგი, ყველა წესჩვეულებას საერთო წყარო აქვს, მხოლოდ ისინი ყველა ხალხის მიერ ერთნაირად არაა შეწყნარებული. ე. ე. გოლუბინსკი სამართლიანად შენიშნავს: «რუსს შეუძლია წარმოიდგინოს ნებისმიერი ლოცვა, ვისიც უნდა იყოს, ოღონდ საკუთარი ფორმით»⁵⁸³.

«ვოლოდიმირი ხალხს, _ ამბობს მემატანე, _ აურაცხელ თეთრს, ასევე ვერცხლეულობას... და კუნს ურიგებდა (კუნი _ რეყმ ძველ რუსეთში ფულის საერთო სახელწოდება) და თეთრებს «შავი კუნი და თეთრი ვერცხლი». მემატანის ამ სიტყვების მოყვანისას ისტორიკოსი სოლოვიოვი ამბობს: «ნათელია, რომ აქ სიტყვა თეთრი და ვერცხლი სხვადასხვაგვარად უნდა იყოს გაგებული. მემატანეს არაფერში სჭირდებოდა აეხსნა, რომ თეთრი ვერცხლს ნიშნავს, მაგრამ გვიანდელმა გადამწერებმა, როგორც ზოგიერთ ნუსხაში იკითხება⁵⁸⁴, უცოდინარობის გამო შავი კუნის (черный кунь) შესატყვისად თეთრი ვერცხლი ჩასვეს. ს. მ. სოლოვიოვი ამ შემთხვევაში ცდილობს მთელი დანაშაული გადამწერებს, განტევების ამ ვაცებს ტყუილუბრალოდ გადააბრალოს. შავი კუნი (черный кунь) რომ თეთრის, ვერცხლის შესატყვისი არ იყო, ეს რუსული მატანის საუკეთესო ლავრენტისეული ნუსხიდანაც ნათლად ჩანს. მასში ორჯერაა მოხსენიებული თეთრი, მაგრამ ვერცხლისა და «შავი კუნის» განმარტების გარეშე... «მთავარმა საჭურჭლე აურაცხელი ოქროსა და ვერცხლეულისაგან, კუნებისა და თეთრებისაგან დაცალა»⁵⁸⁵, «და უყრიდა ადამიანებს ვოლოდიმირი ძვირფასეულობას და სხვადასხვა ნივთსა და თეთრებს, დიდი მონდომებით»⁵⁸⁶. მას ქართული წყაროებისათვის რომ მიემართა, ამაო ვარაუდებში არ გაიბნეოდა და თავისი განმარტების მთელ მცდარობას აღიარებდა, გაიგებდა, რუსულ მატანეში სიტყვა თეთრი რა გზით მოხვდა. საქმე ისაა, რომ ძველ ქართულ მატანეში, სამართლის ძეგლებსა და ხალხურ პოეზიაში⁵⁸⁷ ვერცხლეულისა და ვერცხლის ფულის მაგივრად⁵⁸⁸ სიტყვა თეთრი (thethri) იხმარება, რაც რუსულად „нѣль-ს ნიშნავს.⁵⁸⁹

დ. ი. ჩუბინაშვილის ქართულ-რუსულ ლექსიკონში ეს სიტყვა ასეა ახსნილი. თეთრი _нѣль, серебро, серебряныя деньги, серебряный пятакъ; бели. ამ შინაარსით ეს ტერმინი ქართულ ხალხურ პოეზიაშიც იხმარება. ვერცხლის მონეტებსაც, რომლებიც 1804_1834 წწ. თბილისში იჭრებოდა საქართველოს რუსეთთან შეერთებასთან დაკავშირებით, წარწერა «თეთრი» ჰქონდა. რუსმა მემატანემ ქართველებისაგან ნასესხები ეს ტერმინი მატანეში შეიტანა, მაგრამ თავისი თანამემამულეებისათვის გასაგები რომ გაეხადა, მას «ვერცხლი» მიუმატა. ამგვარად იქნა მიღებული «ნель» (თეთრი ვერცხლი), შემდეგ მემატანემ ახსნა-განმარტების გარეშე დაიწყო «нель»-ის ხმარება. არცთუ ისე შორეულ წარსულში რუსული სპილენძის მონეტებს უკეთებდნენ წარწერას: ამდენი და ამდენი კაპიკი ვერცხლით. ახლანდელ დროშიც რუსეთში ფულადი გარიგებების დროს ამბობენ:

ამდენი და ამდენი მანეთი ვერცხლით, თუნდაც გარიგება ოქროს ვალუტით ან კრედიტით ხდებოდა.

სოფლის ნუსხის შემდგენელი ამბობს, რომ ვარიაგები ჩრდილოეთის ტომებისაგან ხარკს თითო სულისაგან თეთრი ვევერიცათი (по белей веверице), თეთრი ვერიცათი (по белей веверице) იღებდნენ. «თეთრი ვევერიცაში» ისტორიკოსი ნ. მ. კარამზინი – ციყვს გულისხმობს⁵⁹⁰ და ამ გადასახადს სრულებით ბუნებრივად მიიჩნევს ჩრდილოეთისათვის, სადაც თბილი სამოსი⁵⁹¹ ადამიანის ერთ-ერთი უმთავრესი მოხმარების საგანია, მაგრამ კარამზინს ყურადღებიდან გამორჩა, რომ ციყვი, თუმცა მას «белка» – ეწოდება, თეთრი შეფერილობის არაა. უცნაურია აქ მსჯელობა ციყვის პატარა (დაახ. 3X4 გოჯი) ტყავის თბილ სამოსად გამოყენების შესახებ, რომლისთვისაც ასობით ასეთი ტყავი იქნებოდა საჭირო. შლეცერიც белъ-ს შეცდომით განმარტავს. бела – მისი თქმით, ციყვის ადგილობრივი სახელწოდებაა, და იგი ახალი რუსული ენიდან გამქრალია⁵⁹². ჩვენ ზემოთ დავინახეთ, რომ белъ ივერიიდანაა ნასესხები და белая веверица ანუ верица უეჭველად белая Иверица-ა. Вери, Вири უკრაინაში თბილ, სამხრეთ მხარეს ნიშნავს, საითკენაც ჩიტები მიფრინავენ.⁵⁹³ ივერია უკრაინის სამხრეთით მდებარეობს და უკრაინაში სწორედ ისაა Вирі-ს სახელით ცნობილი⁵⁹⁴. ჯერ კიდევ ვლადიმირ მონომახის სწავლებებში იხსენიება: какао птица небесная из Ирья идуть»⁵⁹⁵ – რუსეთის სამხრეთ და სამხრეთ-დასავლეთ მხარეში არსებობს ხალხური რწმენა, რომ შემოდგომობით ჩიტები ვირიაში (Вырий) მიფრინავენ. ვირიაში ხალხი მზიურ და თბილ ქვეყანას გულისხმობს, სჯერა, რომ იქ თბილი ჭებია, სადაც სნეულები ბანაობენ და ჯანმრთელდებიან⁵⁹⁶. ივერიაში ნამდვილადაა თბილი სამკურნალო წყლები (წყაროები). რუსეთის ივერიასთან მეზობლობა და ივერიის კულტუროსნობა ექვს არ იწვევს, რომ ჩვენი სამშობლო რუსეთისთვის კარგად იყო ცნობილი, ასევე იყო ცნობილი მისი სახელწოდებაც. მაშასადამე, белая веверица, бела верица, – თეთრი ივერიცაა, ანუ ფულის სახელწოდება ივერიიდანაა ნასესხები.

რუსი მემატიანე 6526, (1018) წელს პოლონელი მეფის ბოლესლავ I მამაცის (992_1025) სვიატოპოლკთან ერთად იაროსლავ I ბრძენის წინააღმდეგ ლაშქრობაზე თხრობისას (978, †1025) (იაროსლავი ამ ომში დამარცხდა და ნოვგოროდში გაიქცა) ამბობს: «გლეხებისაგან დაიწყეს ოთხ-ოთხი კუნის აკრეფა (ფულის ერთეული), მამასახლისებისაგან 10 გრივნის, ხოლო ბოიარებისაგან 18 გრივნის და მოიყვანეს ვარიაგები, მისცეს მათ საქონელი (скоть), და მათთან ერთად იაროსლავი ბევრს ომობდა.»⁵⁹⁷ სიტყვა – скоть (საქონელი) ფულის მნიშვნელობით რუსმა მემატიანემ ქართველთაგან ისესხა. თუმცა, პროფ. კაჩენევსკი ამ ტერმინის გერმანულად გასაღებას⁵⁹⁸ საკმაოდ უსაფუძვლოდ ცდილობდა. ქართულ ენაზე საქონლის ღირებულების დასადგენად არსებობს საგანგებო გამოთქმა «ხვასტაგი». იქ, სადაც ქართულ ბიბლიაში იხსენიება ხვასტაგი (დაბ. XL VII,18), სლავურ თარგმანში სიტყვა – скоть არის (დაბ. წ XL VII, 18), ხოლო ხვასტაგი (ცხვრის ფასი) «ქართლის ცხოვრებაში» ხშირად იხსენიება⁵⁹⁹.

რუსული ნუმიზმატიკის პირველი მკვლევარი ფ. კრუგი მემატიანის სიტყვებს: «вдаша оть дыма мечь», «дань оть дыма»⁶⁰⁰ ასე ხსნის: «გადამწერები მიჩვეულები იყვნენ, რომ მატიაწეებში სიტყვა «дань»-თან ხვდებოდნენ სიტყვებს – оть дыма და

აქ უადგილოდ ჩასვეს სიტყვა *сін*, თუმცა, შესაძლოა, მათ ეს სიტყვების *— имъ дань от дыма*-საგან მიიღეს.⁶⁰¹ კოსტომაროვი ცდილობს *дань от дыма* ხალხური პოეზიის საფუძველზე ახსნას. იგი ამბობს, რომ «ამ თხრობის საფუძველად სიმღერა იქცა»⁶⁰². სინამდვილეში სიტყვა *Дыма* — რუსული ხალხური პოეზიიდან კი არა, ქართველებისგანაა ნასესხები. ქართული სიტყვა — კვამლი, ანუ სუნის მქონე, თვალთ ხილული ორგანულ საწვავ ნივთიერებათა ნაერთი, რუსულ ენაზე ითარგმნება სიტყვა *Дым*-ად, რომელიც ბინადრობის მიმანიშნებელია. კვამლი, ანუ კომლი გადასახადის ერთეულია. იგი დაბეგვრის მთავარ ერთეულად გამოიყენებოდა ქართველი მეფეებისა და მუსულმან დამპყრობთა დროს, ხოლო საქართველოში საგადასახადო სისტემაში დღესაც მოქმედებს.

«გერმანულ საქონლის ბაკებში, — ამბობს კოსტომაროვი, — არის გამოთქმა, «გოვედო» ფასეულობის, შესაძლოა, ცალი პირუტყვის, ანდა ხორცის ნაჭრის აღმნიშვნელი.»⁶⁰³ ბ. კოსტომაროვის ვარაუდი ნაკლებსაფუძველიანია. მე მგონია, ამ სიტყვაში ქართული ტერმინი — გვედო (*пень*) იმალება, რაც კუნძს (ჯირკს) ნიშნავს⁶⁰⁴. კუნძს ყასბები ხორცის საჭრელად იყენებენ. ამ მხრივ კუნძი ყასბებისთვის უდავოდ ფასეულია, ამიტომ უფრო სარწმუნოდ მიგვაჩნია გოვედოს წარმოშობა ქართული სიტყვის — გვედოსაგან...

რუსი მემატიანე 6604 (1096) წელს რუსებზე ყივჩაყთა შემოსევის შესახებ მოგვითხრობს. ყივჩაყებს იგი *Саракине*-ს უწოდებს და იქვე განმარტავს, რომ ისინი თავიანთ თავს ასე ეძახიან: *Сарини есмы*⁶⁰⁵. სინამდვილეში ეს სახელწოდება მათ მიიღეს არა სარასაგან, აბრაამის ცოლისაგან, არამედ თავიანთი ადრინდელი ადგილსაცხოვრისიდან, ქართლის ქალაქ სარკინედან⁶⁰⁶, სადაც ალექსანდრე მაკედონელის შემოსევამდე ცხოვრობდნენ⁶⁰⁷, ამას ქვემოთ ვნახავთ. «მით უფრო ხვალისი და ბულგარელები ლოტის ქალიშვილისაგან წარმოსდგებიან, ასევე ჩასახულნი საკუთარი მამისაგან, მით უფრო მათი მოდგმა უწმინდურია»⁶⁰⁸. შემდგომ მემატიანე ყივჩაყთა წინაპრებსა და მათ წეს-ჩვეულებებზე დაწვრილებით ცნობებს გვაწვდის გიურატ როგოვიჩის მონათხრობით.

«იმისი თქმა მინდა, — ამბობს მემატიანე, — ოთხი წლის წინათ მოვისმინე, ნოვგოროდელი გიურატ როგოვიჩი როგორ ჰყვებოდა: «თითქოს თავისი შვილი გაგზავნა პეჩორაში, იმ ხალხთან, რომელიც ხარკს უხდიდა ნოვგოროდს; ჩემი შვილი მათთან რომ ჩავიდა, იქიდან იუგრასთან წავიდა. იუგრას ხალხი კი უენოა და ჩრდილოეთის ქვეყნების ველურ ტომებთან მეზობლობს. იუგრა ჩემს შვილს ეუბნება: კარგა ხანია სასწაულის მოწმე ვხდებით; ამის შესახებ ადრეც გვესმოდა და სამი წელია, რაც ახლა გვესმის; მთები ზღვის ყურეშია შეჭრილი. მათი მწვერვალები ცას სწვდება, და ამ მთებში მქუხარე ხმები გაისმის. ანგრევენ მთას მისი გახვრეტის მსურველნი. იმ მთაში მცირე სარკმელია გახვრეტილი, და აქ ამბობენ, რომ მათ ენას ვერ გაიგებ, მაგრამ რკინა უნდათ და ხელების ქნევით რკინას ითხოვენ. ვინც მათ დანას და ცულს მისცემს, მალევე უბრუნებენ. ამ მთებისკენ გზა უფსკრულების, თოვლისა და ტყის გამო ძნელი მისადგომია, მით უფრო, ყოველთვის როდი შეიძლება მიღწევა; ჩრდილოეთისკენ გადასვლაცაა შესაძლებელი.» გიურატმა მე მითხრა: «ეს ხალხი მეფე ალექსანდრე მაკედონელის მიერაა ჩაკეტილი», როგორც მათზე მეთოდე პატარიელი ამბობს: «მეფე ალექსანდრე მაკედონელმა აღმოსავლეთის ქვეყნების ზღვამდე რომ ილაშქრა,

რომელსაც მზიური ადგილი ეწოდება, იაფეტის უწმიდური მოდგმის ხალხი დახვდა და მათი უზნეობა იხილა: ყოველგვარ სისაძაგლეს, კოლოებსა და ბუზებს, კატებს, ქვეწარმავლებსა და გახრწნილ მკვდრებს შეექცეოდნენ და ქალებთან კავშირს ცხოველებივით ეწეოდნენ; ეს რომ ალექსანდრემ დაინახა, შეშინდა, რომ ისინი გამრავლდებოდნენ და მიწას წაბილწავდნენ და ჩრდილოეთის მხარეში, მაღალ მთებზე არეკა; ღვთის ნებით, მათ ციცაბო კლდეები შემოარტყა ირგვლივ. მთებამდე 12 წყრთით მიახლოება აუკრძალა, სპილენძის ჭიშკრით ჩაკეტა, 609 ზედ სუნკლიტი გადაუსვა და მისი აღება რომ უნდოდეთ, ვერ შესძლებენ, ცეცხლითაც ვერ დაწვავენ: სუნკლიტი მეტად მტკიცეა, ვერც ცეცხლი და ვერც რკინა ვერას აკლებს. ჩვენს დროში იტრიის უდაბნოდან წამოსვლის შემდეგ ისინი მერვე თაობას მოითვლიან, და ეს წარმართები ჩრდილოეთის მთებში ღვთის ნებით მოსახლეობენ»⁶¹⁰. ჯერ კიდევ ა. ნ. პიპინმა შენიშნა, რომ ალექსანდრე მაკედონელის მიერ მთებში ჩაკეტილ უწმიდურ ხალხზე გადმოცემა მემატიანემ ფსევდო-კალისტენესაგან კი არა, სხვა წყაროდან ისესხა⁶¹¹.

მთელი ეს მონათხრობი რუსმა მემატიანემ «ქართლის ცხოვრებიდან» აიღო და, თავისი ჩვეულებისამებრ მალავს წყაროს, საიდანაც იგი ისესხა. ქართულ მატიანეში ეს მონათხრობი ქრისტეშობამდე მოვლენებშია ჩართული, ხოლო რუსმა ჟამთააღმწერელმა ნასესხობის კვალის წასაშლელად თვით თხრობის წყობა შეცვალა და რომელიღაც ნოვგოროდელი გიურატ როგოვიჩი გამოიგონა, ვინც ვითომ ეს ამბავი აცნობა, ხოლო თვითონ ხსენებული ამბავი მატიანეში 6604 (1096) წლით შეიტანა და არა 6600 (1092) წლით, როცა იგი გიურატ როგოვიჩისაგან მოისმინა⁶¹². ჩვენ არ შევჩერდებით რუსი მემატიანის უაზრო გამონაგონზე თვით მთხრობელის ლეგენდარული პიროვნების შესახებ და «ქართლის ცხოვრებიდან» ყივჩაყთა ამბავს იმ ფორმითა და რიგით აღვადგენთ, როგორითაც იგი რუსულ მატიანეშია გადმოცემული, რათა ამ ორი მონათხრობის ერთმანეთთან შეჯერება გაადვილდეს.

«ქართლის ცხოვრება», გვამცნობს თქმულებას ქართლში ალექსანდრე მაკედონელის შემოჭრის შესახებ და გვაუწყებს, რომ მან თავისი დამპყრობლური მოძრაობა დასავლეთიდან დაიწყო, გაიარა სამხრეთი, მერე ჩრდილოეთი, იქიდან გადმოვლო კავკასიონი, ქართლში შემოიჭრა და ექვს თვეში რამდენიმე პროვინცია და ციხე-სიმაგრე აიღო. ციხე-ქალაქ სარკინესთან დაკავშირებით, რომელშიაც ბუნ-თურქები ცხოვრობდნენ, მემატიანე მოგვითხრობს: «სარკინეში მცხოვრები ბუნ-თურქები»⁶¹³. მეფეს (ალექსანდრე მაკედონელს) აგინებდნენ. ალექსანდრე განრისხდა და ბუნ-თურქების მიერ შემოთავაზებულ ზავზე არ დათანხმდა. არც მათ მუდარას ათხოვა ყური, უთხრა: რაკი მაგინებდით, თქვენი ხვედრი უკლებლივ ყველას მოსპობააო; მან სარკინეს ყოველი მხრიდან შემოარტყა ალყა, ამიტომ იქიდან ვერც ერთი სულიერი ვერ გამოაღწევდა. სარკინელებს ძალიან გაუჭირდათ, რადგან თერთმეტი თვის განმავლობაში იცავდნენ თავს, ბოლოს საიდუმლოდ დაიწყეს კლდის გახვრეტა, კლდის რბილ ქანებში ხვრელი გააკეთეს და კავკასიის მთებში გაიქცნენ⁶¹⁴.

«ქართლის ცხოვრება» მოგვითხრობს, რომ ხაზარების შემოსევების შემდეგ «მზის ამოსვლის მხარეს, ანუ აღმოსავლეთით გაძლიერდნენ სპარსელები, ნებროთის თვისტომნი და მათ შთამომავლობაში გამოჩნდა გმირი აფრიდონი, რომელმაც გველების მეფე, ბევრასპი ადამიანთათვის მიუვალ მთაზე მიაჯაჭვა»⁶¹⁵.

როცა ალექსანდრე დიდმა ქართლში ძლევამოსილად შეაბიჯა, «ქართლოსიანები⁶¹⁶ სხვა ტომებთან ერთად მავნე რელიგიით შეპყრობილი იხილა. ისინი ქორწინებისა და მრუმობისთვის სისხლით ნათესაობას არ დაგიდევდნენ, ყოველივე სულიერით იკვებებოდნენ, ჭამდნენ მიცვალებულებს»⁶¹⁷. ქართლის მეფე მირვან I ნებროთიანმა (162_112), სძლია ძურძუკებს, დარიალის ხეობაში, ძურძუკთა შესასვლელში «დაკიდა ჭიშკარი, იგი ქვის კედელში კირით ჩაამაგრა⁶¹⁸ და დარუბალი უწოდა»⁶¹⁹.

აქ რუსული მატიანის სარაკინებიც არიან და ლოტის⁶²⁰ შთამომავლებიც, ქანიელი ივესეველების შთამომავლებიც⁶²¹, ბუნ-თურქებიც, მაღალი გაუვალი მთებიც და სარკმელიც (სარკინელთა მიერ კლდეში გამოკვეთილი ხვრელი), რკინაც და ალექსანდრე მაკედონელიც, გველებიც, მკვდრების მჭამელი იაფეტის მოდგმაც და ცეცხლგამძლე ჭიშკარიც. არაა მხოლოდ ზღაპრული ნოვგოროდელი გიურატ როგოვიჩი, რომელიც მარტოოდენ მემატიანის წარმოსახვაში არსებობდა. მაღალ და მიუვალ მთებში, «ИМЖЕ ВЫСОТА ОКО ДО НЕБЕС»-ში, უეჭველად კავკასიონის მთები იგულისხმებოდა, თუმცა, მათი ადგილმდებარეობა რუსმა ჟამთააღმწერელმა აურია. «ქართლის ცხოვრება»-ში ამოიკითხა, რომ კავკასიონის მთები საქართველოს მხრიდან შუადამის (ჩრდილოეთ) ქვეყანაში დატოვა. აუცილებელი კი იყო, შუადლისად (სამხრეთი) შეესწორებინა; მაშინ ეს იმდროინდელი რუსეთის ტოპოგრაფიულ მდგომარეობას სრულიად შეესაბამებოდა. ამგვარად, იუგრის შესახებ მოყვანილი ამბავი, უდავოდ, მატიანის დაწყებითი პერიოდიდან ამოგლეჯილი ეთნოგრაფიული ნაწყვეტია, რომელიც მასში 6604 წლით, «ქართლის ცხოვრებიდან» ნასესხობის შენიღბვის მიზნითაა ჩართული. ამ თქმულებათა მჭიდრო კავშირი ისე უტყუარია, სულაც არაა საეჭვო, რომ «ქართლის ცხოვრებაზეა» დამოკიდებული.

ქართული მატიანე «ქართლის ცხოვრება» დასაწყისში, სადაც ლაპარაკია ძველ ეპოქაზე, დედამიწის ტოპოგრაფიული აღწერისა და მისი დაყოფისას სამყაროს ნაწილთა სახელწოდებებს არ იყენებს, მათ მაგივრად სამყაროს ოთხი მხარის დასახელება გვხვდება. «გარდასულ წელთა ამბავიც» ასევე იქცევა, რომელიც შედარებით გვიანაა დაწერილი, როცა საყოველთაოდ იხმარებოდა ძველ გეოგრაფოსთა მიერ შემუშავებული ტერმინები: აზია, აფრიკა, ევროპა. რუსული დაწყებითი მატიანეც სამყაროს ასევე, მხარეთა მიხედვით ყოფს: აღმოსავლეთ, შუადლის, შუადამის და დასავლეთ მხარეებად.

«ქართლის ცხოვრება» იცნობს ჰომეროსს, არისტოტელეს, ტროას ომის ხოტბის შემსხმელთ და სხვა კლასიკოს მწერლებს, რომელთა ზოგიერთი გამონათქვამიც მოჰყავს. «ქართლის ცხოვრების» მიზამპვით რუს მემატიანესაც ჰომეროსის ცოდნით თავის მოწონება მოუხდა და აი, იპატევის ნუსხაში ვერაგობასთან დაკავშირებით წამოიძახებს: «პირფერობა ბოროტებაა, ვითარცა ჰომეროსი წერს, სანამ ამხელდნენ, საამოა, მხილებული კი ბოროტი, ვინც მასში გაერევა, ბოლოს ბოროტებას იმკის», ამონარიდს, რომელიც იმის დასკვნის საბაზი უნდა ყოფილიყო, რომ იმდროინდელ რუსეთში ჰომეროსს იცნობდნენ, უკვე ნიადაგი ეცლება, ვინაიდან «ილიადასა» და «ოდისეას» ტექსტებში ასეთი გამონათქვამები არ არსებობს.

ამჯერად საუბარს ვიწყებთ მატიანის ყველაზე მთავარ პირზე _ ვლადიმირზე, რომლის ღვაწლსა და მნიშვნელობაზე მატიანეში მეტად დაწვრილებითაა მოთხრობილი. თვით მემატიანეც მას, როგორც ჩანს, სრული თანაგრძნობითა და

მოწიწებით ეპყრობა. ვინც მირიანისა და ვლადიმირის მოქცევის ამბავს ყურადღებით წაიკითხავს, დარწმუნდება, რომ ვლადიმირის მოქცევის ამბავი მირიანის მოქცევის ამბის გადაკეთებული ვარიანტია; როცა რამის შეთხზვა სურთ, მაშინ, ჩვეულებრივ, ნიმუშად შესაფერის სიუჟეტს იღებენ, ხოლო შემდგომ შეალამაზებენ, განავრცობენ, რაც უკვე წარმოსახვის სფეროს განეკუთვნება. რუს მემატრიანეს სურდა, რუსების მოქცევის საქმე როგორღაც განსხვავებულად, არაჩვეულებრივი, სასწაულებრივი მოვლენის ფორმით წარმოესახა. როგორც ზემოთ ვნახეთ, იმპერატორ კონსტანტინეს ნათლობა შესაფერის მასალას ვერ იძლეოდა, სამაგიეროდ რუსმა მემატრიანემ ქართული მატრიანის გადმოცემებში იპოვა უხვი მასალა მეფე მირიანისა და ქართველი ერის მოქცევის სახით და მირიანის მოქცევის დეტალებიც კი ისესხა. სამეფო პირთაგან მირიანმა ქრისტიანობა პირველმა მიიღო და მისი მოქცევა თანამედროვე მემატრიანეებმა საკმაოდ ვრცლად აღწერეს. მსოფლიოში მსგავსი მეორე შემთხვევა ჯერ არ ყოფილა.

ვიწყებთ თხრობას და სულ თავიდან პარალელურად გადმოვცემთ მირიანის მეფობას და ვლადიმირის მთავრად ყოფნას, ხოლო ბოლოს, მაგალითისათვის მივუთითებთ რამდენიმე პარალელურ ადგილს შემდგომი ეპოქიდან XIV საუკუნემდე. ჩრდილოეთით მდებარე საქართველოს სამეფო მემკვიდრის, მამაკაცთა ხაზის შეწყვეტის გამო, სამხრეთის სპარსულ სამეფოში მეფე საფორს დესპანებს უგზავნის და ხალხის სახელით სთხოვს, საქართველოში თავისი ვაჟიშვილი გამოგზავნოს გასამეფებლად. და მირიანიც მიიღეს⁶²². ნოვგოროდის ჩრდილოეთი მხარე 970 წელს კიევის დიდ მთავარ სვიატოსლავს მიმართავს: «მთავარს თავისთან ითხოვენ... გამოუშვი ჩვენთან ვოლოდიმირი», მან კი იმათ უპასუხა: «იგი თქვენია», და ნოვგოროდელებმა ვლადიმირი თავისთან წაიყვანეს⁶²³. მირიანი, საფორის შვილი, მონა მხევლის ნაშობია⁶²⁴. და ვლადიმირიც, სვიატოსლავის შვილი, ნაშობი იყო მეკუჭნავე ქალის მიერ. «ვოლოდიმერი ოლეგის მეკუჭნავის, მალუმას შვილი იყო»⁶²⁵. საფორმა თავისი შვიდი წლის ვაჟიშვილი – მირიანი (მირვანი) საქართველოში მეფის ტახტის დასაკავებლად გაგზავნა, თან განსწავლული, მამაცი, ძლიერი, წარჩინებული აღმზრდელი, მირვანოზი აახლა⁶²⁶. სვიატოსლავმა თავისი მცირეწლოვანი შვილი ნოვგოროდში მთავრის ადგილის დასაკავებლად გაგზავნა⁶²⁷, თან დამრიგებლად მალუმას ძმა, დობრინი გააყოლა⁶²⁸. მირიანი საკუთარ ძმაზე, ბარტამზე ილაშქრებს, რათა მამის ტახტზე დაჯდეს, მაგრამ საქმე სისხლისღვრამდე არ მიდის, მირიანმა და ბარტამმა მოითათბირეს. მოლაპარაკებათა შედეგად ბარტამმა მირიანს სამხრეთის რამდენიმე პროვინცია დაუთმო⁶²⁹. იმავეს ჰყვება რუსი მემატრიანეც 980 წლის თარიღით ვლადიმირის იაროპოლკთან ბრძოლის, მათ შორის მოლაპარაკებისა და იაროპოლკის მუხანათურად მოკვლის შესახებ. ვლადიმირი მამის, დიდი მთავრის ტახტს იკავებს⁶³⁰. პარალელი – მირიანისა და მისი ძმისწულის – სპარსეთის მეფის ომი – იმპერატორ კონსტანტინესთან⁶³¹ და ომი ვლადიმირისა ბერძნულ ქალაქ კორსუნთან ანუ თავრიზის ხერსონესთან⁶³².

«ქართლის ცხოვრება,» ჩვენს წინაპართა წინარექრისტიანული ყოფა-ცხოვრების აღწერისას მირიან მეფემდე, ქართველ გვირგვინოსანთა მიერ სხვადასხვა დროს ქართლში ექვსი კერპის: არმაზის⁶³³, აინინას, დანანას⁶³⁴, ზადენის⁶³⁵, გაცისა და

გაიმის⁶³⁶ აღმართვის შესახებ მოგვითხრობს. ქართული პანთეონის პირველი კერპი იყო – არმაზი, სპილენძის ქანდაკება, რომელსაც ოქროს ჯაჭვის პერანგი ემოსა, თავზე ოქროსავე მუზარადი ეხურა, თვალები ძვირფასი ქვების – ზურმუხტისა და ბივრიტისა ჰქონდა, ხელთ მოელვარე და მბრწყინავი მახვილი ეპყრა⁶³⁷. მის წინ მუდმივად ცეცხლი ენთო და შესაწირად მიჰყავდათ ბავშვები⁶³⁸. რუსი მემატიაზეც ექვს კერპზე საუბრობს, რომლებიც ვლადიმირმა ბორცვზე აღმართა. ჟამთააღმწერელი ვლადიმირზე ამბობს: «და აღმართა კერპები სასახლის გარეთ ბორცვზე, ხის პერუნი, რომლის თავი ვერცხლისა, ულვაში კი – ოქროსი, ხორში⁶³⁹, დაჟბოგი და სიმარგლა⁶⁴⁰ და მოკომი*. და ქურუმები მათ ღმერთებს უწოდებდნენ, და მიჰყავდათ თავიანთი ქალიშვილები და ბიჭები და ემძაკეულს სწირავდნენ, და მიწას თავიანთი თხოვნით ბღალავდნენ, და რუსულ მიწასა და იმ ბორცვს სისხლით ბილწავდნენ»⁶⁴¹. ვლადიმირის სამხრეთ-რუსული ცხოვრება პერუნის შესახებ შემდეგს ამბობს:... «რომელსაც ხელთ (არმაზის ელვარე მახვილის მაგივრად) მეტად ელვარე ქვა ეპყრა, რომლის წინაშე ცეცხლი მუდმივად ენთო, და თუ იგი მღვდლის უყურადღებობის გამო, რომელიც მას ემსახურებოდა, ჩაქრებოდა, მას როგორც თავისი ცეცხლის არაკეთილმოსურნეს, ყოველგვარი შებრალებისა და გასამართლების გარეშე კლავდნენ»⁶⁴².

რუსმა ჟამთააღმწერელმა «ქართლის ცხოვრებიდან» ქართველ კერპთაყვანისმცემელთა წეს-ჩვეულება, ლითონისაგან ნაკეთები არმაზის ქანდაკების წინ კოცონის დანთება ისეხა, იმავეს იმეორებს პერუნის შესახებ: მის წინ ცეცხლი მუდმივად ენთო, მაგრამ ვერ ითვალისწინებს იმ უაზრობას, რომ ხის კერპის წინაშე მუდმივად დანთებული კოცონი თვით პერუნს აქცევდა ფერფლად.

როგორც «ქართლის ცხოვრებიდან» ირკვევა, საქართველოში კერპთაყვანისმცემლობა ცეცხლთაყვანისმცემლობასთან იყო შეთავსებული და კერპების მსახურნი მღვდლებად (попами) იწოდებოდნენ⁶⁴³. რუსულ კერპთაყვანისმცემლობაზე ამასვე გადმოსცემს ვლადიმირის სამხრეთ რუსეთის ცხოვრებაც⁶⁴⁴. საერთოდ, უნდა ითქვას, რომ რუსული მატიაზე უკიდურესად მწირ და არასწორ ცნობებს გვაწვდის რუსების წინაპართა რელიგიური აღმსარებლობის შესახებ.

როცა კერპთა შემუსვრისა და მცხეთელ ებრაელთა პირველმოდღვრის, აბიათარის მოქცევის შემდგომ ქრისტეს იდუმალ მიმდევართა რიცხვმა დედაქალაქში იმატა, ქრისტესადმი ერთგულების გამო ახალ პავლედ წოდებული აბიათარი ებრაელებმა შეიპყრეს და ჩაქოლვას უპირებდნენ, მაგრამ მეფე მირიანმა, როგორც კი ეს შეიტყო, მსახურები აფრინა და აბიათარი მკვლელთაგან დაიხსნა. მეფე მირიანი ამგვარად იმის გამო იქცეოდა, – შენიშნავს «ქართლის ცხოვრება,» – რომ თვითონ სურდა ქრისტეს სჯულის მიღება, ვინაიდან ბევრი სმენოდა საბერძნეთსა და სომხეთში⁶⁴⁵ ქრისტეს მიერ მოხდენილ სასწაულთა შესახებ. აბიათარის მოკვლის სურვილი ვარიაგის – ქრისტიანი თეოდორეს მოკვდინებაში აისახა. ამას გარდა, ვლადიმირის მოქცევის ამბავში მემატიაზე ანალოგიურ მომენტსაც აღნიშნავს: – როცა იგი ბერძენი მისიონერის საბოლოო სიტყვებზე: «თუ გინდა, რომ წმიდანთა გვერდით შემოსილი დადგე, მოინათლე», ვოლოდიმერმა გულზე ხელი დაიდო და თქვა: «ვიდევ ცოტას მოვიცდი»⁶⁴⁶. ქრისტიანობის

მიღების საკითხიც ვლადიმირმა გულში გადაწყვიტა, მაგრამ მირიანის მსგავსად ისიც აყოვნებდა. აქ ქართული სამატიანო თხრობის გავლენა აშკარად ჩანს.

იგივე პატივმოყვარეობა და ამპარტავნობა, რომლებმაც რუსი მემატიანე აიძულა შეეთხზა ლეგენდა იმ დროს ჯერ კიდევ არარსებულ სლავურ რუსეთში თორმეტ მოციქულთაგან ერთ-ერთის ყოფნაზე⁶⁴⁷, გახდა მიზეზი სარწმუნოების არჩევანის უაზრო ზღაპრის წარმოქმნისა, გოლუბინსკის სიტყვებით⁶⁴⁸, «ნაყოფი უმეცრული გაუგებრობისა». «ჩვენი მკვლევარები სამართლიანად შენიშნავენ, – აღნიშნავს იგივე გოლუბინსკი, – რომ ვლადიმირის მიერ სარწმუნოების არჩევა მთელს ისტორიაში ერთადერთი შემთხვევაა»⁶⁴⁹. მაგრამ ასეა? მივმართოთ ქართულ ისტორიულ ძეგლებს. რუს მემატიანეს სარწმუნოების არჩევანის შესახებ ლეგენდის შედგენისას ფაბულად გამოადგა უდავოდ წმ. ნინოს ქადაგებები, მირიანის საუბრები ებრაელთა პირველმოდღვარ აბიათართან და მცხეთელი წამებული ევსტათის მოქცევა. მეფე მირიანი, წმ. ნინოს მიერ მისი თანამეცხედრის განკურნების შემდგომ, ხშირად და ხანგრძლივად საუბრობდა მცხეთელ ებრაელთა პირველმოდღვარ ბრძენ აბიათართან, რომელსაც მემატიანე ახალ პავლედ მოიხსენიებს. მას სურდა, ქრისტიანული სარწმუნოება ძველი და ახალი წიგნებით, ანუ ძველი და ახალი აღთქმის მიხედვით შეესწავლა.

მირიანი ფიქრს ეძლეოდა. ხშირად და უფრო ყურადღებით დაიწყო ნებროთის ძველი წიგნის კითხვა⁶⁵⁰. ნებროთის წიგნის კითხვისას ახალი სწავლების ჭეშმარიტებაში დარწმუნდა და ქრისტიანობის მიღების სურვილი გაუძლიერდა⁶⁵¹. ამგვარად, აქ საუბარია რწმენაზე, რწმენის არჩევანზე. ჩანს ბერძენი მქადაგებელი, ასევე ებრაელი პირველმოდღვარი. მაჰმადიან მქადაგებელზე კი, შესაძლოა, აზრი ბიზანტიის იმპერატორ ჰერაკლეს შესახებ მონათხრობის ზეგავლენით გასჩენოდა; ჰერაკლე, სპარსეთის ექსპედიციიდან ტრიუმფით რომ ბრუნდებოდა, ემეზში შეხვდა ერთ-ერთ დესპანს არაბი წინასწარმეტყველისას, რომელიც სხვადასხვა ქვეყნის მეფეებსა და ხალხებს მიმართავდა, მუსულმანური რელიგია მიეღოთ. რაც შეეხება პაპის მისიონერის ჩამოსვლას, «ქართლის ცხოვრებაში» ამისი მაგალითია წმ. ნინოსთან რომის პაპის ელჩების ჩამოსვლა⁶⁵². აქვე რუსი მემატიანის თხრობის ერთი უდიდესი შეუსაბამობაც უნდა აღვნიშნოთ: თხზულებაში, რომელიც სხვადასხვა მისიონერის ქადაგებას ეხება, არავითარი აქტიური როლი არ ჩანს წარმართული რელიგიის დამცველი და მიმდევარი ქურუმებისა, ისე, თითქოს მათ არაფერი ეხებოდეთ. საქმისადმი მათი ასეთი გულგრილი დამოკიდებულება მით უფრო უცნაურია, რომ მანამდე ცოტა ხნით ადრე (983 წ.) ფანატიკურად აღტყინებულ ხალხთან ერთად გადაწყვიტეს თავიანთი წარმართული ღვთაებისათვის შეეწირათ ვარიაგის შვილი თევდორე⁶⁵³. ცხადია, რუსი მემატიანე ამ შემთხვევაში ბაძავდა ქართულ მატაიანეს, რომელშიაც ქურუმები ქართლში რელიგიური გადატრიალების ჟამს, ასევე დუმდნენ. ამგვარად, ყოველივე თქმულის შემდგომ თავისთავად გასაგებია, ბ. გოლუბინსკის ვარაუდს, თითქოს ავტორი ცნობილი თხზულებისა სარწმუნოების არჩევანის შესახებ ბერძენი იყო,⁶⁵⁴ ნიადაგი ეცლება. ვლადიმირის ნათლობის ამბავს ქართული მატაიანის საფუძველზე ბერძენი არაფრით შეთხზავდა.

პროფესორ გოლუბინსკის სავესტით შესაძლებლად მიაჩნია ვლადიმირის მოქცევის ამბის გადამუშავება იეჰუდა ჰალევის თხზულებაზე დაყრდნობით⁶⁵⁵. საქმე ისაა, რომ VIII საუკუნის შუახანებისათვის ხაზარ-კაგანთა ნაწილმა, ანუ მეფემ დიდებულებითურთ, იუდაიზმი მიიღო. XII საუკუნის პირველ ნახევარში ესპანელმა ებრაელმა იეჰუდამ არაბულ ენაზე შექმნა თხზულება ამ მოქცევის შესახებ სათაურით: «მტკიცებულებათა და მოსაზრებათა წიგნი უგულვებელყოფილი რელიგიის დახმარების აღმოსაჩენად». ავტორის სიკვდილის შემდეგ წიგნი ებრაულად ითარგმნა და დაერქვა – «სეფერი გაკუზარი». ღმერთისადმი სამართლიანი მსახურების წესები რომ გაერკვია, კაგანმა ჯერ წარმართ ფილოსოფოსს მიმართა, შემდგომ ქრისტიანული და მუსულმანური რელიგიების მოძღვართ, რომელნიც იუდაიზმს თავიანთი სარწმუნოების ამოსავალ პუნქტად მიიჩნევდნენ. ბოლოს იუდაიზმის მასწავლებელსაც მოუსმინა, რომელმაც იუდაიზმის ჭეშმარიტებაში დაარწმუნა. თუ გავიხსენებთ, ჯვაროსნული ლაშქრობების დროს ებრაელები რა არაადამიანურ სისასტიკეს განიცდიდნენ ევროპაში, მითითებული თხზულების დაწერის მიზანიც გასაგები გახდება. მაგრამ ამ თხზულებას არა ებრაელობის პროპაგანდის, არამედ აპოლეგეტიკური მიზნით დაწერილს⁶⁵⁶, საეჭვოა, დაბეჭდვამდე, ანუ 1506 წლამდე ფართო გამოხმაურება ეპოვა. ამიტომ ნაკლებ სავარაუდოა, იგი ხელთ ჰქონოდა რუსული მატეანის ავტორს. ისტორიკოსი გოლუბინსკი იზიარებს ბესტუჟევი-რიუმინის⁶⁵⁷ თვალსაზრისს, რომ VIII საუკუნის შუახანებიდან საბერძნეთის იმპერიიდან მიღებული იუდაიზმი ხაზართა ხელმწიფისა და დიდებულთა სარწმუნოება იყო⁶⁵⁸. უფრო სარწმუნოდ გამოიყურება ჩვენამდე მოღწეული ცნობა იმის შესახებ, რომ საქართველოში მოქმედმა ებრაელმა სინაგოგამ ხაზარები იუდაიზმის სარწმუნოებაზე მოაქცია⁶⁵⁹.

ხაზარ ებრაელთა პასუხი ვლადიმირის კითხვაზე: «განრისხდა ღმერთი ჩვენს მამებზე და მიმოფანტულნი ვართ ჩვენთა ცოდვათა გამო, და ჩვენი მიწა ქრისტიანებს გადაეცათ»⁶⁶⁰, ყურადღება უნდა მიექცეს ხაზართა ამ პასუხის წინააღმდეგობრიობას: «ღმერთმა მოგვიძულა და მიმოგვფანტა». მათი სამშობლო ხაზარეთშია, მათი მიწა ქრისტიანებისათვის არ გადაუციათ, ისინი წარმოშობით ებრაელები არ არიან და ამიტომ ვერ იტყოდნენ, რომ ღმერთმა მათი მამები მიმოფანტა, პირიქით, შეეძლოთ და აუცილებელიც კი იყო, მათ მოქცევაში იუდეველთა როლზე მიეთითებინათ. მატეანიდან მოხმობილი ამონარიდი თითქმის ზუსტადაა გადმოღებული პირველმოძღვარ აბიათარის ნაუბარიდან, რომელიც წმიდა და ნეტარი ნინოს მიერ ქრისტეს რწმენაზე მის მოქცევას ეხება: «და განვიბნინეთ ჩუენ ყოველსა ქუეყანასა, – წერდნენ ანტიოქიიდან აბიათარს თავიანთ წერილში ებრაელი სამღვდელონი, – და ჰრომთა დაიპყრეს ქუეყანა ჩუენი; ვტიროდით ჩუენ ერთურთს, რამეთუ განვარისხეთ შემოქმედი ღმერთი»⁶⁶¹. რუსი მემატეანის მიერ რომაელები ქრისტიანებითაა შეცვლილი და სხვა არაფერი...

«აწ განიხილენ წიგნნი მოსესნი და სიტყუა იგი, – წერდნენ ანტიოქიიდან აბიათარს ებრაელი სამღვდელონი, – რომელი დამიწერა ჩუენ ესე ყოველი, ვითარმედ: «რომელი იტყოდა ქუეყანასა ზედა თავსა თვსსა ძედ ღმრთისად, მოკუედიწო.» ანუ-მე უკუე შევსცეთით ნაზარეველისა იესოს სიკუდილისა.

რამეთუ ვხედავთ, ოდეს პირველ მამათა ჩუნთა შესცოდინან ღმერთსა და ყოვლად დაივიწყონ იგი, და მისცნის იგინი ხელმწიფესა ძნელსა და ტყუეობასა; და ოდეს მოიქციან და ღაღადყვიან, მსწრაფლ განარივნის იგინი ჭირისაგან... «ესე შუდგზის ვიცით წერილისაგან. ხოლო აწ ვინათგან კელი შეახეს მამათა მათ ჩუნთა ძესა მას დედაკაცისა მწირისასა და მოკლეს იგი, აღილო ღმერთმან კელი წყალობისა მისისა ჩუნ ზედა და განხეთქა მეფობა ჩუენი, განაშორა ტაძარსა მისსა წმიდასა და უგულუბელს-ყო ნათესავი ჩუენი სრულიად. და არს მით ჟამითგან სამასი წელი და უმეტესცა, რომელ არა ისმინა ვედრება ჩუენი და არცაღა-ყო ლხინება ჩუენი. რომლისათვის საგონებელი გვჩნს, ვითარმედ ნუ უკუე და ზეცით განგება ესევითარი». განმრავლდა მოწერილი... «ხოლო მე ვითარცა მესმა ესე, ვიწყე კითხვად დედაკაცისა მის ნინოსაგან ქრისტესთვის თუ ვინ იყო იგი, ანუ რისა მიზეზისთვის იქმნა კაცად მე ღვთისა. მაშინ აღილო პირი თვისი წმიდამან ნინო, ვითარცა რა ჯურღმულიდან აღმომდინარემან და იწყო სიტყუად დასაბამითგან წიგნთა ჩუნთა ზეპირით წარმოთქუად და განმარტებულად ძალსა მათსა იგი ვითარცა მძინარესა განმღვიძარებას»⁶⁶².

რუსულ მატთანეშიც ვპოულობთ პარალელურ ადგილს: «მათ (ანუ ებრაელებს) წინასწარმეტყველები უცხადებდნენ, – ეუბნება ვლადიმირს ბერძენი ფილოსოფოსი, – რომ ღმერთი დაიბადებოდა, ხოლო შემდეგ ჯვარს აცვამდნენ, და დაფლავდნენ, მესამე დღეს კი აღსდგებოდა და ცად ამალღებოდა, მათ კი ეს წინასწარმეტყველება დაივიწყეს; ხოლო სხვებმა არაფრად ჩააგდეს. როცა მათი წინასწარმეტყველება აღსრულდა, ჩამოვიდა მიწაზე და ვნებულ იქნა, აღსდგა და ცად ამალღდა. მათ მონანიებას 40 და 6 წელი ელოდა, მაგრამ მათ არ შეინანეს. რომაელები მიუგზავნა, მათი ქალაქები დაანგრია, ხოლო ისინი სხვადასხვა ქვეყნებში მიმოფანტა. ვოლოდიმირი ეკითხება: რის გამო ჩამოვიდა ღმერთი მიწაზე და რად იწვინა ასეთი ვნება? ფილოსოფოსმა უპასუხა: «თუ გსურს მოისმინო, რის გამო ჩამოვიდა⁶⁶³ ღმერთი მიწაზე, თავიდან მოგიყვები»⁶⁶⁴. მოყვანილ ეპიზოდებში სრული შესატყვისობაა და ამიტომ ნასესხობა უფრო მეტია, ვიდრე ჩანს. ქართული მატთანე მხოლოდ მოკლედ შენიშნავს, რომ წმ. ნინომ აბიათარს სამყაროს შექმნის მთელი ისტორია მოუყვა, ხოლო რუსმა ჟამთააღმწერელმა, ქართული ძეგლისადმი თავისი მონური მიბაძვა რომ დაეფარა, ბერძენი მისიონერი აიძულა ვლადიმირისათვის ღმერთის მიერ სამყაროს მოწყობის დაწვრილებითი ისტორია მოეყოლა; სამყაროს შექმნიდან დაიწყონ⁶⁶⁵, მაგრამ ამგვარი თხრობა საღვთო ისტორიის სახელმძღვანელოსთვისაა შესაფერისი და არა მატთანისთვის.

საჭიროდ მიმაჩნია, ქართული აგიოგრაფიიდან მეორე მაგალითს მოვუხმო, რომელიც რუს მემატთანეს სარწმუნოების არჩევანის შესახებ თავისი თხზულების წერისას შეეძლო ნიმუშად აეღო. 589_590 წლებში თბილისში წმ. ევსტათი მცხეთელი აწამეს. მისი ცხოვრების აღწერიდან ჩანს⁶⁶⁶, რომ იგი სპარსი მოგვის შვილია. მცხეთაში გადასახლდა, ქრისტიანობას გაეცნო და ცეცხლთაყვანისმცემლობის სიცრუეში დარწმუნდა. ზოროასტრას კოცონები შეიძულა და ისეთი რელიგიის ძებნას შეუდგა, რომელიც მის სულიერ მოთხოვნებს სრულად დააკმაყოფილებდა. ბევრ რელიგიაზე შეაჩერა ყურადღება, მაგრამ ისეთი ვერ იპოვა, რომ გული შეეჯერებინა, რადგან ყველა მათგანში ავხორცობას და ბიწიერებას ხედავდა. ბოლოს მისი არჩევანი ებრაულ და ქრისტიანულ

რელიგიებზე შეჩერდა. დიდხანს ყოყმანობდა, არ იცოდა რომელი აერჩია, მაგრამ მოდით, თხრობა თვით ევსტათის სიტყვებით გავაგრძელოთ. ამ შინაგანი ბრძოლის გამო თვით წმ. წამებული ევსტათი ასე მოგვითხრობს: «ხოლო მე მამული რჩული არა მიყვარდა და ვთქვი გონებასა: «ესე რჩული არა მიყვარს. აწ ჰურიათაიკა ვისმინო და ქრისტიანეთაიკა, და რომელი უკეთეს იყოს, იგი რჩული შევიყვარო». და დღისი მამად ჩემი მოგვებასა მასწავებნ და ღამელა ქრისტიანეთა დაჰრეკიან, ეკლესიად მივიდი და ვისმენდი ჟამობასა მას მათსა და ვხედვიდი მსახურებასა მას ქრისტიანეთასა, რომელსა ჰყოფდეს ღმრთისათვის. და ჰურიათა თანაცა ბაგინად შევიდი და მათსაცა მას მსახურებასა ვჰხედვიდი. ხოლო ქრისტიანეთა ლოცვასა ხმად მათი ვითარცა ხმად ანგელოზისად მესმინ. და ფრიად სურნელ არს და ჰამო ჟამობად მათი*. ხოლო ბაგინად ღამე შევიდი ჰურიათასა, ვერა ვცნი, რასა იტყვიედ. და მერმე კვალად შევედ და მომეახლა მე სამოელ არქედიაკონი (შემდგომში მცხეთის კათალიკოსი 598_612), და რჩულის მეცნიერი და მრქვა მე:

– რაისა შემოხვედი შენ ეკლესიად ესრე გულსმოდგინედ?

ხოლო მე ვარქვ მას:

– უფალო, შენცა მიცი, ვინ ვარ მე. არამედ არა მიყვარს მე რჩული ესე მამული ჩემი და მინებს ვინმცა მაცნო რჩული ჰურიათაიკა და ქრისტიანეთაიკა. და რომელიმცა რჩული უწმიდე იყო, იგიმცა შევიყვარე. მაშინ სამოელ არქედიაკონმან მრქვა მე: «უკეთუ გინებს ჰქმმარიტად ცნობად, ორივე რჩული მე გითხრა შენ კეთილად. ხოლო გამორჩევად არა შენი არს, არამედ ვითარცა უფალმან გიბრძანოს... წინადთ სპარსთა რჩული იყო, ვითარცა შენ თვით იცი. ხოლო ღმერთსა სძაგდა რჩული იგი სპარსთად და არა სთნდა. და მერმე ჰურიანი გამორჩინა ღმერთმან და სათნო იყვნა და მისცა მათ რჩული და მცნებად დამარხვად. მაშინლა ქრისტიანენი სათნო იყვნა ღმერთმან უფროდს ჰურიათადსა». შემდგომ სამუელმა უფლის მიერ სამყაროს მოწყობის ისტორია უამბო. აბრაამით დაიწყო: თავიდან როგორ შეიყვარა უფალმა ძველი ებრაელი ხალხი, როგორ იცავდა ებრაელებს სხვა ხალხებისაგან, მათივე თხოვნით, როგორ დაუსვა მეფე, მაგრამ ებრაელებმა უფალზე ხელი აიღეს, კერპთა და ბუნების საგანთა თაყვანისცემა იწყეს. ტყვეობამ ვერ გამოაფხიზლა ისინი, წინასწარმეტყველებს სცემდნენ. მაშინ უფალმა მათ გადასარჩენად თავისი ძე გაგზავნა, რომელიც იშვა ქალწულისაგან, იორდანეში იოანესაგან ნათელილო, თორმეტი მოციქული აარჩია, ახდენდა სასწაულებს, ასწავლიდა მათ, ხალხმა კი არ მოინანია, გაასამართლეს იგი და ჯვარს აცვეს, მაგრამ მესამე დღეს აღსდგა. აღდგომის შემდგომ თავის მოციქულებს მოძღვრავდა, როგორ ექადაგათ სახარება. მათ სულიწმიდა და ღვთიური სწავლება მიამადლა. მიუხედავად სასტიკი დევნისა, მისი მოძღვრება მთელ დედამიწაზე ვრცელდებოდა და ქრისტიანები უფლის რჩული და ქრისტეს მიმდევარი ხალხი გახდა⁶⁶⁷.

აი, რუსული მატიანის ავტორისათვის მეორე ნიმუში, განკუთვნილი სარწმუნოების არჩევანთან დაკავშირებით. აქ არჩევანი სამ რელიგიას შორის კეთდება: ზოროასტრულს, იუდაურსა და ქრისტიანულს შორის. სამუელის თხრობა უფრო თანმიმდევრული და დამაჯერებელია, ვიდრე ბერძენი ფილოსოფოსის ქადაგება; საერთოდ კი, მათ შორის მეტისმეტი მსგავსებაა, რაც უთუოდ რუსულ მატიანეზე ქართული თხზულების ზეგავლენას ამტკიცებს.

რუსმა მემატთანემ დრომოქმული ზოროასტრული რელიგია მაჰმადიანურით შეცვალა და მთელი სხვაობა მხოლოდ ესაა.

როგორც ქართული აგიოლოგიური ძეგლები და «ქართლის ცხოვრება» მოწმობენ, ქრისტიანობის ქადაგების დროს, წმ. ანდრია მოციქულმა ღვთისმშობლის ხელთუქმნელი ხატის მეშვეობით მესხეთის გამგებელი ქალის ერთადერთი ვაჟიშვილი მკვდრეთით აღადგინა და, როცა ქრისტიანთა ღმერთის ძალის გამოსაცდელად ხალხის გადაწყვეტილებით ეს სასწაულმოქმედი ხატი ბომონში, კერპებს შორის დაასვენეს, ხატმა ცრუ ღვთაებები დაამხო და მტვრად აქცია. ამის მხილველმა ხალხმა შესძახა: «დიდია ღმერთი ქრისტიანეთა, რომელსაც ქადაგებს მოციქული ანდრია», და ყველამ ირწმუნა ქრისტიანობა და ნათელილო⁶⁶⁸.

მეფე მირიანის სასწაულებრივი მოქცევის აღწერისას წმ. ნინოს მოწაფე სიდონია გადმოგვცემს, რომ 20 ივლისს მირიანი თავის კარისკაცებთან ერთად თხოთის მთაზე სანადიროდ წარემართა. ამ დროს მისი არსება უხილავმა ბოროტმა სულმა შეიპყრო და კერპებისა და ცეცხლთაყვანისმცემლობისადმი სიყვარული აღუძრა. როცა მეფემ თავის მხლებლებთან ერთად დედაქალაქის ახალ ქრისტიანთა განადგურება და მათ წინააღმდეგ მახვილის გაშიშვლება გადაწყვიტა, ირგვლივ წყვდიადი შემოადგა და მასთან მყოფნი თავზარდაცემულნი გაიქცნენ. მთის წვერზე მარტოდ დარჩენილმა და მომხდართ საგონებელში ჩავარდნილმა მეფემ საშველად თავის ღმერთებს მოუხმო, მაგრამ ამაოდ, ბოლოს წმ. ნინოს ღმერთი გაახსენდა და შესძახა: «ღმერთო ნინოსო, გამინათლე ბნელი ესე და მიჩუენე საყოფელი ჩემი; და აღვიარო სახელი შენი, და აღვმართო ძელი ჯუარისა და თაყვანის ვცე მას და აღვაშენო სახლი სალოცავად ჩემდა, და ვიყო მორჩილ ნინოს სჯულსა ზედა ჰრომთა». მეფემ სიტყვის დამთავრება ვერ მოასწრო, რომ სულიცა და სხეულიც გაუნათდა. «შენ ხარ ღმერთი ყოველთა ზედა ღმერთთა და უფალი ყოველთა ზედა უფალთა.» – წარმოთქვა მან. – «მიეცით ღმერთსა ნინოსსა დიდება, რამეთუ იგი არს საუკუნოთგან ღმერთი და მას მხოლოსა შუენის დიდება უკუნისამდე»...⁶⁶⁹ – ღაღადებდა იგი. მემატთანის სიტყვებით: «ღმერთის ნებით იმ დროს ვოლოდიმირს თვალები დაუავადდა, ვერაფერს ხედავდა, ძალიან წუხდა⁶⁷⁰, არ იცოდა, რა მოემოქმედა, და ეახლა მას დედოფალი და მიმართა: თუ გასურს ამ საღმობისაგან განიკურნო, მალე მოინათლე, ხოლო თუ არა, ამ საღმობას თავს ვერ დააღწევ*. ვოლოდიმირმა მოუსმინა და მიუგო: თუ ეს სიმართლეა, მაშინ ქრისტიანეთა ღმერთი ჭემმარიტად დიდი ღმერთი იქნება (იხ. ზემოთ ტექსტი, 668 შენიშვნა), და მოსანათლად წაიყვანა. კორსუნის ეპისკოპოსმა და დედოფლის სამღვდელოებამ ვლადიმირის ნათლობა გამოაცხადეს. როგორც კი მას ხელი დაასხეს, თვალი აეხილა. ვოლოდიმირმა რომ დაინახა უვნებლად განიკურნა, ადიდა ღმერთი და წარმოთქვა: «პირველად ვიხილე ღმერთი ჭემმარიტი»⁶⁷¹. მირიანის მოქცევის ამბავი თხრობის მიხედვით სავსებით ბუნებრივად გამოიყურება: მცხეთელ ქრისტიანთა განადგურების გადაწყვეტილების მიღების წილ მეფე დაისაჯა – წყვდიადმა მოიცვა და თვალით ვერაფერს ხედავდა; რუს მემატთანეს ვლადიმირის ნათლობამდელი დაბრმავება მთლად სარწმუნოდ ვერა აქვს გადმოცემული... ჩვენ აქ მეფე მირიანის მოქცევისადმი წარუმატებელ მიმბაძველობას ვხედავთ. რუსმა მემატთანემ ქართული მატთანის მდიდარი მასალა სათანადოდ ვერ გამოიყენა. ყოველივე თქმულის შემდგომ ბ. ჟდანოვის მოსაზრება,

რომ ვლადიმირის დაბრძანებისა და თვალის ახელის თხრობაზე ზეგავლენა სტეფანე სუროჟელის ცხოვრებას მოეხდინოს, ყოველგვარ საფუძველს კარგავს⁶⁷².

წმიდა ადგილების ცნობილი მომლოცველი და ქრისტიანული აღმოსავლეთის დიდი მცოდნე ა. ნ. მურავიოვი ქართველთა გაქრისტიანების ისტორიის გადმოცემისას მირიანის სასწაულებრივი მოქცევის შესახებ იმის გამო ხომ არ დუმს, რომ მირიანისა და ვლადიმირის მოქცევებს შორის დიდი მსგავსება შენიშნა?⁶⁷³

წმ. ნინოს ლოცვის დროს ამოვარდნილმა საშინელმა ქარიშხალმა კერპები დაამხო და გაანადგურა; ეს იყო ნიშანი, რომ წარმართობა ძირფესვიანად ამოიძირკვა, რომ საქართველოში ზეციური სწავლება განმტკიცდებოდა. იმ ადგილზე, სადაც კერპები იდგნენ, მირიანმა ეკლესია აღმართა. ეს დიდად მნიშვნელოვანი მოვლენა «ქართლის ცხოვრების» ცნობით 6 აგვისტოს, უფლის ფერისცვალების დღეს მოხდა⁶⁷⁴. რუს მემატეანეს მონათხრობი ძალზე მოსწონებია, მაგრამ თუ გააცხადებდა ვლადიმირმა კერპები 6 აგვისტოს დაამხო, ამით თავს გასცემდა, და აი, 6 აგვისტოს, უფლის ფერისცვალების დღეს, ვლადიმირის პაჭანიგებთან ბრძოლისა და ამ შემთხვევის გამო ეკლესიის აგების ამბავს თხზავს⁶⁷⁵.

წმ. ნინომ კერპების დამხობის წინ ზეცისკენ თვალეზი ალაპყრო და წარმოთქვა: «უფალო, მრავლითა ძალითა შენითა გეცრუვნის მტერნი შენნი და მრავლითა სულგრძელებითა შენითა იქმენ, რასაც იქმან და მოიგონებენ მტუერნი ესე ქუეყანასა ზედა... და მოხედენ წყალობით ამათცა ზედა ნათესავთა, და შერისხენ სულითა ამათ ურჩთა სოფლის მპყრობელთა და მთავართა ბნელიათა, და შახადენ ადგილთა ბნელთა»⁶⁷⁶. მომაკვდავმა მეფე მირიანმა თავის მემკვიდრეს შემდეგი სიტყვებით მიმართა: «ცისა და მიწის შემოქმედმა ღმერთმა, დაე, სრულ რწმენაში გაგამლიეროს...»⁶⁷⁷ თითქმის იგივე სიტყვები მეორდება ვლადიმირის ლოცვებში, რომელიც მან ერის მონათვლის შემდეგ ცისკენ თვალაპყრობილმა წარმოთქვა: «ცისა და მიწის დამბადებელო ღმერთო, გადმოხედე ერს ამას ახალს... გაამლიერე მათში რწმენა მართალი და შეურყვნელი»⁶⁷⁸.

მირიანისთვის თვალისჩინის სასწაულებრივი დაბრუნების შემდეგ სამეფო კარმა გადაწყვიტა, იმპერატორ კონსტანტინესთან დესპანები წარევილინა, რომ მას საქართველოში ერის გასანათლად მღვდლები წარმოეგზავნა. იმპერატორი და დედა მისი ელენე ქართველთა მიერ წმ. ნათლისღების მიღების სურვილმა მეტად გაახარა. განსაკუთრებით იმპერატორს უხაროდა, რომ მეფე მირიანის სახით იგი სპარსელთა წინააღმდეგ ერთგულ მოკავშირეს შეიძენდა და ეპისკოპოსი იოანე, ორი მღვდელი და სამი დიაკონი მოავლინა. ამას გარდა, წმ. ჯვარი, მაცხოვრისა და ღვთისმშობლის ხატები და საჩუქრები გამოგზავნა. დაბრუნებულმა დესპანებმა საქართველოში ჩამოიტანეს კონსტანტინეს გამოგზავნილი ცხოველმყოფელი ჯვრის ნაწილი, ხატები, უფლის ჯვრის ფეხთა საყრდენი ფიცარი, სამსჭვალეები, რომლებითაც მილურსმული იყო მაცხოვრის უწმიდესი ხელები, ღვთისმსახურებისათვის განკუთვნილი წმიდა საგნები, და საჩუქრები. ჩამოიყვანეს მღვდელმსახურები და ეკლესიის მაშენებელი.*⁶⁷⁹

რუსი მემატეანის ცნობითაც ვლადიმირმა თავის ნათლობამდე იმპერატორ ბასილისთან და კონსტანტინესთან სამგზის გაგზავნა დესპანები მეფის ასულ –

ანნას ხელის სათხოვნელად. იმპერატორები ამ ამბავმა ძალზე გაახარა და, როცა ვლადიმირი მეფეებს შეუთანხმდა, «მოვალ და თქვენს დაზე ჯვარს დავიწერ», მეფეებმა თავიანთ დას უთხრეს: «იქნებ ღმერთმა შენით რუსული მიწა სინანულში მოაქციოს, ამით კი ჩვენ მძვინვარე ლაშქრობას აგვაცილებ; ხომ ხედავ, რუსებმა ბერძნებს რამდენი უბედურება დაატეხეს? თუ ახლა არ წახვალ, კიდევ ზიანს მოგვაყენებენ»⁶⁸⁰. ანნას ხუცესებიც გამოაყოლეს. ოდნავ ქვემოთ მემატიანე ადასტურებს, რომ ვლადიმირი კორსუნიდან რომ გაემგზავრა, «წმ. კლიმენტისა⁶⁸¹ და მისი მოწაფის, ფიფას წმ. ნაწილები, საეკლესიო ნივთები და ხატებიც თავისი თავის საკურთხებლად თან წაიღო»⁶⁸². არის თუ არა საჭიროება იმისა, რომ აქ რუსული მატიანიდან და «ქართლის ცხოვრებიდან» მოყვანილი ამონარიდების სრული თანხვედრა ვამტკიცოთ?

რუს მემატიანეს სურდა ვლადიმირის მიერ ქრისტიანობის მიღება ქართველების მსგავსად ბერძნებთან დაეკავშირებინა, ამიტომ კონსტანტინოპოლში დესპანების გაგზავნის ამბავი შეთხზა, მაგრამ ისტორიკოს ე. ე. გოლუბინსკის უფრო სარწმუნოდ მიაჩნია, რომ ვლადიმირი 987 წელს მონათლა ვარიაგ-ქრისტიანთა სამღვდელოებამ⁶⁸³. ამ დროიდან ორი წლის შემდგომ ვლადიმირი, როგორც ბერი იაკობი (ვლადიმირის ქებაში) და ღირსი ნესტორ პეჩორელი (ბორისისა და გლების ცხოვრებაში) ადასტურებენ, თავისი ნათლობის საკითხებთან დაკავშირებით ურთიერთობას ბერძნებთან ამყარებს.

მეფე მირიანი ბერძენ ქალზე, ულიოთორის ასულ ნანაზე იყო დაქორწინებული⁶⁸⁴. დიდი მთავარი ვლადიმირიც, მატიანის ცნობით, ბერძენთა მეფის ასულ ანაზე დაქორწინდა⁶⁸⁵. ნანა და ანა თითქმის მსგავსი სახელებია, და თუ მიზნად დავისახავთ და ასოთა გადაადგილებით პირველი სახელიდან სხვას შევადგენთ, უსათუოდ ანნას მივიღებთ.

ნათლობისკენ ხალხის მოწოდებაც ქართველ და რუს მემატიანეთა მიერ ერთნაირადაა გადმოცემული. ბიზანტიიდან მცხეთაში ეპისკოპოსის, სამღვდელოთა და დიაკონის ჩამოსვლისთანავე მეფე მირიანმა ერისთავებს, მხედართმთავრებსა და სამეფო ოჯახის პირებს ბრძანება დაუგზავნა, რათა დაუყოვნებლივ წარმდგარიყვნენ მის წინაშე. გვირგვინოსნის ბრძანება შესრულდა. მცხეთაში წმ. ნათლობის აღსრულება დაიწყო. ჯერ მეფე და მისი ოჯახი მოინათლა, შემდეგ კი – დიდებულები. ხალხი, რომელსაც ახსოვდა წმ. ნინოს სიტყვები: «ვინც ნათლობას არ მიიღებს, იგი მარადიულ ნათელს ვერ ეზიარება»⁶⁸⁶, მეფე მირიანის და დიდებულების ხილვაზე, მდ. მტკვარში დიდი სიხარულითა და მოწადინებით ინათლებოდა. მემატიანის თქმით, ვლადიმირმაც, «მთელ ქალაქს ამცნო ბრძანება: «ვინაც დილითვე მდინარეზე არ მოინათლება, მდიდარი თუ ღარიბი, უპოვარი თუ მსახური, ჩემთვის საძულველი იქნება». ამის გაგონებაზე ერი სიხარულით მიმოდოდა, მხიარულობდა და ამბობდა: «ეს რომ კარგი არ იყოს, მთავარი და ბოიარები როდი მიიღებდნენ». მეორე დილითვე ვლადიმირი დედოფლის სამღვდელოების და კორსუნელთა თანხლებით დნეპრთან მივიდა; – იქ თავი აურაცხელმა ერისაგანმა მოიყარა: წყალში ჩადიოდნენ და შიგ ყელამდე ეფლობოდნენ, სხვები მხრებამდე, მოზარდები კი ნაპირთან მკერდამდე, ჩვილები და პატარები ხელში ჰყავდათ აყვანილი, მღვდლების მითითებებს ასრულებდნენ და მათ ლოცვა-კურთხევას იღებდნენ»⁶⁸⁷.

ჩვენი სამამულო მატთანე გვატყობინებს, რომ მირიან მეფის ნათელღების შემდგომ, იმავე დღეს ეპისკოპოსმა მდინარე მტკვარი აკურთხა, – ხიდის სიახლოვეს დიდ-დიდნი წარჩინებულნი მონათლა და მათი ნათლობის ადგილს სანათლო ეწოდა. ხოლო მტკვარში ცოტათი ქვემოთ ერის დანარჩენი ნაწილი განათლეს⁶⁸⁸. რუსების ნათლობასაც ზუსტად ასევე ასახავს სამხრეთ რუსეთის ვლადიმირის ცხოვრებაც: «თვით მიტროპოლიტმა მიხეილმა ვლადიმირის თორმეტივე ვაჟიშვილი, რომლებიც სამი ცოლისაგან ჰყავდა, განსაკუთრებულ წყალში მონათლა⁶⁸⁹, ხოლო დანარჩენები ერთად მონათლეს დნეპრში⁶⁹⁰ და ნათლობის ადგილმა, როგორც «სინოპსისის» ავტორი მოწმობს, კრემჩატიკის, ან ხრემატიკის (ნათლობის) სახელწოდება მიიღო.

«ქართლის ცხოვრების» ცნობით, მეფე მირიანი ეპისკოპოს იაკობისაგან, წმ. ნინოს ხელთა ქვეშ (ანუ ხელდასხმით) მოინათლა, ხოლო შემდგომ მოინათლნენ დედოფალი და უფლისწულები⁶⁹¹. რუსი მემატთანეც ვლადიმირის ნათლობის მიმდინარეობას ამავე სახით წარმოგვიდგენს. თვით საიდუმლოს აღსრულების დროს ეპისკოპოსმა ვლადიმირს «ხელნი დაასხა»⁶⁹². ხელდასხმის ბიბლიური ჩვეულება, როგორც მაღლთან ზიარებისა და ძალაუფლების გადაცემის სიმბოლო, მეფე მირიანის და მისი ოჯახის მოქცევის ისტორიაში რომაა მოხსენიებული, შეიძლება იმით ახსნას, რომ მსოფლიო საეკლესიო კრებამდელ ეპოქაში უპირველესი ეკლესია ფორმირების ფაზაში იყო და ჯერ კიდევ საბოლოო სახით ჩამოყალიბება ვერ მოესწრო. ამიტომ ზოგიერთმა გარეგნულმა წეს-ჩვეულებამ, რომლებიც ებრაული სინაგოგისაგან მემკვიდრეობით გადმოვიდა, ქრისტიანულ ეკლესიაში თავისი მნიშვნელობა შეინარჩუნა, როგორც წმ. ნათლობის მიძღვრება, ისე ხელდასხმამიღებულთათვის. დროთა განმავლობაში ხელდასხმა იშვიათ წეს-ჩვეულებად იქცა საღმრთო-ეკლესიურ თანამდებობაზე კურთხევისათვის. ვლადიმირის ნათლობის ხელის დადებით საიდუმლოების აღსრულება კი X საუკუნის ბოლოს ანაქრონიზმია, რაც მხოლოდ იმით შეიძლება აიხსნას, რომ რუსი მემატთანე ბაძავს და ზედმიწევნით აღადგენს «ქართლის ცხოვრების» მონათხრობს მირიანის მოქცევის შესახებ.

ერის ნათლისღების შემდგომ წმ. მოციქულთასწორი ნინო ასე ლოცულობს: «კურთხეულ არს უფალი ღმერთი იესო ქრისტე, და მამა უფლისა ჩუენისა იესო ქრისტესი, რომელმან მოავლინა სიტყუა მისი წმიდა ზეციტგან მაღალთათა თვით ძლიერისაგან საყდრისა გარდამოსრული ქუეყანად მდაბლად, შობილი უეჭუელად თესლისაგან დავითისა, დედაკაცისაგან მარტოდ შობილისა, წმიდისა და უბიწოსა; რომელი სათნო ეყო მას მიზეზითა, მიზეზი ცხოვრებისა ჩუენისა, რომელმან ცასა ქუემე ყოველივე განანათლა და მორწმუნენი აცხოვნა; რომელი იშვა ვითარცა კაცი, ნათელი ყოველთა, ხატი ღმრთისა მამისა, და ვითარცა მსახურმან ვინმე სჯულისამან ნათელ-ილო წყლისაგან და სულისა, ჯუარს ეცუა, დაეფლა და აღსდგა მესამე დღესა, და აღვიდა სიმაღლესა მამისა თანა, და კუალად მოვალს დიდებით; რომელსა შუენის ყოველივე დიდება, პატივი და თაყვანისცემა თანა მამით და სულით წმიდით, უკუნითი უკუნისამდე. ამინ.⁶⁹³

ამ ლოცვის მაგივრად, რომელშიც ქრისტიანული მოძღვრების არსი მოკლედაა გადმოცემული, რუსმა მემატთანემ ვლადიმირის პირით გადმოსცა ძველი საეკლესიო წიგნებიდან ნასესხები სარწმუნოების მეტად ვრცელი აღიარება, ნახევრად არიანული შეფერილობით (დედაარსით/⁶⁹⁴, თუმცა წყაროს

ჩვეულებისამებრ მონდომებით მალავს⁶⁹⁵. ზოგიერთი სწავლული ვლადიმირის სარწმუნოების აღიარებაში ორიგინალობის ნიშნებს პოულობს⁶⁹⁶, მიუხედავად იმისა, რომ ამისი არავითარი საფუძველი არ გააჩნია. მაგრამ მიტროპოლიტი მაკარი იმ თვალსაზრისს იცავს, რომ მთავარ ვლადიმირს რწმენის სიმბოლო ნამდვილად «ხერსონში მისი ნაჩქარევი მონათვლის შემდგომ» გადაეცა, და «ზოგიერთი ადგილის გამოკლებით ბერძნული მრწამსის აღიარების მიქაელ სვინგელოზისეულ ზუსტ თარგმანად» მიიჩნევს⁶⁹⁷.

წმ. სილონია მირიანის მიერ ეკლესიათა შენების შესახებ საუბრისას ყვება ხილვებზე, რომლებიც წმ. ნინოს მოწაფეებს ჰქონდათ: არმაზის მთა მტკვარში ჩავარდა, ხოლო ზადენისა – არაგვში. მდინარეები დედაქალაქის შემოგარენს ფარავდნენ და ამ დროს ველური გმინვა და საშინელი მიწისქვეშა ბიძგები ისმოდა. წმ. ნინომ ისინი დაამშვიდა და უთხრა; «თქვენ მიერ მოსმენილი ველური ხმები ეშმაკეულთა გმინვაა, ისინი, ამ ადგილიდან უზენაესის ძალითა და ქრისტეს ჯვრით დევნილნი, შესაბრალისად გოდებენ»⁶⁹⁸.

რუსი კომპილატორი მოყვანილი ადგილის მიხედვით ამბობს: «მაგრამ (ეშმაკი) წმიდა ჯვრის ძალით სხვა ქვეყნებშიც განსადევნია, სადაც ბუდობს წყეული. სადაც ჩვენი საცხოვრებელია, მოციქულთა სწავლებით, ისინი იქ არ უნდა იყვნენ... ვაი, რომ, როცა აქედან განმდევნიან, სად უნდა ვპოვო ჩემი სადგომი»⁶⁹⁹, წამოსცდა მემატიანეს და ძალაუნებურად თავის პირველწყაროზე მიუთითა. მატიანის სიტყვებში – სხვა ქვეყნებშიც в иных странах, უდავოდ ქართლი იგულისხმება, რადგან შეუძლებელია, რომელიმე სხვა ენაზე ქართულის მსგავსი თხზულების დასახელება, რომლიდანაც რუს მემატიანეს ზემოთ მოყვანილი გამონათქვამების სესხება შესძლებოდა.

როგორც დავინახეთ, რუს ჟამთააღმწერელს ეშმაკის ნათქვამი ორჯერ მოჰყავს, რადგან ქართულ ძეგლებში, რომლებითაც იგი ხელმძღვანელობდა, ასევე, ორ ადგილას იპოვა თხრობა ეშმაკების გოდების შესახებ. ისტორიკოს თეიმურაზ ბატონიშვილის ცნობით, რომელმაც საქართველოს ისტორია უძველეს წერილობით წყაროებზე დაყრდნობით IV საუკუნემდე განასრულა, ქართველთა განმანათლებლის წმ. ნინოს ჯერ კიდევ ივერიაში ჩამოსვლამდე წარმართ ქართველებს მთავარი ეროვნული კერპის, არმაზის შემდეგი სიტყვები მოუსმენიათ: «მე ვარ ნაშობი უწმიდესი ნათლისაგან; ახალშობილი კი ჩემი ნათლის დასაჩრდილად არის განმზადებული»⁷⁰⁰. მეორე გამონათქვამს წმ. ნინოს მოწაფეთა ხილვის შემდეგ ჰქონდა ადგილი⁷⁰¹.

მეფე მირიანმა ხელები ცისკენ აღაპყრო და წარმოთქვა: «კურთხეულია უფალი იესო ქრისტე, ძე ცხოველი, უფლისა»... «შენ დასაწყისიდანვე მოიწადინე ჩვენი გათავისუფლება ეშმაკეულისაგან და წყვდიადის (ჯოჯოხეთის) შურისგებისაგან»⁷⁰². რუსი ჟამთააღმწერელიც ბავშვებისათვის წიგნის სწავლების შესახებ თხრობისას ამბობს: «უფლის ნებით შეწყალებულნი ვიქნებით უბიწო ცხოვრებისა და სულის განახლების გამო და არა ჩვენს საქმეთა მიხედვით. კურთხეულია უფალი იესო ქრისტე; მან შეიყვარა ახალი მიწა რუსული, გაანათე ის წმიდა ნათლისღებით... კურთხეულია უფალი, რამეთუ კბილებით ჩვენს შეპყრობას არ დაანებებს მათ; ბადე შეიმუსრება, და ჩვენც ეშმაკეული ხიბლისაგან უმაღლესი გათავისუფლდებით»⁷⁰³. ლოცვების სესხებასთან დაკავშირებით საჭიროა

შევნიშნოთ, რომ მირიან მეფის მოქცევის ჭარბ და მეტად მდიდარ მასალას რუსული მატიანის ავტორი ვერ მოერია, – წმ. ნინოს, მირიანის, აბიათარისა და სიდონიას სავედრებელი ლოცვებიდან ცალკეულ ფრაზებს იღებდა, ზოგიერთ ადგილს ამოკლებდა და ამპუტაციას უკეთებდა, ეკლესიის პრაქტიკაში ყველაზე ხშირად გამოყენებული ტექსტებით უხვად ავსებდა, რომ ამით ნასესხობათა კვალი უფრო ადვილად დაეფარა. რუსი მემატიანე საღმრთო ისტორიის ტექსტებსა და მაგალითებს ზოგჯერ უადგილო ადგილას აბნევს ხოლმე.

მთას, რომელზედაც ქართული კერპი, საშინელი გრიგალითა და სეტყვით დამხობილი არმაზი იდგა, კერპის სახელის მიხედვით არმაზის მთა ეწოდებოდა⁷⁰⁴. მას ამჟამადაც ასე ეძახიან. ამ ქართული თქმულების გავლენით რუსი მემატიანე ჰყვება, რომ პერუნი დაამხო: «ქარიშხალმა, რომელიც პერუნს ისეთი სიძლიერით ეკვეთა, რომ მასზე აქამდე ჰყვებიან»⁷⁰⁵. წმ. ნინო და ეპისკოპოსი იოანე ერისთავთან ერთად ჩრდილოეთის მთიელ ქართველებთან სახარების საქადაგებლად გაემართნენ, დაამხვეს კერპები და ზოგიერთი მთიელი წმ. ნათელსაც ეზიარა⁷⁰⁶. არის ცნობა, რომ კონსტანტინოპოლიდან გამოგზავნილი მიტროპოლიტი ეპისკოპოსებითურთ, ვლადიმირის ბიძასთან, დობრინთან და ანასტასთან ერთად დადიოდნენ ჩრდილოეთში და ხალხს ნათლავდნენ, მაგრამ ქრისტიანობა ყველა იქაურმა მცხოვრებმა როდი მიიღო⁷⁰⁷.

მირიან მეფემ თავის დედაქალაქში ორი ტაძარი – სვეტიცხოველი და სამთავრო ააგო. სამთავროში ჰპოვა კიდევ განსასვენებელი⁷⁰⁸. მირიანის მიერ აგებული პირველი ტაძარი ხისა იყო. თავდაპირველი მატიანის ცნობით, ვლადიმირმაც კიევში ორი ტაძარი ააგო: ვასილი დიდისა – ხის და ღმრთისმშობლისა. მას «დესიატინისა» უწოდეს⁷⁰⁹, იქ დაიკრძალა ვლადიმირი⁷¹⁰:

მირიან მეფემ პირველი ტაძარი, სვეტიცხოველი, თავისი სასახლის ახლოს აღმართა⁷¹¹; რუსული მატიანის მიხედვითაც ვლადიმირმა პირველი ეკლესია მთავრის სასახლის პირდაპირ ააშენა⁷¹².

როგორც წმ. სიდონია მოგვითხრობს, მცხეთის ტაძრის, სვეტიცხოველის მშენებლობისა და სასწაულმოქმედი ხის ჯვრის აღმართვისას, ელიოზის დის საფლავზე მრავალი სასწაული ხდებოდა⁷¹³. ამ თქმულებათა ზეგავლენით რუს ჟამთააღმწერელთან გაჩნდა თხრობა სასწაულებსა და საკვირველებებზე, რომლებიც კიევ-პეჩორის სავანის ტაძრის დაფუძნებისას ხდებოდა⁷¹⁴, და ასევე თეოდოსის სამარეზე სვეტის ხილვის შესახებ⁷¹⁵.

«ქართლის ცხოვრება» მოგვითხრობს, რომ მირიან მეფის, მისი ოჯახისა და ქართველთა განათვლის შემდგომ იმპერატორ კონსტანტინესთან მიავლინეს ახალი ელჩობა, რათა მას გამოეგზავნა ცხოველმყოფელი ხის ნაწილი, რომელიც იმ დროისათვის ღმრთისმოყვარე დედოფალ ელენეს ჰქონდა მოპოვებული, ასევე ხუცესი და ეკლესიათა მშენებლობისათვის – კირით ხურონი. ბიზანტიის იმპერატორმა მირიანის ყველა თხოვნა შეასრულა⁷¹⁶. ეს ამბავი «ქართლის ცხოვრებიდან» რომ ამოიკითხა, რუსმა ჟამთააღმწერელმა თავის მატიანეში შემდეგი ცნობა მოათავსა: «6497 (989) წლის ზაფხულში, ვინაიდან ვლადიმირი ქრისტიანული წესით ცხოვრობდა, ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის ეკლესიის აგება და ბერძენი ოსტატების ჩამოყვანა განიზრახა»⁷¹⁷.

ქართულ ენაზე მირიან მეფისა და ქართველთა მოქცევის თაობაზე უწინარეს ყოვლისა შეადგინეს თხზულებები, რომლებიც შემდეგ თვით მატიანეში შეიტანეს. დიდი მთავრის, ვლადიმირის ნათლობის ისტორიაშიც იგივე მეორდება: თავიდან შეადგინეს «ნეტარი ვლადიმირის ცხოვრება», რომელიც მღვდელ იაკობს (XI ს.) მიეწერება, ხოლო შემდგომ ამ «ცხოვრების» ცნობები რუსულ დაწყებით მატიანეში შევიდა.

როგორც «ქართლის ცხოვრება» გვიდასტურებს, წმ. ნინომ მცხეთაში ქართველთა განათვლის შემდეგ, ფრანგი (ბრანჯი) დიაკონის ხელით რომის წმ. პატრიარქის მიერ გამოგზავნილი გასამხნეველები წერილი მიიღო⁷¹⁸. ეს პაპის მიერ ვლადიმირთან მისი და მისი ხალხის ნათლისღების გამო მისასალმებლად დესპანთა გამოგზავნის შესახებ თხზულების შედგენას დაედო საფუძვლად⁷¹⁹. მემატიანემ, ეტყობა, პაპის ელჩობის შესახებ საუბრისას თავისი გულუბრყვილობით შინაგანი წინააღმდეგობრიობა ვერ შენიშნა: 986 წელს ვლადიმირმა პაპის მიერ გამოგზავნილი გერმანელი (კათოლიკე) მისიონერები⁷²⁰ უარით გაისტუმრა, ხოლო ორი წლით გვიან, ვლადიმირის მიერ მართლმადიდებლური ქრისტიანობის მიღების მერე, პაპი მოსალოცად საგანგებო ელჩობას აგზავნის. ელჩების გამოგზავნა აზრს მოკლებულია, ვინაიდან, ამ დროს აღმოსავლეთისა და დასავლეთის ეკლესიები ერთმანეთთან დაობენ და ერთმანეთს ანათემას უთვლიან. თუ მსგავსი ელჩობა მართლაც იყო, ამის შესახებ პაპის წერილები იქნებოდა შემონახული, როგორცაა პაპ იოანე VIII-ის წერილები ოლასის მიტროპოლიტ ვალბერგისადმი 877 წელს, ხორვატეთის მთავარ ბრანიმირისადმი 879 წლის 2 ივნისს, პაპ სტეფანე VI-ისა 886_887 წლებში ნინის ეპისკოპოს თეოდოსის სახელზე; მისივე წერილი ეპისკოპოს თეოდოსის სახელზე 891 წელს, პაპის, იოანე IX-ისა 925 წელს, _ დალმატის სამღვდელთა სახელზე და ლევისა _ 929 წელს, ხორვატეთის მეფის თამისლავისა და სამღვდელთა სახელზე.

ნინოს სანეტარო განსვენების წინ მის სარეცელთან თავმოყრილი ერი თხოვნით მიმართავს მას, მოუთხროს საკუთარი წარმომავლობის შესახებ. «რამეთუ ესერა გვისწავიეს შენ მიერ, ვითარმედ ყოფილ არიან წინასწარმეტყუელნი პირველ მისა ღმრთისა და შემდგომად მოციქულნი ათორმეტნი და სხუანი სამოცდაათნი, და ჩუენდა არავინ მოავლინა ღმერთმან გარნა შენ»⁷²¹. ამ ადგილის გამოძახილია რუსი მემატიანის შემდეგი სიტყვები: «...ეს მოციქულებს არ უსწავლებიათ, არც მახარებლებს უწინასწარმეტყველებიათ»⁷²².

მეფე მირიანმა გარდაცვალების წინ თავის მემკვიდრეს მიმართა: «შვილო ჩემო, შეიცვალა ბნელი ჩემი ნათლად და სიკუდილი ცხოვრებად...» და თავზე სამეფო გვირგვინი დაადგა⁷²³. მეფე ვახტანგ პირველმაც, მიყენებული ჭრილობებისაგან რომ კვდებოდა, გარშემომყოფთ მიმართა: «მე ესერა წარვალ... _ და თავის მემკვიდრეს უთხრა, _ შენ ხარ პირმშო შვილი ჩემი, შენდა მომიცია გვირგვინი მეფობისა ჩემისა, და ნაწილად ძმათა შენთა მიმიცია ტასისკარიტგან და წუნთითგან ვიდრე სომხითამდე... და იყვნენ შენდა ერისთავად მორჩილებასა ქუეშე ნათესავისა შენისასა»⁷²⁴.

რუსული მატიანეც «ქართლის ცხოვრების» მიზამვით მომაკვდავ იაროსლავს თითქმის ამასვე ათქმევინებს: «თავისი ვაჟიშვილები გაამწკრივა, _ მოგვითხრობს მატიანე, _ და მიმართა მათ: აი, ვტოვებ მე ამ სოფელს, ძენო ჩემნო, გიყვარდეთ

ერთმანეთი... ჩემს ყველაზე უფროს ვაჟიშვილსა და თქვენს ძმას ამას ვავალებ... ყური უგდეთ მას... და ასე უწილადე მათ ქალაქები»⁷²⁵.

მირიან მეფემ აღსასრულის მოახლოება რომ იგრძნო, დედოფალ ნანას მიუბრუნდა და მიმართა: «აჰა, ესერა, მე წარვალ, ვინაცა მოვედ... და ვმადლობ მრავალმოწყალესა ღმერთსა, დამზადებელსა ცისა და ქუეყანისასა, რომელმან წარტყუნული ეშმაკისაგან მიხსნა მე პირისაგან ჯოჯოხეთისა და ღირს მყო მე მარჯუნით მის თანა. შენ, ნანა, უკეთუ გეცესლა მოცალეა, ცხოვრებისა ჩემისა შემდგომათ განყავ სამეფო განძი ჩუენი ორად, და მოილე სამარხავსა ნინოსა, განმანათლებელისა ჩუენისასა, ჟამთა შეცვალეებისათვის, რათა არა შეირყოს უკუნისამდე იგი ადგილი; რამეთუ მეფეთა საჯდომი არს, არამედ მწირ არს». ეგრეთვე დაევედრა ეპისკოპოსსა, რათა აღიდონ დიდება მის ადგილისა, «რამეთუ ღირს არს პატივისცემასა»⁷²⁶. «ქართლის ცხოვრების» მიმსგავსებით რუსი მემატიანე რუსეთის განმანათლებლის, მოციქულთასწორის ვლადიმირის დამსახურებებს რომ გვამცნობს, წუხს: «ამ ქვეყნიდან გასულს კუთვნილ პატივს არ მივაგებთ. მას ჩვენ რომ არ გავენათლეთ, – ამბობს მემატიანე, – მაშინ, ახლაც ეშმაკის ცდუნებაში ვიქნებოდით... ჩვენ მისთვის ღმერთის წინაშე უნდა ვილოცოთ, რათა მით ღმერთი შევიცნოთ»⁷²⁷.

მეფე მირიანმა (მირვანი) მოქცევის შემდგომაც თავისი წარმართული სახელი შეინარჩუნა. ვლადიმირიც ასევე იქცევა, თუმცა მას წმ. ნათლობის დროს სახელი ვასილი დაანათლეს. წმ. ნინო 14 იანვარს მიიცვალა და ქართულმა ეკლესიამ ეს თარიღი მისი ხსენების დღედ დააწესა. რუსულ მატიანეშიც იგივე მეორდება: მოციქულთასწორის წმ. ვლადიმირის გარდაცვალების დღე, 15 ივლისი მისი ხსოვნისა და მოღვაწეობის აღსანიშნავ თარიღად იქცა. «ქართლის ცხოვრება» წმ. მეფე დავით აღმაშენებელსა⁷²⁸ და დიდ მეფე წმ. თამარს⁷²⁹ მოციქულთასწორ კონსტანტინეს ადარებს. რუსული მატიანეც წმ. ვლადიმირს კონსტანტინე დიდს⁷³⁰ ადარებს.

ქართული ეკლესიის ახლად დანერგილი ცხოველმყოფელი სვეტის (სვეტი ცხოველი) პირველი ეროვნული დღესასწაული 1 ოქტომბერს აღინიშნება; რუსული ეკლესიის პირველი ეროვნული დღესასწაული «დესიატინის» ტაძრის კურთხევაა⁷³¹, მაგრამ პირველი ოქტომბერიც რუსეთში ასევე ეროვნულ დღესასწაულად იქცა ამ დღის საფარველის დღედ დაწესების გამო, რომელიც არ იცის მართლმადიდებლურმა აღმოსავლეთმა. რუსეთში თვით საფარველის დღესასწაული უცილობლად მართლმადიდებლური ივერიის ეკლესიის ღვთისმოსაური გადმოცემის გავლენითაა დადგენილი, რომლის მიხედვითაც, ივერია ღვთისმშობლის წილხვდომილია და იგი მისი მუდმივი შემწე და მფარველია.

«ვლადიმირის» სახელის წარმოშობასთან დაკავშირებით, პროფ. ვ. ვ. ბოლოტოვი იმ აზრისაა, რომ ამ სახელში შემოინახა დანიური სახელის «Valdemar»-ის უძველესი ფორმა ვინაიდან გოთური «mers» არის ძველად ცნობილი ძველსკანდინავიური «marik»: ამიტომ ვარიაგული სახელი «ვლადიმირიც» potestas pacis-ს* კი არ ნიშნავს, არამედ სლავურ «ვლადისლავს» შეესატყვისება. სახელი «ვლადიმირი» ქართველი მეფის, მოციქულთასწორი მირიანის, ანუ მირვანის სახელიდან ხომ არაა წარმოქმნილი: მემატიანეს შეეძლო მირ-ი რუსულ-სლავურ

სიტყვად მიეღო, ხოლო-ვანი-სამფლობელოს, დასახლებას ნიშნავს და ეს არცთუ ისე შემთხვევითი თანხვედრაა.

აქ ძალაუნებურად ერთი კითხვა იბადება: ლეგენდა, რომ მატიანის ავტორი პეჩორელი ბერი იყო, «ქართლის ცხოვრების» ერთი მოკლე ცნობის გავლენით ხომ არ ჩამოყალიბდა? საქმე ისაა, რომ ჩვენი სამამულო მატიანე 1227 წელს ხვარაზმელი ჯალალედინის აღმოსავლეთ საქართველოზე თავდასხმისა და დედოფალ რუსუდანის თბილისიდან საკუთარი სამეფოს დასავლეთ ნაწილში თავის შეფარების გამო თხრობას შემდეგი სიტყვებით ამთავრებს: «როგორც წერს (ამის შესახებ) ვინმე ბერი მღვიმელი»⁷³². მღვიმელი რუსულად პეჩორელს ნიშნავს. საერთოდ, უნდა აღინიშნოს, რომ ქართული ლიტერატურული ძეგლების ზეგავლენით, რომლებიც მღვიმელის მონასტრის მნიშვნელობას განიხილავენ, რუსი მემატიანის ყურადღებას ასევე კიევ-პეჩორის ლავრა და მისი მკვიდრებიც იპყრობს. რაღაც შემთხვევითობის წყალობით ეს სავანეები ერთნაირადაა დაშორებული ყოფილ დედაქალაქებს – მცხეთასა და კიევს.

ზემოთ დაგვირდით, რომ ვლადიმირის მომდევნო ეპოქიდან რამდენიმე პარალელურ ადგილს მივუთითებდით. მკითხველს 6604 (1096) და 6615 (1107) წლების ზოგიერთი მაგალითი უკვე გავაცანით. აქ კიდევ რამდენიმე მაგალითს მივუთითებთ: მეფე დავით აღმაშენებელი (1089_1125), თავისი იავარქმნილი სამეფო მუსულმანთა ბატონობისაგან რომ გაეთავისუფლებინა, საეკლესიო წესების აღდგენასა და ქართველთა ზნე-ჩვეულებების გამოსწორებას შეუდგა, რაც მისი ქვეშევრდომებისთვის მაჰმადიანური უღლის გადასაგდებად მოსამზადებელი ნაბიჯი იყო. როგორც «ქართლის ცხოვრება» შენიშნავს: «მეფემ გონებით განჭვრიტა და გულისხმა ჰყო უფლის მიერ შთაგონებული საქმე», და 1103 წელს მოიწვია ცნობილი საეკლესიო კრება, რომლის თავყრილობაც რუის-ურბნისის მტკვრისპირა ველზე მიმდინარეობდა⁷³³. ამ კრების დადგენილებები «ძეგლის წერის» სახელწოდებითაა შემონახული. რუს მემატიანეს, რომელიც ჩვეულებრივ ბაძავს «ქართლის ცხოვრებას», ამავე (1103) წლით დაათარიღა მის მიერ გამოგონილი დოლობის ტბის ნაპირზე მთავართა თავყრილობა (საერობო კრება), მოწვეული რუსეთის წინააღმდეგ ყივჩაყთა მტრულ მოქმედებათა აღსაკვეთად: «ღმერთმა რუს მთავრებს, სვიატოსლავსა და ვლადიმირს ჩააგონა და დოლობში ბჭობისთვის შეიყარნენ»⁷³⁴.

რუსმა მემატიანემ თავისი ცნობები მონგოლებსა და მათ შემოსევებზე ამოკრიბა «ქართლის ცხოვრებიდან», რომელიც მონგოლებზე, სხვათა შორის, შემდეგ რამეს მოგვითხრობს: «გამოჩნდნენ გასაოცარი ადამიანები... უცნაური გარეგნობით, წეს-ჩვეულებებით, ქცევითა და ხასიათით. ძველ წიგნებში მათზე ცნობები არ მოიპოვება. ისინი უცხო ენაზე მეტყველებენ, უცნაური გარეგნობა და ცხოვრების წესები აქვთ. მათ მთელი აღმოსავლეთი დაიპყრეს და უამრავი სამეფო იავარჰყვეს»⁷³⁵. შემდგომ ყეინ ბათუზე ნათქვამია, რომ მას «ემორჩილება ოსეთი (მოსახლეობდნენ იასები და კოსოგები), ყივჩაყეთი (ყივჩაყთა მიწა), ხაზარეთი და რუსეთი»⁷³⁶.

რუსული თავდაპირველი მატიანეც 1223 წელს მონგოლებზე (თათრებზე) მსგავს ცნობებს იუწყება: იმავე (1223) წლის ზაფხულში გამოჩნდნენ წარმართები, მათ არავინ გარკვევით არ იცნობს, საიდან არიან და საიდან მოვიდნენ, და რა ენაზე მეტყველებენ, და რა ტომს მიეკუთვნებიან, და რა რწმენისანი არიან...

ბრძენთაბრძენმა კაცებმა, რომლებიც წიგნიერები არიან, იციან; ჩვენ კი მათ არ ვიცნობთ... გაგვიგონია, როგორ დაიპყრეს ბევრი ქვეყანა, იასები, ობეზები⁷³⁷, კოსოგები და ურწმუნო ყივჩაყები მრავლად რომ ამოხოცეს...⁷³⁸

როგორც რუსუდან დედოფლის წერილიდან ჩანს, რომელიც საქართველოში მონგოლთა შემოსევებთან დაკავშირებით რომის პაპისადმია მიწერილი, ქართველები ფიქრობდნენ, რომ ისინი ქრისტიანები იყვნენ, რაც, შესაძლოა, ეფუძნებოდა ჩინგიზის შესახებ მოღწეულ ცნობას (გადმოცემას), რის მიხედვითაც, თითქოს მან მთაზე ქრისტე იხილა, რომელმაც ზეციური მოძღვრება ასწავლა (ქართ. ცხოვრ. ტ. I. გვ. 345). ამიტომაც მონგოლების შესახვედრად ლიტანიით გაემართნენ, მაგრამ მათ ქართველთა უღმობელ ხოცვა-ჟლეტას მიჰყვეს ხელი (მ. თამარაშვილი. «ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის», გვ. 16_17). რუსმა მემკვიდრეებმა ამ ცნობით ისარგებლა და, როცა რუსებზე მონგოლთა თავდასხმის მსგავს სურათს აღწერს, ამბობს: «არა იცოდნენ რა რუსებმა თათართა სიციხის შესახებ, რომლებსაც ისინი ჯვრებით აღჭურვილნი მიეგებნენ, იმათ კი ყველანი ამოხოცეს» (Лавр., გვ. 482). როგორც ზემოთ ვიხილეთ, საქართველოში მონგოლთა შემოსევის წინ ხალხში ხმა გავრცელდა, რომ ისინი ქრისტიანები არიან და ამის გამო გამოვიდნენ მათ შესახვედრად ჯვრებითა და ლიტანიით, მაგრამ რუს მემკვიდრეებს მსგავსი არაკის თხზვისათვის არავითარი საფუძველი არ გააჩნდა.

«ქართლის ცხოვრება» იუწყება, რომ მონგოლთა მიერ დამარცხებული ჯალალ ედინი ქართველებს სთხოვდა, მასთან შეეკრათ კავშირი მონგოლთა წინააღმდეგ, რომლებთანაც ქართველები მარტო ვერაფერს გახდებოდნენ (ქართლ. ცხოვრ. ტ. I, გვ. 352_353). ამ ცნობის გავლენით, რუსმა მემკვიდრეებმა ასევე შეთხზა ამბავი, როგორ მივიდა რუს მთავრებთან მონგოლთა მიერ ასევე დამარცხებულ ყივჩაყთა მთავარი კოტიანი, რომელიც დახმარებას ამ სიტყვებით ითხოვს: «ჩვენი მიწა დღეს წაგვგვარეს, ხოლო თქვენ ხვალ მოსულეები წაგვგვრიან, დაგვიცავით, თორემ, თუ არ დაგვეხმარებით, ჩვენ ახლა დაგვხოცავენ, თქვენ კი ხვალ დილით დაიხოცებით». (ლიტ. აკად. კრებ. გვ. 478).

«ქართლის ცხოვრება» ადასტურებს, რომ: «ჩვენ, ანუ ქართველები, მანგულებს (მონგოლებს) თათრებს ვეძახით» (ქართ. ცხოვრ. ტ. I, გვ. 344). ცხადია, სახელწოდება «თათრები» რუსებმა ქართველებისაგან ისესხეს. ნ. ვ. გორიაევი კი, რუსული ენის შედარებითი ეტიმოლოგიური ლექსიკონის ავტორი, ამტკიცებს, რომ ეს სახელწოდება რუსების მიერ ყაზანელ თათართაგანაა გადაღებული (გვ. 361). ბ. გორიაევის უსაფუძვლო მტკიცებასთან დაკავშირებით უნდა შევნიშნოთ, რომ ქართული სახელწოდება – თათარი (tharthari) ქართულ მატთანში პირველად გიორგი ლაშას მეფობის (1212_1223) დროსაა მოხსენიებული, მაშინ, როცა არც ქალაქი ყაზანი არსებობდა და არც ყაზანის სახანო.

აქვე, სხვათა შორის, ვეცდებით, რუსული მატთანის ორ ბინდით მოცულ ადგილს შუქი მოვფინოთ: ოლგას გარდაცვალებისადმი მიძღვნილ საეკლესიო თხზულებაში ვკითხულობთ: «ни тризны творити, ни ньдына деяти»... бедына, ა. ა. შახმატოვის აზრით, გაუგებარი სიტყვაა. ამ სიტყვის განმარტება, რაც ა. ა. კოტლიარევსკიმ შემოგვთავაზა თავის თხზულებაში «წარმართი სლავების დაკრძალვის წეს-ჩვეულებათა შესახებ», აკად. ა. ა. შახმატოვს დამაჯერებლად არ მიაჩნია. ჩვენ ვფიქრობთ, რომ ამ გაუგებარი სიტყვის ახსნა მხოლოდ ქართული ენის დახმარებითაა შესაძლებელი. Бѣдына, ჩვენი აზრით, მომდინარეობს

ქართული სიტყვა ბდვინვასაგან (bdvinva-ბჟუტვა, ნელი წვა). ოლგას შეეძლო თავისი წარმართი ვაჟიშვილისათვის ანდერძი დაეტოვებინა, რომ მისთვის ნѣдына არ მოეწყოთ, ანუ არ დაენთოთ კოცონი და მისი ნემტი არ დაეწვათ. რუსების წინაპართა შორის ცხედრის დაწვის რიტუალის არსებობის ამგვარ ახსნას ადასტურებს როგორც არაბ ისტორიკოსთა ცნობები, ისე არქეოლოგიური გათხრებიც.

რუსულ მატთანეში გვხვდება ნოვგოროდის ერთი ადგილი, რომელსაც ჰქვია «გზენი»: «ნოვგოროდში ბორისისა და გლების ეკლესია არის გზენზე». სიტყვა «გზენი» ამჟამად რუსებისათვის გაუგებარია. ამ სიტყვაში ჩვენ ქართულ «გზანის» ვხედავთ, და უდავოდ, ბორისისა და გლების ეკლესიას «გზენზე» ისეთი საკვანძო ადგილი ეკავა, სადაც გზათა შესაყარი იყო. ზოგიერთებს სურთ, «გზენში» იგულისხმონ «к земли» (?!).

«ქართლის ცხოვრებისა» და «გარდასულ წელთა ამბის» შედარების დასრულების შემდეგ მართებულად მიგვაჩნია გამოვთქვათ რამდენიმე საერთო დებულება, რომლებიც მთლიანად ჩვენს ნაშრომზე დაყრდნობით ჩამოგვიყალიბდა. ს. მ. სოლოვიოვის სამართლიანი შენიშვნით, «ყოველ ერს ჩანერგილი აქვს სწრაფვა თავისი წარსულის ცოდნისა, საკუთარ თავს აუხსნას, როგორ წარმოიშვა ის საზოგადოება, რომელშიაც ცხოვრობს»⁷³⁹, მაგრამ ერებისთვის საკუთარი ისტორიული ცხოვრების პროცესის გამორკვევის ეს ბუნებისაგან ნაბომები ლტოლვა ჩნდება და ვითარდება გარკვეულ, კერძოდ კი – თავისუფლების მოპოვებისა და ხალხის პოლიტიკური ძალმოსილების გაძლიერების პირობებში. ამ მოსაზრებათა საფუძველზე ვფიქრობთ, რომ რუსული თავდაპირველი მატთანე შეუძლებელია XIV საუკუნის დამლევზე ადრე შექმნილიყო; ვინაიდან თათართა მძიმე და ხანგრძლივ უღელქვემ მყოფ რუსებს მკაფიო ნაციონალურ-პოლიტიკური თვითშეგნება ჯერ კიდევ არ გააჩნდათ, მაშასადამე, მაშინ რუსეთში მწერლობისათვის ჯერ კიდევ არ არსებობდა ისეთი კულტურული პირობები, რომლების შედეგადაც შესაძლებელი იქნებოდა, საკუთარი ორიგინალური მატთანეები გაჩენილიყო. მაშინ, როცა საგარეო პოლიტიკურ ურთიერთობათა წყალობით (ყირიმელთა მიერ ურდოს დასუსტება და განადგურება) ლიტერატურული მოღვაწეობისათვის თანდათან იქმნებოდა ხელსაყრელი პირობები, მაშინაც პირველ ხანებში საჭირო იყო ნიმუში, რომლისთვისაც უცხო ქვეყნების მართლმადიდებლური წყაროები უნდა გამოეყენებინათ. ამ ნიმუშ-წყაროებს შორის, როგორც ზემოთ დავრწმუნდით, პირველი ადგილი, უდავოდ, უძველეს ქართულ მატთანეს (დიად მატთანეს) «ქართლის ცხოვრებას» ეკავა.

რუსულ ისტორიოგრაფიაში დიდხანს ბატონობდა თვალსაზრისი, რომ «გარდასულ წელთა ამბავი» ბიზანტიური ნიმუშების მიხედვით დაიწერა, მაგრამ აქამდე, მიუხედავად გულმოდგინე ძიებისა, ბიზანტიურ ქრონოგრაფებს შორის ვერ უთითებენ ისეთ ნიმუშს, რომლითაც პირველი რუსი მემატთანე ნამდვილად სარგებლობდა, და რომელსაც იგი ბამავდა. რუსი მემატთანის ხელთ რომ თავიდანვე ბერძნული ისტორიული წყაროები ყოფილიყო და მას თავისი შრომის მთელი მნიშვნელობა ნათლად ჰქონოდა გააზრებული, მაშინ იგი პირველ რიგში ისარგებლებდა პორფიროგენეტის თხზულებებითა და იოანე ზონარას ქრონიკით, რომლებმაც რუსეთში ქრისტიანობის დასაბამის შესახებ ძვირფასი ცნობები შემოინახეს. პორფიროგენეტი რუსების მოქცევის ახლო დროის გვირგვინოსანი

მწერალია, ხოლო იოანე ზონარა, ისტორიკოსი და სახელგანთქმული კანონიკოსი, ცხოვრობდა XI-XII საუკუნეებში, ტავრიელი რუსების მიერ ქრისტიანობის მიღებიდან თითქმის ორი საუკუნის შემდეგ. იოანე ზონარას ისტორიული ნაშრომი, მიუხედავად მისი კომპილაციურობისა, მუდამ მაღალ შეფასებას იმსახურებდა საფუძვლიანობისა და მასში მოხმობილ ცნობათა სიმართლის გამო. მაგრამ ისტორიაში თითქმის უმაგალითო კაზუსი მოხდა: კიეველმა მემატიანემ, რომელმაც «ქართლის ცხოვრების» საფუძველზე შეთხზა საკმაოდ მნელსაცნაური თხზულება დიდი მთავრის ვლადიმირისა და რუსების მოქცევის შესახებ, და რუსეთის ყველა ადრინდელი ამბავი კიევთან დააკავშირა, ანაქრონიზმებში გაიხლართა და ისტორიაში პორფიროგენეტისა და იოანე ზონარას მიერ შეტანილი რუსების ქრისტიანებად მოქცევის ნამდვილი ისტორიული ცნობები დაფარა.

რუსეთის 6494_6505 (986_996) წლების ნათლობის ღვლარქნილ და გაზვიადებულ ისტორიას, შეთხზულს რუსი მემატიანის მიერ «ქართლის ცხოვრების» მიხედვით, საკუთრივ რუსეთთან მიმართებაში ფაქტობრივი საფუძველი არ გააჩნია. არც ერთი თანამედროვე მეზობელი ქვეყნის მემატიანე, ეს იქნება გერმანელი, ჩეხი თუ პოლონელი, არ ადასტურებს «გარდასულ წელთა ამბის» ცნობებს რუსების მიერ დიდი მთავრის, ვლადიმირის დროს ქრისტიანობის დიდი ზეიმით მიღებას. ქრისტიანობა რუსების წინაპართა შორის წმ. ვლადიმირამდეც იყო, რაც გათხრებითაც დასტურდება, და მათი მოქცევა თანდათანობით ხორციელდებოდა. ვლადიმირისა და რუსეთის ნათლობის შესახებ ამ ამბის თანამედროვე პოლონური ისტორიული ძეგლი – «ვოიტეხის»⁷⁴⁰ მოწამეობრივი აღსასრულის აღწერა – სიტყვას არ მრავს. უძველეს პოლონურ ქრონიკას, ცნობილს გალას (†1113 წ.) სახელით, რუსეთზე მეფე ბოგოსლავის ძლევა მოსილ ლაშქრობებზე დაწვრილებით საუბრისას არც მთავარ ვლადიმირზე და არც რუსეთის ნათლობაზე სიტყვაც არ დასცდენია⁷⁴¹.

XI საუკუნის დასასრულისა და XII საუკუნის დასაწყისის უგორის ძეგლებში დიდ მთავარ ვლადიმირსა და რუსეთზე სიტყვა არაა ნახსენები⁷⁴². XI საუკუნის ჩეხი მემატიანე კოზმა პრადელი ვლადიმირისა და რუსეთის ნათლობაზე დუმს⁷⁴³. ასევე არავითარი ცნობა არ მოიპოვება რუსებისა და დიდი მთავრის, ვლადიმირის ნათლობის შესახებ საბუთებში, რომლებიც X საუკუნის დასასრულისა და XI საუკუნის დასაწყისის პაპიზმის ისტორიას ეხება; თუმცა, რუსულ მატიანეს 986 და 988 წლებით ლეგენდარული ცნობა მოჰყავს, რომ პაპმა ვლადიმირს ელჩები გაუგზავნა და კათოლიკობის მიღება შესთავაზა, რომ საგანგებო ელჩობაც მოავლინა მისთვის მართლმადიდებლური ქრისტიანობის მიღების მისალოცად⁷⁴⁴. თანამედროვე დასავლეთის მემატიანეთაგან მხოლოდ ერთი, სახელგანთქმული გერმანელი მემატიანე ტიტმარ მერზებურგელი (†1019 წ.) ამბობს, რომ კიევის დიდი მთავარი ქრისტიანად ცოლის უშუალო ზეგავლენით მოინათლაო, ამასთან, ეპისკოპოსი ტიტმარი აშკარად მიუთითებს, დიდმა რუსმა მთავარმა ქრისტეს სწავლება მხოლოდ გარეგნულად მიიღო⁷⁴⁵. რუსების მიერ ქრისტიანობის მიღების ყველაზე ადრეულ ცნობას გვაწვდის კონსტანტინე პორფიროგენეტი⁷⁴⁶, რომელიც ამ ამბავს ბასილი მაკედონელის (867_886) მეფობისა და პატრიარქ ეგნატუს ხანას მიაკუთვნებს (847_858 წწ.).

იოანე ზონარა პორფიროგენეტის ცნობებზე დაყრდნობით ავსებს და ადასტურებს პირველ ცნობას. მისი თხრობა საკმაოდ ბუნებრივია. უსათუოდ სწორედ ასე მოხდა რუსი ხალხის წინაპართა მოქცევა⁷⁴⁷, როგორც ადასტურებს უწმიდესი პატრიარქი ფოტი (858-867), (878_886) და რომლის იურისდიქციასაც ახლადმოქცეული რუსები მიეკუთვნებოდნენ. ლევ VI ბრძენის დროს (886_912), დაახლოებით, 891 წელს, რუსეთი ითვლება კონსტანტინოპოლის საპატრიარქოს უკვე მე-60 ეკლესიად, ანუ მიტროპოლიად.

მსოფლიოში თავისი მისიონერული მოღვაწეობით ცნობილმა დასავლეთის ეკლესიამაც ასევე დიდი შრომა გასწია რუსების ქრისტეს ნათლით ზიარების საქმეში. ამის შესახებ დაწვრილებით მოგვითხრობენ (959 წლით) რეგინონის ქრონოგრაფის გამგრძელებელი⁷⁴⁸ პეტრე დამიანის ჰილდესჰეიმის მატთანე (X ს.), (XI ს.),⁷⁴⁹ ტიტმარი⁷⁵⁰ და ადემარის ქრონიკის ინტერპოლატორი, რომელიც რუსეთში მთავარეპისკოპოს ადალბერტისა და ეპისკოპოს ბრუნოს ქადაგებათა შესახებ საუბრისას დასძენს, რომ მათი წარმატებული მისიიდან რამდენიმე დღის შემდეგ, რუსეთში რომელიღაც ბერძენი ეპისკოპოსი მოვიდა და მოაქცია პროვინციის უდაბლესი ფენა, რომელიც ჯერ კიდევ კერპებს ეთაყვანებოდა და აიძულა მიეღო ბერძნული წესი წვერის გაზრდისა და ა. შ.⁷⁵¹ ამგვარად, რუსეთში ქრისტიანობა სამხრეთიდანაც და დასავლეთიდანაც აღწევდა, მაგრამ რუს მემატთანეს არ სურდა ხელი აეღო ერთი მხრივ ძნელსაცნაურსა და მწყობრ თხზულებაზე დიდი მთავრის, ვლადიმირისა და რუსეთის საზეიმო მოქცევის შესახებ, მეორე მხრივ კი, ელიარებინა თავისი წარმომავლობა ტავრიელი როსსების, ანუ სკვითებისაგან⁷⁵², სიმართლეს უღალატა, რითაც უარი თქვა 865_866 წლებში ჩასახულ თავისი ეკლესიის ნამდვილ დასაბამზე.

ავტორიტეტულ მწერალთა უცილობელი ისტორიული ცნობების ამგვარმა იგნორირებამ ის შედეგი გამოიღო, რომ არასწორი გეზი მიიღო და არასწორად შუქდებოდა რუსეთის თავდაპირველი ისტორია; ამან ნიადაგი მოუშადა ე. წ. ნორმანული თეორიის გამოჩენას, რომელიც გასული საუკუნის 60-იან წლებამდე ბატონობდა და რუსების პატრიოტულ გრძნობას არცთუ მცირე უსიამოვნება მიაყენა.

მაშასადამე, პირველი ცდა, დაკმაყოფილებულიყო ცნობისწადილი ხალხისა, რომელსაც სურდა გაერკვია ისტორიულ სცენაზე თავის წინაპართა გამოჩენის დრო და მათი ნაციონალური განვითარება, ქართულ მატთანეს, «ქართლის ცხოვრებას» ეფუძნებოდა. მისი გაცნობა კი რუსული მატთანის ავტორს ათონის სახელგანთქმულ ივერთა მონასტერში შეეძლო. რუსი მემატთანისათვის «ქართლის ცხოვრება» თითქოს საკუთარი, მშობლიური, შინაური წყარო იყო. რუსებს იგი, როგორც იტყვიან, პირდაპირ ჭიშკარზე მიადგა. «რუსეთში ძველად, შესაძლოა, მკითხველთა ნაკლები გარკვეულობის გამო, _ ამბობს ა. ნ. პიპინი, _ უცხოთა და ნათარგმნის ისე იღებდნენ, როგორც საკუთარს, დედანს. მთარგმნელი, ან, უფრო უკეთ, გადამკეთებელი, დედნის საერთო აზრს უცვლელად ტოვებდა, მაგრამ მის კერძო, ნაციონალურ ნიშან-თვისებებს სხვა, რუსული ყოფიდან აღებული ნიშან-თვისებებით ცვლიდა⁷⁵³. ზოგიერთ თქმულებას და მატთანეს აყალბებდნენ. მსგავსი გაყალბებები განსაკუთრებით მატულობდა პეტრე პირველისა და უფრო გვიანდელ პერიოდში. XVI საუკუნის ფაბრიკაციებია: იმჩინის მუხლობრივი ნუსხა, სერგისა და გერმანეს საუბრები და სხვ. დიდი ნაყალბევა სინოდის საქმე

მარტინ ერეტიკოსის შესახებ, რომელიც, როგორც ადვილი მისახვედრია, ზემოდან ბრძანებით შეითხზა. ამაზე არსებობს პეტრე დიდის შენიშვნაც: «შეიქმნას წიგნი ფარისეველთა წინააღმდეგ და როსტოვის საქმე მის ამხანაგებთან ერთად გამოცხადდეს». ყველა ეს ყალბისმქმნელობა პიპინის მიერ შეფასებულია.

ამგვარად აყალბებდნენ სხვის ნაწარმოებებს, მოსავდნენ მას რუსული სამოსით და ნასესხობათა შესახებ კრინტსაც არ ძრავდნენ. მსგავსი მანიპულაცია მოახდინა ქართულ მატთანზე «გარდასულ წელთა ამბის» ავტორმაც. იგი «ქართლის ცხოვრების» ისტორიული მასალის თანმიმდევრობას არა მარტო კვალდაკვალ მიჰყვებოდა, არამედ, მითითებული ანალებიდან მთელ ამბებს გულმოდგინედ ხაპავდა. ნასესხობები ზოგჯერ ისე უხეიროდაა შესრულებული, ის თეთრი ძაფებიც აშკარად ჩანს, რომლებითაც რუსი მემატთანის მიერ ეს ამონარიდებია ნაგვირისტები. რუსი კომპილატორი ისე თამამად იქცეოდა, რომ «ქართლის ცხოვრებიდან» მთელი ტირადების ამოწერისას დედანს ერთი სიტყვითაც არ ახსენებდა; თითქოს ეს თხზულება ქვეყნად არც კი არსებობდა! მაგრამ პლაგიატი მეტწილად თავად მოიცავს ნიშან-თვისებებს, რომლებითაც ადრე თუ გვიან ამჟღავნებს თავს და კრიტიკოსს თავადვე ამარაგებს თავის საწინააღმდეგო უცილობელი სამხილებით.

«დადგება დრო, – თქვა რუსულ დაწყებით მატთანზე პროფ. მ. ტ. კაჩენოვსკიმ, – როცა გავიოცებთ იმის გამო, რომ ასე ჯიუტად და დიდხანს ვრჩებოდით თითქმის დაუჯერებელ წინასწარ აკვიატებათა ბურუსში». მისი წინასწარმეტყველური სიტყვები გამართლდა, წინასწარ აკვიატებათა ბურუსი გაიფანტა. ეს სასწაული, აქამდის უგულებელყოფილმა და ჩრდილში მდგომმა მოკრძალებულმა ქართულმა მატთანემ – «ქართლის ცხოვრებამ» მოახდინა. თითქოს ჯადოსნური კვერთხის ერთი მოქნევით გაფანტა თვალშეუვალი წყვილი, რომელშიაც გახვეული იყო «გარდასულ წელთა ამბავი»: საიდუმლო წიგნი მიკვლეულია და მისი შვიდი ბეჭედიც ახსნილი.

ქართული მატთანე «ქართლის ცხოვრება» კომპილაციისა და კონტროფაქციის საგნად საკმაოდ ადრე გადაიქცა. მის კომპილაციას ეწეოდნენ სომეხი მწერლები, ასევე რუსებიც. განთქმული მოვსეს ხორენაცი ხელგაშლილად იღებდა ცნობებს «ქართლის ცხოვრებიდან», წყაროს მიუთითებლად, ამასთან ერთად, ზოგიერთ მათგანს ისე ასხვაფერებდა, რომ ისტორიკოს დ. ზ. ბაქრაძემდე⁷⁵⁴ არავის მის ლიტერატურულ პლაგიატობაში ეჭვი არ შეუტანია⁷⁵⁵. «ქართლის ცხოვრებით» შემდეგი სომეხი მწერლები სარგებლობდნენ: მხითარ ანელი, სტეფანოზ ორბელიანი, ისტორიკოსი ვარდანი, მხითარ აირივანელი და სხვ.⁷⁵⁶ მაგრამ სომეხი მწერლები «ქართლის ცხოვრებიდან» მხოლოდ ნასესხობებს როდი სჯერდებოდნენ. ვიდრე თავიანთი გამოჩენილი ისტორიკოსების ფაბრიკაციას მოასწრებდნენ, თავიანთ ენაზე XII საუკუნეში ქართული ნაციონალური მატთანე მთლიანად თარგმნეს და იგი ამჟამად ცნობილია არასწორი სახელწოდებით – *Chronique armenienne* ⁷⁵⁷.

საქართველოს ისტორიის შემსწავლელი სააზიო საზოგადოების წევრმა, აწ განსვენებულმა შულცმა 1830 წელს კავკასიაში არქეოლოგიური მოგზაურობისას შეიძინა სომხურ ენაზე შესრულებული ქრონიკა, რომელიც გარდაცვალების შემდეგ მის ქალაქებში იპოვეს. ქრონიკა 1201_1755 წლებს მოიცავდა. გამოირკვა, რომ იგი სომხურ ენაზე თარგმნილი «ქართლის ცხოვრების» ერთ-ერთი ვარიანტი

იყო⁷⁵⁸. ქრონიკას უდიდესი მნიშვნელობა აქვს. იგი დაახლოებით განსაზღვრავს დროს, როცა სომხებმა თავიანთ ისტორიკოსთა გაყალბება დაიწყეს. სომხებს რომ საუკეთესო ისტორიკოსები ჰყოლოდათ, «ქართლის ცხოვრების» სომხურ ენაზე თარგმნა უცნაურიც კი იქნებოდა. სომეხ მწიგნობართა ნაკვალევზე მიაბიჯებდა «გარდასულ წელთა ამბის» ანონიმი ავტორიც. ანონიმს იმის გამო ვუწოდებთ, რომ მისი აუთენტურობა დამტკიცებული ჯერ კიდევ არ არის.

XIV საუკუნის დასასრულამდე რუსულ მატთანეს ერთი ავტორი წერდა, რომელიც ჩვენი ანალებით სარგებლობდა. როგორც ზოგიერთები ფიქრობენ, თუ რუსულ მატთანეს აღნიშნულ დრომდე ბევრი პირი წერდა, მაშინ ეს ენაზე, გადმოცემის მანერასა და სამატთანო მასალის სისტემატიზებაზეც აისახებოდა. რუსული მატთანის კომპილაციური ხასიათის გამო შეუძლებელია საუბარი მისი მკაცრად ჩამოყალიბებული სტილის შესახებ, თუმცა შემდგენელი ცდილობდა, კრებულისთვის შეძლებისდაგვარად ერთგვაროვანი იერსახე მიენიჭებინა. მემატთანის 1051, 1091 და 1096 წლების ცნობები თავის თავზე, სილვესტრის _ 1110 წლისა და ვასილის (ვასილკოს) 1097 წლის ჩანაწერები ადვილი ასახსნელია ერთი მხრივ «ქართლის ცხოვრების» ბრმა მიბადებით, რომელიც ცალკეული ქრონიკებისაგან შედგება, და რომელთა ბოლოში ჩვეულებრივად მოვლენათა თვითმხილველებისა და ავტორების ჩანაწერები იყო მოთავსებული, ხოლო მეორე მხრივ, სურვილით, თავისი მატთანე გაეხადა უფრო ავტორიტეტული იმ მემატთანეთა ხსენებით, რომლებიც ვითომდა მასზე ადრე, ძველ დროს ცხოვრობდნენ. ცნობა იმის შესახებ, რომ მატთანის ავტორი პეჩორელი ბერი იყო, უეჭველად ჩვენი მატთანიდან ზემოთ მოყვანილ ცნობათა საფუძველზე ქართველი მღვიმელი მემატთანე ბერის გამო გაჩნდა.

ფორმითაც და იდეითაც «ქართლის ცხოვრების» ნიადაგზე აღმოცენებული რუსული მატთანე იზრდებოდა და მოცულობითაც ფართოვდებოდა იმის შედეგად, რომ მასში შეჰქონდათ აგიოლოგიური ცნობები ძეგლებიდან, წმიდა წერილიდან, პარმენიკებიდან, მოკლე სააღდგომო შენიშვნებიდან, აპოკრიფებიდან, ლეგენდებიდან, პროლოგებიდან, აპოთეგმატებიდან, მონასტერთა კრებულების ჩანაწერებიდან, რომლებშიც შეგზვდებოდათ ბიზანტიისა და რუსეთის ისტორიის სამატთანო კრებულების ცნობები, სხვადასხვა ანთოლოგიიდან, კომპენდიუმებიდან და ქრონოგრაფების სხვა მსგავსი ამონაწერებიდან, ქრონოგრაფებისა, რომლებიც რუსეთში მეზობელი ქვეყნებიდან გამოჩნდნენ, უპირატესად სამხრეთ-სლავური გარემოდან, განსაკუთრებით, ბიზანტიის დაცემისა და ბერძნების მთელ ქვეყნიერებაზე მიმოფანტვის შემდგომ. ასეთია მთავარი დასკვნები, რომლებთანაც მივყავართ რუსული თავდაპირველი მატთანის შეჯერებას «ქართლის ცხოვრებასთან». მაშასადამე, «ქართლის ცხოვრების» რუსულ მატთანესთან შეჯერებისა და რუსული მატთანის ბნელით მოცული ადგილების განმარტებათა შემდგომ «გარდასულ წელთა ამბის» პირველწყაროს საკითხი ჩვენ საბოლოოდ გადაწყვეტილად მიგვაჩნია.

V

პროფესორ ვ. ვ. ბოლოტოვის ჭორები ქართული მატთანის «ქართლის ცხოვრების» შესახებ. მისი მოსაზრების განხილვა. პირველი რანგის მეცნიერი მედავითნის როლში. ვალს გადახდა უნდაო. ზოგიერთი ნაკლოვანება რუსული მატთანის «გარდასულ წელთა ამბის» დახასიათებისას. საქართველოს

საეგზარქოსოს ეპისკოპოსთა და ქართული ეპარქიის საეკლესიო მუზეუმის სამღვდელთა შუამდგომლობა უწმიდესი სინოდის წინაშე ს. პეტერბურგის სასულიერო აკადემიაში ქართული ეკლესიის ისტორიის დამოუკიდებელი კათედრის დაფუძნების გამო. ორი კომისიის გამოხმაურებები ამ საკითხთან დაკავშირებით და აკადემიის საბჭოს გადაწყვეტილება. აკადემიკოს ნ. ი. მარის თვალსაზრისი, რომ ქართულ ენაზე შემონახული იპოლიტის განმარტება წიგნ «ქებათა ქებაზე» სომხურიდან არის თარგმნილი. გერმანელ მეცნიერთა გამოხმაურებები ამის შესახებ. ნ. ი. მარის თვალსაზრისის უსაფუძვლობის მტკიცება უდავო ქართული მონაცემების მიხედვით.

ზემოთ ჩვენ უკვე ვისაუბრეთ სამამულო მატიანის «ქართლის ცხოვრების» მნიშვნელობისა და უდიდესი ავტორიტეტის შესახებ. წინამდებარე დამატებით თავში კი აგიოლოგ გიორგი მთაწმიდელის⁷⁵⁹ გამოთქმისამებრ, იალქანს ჩვენი სიტყვისას წარვმართავთ ეკლესიის ცნობილი ისტორიკოსის, ს. პეტერბურგის სასულიერო აკადემიის პროფესორ ვ. ვ. ბოლოტოვის (1854_1900) მიერ ქართული მატიანის «ქართლის ცხოვრების» შესახებ დაწერილ რეცენზიაში გამოთქმული მოსაზრებისკენ. ეს მოსაზრება ეხება ს. პეტერბურგის აკადემიის აღზრდილის, ბ. გამრეკელოვის საკანდიდატო ნაშრომს, რომელსაც ჰქვია «უძველესი ეკლესიის ისტორია საქართველოში» (IV ს-დან ასირიელ წმიდანთა გამოჩენამდე)⁷⁶⁰ და რომელიც, ნ. ნ. გოლუბინსკის აზრით, ფართო პერსპექტივებს სახავს.⁷⁶¹

ქართული მატიანის შესახებ პროფ. ბოლოტოვის სუბიექტურ გამოხმაურებას არც შევეხებოდით, საკუთარი სიტყვით შევთქვი რომ არ ვყოფილიყავი. მეორე განყოფილების მეშვიდე სხდომაზე, რომლის დასწრებას წმიდა სინოდის უმაღლესი ბრძანება გვაავალდებულებდა, შემდეგი რამ ვთქვი: «მე თავს ვხრი პროფესორ ბოლოტოვის მეცნიერული ავტორიტეტის წინაშე, მაგრამ არა საქართველოს ისტორიაზე მისი მსჯელობის გამო. იგი საქართველოს ეკლესიის ისტორიის საკითხებში ავტორიტეტი არ გახლავთ და ამ სფეროში განიცდის ქართული მატიანის შესახებ ბ. პატკანოვის მიერ გამოთქმული თვალსაზრისის გავლენას. ...ვ. ვ. ბოლოტოვის ქართულ მატიანეზე მსჯელობათა კომპეტენტურობის შესახებ ჩემს აზრს პრესის საშუალებით გამოვხატავ»⁷⁶². მე ჩემს სიტყვას ვასრულებ და განვიხილავ ბ. ბოლოტოვის მოსაზრების ყველა მეტ-ნაკლებად მნიშვნელოვან პუნქტს, რომლებზედაც ქართველ ისტორიკოსებს უარყოფითი აზრი მხოლოდ იმის გამო არ გამოუთქვამთ, რომ ამ რეცენზიას ისე უყურებდნენ, როგორც სწავლულის წარუმატებელ ცდას მისთვის უცნობ სფეროში.

I. «ქართლის ცხოვრება», _ ამბობს პროფ. ბოლოტოვი, _ სპარს სასანიდ მეფეთა დედაქალაქს ჯიუტად ბაღდადს უწოდებს... მაგრამ ცნობილია, რომ ბაღდადის შენებას მხოლოდ 762 წლის ზაფხულში შეუდგნენ»⁷⁶³. მართალია, ბაღდადი «ქართლის ცხოვრებაში» მოხსენიებულია, მაგრამ იგი მას არც ჯიუტად და არც მის გარეშე სპარსთა დედაქალაქად არ იხსენიებს. ბოლოტოვი ზედაპირულად მაინც რომ იცნობდეს ქართულ მატიანეს, რომლის განხილვასაც ხელი მიჰყო, გაიგებდა, რომ ბაღდადში, როგორც ამას «ქართლის ცხოვრება» განმარტავს, ბაბილონი იგულისხმება⁷⁶⁴, და რომ ამ სახელწოდებას არსებობა დედაქალაქ ბაღდადის დაარსებამდეც შეეძლო. ამას გარდა, აუცილებლად უნდა ითქვას, რომ სიტყვა «ბაღდადს» ქართულ ენაზე განსაკუთრებული მნიშვნელობაც აქვს. შემონახულია

ძველი ქართული ანდაზა: «კაცი სადაც დაიბადება, იმისი ბაღდადიც იქ არის», – ბაღდადში სამშობლო იგულისხმება.

II. «ქართული ისტორიული ძეგლები, – აგრძელებს ბოლოტოვი, – როგორც ჩემთვის ცნობილია (თუ უცნობია, მაშინ ნუ წერ!), IV საუკუნის მოვლენათა შესახებაც კი საუბარში თვეების სახელწოდებებს რომაულის გარდა არც იყენებენ»⁷⁶⁵. სინამდვილეში, თვეების ძველ-ქართული სახელწოდებები IV საუკუნის შემდგომაც გვხვდება. იმავე მატეანეში, რომელსაც ბატონი ბოლოტოვი აკრიტიკებს, თვეების წინარექრისტიანულ ქართულ სახელწოდებებსაც ვხვდებით. ფარნავაზის (302_237 წ. წ.) მეფობის აღწერაში მოხსენიებულია სთვლისა – ოქტომბერი და ვაზის კრეფა, არისანი⁷⁶⁶ – არესა (შემოდგომა), დღენი ზაფხულისა არისანი, – ზაფხულის არესის დღეები,⁷⁶⁷ – არესა გაზაფხულისა⁷⁶⁸. «ქართლის ცხოვრება» არჩილ II-ის (668_718) მოწამეობრივ აღსასრულზე თხრობისას პროფ. ბოლოტოვის სამხელად ამბობს: «მას თავი მოჰკვეთეს ოც რიცხვს მირკანის თვეში, რომელიც არს მარტი»⁷⁶⁹. იგივე სახელწოდებაა გამოყენებული არჩილის თანამედროვის მიერ დაწერილ ჰაგიოგრაფიულ ძეგლშიც⁷⁷⁰. წმ. შუშანიკის ცხოვრებაში (†458), რომელიც მისი სულიერი მამის იაკობის მიერ არის შექმნილი. აქ მოიხსენიება თვეები – აპანი (იანვარი) და ვარდობისა – მაისი⁷⁷¹. VI_VII საუკუნეთა ხელნაწერებში მოხსენიებულია თიბისაი – thibisai, რაც ივნისს ნიშნავს⁷⁷². თვეების წარმართული სახელწოდებები წმიდა წერილის თარგმანებშიაც გვხვდება: (გამოსვლ. 40, 1; ესთერ. 8, 12; საქმეთა – 27, 20; ფსალმ. 73, 13). შემდგომ XI საუკუნის ხელნაწერში არის მხედრული ასოებით მინაწერი, რომელშიაც მოხსენიებულია თვე – ტირისდენისა – tirisdenisa, რაც დეკემბერს ნიშნავს⁷⁷³ და სხვ. ქართველი ხალხი თვეების უძველეს სახელწოდებებს ახლაც კი იყენებს: ვარდობისთვე (მაისი), თიბათვე (ივნისი) და ღვინობისთვე (ოქტომბერი).

III. «არც ფარნავაზის და არც მითრიდატის – ფარსმანის ძის, – ამბობს ბ. ბოლოტოვი, – «ქართლის ცხოვრებაში» მოძიება შეუძლებელია»⁷⁷⁴. ფარსმანის ძის, მითრიდატის სახელი ნამდვილად არ მოიხსენიება, მაგრამ იხსენიება მეფე მირდატი, ამასპაზის შვილი, რომელიც ფარსმანის შემდგომ საქართველოს ტახტს იკავებს⁷⁷⁵. ქართული მატეანის მირდატი და ბერძენ-რომაელ მწერალთა მითრიდატე იდენტურია. ფარნავაზის მიმართაც ასევე ცდება პროფ. ბოლოტოვი. X საუკუნის ქრონიკაში იხსენიება ფარსმან ავაზას სახელი. ეს ორი სახელი, საკუთარი და ეპითეტი, ბერძნებმა ერთ სახელად ფარ(სმა)ნ ავაზი გააერთიანეს და ახალი სახელი – ფარნავაზი მიიღეს. ამგვარად, ბერძნული წყაროები ნდობას ყოველთვის როდი იმსახურებენ, ისინი ქართულ საკუთარ სახელებსა და ტოპოგრაფიულ სახელწოდებებს ხშირად ასხვაფერებენ ხოლმე. საქართველოს ისტორიაში ასეთი მაგალითები უხვად მოიპოვება.

IV. ბ. ბოლოტოვის რწმენით, ქართული მატეანე საერთოდ არ წუხს არც ივერიის მეფეებზე რომაელთა გამარჯვებებისა გამო და არც რომზე ივერიის მეფეთა დამოკიდებულების გამო⁷⁷⁷. ეს პუნქტი გვარწმუნებს, რომ ბ. ბოლოტოვი ქართულ მატეანეს განიხილავს წინასწარ აკვიატებული აზრით, ანდა იგი ცუდად იცნობს სხვა ერების მატეანეებს საერთოდ, განსაკუთრებით «გარდასულ წელთა ამბავს», როგორც ამას ქვემოთ ვნახავთ. ქართული მატეანე რომაელთა ზოგიერთ ომსა და საქართველოს რომზე დამოკიდებულებას (უმეტესწილად ნომინალურს)

დუმილით განგებ გვერდს რომ არ უვლიდა, ამას ყველაზე უკეთ დავინახავთ, თუ უცხოელ მწერალთაგან საქართველოს შესახებ მოყვანილ რამდენიმე ფაქტს დავასახელებთ, რომლებზედაც «ქართლის ცხოვრების» ამ რედაქციაში ცნობებს ვერ ვპოულობდით, მაგრამ რომლებიც ნებისმიერ მატთან დაამშვენებდა. ასეთებია: ა. სომეხთა ტახტის დაკავება ფარსმან დიდის ძმის, მითრიდატეს მიერ; ბ. სომეხთა ტახტზე დასახელებული ფარსმანის ძის – რადამისტის დაჯდომა; გ. ფარსმანის მოგზაურობა რომში იმპერატორ ადრიანეს (76_138) დროს, რომში ფარსმანის საზეიმო მიღება, სადაც ელონის ტაძარში მისი ცხენიანი ქანდაკება დაიდგა⁷⁷⁸ და სხვა... ამ და ამისი მსგავსი ფაქტებით მატთან შეედლო ეამყა, ხოლო თუ ისინი ზოგიერთ ომთან ერთად მატთან ვერ მოხვდნენ, ცხადია, მემატთან ამაში ბრალი არ მიუძღვის. ამასთან, ფარსმანის ძმის, მითრიდატესა და რადამისტის მოღვაწეობა უშუალოდაა დაკავშირებული სომეხ ხალხთან, რომელიც მაშინ რომის იმპერიის ქვეშევრდომი იყო და ამიტომ მასზე დაწვრილებითი ცნობები რომაელ მწერალ ტაციტუსთანაა⁷⁷⁹ შემონახული. ქართველი მემატანე კი მითრიდატესა და რადამისტს სომხეთში არ გაჰყვა, რადგან იგი საქართველოს მატთან წერდა და არა სომხეთისას, მაგრამ უცნაურია, რომ სომხეთის ისტორიაშიც რატომღაც ასევე ვერ ვპოულობთ ცნობებს მითრიდატესა და რადამისტის შესახებ, რომელთაც სომხეთის ტახტი ეკავათ.

V. «არც საურმაგი, არც ასფაგური მირიანის მემკვიდრეთა შორის არ გვხვდება», – შენიშნავს ბოლოტოვი⁷⁸⁰. IV საუკუნეში საქართველო ხშირი ომების შედეგად დაქუცმაცებული იყო და სავსებით შესაძლებელია, მის რომელიმე ნაწილში მმართველი გვარი დაემხოთ. მატანე «ქართლის ცხოვრება» უმთავრესად ქართული პოლიტიკური ცხოვრების შუაგულში – ქართლში იწერებოდა და მემატანისათვის შეიძლება შეუმჩნეველი დარჩენილიყო მის სხვა ნაწილებში მომხდარი ამბები, განსაკუთრებით განაპირა მხარეებში, სადაც საკუთარი მემატანეები ჰყავდათ. მაგალითად, ცნობილია სამცხე-საათაბაგოს მატანე, აფხაზთა «ცხოვრება» და ა. შ. არც ის უნდა დავივიწყოთ, რომ უცხო ქვეყნების ყველა ცნობა სანდო არაა. ხშირად მეზობელი სახელმწიფოები პოლიტიკური მოსაზრებით ტახტის პრეტენდენტს წამოაყენებდნენ ხოლმე, ზოგჯერ არასრულუფლებიანებსაც, და მათ თავშესაფარს აძლევდნენ; შესაძლოა, ასე იყო ხსენებულ პირებთან დაკავშირებითაც, თუ მათი სახელები ბერძენ-რომაელ მწერალთა მიერ დამახინჯებული არაა. ჩვენ ვფიქრობთ, რომ ასფაგური – (Aspagur) დამახინჯებული სახელია ბაკურ I-ისა (342_364), რომელიც «ქართლის ცხოვრების», ანდა უფრო სწორად, «მოქცევაჲ ქართლისაჲს» მიხედვით მირიანის მემკვიდრე იყო.

VI. ბ. ბოლოტოვი ვახტანგ გორგასალს ლეგენდარულ პიროვნებად მიიჩნევს⁷⁸¹. ვახტანგ გორგასალზე, რომელიც ამ სახელითაცაა ცნობილი ქართულ მატანეში⁷⁸², და მის მოღვაწეობაზე საუბრობენ მისი თანამედროვე ბერძენ-რომაელი მწერლები და ლაზარე პორბეცი. მაშასადამე, გორგასალის ლეგენდარულობაზე სიტყვაც კი ზედმეტია. ვახტანგ გორგასალი (477_537) არის, ბიზანტიური თქმულებების მიხედვით, იბერიის მეფე გურგენი. იგი ჩვენი სამამულო მატანით მოწამედაა მიჩნეული⁷⁸³. როგორც ქვემოთ ვნახავთ, მეფე ვახტანგი ოლეგის პროტოტიპად გამოიყენეს.

VII. «ქართლის ცხოვრება» იმ გურგენსაც არ მოიხსენიებს, – ამბობს ბ. ბოლოტოვი, – რომლის დროსაც ივირები 571 წელს ისევ განუდგნენ სპარსელებს და იუსტინიანე II-ის ქვეშევრდომობა მიიღეს⁷⁸⁴. თუ ეს გურგენი არ შეიძლება ლაზთა მეფედ ვიგულისხმოთ, მაშინ ბიზანტიელ მწერალთა გურგენი ივერიის რომელიმე პროვინციის მფლობელ მთავრად უნდა მივიჩნიოთ. საერთოდ უნდა შევნიშნოთ, რომ ბიზანტიურსა და ქართულ ცნობებს შორის ეს და სხვა ამგვარი შეუსაბამობა უმთავრესად ქართველებისა და ბერძნების განსხვავებული ქრონოლოგიური სისტემის გამოც ხდება, რომელთა ქრონოლოგია სამყაროს შექმნიდან XIII საუკუნემდე ერთმანეთს სცილდებოდა: პირველნი სამყაროს შექმნიდან 6604 წელს, ხოლო მეორენი 5500_5508 წელს ითვლიდნენ.

VIII. ვარსამუსი, ანუ ბარშამუშიც, ბ. ბოლოტოვის თქმით, «ქართლის ცხოვრებაში»⁷⁸⁵ არ მოიხსენიება. ვარსამუსის ანდა ბარშამუშის (უფრო სწორად, ბარსამესის) შესახებ ბიზანტიელი მწერლები მოგვითხრობენ, რომ ივერიის იმ ნაწილის მეფე იყო, რომელიც სპარსთა გავლენის ქვეშ იმყოფებოდა, მაშასადამე, აღმოსავლეთ ივერიისა⁷⁸⁶, და იმპერატორმა ჰერაკლემ 627 წელს მდ. ზაბასთან⁷⁸⁷ გამართულ ბრძოლაში ტყვედ ჩაიგდო. მაგრამ ამ დროს, იმავე ბიზანტიელ მწერალთა მიხედვით, აღმოსავლეთ საქართველოს მმართველი (მეფე) იყო სტეფანოზ I, რომელიც ბერძენთა ლაშქარმა თბილისის ახლოს ერთ-ერთი ბრძოლის დროს მოკლა და მის მაგიერ იმპერატორმა ჰერაკლემ ადარნასე I დანიშნა. ცხადია, სპარსელებს, რომლებიც ბიზანტიის ქვეშევრდომ დასავლეთ ივერია-ლაზიკაში საკუთარი უფლებების განსამტკიცებლად იღვწოდნენ, თავიანთ სამეფო კარზე ჰყავდათ ტიტულოვანი მეფე (Barsameosa), ვინც შეეძლოთ ხელსაყრელ შემთხვევაში ტახტზე დაესვათ აღმოსავლეთ და დასავლეთ ივერიაში. ან იქნებ, ბარსამესის იდუმალი სახელი სტეფანოზის (Stephanos'a) დამახინჯებული სახელწოდებაა?⁷⁸⁸

IX. «ბერძენი ავტორები, – ამბობს პროფ. ბოლოტოვი, – ივერიის არც ერთ ეპისკოპოსს სახელით არ მოიხსენიებენ.»⁷⁸⁹ ამ პუნქტთან დაკავშირებით სხდომის მიმდინარეობისას შემდეგი რამ განვაცხადე: «ჩვენთვის ცნობილია სამიდან ერთი დიდი კაბადოკიელის ცნობა ივერიის მთავარეპისკოპოსის კათედრაზე 379_381 წლებს შორის ეპისკოპოსის არჩევის შესახებ. წმიდა გრიგოლ ნოსელი თავის XIX ეპისტოლეში ამოწმებს, რომ მან ცხოველი მონაწილეობა მიიღო იბერიელი ხალხის მიერ ეპისკოპოსის ვაკანტურ კათედრაზე ღირსეული პიროვნების არჩევაში. იგი თვითონ აირჩია ამ ხალხმა და ეს არჩევა, როგორც ჩანს, ბოზოქარი მღელვარებითა და სამხედრო ჩარევით დასრულდა».⁷⁹⁰ ჩემს სიტყვებს პროფ. გლუბოკოვსკი არ დაეთანხმა. გრიგოლ ნოსელი, – თქვა მან, – «ქალაქ ივორის მცხოვრებლებმა პონტოს საზღვარზე აირჩიესო», და დამალა, რომ ისინი სწორედ ივერიელები იყვნენ. ამ შემთხვევაში მე უფრო მჯერა საღმრთო გეოგრაფიის ცნობილი ავტორიტეტის, ინგლისელი მწერლის, ფერარისა,⁷⁹¹ ვიდრე ბ. გლუბოკოვსკისა, რომელსაც, თავისი «განსწავლულობის» მიუხედავად, ქართველთა (ქალაქების) უძველესი საცხოვრებელი ადგილის ფარგლებზე წარმოდგენა არა აქვს; ალბათ, ფიქრობს, რომ ქართველები ოდითგან მხოლოდ თბილისისა და ქუთაისის გუბერნიებში მოსახლეობდნენ.⁷⁹²

ამჯერად საკუთარ თავს მცირე წიაღსვლის უფლებას მივცემ. II განყოფილების ერთ-ერთ სხდომაზე განვაცხადე, რომ პროფ. პალმოვი და სხვები ქართული ეკლესიის საკითხს არასწორად წარმოაჩინენ. აქ საუბარია არა ავტოკეფალიის ბოძებაზე, არამედ იმაზე, რომ ქართველებს თავიანთი ეკლესიის კანონიკური მმართველობის აღდგენაში ხელი არ შეუშალონ.⁷⁹³ ჩვენ მიერ ხაზგასმული სიტყვების აზრი ნათელია: ავტოკეფალიის ბოძება წმ. სინოდის კომპეტენცია არაა და, მაშასადამე, არ შეგვეძლო წმ. სინოდისთვის ამგვარი შუამდგომლობით მიგვემართა, თუ კანონიკურობას არ გადავუხვევდით, ვინაიდან ქართული ეკლესიის ავტოკეფალია შეჩერებულია და არა გაუქმებული. ეს აზრი ყველა ჩემს მოხსენებასა და მსჯელობას წითელ ხაზად გასდევს, მაგრამ გლუმბოკოვსკიმ მისი გაგება სწორედ პირიქით ინება.⁷⁹⁴ სხვისი სიტყვების აზრს ზოგიერთი სწავლული ხშირად ასე ამახინჯებს. თუ ავტოკეფალიაზე უარი განვაცხადე, მაშ მე და II განყოფილების სხვა ქართველმა წევრებმა სხდომებზე დასწრება რატომ შევწყვიტეთ?!

მაგრამ დავუბრუნდეთ ადრინდელ აზრს: ზემოთ მოხსენიებული გრიგოლ ნოსელის გარდა, კიდევ რამდენიმე ქართველ მღვდელმთავარს დავასახელებთ, რომლებიც ბერძნული საბუთებით არიან ცნობილნი. ესენი გახლავთ: 2. ფოტი და 3. მილეტი ტრაპიზონელი, რომლებიც დიოკლიტიანეს დროს მღვდელმთავრობდნენ; 4. მარკიონ ერეტიკოსის მამა (II ს.), კოლხეთის ეპისკოპოსი პალემი, თანამედროვე პონტოს IV საეკლესიო კრებისა, რომელზეც აღდგომის სადღესასწაულო დღის შესახებ იყო კამათი; გარდა ამისა, გამოჩენილი პონტოელი მასწავლებლები: 5. ბაკქილიდი, 6. ევპატი; მათი შეგონებით დიონისე ცერენტელმა ამასტრისაში პონტოს ეკლესიების მიმართ ეპისტოლე შეადგინა. ამის შესახებ ლაპარაკობენ ათანასე, მელეტი და ბასილი დიდი არიანელთა წინააღმდეგ წარმოთქმულ სიტყვაში. ათანასე ასევე ახსენებს პონტოელ ეპისკოპოს 7. კვინტიანეს, რომელიც თავის «უკუქცევის აპოლოგიაში» წერს, რომ იგი არიანელთა მძვინვარებისას გადასახლებაში იყო. ბასილი დიდმა შეგონების ეპისტოლე დაწერა ქართველი ეპისკოპოსის 8. ეპიფანესადმი (325 ეპისტოლე). ბიჭვინთელი და ნიკოფსიელი ეპისკოპოსები: 9. იპატი, 10. სტრატოფილი, 11. ეპაციანი და სხვ.⁷⁹⁵ ამ ეპისკოპოსებს თავიანთ გამგებლობაში ჰქონდათ ჩვენამდე მოღწეული ტაძრები და მონასტრები: ბედიის, ილორის, მოქვის, დრანდის, სებასტოპოლისის, ანუ ოხვამე, გუმისთის, ნიკოფსიის სამი, სოუქსის, ელაგის, მიჩიშის, ბიჭვინთის (Пищунда, Pithoes - კოლხეთის ბოლო გამაგრებული ქალაქი), გაგრისა და ა. შ. 12. რომული, კოლხეთის ეპისკოპოსი, მონაწილე IV მსოფლიო საეკლესიო კრებისა⁷⁹⁶, 13. თეოდორე, ფაზისის ეპისკოპოსი ლაზთა ქვეყანაში, ესწრებოდა VI მსოფლიო საეკლესიო კრებას,⁷⁹⁷ 14. იოანე, ქალაქ პეტრას ეპისკოპოსი ლაზთა ქვეყანაში, VI მსოფლიო კრების მონაწილე,⁷⁹⁸ 15. კირი, ფაზისელი ეპისკოპოსი (სამეგრელოში), ალექსანდრიის საპატრიარქო კათედრაზე გადაყვანილი იმპერატორ ჰერაკლეს მიერ 630 წელს მის უნიონალურ შეხედულებათა გამო,⁷⁹⁹ 16. იოანე, მცხეთელი კათოლიკოსი, 758 წელს ხელისდამსხმელი გოთების ვაკანტურ კათედრაზე არჩეული ეპისკოპოს იოანესი,⁸⁰⁰ 17. გაგრელი ეპისკოპოსები: ალექსანდრე – მონაწილე V მსოფლიო საეკლესიო კრებისა, 18. სერგი – VI-სა; 19. კონსტანტინე – VII-სა, დრანდელი ეპისკოპოსები: 20. პეტრე – IV-სა, 21. სტრატეგი – VII-სა; 22.

იოანე, იმერეთის ეპისკოპოსი, 23. პანფილე იბერიელი – II-სა, 24. ანტიოქ სინოპელი – IV-სა; 25. ურანიოს ივერიელი – IV-სა; სებასტოპოლისის ეპისკოპოსები (სოხუმისა): 26. ფოტი – VI-სა და 27. კონსტანტინე – VII-სა; 28. ქრისტოფორე, ფაზისელი ეპისკოპოსი – VI-სა; 29. სევერი, ეპისკოპოსი თავისა (წყაროსთავისა)⁸⁰¹ და სხვ. მაშასადამე, IX პარაგრაფთან დაკავშირებით პროფ. ბოლოტოვი ნაჩქარევი და არც თუ მისატყვევებელი დასკვნა გააკეთა.

X. შემდეგ პროფ. ბოლოტოვი, «ქართლის ცხოვრებაში» მოყვანილ ქართველ ეპისკოპოსთა სიას ეხება და თვითონ ეპისკოპოსების საკუთარი სახელების საფუძველზე ცდილობს ამტკიცოს, რომ სია მთლიანობაში სარწმუნო არ არის. მაგრამ შეიძლება რომელიმე გარკვეულ კანონს დაექვემდებაროს სახელები, ხელდასხმისას თავისუფლად რომ ეძლევათ ბერებს, რომელთაგან ზოგიერთები შემდეგ ეპისკოპოსებიც ხდებიან? საინტერესოა, როგორ სტატისტიკურ დასკვნას მოიტანდა ბ. ბოლოტოვი ანტიოქიის ეკლესიის პირველ ხუთ მოძღვართან დაკავშირებით, რომელთაგან სამს ებრაული სახელი აქვს, ხოლო ორს რომაული: ნიგერი და ლუკიანე?!

XI. ქართველი განმანათლებლის სახელის წარმოშობაზე მსჯელობისას ბოლოტოვი ამბობს: «მას ნინოს რომ ეძახდნენ, ამ ცნობის უტყუარობა ეჭვს არ იწვევს, ისიც შესაძლოა, ქართველთა «ნინო» იყოს კაპადოკიაში გავრცელებული ქალის სახელის «ნონას» სახეცვლილება⁸⁰². პროფ. ბოლოტოვს რომ სცოდნოდა, ქართველთა წინაპრები ძველი სახელგანთქმული ქალდეველები იყვნენ, მაშინ ვარაუდები არ აერეოდა. კაპადოკიის პროვინცია ქართული ტომით იყო დასახლებული, როგორც ამას ადასტურებს კონსტანტინე პორფიროგენეტიც, რომელსაც კაპადოკიელთა მამამთავრად «მოსოხი», ახლანდელი მესხები მიაჩნდა⁸⁰³. პროფ. ბოლოტოვის ვარაუდს, რომ «ნინო» «ნონას» შესაძლო სახეცვლილებაა, არ დავეთანხმე და ამასთან დაკავშირებით ჩემი შემდეგი მოსაზრება გამოვთქვი: «სინამდვილეში, ეს უძველესი წარმართული ღვთაების ურ-ნინას სახელია. ქართველებსა და ქალდეის მკვიდრთა შორის უძველეს დროში არსებულ რელიგიურ ურთიერთობაზე მინიშნება არის თვით მოციქულთაწორის, ნინოს ცხოვრებაშიც, რომელშიც ქალდეველთა ღვთაების – ითრუჯანას სახელი უსაფუძვლოდ როდია მოხსენიებული⁸⁰⁴. მირიან მეფის წმ. ნინოსადმი მიმართული სიტყვებიც: «მარქვი, რომელი ღვთიური ძალით კურნავ შენ ყოველგვარ სნეულებას? შენ ჩვენი ღმერთების, მთელ დედამიწაზე სახელგანთქმული არმაზისა და ზადენის ასული ხომ არა ხარ?»⁸⁰⁵ წარმართ ქართველთა უძველეს პანთეონზე ხომ არ მიუთითებს, რომელშიც ჩვენი განმანათლებლის სახელის ფუძე უნდა იქნას მოძიებული და დადგენილი. ქართული ეკლესიის მიუკერძოებელ ისტორიკოსს ეს ორი მითითება დასმული საკითხის სწორად გადაწყვეტისთვის ამოსავალ წერტილად უნდა ესახებოდეს. ქალდეის გათხრებმა, რომლებსაც უზარმაზარი მნიშვნელობა აქვთ ქართველთა (Khaldi) თავდაპირველი ისტორიისათვის, გვიჩვენებს, რომ ჩვენი წინაპარი ქალდეები, ქალდეველები თავყანს სცემდნენ ღვთაებებს: ურ-ნინას, ურ-ბაუს. «ურ» – მონაა, ხოლო ნინა და ბაუ ღვთაებათა საკუთარი სახელებია»⁸⁰⁶.

XII. «ქართველები, – ამბობს პროფესორი ბოლოტოვი, – ორ ანბანს იყენებენ: საეკლესიოს («ხუცურს») – კუთხოვანს და საეროს («მხედრულს») – მრგლოვანს, რომელთა ცალკეული ასოები მოხაზულობით უფრო მეტად განსხვავდება ერთმანეთისაგან,

ვიდრე, მაგალითად, 1897 წელს გამოცემული ნებისმიერი რუსული გაზეთის ბეჭდური შრიფტი ოსტრომიროვის სახარების ხელნაწერისაგან⁸⁰⁷. ბოლოტოვის ეს სიტყვები თუ რამდენად სამართლიანია, შემდეგი 24 ხუცური

და მხედრული ასო-ნიშნის შედარებისას დავინახავთ: **ღ ა, ყ ბ, უ გ, შ დ უ, ვ, ჩ ც, ი ი, ზ კ, 'ხ ლ, ნ ა, ო ო, ს ს, ძ რ, ღ ტ, ო უ, ყ ჯ, ი ლ, ყ მ, რ ჩ, მ წ, მ გ, მ ხ, ყ კ, 'ხ ჯ.**

შედარება გვარწმუნებს, რომ მათ შორის თითქმის არავითარი მსგავსება არაა. ბოლოტოვი იმ ქართველ ავტორიტეტულ პალეოგრაფთა თვალსაზრისს ემხრობა, რომლებიც ამტკიცებენ, მხედრული XI საუკუნის დასაწყისში ხუცურისაგანაა წარმოქმნილი; თუმცა, სურდა რა ქართული ანბანის წარმოშობა მესროპის (რომელსაც სომხები მის შედგენას მიაწერენ) გამონაგონად დაემტკიცებინა, სომხურს, როგორც პროტოტიპს, უდარებს მხედრულს, რომელიც, მისი სიტყვებით, XI საუკუნეში წარმოიშვა (სინამდვილეში კი იგი IX საუკუნემდეა წარმოქმნილი) ხუცურისაგან. მაშასადამე, სომხურ ანბანთან არა მხედრული, არამედ ხუცური უნდა შედარებულიყო; ამასთან მსგავსებას ისეთ ქართულ და სომხურ ასო-ნიშნებში პოულობს, რომელთა შორის არავითარი საერთო არაა:

ც, ჩ, ჯ, ჯ.
შ, ა, ბ, გ.

იმისათვის, რომ დადგინდეს, ნამდვილად მესროპმა შეადგინა თუ არა ქართულ-ხუცური ანბანი, თუ, პირიქით, თვით სომხური ანბანი წარმოიქმნა ქართული მზა ანბანისაგან, აუცილებელია მესროპის სიცოცხლისა და მის მიერ სომხური ანბანის შედგენის თარიღის განსაზღვრა. თუ შეიძლება კორიუნის გამონაგონს მესროპის მიერ 405 წელს (რა სიზუსტეა!!!) თავისი ეროვნული ანბანის შედგენის შესახებ რაიმე მნიშვნელობა მიენიჭოს, მაშინ ეს ანბანი VIII_IX საუკუნეებზე ადრე არ უნდა გამოჩენილიყო და აი, რის საფუძველზე: ლეგენდარულ მესროპს⁸⁰⁸ ჰყავდა ასევე არანაკლებ ლეგენდარული ძმისწული, მოვსეს ხორენაცი (დაახლ. 487 წ.), რომელიც მან, სომეხ მწერალთა აზრით, გაზარდა და საშუალება მისცა განათლება ბიზანტიაში დაესრულებინა.

ბოლო ხანებში ტიუბინგენელი ისტორიკოსის ალფრედ ფონ-გუტშმიდის საფუძვლიანმა კრიტიკამ (ამ ისტორიკოსმა მოვსესის ცხოვრებაში მთელ რიგ ანაქრონიზმებსა და დამახინჯებებზე მიუთითა), ასევე ფრანგი არმენისტის, კარიერის კრიტიკულმა ძიებებმა (კარიერმა აღმოაჩინა, რომ მოვსესის ისტორიაში არის ნიშნები, რომელთა მიხედვითაც ეს ისტორია სამი საუკუნით გვიანაა შექმნილი, ვიდრე იგი ამას თვითონ წარმოაჩენს), არა მარტო საბოლოოდ დასცეს ფსევდო-მოვსესის, როგორც ისტორიკოსის, ავტორიტეტი, არამედ იგი

ლიტერატურულ თაღლითობაში ამხილეს და ამით პატიოსანი მწერლის სახელიც დააკარგინეს⁸⁰⁹. ლაზარევის სახელობის ინსტიტუტის პროფესორი, წარმოშობით სომეხი გ. ა. ხალათიანცი, მოვსეს ხორენაცს და მის ისტორიას VIII საუკუნის ბოლომდე და IX საუკუნის დასაწყისამდე კი გადასწევს⁸¹⁰. ხოლო თუ ყბადაღებული მოვსეს ხორენაცი IX საუკუნეში ცხოვრობდა, მის ღვიძლ ბიძა მესროპსაც დაახლოებით ამ დროს უნდა ეცხოვრა, მაგრამ სომხების ანგარიშის მიხედვით ბიძას V საუკუნეში შეუძლია ცხოვრება, ხოლო მის ღვიძლ ძმისწულს IX საუკუნეში! მაშასადამე, თავისთავად ემხოზა ძირს ნაემშაკარი სომხებისა, რომლებიც ცდილობენ, რომ მესროპი ქართული ანბანის შემქმნელადაც გაასაღონ მაშინ, როცა ქართული საეკლესიო ანბანის კვალი მესროპამდე რამდენიმე საუკუნით ადრეც გვხვდება. მესროპის მიერ სომხური ანბანის გამოგონების შესახებ არსებობს პირდაპირი მითითება IX საუკუნის შატბერდის ქართულ კრებულში⁸¹¹. აქ არშიებზე სომხური უნიციალური დამწერლობის ასო-ნიშნებით შემდეგი მნიშვნელოვანი მინაწერია: «მესროპი აკეთებს ამ ასოებს.»⁸¹² წარწერა მესროპის მიერ სომხური ანბანის ქართული ნიმუშის მიხედვით გამოგონებაზე მიუთითებს. თუ მესროპმა თავისი მშობლიური ანბანიც კი ბერძენი კალიგრაფის, რუფინუსის დახმარებით შეადგინა, მაშინ როგორ შეადგენდა ქართულ ანბანს, რომელიც, ბარონ უსლარის აზრით, მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე სრულყოფილი ანბანია და რომელსაც საფუძვლად უდევს არა ბერძნულ ასოთა კლასიფიკაცია, როგორც სომხურს, არამედ არამეული ანბანის სისტემა. ყოველ ერში ანბანი თანდათანობით ზუსტდება, თავისი განვითარების მეტ-ნაკლებად ცნობილ, ხანგრძლივ სტადიებს გადის. უცნაურიც კი იქნებოდა გვეფიქრა, რომ მესროპმა ქართველთათვის სრულყოფილი ანბანი შეადგინა, ხოლო სომხებისთვის ცუდი, არასრული, რამეთუ მას ასო-ნიშანი «ო» აკლდა, რომელიც XII საუკუნეში შეიტანეს, ხოლო ქართულ ანბანში ეს ასო-ნიშანი თავიდანვე იყო.

ყველაზე ძველი და ამასთან ერთადერთი სომხური ხელნაწერი IX საუკუნეს განეკუთვნება – ეს სწორედ 887 წლის ის სომხური სახარებაა, რომელიც მოსკოვის ლაზარევის აღმოსავლურ ენათა ინსტიტუტს ეკუთვნის. წიგნი გ. ა. ხალათიანცის რედაქტორობითა და წინასიტყვაობით საუცხოოდაა გამოცემული 1899 წელს. ქართულ ენაზე კი ხელნაწერი წიგნები V-VI საუკუნეებისაა. ჩემს ნუმიზმატურ კოლექციაში არის ერთი საკმაოდ მოზრდილი ვერცხლის მონეტა, რომელზეც არის ცეცხლთაყვანისმცემლობის ემბლემები და საეკლესიო-ქართული («ასომთავრული») უნიციალური

ური დამწერლობის ასო-ნიშანი - ლ (ა), რომლიდანაც იწყება ზორო-
 ასტრის ბომონის ქართული სახელწოდება – Amheura. (ლ(ა)ყ(ა)ლ)
 ეს მონეტა უეჭველად საქართველოში ქრისტიანობის დამკვიდრებ-
 ის დროს მიეკუთვნება, ყოველ შემთხვევაში, V საუკუნემდეღია.
 შემდეგ, ნუმიზმატთათვის ცნობილია მონეტა (V-VI ს.), რომელზეც
 არის მეფე ვახტანგ გორგასლის წარწერა: 'HPL. ასევე მცხეთის
 ჯვრის მონასტრისა და ნიქოზის ტაძრის კედლებზე და სხვაგანაც
 შემონახული VI-VII საუკუნეთა წარწერები.

XIII. როცა პროფ. ბოლოტოვი საქართველოში ცამეტი სირიელი (უფრო სწორად კაპადოკიელი) მამის ჩამოსვლაზე მსჯელობს, ამბობს, «რომ შეუძლებელია სირიელ მამათა ჩამოსვლის ზუსტი წლის ან ათწლეულის დადგენა»⁸¹³. ქართლის ცხოვრების მითითებათა საფუძველზე კი მათი ჩამოსვლის თარიღის დადგენა არც თუ ისე ძნელია. ჩვენი სამამულო მატიანის ცნობით⁸¹⁴ ისინი მეფე ფარსმან VI-ის (542_557) და კათოლიკოს ევლავიოზის (552_560) დროს ჩამოვიდნენ. მაშასადამე, კაპადოკიელი მამები ივერიაში, როგორც ჩვენ მიერ იყო დადგენილი, 552 და 557 წლებს შორის არიან ჩამოსული⁸¹⁵.

XIV. ყველა ამ ცდომილების გამო(?!), – ამბობს ბოლოტოვი, – შეიძლება მწერლობის ისეთი ნაწარმოები, როგორცაა «ქართლის ცხოვრება», ისტორიულ ძეგლად მივიჩნიოთ? ხომ არ ვივარაუდოთ, რომ მეფეთა ეს სია რომელიმე გვიანდელი წიგნიერი მოცლილი კაცის მთხზველობის ნაყოფია, რომელმაც, მართალია, თავის მატიანეში ისეთი სახელებიც კი შეიტანა, რომლებიც ხალხის მეხსიერებაში შემონახა, ანდა წერილობით ძეგლებშია დამოწმებული, მაგრამ უმეტესწილად საკუთარი თავქარიანობის გამოისობით წერდა?⁸¹⁶

«ქართლის ცხოვრების» მნიშვნელობის გამო ზემოთ ვწერდი, ამაზე მ. გ. ჯანაშვილის სპეციალური ტრაქტატიც არსებობს⁸¹⁷ და არ მსურს აქ ნათქვამი გავიმეორო. მხოლოდ შევნიშნავ, რომ პროფ. ბოლოტოვის მთელი მოსაზრება «ქართლის ცხოვრებაზე» როგორიღაც წინასწარაკვიატებული ღვარძლიანი დამოკიდებულებითაა გაჟღენთილი. ამასთან, ხანდახან იგი კარგავს აკადემიურ თავშეკავებულობას და ირონიის ტონზე გადადის, ტონი კი მუსიკას ქმნის. შოვინიზმის, ყოველივე საკუთარის (რუსულის) მიმართ გაზვიადებულ თვალსაზრისზე ჩვენ უკვე ვისაუბრეთ. პროფ. ბოლოტოვის მეცნიერული მიუკერძოებლობის დასახასიათებლად მოვიყვანთ «ქართლის ცხოვრების» გაკიცხვისა და დამცირების შემდეგ რუსული მატიანის შესახებ გამოთქმულ მის ქება-დიდებას: «უკეთუ რუსებს თავს დასტყდომოდა უბედურება, – ამბობს ბოლოტოვი, – და ვერ შემოენახათ «გარდასულ წელთა ამბავი»...⁸¹⁸ უკეთუ პროფესორ ბოლოტოვს თავისი სამამულო მატიანე გაცნობილი ჰქონოდა, მაშინ «ქართლის ცხოვრების» მისამართით ასე უხვად არ დახარჯავდა ამ ფრაზებს: «რომელიმე გვიანდელი წიგნიერი მოცლილი კაცის მთხზველობის ნაყოფია»... «საკუთარი თავქარიანობის გამოისობით წერდა»... და ა. შ. ბოლოტოვს სწამდა, რომ

ქართული ისტორიის სფეროში მისი ეფემერული ჰიპოთეზები შეუმცდარი იყო; ამის შედეგად ჩაესახა სიმამაცე და საკუთარ თავზე აღმატებული წარმოდგენა და ამ სიმამაცისა და წარმოდგენის გამო, ასევე მის მიერ ცამდე აყვანილი რუსული მატიანის ნაკლოვანებათა უცოდინარობის გამო, ცხადია, გაუჩნდა ის უჩვეულო თავდაჯერებულობა, რითაც გამოთქვამს მტკიცებულებებს, ან როგორც ზემოთ ვაჩვენეთ, არასწორ, ან უკიდურესად საეგებო მოსაზრებებს. ბ. ბოლოტოვს დაავიწყდა, რომ მეცნიერულ კრიტიკაშიც ყოველგვარ სითამამესაც თავისი საზღვრები აქვს. მისი ასეთი მოსაზრება შესაძლოა ორდინარულ მწერალს მიეტევოს, მაგრამ არა ორდინარულ პროფესორს, ამასთან, არა ძველი აღმოსავლეთის საეკლესიო ისტორიის სპეციალისტს. დაე, სხვებმა განსაჯონ, ვინ წერდა საკუთარი თავქარიანობის გამოისობით? პროფ. ბოლოტოვი, თავისი მოსაზრების წყალობით, არავითარ ინტერესს არ იწვევს არც სიახლით, არც ორიგინალობით, რადგან მთელი თავისი კრიტიკული არსენალი პატკანოვისაგან ისესხა და ამით მედავითნის როლში აღმოჩნდა.

სომხებმა «ქართლის ცხოვრების» წინააღმდეგ იმის გამო გაილაშქრეს, რომ იგი მათი ფსევდო-ისტორიკოსთა მამხილებლად გვევლინება; პროფ. ბოლოტოვიც, როცა, შესაძლოა, მიხვდა, რომ «გარდასულ წელთა ამბავი» «ქართლის ცხოვრების» ასლია, საშველად სოფისტურ არგუმენტაციას იხმობს და სწავლულთა თვალში ქართული მატიანის დისკრედიტაციას ცდილობს, რომ საიდუმლო არ გამჟღავნდეს და ამ ნიადაგზე რუსული მატიანე მთელი ძალისხმევით შეკოწიწებული პიედესტალიდან არ გადმოვარდეს. ჩვენ კი ჩვენს დანაპირებს შევასრულებთ, – რუსული მატიანის ზოგიერთ ანაქრონიზმს დავასახელებთ და შეძლებისდაგვარად პროფ. ბოლოტოვს რუსულ მატიანეზე მისეულ მოსაზრებებს საკუთარი გამონათქვამებითვე დავუბრუნებთ.

ჩვენ მიერ IV თავში გზადაგზა დასახელებული რუსული თავდაპირველი მატიანის ანაქრონიზმების გარდა მის ზოგიერთ ნაკლზეც მივუთითებთ.

1. თავდაპირველ მატიანეში მიწების კოსმოგრაფიული ჩამონათვალი ისე არეულია, მათში გარკვევა ძნელია. რუსი მემატიანე უძველეს ისტორიას თითქმის საერთოდ არ იცნობს, რის გამოც უამრავი ლეგენდარული ამბავი, მონაჩმახი და ბავშვური ზღაპარი მოჰყავს.

2. «ჩვენი «გარდასულ წელთა ამბავი» სლავების კარპატებზე ხუთსაუკუნოვან ცხოვრებაზე არაფერს ამბობს, – შენიშნავს ისტორიკოსი ვ. ო. კლიუჩევსკი, – არც იქიდან მათი სხვადასხვა მიმართულებით გადაადგილების გამო» (რუს. ისტ. I ნაწ. გვ. 126).

3. რუსულ მატიანეს აზიიდან პონტოს ველებზე სლავების მოსვლის დრო არც ახსოვს.

4. მემატიანე ადგილმდებარეობას შემდეგი თანმიმდევრობით ჩამოთვლის: «დუნაი, დნესტრი და კავკასიის მთები» (ლავრ. გვ. 3). სად დნესტრი, სად დუნაი და სად კიდევ კავკასიის მთები?! ჩანს, მემატიანემ კავკასიისა და კარპატების მთები, როგორც ეს ჯერ კიდევ სახელგანთქმულმა შლეცერმა შენიშნა, ერთმანეთში აურიო.

5. «ბაბილონის აღრევისა და ენათა განყოფის შემდეგ, – ამბობს მემატიანე, – სემის ვაჟიშვილებმა აღმოსავლეთის ქვეყნები მიიღეს, ქამის ვაჟიშვილებმა – შუაღლის, ანუ სამხრეთის ქვეყნები, ხოლო იაფეტისამ – დასავლეთისა და ჩრდილოეთის ქვეყნები. მათგან 70 და 2 ენა სლავური, იაფეტის მოდგმის

ნარცებისა იყო და ისინი სლავები არიან». (ლავრ. გვ. 4_3). «როგორც ჩანს, _ ამბობს პროფ. ბარსოვი, _ ეს შენიშვნა და მისი წინანდელი ჩამონათვალი ერთიმეორეს გამორიცხავენ» (ნ. ბარსოვი. რუს. ისტ. გეოგრ. ნარკვ. მე-2 გამოც. გვ.8).

6. მემატიაზე ამბობს: «ის ტომებიც იაფეტისაგანაა: ვარიაგები, სვეები (სვოები); ურმანები (ურმანი_ტყე), გოთები (აკავშირებენ კუნძულ გოთლანდთან), რუსები (უკავშირდებიან სკანდინავიას), აგნიელები (ინგლისელები), გალიციელები (ანუ ესპანეთის გალიციის მცხოვრებლები, ანდა გალები _ გალატები, კელტების მთავარი მოდგმა), ვოლხვა (იტალიის მოსახლეობის სახელწოდება), რომაელები, გერმანელები, კორლიაზები (შლეცერს გერმანელები და იდუმალელებით მოცული კორლიაზები ერთ მოდგმად მიაჩნია) ვენდიცები (ვენეციელები, გენუელები და სხვ. (ლავრ. გვ. 4). აქ თითქმის ყოველი სახელწოდება განმარტებას მოითხოვს. მემატიაზე იტალიის მოსახლეობას სხვადასხვა სახელწოდებით მოიხსენიებს: ვოლხვა, რომაელები, ვენეციელები, გენუელები. ამასთან ისინი სხვადასხვა ხალხად მიაჩნია. ცხადია, მატიაანის ავტორს ჩამოთვლილ ხალხზე მეტად ბუნდოვანი წარმოდგენა ჰქონდა.

7. მემატიაზე ჩრდილოეთ და დასავლეთ ქვეყნებში (ევროპაში) ათავსებს მიდიას და მდ. ტიგროსს, რომელიც მიდიას ბაბილონისაგან ჰყოფს და პონტოს ზღვაში ჩაედინება. ევროპაშია ნაჩვენები მცირე და დიდი სომხეთი, პაფლაგონია, გალათეა, ასიის ქვეყნის ნაწილი (იონია), მაშინ, როცა ევროპული კუნძულები: სარდინია, კრეტა და კვიპროსი აზიასაა მიკუთვნებული (ლავრ. გვ. 2_3; პროფ. ნ. პ. ბარსოვი, რუს. ისტ. გეოგრ. ნარკ. გვ. 10).

8. მატიაანის დასაწყისში ქვეყნების ჩამოთვლისას მეორე გვერდზე პაფლაგონია ევროპაშია ნაჩვენები, ხოლო 43-ე გვერდზე მან უკვე აზიაში გადაიფრინა და შავი ზღვის ქვემოთაა.

9. მატიაზე აღრიცხავს ქვეყნებსა და ხალხებს, რომლებიც სემს, ქამსა და იაფეტს წარღვნის შემდგომ ხვდა წილად, მაშინვე, ანუ სწორედ მაშინ, როცა მატიაანის სიტყვებითვე «იყო ერთი ენა» (ლავრ. 2_4 გვ.). შემდეგ, თხზულება ენათა აღრევაზე გადადის და ისევ ნოეს ვაჟიშვილებს შორის დედამიწის გადანაწილების შესახებ საუბრობს (ibid, 4_5 გვ.).

10. მემატიაზე მე-7 გვერდზე რუსეთში ანდრია მოციქულის ქადაგების შესახებ იუწყება, ხოლო 983 წელს თარიღით საკუთარ თავს ეწინააღმდეგება, როცა ამბობს: «ასეთი რამ მოციქულებს არ უსწავლებიათ».

11. როგორც ისტორიკოსი ე. ე. გოლუბინსკი მიიჩნევს, თხზულებაში სერიოზული თხრობა ანდრია მოციქულის მოგზაურობაზე სანახევროდ მაინც სახუმაროსა და იუმორულთანაა შერეული, მოციქული არცთუ მთლად თავდაჭერილად გამოიყურება და დაცინვის საგნადაა ქცეული (ე. ე. გოლუბინსკი. რუს. ეკლ. ისტ. ტ. I. ნახ. გვ. 25.).

12. მეორე მთავარ საკოლონიზაციო ცენტრ ვოლგისპირეთ _ ნოვგოროდზე, რომელიც აღმოსავლეთ ევროპის დაბლობზე არცთუ ისე უმნიშვნელო როლს ასრულებდა, დაწყებითი მატიაზე ძალზე მწირ ცნობებს იძლევა.

13. მატიაანის მიხედვით ნოვგოროდელები თავიდან სლავები იყვნენ, ხოლო ვარიაგთა მოზღვაების შემდგომ გავარიაგდნენ: «ნოვგოროდელები ვარიაგთა ტომისანი არიან, ადრე სლავები იყვნენ» (ლავრ., 19 გვ.), შემდეგ კი ისევ სლავებად გახდნენ.

14. თავდაპირველი მატიანე ვესების საცხოვრისს თეთრ ზღვაზე მიუთითებს (ლავრ. გვ.10), მაგრამ უტყუარი მონაცემებით მათი დასახლებები ლადოგის ტბისა და მდინარე ვოლხვამდე აღწევდა (პროფ. ნ. პ. ბარსოვი, ნარკ. 19_50 გვ.).

15. მემატიანე ასევე არასწორად უთითებს ტომი-მერის განსახლების ადგილს. შუა ვოლგისპირეთის ტოპოგრაფიული და ქოროგრაფიული ნომენკლატურული მონაცემები, ასევე ყორღანების გათხრები ამტკიცებენ, რომ მერის მხარეს მთელი შუა ვოლგისპირეთი ეკავა (პროფ. ნ. პ. ბარსოვი, ნარკვ. 51_55 გვ.).

16. მემატიანემ დასაწყისში სლავური ტომები რომ დაასახელა, შენიშნა: «მათ ბერძნები დიდ სკვითებს უწოდებდნენ» (ლავრ., 11_12 გვ.). 907 წელს კი დრევილიანთა და დულებების გამოკლებით სრულიად სხვა ტომებს ჩამოთვლის, რომლებიც ოლეგის ლაშქრობაში იღებდნენ მონაწილეობას, და იმავე ფრაზას იმეორებს: «ისინი ბერძნებისაგან დიდ სკვითებად იწოდებიან».

17. თავდაპირველ მატიანეში ქრონოლოგიურად არასწორადაა ნახმარი სახელწოდებები: ლიახი, ვლახი, ვოლოხი, უგანათლებულესობა (ეს ტიტული პირველად კარლოს IV-მ შემოიტანა (1346_1378), ხომალდი და ა. შ. (ლავრ. 3_5,11,24,25,32,33,133 და სხვ.).

18. «ყოველგვარი ეჭვის გარეშე რუსეთში იცნობდნენ ბერძნებს, _ ამბობს პროფ. ბარსოვი, _ როგორც ცალკე ხალხს, რომელიც იმპერიის სხვა ტომებისაგან ენით, წარმომავლობით, ზნე-ჩვეულებებით განირჩეოდა, მაგრამ თავდაპირველი მატიანე ამ სახელწოდებაში უმეტესწილად გულისხმობს ბიზანტიის სახელმწიფოს მთელ მოსახლეობას, ამ სახელწოდებითვე აღნიშნავს მის ტერიტორიას _ ბერძნულ ან ბერძენთა მიწას» (ნ. პ. ბარსოვი. ნარკ. გვ. 37).

19. «თუ X საუკუნეში რუსული კოლონია ტმუტარაკანში შეიქმნა, მაშინ კავკასიის მთები რუსეთში ცნობილი უნდა გამხდარიყო. მატიანე ამ მთებს არ ახსენებს, _ ამბობს ბ. ბარსოვი, _ მაგრამ რუსი მთავრების ურთიერთობა მათ მოსახლეობასთან _ იასებთან და კოსოგებთან, რაც ჯერ კიდევ სვიატოსლავის დროიდან დაიწყო, საეჭვოს არ ხდის, რომ რუსეთში უკვე მაშინ წარმოიშვა სახელწოდება _ იასების მთები, რომლითაც არიან ცნობილი ისინი გვიანდროინდელ ძეგლებში (პროფ. ნ. პ. ბარსოვი. ნარკვ. გვ. 16).

20. მემატიანე დასავლეთ დვინას აძლევს ჩრდილოეთის მიმართულებას და უერთებს ბალტიის ზღვას არა აღმოსავლეთიდან, რა მიმართულებაცა აქვს სინამდვილეში, არამედ სამხრეთიდან. «ხოლო დვინა, _ ამბობს მატიანე, _ იმავე ტყით (ვოლკოვისა) მიედინება, ხოლო ჩრდილოეთით მიემართება და ვარიაგთა ზღვაში ჩაედინება» (ლავრ., გვ. 6).

21. ვარიაგთა (ბალტიის) ზღვის მდებარეობის შესახებ მემატიანეს სრულიად მცდარი ცნობები აქვს: «და ის ტბა (ანუ ნევა) ვარიაგთა ზღვას უერთდება, და იმ ზღვით სავალია რომამდე, ხოლო რომიდან იმავე გზით სავალია კონსტანტინოპოლამდე, ხოლო კონსტანტინოპოლიდან დასაბრუნებელია შავ ზღვაზე» (ლავრ., გვ. 6). ამგვარად, მატიანის მიხედვით, ნევა ტბაა, ხოლო ბალტიის ზღვა მთელ დასავლეთ ევროპას გარს უვლის და შავ ზღვამდე მიიწევს. ცხადია, მემატიანეს არავითარი წარმოდგენა არ ჰქონდა გერმანიის, ხმელთაშუა, ეგეოსის, მარმარილოს ზღვებსა და ატლანტის ოკეანეზე და წყლის მთელი ეს სივრცე ბალტიის ზღვაში ჩართო. თუ მემატიანეს ასეთი ბუნდოვანი წარმოდგენა აქვს მდ. დასავლეთ დვინის დინებაზე და სრულიად მცდარი წარმოდგენისაა ბალტიის

მდებარეობაზე, მაშინ შესაძლოა თუ არა ასეთი მატთანისაგან ველოდოთ ზუსტ ცნობებს სხვა ქვეყნებისა და ხალხების შესახებ?!

22. თავდაპირველი მატიანე მერის მეზობლად მურომების, მორდვებისა და ჩერემისების ტომებს მოიხსენიებს, მაგრამ მათი ურთიერთშორისი გეოგრაფიული მდებარეობის შესახებ მეტად ბუნდოვანი წარმოდგენა აქვს.

23. მემატიანე სლავების განსახლების საკითხში იბნევა: სლავების კოლონიზაცია ჩრდილოეთით დნეპრს მიუყვება, შემდეგ უკან ბრუნდება სამხრეთისკენ და ამავე მდინარის აღმოსავლეთ ნაპირზე მოიწევს.

24. თავდაპირველი მატიანე რუსებს ხან ჩუდებსა და ლატვიელ, ხან კიდევ სლავურ ტომებს შორის აყენებს.

25. რუსი მემატიანე არ იცნობს არც ვენელებს, არც სერბებს, არც ანთებს – სლავური მოდემის ხალხებს.

26. თავდაპირველი მატიანის ავტორს ემების, იუგრების (რუსეთის ჩრდილოეთში მცხოვრები ხალხის) შესახებ მეტად ბუნდოვანი წარმოდგენა ჰქონდა. იგი არაფერს ამბობს მეშჩერზე, რომელმაც ოკის აუზში თავისი ადრინდელი ცხოვრების შესახებ უდავო კვალი დატოვა.

27. მემატიანემ არ იცის ტომობრივი სახელწოდება – ზირიანი, ასევე არ იცის კორელი, რაც შეეხება ემგი-ს (იამი), დაწყებითი მატიანე მის ზუსტ გეოგრაფიულ მდებარეობას არ უთითებს (პროფ. ბარსოვი, ნარკ. გვ. 56_60).

28. ვოლგისპირეთის სლავურ კოლონიზაციაზე მემატიანემ არაფერი იცის.

29. შავ ზღვაზე საუბრისას მემატიანე იტყობინება: «მის მაგალითზე ასწავლიდა პეტრეს ძმა, წმიდა ანდრია, როგორც გადაწყვიტა», მაგრამ ადრე ანდრიას ქადაგების შესახებ არაფერი თქმულა, და თუ იგულისხმა – «როგორც სხვებმა თქვეს», მატიანიდან არც ეს ჩანს.

30. ჰუნებს, რომლებიც თავიდანვე აზოვის აღმოსავლეთ ნაპირზე მოსახლეობდნენ, მემატიანე არ იცნობს, მიუხედავად იმისა, რომ სლავ ტომებს მათთვის ხარკი უნდა ეხადათ.

31. მატიანეში ობრებზე ნათქვამია: «როცა ობრები დაიღუპნენ, მათი ტომიდან შთამომავალი აღარ დარჩა» (ლავრ., გვ. 11). როგორც ჩანს, მემატიანისათვის უცნობია, რომ ობრები ანუ ავარები კასპიის ზღვისა და ვოლგის ნაპირებზე საკმაოდ ხანგრძლივად ცხოვრობდნენ, 565 წელს დონი გადალახეს და სლავებს ჩაგრავდნენ, რომლებიც მათ უეჭველად ხარკს უხდიდნენ. ახალმა ტალღამ ისინი აიძულა დასავლეთისაკენ დაძრულიყვნენ. ავარები იმდროინდელი ევროპის უმეტეს ნაწილს შიშის ზარს სცემდნენ. ისინი, როგორც მოკავშირენი, 787 წელს კარლოს დიდის წინააღმდეგ მოწყობილ ლაშქრობაში მონაწილეობდნენ. ავარების დამარცხება მხოლოდ VIII საუკუნის ბოლოს მოხერხდა, – ისინი თანდათანობით სუსტდებოდნენ, დასასრულ, ისტორიის სცენაზე მადიართა გამოჩენისას, საბოლოოდ გაქრნენ.

32. მემატიანე რადიმისა და ვიატკას გვარს პოლონელთა შთამომავლებად მიიჩნევს: «რადიმიჩები და ვიატიჩები ლიახებისაგან არიან. ცხოვრობდა ორი ძმა ტყეში, რადიმი და მეორე ძმა ვიატკა». (ლავრ. გვ. 11). მატიანეში მოყვანილი ეს ადგილი პროფ. ბარსოვს ბნელით მოცულ და უცნაურობებით აღსავსე გადმოცემად მიაჩნია (პროფ. ბარსოვი, ნარკვ., გვ. 70), მაგრამ ეს ის გადმოცემა როდია, რომელსაც რაღაც ფაქტობრივი საფუძველი აქვს, არამედ მატიანის ავტორის მიერ კოლონიზაციური მიზნით გამოგონილი ნამდვილი არაკია.

33.მატიანე ეთნოგრაფიულ ნარკვევში ქალდეველებზე არაფერს გვეუბნება, რამდენიმე გვერდის შემდეგ კი მათ კანონებსა და ზნე-ჩვეულებებზე საუბრობს.

34.თავდაპირველი მატიანე ფინური ტომის წარმომადგენლებს ორჯერ აღრიცხავს; ესაა: 1. ტომების საერთო აღრიცხვა (ლავრ. გვ. 3) და 2. ხარკის გადამხდელ ტომთა ჩამონათვალი (ibid გვ. 10), ორივე ნუსხა კი მნიშვნელოვნად განსხვავდება ერთმანეთისაგან.

35.ყოფაყთა წეს-ჩვეულებებზე საუბრისას მემატიანე შენიშნავს: «ჩვენ ხომ ქრისტიანები ვართ... მარტო ქრისტეზე ვლოცულობთ, ქრისტეს ვეყრდნობით» (ლავრ. გვ. 15). ეს ანაქრონიზმი იმისი მაჩვენებელია, რომ მატიანე აღწერილი ამბების თანამედროვის კი არა, რუსების მოქცევის შემდგომ გაცილებით გვიან მცხოვრები პირის მიერაა დაწერილი.

36.მემატიანე «ვრეტანიის» წეს-ჩვეულებებზე თხრობისას უადგილოდ ამაზონებზე გადადის. მემატიანეს არც მოფიქრებული გეგმა აქვს და არც სისტემა. ჩამატებები, რომელთაც ხშირად იყენებს, თხრობის ერთიანობას არღვევს და შემთხვევითობის იერს აძლევს.

37.ბიზანტიელი მწერლები მადიარებს თურქებად მოიხსენიებდნენ. ხაზარებსაც ასევე უწოდებდნენ (აღმოსავლელი თურქები). ეს სახელი მემატიანეს იმპერატორ ჰერაკლეს სპარსეთში ლაშქრობის ამსახველ თხზულებაში შეხვდა. ეჭვიც არ შეუტანია, რომ აქ საქმე ეხებოდა ხაზარებს – ამ ომში ბიზანტიელთა მოკავშირეებს, და ისინი თეთრ უგრებად მოიხსენია იმ უგრებისაგან განსხვავებით, რომლებმაც 898 წელს კიევს ჩაუარეს და შავების სახელი შეერქვათ (პროფ. ბარსოვი. ნარკ. გვ. 65).

38.მემატიანე ხაზართა შესახებ შენიშნავს: «ხაზარეთს რუსი მთავრები დღემდე ფლობენ» (ლავრ., გვ.16). აქ აშკარა ანაქრონიზმია. ეს მატიანე XIV საუკუნეზე ადრე არ დაწერილა, ხოლო ხაზართა სამეფო X საუკუნეში დაეცა.

39.მემატიანე პოლოცკისა და ტუროვოს სამთავროთა წარმოქმნის დროს არ იცნობს, მათი არსებობა შემთხვევით ახსენა, სიტყვამ მოიტანა და იმიტომ.

40.არაბი ისტორიკოსები რუსების წინაპართა ზნე-ჩვეულებების შესახებ საუბრისას მიუთითებენ, რომ ისინი თავიანთ მიცვალებულთა გვამებს წვავდნენ, რაც ყორღანთა გათხრების შედეგადაც მტკიცდება, რუსულმა მატიანემ კი ამის შესახებ არაფერი იცის.

41.მიხეილის მეფობის დასაწყისად 852 წლის მითითება, როცა მემატიანემ სახელწოდება რუსეთი პირველად გაიგო, შლეცერს არასწორად მიაჩნია. «თუ მიხეილის მეფობის დასაწყისად მისი მამის გარდაცვალების თარიღს – 842 წელს მივიჩნევთ, ან იმ დროს – 856 წელს, – ამბობს შლეცერი, – როცა მიხეილმა თავი დააღწია დედის, თეოდორას (და არა ირინეს), მეურვეობას, მაშინ ორივე შემთხვევაში 852 წელი არასწორი თარიღია» (ნესტორი, 1816 წ. II ნაწ. გვ. 151_152).

42.«გარდასულ წელთა ამბავში» 6360 (852) წელს ნათქვამია: «რუსულ მიწად დაიწყო მისი წოდება». მემატიანეს დაავიწყდა თავისი ნათქვამი და 6390 (882) წელსაც იმავეს იმეორებს: «იწოდა რუსეთად».

43.რუსულ მატიანეში უძველესი პერიოდისთვისაც კი თვეების რომაული სახელწოდებები გამოიყენება, ხოლო სლავურს (უკრაინულს), მემატიანე არ იცნობს, თუმცა თავდაპირველი მატიანე სწავლულთა საყოველთაო თვალსაზრისით კიევში იწერებოდა. მატიანე მხოლოდ ერთი თვის სახელწოდებას აღნიშნავს, ისიც შემთხვევით.

44. 6360. მემატიანე 852 წლის აღნიშვნისას თითქოს ბოდიმს იხდის, რომ ადრე დაუთარილებლად წერდა და დაპირებას იძლევა, რომ მომავალში თხრობას წლების მიხედვით წარმართავს: «ამასთანავე, _ ამბობს მატიანის ავტორი, _ აქედან დავიწყებთ და რიცხვებსაც დავსვამთ». ამავე გვერდზე (ლავრ. გვ. 17) მემატიანე ნათქვამის განსამტკიცებლად გონებაში თავის დაპირებას ერთხელ კიდევ იმეორებს: «ვიტყვით, რომ ამ წელს, იმგვარად, როგორც ადრე მიხეილის ყოფნის დასაწყისის პირველ წელს აღვნიშნავდით, შემდგომ რიცხვებს მიყოლებით დავსვამთ». გვერდს გადააბრუნებ და თვალნათლივ რწმუნდები, რომ მემატიანემ რიცხვები ნამდვილად დასვა, ანდა უბრალოდ რომ ითქვას, დაწერა ციფრები: 6361, 6362, 6364, 6365, 6366 (ბულგარელთა ნათლისღების შესახებ), რაც იმას ნიშნავს, რომ რუსეთში ექვსი წლის განმავლობაში არაფერი მნიშვნელოვანი არ მომხდარა, ცხოვრების მაჯისცემა შეწყდა.

45. 6360 (852). მატიანეში ვკითხულობთ: «ამგვარად, სვიატოსლავის სიკვდილიდან (სვიატოსლავის გარდაცვალების თარიღი იხილეთ ქვემოთ), იაროსლავის სიკვდილამდე 85 წელია», ამასობაში კი სამატიანო ნუსხის ქრონოლოგიის მიხედვით, სვიატოსლავის სიკვდილიდან იაროსლავის სიკვდილამდე 85 წელიწადს კი არ გაუვლია, არამედ მხოლოდ 82 წელიწადს (1054_972=82).

46. რუს მემატიანეს ქრონოლოგია ისე აქვს აღრეული, ძნელია გაერკვე, წელიწადის რომელ თვეზე ლაპარაკობს: მარტისაზე თუ სექტემბრისაზე? ლავრენტისეულ ნუსხებში არის ადგილები, რომლებიც საშუალებას გვაძლევს ვივარაუდოთ, რომ ლაპარაკია მარტზე: ვკითხულობთ, რომ სვიატოსლავმა 6479 წელს ბელობერეჟიეში გამოიზამთრა და «გაზაფხულმაც მოუსწრო». 6480 «წელს წავიდა». შესაბამისად, გაზაფხულიდან შემდეგი წელი დაიწყო. 6604 წელზედაც ასევე ამბობს.

47. 6370 (862) წელს მემატიანემ თანმიმდევრულ მოვლენათა გრძელი რიგი მოათავსა: ელჩების გაგზავნა ზღვის გაღმა ქვეყნებში, ვარიაგ მთავართა მოხმობა, მათი «თავიანთი გვარებით» ჩამოსვლა, დასახლება, სინეუსის სიკვდილი «ორი წლის შემდეგ», ქალაქების დარიგება, ასკოლდისა და დირის მიერ კიევის დაკავება. ეს ამბები, შინაგან ქრონოლოგიურ შეუსაბამობებს რომ თავი დავანებოთ, არაფრით შეიძლებოდა ერთ წელიწადში მომხდარიყო.

48. მემატიანემ არ იცოდა, _ ამბობს ე. ე. გოლუბინსკი, _ რომ ჩვენში რუსებს ადრე ყველა ნორმანებს უწოდებდა; ამიტომაც დაასკვნა, რუსები, რომლებიც ჩვენთან დასახლდნენ, ნორმანების განსაკუთრებული ტომი იყო. შეცდომით ასეთი დასკვნის გამოტანის შემდეგ მას ნოვგოროდში რიურიკთან ერთად აუცილებლად მთელი რუსობა უნდა ჩამოეყვანა: თავის თანამედროვე ვარიაგებს შორის იგი რუსების ტომს ვერ ხედავდა და დაასკვნა, მთელი ტომი რიურიკმა ნოვგოროდში წაიყვანაო (ე. ე. გოლუბინსკი. რუს. ეკლ. ისტ. ტ. I, პირ. ნახ. გვ. 62).

49. კონსტანტინოპოლს რუსები, მატიანის სიტყვებით, იმ დროს დაესხნენ თავს, როცა მიხეილი დედამის თეოდორასთან ერთად მეფობდა, მაგრამ შლეცერის აზრით, რუსები კონსტანტინოპოლს თავს დაესხნენ 866 წელს, ხოლო მიხეილი დედამისთან ერთად მხოლოდ 856 წლამდე მეფობდა.

50. 6374. ამჟამად უკვე ზუსტადაა დადგენილი, რომ კონსტანტინოპოლზე რუსების თავდასხმა 860 წელს განხორციელდა. ასკოლდსა და დირს კი 860 წელს

კონსტანტინოპოლზე თავდასხმა არ შეეძლოთ, რადგან ისინი, მემატიანის სიტყვებით, რუსეთში 862 წელს მოვიდნენ.

51. 6375_6386. 867-დან 878 წლამდე, ანუ თორმეტი წლის განმავლობაში, მემატიანისათვის რუსეთში ღირსშესანიშნავი არაფერი მომხდარა, თუმცა თავისუფალი ადგილების შესავსებად ციფრები კოხტად ჩაუწიკწიკებია. სადაა აქ «სახელმწიფოს ტანჯვით დაბადება და მისი ბოხოქარი ყრმობა», რომლებზედაც ასე მჭევრმეტყველურად მოგვითხრობს მ. პ. პოგოდინი შთამომავლობის დასამოდვრად?! (იხ. ზემოთ, გვ.152).

52. 5387. 879 წლის თარიღით მატიანეში ვკითხულობთ: «მომაკვდავი რიურიკი (როდის?) თავის სამთავროს ოლეგს გადასცემს, რომელიც ნათესავად ერგებოდა და მას თავის ვაჟიშვილ იგორს ხელში აძლევს, რომელიც მეტად მცირე ასაკისა იყო». მემატიანე ოლეგთან დაკავშირებით იბნევა: მას ხან ვოევოდად წარმოაჩენს, ხან კი მთავრად. საერთოდ, ოლეგის პიროვნება იდუმალებით მოცული და ლეგენდარულია. ოლეგის ყველაფერი ლეგენდარულია: ლეგენდარულია მისი მეტსახელი – *Въшаги*, ლეგენდარულია მისი გამარჯვებები (ბიზანტიაშიც კი 2000 ხომალდი ჰქონდა – ათჯერ მეტი, ვიდრე კონსტანტინოპოლთან ასკოლდსა და დირს ჰქონდათ!), რომელთათვისაც ისტორიაში არც ადგილია და არც მიზეზი, ლეგენდარულია მისი «ქარმავლები», ანდა შლეცერის სიტყვებით რომ ითქვას, «ნაოსნობა ხმელეთზე» (შლეცერი, «ნესტორი», II ნაწ., გვ. 628), ლეგენდარულია მისი ხელშეკრულება ბიზანტიელებთან, ლეგენდარულია მისი 33 წლის განმავლობაში მთავრად ყოფნაც (რიცხვი სამი, ორჯერ სამი, სამჯერ სამი უდავოდ თქმულების საერთო მითიური კუთვნილებაა)...

53. 6390_6393 (882_885). ლეგენდარული ოლეგის ლაშქრობათა წლების მიხედვით გადანაწილება მემატიანის მხრიდან ასევე ცხადზე უცხადესი გამოწვინია. ბევრი რამ, რასაც მატიანე ოლეგის მთავრობის დროს მიაწერს, ამ ლეგენდარულ მთავრამდე გაცილებით ადრეულ ეპოქაშია მომხდარი.

54. «887 წლის ზაფხულში ლევონი მეფობდა, ვასილის ვაჟიშვილი, იგი ლევად იწოდებოდა, და ძმა ალექსანდრე. ისინი 20 წელზე მეტს მეფობდნენ». მაგრამ ალექსანდრეს ძმასთან ერთად არასოდეს უმეფია, უცნაურია, მათ ორივემ ოლეგთან ხელშეკრულებას 912 წლის სექტემბერში ხელი როგორ მოაწერეს? აი, ოლეგის ხელშეკრულების ლეგენდარულობის ახალი დამამტკიცებელი საბუთი.

55. 6394_6395. 886 წლიდან 897 წლამდე მატიანეში სუფთა დაფაა. ამ «ბედნიერი» თორმეტი წლის განმავლობაში, ლეგენდარული ოლეგის რუსეთში მთავრობისას ღირსშესანიშნავი არაფერი მომხდარა.

56. მეზობელ ივერიას მემატიანე არ მოიხსენიებს, მიუხედავად იმისა, რომ მას ძველი სამყაროს ყველა ცივილიზებული ერი იცნობდა. და ეს იმიტაც აიხსნება, რომ რუსული მატიანე იმ დროსაა შეკოწიწებული, როცა სახელწოდება «ივერია» უკვე არ გამოიყენებოდა. მემატიანემ არ იცის, რომ ვლადიმირ მონომახის სწავლებებში მოხსენიებული მხარე – ირია ივერიის ძველი სახელწოდებაა, *Vir, Vera* ფორმით იგი სომხებისათვისაცაა ცნობილი (დ. ზ. ბაქრაძე. წინარეისტორიულ არქეოლოგიაზე საერთოდ და კავკასიურზე განსაკუთრებით, გაზ. «კავკაზი» 1877 წ. გვ. 53_54).

57. რუსი მემატიანისთვის სრულიად უცნობია ტავრიის რუსეთი, რომლის არსებობასაც ადასტურებენ თანამედროვე უცხოელი მწერლები. მან უდიდესი

როლი შეასრულა მსხვილი მარცვლის შექმნაში, რომელიც შემდეგ ვრცელ რუსულ სახელმწიფოდ გაიზარდა.

58. მემატიათისათვის უცნობია ნოვგოროდელი მთავარი ბრავალინი, რომელიც მალე, წმ. სტეფანეს (†787) გარდაცვალების შემდეგ რაზმელებთან ერთად ქალაქ სუროჟს თავს დაესხა და წმიდანის განსასვენებელი გაძარცვა, მაგრამ სასწაულებრივი ძალით დამარცხდა, და მან და მისმა ბოიარებმა ნათელილეს.

59. «გარდასულ წელთა ამბავმა» არ იცის რუსი მთავარი, რომელიც თავს დაესხა შავი ზღვის სამხრეთ სანაპიროზე სინოპსა და კონსტანტინოპოლს შორის მდებარე ქალაქ ამასტრიდას, რაზედაც მოწმობს წმ. გიორგი ამასტრიდელის ცხოვრება (დაახლოებით IX საუკუნის დასაწყისი).

60. ალ-ბალადურის (†892) მოწმობით სირიელმა ბელადმა მარვანმა ხაზარებზე თავდასხმისას ოცი ათასამდე სლავი დაატყვევა. (ჰარკავი. მუსულმან მწერალთა გადმოცემები სლავებსა და რუსებზე, გვ. 38). ასეთი უმნიშვნელოვანესი ფაქტი რუსული მატიათისათვის უცნობია.

61. 6406. მემატიათე 898 წლით აღნიშნავს მორავიაში იმპერატორ მიხეილ III-ის მიერ კირილეს (†869) და მეთოდეს (†885) გაგზავნის შესახებ მაშინ, როცა ეს ამბავი ბიზანტიელ ისტორიკოსთა მოწმობით 862 წელს მოხდა.

62. გადმოცემას წმ. კირილე ხაზარეთიდან მორავიაში მიჰყავს, ხოლო მორავიიდან მას რუსული მატიათე რომში კი არ აგზავნის, სადაც ის ნამდვილად იყო, არამედ ბულგარეთში. ბულგარელთა ნათლობის შესახებ მეტად დაწვრილებით მოგვითხრობენ ბიზანტიელი ისტორიკოსები, მაგრამ მათ შრომებში კირილეს მისიონერობის შესახებ სიტყვაც არაა ნახსენები.

63. 6406. 898 წლის თარიღით მემატიათე შემდეგს იტყობინება: «უგრებმა კიევს რომ ჩაუარეს, ამჟამად იმ გორას უგორსკოეს ეძახიან, და დნეპრს მიუახლოვდნენ, დაბანაკდნენ», მაგრამ რუსებთან მათი შეტაკების თაობაზე მემატიათე დუმს. პოლიანებმა თავიანთი სახელწოდება მატიათის მიხედვით იმის გამო მიიღეს, რომ ველად, სტეპებში მოსახლეობდნენ, თუმცა თვით მემატიათე ხაზართა ხარკის თაობაზე რომ ლაპარაკობს, პოლიანებზე წამოსცდა, რომ ისინი «მდინარე დნეპრს ზემოთ ტყეში სხედან». მერედა, რანაირად შეიძლებოდა ტყის მკვიდრთათვის «ველის ხალხი» ეწოდებინათ?

64. 6406. 898 წლის თარიღით მოთხრობილია: «მათ პირველი წიგნები მორავიელებს შეუქმნეს; მას სლავური დამწერლობა ეწოდა. ასეთივე დამწერლობა რუსებსა და დუნაის ბულგარელებსაცა აქვთ» (ლავრ. გვ. 25), იქვე, 26-ე გვერდზე კი ლევ სოლუნელის ვაჟიშვილების, მეთოდესა და კირილეს შესახებ მოკლე ცნობების გადმოცემის შემდეგ მემატიათე ასეთ რამეს ამბობს: «მათ მოსვლისთანავე სლავური ანბანის შედგენა დაიწყეს, და «საქმე მოციქულთა» და «ევანგელიე» გადმოიღეს.» ჩვენ ზემოთ ამ ანაქრონიზმს ხაზი გავუსვით. 898 წელს რუსეთში შეუძლებელი იყო სლავურ დამწერლობას ეარსება, რომლის გაჩენას რუსების მიერ ქრისტიანობის მიღებას უკავშირებენ. მაგრამ, ვინაიდან რუსეთში პირველ ხანებში სამღვდელეობა ბერძნული იყო, ღვთისმსახურებაც უცილობლად ბერძნულ ენაზე მიმდინარეობდა.

65. 6415. 907 წლის თარიღით მემატიათე კონსტანტინოპოლზე ოლეგის თავდასხმას ამგვარად აღწერს: «მეფე ქალაქს მიუახლოვდა; და ბერძნებმა სუდზე წყალი მიუშვეს, ხოლო ქალაქი ჩაკეტეს». Sudibus, Sudis, Suda თხრილს ნიშნავს, ხოლო მემატიათემ იგი რუსულ судъ, суда-დ (აქეთ), მიიღო.

66. ოლეგის 907 წლის ხელშეკრულებაში ბერძნებთან სიტყვა _ გრივნა (უზალთუნნი) მოიხსენიება, მაშინ, როცა იგი პოლონეთშიც მხოლოდ 1125 წლიდან გაჩნდა.

67. მემატიაზე 907 წლის თარიღით ხელშეკრულებაში ბერძნებისაგან ხარკის სახით ერთ სულზე 12 უზალთუნის აკრეფის შესახებ იუწყება, ხოლო ექვსი სტრიქონის შემდეგ უკვე კომლზე 12 უზალთუნისას.

68. «გარდასულ წელთა ამბისთვის» ცნობილი არ არის ვლადიმირის ძის, სვიატოპოლკის ქორწინება პოლონეთის მეფის ბოლესლავ I მამაცის (935_967) ქალიშვილზე. (პროფ. ფ. ი. ფორტინსკი. წმ. ვლად. ნათლ... გვ. 101).

69. კასპიისპირა ქვეყნებზე რუსების თავდასხმათა შესახებ (X ს.) მოგვითხრობენ არაბი ისტორიკოსები, ხოლო რუსმა მემატიაზე ამის შესახებ არაფერი იცის.

70. 6415, 6420, 6453. მემატიაზე საუბრობს ბერძნებთან დადებული ხელშეკრულებების შესახებ მაშინ, როცა ისინი არც ბიზანტიურ მატიაზეში იხსენიება და არც სხვა ძველ წერილობით ძეგლებში. საერთოდ ხელშეკრულებათა ასეთი ფორმა ძველი ხანისათვის უცნობია. არც ერთ უძველეს ხალხს, რომლებსაც უფრო ხშირი და ახლო ურთიერთობა ჰქონდათ ბიზანტიასთან, ვიდრე რუსებს, მსგავსი ხელშეკრულებები არ მოეძევათ. მატიაზის მოწმობით, წმ. ვლადიმირს უფრო ახლო ურთიერთობა ჰქონდა ბიზანტიის იმპერიასთან, ვიდრე მის წინაპრებს, თუმცა ბიზანტიასთან დადებული მისი არც ერთი ხელშეკრულება არ ჩანს რუსულ მატიაზეში, მიუხედავად იმისა, რომ მისი მთავრობის ხანა ჩვენს ეპოქასთან უფრო ახლოსაა.

71. 6419. მემატიაზე კომეტის გამოჩენის თაობაზე 911 წლის თარიღით მოგვითხრობს. და, როგორც ისტორიკოსმა კარამზინმა სამართლიანად შენიშნა, ეს ფაქტი არასწორად აქვს აღნიშნული. კომეტა 906 წელს ჩანდა.

72. 6420. ოლეგის მიერ ბერძნებთან 912 წელს დადებულ ხელშეკრულებაში ნათქვამია, რომ რუსმა ელჩებმა ხელი ორ ქარტიას მოაწერეს «საკუთარი ხელით» (ლავრ., გვ. 36). საკითხავია: რომელ ენაზე იყო დაწერილი რუსული მხარისთვის განკუთვნილი სახელშეკრულებო ქარტია და რომელი დამწერლობით იქნა შესრულებული ხელმოწერა მითითებულ აქტებზე რწმუნებით აღჭურვილი რუსების მიერ? მატიაზეში ამის შესახებ პასუხი არ ჩანს. იმ დროს რუსეთში სლავურ დამწერლობას რომ ეარსება, მაშინ ღვთისმსახურების ენად ბერძნული არ იქნებოდა. ცხადია, მემატიაზის ცნობა «საკუთარი ხელით» ხელმოწერის შესახებ გამონაგონია. ეს უფრო გვიანდელი, 971 წლის სამშვიდობო ხელშეკრულებით მტკიცდება, რომლის ქვემოთაც ხელრთვის მაგივრად ბეჭედს სვამენ: «საკუთარი ბეჭდით ვამოწმებთ» (ლავრ. გვ. 72).

73. 6420. ოლეგის ლაშქრობებში ნოვგოროდიდან კიევში, შემდეგ საბერძნეთში სლოვენებთან, ჩუდებთან და სხვებთან ერთად ასევე მონაწილეობენ ვარიანგებიც, ხოლო რუსების მონაწილეობის შესახებ მემატიაზე დუმს, მაშინ, როცა 912 წელს ბერძნებთან ხელშეკრულებები რუსების სახელით იდება და 944 წელს იგორის მოლაპარაკებები რუსების სახელით მიმდინარეობს.

74. 6224_6448. 916 წლიდან 940 წლამდე, ანუ 25 წელიწადი რუსებთან დაკავშირებით არავითარი ცნობა არა ჩანს, მემატიაზე მრავალმნიშვნელოვნად დუმს.

75. 6453. «იგორის რაზმელებმა თქვეს: სიყრმიდან შეუსვენებლად იარაღით ვიბრძვით და დავიქანცეთ, ჩვენ კი შიშვლები ვართ; მთავარო, ჩვენთან ერთად ხარკის ასაღებად წამოდი, და შენც იხეირებ და ჩვენც». მხოლოდ ერთი წლის წინ, _ ამბობს ისტორიკოსი ს. მ. სოლოვიოვი, _ იგორი საბერძნეთის ლაშქრობიდან დაბრუნდა, მათგან ყველა მებრძოლისთვის ოქრო და დიდძალი ალაფი წამოიღო, მაგრამ, მისი რაზმელები მაინც ჩივიან, რომ შიშვლები არიან. მემატიაწეს მოვლენები წლების მიხედვით ან არასწორადა აქვს გადანაწილებული, ანდა ლაშქრობის აღწერა და მისი შედეგები სიმართლეს არ შეეფერება. შესაძლოა ასეცაა და ისეც (ს. მ. სოლოვიოვი, წიგნ. I, გვ. 128, დამატ. 1). სინამდვილეს რომ არ შეეფერება, უფრო სწორია.

76. 6453. 945 წლის ხელშეკრულებაში ნათქვამია: «რუსული კანონისა და წესდების მიხედვით», მაგრამ რუსეთში იმჟამად არავითარი ძეგლისდება არ არსებობდა.

77. 6453. იგორის 945 წლის ხელშეკრულებაში ვარიაგები _ ქრისტიანი რუსები წარმართთა გაერთიანების დონეზე არიან დაყენებულნი, იოანე ციმისხიასთან სვიატოსლავის მიერ 971 წელს დადებულ ხელშეკრულებაში კი ქრისტიანთა შესახებ სიტყვაც არაა ნახსენები.

78. 6453 (945). დღუგოშმა იგორის მკვლელის, სვენელდ მიკინის, ან ნისკინის ვაჟიშვილის ვინაობა იცის. «გარდასულ წელთა ამბავი» კი მას არ იცნობს. შევნიშნავთ, რომ მემატიაწეს დროის არაბუნებრივად დიდ მონაკვეთს გამოჰყოფს სვენელდის მოღვაწეობისათვის. ამ ვოევოდას სახელი 914 და 977 წლებს შორის გვხვდება. მემატიაწესის მოწმობით, ოლეგის თანამებრძოლები სვენელდის მეთაურობით ბრძოლას შედარებით დიდხანს (33 წელს) განაგრძობენ: ჯერ იგორის, შემდეგ სვიატოსლავისა და იაროპოლკის მთავრობის ჟამს! (იხ. ქვემოთ & 90).

79. 6462. თავდაპირველმა მატიაწემ არ იცის დიდი მთავრინას, ოლგას ურთიერთობები 945 წელს გერმანიის სამეფო კართან (პროფ. თ. ა. ფორტინსკი, წმ. ვლად. ნათლ... გვ. 118).

80. 6463. მატიაწეში 955 წლის თარიღით შეტანილია ოლგას მოგზაურობა კონსტანტინოპოლში და მისი ნათელდების შესახებ; ბიზანტიური უტყუარი ქრონიკების მიხედვით კი ოლგა კონსტანტინოპოლში 957 წელს იმყოფებოდა. იგი, მემატიაწესის სიტყვებით, კონსტანტინოპოლში ციმისხიას (969_ 976) მეფობისას ჩავიდა. სინამდვილეში კი ამ დროს ბიზანტიის იმპერატორი იყო კონსტანტინე პორფიროგენეტი (912_959). სწორედ ის მოგვითხრობს კონსტანტინოპოლში ოლგას ყოფნის ამბავს.

81. 6463. მატიაწეში 955 წლის თარიღით შეტანილია ლეგენდა ბიზანტიის უკვე ცოლიანი იმპერატორის მიერ 70 წლის ოლგასთვის ხელის თხოვნის შესახებ; ოლგას ყმაწვილურ ანცობაზე, იმაზე, თუ როგორ ცდილობდა იმპერატორი ბანკესზე წამოეგო, ხმას არ ვიღებ.

82. 6463. მითითებული წლითვე მოთხრობილია, როგორ არიგებდა პატრიარქი ოლგას ბერძნულ ენაზე, ოლგა კი მას რუსულად უსმენდა და, მემატიაწესის სიტყვებით, «დარიგებების მოსმენისას ლამის ტუჩები დაიკვნითა!»

83. იმპერატორი კონსტანტინე პორფიროგენეტი მოწმობს, რომ სვიატოსლავი მამის სიცოცხლეშივე ნოვგოროდის მთავარი იყო, ხოლო მატიაწე ამის შესახებ დუმს, თითქოს ეს მას არ ეხება.

84. 6475. მატიანის თქმულების მიხედვით, სვიატოსლავმა 967 წელს დუნაის ბულგარეთში თითქოს 80 ქალაქი დაიპყრო, მაგრამ ისტორიკოსი დ. ილოვასკი (ძიებები რუსეთის დასაბამის შესახებ, მე-2 გამოც. გვ. 156) და პროფ. მ. ს. დრინოვი მატიანის დამოწმებას უარყოფენ პროკოფიზე დაყრდნობით, რომლისგანაც გაიგო მემატიანემ ცნობა 80 ქალაქის შესახებ. პროფ. დრინოვი თავის თხზულებაში: «სამხრეთელი სლავები და ბიზანტია X საუკუნეში», ამბობს; «წარმოუდგენელია, სვიატოსლავს თავისი 10 000-იანი მსუბუქად შეიარაღებული ლაშქრით ასეთ მოკლე დროში დაეპყრო დუნაისპირა 80 ქალაქი, მათ შორის, ისეთი მიუდგომელი ციხე-სიმაგრეები, როგორებიცაა: ბელგრადი, ბდინი (ვიდდინი), სილისტრია და სხვ. ჩვენ რუსული მატიანის ამ ცნობის ისტორიულ უსაფუძვლოებაში მტკიცედ ვართ დარწმუნებული. პროკოფის ცნობა აქვს იმის შესახებ, რომ იმპერატორმა იუსტინიანემ VI საუკუნეში დუნაის პირას 80 სიმაგრე ააგო. ეჭვი არ გვეპარება, რომ პროკოფის ამ ცნობამ რაღაც გზებით მიაღწია რუს მემატიანემდე, რომელმაც მისგან დუნაიზე თავისი 80 ქალაქი «ინათხოვრა». ამას გარდა, ირკვევა, რომ დუნაის ორივე ნაპირზე მდებარე ხსენებული 80 ქალაქიდან ბევრი სვიატოსლავის მთავრად ყოფნის პერიოდში ჯერ კიდევ არ არსებობდა.

85. 6476. «რუსულ მიწაზე პაჭანიგები მოვიდნენ პირველად», – ამბობს მემატიანე, მაგრამ დაავიწყდა, რომ პაჭანიგებზე ჯერ კიდევ 915 წლის თარიღით ლაპარაკობდა ამგვარადვე: «რუსულ მიწაზე პირველად მოვიდნენ პაჭანიგები». გაცილებით ადრე კი მემატიანე პაჭანიგების მოსვლას სლავების განსახლებისას იუწყებოდა (ლავრ., გვ. 11).

86. 6477. სვიატოსლავი თავის დედას და თავის ბოიარებს მიმართავს: «არ მიეყარს კიევში ყოფნა. მინდა დუნაის პერეიასლავზე ცხოვრება, რამეთუ ჩემი მიწის შუაგული ისაა, იქ ყოველი სიკეთე იყრის თავს». მაგრამ ბიზანტიელი მწერლებისათვის სხვადასხვა სახელით ცნობილი დუნაის პერეიასლავი ქვეყნის შუაგულად, ან ცენტრად ვერავითარ შემთხვევაში ვერ ჩაითვლება. ისტორიკოსი ს. მ. სოლოვიოვი ცდილობს მატიანის ეს წინააღმდეგობრივი ადგილი ქარაგმულად ახსნას (რუს. წიგნ. ისტ. I, გვ. 144).

87. 6477. მემატიანე 969 წლით იუწყება: «მესამე დღეს მოკვდა ოლგა და მისი სიკვდილის გამო ტიროდნენ მისი ვაჟიშვილი და შვილიშვილები (როდის, ან ვისზე იყო სვიატოსლავი დაქორწინებული, მემატიანე არ ამბობს), და ხალხი დიდი გლოვით მიასვენებდა მის ნეშტს და დაკრძალა». ამის შემდგომ ვკითხულობთ: «და ანდერძი დატოვა ოლგამ, მისთვის აღაპი არ გადაეხადათ. მიწას ხუცესმა მიაბარა ნეტარი ოლგა». ამგვარად აქ ორი სახის დაკრძალვაზეა საუბარი: მემატიანე თავიდან ამბობს, რომ ოლგას დაკრძალვაში მთელი ხალხი მონაწილეობდა, ხოლო შემდეგ იუწყება, რომ იგი მიწას ხუცესმა მიაბარა.

88. 6479. რუსული მატიანე საერთოდ არ წუხს ბერძნების მიერ რუსების დამარცხებაზე. მემატიანე საარაკო ამბავს ჰყვება სვიატოსლავის გამარჯვებაზე, რომელმაც 10 000-იანი ლაშქრით ბიზანტიელთა ასი ათასიანი რეგულარული არმია დაამარცხა მაშინ, როცა ბერძნების მოწმობით, სვიატოსლავმა უდიდესი მარცხი განიცადა და ბულგარეთიდან გააძევეს.

89. 6479. ბიზანტიელი მწერალი ლევ დიაკონი მოწმობს, რომ იმპერატორმა ციმისხიამ სვიატოსლავთან დადებული ზავით რუსებს ნება დართო, საბერძნეთში ხორბალი შეეტანათ გასაყიდად. ეს მნიშვნელოვანი პუნქტი არ ჩანს ხელშეკრულებაში, რომელიც მატიანეში 971 წლითაა დათარიღებული.

90. 6479. 971 წლის სვიატოსლავის ხელშეკრულებაში ბერძნები სვენელდს ისე მოიხსენიებენ, როგორც მთავარ ვოევოდას, არადა, ლევ დიაკონის მიხედვით, აღნიშნულ ლაშქრობაში პირველი ბელადი იკმორი იყო.

91. 6480. 972 წლის თარიღით ვკითხულობთ: «წავიდა სვიატოსლავი ჭორომებში, და პაჭანიგთა მთავარი დაესხა მას უეცრად, და მოკლა სვიატოსლავი». სინამდვილეში კი სვიატოსლავი (970) წლის გაზაფხულზე მოკლეს.

92. 6481. სვიატოსლავის სიკვდილის შემდეგ გვარში უფროსი იაროპოლკი 11 წელზე მეტის არ იყო, მაშასადამე, როგორც ისტორიკოსი სოლოვიოვი სამართლიანად შენიშნავს, მას აღმზრდელი უნდა ჰყოლოდა. ვინ იყო ეს აღმზრდელი და რა დამოკიდებულება ჰქონდა მასთან სვენელდს, მემატიათა არაფერი იცის (ს. მ. სო-ლოვიოვი. რუს. ისტორია, წიგნ. 1, გვ. 152-153).

93. 6481. რუსი მემატიათათვის 973 წლის კვედლინბურგის ბრწყინვალე სეიმზე რუსი ელჩების ყოფნის შესახებ არაფერია ცნობილი. (პროფ. თ. ი. ფორტინსკი. წმ. ვლად. ნათლ. გვ. 122).

94. 6488. მემატიათა ამოწმებს, რომ ვლადიმირმა 980 წელს დიდი მთავრის ტახტი დაიკავა. 852 წლის ქრონოლოგიურ მიმოხილვაში კი თვითონვე ამბობს, ვლადიმირის მმართველობამ 37 წელს გასტანაო (1015_37=978). ამას გარდა, ხუცესი იაკობი გარკვევით მიუთითებს, რომ ვლადიმირი კიევის მთავარი 978 წელს გახდა.

95. 6488. 980 წლის თარიღით მემატიათა იუწყება: «და დაიწყო მთავრობა ვლადიმირმა კიევში მარტომ (?), და აღმართა კერპი ბორცვზე სასახლის ეზოს გარეთ: ხის პერუნი». მაგრამ პერუნი ადრე იყო აღმართული, როგორც ეს ბერძნებთან იგორის მიერ დადებული ხელშეკრულებიდან ჩანს. მატიათაში 945 წლის თარიღით ვკითხულობთ: «დილითვე მიიხმო იგორმა ელჩები, _ აღნიშნულია ხელშეკრულებაში, _ და ბორცვზე მივიდა, სადაც პერუნი იდგა».

96. 6488. მატიათაში 980 წლის თარიღით ვლადიმირის 10 ვაჟიშვილი და ორი ქალიშვილია მოხსენიებული, ამასთან, მსტისლავი ორჯერაა დასახელებული. 988 წლის ჩანაწერთა მიხედვით ვლადიმირს 12 ვაჟიშვილი ჰყავს და არც ერთი ქალიშვილი, თუმცა, ახალი ვაჟიშვილების დაბადებისა და ქალიშვილების სიკვდილის შესახებ მემატიათა არაფერს ამბობს. პირდაპირ ოვიდიუსისებრი გარდასახვაა!

97. 6489. 981 წელს მემატიათა დიდი მთავრის, ვლადიმირის მიერ პოლონელთა ჩერვენის ქალაქების დაპყრობას იხსენიებს, მაგრამ მისი ყველა თანამედროვე წყარო ამის შესახებ დუმს (იხ. პროფ. ფორტინსკისთან, წმ. ვლად. ნათლ. გვ. 101).

98. 6490. ლავრენტისეული ნუსხა 982 წლის თარიღით ვლადიმირის ქრისტიანული წესით ცხოვრების, ბერძენ ოსტატთა მიერ წმ. ღვთისმშობლის ტაძრის აშენებისა და მასში კორსუნელ სამღვდელთა შტატის დანიშვნის შესახებ იუწყებოდა. არქეოგრაფიულმა კომისიამ 982 წელი 989 წლად გადააკეთა. აი, ანაქრონიზმის აღმოფხვრის უადვილესი მეთოდი!

99. 6493. 985 წლის თარიღით მატიათა შემდეგს იუწყება: «ვოლოდიმირი დობრინისთან ერთად ბულგარელებზე სალაშქროდ ნავებით გაემართა, ტორეკები ნაპირ-ნაპირ ცხენებით მიჰყვებოდნენ; და ბულგარელებზე გაიმარჯვა». ნიკონის მატიათაში მიმატებულია: «ქვემოურ ბულგარელებზე», მაშასადამე, ვოლგისპირელებზე. ვოსკრესენსკოეს მატიათაში ეს ცნობა შემდეგნაირადაა დასათაურებული: «ბულგარელებზე გამარჯვება, რომელიც ვოლგაზე იყო». ისტორიოგრაფი კარამზინი ამგვარად იღებს ამ ცნობას (ტ. I, დამატ. 436), მაგრამ

ლაშქრობაში ტორეკების მონაწილეობა და ის, რომ ვოლგის ნაპირებზე «ცხენებით ლაშქრობა» შეუძლებელია, გაიძულებს, მატიანის 985 წლის ბულგარელებში დუნაელი ბულგარელები დაინახო და არა ვოლგისპირელები. (პროფ. ბარსოვი, ნარკ. გვ. 286, დამ. 201).

100. 6495. ვლადიმირისადმი ბერ-მონაზონ იაკობის ხოტბა, რომელიც რუს მემატიანეთა მიერ უაღრესად მნიშვნელოვან ისტორიულ ძეგლად დამსახურებულადაა მიჩნეული, გვატყობინებს, რომ «ნათლისღებიდან მეორე ზაფხულს (ანუ 988 წ.) ჭორომებისკენ წავიდა ვლადიმირი», მაგრამ ეს ცნობა მატიანეში არ ჩანს. «მესამე ზაფხულს ქალაქი კორსუნი აიღო», – მაგრამ ეს მატიანეში 988 წლითაა შეტანილი. «მეოთხე ზაფხულს წმ. ღვთისმშობლის ეკლესიას საფუძველი ჩაუყარა», – მატიანეში კი ეს წელი საერთოდ არაა. «მეხუთე წელს პერეიასლავს საფუძველი ჩაუყარა», – მემატიანეს ეს ცნობა შემდგომი წლით შეაქვს მატიანეში. მეცხრე წელს, «ათგზის ნეტარი და ღვთივმოყვარე მთავარი ვოლოდიმირი წმ. ღვთისმშობლის ეკლესიას თავისი ქონებითაც შეეწია,» მატიანეში კი ამ 6503 (995) წლით არავითარი ცნობა არაა.

101. 6496. მატიანის მიხედვით ვლადიმირი კორსუნის ალების შემდეგ მონათლა, ბერ-მონაზონ იაკობის მიხედვით კი მან, როგორც ზემოთ ვთქვით, ამ ქალაქზე გალაშქრებამდე ორი წლით ადრე ნათელილო. მემატიანის სიტყვებით, ვლადიმირმა ნათლობის შემდეგ 33 წელი იცოცხლა, ხოლო იაკობის მიხედვით, 28 წელი. კორსუნზე ლაშქრობა და მისი ალება, ბიზანტიური წყაროებით, 6497 (989) წელს განეკუთვნება.

102. 6496. დაწყებითი მატიანე 988 წლით აღნიშნავს დიდი მთავრის, ვლადიმირის ლაშქრობას კორსუნზე, ექვსთვიანი ალყის შემდეგ მის ალებას, კონსტანტინოპოლთან ელჩების სამგზის გაცვლას, ვლადიმირის ნათლისღებას, მის დაქორწინებას მეფის ასულ ანნაზე, კორსუნის მთაზე ეკლესიის აგებას, დაბრუნებას კიევში, კერპების დამხობას, კუთვნილ ქალაქებში მგზავრობას, კიეველთა ნათლისღებას, კერპების ადგილებზე ეკლესიების მშენებლობას, ქალაქებში ეკლესიების მოწყობას, სამღვდელთა დანიშვნას, ზოგი ქალაქელის და სოფლელის მონათვლას, მოზარდებისათვის წერა-კითხვის სწავლების შემოღებას, ვლადიმირის ვაჟიშვილებისათვის საუფლისწულო მამულების დარიგებას, ქალაქების მშენებლობას დესნაზე, ვოსტრზე, ტრუბეჟევზე, სულესა და სტუნეზე, ახალმოსახლეთა მოკრებას, ომს პაჭანიგებთან... ღონისძიებათა მთელ გრძელ რიგს ერთი წლის განმავლობაში, არადა, მათ განსახორციელებლად ათეულობით წლებია საჭირო!

103. 6496. მემატიანე დუმს ტმუტარაკანის დაპყრობის შესახებ, მაგრამ 988 წელს წმ. ვლადიმირის მიერ ვაჟიშვილებისათვის საუფლისწულოების დარიგების გამო საუბრისას ადასტურებს, რომ ტმუტარაკანი მსტისლავს ერგო (ლავრ., გვ. 118).

104. 6496. ეპისკოპოს ტიტმარის ცნობით, ვლადიმირს სამი ვაჟიშვილი ჰყავდა, მაგრამ რუსი მემატიანე 988 წელს ვლადიმირის შესახებ შემდეგს აცხადებს: «მას 12 ვაჟიშვილი ჰყავდა» (ლავრ., გვ. 118).

105. 6496. სამხრეთის მხარის მემატიანემ არ იცოდა, რა სამფლობელოები ერგო ვლადიმირის ვაჟიშვილებს – სტანისლავს, სუდისლავსა და მსტისლავ II-ს (ლავრ. გვ. 118).

106. 6496. მემატიაზე არ უთითებს, ვლადიმირის შვილებიდან რომელი იჯდა სმოლენსკში, ჩერნიგოვსა და პერეიასლავლში.

107. 6497. ლევ დიაკონი (Xს.) თავის ქრონიკაში ჰყვება ხერსონესის შესახებ, რომ 989 წლის 7 აპრილს ცაზე გამოჩნდა ცეცხლოვანი სვეტი, რაც მომასწავებელი იყო ხერსონესის აღებისა ტავრო-სკვითების, ანუ რუსების მიერ, მაგრამ კრინტს არ სძრავს, რომ მეფის ასული ანა რუსების დიდ მთავარს, ვლადიმირს მიათხოვეს.

108. მატიაზეში 991 წლის თარიღით ნათქვამია: «ვოლოდიმირმა დააფუძნა ქალაქი ბელგოროდი», ეს ქალაქი კი ადრეც არსებობდა. იგი 6488 (980) წლითაა მოხსენიებული. მატიაზის მიხედვით, ვლადიმირი აქ თავის 300 ხარჭას ინახავდა.

109. ნოვგოროდელ მთავართა მატიაზე, თავდაპირველი მატიაზის გვიანდელი ვარიანტები, მოთავსებული სოფიოსა და ვოსკრესენსკოეს მატიაზეებში, აგრეთვე, ვლადიმირის წესდების ნუსხების ნაწილი, მიიჩნევენ, რომ პირველი რუსი მიტროპოლიტი არის ლეონი, ვინც 991 წელს ვლადიმირს კონსტანტინოპოლიდან გამოუგზავნეს; ხარისხთა წიგნი, ნიკონის მატიაზეში ჩართული კიევის დაწყებითი მატიაზის გვიანდელი რედაქცია და ვლადიმირის წესდების ნუსხათა სხვა ნაწილი კი გვაუწყებენ, რომ რუსების პირველი მიტროპოლიტი იყო თვით ვლადიმირის მიერ 988 წელს კორსუნიდან ჩამოყვანილი მიხეილი, რომელსაც თან ახლდა ლეონი, როგორც მისი მონაცვლე. ისტორიკოსმა ე. ე. გოლუბინსკიმ უთუო მიტროპოლიტების ნუსხიდან ამომალა წმ. მიხეილი, რომელიც, ხარისხთა წიგნისა და ნიკონის მატიაზის მიხედვით, ჩამოყვანილ ექვს ეპისკოპოსთან ერთად ნოვგოროდში დადიოდა და «ბევრი ადამიანი მონათლა», შემდეგ ოთხ ეპისკოპოსთან ერთად როსტოვში «უთვალავი ხალხი მონათლა». ეკლესია მას ყოველდღიურად მოიხსენიებს, როგორც პირველ მიტროპოლიტს, რომლის უხრწნელი ნემტი (†988) კიევ-პეჩორის ლავრაში განისვენებს. რუსული «გარდასულ წელთა ამბავი» რუსეთის ეკლესიის ისტორიის პირველწყაროცაა: მასში არა მარტო მთავრების სახელებია შეტანილი, არამედ ეპისკოპოსებისაც და შემდეგ რუსების მიტროპოლიტებისაც, მაგრამ, როგორც დავინახეთ, თუ ამ ძეგლმა მთავრების უტყუარი სია ვერ შემოინახა, შეიძლება მასში მოთავსებულ იერარქთა სია ისტორიულად სარწმუნო იყოს?

110. ისლანდიური საგა ტრიგვიის ვაჟიშვილ ოლაფზე (X ს) საინტერესო ცნობებს გვაწვდის მთავარ ვალდამარის (ვლადიმირის), მისი ცოლისა და ხალხის მოქცევის შესახებ, რომლებიც რუსი მემატიაზისათვის უცნობია.

111. 6500. მატიაზის მიხედვით ვლადიმირმა 992 წელს საფუძველი ჩაუყარა ქალაქ პერეიასლავლს, მაგრამ იგი ჯერ კიდევ 906 წელს არსებობდა (ლავრ., გვ. 30, 31, 48, 119).

112. 6504. მატიაზეში 996 წლის თარიღით ვკითხულობთ, რომ ვლადიმირსა და ჩეხ ანდრიხს (1012_1034) შორის მშვიდობა სუფევდა. მაშინ, როცა ამ პერიოდში ჩეხეთის მთავარი ბოლესლავ II იყო (967_999).

113. 6504. როგორც მემატიაზის სიტყვების საფუძველზე შეიძლება ვივარაუდოთ, «დესიატინის» ეკლესია მთავრის სასახლესთან ახლოს, პერუნის გორაზე იყო აღმართული (ლავრ. გვ. 54), მაგრამ, იმავე მატიაზის ცნობით, იმ ადგილზე, რომელზედაც პერუნი იდგა, უკვე წმ. ბასილის ეკლესია იდგა. (ibid; გვ. 116).

114. 6508. მატიაზის უძველეს ნუსხებში 1000 წლის თარიღით აღნიშნულია: «აღესრულა მალფრედი». ცხადია, აქ ქალია ნაგულისხმევი, მაგრამ გვიანდელმა

მწიგნობარმა წარმოიდგინა, რომ მამაკაცზე იყო საუბარი და მალფრედი მალფრედად გადააკეთა, ხოლო სხვები რომ არ შემცდარიყვნენ, ეპითეტი «ძლიერი» დაურთო.

115. 6508. 1000 წლის თარიღით მოხსენიებული ალექსანდრე პოპოვიჩი – დევგმირი, იმ ეპოქის ნამდვილად მოარული ზღაპრული პერსონაჟია. ეს სახელი ერქვა ასევე XIII საუკუნის დევგმირს, თანაც სხვადასხვა ადგილას.

116. 6519. მემატთანე 1011 წლის თარიღით ლაკონიურად შენიშნავს: «აღესრულა ვოლოდიმერის დედოფალი ანნა», მისი დაკრძალვის ადგილზე კი სიტყვასაც არ სძრავს. მაგრამ სახელგანთქმული ტიტმარ მერზენზურგელისათვის ცნობილია, რომ დედოფალი მიწას «დესიატინის» ეკლესიაში მიაბარეს. ბიზანტიელი ისტორიკოსი, XI საუკუნის მიწურულისა და XII საუკუნის დასაწყისის მოღვაწე სკილიცი კი (იოანე თრაკიელი), ადასტურებს, რომ ანნა 1023_26 წლებს შორის, ვლადიმირის შემდეგ გარდაიცვალა (ე. ე. გოლუბინსკი, რუს. ეკლ. ისტ. ტ. I. გვ. 186, 1 დამ.).

117. 6522. 1014 წელი. მემატთანე ამბობს: «და თქვა ვოლოდიმირმა: გაიყვანეთ გზა და გადეთ ხიდი, – სურდა თავის შვილის, იაროსლავის წინააღმდეგ გაელაშქრა, მაგრამ დასნეულდა». მატთანის ავტორმა უეჭველად დიდი მთავრის, ვლადიმირის განსადიდებლად შეთხზა ლეგენდა სასანგრო სამუშაოებზე, თორემ ჩვენთვის უფრო ახლო ხანებშიაც კი საომრად გზის უცოდინრად, გეოგრაფიული რუკების უქონლადაც მიემართებოდნენ.

118. 6523. ვლადიმირის აღსასრულის აღწერისას მემატთანე ჩივის, მისდამი უპატივცემულობას იჩენდნენო: «ადრე დასცინოდნენ კიდევ, და მისი აღსრულების დღეს მის გამო უფლისადმი ვედრება აღვავლინეთ, და ღმერთს მისდამი ჩვენი ერთგულება რომ დაენახა, ქება–დიდებას შეგვასხამდა». ოდნავ ქვემოთ კი ის თვითონვე წერს, რომ პატივს მიაგებდნენ: «აქედან მოყოლებული, რუსი ხალხი ხსოვნაში ინახავს».

119. 6523. სვიატოპოლკმა ბორისის მოკვლის შემდეგ: «გლებთან მალემსრბოლი გააგზავნა: სასწრაფოდ გამოემურე, მამაშენი გიხმობს, მეტად შეუძლოდააო». გლებიც სწრაფად ამხედრდა, თან მცირე რაზმი გაიყოლა. იგი მამის დამჯერი იყო. ვოლგას რომ მიაღწია, ცხენმა ველზე წაიფორხილა, თხრილში ჩავარდა და ფეხი მსუბუქად დაიზიანა; სმოლენსკში ჩავიდა. როგორც კი ინათა, სმოლენსკიდან წავიდა და სმიადინაზე ხომალდში ჩაჯდა... მოულოდნელად სვიატოპოლკისაგან გლების მოსაკლავად კაცი მოვიდა. გლების ხომალდი მაშინვე იპოვა... გლებს ყელი გამოსჭრა». (ლავრ., გვ. 132, 133). როგორც მემატთანე 6496 (988) წლით ადასტურებს, გლები მურომში იჯდა. მაშ, რატომ აიძულებს მას მემატთანე შემოვლითი გზით იაროს ცხენით მურომიდან ვოლგამდე, შემდეგ ხომალდით ვოლგიდან სმოლენსკამდე? მურომი ხომ ოკაზე მდებარეობს და უფრო ახლოა სმოლენსკთან, გლებს რად უნდა ევლო ვოლგაზე, ხოლო იქიდან სმოლენსკში. მაშასადამე, დასავლეთის მხრით უნდა ევლო სმოლენსკამდე, იქიდან კი უკვე დნებრს გაყოლოდა, მაგრამ რადგან ეს დრო დაახლოებით ოქტომბერ–ნოემბერზე მოდის, როცა მდინარეები ყინულითაა დაფარული, გლების ხომალდებს ხმელეთზე უნდა ეცურათ.

120. 6527. მემატთანე სვიატოპოლკს ავად ახსენებს: «იგი სიძვის დიაცისაგან გაჩნდაო». ამ დროს კი ავიწყდება 6488 (980) წელს ნათქვამი: «ვოლოდიმირი

ბერძენი დედოფლის ძმის ცოლს გაუმიჯნურდა, და არა ამაოდ, მისგან სვიატოპოლკი ეყოლა».

121. 6528. 6535. 6538. 1020, 1027 და 1030 წლების თარიღით მემატთანე იაროსლავის ვაჟიშვილების: – ვლადიმირის, სვიატოსლავისა და ვსევოლოდის დაბადების შესახებ საუბრობს. სხვა წყაროებიდან კი ცნობილია, რომ მას ჰყავდა უფროსი ვაჟიშვილიც, რომელიც ნოვგოროდში დაიბადა, აგრეთვე მეხუთე ვაჟიშვილი იგორი.

122. იაროსლავის წესდებაში ხიდების, ანუ ბოგირების შესახებ მოხსენიებულია ბორისისა და გლების ეკლესია, მაგრამ იაროსლავ დიდის დროს, რომელსაც ეს წესდება მიეწერება, ამ წამებულთა სახელობის ეკლესია არ არსებობდა.

123. 6538. 1030 წლის თარიღით მატთანე ამბობს: «ბოლესლავ დიდი ამ დროს მოკვდა ლიასეხეში, და იყო დიდი არეულობა ლიადესკეს მიწაზე...» ბოლესლავი კი 1025 წლის 3 აპრილს გარდაიცვალა.

124. 6545. «იაროსლავმა დიდ ქალაქ კიევს ჩაუყარა საფუძველი», – ამბობს მემატთანე 1037 წლის თარიღით, დაავიწყდა, რომ, მისივე სიტყვებით, კიევი ძმებმა კიებმა დააარსეს (ლავრ., გვ. 8).

125. XI საუკუნის პირველ ნახევარში ონეგისპირა ლოპი* არა მარტო ხარკს უხდიდა ნოვგოროდს, არამედ უშუალოდ მისი სამფლობელო იყო. «ხიდების შესახებ» იაროსლავის წესდებაში ლოპის რელი** ვოლხოვთან და ლუბთან ერთადაა ნაჩვენები, როგორც ობოჟინის თემის ნაწილი. მიუხედავად ამისა, დაწყებითი მატთანე მას არ იცნობს, როგორაც არ იცნობს ვოჟანებს ანდა ვოდებს, ოჩელებსა და სოსოლებს.

126. 6547. დაწყებითი მატთანე დუმს რუსეთში პირველი მიტროპოლიტის ჩამოსვლისა და მის მიერ საეკლესიო მმართველობის დაწესების შესახებ. მხოლოდ შემთხვევით, 1039 წლის თარიღით ახსენებს მიტროპოლიტ თეოპემპტს.

127. 6547. რუსმა მემატთანემ არ იცის 1039 წელს დიდი რუსი მთავრის ქალიშვილისა და კაზიმირ პოლონელის ქორწინების შესახებ, რასაც ადასტურებს საქსონიის მატთანე.

128. 6554. 1043 წ. მემატთანე საუბრობს ბერძნების წინააღმდეგ მრავალათასიანი ლაშქრის გაგზავნის შესახებ: «სამწლიანი მშვიდობიანობის შემდეგ გაგზავნეს ვიშატა», და ეს ერთ წელიწადში მოხდა!

129. 6561. 1053 წლის თარიღით მატთანე იტყობინება: «ვსევოლოდს შვილი ბერძენი დედოფლისაგან გაუჩნდა და მას ვოლოდიმერი დაარქვეს,» ხოლო ვსევოლოდ იაროსლავის ძის ქორწინების დროის შესახებ მემატთანე სიტყვას არ ძრავს.

130. 6562. 1054 წელს მემატთანე იაროსლავს აიძულებს, ორჯერ მოკვდეს. დასაწყისში ნათქვამია: «აღესრულა დიდი რუსი მთავარი იაროსლავი», მერე აცოცხლებს და აიძულებს, სიკვდილის წინ დამოდღვროს ვაჟიშვილები, განსაკუთრებით იზიასლავი და მათ საუფლისწულოებს ურიგებს. «თვითონ კი ცხოვრება უმძიმდა და ზენა ქალაქში რომ ჩავიდა, ძალზე დასნეულდა, იზიასლავი, მაშინ ნოვგოროდში ცხოვრობდა...(!) იაროსლავს კი სიცოცხლის აღსასრული უახლოვდება და უფალს სულს აბარებს». აქ მემატთანე რაღაცას ურევს: იზიასლავი ხან იაროსლავის აღსრულებას ესწრება, ხან კიდევ ნოვგოროდში იმყოფება!

131. 6562. სიკვდილის წინ დიდი მთავარი იაროსლავ I, მემატიაანის სიტყვებით, თავის ვაჟიშვილებს ეუბნება: «ჩემო შვილებო, ამ სოფლიდან მივდივარ, ერთმანეთი გიყვარდეთ, თქვენ ერთი დედ-მამის შვილები, ძმები ხართ.» არადა, ამ დროს მისი ვაჟიშვილებიდან იქ მხოლოდ ვსევოლოდი იყო.

132. 6562. 1054 წლის თარიღით მემატიაანე ვლადიმირის ძე იაროსლავ I-ის სიკვდილზე ამბობს: «მთელი 70 წელი იცოცხლა,» მაშინ, როცა იაროსლავ I 978 წელს დაიბადა და მამასადაამე, 76 წელი იცოცხლა.

133. 6569. მემატიაანე 1061 წლის თარიღით აღნიშნავს: «ყივჩაყები საომრად რუსულ მიწაზე პირველად შემოვიდნენ». დაავიწყდა, რომ ყივჩაყთა შემოსევები უკვე 1055 წელს ახსენა: «მეშვიდე წელს მოვიდა ბოლუშჩი ყივჩაყებით, და ვსევოლოდმა მათთან ზავი დადო».

134. 6571. 1063 წლის თარიღით მატიაანეში ბუნების ფიზიკური მოვლენების საწინააღმდეგო შემდეგ ცნობას ვკითხულობთ: «ამ წლის ზაფხულს ნოვგოროდში 5 დღე მდინარე ვოლხოვი უკუიქცეოდა».

135. 6582. მატიაანის ავტორს მატიაანეში ცარიელი ადგილების შესავსებად დამოუკიდებელი ძეგლებიც შეაქვს: თეოდოსის მიძინება, ვლადიმირის სწავლებანი, თქმულება კირილესა და მეთოდეზე და ა. შ. ასეთი ძეგლები მატიაანისათვის შეუფერებელია.

136. 6498, 6533, 6598. მატიაანეში 990, 1025 და 1090 წლები საერთოდ გამოტოვებულია და არქეოგრაფიულმა კომისიამ, ეტყობა, ეს ვერ შეამჩნია. შენიშვნებში ამის შესახებ არაფერია ნათქვამი. სწავლული კომისიის მისამართით უნდა შევნიშნოთ, რომ ლავრენტისეული ნუსხა, რომელიც საუკეთესო და ძველ ნუსხად მიაჩნიათ, შესწორებული დაიბეჭდა, ადგილ-ადგილ კი მასში სხვა ნუსხების მთელი გვერდებია შეტანილი. როგორც ჯერ კიდევ გ. ფ. მილერმა შენიშნა, საუკეთესო ნუსხა უცვლელად უნდა დაებეჭდათ, ხოლო ვარიანტები სტრიქონების ბოლოს შენიშვნებში განეთავსებინათ.

137. 6597, 6599, 6631. 1089 წლის თარიღით მემატიაანე პერეასლავის მიტროპოლიტ ეფრემს იხსენიებს მაშინ, როცა ამ დროს კიევში მიტროპოლიტი ნამდვილად იოანე III იყო. 1091 და 1123 წლების თარიღით კი მას უბრალოდ ეპისკოპოსად მოიხსენიებს.

138. 6601. 1093 წლის თარიღით მემატიაანე ყივჩაყთა შემოსევებზე საუბრობს: «გვაგონდება გზა საკუთარი უკეთურებისა, რის გამოც უფალი დღესასწაულებზე მჭვუნვარებას გვგვრის, რამეთუ... წინასწარმეტყველი ამბობდა: «ზეიმს თქვენსას ტირილად ვაქცევ და სიმღერას თქვენსას, გოდებად». ზუსტად იგივეს იმეორებს იგი 6745 (1237) წლის თარიღით, როცა თათრების შემოსევას აღწერს.

139. 6604. მემატიაანე 1096 წლით ათარიღებს ვლადიმირ მონომახის წერილს, მიწერილს ოლეგ სვიატოსლავის ძისადმი, მაგრამ წერილი მურომის ბრძოლის შემდეგ, 1098 წელსაა დაწერილი და, მამასადაამე, ნაადრევადაა მატიაანეში შეტანილი.

140. 6604. 1096 წლის თარიღით მემატიაანე ამბობს, რომ «ვაჟიშვილები დასხდნენ ხვალისში», მაგრამ ტომების განსახლებისას «ხვალისის» წარმოშობის შესახებ სიტყვაც არაა ნათქვამი (ლავრ. გვ. 6).

141. მემატიაანე აგიოლოგიის, ჰომილიისა და სვინაქსარისაგან მატიაანეს ვერ ასხვავებს. მთელი გვერდები უკავია ზოგჯერ ვრცელ ცხოვრებებს, ქადაგებებს, აკათისტურ მოწოდებებს, მიმოწერებს და ა. შ.

142. 6604. მემატიანეს მოჰყავს ნოვგოროდელი გიურატ როგოვიჩის ნაამბობი ჩრდილოეთის ქვეყნებზე და ვერ ამჩნევს, როგორ ეწინააღმდეგება ერთმანეთს მისი წარმოდგენები ვარიაცის ზღვაზე და გიურატ როგოვიჩის ცნობები ჩრდილოეთ ოკეანის შესახებ.

143. 6604. ვლადიმირ მონომახი მატიაანეში მთლიანად ჩართულ, (ლავრ. გვ. 232_243) თავის მოძღვრებაში მამის, ვსევოლდ სვიატოსლავის ძის ისეთ ბრძოლებსა და საქმეებზე იუწყება, რომლებიც მემატიაანისთვის უცნობია.

144. ვლადიმირ მონომახი დარიგებებში თავის ლაშქრობებს ჩამოთვლის და ირკვევა, რომ 83 დიდი ლაშქრობა განუხორციელებია, ხოლო მცირე ლაშქრობათა რიცხვი ზუსტად არც ახსოვს. მემატიაანემ ვერ მოიფიქრა, ამ ლაშქრობებით ცარიელი წლები მაინც შეევსო!

145. 6607. 1099 წლის თარიღით ვკითხულობთ: «გაემართა სვიატოპოლკი დავითის წინააღმდეგ ვოლოდიმირისაკენ და განდევნა დავითი პოლონეთში». ავტორს დაავიწყდა, რომ ეს ამბავი მან მანამდე, ორი წლით ადრე დაწვრილებით, კერძოდ, 1097 წლის თარიღით აღწერა. არაფერს ვამბობთ იმ წინააღმდეგობრობათა შესახებ, რომლებსაც ეს ორი მონათხრობი შეიცავს.

146. 6632. მემატიაანის სიტყვებით, 1124 წელს კიევში ორი დღის განმავლობაში «დაახლოებით ექვსი ასეული ეკლესია მთლიანად დაიწვა». (1117 წელს 400 სახლი დაიწვა, უდავოა, მათ შორის, რამდენიმე ეკლესიაც, ყოველ შემთხვევაში, კარისა მაინც). თუ ყოველ ეკლესიაზე სასულიერო პირებთან ერთად 300 სულს ვიანგარიშებთ, მაშინ 180 000 სულ მართლმადიდებელ მოსახლეს მივიღებთ, ხოლო კიევში ამჟამადაც კი 200 000 სული მართლმადიდებელი და 200 ეკლესია თუ იქნება. ამასთან, მატიაანის შემდგომ თხრობაში არ ჩანს, რომ ახალი ეკლესიების ასაშენებლად ენერგიული ღონისძიებები იქნა გატარებული. ცნობილი მემატიაანის, ტიტმარის ცნობით, შესაძლოა გაზვიადებული ცნობით, როგორც ამას პროფ. ნ. პ. ბარსოვი ფიქრობს, კიევში მის დროს 300 ეკლესია იყო (ნარკ., გვ. 141)

147. 6630, 6642. 1122 წლის თარიღით მემატიაანე იტყობინება პოლონელთა მიერ ვასილის ძმის, ვოლოდარის დატყვევების შესახებ, პოლონელი «ლივიუსის» იან დლუგოშის სახელგანთქმული ნაშრომი კი გვაუწყებს, რომ ბოლესლავმა ვოლოდარი ორჯერ 1122 და 1134 წლებში დაატყვევა.

148. 6676. 1168 წლის თარიღით ანდრეი ბოგოლიუბსკის ჯარების მიერ კიევის აღების შესახებ მემატიაანე შენიშნავს: «ეს არასოდეს მომხდარა», თუმცა, როგორც იმავე მატიაანიდან ვიცით, კიევი არაერთხელ ყოფილა აღებული. 968 წლის თარიღით მატიაანე გვაუწყებს, რომ კიევს პაჭანიგები შემოეწყვნენ და კიეველებმა სვიატოსლავს შეუთვალეს: «სანამ არ მოხვალ, არ დაგვიცავ, მანამდე არ დავენებდებით». 1018 წლის თარიღით ვკითხულობთ, რომ კიევი ბოლესლავმა და სვიატოპოლკმა აიღეს. 1073 წელს კიევი სვიატოსლავმა და ვსევოლოდმა დაიკავეს. XI საუკუნის დასასრულისათვის კიევი ყივჩაყთა თარემის შედეგად დაიკალა, ყივჩაყები XII საუკუნეშიც განაგრძობდნენ თარემს, რის შედეგადაც კიევი გაპარტახდა.

149. მემატიაანისათვის უცნობია თამარ დიდისა (1184_1213) და ანდრეი ბოგოლიუბსკის ვაჟიშვილ გიორგის ქორწინება, ან შესაძლოა, მან ეს ფაქტი დამალა, რადგან გიორგი საქართველოში უზნეო და სამარცხვინო ცხოვრებას ეწეოდა (ქართ. ცხოვრ. ტ. I, გვ. 287_288).

150. როცა რუსმა მთავრებმა ყივჩაყთა რაზმთან პირველი შეტაკებისას გაიმარჯვეს (1186), და ომი როგორ დამთავრდებოდა ჯერ კიდევ არ იცოდნენ, კვებნა დაიწყეს, საომრად დონზე წავიდეთო: «თუ აქ ვერ გავიმარჯვებთ, ზღვის უბისაკენ გავემართებით, სადაც ჩვენს ბაბუებსაც არ უვლიათ». ეს მაშინ, როდესაც მემატიანეს მდინარე დონზე რუსი მთავრების გამარჯვებები ადრე არაერთხელ აღუნიშნავს. მონომახის დარიგებებში ლაპარაკია დონზე მთავრების ლაშქრობათა შესახებ (ლავრ. გვ. 241). 1109 წლის თარიღით მატიანეში ვკითხულობთ: «დომიტრი ივოროვიჩმა დონთან ყივჩაყთა სიმაგრეები აიღო». 1116 წლის თარიღით მემატიანე ამბობს: «იმავე წელს იაროპოლკი ყივჩაყთა მიწაზე, დონად წოდებული მდინარისკენ გაემართა, და უამრავი ტყვე იგდო ხელთ». დონზე ლაშქრობის შესახებ «ამბავი იგორის ლაშქრობაშიაცაა» მოხსენიებული.

151. იდუმალეებით მოცული სახელგანთქმული პოეტური თხზულება «ამბავი იგორის ლაშქრობისა», რომელიც პროფ. ვ. ნ. მალინინს ცნობილი ლიტერატურული სკოლის ნაყოფად მიაჩნია, ისეთ მთავართა სახელებს გვამცნობს, მატიანეში ნახსენები რომ არაა. იგორის ლაშქრობის ამბავში დაწვრილებითაა მოთხრობილი ტმუტარაკანის შესახებ, მატიანეში კი მხოლოდ გაკვრით. პოეტი გოთთა ტომის (?) ქალწულებზე საუბრობს, რომლებიც ლურჯი ზღვის ნაპირზე რუსული ოქროს წკარუნის თანხლებით მღერიან. მატიანეში ამის ხსენებაც არაა. თვით იგორისა და ვსევოლოდის ლაშქობა, როგორც ამბავიდან ჩანს, იმ მიზნით მოეწყო, რომ «ქალაქი ტმუტარაკანი მოეძებნათ» მაშინ, როდესაც მემატიანემ ამ მხარის დაპყრობის თარიღი არ იცის.

152. 6703. მატიანის მოწმობით, ვსევოლოდმა 1195 წელს დააარსა ქალაქი პერეიასლავლი (ზალესსკი), იგი კი გაცილებით ადრე იყო დაარსებული და 1173 წლით იხსენიება.

153. არქეოგრაფიულმა კომისიამ შეასწორა «ნაწილი ყოველგვარი ქვეყნებისა» (ლავრ., გვ. 3). გამოირკვა, რომ «ყოველგვარი ქვეყნები» ჯერ კიდევ ამართლოს სლავურ ტექსტში იყო აღნიშნული. XV საუკუნის ტროიცკის პერგამენტის ნუსხაში, რომელიც 1812 წელს ფრანგების შემოსევისას დაიწვა, სიტყვა «всѣческая»-ს ადგილზე «Чанская» იყო. ლავრენტისეული ნუსხის შესწორებისას ჩვენი აზრით «всѣческой»-ს ადგილზე უნდა ჩაეწერათ «Чанскую», როგორც ადრინდელ უძველეს ნუსხაში იყო. ჭანეთი (ლაზისტანი) ქართული პროვინციაა, რომელიც შავ ზღვას სამხრეთით და სამხრეთ-აღმოსავლეთით ესაზღვრება და დასახლებულია ჭანებით – ქართული ტომის განშტოებით (დ. ი. ჩუბინაშვილი, განხილვა ძველთა და კაბადოკიის ანუ ჭანეთის მკვიდრთა მოსახლეთა; ი. ა. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, წ. I, გვ. 40_42)

ამგვარად, ჩვენ ბადე ვისროლეთ და 153 თევზი დავიჭირეთ. მეტს არ გამოვკიდებივართ. სურვილი რომ გვექონოდა, შეგვეძლო რუსული მატიანის ორჯერ მეტ ნაკლზე მიგვეთითებინა. ისიც ვიცით, რომ მრავალს განსაკუთრებულად არ ესიამოვნება ანაქრონიზმთა ასეთი გრძელი სია, მაგრამ გამომიწვიეს და, ჩემი სამამულო მატიანის დაცვის მიზნით, რომელსაც აბუჩად იგდებდნენ, იძულებული გავხდი, ხელი მომეკიდა «გარდასულ წელთა ამბის» შესწავლისა და მისი ჭეშმარიტი ღირსების გარკვევისათვის.

ყველა მითითებული ნაკლოვანების შემდეგ, შეიძლება ისეთი ნაწარმოები, როგორც მცირე განათლების მწიგნობრის დაწერილი «გარდასულ წელთა ამბავია», ისტორულ წყაროდ მივიჩნიოთ?!

პირველივე თავში სხვათა შორის, მივუთითეთ, რომ რუსი მეცნიერები მეტად მცირე ინტერესს იჩენდნენ ქართული ეკლესიის ისტორიისა და მისი მდიდარი წერილობითი საუნჯის მიმართ, მაგრამ ლიტონი სიტყვა რომ არ გამოგვივიდეს, მოვიხსენიებ ერთი ქართული შუამდგომლობის ბედს, რომელიც მოცემული საკითხისადმი აკადემიური კორპორაციისა და უმაღლეს იერარქთა დამოკიდებულებაზე მიუთითებს.

1900 წლის დასაწყისში საეგზარქოსომ წმ. სინოდთან იშუამდგომლა ს. პეტერბურგის სასულიერო აკადემიაში ქართული ეკლესიის ისტორიის დამოუკიდებელი კათედრა დაეფუძნებინათ. ქართული ეპარქიის საეკლესიო მუზეუმის სამღვდლოების კომიტეტის დადგენილებით მისმა თავმჯდომარემ ე. კ. მ სინოდის წევრებს, ობერპროკურორს, მის ამხანაგს, სასულიერო აკადემიათა რექტორებსა და მეცნიერებს 15 მარტს შემდეგი შინაარსის წერილით მიმართა:

«მომავალ 1901 წლის 12 სექტემბერს სრულდება მართლმადიდებლური საქართველოს ძღვევამოსილ, ერთმორწმუნე რუსეთთან შეერთების ასი წლისთავი. ჩვენთვის, ქართველებისათვის, ამ უდიდესი მოვლენის სათანადოდ აღნიშვნის მიზნით საქართველოს სხვადასხვა ფენაში და ჩვენი მხარის სამთავრობო დაწესებულებებში ესოდენ მნიშვნელოვანი დღისადმი შესაბამისი პროექტები მუშავდება. საქართველოს საეგზარქოსოს ეპისკოპოსებმა, თავიანთი მხრიდან, ეს დღე, რომლებსაც სურთ ისეთი ღირსეული საქმით აღნიშნონ, რაც ხელს შეუწყობს წმ. მართლმადიდებლური ეკლესიის კიდევ უფრო განდიდებას, საქართველოს ეგზარქოსს მის მაღალყოვლადუსამღვდლოეს ფლავიანეს მოხსენებითი ბარათით მიმართეს და მეუფეს სთხოვეს შუამდგომლობა, რომ ს. პეტერბურგის სასულიერო აკადემიაში საქართველოს ეკლესიის ისტორიის დამოუკიდებელი კათედრა დაეფუძნებულიყო. ეს მიზნად ისახავს მეცნიერულად დამუშავდეს წერილობითი ძეგლები, რომლებიც უთვალავია ს. პეტერბურგის სამეფო საჯარო ბიბლიოთეკაში, მეცნიერებათა აკადემიაში, საგარეო საქმეთა სამინისტროს მოსკოვის მთავარ არქივში, ქართული ეკლესიის მუზეუმში, ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების ბიბლიოთეკასა და მონასტრებში. საეჭვოდ არ მიგვაჩნია, რომ აუცილებელია და დიდად მნიშვნელოვანი, ღრმად იქნას შესწავლილი წარსული ივერიის ეკლესიისა, რომელიც თითქმის თექვსმეტი საუკუნე იდგა მართლმადიდებლობის სადარაჯოზე, მეცნიერულად დამუშავდეს მისი წერილობითი და ნივთიერი ძეგლები, რომელთაგან ბევრი V-VII საუკუნეებს განეკუთვნება.

იმის გამო, რომ თქვენთვის კარგადაა ცნობილი უმაღლესი საღვთისმეტყველო მეცნიერების გასაჭირი და ინტერესები, ქართული ეკლესიის მუზეუმის კომიტეტი გთხოვთ თქვენს ქრისტიანულ-განმანათლებლურ ხელშეწყობას, რომ ს. პეტერბურგის სასულიერო აკადემიაში, რომელიც უამრავი ხელნაწერი და ნაბეჭდი საუნჯის ადგილსამყოფელია, დაფუძნდეს ქართული ეკლესიის ისტორიის დამოუკიდებელი კათედრა. ამასთან დავსძენთ, რომ ქართული ეკლესიის წერილობითი ძეგლების უდიდესი მნიშვნელობის შესახებ თანდართულ ბროშურაში საკმაოდ დაწვრილებითაა ნათქვამი.

1900 წლის 30 აპრილის წმ. სინოდის 12665 ბრძანებით, აკადემიის საბჭოს დაევალა წარმოედგინა დასკვნა ს. პეტერბურგის სასულიერო აკადემიაში ქართული ეკლესიის ისტორიის დამოუკიდებელი კათედრის დაარსებასთან დაკავშირებით. ამ საკითხის განსახილველად საბჭოს 1900 წლის 22 მაისის 11 განაწესით შეიქმნა კომისია დამსახურებული პროფესორის ტ. ვ. ბარსოვის თავმჯდომარეობით, პროფესორ ნ. ვ. პოკროვსკისა და დოც ა. ი. ბრილიანტოვის შემადგენლობით. საბჭოს სხდომის ჟურნალი 19, 1902 წლის 18 მარტი. მოისმინეს:819 ს. პეტერბურგის სასულიერო აკადემიაში ქართული ეკლესიის ისტორიის დამოუკიდებელი კათედრის დაარსების შესახებ კომისიის შემდეგი აზრი: აკადემიის საბჭოს დავალებით კომისიამ იმსჯელა ქართული მუზეუმის კომიტეტის მიერ აღძრულ საკითხზე, ს. პეტერბურგის სასულიერო აკადემიაში ქართული ეკლესიის ისტორიის დამოუკიდებელი კათედრის დაარსების გამო და შეჩერდა შემდეგ წინადადებებზე:

1. ამჟამად, როცა აკადემიაში არ ისწავლება ქართული ეკლესიის ისტორია, ზოგიერთი ცნობა, რომლებიც ქართული ეკლესიის ბედს, მის საღვთისმეტყველო წესსა და ადმინისტრაციულ წყობას ეხება, ზოგჯერ გადაიცემა ეკლესიისა და რუსეთის საერთო ისტორიის, ეკლესიის არქეოლოგიასა და ლიტურგიკასთან ერთად ეკლესიის სამართლის მეცნიერებათა სწავლებისას, მაგრამ დასახელებულ მეცნიერებათა პედაგოგებს ძალა არ შესწევთ ქართული ეკლესიის ღირსშესანიშნავ, უმნიშვნელოვანეს მოვლენებსაც კი სიღრმისეულად ჩასწვდნენ და სათანადოდ გადმოსცენ. ამის გამო, ქართული ეკლესიის მუზეუმის შუამდგომლობა ს. პეტერბურგის სასულიერო აკადემიაში ქართული ეკლესიის ისტორიის კათედრის დაფუძნების შესახებ ყურადღებას იმსახურებს, განსაკუთრებით, მდიდარი მატერიალური და წერილობითი, ისტორიული, არქეოლოგიური, სამართლებრივი ძეგლებით, რომლებიც მრავალ ბიბლიოთეკას, მუზეუმსა და არქივში ინახება. აკადემიაში ასეთი კათედრის დაარსება უდავოდ ხელს შეუწყობდა აკადემიური კურსის მეცნიერული ცოდნის გაღრმავებასა და კერძოდ მართლმადიდებლურ სამყაროში ერთ-ერთი უძველესი ეკლესიის ისტორიული წარსულის გაცნობას.

2. ქართული ეკლესიის ისტორიული ბედი, როგორც ბედი ქართველი ხალხისა, მტკიცედაა გადაჯაჭვული მეზობელი ქრისტიანული ეკლესიების ბედს, სომხური, სირიულ-ქალდეური და საერთოდ აღმოსავლეთის ქვეყნების ქრისტიანული ეკლესიების ბედს. ეს ვითარება გვაავალდებულებს, ყურადღება გავამახვილოთ იმაზე, რომ ქართული ეკლესიის ისტორია სწორად იქნას გაგებული და დამაკმაყოფილებლად ისწავლებოდეს, ჩამოთვლილი ეკლესიების ისტორიასთან კავშირში. საქართველოს ეკლესიის ისტორიისათვის ნავარაუდევია კათედრა უფრო საიმედო, მართებული და სიცოცხლისუნარიანი მაშინ იქნება, თუ მისი ისტორიის შინაარსის თხრობისას სათანადო ყურადღება ქართველი ხალხის მეზობელი ეკლესიების ისტორიასაც მიექცევა. ქართული ეკლესიის ისტორიის ამ სახით ჩამოყალიბებული კათედრა, რომელიც ტომობრივი სეპარატიზმით არ შემოიზღუდებოდა, საერთოდ გაგვაცნობდა აღმოსავლეთის ეკლესიების ისტორიის ცნობებს, რაც ამჟამად აკადემიის სწავლების შესამჩნევი ხარვეზი გახლავთ.

3. ამ ცნობათა დიდი ღირებულების მიუხედავად, არ შეიძლება ხელაღებით ამტკიცო, რომ სავარაუდო კათედრის მიერ გადმოცემული ცოდნა მათი საგანგებო ხასიათის გამო და ამ კათედრის ლექციების მოსმენა აკადემიის მთელი

სტუდენტობისათვის სავალდებულო იყოს. ამას მსურველთა ნება უნდა განაპირობებდეს. ასეთი კათედრა თავიდან საცდელად უნდა გაიხსნას. ეს, ჯერ ერთი, საჭიროა იმისათვის, რომ სრულიად დავრწმუნდეთ, ერთის მხრივ, თვით კათედრის სიცოცხლისუნარიანობაში, მეორეც, ასევე დავრწმუნდეთ, რომ კათედრის მასალა სასარგებლოა და აკმაყოფილებს მსმენელთა ცნობისწადილს.

4. გარკვეულ ახსნა-განმარტებას ითხოვს სავარაუდო კათედრაზე საიმედო, მომზადებული და უნარიანი პედაგოგების დანიშვნის (განწესების) საკითხიც. უდაოა, ამ კათედრის პედაგოგისათვის უცხო უნდა იყოს ყოველგვარი ნაციონალურ-სეპარატისტული განწყობილება. ასეთი კათედრის საუკეთესო ხელმძღვანელი შეიძლება და გამხდარიყო სასულიერო აკადემიის აღზრდილი, რომელსაც, საერთო საღვთისმეტყველო განათლებასთან ერთად, ენებიც ეცოდინებოდა. ენების ცოდნა კი აუცილებელია ძეგლების დამოუკიდებლად შესასწავლად და დასამუშავებლად. ამგვარი პედაგოგი შეიძლება იყოს ადამიანი, რომელიც გაივლის განსაკუთრებულ მომზადებას, რუსული უნივერსიტეტის აღმოსავლურ ენათა ფაკულტეტზე შეისწავლის ქართულ, სომხურ და სირიულ ენებს და იმოგზაურებს ამიერკავკასიასა და აღმოსავლეთში, რათა ადგილზე გაეცნოს შესაბამისი ხალხების ენებს, ძეგლებსა და ლიტერატურას. ამიტომ სავარაუდო კათედრის გახსნამდე, საჭიროდ მიგვაჩნია წინასწარ მივხედოთ აკადემიის აღზრდილებს შორის ჩვენთვის სასურველი ხელმძღვანელის მომზადების საკითხს.

კომისიას აქვს პატივი ზემოთ გამოთქმული მოსაზრებები და მათგან გამომდინარე ვარაუდები მასზე დაკისრებული დავალების აღსასრულებლად წარუდგინოს აკადემიის საბჭოს.

დაადგინეს: «განცხადების მიხედვით სასურველია დაისვას საკითხი, დაარსდეს კათედრა არა მარტო ქართული ეკლესიის ისტორიისა, არამედ აღმოსავლეთის ქრისტიანული თემებისა ისევე, როგორც ბიზანტიური ეკლესიის ისტორიისა. ამ მიზნით შეიქმნას კომისია დამსახურებული ორდინალური პროფესორის ნ. ა. სკაბალანოვიჩის თავმჯდომარეობით და პროფესორების: ნ. ვ. პოკროვსკის, ნ. ვ. ნიკოლსკის, ი. გ. ტროიცკისა და ა. ი. ბრილიანტოვის შემადგენლობით; მასვე დაევალოს თავისი მოსაზრებები წარადგინოს საბჭოში».

მოისმინეს: 1. კომისიის აზრი აკადემიაში ქართული ეკლესიის ისტორიის და მასთან ერთად აღმოსავლური ქრისტიანული თემების ისტორიისა და ბიზანტიური ეკლესიის ისტორიის კათედრის დაარსების შესახებ შემდეგი შინაარსით:

«მითითებული საკითხი განხილულ იქნა და ამავე დროს მხედველობაში იქნა მიღებული როგორც საქართველოს საეგზარქოსოს ეპისკოპოსთა მოხსენებელი ბარათი ს. პეტერბურგის სასულიერო აკადემიაში ქართული ეკლესიის ისტორიის დამოუკიდებელი კათედრის დაარსების შესახებ, ისე ამ საკითხის გამო ადრე შექმნილი კომისიის აზრი. კომისიას აქვს პატივი აკადემიის საბჭოს წარუდგინოს შემდეგი მოსაზრებები, რომლებიც აკადემიური მეცნიერების ფაქტიური მდგომარეობის განხილვის შედეგებზე, მის მოთხოვნებსა და აკადემიის განაწესის მითითებებზეა დაფუძნებული.

ქართული ეკლესიის ისტორიის საგანგებო დამუშავების სურვილი თავისთავად საკამათო არ არის ისევე, როგორც არ შეიძლება უარყოფოთ ის სარგებლიანობა, რაც ყოველგვარ სპეციალიზაციას მოაქვს მეცნიერულ მუშაობაში. მაგრამ ვინაიდან ამ

შემთხვევაში აკადემიაში ახალი კათედრის დაარსების საკითხი დგება, უსათუოდ ანგარიში უნდა გაეწიოს, ერთის მხრივ, საეკლესიო-ისტორიული მეცნიერების ნამდვილ საჭიროებას იმ სახით, როგორც იგი მუშავდება და ისწავლება ამჟამად სასულიერო აკადემიებში, მეორე მხრივ, – საერთოდ აკადემიური სწავლების არსებულ პირობებს, რომლებიც განსაზღვრავენ ახალი საგნის ამა თუ იმ სახით დამუშავების პრაქტიკულად განხორციელების შესაძლებლობას, რისთვისაც დამოუკიდებელი კათედრის გახსნაა ნავარაუდები.

საკითხის ამ თვალსაზრისით განხილვამ კომისია იმ დასკვნამდე მიიყვანა, რომ აკადემიური მეცნიერების თანამედროვე მოთხოვნებისათვის უფრო შესაფერისი იქნება და პრაქტიკულად განსახორციელებელი აკადემიაში არა მხოლოდ საგანგებოდ ქართული ეკლესიის ისტორიის კათედრის გახსნა, არამედ საერთოდ ბერძნულ-აღმოსავლეთის ეკლესიის ისტორიის, მისგან IX საუკუნეში დასავლეთის ეკლესიის გამოყოფამდე. ამ საგნის პროგრამაში, უპირველეს ყოვლისა, უნდა შევიდეს ბერძნული ეკლესიის ისტორია, დაწყებული აღნიშნული დროიდან, ხოლო შემდგომ უკვე საქართველოს ეკლესიის ისტორიაც და აღმოსავლეთის სხვადასხვა ხალხის ქრისტიანული თემების ისტორიაც, რომელთაც თავიანთ ისტორიულ წარსულში ბიზანტიასთან ჰქონდათ შეხება.

ა. თუნდაც ერთ-ერთ აკადემიაში განსაკუთრებული კათედრის დაფუძნება სწორედ ისეთი პროგრამით, რომელშიც პირველ რიგში გათვალისწინებული იქნებოდა ბიზანტიისა და, საერთოდ, საბერძნეთის უგვიანესი ისტორია, დაუყოვნებელი და აუცილებელი საქმეა ქართული ისტორიის დამუშავების საკითხის გარეშე. ბიზანტიის ეკლესიის ისტორიის დიდი მნიშვნელობა თავისთავად აღმოსავლურ-მართლმადიდებლური თვალსაზრისით, სახელდობრ ის მნიშვნელობა, რაც ბიზანტიურ ეკლესიასა და ბიზანტიურ კულტურას რუსული ეკლესიისა და რუსი ხალხის ისტორიაში ჰქონდა, რუსულ მეცნიერებას, როგორც სასულიეროს, ისე საეროს, პირდაპირ ავალდებულებს ბიზანტიის, მისი საეკლესიო, სამოქალაქო ისტორიისა და კულტურის გულისყურითა და ყოველმხრივ შესწავლას. ამჟამად ბიზანტიის ეკლესიის ისტორიის უგვიანესი პერიოდის, ასევე თურქთა უდელქვემ მოქცეული მართლმადიდებლური ეკლესიის შემდეგდროინდელი ისტორიის სწავლება აკადემიებში ეკლესიის საერთო ისტორიის კათედრას აკისრია. მაგრამ ეკლესიათა განყოფის პერიოდამდელი ქრისტიანობის ისტორიის მასალების სიუხვე ამ კათედრის ხელმძღვანელს საშუალებას არ აძლევს, მუდმივად ამუშავებდეს და კითხულობდეს აღმოსავლეთის ეკლესიის უგვიანესი პერიოდის ისტორიის დაწვრილებით კურსს, ისე, რომ უფრო ადრინდელი პერიოდის ისტორიას ზიანი არ მიადგეს. თუ ეკლესიის საერთო ისტორიიდან გამოვყოფდით ქართული ეკლესიის ისტორიას, აუცილებელი იქნებოდა მისგან. უპირველეს ყოვლისა, გამოგვეყო თვით ბერძნული ეკლესიის უგვიანესი ისტორია იმ მიზნით, რომ იგი საგანგებოდ დაგვემუშავებინა. ამ შემთხვევაში მიჯნა შეიძლება იყოს სწორედ IX საუკუნე, დრო დასავლეთის ეკლესიის გამოყოფისა აღმოსავლეთისაგან, მასთან ერთად, დრო ბიზანტიასთან რუსების პირველი ურთიერთობებისა და ქრისტიანობის პირველი ნაკვალევის გაჩენისა რუსებთან, ასევე, დრო ქრისტიანული ნათლით სამხრეთელი სლავების განათვისა. რაც შეეხება სხვა, არაბერძნულ ეკლესიებსა და აღმოსავლეთის ქრისტიანულ თემებს, განსაკუთრებულად არ გაჭირდება, ამ ეკლესიებისა და თემების ისტორიის თხრობაში ჩაერთოს ნარკვევი IX საუკუნემდე

მათი ისტორიული ბედის შესახებ, რადგან პედაგოგის ყურადღება უპირატესად მაინც გამახვილებული იქნება მათ უგვიანეს ისტორიაზე, რომლისთვისაც ასე თუ ისე საკმარისი მასალა არსებობს...

ბ. ამგვარი კათედრის დაარსების საფუძველი შეიძლება ვიპოვოთ თვით აკადემიის 1884 წლის დღევანდლამდე მოქმედ წესდებაში და ამ წესდების გამოცემამდე არსებულ პრაქტიკაში. წესდებაში აკადემიების სასწავლო მეცნიერებათა ჩამონათვალში (&100) მსოფლიო ეკლესიის ისტორიასა (ეკლესიათა გაყოფამდე) და რუსეთის ეკლესიის ისტორიასთან ერთად არის კიდევ «მართლმადიდებლური აღმოსავლეთის» (ეკლესიათა განყოფის შემდეგდროინდელი), ანუ «ბერძნულ-აღმოსავლური» ისტორიაც. (იხ. წესდების პროექტის განმარტებითი ბარათი). მაგრამ აკადემიური კურსის საგნების განაწილებისას (დამატება & 117) პედაგოგთა შორის მაინც მხოლოდ ეკლესიის საერთო ისტორიისა და რუსული ეკლესიის ისტორიის პედაგოგები იხსენიებიან, ცხადია, რაკი არა ჰყავთ ეკლესიათა განყოფის შემდგომდროინდელი ბერძნულ-აღმოსავლური ეკლესიის საგანგებო მასწავლებელი, მხოლოდ ამის გამო არიან იძულებულნი, ეს ისტორია ეკლესიის საერთო ისტორიას მიუერთონ, მიუხედავად ზემოთ მითითებული ამგვარი მიერთების უხერხულობისა. ადრინდელ დროში, 1884 წლამდე აკადემიას ჰყავდა საგანგებო წარმომადგენელი, რომელიც მთლიანად დასავლეთის ეკლესიის ისტორიასაც ასწავლიდა და ამჟამად რომ დასავლურ აღმსარებლობათა განხილვასთან არის მიერთებული. საქმის ამჟამინდელი ვითარება ამ ისტორიას ნაკლებად ხელსაყრელ პირობებშია კი აყენებს, ვიდრე არის დასავლეთის არასლავური ისტორია.

გ. ბიზანტიის ეკლესიის ისტორიის განსაკუთრებულ საგნად გამოყოფა აკადემიაში საქართველოს ეკლესიის ისტორიის წარმატებით სწავლებისა და დამუშავების ერთ-ერთი აუცილებელი პირობაა. ამ ისტორიის ბიზანტინოლოგიასთან ერთად სწავლების მჭიდრო კავშირზეა მითითებული ბროშურაშიც: «მომწიფებული საკითხი (მიძღვნილი საქართველოს რუსეთთან შეერთების დღისადმი), ტფილისი 1900», ის ერთვის ქართული ეკლესიის მუზეუმის კომიტეტის შუამდგომლობას საქართველოს ეკლესიის ისტორიის კათედრის დაარსების შესახებ. ბროშურის სიტყვებით, სწორედ «რუსული ბიზანტინოლოგიის ღირსება ითხოვს, რომ მას მიეკუთვნოს ინიციატივა და მთავარი როლი ქართულ სიძველეთა განხილვასა და გამოკვლევაში» (გვ. 14), მაგრამ ბიზანტინოლოგიის ღირსება უსათუოდ ითხოვს უპირველესად თვით ბიზანტინოლოგიის სწავლებას აკადემიაში განსაკუთრებული საგნის (დისციპლინის) სახით; მხოლოდ მაშინ იქნება შესაძლებელი საუბარი მის ინიციატივასა და ხელმძღვანელ როლზე ქართულ სიძველეთა გამოკვლევაში...

საერთოდ, ბერძნული აღმოსავლეთის გვიანდელი ისტორიის განსაკუთრებულ საგნად გამოყოფა, მასთან ქართული ეკლესიისა და სხვა არაბერძნული აღმოსავლეთის ქრისტიანული თემების ისტორიის შეერთება იქნებოდა პირველი საკმაოდ ბუნებრივი სტადია ქრისტიანული აღმოსავლეთის ისტორიის თანმიმდევრული სპეციალიზაციისათვის, რითაც შესაძლებელი გახდება ამ მიმართულებით მუშაობის გაგრძელება, როცა ამისათვის აუცილებელი პირობები შეიქმნება. ახლა კი ლტოლვა უკიდურესი სპეციალიზაციისაკენ მაშინ, როცა წინამდებარე საფეხურები არაა გავლილი და ჯერ კიდევ დაუკმაყოფილებელია აკადემიური სწავლების უფრო დიდი საარსებო მოთხოვნები, მიზანშეწონილი არ

იქნებოდა. ამასთან, უნდა შევნიშნოთ, რომ თუ ქართულ ეკლესიას შეუძლია კიდევაც წარმოაჩინოს ზოგი განსაკუთრებული უფლება, რომ მისი ბედი იკვლიოს რუსეთის საღვთისმეტყველო მეცნიერებამ, ვინაიდან მუდამ ერთგული იყო მართლმადიდებლობისა და რუსულ ეკლესიასთან უმჭიდროესი კავშირი აქვს, მაშინ, ამავე დროს, როგორც ჩანს, ჯერ-ჯერობით უცილობელ ფაქტად რჩება ის, რომ ქართული სასულიერო ლიტერატურა მეცნიერული თვალსაზრისით მთლიანობაში გაცილებით ნაკლები ღირებულებისაა, ვიდრე შესაბამისი ლიტერატურა, მაგალითად, სირიულ და სომხურ ენებზე და თითქმის მთლიანად სირიული და ბერძნულ-ბიზანტიური მწერლობის ნაწარმოებთა თარგმანებისაგან შედგება; ყოველ შემთხვევაში, მისი ღირებულების დამტკიცება ჯერ კიდევ მომავლის საქმეა. ეს ვითარება არ შეიძლება სასხვათაშორისოდ მივიჩნიოთ სწორედ ქართული ეკლესიის ისტორიის შესწავლის მიზნით საგანგებო კათედრის აუცილებლად დაარსების საკითხის გადაწყვეტის დროს.

დ. საქმის ისე წარმართვა, რაზეც ზემოთ მივუთითეთ, აკადემიურ მეცნიერებასთან მის ნამდვილ მოთხოვნათა შესაბამისობის გარეშეც, ერთადერთ საშუალებად უნდა იქნას აღიარებული ამჟამად მისი განხორციელების თვალსაზრისით. ყველა სხვა გზა, ან განსაკუთრებულ საგნად მხოლოდ ქართული ეკლესიის ისტორიის გამოყოფა, ან საერთოდ, არაბერძნული ქრისტიანული აღმოსავლეთის ისტორიისა (ისე, რომ მარტო ქართულ ეკლესიაზე გამახვილდეს ყურადღება), ნაადრევი იქნებოდა, რადგან პრაქტიკულად გადაულახავ წინააღმდეგობას წააწყდებოდა იმ მიზეზით, რომ აკადემიაში დღესდღეობით არ არსებობს ამგვარი საგნის მსმენელი, ფილოლოგიურად გარკვეულწილად მომზადებული იმისთვის, რომ დამოუკიდებლად იმეცადინოს ხსენებულ საგანში და თუნდაც საკმაო ინტერესით მოისმინოს ლექციები. არაბერძნული აღმოსავლეთის ეკლესიის ისტორიის მიმართ განსაკუთრებული ყურადღების გამოჩენა და აღმოსავლურ ენებზე დაწერილ ძეგლებზე მუდმივი მუშაობა მოითხოვს ამ ენების ცოდნას არა მარტო მსმენელთაგან. თუ მსგავს მოთხოვნას მასწავლებლები შეასრულებენ, აკადემიის მსმენელები ამის გაკეთებას ვერ შეძლებენ. ქრისტიანული აღმოსავლეთის ისტორიის საკვლევად აუცილებელი ენები, კერძოდ, ქართული და სომხური, აკადემიაში არ ისწავლება, მხოლოდ ზოგჯერ, ისიც არა ყოველწლიურად, მათ შესახებ ცნობებს აწვდიან სიტყვიერების განყოფილების სირიული ენის სტუდენტებს ებრაული ენის ლექციებზე. ასეთ პირობებში ახალი კათედრა შეიძლება მსმენელთა გარეშეც დარჩეს, რადგან მარტოდენ მოყვარული ლინგვისტი სტუდენტების იმედით ყოფნა ყოველწლიურად, რა თქმა უნდა, სასურველი ვერ იქნება. ამ სიძნელიდან თავის დაღწევა რამდენადმე შეიძლება ყოველწლიურად აკადემიაში ქართველთა ჩარიცხვით. მაგრამ მუდმივ მსმენელთა კონტინგენტის შექმნის ამგვარი ხერხი სხვებისათვის ნაკლებად საჭირო, ან ძნელად გასაგები საგნისთვის (კერძოდ, მხოლოდ ქართული ისტორიის საგნისათვის), ალბათ, აკადემიაში მისაღებ პირთა მაქსიმალურ რაოდენობასა და ამგვარ მსმენელთა შესანახი ხარჯების დაფინანსებაზეა დამოკიდებული და საეჭვოა, თავისთავად მთლად ნაყოფიერი შედეგი გამოიღოს. სანამ აკადემიაში აღმოსავლურ ენათა სწავლება არ შემოუღიათ, არაბერძნული ქრისტიანული აღმოსავლეთის ისტორიაც აქ შეიძლება არსებობდეს, როგორც მხოლოდ ბერძნული აღმოსავლეთის ისტორიის საგნის დამატება».

ხსენებული კომისიის წევრის, დამსახურებული ორდინარული პროფესორის ნ. ვ. პოკროვსკის განსაკუთრებული თვალსაზრისი:

«ს. პეტერბურგის სასულიერო აკადემიაში საქართველოს ეკლესიის ისტორიის განსაკუთრებული კათედრის დაარსების საკითხთან დაკავშირებით, ვრჩები ადრინდელ თვალსაზრისზე, რაც ამ საგანზე პირველი კომისიის მოხსენებაში გამოვთქვი. ჩემი აზრი ხსენებული კათედრის დამოუკიდებლად არსებობის შესახებ შემდეგ მოსაზრებებს ეყრდნობა:

I. ამ კათედრის საკითხი საქართველოში ადგილზე, ადგილობრივი საეკლესიო-ისტორიის ცოდნის წარმომადგენელთა შორის წამოიჭრა, საკმაოდ საფუძვლიანადაა მოტივირებული, როგორც «მომწიფებული საკითხი» და გადაწყვეტას მოითხოვს. ამისათვის ხელსაყრელი დრო სწორედ ახლა დადგა, – ვგულისხმობთ რუსეთთან ერთმორწმუნე საქართველოს შეერთების ასი წლისთავისადმი მიძღვნილ ახლახან აღნიშნულ დღესასწაულს. საქართველოს ეკლესიის ისტორიის საგანგებო აკადემიური კათედრის დაარსება, როგორც მრავალტანჯული საქართველოს ბედისა და მისი ეკლესიური ცნობიერების მაჩვენებლისა, დიდი პატრიოტული საქმე იქნებოდა. პირველი აკადემიური კომისია დადებითად შეხვდა ამ მომწიფებულ მოთხოვნას, ადგილობრივ გარემოში ამ სიმპათიურ მოძრაობას და სწორადაც, დადებითად გადაწყვიტა მისთვის განსახილველად შეთავაზებული საკითხი.

II. ორჭოფული გადაწყვეტა საკითხისა, რომ აკადემიაში დაარსდეს ახალი კათედრა – «ბერძნული ეკლესიის ისტორია ეკლესიათა განყოფიდან უახლოეს პერიოდამდე, მასთან საქართველოს ეკლესიის ისტორიის მიერთებით», როგორც განსაკუთრებული საეკლესიო ისტორიული განშტოება, გარემოსა და დროის მოთხოვნებს არ შეესაბამება და საქართველოს ისტორიას ვიწრო ჩარჩოში ძალისძლავდა ათავსებს: კათედრის ამ სახით შექმნისას საქართველოს ეკლესიის ისტორია თავის ფასსა და სისრულეს კარგავს, რადგან ბერძნული ეკლესიის ისტორიასთან მისი კავშირი მითითებულ საზღვრებში მეტად მოკლევადიანი და ცალმხრივია; სასურველი შედეგი ვერ მიიღწევა; სწავლებაში გარდაუვალი გაორება მოხდება და პროფესორი იძულებული იქნება ყველაფერს გამოეკიდოს; უკეთეს შემთხვევაში, სპეციალისტი-პროფესორი მთელ გულისყურს გადაიტანს პირველ ადგილზე დაყენებულ თავის საგანზე, ანუ საბერძნეთის ეკლესიის ისტორიაზე და საქართველოს ისტორიას ყოველგვარი ყურადღების გარეშე დატოვებს, რადგან საქმისადმი მისი სხვანაირი დამოკიდებულება ვერ იქნება შესატყვისი იმ მოთხოვნებისა, რომლებიც ამჟამად ისტორიის სპეციალურ მეცნიერულ შესწავლას აქვს წაყენებული. მე იმაზე უკვე არ ვსაუბრობ, რომ არც ქართული ეკლესიის ისტორიის სპეციალისტისა და არც ბერძნული ეკლესიის ისტორიის სპეციალისტის მომზადება ერთნაირად არ შეიძლება. თუ ჩვენ ბერძნული ეკლესიის ისტორიის მეორე კათედრა გვჭირდება, მაშინ მასზე ცალკე უნდა ვისაუბროთ, ბერძნული ეკლესიის ისტორიაზე საქართველოს ეკლესიის ისტორიის დაქვემდებარების გარეშე; თუ რაიმე პრაქტიკული, ან ფორმალური მოსაზრებებით, მაგალითად, აკადემიის წესდების მუხლზე დაყრდნობით, აღიარებული იყო საჭიროება იმისა, რომ ბერძნული ისტორია რომელიმე სხვა ისტორიას უნდა შეერთებოდა, მაშინ ამ კავშირში უფრო ახლობლურად და ბუნებრივად სლავური ეკლესიების ისტორია შევიდოდა, ვიდრე ქართული, მაგრამ ამგვარი შეერთებაც თვით საქმის არსით, ანდა ისტორიის მეცნიერულად

დამუშავების საჭიროებით არაა ნაკარნახევი და ამის შესახებ მსჯელობისათვის ამჟამად არავითარი მიზეზი არ არსებობს; აკადემიის წესდებაში მისი ძეგლია, რომ ამ წესდების მუხლს დავეყრდნობთ, ზედმეტია: ჩვენ იმას კი არ გვეკითხებიან, არის თუ არა წესდების მიხედვით გათვალისწინებული საქართველოს ეკლესიის ისტორია, არამედ იმას – საჭიროა თუ არა და თანადროულია თუ არა აკადემიაში ამგვარი კათედრის დაარსება. ამ პირდაპირ კითხვაზე, ჩემი აზრით უნდა გავიცეს პირდაპირი დადებითი პასუხი, კერძოდ კი:

III. კავკასიამ და, სახელდობრ, საქართველომ, დღემდე ძეგლების იმოდენა სიმდიდრე შემოინახა, როგორც იშვიათია სხვა ქვეყნებში. ეს ძეგლები მრავალრიცხოვანი და მრავალფეროვანია, და მათმა მეცნიერულად შესწავლამ უხვი შუქი უნდა მოჰფინოს არა მხოლოდ საქართველოს ეკლესიის ისტორიას, არამედ საერთოდ აღმოსავლეთის ეკლესიების ისტორიასაც. ჩვენ გვერდს ვუვლით კავკასიის პირველყოფილ კულტურას, ესოდენ მნიშვნელოვანს ხალხების პირველყოფილი ისტორიისათვის, მათ შორის ევროპელი ხალხებისთვისაც, ეპოქას, რომელიც წინ უძღოდა მატთანეებისა და ისტორიული მწერლობის გამოჩენას, და ყურადღებას მხოლოდ ქრისტიანულ ძეგლებს მივაპყრობთ: მათ განეკუთვნება წერილობითი ძეგლები და ხელოვნების ანუ მატერიალური ძეგლები.

1. ქართული წერილობითი ძეგლები სულ ახლო დრომდე დავიწყებას იყო მიცემული და მხოლოდ ზოგიერთი მათგანი, განსაკუთრებით, გვიანდელი ეპოქისა (აქტები) იპყრობდა სიძველის მოყვარულთა ყურადღებას. მაგრამ 80-იან წლებში სერიოზული საფუძველი ჩაეყარა მათ სისტემატურ შეგროვებას და მოკლე დროში საკმაოდ ბევრი შეგროვდა. თბილისში წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების ბიბლიოთეკაში მათი რიცხვი ახლა უკვე 1200 ხელნაწერს აღემატება; სიონის ტაძრის საეკლესიო-არქეოლოგიურ მუზეუმში ასევე 500-მდე ხელნაწერია. მრავალი ქართული ხელნაწერია მიმოფანტული სინის, პალესტინის, ათონის ბიბლიოთეკებში, ს. პეტერბურგის სამეფო საჯარო ბიბლიოთეკაში, საქართველოს მონასტრებსა და ძველ ტაძრებში, და სიძველის მოყვარულთა კოლექციებში. ეკლესიების აქტები, მაგალითად, ქართულ არქივებში ათიათასობით აღირიცხება. ეს ხელნაწერები მოიცავენ ვრცელ პერიოდს VII-დან XIX საუკუნემდე. ხელნაწერთა შინაარსი ისე მრავალფეროვანია და ტევადი, საეკლესიო მოღვაწეობისა და ცხოვრების ყველა მნიშვნელოვან მხარეს ეხება; მათ მიეკუთვნება: წმ. წერილის, ძველი და ახალი აღთქმის თარგმანები; ლიტურგიკული ხელნაწერები, წმიდა მამათა ნაწარმოებების თარგმანები, ნაწილობრივ, ისეთებისა, რომელთა ორიგინალები უცნობია და ისინი ქართულის გარდა სხვა ენაზე არ მოიპოვება⁸²⁰, ქრისტიანული აპოკრიფები, წმიდანთა ცხოვრებები, პოლემიკური თხზულებები, ადგილობრივი ქართული საეკლესიო კრებების საქმეები, ძველი ფილოსოფოსების, პოეტებისა და სხვა ბერძენი და აღმოსავლელი მწერლების ნაწარმოებთა თარგმანები, თხზულებები მედიცინის, ენათმცოდნეობის, გეოგრაფიის, ასტროლოგიის, მუსულმანობის შესახებ და ა. შ. უკვე არაფერს ვამბობთ იმ ათიათასობით აქტზე, რომლებიც საქართველოს რუსეთთან ურთიერთობას ეხება, მოყოლებული XVII საუკუნიდან; ხოლო იმის საჭიროება არცაა, ვილაპარაკოთ იმაზე, რომ უკვე ცნობილ ხელნაწერთა გარდა, მომავალში მრავალი სხვაც იქნება ნაპოვნი. ყველა ეს უძვირფასესი ძეგლი დღემდე მხოლოდ მკვდარი კაპიტალია, რომელსაც მეცნიერის ხელი არ შეხებია. მათ

საფუძველზე კი უმთავრესად ქართული ეკლესიის ისტორია უნდა შეიქმნას. ეს ძეგლები ნათელს მოჰფენს საქართველოს ეკლესიის ისტორიის უმნიშვნელოვანეს ეპოქებს, მეცნიერებასა და განათლებაში აღორძინებისა და დაცემის ეპოქებს, საქართველოს მუდმივ სიმტკიცეს მართლმადიდებლური ეკლესიის ეკლესიურ გადმოცემათა დაცვაში, ბრძოლას უცხო აღმსარებლობის მოძღვრებებთან, ეკლესიის მართვის წყობას; ერთი სიტყვით, ისინი იმ მტკიცე საფუძველებს მოგვცემენ, რომელთა გარეშეც ნამდვილი ისტორია ვერ დაიწერება. საქართველოს ეკლესიის ამგვარი ისტორია აქამდე ჯერ კიდევ არ არსებობს, მაგრამ იგი უაღრესად სასურველია, საჭიროა და მისი დამუშავება ჩვენი გადაუდებელი მოვალეობაა.

2. ძეგლების მეორე ჯგუფი ნივთიერი ძეგლები, ანუ საეკლესიო ხელოვნების ნაწარმოებები გახლავთ. მათ განეკუთვნება საეკლესიო არქიტექტურის ძეგლები, კედლის მხატვრობა, ხატები, ლითონის ნაკეთობები და მინანქარი, წიგნის მხატვრობა ანუ მინიატურები, ძველი ნაქარგობა, ეპიგრაფიკული ძეგლები. ასეთი ძეგლები კავკასიაში მეტად ბევრია და მოიცავს დროის გრძელ მონაკვეთს, დაახლოებით X საუკუნიდან XVII საუკუნემდე, თუ არ ჩავთვლით ბიჭვინთის ტაძარს და ნეკრესის კედლის მხატვრობას, რომლებიც მცდარი მოსაზრებით უფრო ძველ დროს განეკუთვნება. ზოგი უძველესი ძეგლი ბიზანტიასთან საქართველოს ურთიერთობის მაჩვენებელია, ზოგი ადგილობრივი საეკლესიო ხელოვნების თვითმყოფადობაზე მიუთითებს. ამ კუთხით საქართველოში უკვე ხელოვნების ისტორიის განვითარების იმავე პროცესს ვამჩნევთ, როგორსაც რუსეთში. ბიზანტიურ-ქართული ხელოვნების ბევრი ძეგლი უკვე გამოცემული და აღწერილია, ზოგი მეცნიერული კვლევის საგანი გახდა, მაგრამ ყველა ეს ცალკეული ნაშრომი (ბაქრადის, კონდაკოვის, პომიალოვსკის, გრაფინია უვაროვასი და სხვ.) ისტორიულ მოვლენებთან საერთო კავშირს მოკლებულია და დღემდე მხოლოდ ძვირფას მასალად რჩება, რომელიც დროთა ვითარებაში ქართული ეკლესიის მთელი ისტორიის შემადგენელ ნაწილად იქცევა. ეს მასალა რიცხობრივად მოიმატებს, იგი უფრო სწორად შეფასდება და ბიზანტიის, საქართველოს, რუსეთისა და სომხეთის ხელოვნების ისტორიის მეცნიერულ შეხედულებათა ჰორიზონტები გაცილებით გაფართოვდება. ქართული ეკლესიის ისტორიის სპეციალური კათედრა, ცხადია, ამ მხრივაც მეტად მნიშვნელოვანი აღმოჩნდება; ამ ფრიად ვრცელი მასალის მეცნიერული ღირებულების პატივისცემა მის სპეციალურ, სწორედ ქართული ეკლესიის ისტორიის კათედრასთან დაკავშირებას მოითხოვს და არა გვიან-ბერძნულთან, სადაც იგი ჯეროვნად ვერ შეფასდება.

IV. არც ამ საკითხის ეკლესიურ-პრაქტიკული მხარეა უყურადღებოდ დასატოვებელი. თუ მართებულია ის, რომ ჭეშმარიტი მეცნიერული ცოდნა არათუ არასოდეს შეიძლება იყოს მავნებელი, არამედ ცხოვრებაში ყოველთვის მხოლოდ სიკეთე მოაქვს, უეჭველია, განსახილველი კათედრა, როგორც ამგვარი ცოდნის წყარო, თავის სიკეთეს მოიტანს. ცოდნა ივერიის მართლმადიდებელი ეკლესიის ბედ-იღბლისა, ეკლესიისა, რომელიც ეგოდენ მნიშვნელოვანია აღმოსავლეთის მართლმადიდებლობის საერთო და კერძოდ, ივერიელი ხალხის ისტორიისათვის, გაცნობა ხალხური წეს-ჩვეულებებისა, რომელთა გამორკვევა არა მარტო თანამედროვე ეთნოგრაფიული დაკვირვებებით, არამედ საისტორიო ძიებებითაა შესაძლებელი, აამაღლებს სამისიონერო და რელიგიურ-განმანათლებლურ მოღვაწეობას კავკასიაში და, რაც განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, სასულიერო

ხელისუფლებას საშუალებას მისცემს მოაგვაროს საქართველოს ეკლესიის საქმეები, აღმოფხვრას გაუგებრობები, რომლებიც მუდმივად მეორდება, სიძნელეები, რომელთა მიზეზი უმთავრესად ისაა, რომ საკმარისად ვერ ვწვდებით ადგილობრივი გარემოს სულისკვეთებას და ისტორიას, განამტკიცოს ხელისუფლება, დაფუძნებული ცოდნის, მშვიდობისა და სიყვარულის საწყისებზე. მუდამჟამ მტკიცე მართლმადიდებელი ივერია, აი, უკვე 400 წელია, თვალს ერთმორწმუნე რუსეთისკენ აპყრობს. მართლმადიდებლური რწმენის სიმტკიცემ იგი რუსეთთან პოლიტიკურ და ეკლესიურ ერთიანობამდე მიიყვანა და ამგვარად რუსული მართლმადიდებლობის ბურჯად იქცა უცხო რჯულის აზიელთა შემოსევების წინააღმდეგ. ეს მოსაზრებები, რომლებიც შორეულ წარსულს ეხება, თანამედროვეობისთვის საინტერესოა სწორედ ამჟამად დასავლეთ ევროპიდან წინა აზიისკენ მიმართული გაძლიერებული პოლიტიკური და რელიგიური მოძრაობების გამო.

V. განსახილველი კათედრა უნდა დაარსდეს ს. პეტერბურგის სასულიერო აკადემიაში, რომელსაც დედაქალაქში თავისი მდგომარეობის წყალობით შედარებით აღმატებული მეცნიერული საშუალებები აქვს.

VI. კათედრას შესაძლოა მიეკუთვნოს სახელი: «ივერიის ეკლესიის ისტორია და სიძველენი».

შენიშვნა: ამ ისტორიის თანხვედრა სომხურ და სირიულ-ქალდეურ, ბიზანტიურ და რუსულ ისტორიასთან თავისთავად იგულისხმება: ეს მეცნიერული მეთოდის საქმეა.

VII. სპეციალისტის შერჩევას ამ კათედრისათვის, როგორც ახალი და რთული კათედრისათვის, რომელიც აღმოსავლეთის ისტორიისა სიძველეებისა და ენების განსაკუთრებულ ცოდნას საჭიროებს, საგანგებო ყურადღება უნდა მიექცეს და ეს აკადემიისთვის უმნიშვნელოვანესი საზრუნავთაგანი იქნება. ამ შემთხვევაში აკადემიას დაეხმარება საუნივერსიტეტო მეცნიერება და მიმოსვლათა მოძღვრება, მაგრამ საქმის დაწვრილებით დეტალებზე საუბარი ჯერჯერობით ნაადრევად მიგვაჩნია».

ცნობა. წმ. სინოდის 1900 წლის 30 აპრილის 12565 ბრძანებით აკადემიის საბჭოს დაევალა წარმოადგინოს დასკვნა 1901 წლის 18 იანვარს საქართველოს ერთმორწმუნე რუსეთთან შეერთების ასი წლისთავის აღნიშვნასთან დაკავშირებით ს. პეტერბურგის სასულიერო აკადემიაში ქართული ეკლესიის ისტორიის დამოუკიდებელი კათედრის დაარსების საკითხზე. ამ საკითხის განსახილველად საბჭოს 1900 წლის 22 მაისს 11 განჩინებით შეიქმნა კომისია, რომლის თავმჯდომარედ დაინიშნა დამსახურებული ორდინალური პროფესორი, ტ. ბ. ბარსოვი, წევრებად: დამრიგებელი – პოკროვსკი და დოცენტი ბრილიანტოვი. კომისიამ გასული მარტის თვეში აკადემიის საბჭოს ამ საკითხზე თავისი მოსაზრება წარუდგინა. აკადემიის საბჭომ გასულ 18 მარტს დაადგინა: «განცხადებასთან დაკავშირებით სასურველია დაისვას საკითხი არა მხოლოდ საქართველოს ეკლესიის ისტორიის კათედრის დაარსებისა, არამედ აღმოსავლეთის ქრისტიანული თემების ისტორიის კათედრისა, ისევე, როგორც ბიზანტიური ეკლესიის ისტორიისა. შეიქმნას კომისია, რომლის თავმჯდომარე იქნება დამსახურებული ორდინალური პროფესორი ნ. ა. სკაბალოვიჩი, წევრები: პროფ. ნ. ვ. პოკროვსკი, ნ. კ. ნიკოლსკი, ი. გ. ტროიცი და ა. ი. ბრილიანტოვი. კომისიას დაევალოს საბჭოში თავისი თვალსაზრისი წარმოადგინოს».

განაწესეს: ჩვენ სულაც არ ვეწინააღმდეგებით ქართული ეკლესიის ისტორიის სპეციალურად დამუშავების სურვილს და კომისიის მოხსენების მიხედვით მივიჩნევთ, რომ აკადემიებში ეკლესიის ისტორიის მეცნიერების ამჟამინდელი სწავლებისთვის ყველაზე უფრო შესაფერისი იქნება: ქართული ეკლესიის ისტორიის დამოუკიდებელი კათედრის გახსნამდე გაძლიერდეს ქრისტიანული აღმოსავლეთის ეკლესიის საერთო ისტორიის სწავლება, მის მაღალყოვლადუსამღვდელოესობას ეთხოვოს, იშუამდგომლოს წმ. სინოდის წინაშე, რათა ს. პეტერბურგის სასულიერო აკადემიაში რუსული ეკლესიის ისტორიის, დასავლეთის აღმსარებლობათა ისტორიის, რწმენისა და სლავური ეკლესიების ისტორიის კათედრების თანაბრად გაიხსნას დამოუკიდებელი კათედრა ბერძნული აღმოსავლეთის ეკლესიის ისტორიისა, რომელიც მოიცავს დროს ეკლესიათა განყოფიდან ამჟამინდელ დრომდე, და ამ მეცნიერებაში შევა ქართული ეკლესიის ისტორიაც, როგორც მისი ერთ-ერთი შემადგენელი ნაწილი.

ამას ჟურნალში მოსდევს მისი მაღალყოვლადუსამღვდელოესობის რეზოლუცია: «1902 წლის 3 მაისი. თანახმა ვარ».

ამგვარად, პატივი არ მიეგო შუამდგომლობას ქართული ეკლესიის ისტორიის დამოუკიდებელი კათედრის გახსნის შესახებ, თუმცა ბროშურაში «მომწიფებული საკითხი» საკმაოდ იყო მოტივირებული და მეტად ხელსაყრელი დროც ჰქონდა შერჩეული (საქართველოს ერთმორწმუნე რუსეთთან ნებაყოფლობითი შეერთების ასი წლისთავი).

მოთხოვნილი კათედრის ნაცვლად ყოველგვარი დაბრკოლების გარეშე გაიხსნა დამოუკიდებელი კათედრა ბერძნულ-აღმოსავლური ეკლესიის ისტორიისა, რომელიც მოიცავს დროს ეკლესიათა განყოფიდან დღემდე, ხოლო ქართული ეკლესიის ისტორია ჩაკვებებულია ვიწრო ჩარჩოში, რის გამოც იგი მოკლებულია სისრულესა და მთლიანობას.

ჩვენი შრომის დასასრულს რამდენიმე სიტყვა დაგვრჩა სათქმელი ქართულ ენაზე შემორჩენილი «ქებათა ქების» იპოლიტისეული განმარტების ნაწყვეტზე.

პირველად⁸²¹ 1901 წელს გეტინგენის უნივერსიტეტის პროფესორმა ნ. ბონვეტჩმა გერმანული თარგმანისათვის გამოიყენა სლავური ტექსტი წიგნის – «ქებათა ქების» განმარტებისა და «Theologische Literaturzeitung»-ის ფურცლებზე დასავლეთ ევროპის სამეცნიერო სამყაროს აცნობა, რომ რუსმა ფილოლოგმა, ნ. მარმა იპოლიტის რამდენიმე სრულიად უცნობი, ან ნაკლებად ცნობილი ქმნილების ქართული თარგმანი აღმოაჩინა. 1902 წელს, – ამბობს თავის რეცენზიაში პროფ. გ. კრიუგერი, – პროფესორმა ბონვეტჩმა გერმანულ საზოგადოებას აჩუქა გერმანული თარგმანი ნ. მარის კომენტარისა, წიგნზე – «ქებათა ქება». ახლა კი გვთავაზობს თარგმანს იაკობის კურთხევისას, მოსეს კურთხევისას და თხზულებისას დავითსა და გოლიათზე; თარგმანი შესრულებულია მღვდელ ვასილ კარბელოვის მიერ ქართული ენიდან რუსულად.

წინასიტყვაობაში იგი (პროფ. ნ. მარზეა საუბარი) შენიშნავს: «თავისთავად ცხადია, რომ მთელი რიგი მთარგმნელების ხელში გავლის შემდეგ, როგორც ამ შემთხვევაში, ორიგინალის ტექსტი მრავალ ადგილას ისე დამახინჯდა, ვეღარ იცნობ. სულ ცოტა ხნით ადრე მან გვაცნობა, რომ სომხური ტექსტი, რომლიდანაცაა ქართული თარგმანი შესრულებული, ვენეციაში ინახება. შენს თავს ძალაუწებურად ეკითხები, – აგრძელებს პროფ. კრიუგერი, – ამ სომხურ ტექსტს ამდენხანს რატომ არ გვამღევენ? უგუნურებაა, გენანებოდეს ფული და დრო ასე

ახლოს შენახული სიმდიდრის შესაძენად. ნუთუ მხითარისტები ისე თავგამოდებით იცავენ თავიანთ საუნჯეებს, რომ ისინი უცხო თვალისთვის მიუწვდომელნი არიან? აქამდე არსებული გამოკვლევები ამტკიცებენ, რომ ამგვარი პირქუში თვალსაზრისი უსამართლოა, ხოლო სომხური ენის მეცნიერები ჩვენთან, გერმანიაშიც გვყავს⁸²².

ცნობილმა ღვთისმეტყველმა და ეკლესიის ისტორიკოსმა, ბერლინის უნივერსიტეტის პროფესორმა გ. ადოლფ ჰარნაკმა, რომლისთვისაც ვ. კარბელოვმა ქართულიდან რუსულ ენაზე თარგმნა ზემოთ დასახელებული იპოლიტის თხზულება, ამ თხზულების ყურადღებით გაცნობის შემდგომ, აზრი გამოთქვა, რომ ქართულ ენაზე შემონახული იპოლიტის ძვირფასი ქმნილება სომხურიდან არ არის ნათარგმნი. კრიუგერის რეცენზიიდანაც იგივე აზრი მომდინარეობს. პროფესორ კრიუგერის კითხვას: «სომხურ ტექსტს აქამდე რატომ არ გვამოგვინ?» ჩვენი მხრიდან ვუპასუხებთ: სომხები იპოლიტის თხზულების ტექსტს ევროპელებს იმის გამო არ აძლევენ, რომ იგი ჯერჯერობით არა აქვთ. მათ ჯერ ხელნაწერი უნდა გადააკეთონ, ნესტიან სარდაფში შეინახონ, შემდეგ კი უძველეს ხელნაწერად გაასაღონ და ვრცელი წინასიტყვაობითა და ბოლოსიტყვაობით დაბეჭდონ. სომეხი მწიგნობრები მსგავს ოინებში დახელოვნდნენ; ეს აქამდე მთელი აღმოსავლეთისათვის იყო ცნობილი, ახლა კი ამაში ევროპელი მწერლებიც რწმუნდებიან. ბეთლემის მიტროპოლიტი ცნობილ მეცნიერთან, ელინური სიტყვიერების დოქტორ, არქიმანდრიტ პორფირ უსპენსკისთან სომეხთა ოინებზე საუბრისას სომეხებს ასე ახასიათებს: «არ დაუჯეროთ, მამაო არქიმანდრიტო, არ დაუჯეროთ სომეხთა საბუთებს, თაღლითები არიან, თხზავენ, აყალბებენ, საბუთებს ნაკელში, ან ნესტიან ადგილებში ათავსებენ, რათა ისინი დაძველდნენ, გაყვითლდნენ და დაიჭმუჭნონ»⁸²³.

ჩვენს დროში მეტად დიდი სომხური გაყალბება გამომჟღავნდა, რომელმაც შეაცდინა რუსი, გერმანელი და ინგლისელი მკვლევარები. ეს გახლავთ არტემ არარატიანცის (1774_1797) მემუარები, გამოცემული რუსულ (1813), გერმანულ (1826) და ინგლისურ (1822) ენებზე, რომლებიც ახლა ნაყალბევი აღმოჩნდა. ამ მემუარების სომხური ტექსტი არასოდეს არსებობდა, თვით არტემ არარატიანცს, ვინც გვარი რამდენიჯერმე გამოიცვალა, სომხურად არასოდეს არაფერი დაუწერია (დას. ევროპ. განყ. იმპ. რუს. არქ. საზ. ტ. IX, 1895 წ. გვ. 311_313).

ახლა თვით ქართული ძეგლის გამოცემას შევხებით. იპოლიტის წიგნის «ქებათა ქების» განმარტების ქართული ტექსტი 1901 წელს⁸²⁴ გამოსცა ნ. ი. მარმა IX_X საუკუნეთა ხელნაწერის მიხედვით, თან დაურთო რუსული თარგმანი და შენიშვნები. ნაშრომი უდავოდ ძვირფასია, მაგრამ მის მნიშვნელობას აკნინებს რამდენიმე გარემოება, უმთავრესად კი პროფ. ნ. მარის სისუსტე, რომელმაც თარგმანი არარსებულ სომხურ ტექსტს დაუკავშირა. სამწუხაროა, რომ ძველი ტექსტი არა იმ სახითაა დაბეჭდილი, როგორაც ხელნაწერში შემოინახა. ხელნაწერისმიერი შეცდომები და შესწორებები სტრიქონთა ქვეშ უნდა აღენიშნათ, ხოლო თვით ტექსტი ხელუხლებლად უნდა დაებეჭდათ. რედაქტორი ქართულ საეკლესიო ანბანს თვითნებურად ცვლის საერთო, რითაც თავს უფლებას აძლევს სიტყვათა მართლწერაც შეცვალოს და, ვფიქრობ, ამას უმიზნოდ არ სჩადის. უწინარესად აღვნიშნავთ პროფესორ ნ. მარის თვალსაზრისის მერყეობას ქალის ვერცხლის მონეტების სომხურ თავსამკაულთან დაკავშირებით: თითქოს იგი

გაჩნდა ბიბლიური ლექსის (1, 11, ქებ.) ლიტერატურული ზეგავლენით და მის პოპულარობას იპოლიტის განმარტებებმა შეუწყო ხელი. თუმცა ქალის ასეთი თავსამკაული ძველ ხალხებშიაც არსებობდა, რომელთაგანაც, უეჭველია, გადმოიღეს სომხებმა.

«სომხურ ლიტერატურაში, – ამბობს პროფ. მარი, – რომელიც საკმაოდ მდიდარია წმიდა წერილის, კერძოდ კი «ქებათა ქების» ორიგინალური განმარტებებითაც, a-priori შეიძლება მტკიცება იმისა, რომ «ქებათაქების» იპოლიტისეული განმარტებები არ შეიძლებოდა უკვალოდ გამქრალიყო»⁸²⁵. პროფ. მარს შეუძლია a-priori მხოლოდ წეროს, რადგან რეალური საყრდენი არ გააჩნია. მას არათუ ხელეწიფება წარმოადგინოს განმარტებების ძველი სომხური ტექსტი, რომელსაც მას გერმანელი მეცნიერები სთხოვენ, არამედ სომხურ, მისი სიტყვებით, «მდიდარ საღვთისმეტყველო მწერლობაში» იმის მოწმობაზეც ვერ მიგვითითებს, რომ X_XII საუკუნეებში სომხებს «ქებათა-ქების» იპოლიტის განმარტებები ჰქონდათ.

ქართულ ენაზე კი IX_X საუკუნეების იპოლიტისეული განმარტებების ზემოთ მითითებულ პერგამენტზე, ნაწერის გარდა, ივერიის სავანეში არის ამ თხზულების ხელნაწერიც, რომელიც იმავე თუ არა, უფრო ადრინდელ ეპოქას განეკუთვნება. სომხურიდან თარგმნილ ხელნაწერს ქართულ სავანეში – ელინიზმის ცენტრში არ შეიძლებოდა ადგილი ჰქონოდა. იმედი გვაქვს, რომ ამ თხზულების კიდევ ახალი ეგზემპლარები აღმოჩნდება ჩვენს სამამულო წიგნთსაცავებში.

კითხვაზე, იპოლიტის «ქებათა-ქების» ქართული თარგმანი რომელი ენიდაა შესრულებული, – ნ. მარი ამგვარად უპასუხებს: «ქართული ტექსტი ამ შემთხვევაში დადგენილია, უეჭველად (?) სომხურიდანაა თარგმნილი და არა უშუალოდ ბერძნულიდან»⁸²⁶. რაზეა დაფუძნებული ეს განსაცვიფრებელი «უეჭველად», და უფრო განსაცვიფრებელი «დადგენილია»?⁸²⁷ კიდევ ვუგდოთ ყური მას: «ეს ამკარავდება ქართულ ტექსტში სომხური სიტყვების (!) არსებობით, ამასთან, ზოგჯერ ისეთი სიტყვებისა, რომლებიც, ერთის მხრივ, ქართული ენის ძველ ძეგლებშიც კი მეტად არ მეორდება, ხოლო მეორე მხრივ, არის სწორედ სომხურ ენაზე შემონახული იპოლიტის განმარტებათა ნაწყვეტის შესატყვის ადგილებში. ქართული ტექსტის სომხური წარმომავლობა ასევე ჩანს ქართულისათვის უჩვეულო ზოგ საქცევში, არმენიზმსა და ზოგჯერ თავისებურ კითხვით სხვაობაშიც. მოვიყვან ასეთი თავისებური ქართული კითხვითსხვაობის ერთ დამახასიათებელ შემთხვევას: ქართულში უფლისათვის «სიმართლის მზის» დანართის შესატყვისად (22, 19) «სიმართლის მზიურ თვალს» ვკითხულობთ. ამ ჩვეულებრივ გამონათქვამში თვალის გამოჩენა აიხსნება ქართული ტექსტის სომხურზე დამოკიდებულებით. სომხურად სიტყვა «მზეს» ორი ფორმა აქვს: პირველი – areg (ანდა arev) და მეორე – aregakn; უკანასკნელ ფორმაში akn სუფიქსია, მაგრამ სომხურშივე არის სიტყვა «akn»-იც, რომელიც ნიშნავს «თვალს», და ქართველმა მთარგმნელმაც სიტყვა aregakn-იც, როგორც ჩანს, რთულ სიტყვად, areg - მზედ და akn – თვალად მიიჩნია და ქართულ ტექსტში აქედან წარმოსდგა თავისებური კითხვითსხვაობა «სიმართლის მზიური თვალი»⁸²⁸.

ქართულ და სომხურ ენებში მსგავს სიტყვებთან დაკავშირებით ცნობილი ლინგვისტი და ამ საკითხში სრულიად კომპეტენტური სწავლული – გატერიასი მიიჩნევს, რომ სომხებმა ქართულისაგან მრავალი სიტყვა ისესხეს. «სომხური ენის

ლექსიკონი, _ ამბობს იგი, _ ღარიბია სემიტური სიტყვებით, ქართული და სხვა კავკასიური ენებიდან ნასესხებ ბევრ სიტყვას ითავსებს, რომლებიც მისი სინტაქსის განვითარებაზე ზეგავლენას ახდენდნენ. ამის გამო სომხური ენის შესწავლა ქართული და სხვა კავკასიური ენების წინასწარი ათვისების გარეშე შეუძლებელია. ქართული ენის შესწავლის საფუძველზე პირადად დავრწმუნდი, რომ ამ ენას უდიდესი მნიშვნელობა აქვს სომხური ენის გამოსაკვლევად; სომხური ენის გრამატიკის გამოცემამდე თვით ედ. დიულორიეს რჩევით შევუდექი ქართული ენის შესწავლას რათა, გამომეკვლია, რა არის გადასულ ქართული ენიდან სომხურში, რის გარეშეც სომხურ გრამატიკას მეცნიერული მეთოდი და ფორმა არ ექნებოდა»⁸²⁹. «ქებათა ქების» განმარტებათა ქართული თარგმანის «სიმართლის მზიური თვალის» გამოთქმაზე დაყრდნობით პროფ. ნ. მარის მიერ ამ ტექსტის სომხურისათვის მიკუთვნებას რაც შეეხება, ამის გასარკვევად საჭიროდ მიმაჩნია, ჩვენი წინაპრების რელიგიურ-ყოფითი ცხოვრებიდან მოკლე ცნობა მოვიყვანო: ქართულ გამოთქმას «მზის თვალი» ღრმა წარსულის კვალი ატყვია: ა). გუდამაყრის ხეობაში არის უძველესი წინარექრისტიანული საკერპეს ნანგრევები, რომელსაც მზის თვალი ჰქვია, ხალხი დღევანდლამდე მოწიწებით ეპყრობა, როგორც საბეიზმის ნაშთებს, და რომელიც ოდესღაც ჩვენს წინაპართა შორის უფლობდა. ბ). იმავე მთიელ ქართველებს, უდავოდ საბეისტური გავლენით, უხსოვარი დროიდან დღემდე ქალთა ასეთი საკუთარი სახელები აქვთ: თვალი მზისა, მზისთვალა; გ). გამოთქმა «მზის თვალი» ეკლესიის წიაღშიაც იხმარებოდა, რაც ივერიის ღვთისმშობლის ხატის წარწერიდან ჩანს⁸³⁰; დ). ქართლში დღევანდლამდე ფიცულობენ: მზის თვალსა ვფიცამ, მზის თვალის მადლმა; ე). ქართლში პურის ლეწვისას კალოზე, შუადლისას, როცა განსაკუთრებულად ცხელა, ჩვეულებრივ, ამბობენ: ცხრათვალა მზე კამკამებს, ცხრა თვალი მზე ტრიალებს; ვ). წარმართული პერიოდის ცნობილ ქართულ სიმღერაში, რომელიც ღრუბელთა მბრძანებელ ლაზარესადმია მიძღვნილი, ასევე ნახსენებია მზის თვალი⁸³¹. ყოველივე თქმულიდან ჩანს, რა საფუძვლიანია პროფესორ მარის წინასწარ აკვიატებული აზრი ქართულ გამოთქმა «მზის თვალზე», რომელიც ჩვენში ჯერ კიდევ წინარექრისტიანულ პერიოდში არსებობდა. ამას გარდა, წიგნიერი გზით ნასესხები გამოთქმა ხალხურად არაფრით არ გადაიქცეოდა და ასე ფართოდ არ გავრცელდებოდა.

პროფესორ მარს სომხურ-ქართული ფილოლოგიის ძეგლების შესახებ თავის მრავალრიცხოვან გამოკვლევებში მხედველობიდან გამორჩა ერთი მეტად საგულისხმო ვითარება: რომ სომხები ისტორიის სცენაზე იმ დროს ჩნდებიან, როცა ქართველთა წინაპრები _ ქალდეველები მსოფლიოში იყვნენ ცნობილნი თავიანთი დიდი ნაციონალური კულტურით, რომლის შესაქმნელად ათასწლეულობით იღვწოდნენ. ამ კულტურამ, სხვათა შორის, უდიდესი გავლენა სომხებზე მოახდინა და მისი ნიშნები რელიეფურად მჟღავნდება ჰაიკიანთა ხალხის ენაში, წეს-ჩვეულებებში, მონუმენტურსა და წერილობით ძეგლებში. პროფესორ მარს თავისი მცდელობა, რომ სომხები და მათი ლიტერატურა ქართველთა ხარჯზე განადიდოს, აიძულებს ერთიმეორეზე უარესი ვარაუდი გამოთქვას, მაგრამ ამ არმენისტის ნათელმხილველობისა, სამწუხაროდ, ევროპელებს არ სჯერათ⁸³².

ქართული წაკითხვა სტრიქონისა _ «დაიბანაკებს ანგელოზი უფლისა», _ ამბობს მარი, _ როგორც ჩანს, არის სომხური ვარიანტის ანარეკლი բանասկ-ის (ბანაკი)

შენარჩუნებით ზმნაში – დაიბანაკებს, ხოლო სომხური წაკითხვა, თავის მხრივ, სირიულ ტექსტს იმეორებს⁸³³. სომხებს შეეძლოთ მაკლერები ყოფილიყვნენ ვაჭრობაში და არა ლიტერატურაში. ხოლო ქართველები მათ კულტურულ შუამავლობას არ საჭიროებდნენ.

«ქართულ ტექსტში სირიული გავლენა უშუალოდ არ შეიმჩნევა, – ამბობს ნ. მარი, – თუმცა სახეზე გვაქვს ის სირიიზმები, რომლებიც ძველსომხურისთვისაა ჩვეული. ზოგიერთ მათგანს, როგორც, მაგალითად, «Шатер времени»-ს (& 29) თუ «ალექმის კიდობანად» თარგმნიდით, შეიძლებოდა ასე გვეთქვა: სირიული წარმოშობისაა სომხური ტექსტი, საიდანაც თარგმნიდა ქართველი, თუ არ გვეცოდინებოდა ის ფაქტი, რომ ყველა ეს სირიიზმი სომხურს ჯერ კიდევ წმიდა წერილის თარგმნისას ჰქონდა შეთვისებული»⁸³⁴. მაგრამ ოდნავ ქვემოთ პროფ. მარი თავის თავს თვითონ ეწინააღმდეგება, როცა ამბობს: «ქართული თარგმანი თავისთავად უძველესი თარიღისაა; ბერძნული ორიგინალიდან გამომდინარეობს არა პირდაპირ, არამედ სომხურის მეოხებით და, შესაძლოა, სირიული ტექსტიდანაც»⁸³⁵. XII საუკუნემდე სომხურ ანბანში და, შესაბამისად, სომხურ მწერლობაში რომ ასონიშანი «ო» – არ იყო, ქართულ თარგმანში ეს რატომ არ აისახა? საინტერესოა ცოდნა იმისა, თუ XII საუკუნემდე სომხებს იპოლიტის თარგმანი ჰქონდათ, მაშინ სახელ იპოლიტს როგორ წერდნენ?

პროფესორ მარს უდავოდ მიაჩნია, რომ წმიდა წერილი სომხურად სირიულიდან ითარგმნა. მაგრამ ეს აქსიომა არ არის. სომხურ ლიტერატურაში ჯერ კიდევ არაა დადგენილი, რომელი ენიდან ითარგმნა წმ. წერილი სომხურად. კორიუნი მოწმობს, რომ პირველად წმ. წერილი ბერძნულიდან ითარგმნა; ხოლო ლეგენდარული მოვსეს ხორენაცი ამბობს, სირიულიდანაა თარგმნილიო, თუმცა სომხურ თარგმანში გადმოტანილი საკუთარი სახელები: იესო, ქრისტე, მოსე და სხვ. ბერძნულ ორიგინალზე მიუთითებენ. სომეხი მწერლები ირწმუნებიან, როცა მესროპი იოანესა და იოსებთან ერთად სირიულიდან წმ. წერილის სომხურად თარგმნას შეუდგა, თარგმნა სოლომონის იგავებით დაიწყესო⁸³⁶. საკითხავია: რომელი გონიერი მთარგმნელი დაიწყებდა საერთოდ ლიტერატურულად განუვითარებელ და თარგმანისათვის ნაკლებ დამუშავებულ სომხურ ენაზე სოლომონის მეტად რთული იგავების თარგმნას, როცა ეს რელიგიურ-ფილოსოფიური ტრაქტატის ხასიათის ნაწარმოები დიდაქტიკურ-პოეტური ენობრივი ფორმითაა გადმოცემული. უნდა შევნიშნოთ, რომ პირველად გამოჩნდა თარგმანები წმ. წერილის საკითხავად (apracos) ყველაზე გამოსაყენებელი წიგნებისა, როგორცაა: სახარება, მოციქულთა, ფსალმუნები, წინასწარმეტყველთა, ხოლო წმ. წიგნების სრული კოდექსის გამოჩენამდე მთელი საუკუნეები გადიოდა. სომხებს კი მყისიერად უჩნდებოდათ ანბანი და ასევე მყისიერად წმ. წერილის სრული თარგმანიც. მხედველობაში უნდა გვქონდეს, რომ ქრისტიანულ აღმოსავლეთში დიდხანს იხმარებოდა ბიბლიის ცალკეული წიგნები, ხოლო სრული კოდექსები იშვიათობა გახლდათ. ამიტომ ათეულობით წელი და უზარმაზარი სახსრები იყო საჭირო, რომ V საუკუნეში წმ. წიგნების სრული ტექსტი შეეძინათ. მაგრამ ჰქონდათ კი თვით სომხებს ამ ეპოქაში სასულიერო ღვთისმსახურებითი წიგნების სომხურ ენაზე თარგმნის სასიცოცხლო მოთხოვნები? პასუხს მაშინ მივიღებთ, თუ გავიხსენებთ, რომ ამ დროს ბიზანტიურ სომხეთში საეკლესიო ენა ბერძნული იყო, ხოლო სპარსულ სომხეთში – სირიული.

სომხებმა იმისათვის, რომ მთელი მსოფლიოს თვალში წმ. წერილის თავიანთი გადამღებნი აემაღლებინათ და მათთვის 70 განმმარტებელთა მნიშვნელობა მიენიჭებინათ, საკუთარ მშობლიურ ენაზე წმ. წერილის თარგმნის არაბუნებრივი ხერხი მოიგონეს. სხვაგან ასეთი სერიოზული სამუშაოსათვის საუკუნეობით ემზადებოდნენ: აღმოსავლეთში თავიანთ მონასტრებს სკოლებითურთ აარსებდნენ, სადაც აგვარებდნენ წმ. წიგნების გადაწერის, მთარგმნელებისა და წმ. წიგნთაგან ყველაზე აუცილებელი წიგნების სათარგმნად მომზადების საქმეს. ამის შემდეგ ჩნდებოდა უკვე სრული თარგმანი. ეს ყველაზე ბუნებრივი გზაა. 408_436 წლების შუალედში სომხებმა რამდენიმე საცდელი თარგმანი შეასრულეს და შესწორებები შეიტანეს. სირიულიდან ნათარგმნი დაიწუნეს და ახალი სრული თარგმანი განახორციელეს ბერძნულიდან სომხურ ენაზე, რომლის ანბანი, თუ გვიანდელ სომეხ მწერლებს დაეუფკერებთ, ახლახან იყო გამოგონილი.

ახლა სომხებს უნდათ, თავიანთი უნიჭო თარგმანი, რომელსაც «თარგმანთა დედოფალი» უწოდეს, ქართული თარგმანის ღირსებებით შენიღბონ. რა მიამიტები ჰგონიათ სომხებს ქართველები: სირიულიდან თავიანთი პირველი თარგმანი დაიწუნეს, ხოლო ქართველებმა სომხების მიერ დაწუნებული თარგმანიდან თავიანთი თარგმანი შეასრულეს და, ჰოი, საოცრება! ეს თარგმანი ჩინებული აღმოჩნდა და სომხები უდიდეს მნიშვნელობას ანიჭებენ ვითომდა დღემდე მოუღწეველი თავიანთი სირიული თარგმანის აღდგენის საქმეში. ყველა სომხური ხელნაწერი ბიბლია კანონიკურთან ერთად შეიცავს ზოგიერთ არაკანონიკურ წიგნს⁸³⁸, რომლებიც მართლმადიდებლურ ეკლესიას აპოკრიფებად მიაჩნია. ქართული თარგმანი ნამდვილად სომხურიდან რომ ყოფილიყო შესრულებული, მაშინ ჩვენი ბიბლია თავისი შედგენილობით სომხურს ემსგავსებოდა, ქართულ ენაზე შესრულებული ჩვენთვის ცნობილი არც ერთი ხელნაწერი ბიბლია კი არც ერთ არაკანონიკურ წიგნს არ შეიცავს; რაც განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, ყველაზე ძველი სომხური ბიბლია სომეხი მწერლების აზრით ჩნდება XII საუკუნის ბოლოდან, კერძოდ, 1199 წლიდან⁸³⁸, სრული ქართული ბიბლია კი 978 წელს აქვს შეძენილი სახელოვან თორნიკეს და ახლა ათონის ივერთა მონასტერში ინახება, ხოლო მისი ასლები საქართველოში. ყველაფრით ჩანს, რომ ქართულ ენაზე თარგმნილი სრული ბიბლია რამდენიმე საუკუნით ადრე არსებობდა, ვიდრე სომხური. თვით ქართულ თარგმანს უამრავი შინაგანი ნიშან-თვისება აქვს, რომლებიც უდავოდ ამტკიცებენ, რომ უსაფუძვლოა სომეხთა პრეტენზიები, თითქოს ქართული საღმრთო ტექსტი სომხურიდან იყოს თარგმნილი (წიგნის შედგენილობის არაერთგვარობა, მათი დაყოფა, ხარვეზები სომხურ ტექსტში და ა. შ.).

პროფ. მარს სურდა, «ქებათა-ქების» იპოლიტისეული ქართული თარგმანი სომხურისათვის მოერგო და ამ მიზნით ქართულ გამოთქმებს რუსულ ენაზე არასწორად თარგმნის: განცხადებულად _ открыто, явно-ს იგი признавъ-იდან თარგმნის⁸³⁹, ზრახვას _ советъ, намерение _ გადატანითი მნიშვნელობით განმარტავს _ тайна, тайнство როგორც სომხურშია⁸⁴⁰, განმზადებული _ готовый, приготовленный-ს თარგმნის მომავალის მნიშვნელობით სომხურის მიხედვით,⁸⁴¹ ფერად-ფერად-ს თარგმნის _ с крапинками სომხურის შესატყვისი ყიუი-ით, ამასთან ირწმუნება, რომ ზედმიწევნით ზუსტად თარგმნა⁸⁴², ნამდვილად კი ფერად-ფერადი _ разноцветное-დან უნდა თარგმნილიყო. ქართულ ენაში

крапинки-ს, «წინწკლების» მნიშვნელობის გამოსატყმელად არსებობს ზუსტი გამოთქმები: დახატული (набивной), დაწინწკლული (крапинками) – ქსოვილისათვის; ფარნა, ბეჟანა – ცხოველებისათვის; ჯავარდაყრილი – ხეებისათვის; ჭროლა – ფრინველთათვის; ჭრელი – (пестрый) – ქვეწარმავალთათვის და ოთხფეხათათვის; ამლაყი, თუროი (გცენჰსკე), ყომრალი, მრეში, გრემა, რუხი, ლეზა, სისვი და სხვ.

არასწორად განმარტავს და თარგმნის ქართულ სიტყვებს: ცისკიდენი края неба სამყაროს კიდის მნიშვნელობით,⁸⁴³ დამყნა – привитие, привязывание საფარის, ზღუდის მნიშვნელობით⁸⁴⁴ განცხადებულად, ღიად, ცხადად თარგმნის – признавъ-იდან⁸⁴⁵ და სხვ. პროფ. ნ. მარის აზრით დაბადების წიგნს ქართულ ენაზე ორი სახელწოდება აქვს: შობანი (?) და დაბადება; ეტყობა, მისთვის უცნობია, რომ ჩვენს ენაზე მითითებული წიგნის კიდევ ორი სახელწოდება გვაქვს – წიგნი შესაქმისა, წიგნი შექმნათა – (книга творения)⁸⁴⁶.

ზოგჯერ პროფ. მარი კონიუნქტურულად აღადგენს და არც თუ იშვიათად არასწორად აქვს წაკითხული ტექსტში ადვილად გასარჩევი სიტყვები: ცრემლი, ⁸⁴⁷ იტყვის,⁸⁴⁸ მიემადლა⁸⁴⁹, ეკლესიასტ⁸⁵⁰, სცუან ვითა⁸⁵¹, მუნ თქალს⁸⁵², სულიზნის⁸⁵³, თანამდებარიან⁸⁵⁴, ვარ დაშავებულ⁸⁵⁵, შვენიერ ვარ⁸⁵⁶, შავი ვარი მე⁸⁵⁷, უწყნი⁸⁵⁸, დალპის⁸⁵⁹, ვითარ⁸⁶⁰, შინაო⁸⁶¹, აღსრულებული⁸⁶², და სხვ. გამოტოვებული აქვს სიტყვები: ვარ⁸⁶³, მას⁸⁶⁴ და სხვ. უთარგმნელად აქვს დატოვებული: «ესე ყი მისთანა»⁸⁶⁵.

სიტყვა-დასახლეულობის შესახებ პროფ. მარი ამგვარად მსჯელობს: «სლავური თარგმანის მიხედვით რომ ვიმსჯელოთ, უნდა ნიშნავდეს თვინიერებას; ამას ასევე მოითხოვს ჩვეულებრივი წარმოდგენა მტრედზე, რომლის თვისებად გამოტანილია – დასახლეულობა. იმ დროს, როდესაც ეს სიტყვა შესაძლოა აღნიშნავდეს მხოლოდ (?) სახლის აღმშენებლობას, ოჯახის შექმნას (და ჩვენ ჩვენი მხრიდან დავუმატებდით მეოჯახეობას/; თვინიერების დანიშნულებით რომ გაიგო, უნდა იცოდეს, რომ იგი სომხური ընտանութիւն-ის მატერიალური თარგმანია, რაც წარმოქმნილია ընտանի - შინაურისაგან, თუმცა თვინიერებას ნიშნავს⁸⁶⁶. როცა პროფესორ მარს სურს, მაშინ ქართველი მთარგმნელები ასოკირკიტებად იქცევიან, როგორც მითითებულ ადგილას, ხოლო სხვაგან მათ ასო-ნიშნის წინაშე ამგვარი მონური მორჩილებისაგან ათავისუფლებს, ამტკიცებს, რომ «ამ თარგმანების ავტორთა (ნაგულისხმევია ქართველები) ძირითადი მოთხოვნა სიზუსტეა»⁸⁶⁷.

იქაც კი, სადაც ქართული ტექსტი აშკარად მიუთითებს, რომ იგი სომხურიდან არაა თარგმნილი, მარი ცდილობს, თავისი წინასწარაკვიტებული აზრი გაამართლოს: «იაკობის კურთხევის განმარტება, – ამბობს პროფ. მარი, – რაღაც გაუგებრობის გამო (!) შატბერდის ნუსხაში ქართველთა მიზეზით მეორე ადგილზეა მოთავსებული, რადგან სომხურში ამ მხრივ რიგი დაცულია. როგორც ჩანს, ამ გაუგებრობის მიზეზი ქართული თარგმანის გადამწერები არიან»⁸⁶⁸.

პირველ თავში ჩვენ მოვიყვანეთ გიორგი მთაწმიდელის აზრი სომეხთა აღმსარებლობის შესახებ, ეს აზრი დიდი ამბით განაცხადა მან ბიზანტიის იმპერატორისა და სომეხი დიდებულების თანდასწრებით და გამოხატავს

ქართველთა შეხედულებას საერთოდ სომხებზე, რომლებიც მონოფიზიტური მწვალებლობით არიან დაავადებულნი. ამიტომ გასაგებია, რომ ქართველები სომხურიდან უკიდურეს და განსაკუთრებულ შემთხვევაში თარგმნიდნენ, ამასთან, არ მალავდნენ, რომელი ენიდან თარგმნიდნენ, როგორც აღნიშნა დაჩიმ ეპიფანე კვიპრელის ფსალმუნთა განმარტებების თავისი თარგმანის წინასიტყვაობაში; იგი აქ ბოდიშს იხდის, რომ თარგმანისთვის გადაწყვიტა სომხური ენისთვის მიემართა⁸⁶⁹. იპოლიტის განმარტება «ქებათა ქების» წიგნისა ნამდვილად სომხურიდან რომ ყოფილიყო თარგმნილი, ამის შესახებ მიუთითებდა თვითონ მთარგმნელი, ან შატბერდის ენციკლოპედიის რედაქტორი, რომელიც თავის მინაწერში შენიშნავს, ეპიფანეს ფსალმუნთა განმარტებების თარგმანი სომხურიდან დაჩიმ განახორციელაო⁸⁷⁰...

კიდევ ერთი ბოლო შენიშვნა პროფ. მარის კომენტარებთან დაკავშირებით. 35-ე გვერდზე კომენტატორს სიტყვა – «სეროის» წარმომავლობაზე გამოთქმულ ვარაუდებში თავგზა დაეხრა. სურდა ამ სიტყვის წარმომავლობა სომხურ ser – ნალებთან დაეკავშირებინა და ქართულ ენაში მის არსებობას უარყოფს. ჩვენი მხრიდან მას შემდეგ სიტყვებზე მივუთითებთ: სერი, სერა – ნიშანი; სერი – გორაკი, ბორცვი; სერობა – ტრაპეზობა; სერი – სადილი⁸⁷¹; დიდი სერობა – საზეიმო სადილი; სერა – ქოთნის ტყავის შემოსაკრავი (შემოსახვევი) (სადღვებელისა) და ა. შ.

